ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული
ლიტერატურის კვლევის განყოფილება

ქართული ხალხური პოეზია
(შეხვედრა)

VI

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2024

UDC (უაკ) 94(479.223)+ 39 (479.223)
ა-977

„აჭარული საუნჯის“ VI ტომი მომზადდა ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების თანამშრომელთა - ელზა ფუტკარაძის, ნანული ნოღაიდელის, შუშანა ფუტკარაძის, ციალა ნარაკიძის, ნაილე მიქელაძის, ნარგიზ ახვლედიანის, ცისნამი ბერიძის, ფატი აბაშიძის მიერ.

რედაქტორები: როინ მალაყმაძე
შუშანა ფუტკარაძე
ნანული ნოღაიდელი
ელზა ფუტკარაძე

რეცენზენტები: ნოდარ კახიძე
თამილა ლომთათიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა - ეთერ ხეცოიძე

ISBN 978-9941-488-93-1
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2024

III

განძად დასარჩენი

შემოქმედებითობა, ლექსთა თხზვა-თქმა, გაშაირება ნიშანდობლივია ქართული ხასიათისთვის, მთიელ კაცში კი ეს კიდევ უფრო გამოკვეთილ-შესისხლხორცებულია. ასეა ჩვენს კუთხეშიც. შუახეველთა ნაფიქრ-ნააზრევის, სიხარულისა თუ წუხილის გამომზეურებაა მათივე ზღაპრები, თქმულებები, გადმოცემები, შაირები, ლექს-სიმღერები, შეგონებები, ანდაზა-გამოცანები. სამუშაოს ფერხულში იყო ჩაბმული, მემთევრობდა, სუფრასთან იჯდა თუ გუთანს მიყვებოდა კვალში, ბუნების მშვენიერებით თვალგამძღარი აქაური ლექს-სიმღერას ღიღინებდა სულის საოხად, დარდის შესამსუბუქებლად, სხვის საამებლად თუ გასამხნევებლად, ძალების მოსაკრებად, სანუგეშებლად. ზამთრის გრძელ ღამეებსა თუ დიდთოვლობაში ზღაპრებს, თქმულება-გადმოცემებს, გამოგონილ ამბებს აყოლებდნენ გულს. თავისებური მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით თავმომწონე ეს პოეტური თუ პროზაული შემოქმედებითი ნიმუშები, აქაურთა ყოფის, მათი ცხოვრების, შეხედულებების სამზეროა და ხალხური დაკვირვება-მიგნების სიბრძნეს უშუალოდ, სადად გადმოგვცემს. დიახ, ხალხური ზნე-მორალისა თუ კოდექსის, საზნეო ჭეშმარიტების სახეა მათივე ნაამბობი.

ჩვენი ათასჭირგამოვლილი კუთხის შვილთა მისწრაფებები, სულიერი მახასიათებლებია არეკლილი შუახევის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში. ეს კი ის ფასეულობა და ღირებულებაა, რაც ძვირფასი საზრდოა ჩვენთვის, სულის საზრდო.

შუახევი, ზემო აჭარის ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა და ბუნებრივია, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდებული წარსულის ნაწილიც. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის შეფასება: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა; იგია ჩვენი სულის აღმატებულების აკვანი... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროსა“. ეს შეფასება შუახევსაც ეკუთვნის. შუახევი მატერიალური და სულიერი კულტურის მონაპოვრითაც გამორჩეულია. მხარის წარსულ ტკივილს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები - დარჩიძეებისა და ოქროპილაურის ციხეები, ყალაბოინებად ანუ ციხე-სასაკლაოებად წოდებული. ამ კუთხის კულტურული სულიერი პორტრეტის შემავსებელი ნაწილია ხალხური სიტყვიერება. განსაკუთრებით მდიდარია ხალხური პროზა.

ემოციით, უდიდესი გრძნობა-განცდითაა დაყურსული ლექს-სიმღერები, თქმულება-გადმოცემები, ხალხური შემოქმედებითი ნიმუშები აჭარაში. აჭარის განსაცდელის თანაზიარი იყო აქაური სიტყვა და ამ განსაცდელთან ერთად ლექსიც, ზღაპარიც, თქმულებაც, საერთოდ, ხალხური მარგალიტები, ამ ყოფის სისხლხორცეული ნაწილი იყო. როგორც ზურაბ გორგილაძე იტყოდა, აქაური სიტყვა ხომ „სამას წელიწადს ღვინოუსვამი“, „სამას წელიწადს ნამარხულევი“, „სამას წელიწადს ნაბორკილარი“, მაგრამ ყოველთვის „მხნე და ჯიქური“ იყო. ყოველივე ამის სურნელი თან მოაქვს შუახევის ხალხურ მარგალიტებს.

შუახევის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებზე თვალის ერთი გადავლებაც ადვილად მიგვახვედრებს, თუ რა სულიერი გზით, რა შეხედულება-მისწრაფებებით, რა მსოფლმხედველობითა და ცხოვრების საზრისით მოსულა დღემდე აქაური კაცი. გვაგებინებს: რა მოსწონს, რა უხარია, რა სწყინს, რა უკლავს გულს აქაურთ? ხალხური შემოქმედება ყველაზე უკეთ, სადად, შეუ-

ლამაზებლად და გულღიად გვაცნობს აქაურთა სულისა და გულის ნადებს. დიახ, ასე უშრეტი წყაროა შუახეველთა ზეპირსიტყვიერების საგანძური. ვკითხულობთ რა ხალხური შემოქმედების ამ ლამაზ ნიმუშებს, იქვე უშუალო ურთიერთობა მყარდება, დიალოგი იმართება მთქმელსა და მსმენელს შორის. ასეთი სისადავით ნაამბობში კი საოცრადაა გამოხატული ეროვნული სული.

დიახ, ხეობის ისტორიული წარსულის სრული სურათის წარმოსაჩენად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სულიერ ფასეულობა-საგანძურს, რომელიც ხალხში რწმენა-წარმოდგენების, ადათ-წესების, ლეგენდების, თქმულება-გადმოცემათა სახითაა შემორჩენილი. ზეპირსიტყვიერება ხომ დამატებით წყაროს წარმოადგენს ადამიანთა მსოფლმხედველობრივი საკითხების გასააზრებლად.

ერთგან ილია ჭავჭავაძე წერდა: „ერის კულტურული დონის შესაფასებლად ფილოსოფოსნი იტყოდნენ: რამდენი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი და ფილოსოფოსი ჰყავსო, რამდენი ნიჭიერი სახალხო მთქმელიო“. დიახ, ნიჭიერი სახალხო მთქმელების სიმრავლით ნამდვილად გამოირჩევა შუახევი. ყველა სოფელს მისი კოლორიტულად გამორჩეული ნიჭიერი მთქმელი, მეზღაპრე, მელექსე ჰყავს, თუმცა იმავდროულად, სოფლის მკვიდრნი, ყოველი მათგანი, მაინც გაგანდობს ხალხური შემოქმედების მარგალიტს და ხელმოცარულს არ დაგტოვებს მსმენელს. როგორც ცნობილია, „სოფელ ლომანაურში ცხოვრობდა მეზღაპრე მოხუცი - ტყვაირ ფუტკარაძე. მას შეეძლო, მთელი დღის მანძილზე მოეთხრო სხვადასხვა შინაარსის ზღაპარი და მაინც ამოუწურავი დარჩენილიყო მისი „ზღაპრების გუდა“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე. სამწუხაროდ, არც ერთი ნიმუში არაა ჩაწერილი“ (შ. ფუტკარაძე, აჭარული საუნჯე, 2003: ტ.I). მსგავსი მთქმელები ხომ შუახევის ყველა სოფელს ჰყავდა. ვინ იცის, რამდენმა მთქმელმა, ავტორმთქმელმა ვერ მოასწრო ხალხური სიბრძნის გადმოცემა, „ზღაპრების გუდისთვის“თავის წახსნა, რომ მომავალი თაობისთვის დაეტოვებინა იგი.

კიდევ ერთი მელექსე გავიხსენოთ.

შუახევში, ყველა, დიდი თუ პატარა, იცნობდა ყაჭოს ანუ შაქირ ზოსიძეს. აქაურ ხალხურ სიტყვიერებას თავისებურ ხიბლს, ჰეწს მატებს მისი ლექსის პწკარედები. სოფ. ჯაბნიძეების გორის უბანში დაბადებული, ოჯახური მდგომარეობის გამო მწყემსობას იწყებს, პოეტური ნიჭის გაშლა-ნავარდისთვის კი ეს შესაბამისი გარემოა. ყაჭო სოფლიდან სოფელში დადიოდა და მღეროდა სატრფიალო შაირებს. დღესაც შუახევის სოფლებში ყველა გაიხსენებს მას და მის საოცარ მგზნებარე შესრულებას. ყველა ერთნაირ მოსაგონარს გეტყვის: სკოლის ბავშვები ფულს მივცემდით, სანამ სიმღერას არ დაასრულებდა, არ გაჩერდებოდაო. ბევრჯერ ისეც ხდებოდა, რომ ზარი დაირეკებოდა, ბავშვები გაკვეთილებზე წავიდოდნენ, მაგრამ ყაჭო მაინც აგრძელებდა სიმღერას.

ასეა, ქართველ კაცს ლექსთან წილნაყრობა უხსოვარი დროიდან მოსდგამს. ლექსი, კაფია და შაირი ხომ, უპირველესად, საქართველოს მთის შვილთა საკუთრებაა. აკაკიმ თავის ბიოგრაფიაში ერთი ამბავი შემოგვინახა: მამაჩემი, მრისხანე თავადი როსტომ წერეთელი, ზოგ გლეხს გეგარად ზღაპარს ან კარგ ლექსს ახდევინებდაო... თავადმა თავადობისა იცოდა, მაგრამ აჭარის მთიანეთშიც იყო ამგვარი „ხარაჯის“ გაღება: სიტყვაუხვ, ენაწყლიან, მეტადრე მეზღაპრესა თუ მელექსე, კაცებს მთიელი მწყემსები სამწყემსურში იახლებდნენ, ოღონდ გრძელსა და უძილო ღამეებში ნახირზე მოდარაჯეთათვის ღია ცის ქვეშ, ცეცხლის პირას, ლექს-ზღაპარი მოეთხრო. თუ თავს გამოიჩენდა, იალაღობის დამთავრებისას ნამატ ყოჩსაც უსაჩუქრებდნენ... ერთი სიტყ-

ვით, მთიელი აჭარელი ულექსოდ ჩხირსაც არ გატეხდა. როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ნათქვამია. მართალია, ყოველთვის სალექსოდ არ ჰქონდა საქმე, მაგრამ ლექსსაც ცხოვრებისეულ დანიშნულებას აძლევდა - სულს იმაგრებდა, გულს იმხნევებდა. ასე აისახა მისი ყოველდღიური საქმიანობა ლექსებში, რომელსაც დღეს „შრომის პოეზიას“ ვეძახით (ე. დავითაძე, სოფლის აღმაშენებელი, 1992: 84).

უნებლიეთ გვახსენდება მთიელი კაცის, მწერალ ლევან გელაძის პოეტური შეძახილი:

„შევყურებ ცად აჭრილ მწვერვალებს,
მდინარე აქ გორებს შუა ხევს,
ეს წყარო,
ეს ვაზი ავალებს,
მეც რამე ვუმღერო შუახევს.
.....შევცინი ცად აჭრილ მწვერვალებს,
მდინარე აქ გორებს შუა ხევს,
ეს მიწა,
ეს წყალი მავალებს-
უმღერე, რამეო, შუახევს“.

და მართლაც, რამდენმა მთქმელმა უმღერა, როგორადაც შეეძლო და როგორადაც ხელეწიფებოდა.

არც ერთი საქმე ისე სასწრაფო არ არისო, როგორც ზეპირგადმოცემის შეკრება-შეგროვება, - წერდა აკაკი წერეთელი.

ხალხში გაფანტული, მიმობნეული მარგალიტების შეკრება, კრებულად გამოცემა და ხალხის წიაღშივე დაბრუნება საშური საქმეა. ლეგენდები, თქმულებები, ზღაპრები, ლექს-სიმღერები თაობიდან თაობაში გადავა, ხალხის მეხსიერება შემოინახავს და მათივე სულიერი მდგომარეობის, წეს-ჩვეულებათა, ტრადიციების უკვდავსაყოფი საგანძური იქნება, რასაც დაარსების დღიდან ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი უშურველად ემსახურება. დაფუძნებისთანავე დაიწყო ხალხური საუნჯის შეკრება ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მეცნიერი, საზოდაგო მოღვაწე ჯემალ ნოღაიდელი. შემდგომშიც აქტიურად გააგრძელა აღნიშნულმა განყოფილებამ ფოლკლორულ-შემკრებლობითი საქმიანობა. სწორედ, 1959 წელს, ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საველე ექსპედიციის დროს, შუახევის რაიონის სოფლებში (ბუთურაული, ჩანჩხალო, წაბლანა, ციწარეთი, დღვანი, სამოლეთი, ქიძინიძეები, უჩამბა, გოგაძეები, ოლადაური, მახალაკიძეები, შუბანი, მოფრინეთი, ჭალა, გომარდული, ბარათაული, ჟანივრი, წყლისაყარი, ინწკირვეთი, დარჩიძეები, ჯაბნიძეები, ჭვანა, ნაღვარევი, ლაკლაკეთი, ტაკიძეები, ახალდაბა...) ექსპედიციის წევრთა თავდაუზოგავი შრომით შეკრებილი მასალიდან ხალხური სიტყვიერების ნიმუშების მცირე ნაწილია შეტანილი „აჭარული საუნჯის“ წინამდებარე ტომში.

წარმოდგენილი ნიმუშები თემატურად მრავალფეროვანია, ამასთანავე, თითოეულში დაგმობილია: ბოროტება, უსამართლობა, გაუმაძღრობა, მკვლელობა, გაუტანლობა, ღალატი, სამაგიეროდ, ყოველი მათგანი კეთილშობილების, სიკეთის, კაცთმოყვარეობის, სიბრძნის, გულწრფელობის, ერთგულების, სიყვარულის, გონება-გამჭრიახობის საგალობელია.

კრებულში ზღაპრების, ლეგენდების, პოეტური ნიმუშების გარდა, მოცემულია ანდაზები, გამოცანები, შელოცვები.

წიგნს ერთვის მთქმელთა და ჩამწერთა სამიებლები, ტექსტებში გამოყენებული სალექსიკონო სიტყვების განმარტება.

მასალა საინტერესოა და გამოადგება აჭარის ფოლკლორის, დიალექტის, ეთნოგრაფიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

ეს წიგნი კრძალვის, მადლიერების გამოხატვაა და გახსენებაცაა იმ ადამიანებისა, ვინც იცოდა წინაპართა გულში ნადების, ნაფიქრ-ნააზრევის, ღირებულებებისადმი დამოკიდებულების ფასი. სიტყვას განდობილი მათი ნაფიქრ-ნააზრევი კი ის ნაწერია, რომელიც „განძად დარჩების“.

ამრიგად, შუახევის რეგიონის მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ქართული ფოლკლორის, ზოგადქართული ეროვნული საუნჯის სისხლხორცეული ნაწილია და აქაურთა ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებათა რეალური სარკეც.

ელზა ფუტკარაძე
ფილოლოგიის დოქტორი,
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

შიფრი: ბსკიფა 20, 195-201.
მთქმელი - ბერიძე ზექერიე სულეიმანის ძე,
80 წლის.
საცხოვრებელი ადგილი - შუახევის რაიონი, სოფ. მოფრინეთი.
ჩაწერის ადგილი - შუახევის რაიონი, სოფ. მოფრინეთი.
ჩამწერი - ნადირაძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

მოხერხებული წყემსი

ერთმა კაცმა ასწავლა ბოვშსა, ასწავლა, ასწავლა სკოლაში და ამ ბოვშმა ვერაფერი, ვერაფერი ვერ დეისწავლა. ამ დროს უთხრა ბოვშს მამამ, რომ, შვილო, ვერაფერი ვერ დეისწავლეო და მყავს ერთი ღორი და სამი გოჭი, წეიყვანე და აბალახეო. ბოვში დადის და აბალახებს ერთ ღორს და სამ გოჭს. ამ დროს იმ სოფელში ყოფილა ერთი ხემწიფე და მას ყოლია მზისუნახავი გოგო. ამ გოგოს ზრუგში ქონია სამი ბალანი – ნიშანი. ხელმწიფეს ნათქვამი აქ, რომ, ჩემი გოგო გასათხოვარი რომ გახდება, ამ ნიშანს ვინც იტყვის, იმას უნდა მივცეო. ამ დროს გახდა მაგ გოგომ გასათხოვარი და მეიწვია ამ ხელმწიფემ ხალხი, რომ ჩემი გოგო გასათხოვარია, ვინც იტყვის მის ნიშანს, იმას უნდა გავატანოვო. ხალხი მიდის იქა, იყინება. ამ დროში ის ღორების მწყემსი 18 წლისაა და ამ გზისპირას აბალახებს ამ ღორებს. ამ მწყემსმა უნდა გაიგოს, რა ნიშანი აქვს. ამ დროს მივიდა ამ გოგომ და ბიჭს სთხოვა, რომ, მომე ერთი გოჭი, უნდა შევჭამოვო. ბიჭმა უთხრა, რომ,–მე ფულით არ ვყიდი მაგ გოჭსო, შენი მუხლების ქვედე დამანახე და მოგცემ ამ გოჭსო. იფიქრა ამ გოგომ, – არვინ არაა და მოდი დავანახებ ამ მუხლებქვეიდასო. ამ გოგომ ანახა და ბიჭმა მისცა გოჭი. გოგო წევიდა.

ამ დროს ეს ბიჭი ძალიან მოსწონდა და ხელმეორედ კიდევ მოვიდა და მოსთხოვა გოჭი. უთხრა, რომ მე ფულით არ ვყიდი, წელქვეით დამანახე და მოგცემ გოჭსო. გოგომ გეიხედა, ნახა, რომ არავინ არის და დაანახვა წელქვევით. ბიჭმა მისცა გოჭი. გოგო წავიდა. გოგომ შეჭამა იგიც. ბიჭმა მოვიდა სახლში, მამამ უთხრა, რომ სა წეიყვა გოჭებიო. ბიჭმა მოატყუა, რომ გავყიდე და ფულს კვირა დღე ევიღებო. ამ დროს გოგო მოვიდა მესამედ. მოსთხოვა ბიჭსა მესამე გოჭი. ბიჭმა უთხრა, რომ, მე არ ვყიდი, გედეიძრე თლათ ტანზე, დამენახვე და მოგცემ გოჭსო. გოგომ დეგეიძრო და ბიჭმა გოუხედა და ნახა სამი ღერი ბალანი, ერთი სირმა, ერთი ოქრო და ერთი ვერცხლი. უთხრა ბიჭმა,– ჩეიცვი, წეიყვანე გოჭი და წადიო. ამ წყემსმა გოგოს ნიშნები თლათ იცის გარკვეულად, მაგრამ არ ამბობს ჯერ. ამ დროს იყინებიან ხალხი. ხელმწიფემ მოყარა ხალხი, ვინც ნიშანს გამოიცნობს, იმას უნდა მისცეს ქალი. შეხედა ამ წყესმა, რომ ერთი კაი ბიჭი, შემჯდარი კაი ცხენზე, მოაჭენებს და მოდის. შეეკითხა ამ წყესმა, რომ, – სად მიდიხარო? იმ ცხენიან კარქ ბიჭმა უთხრა, რომ ხელმწიფის გოგო გასათხოვარი ყოფილა, ეგებ ნიშანი შევადარო და იქ მივალო. ღორების წყემსმა უთხრა:

– სამას მანეთ ფულს თუ მომცემ, მე გასწავლი ნიშანსო. ამეიღო და მისცა 300 მანეთი ფული ამ მწყემსსა. წყესმა უთხრა, – ერთი ნიშანი სირმა აქ ზურგშიო. მეტი არ უთხრა. ამ

ბიჭმა მიაჭენა ცხენი და მივიდა ამ ხალხში. ამ წყესმა მიიტანა სამასი მანეთი, მისცა მამას – გოჭების ფულიაო.

ამ წყესმა ღორი დააბა სახლში და წავიდა ხელმწიფესთან, სადაც ნიშანს ადარებენ ხალხი. ეს წყემსი ჯერ არაფერს არ ლაპარაკობს, გაჩერებულია და უყურებს. ხალხმა ილაპარაკა აქეთ-იქით და ვერავინ ვერ შაადარა. ამ ცხენიანმა ბიჭმა მივიდა და უთხრა, რომ მე ვიცი, სირმა აქ ზურგშიო. ხელმწიფემ თქვა, რომ ამან უკვე შეადარა ნიშანიო და ყველა ხალხი წავიდ-წამოვიდა სახლებში. მეიტია ეს ცხენიანი ბიჭი, წყემსიც იქ არის. ამ ხელმწიფეს ძალიან უნდა ამ ცხენიან ბიჭზე მიცემა. ამ დროს ამ ღორების წყესმა წამეიძახა, – იმაზე უკეთესი ნიშანი რომ სხვამ იცოდესო?! ხელმწიფემ უთხრა: – ბძანეო. ამ წყემსმა თქვა, რომ ერთი სირმა აქ, ერთი – ვერცხლი, ერთი ბალანი ოქრო აქო. ხელმწიფე მიხვდა, რომ ამ ბიჭმა კანონიერად გამეირკვია ნიშანი, წესით გოგოც მას ეკუთვნის, მაგრამ არ უნდა სიძეთ, არ კადრულობს ღორების წყემსს.

ამ ღორების წყემსს უთხრა ხელმწიფემ, რომე კანონიერად შენი დარჩა ჩემი გოგო, მაგრამ ერთ რამეს თუ შამისრულებ, მაშინ შენი იყოს ჩემი გოგო. მიზეზს ეძებს ახლა, არ უნდა სიძეთ, ის ცხენიანი ბიჭი ყავს ჩამოტეული. ამ დროს უთხრა ხელმწიფემ, რომ 100 კურდღელს მოგცემ, წაიყვანე ტყეში, მოუარე სამ თვეს, მერე ჩამაბარე უკლებლივ და ჩემი გოგო შენი იყოსო.

–კარგი, – უპასუხა ღორების წყესმა.

ეს ღორების წყემსმა კურდღლების ყველაფერი იცის, მაგრამ ჯერ არ ამბობს. ხელმწიფეს გონია, ეს კურდღლები გაექცევა და გოგოსაც არ მივცემო. დუუთვალა 100 კურდღელი და უთხრა, გააღე კარი და უკვე წევიყვანეთ. წყესმა გუუძღვა წინ ამ კურდღლებს, რაღაცა დეელაპარაკა და ყველა გაჰყვა უკან. ხელმწიფეს გოუკვირდა – რაშია საქმე, რომ ასივე კურდღელი უკან მიყვებაო. ეიყვანა თაში და აბალახებს კურდღლებს. ხელმწიფემ იფიქრა რომე, ამას ევალ და ერთ კურდღელს ავართმავ, ტანისამოსს გამევიცვლი და რას მიცნობსო. ეს წყემსი ცნობილობს ამ ხემწიფეს. ევიდა ხემწიფე თაში. უთხრა, რომ ერთი კურდღელი მომყიდეო. უთხრა, რომ მე ფულით არ ვყიდიო. ბიჭმა კითხა – რათ გინდაო? ყურბნადო, – უპასუხა ხემწიფემ.

ამ დროს ბიჭმა უთხრა, რომ ოთხფეხზე დადექ და მოგცემ კურდღელსო. ხელმწიფემ იფიქრა, არავინ არ მიყურებს, ამანაც ვერ მიცნო და რას დავეძებო. ამ ბიჭმა გააპატიმრა და მისცა ერთი კურდღელი.

შუა გზაში მიიყვანა ხემწიფემ კურდღელი, მოჰყავს. ამ წყესმა დოუშტვირა კურდღელს. კურდღელმა გეიგონა ხმა, გაუშპა ხელიდან, ავარდა ზევით და შეერია კურდღლებში. ხემწიფე მოვიდა სახში ცარიელი. მის ცოლმა უთხრა, რომ რა ქენიო. ცოლს კი არ ეტყვის, გამაპატიმრაო, არამედ ვიყიდეო, მაგრამ შუა გზაში რაღაც ხმა გეიგონა და გამექცაო. ამ დროს ცოლმა უთხრა, რომ მე ავალ და ერთ კურდღელს მე ავაკლებო. ევიდა ცოლმა თაში და მოსთხოვა კურდღელი. უთხრა,–რათ გინდაო? ყურბნათო, – იმანაც ისე უპასუხა. წყემსი ყველას ცნობილობს, იმათ გონიათ ვერ გვცნობილობსო. წყესმა უთხრა, რომ – მე ფულათ არ ვყიდიო, ერთი დემეყაირათეო (უნდა გააპატიმროს ამ ბიჭმა). ქალმა იფიქრა, არავინ

არააო და გაახმარია თავი ამ ბიჭს. ბიჭმა მისცა კურდღელი და წამევდა ქალი. მეიყვანა სოფლისპირას კურდღელი. ამ ბიჭმა დოუშტვინა და კურდღელი გაექცა ხელიდან და მივიდა ისევ იმ თაზე. მეიარა, მევიდა ცოლმა სახლში. ცოლი არ ამბობს, – გამაპატიმრაო, არც ქმარი ამბობს. ამბობენ მარტო, რომ გაგვექცა კურდღელიო. ამ დროს ნიშნიანმა გოგომ თქვა, რომ ერთ კურდღელს მე მოვაკლებ, მე ევალ თაზეო. ევიდა გოგომ და მოსთხოვა, – ერთი კურდღელი მომყიდე, ყურბნათ მინდაო. ამ წყესმა იცის, ვინ არის, მაგრამ არაფერს ამბობს. ბიჭმა უთხრა, რომ მე ფულით არ ვყიდიო. ერთ თამაშით და შენი სიყვარულით გამაძღევი და მოგცემ კურდღელსო. იგიც გააპატიმრა, მისცა კურდღელი და გამოუშვა. მეიყვანა გოგომ სახლში კურდღელი. ხელმწიფეს გუუხარდა, იმხელა დაინტერესებულია, რომ იმ ღორის წყემს არ მისცეს თავისი გოგო, ცხენიანი კაცი ყავს ჩამოტეული. ამ კურდღელს შეუწუხდა სული, ბნედაზე მევიდა, სული ეხუთვის, გააღეს ცოტაზე აკოშკა და დადვეს კურდღელი. კურდღელმა გაახილა თვალი, ნახა აკოშკა ღია; ამ ბიჭმა დოუშტვირა ერთი, კურდღელმა გაიგონა ხმა და გაიქცა.

ეს სამივე უკვე გაფუჭებულებია.

ამ დროს ამ ბიჭმა შაათავა სამით თვე თაში, 100 კურდღელი უკლებლივათ მეიყვანა სახლში.

ახლა რაღა ქნას ხელმწიფემ. უთხრა ამ ორივეს – ცხენიანსა და წყემსს, ამაღამ აქ იყავით ოდაში, დავაქროზ ლამპას და ვისთანაც მივა, ჩემი სიძეც ის იქნებაო. ამ წყესმა მივიდა და კოპერატივიდან ერთი ღუდენი (ტახტი) იყიდა. იმ ცხენიანმაც ლეგენი იყიდა. რასაც წყემსი აკეთებს, ცხენიანიც იმას აკეთებს.

ჩუმათ ამ წყესმა ერთი კილო კამფეტი იყიდა, იმას არ დაანახვა. ღამე არიან ერთად ბნელ ოთახში. ერთი იქით წევს, მეორე – აქეთ. ამ გოგომ იცის, კარგი ბიჭი სად წევს და ფიქრობს, იმას ჩაუწვეს ლოგინში. ამ წყესმა ადგა და ლეგენი მონახა, ვითამ გარეთ უნდა გევიდეს ახლა. იმ ცხენიანმაც მიაჩოჩა ლეგენი ბნელში. ამ წყესმა ვითომ გეიჭირვა და დოუშვა კამფეტები ლეგენზე, ცხენიანმაც ისე გეიქცა. იმან ნამდვილათ გააკეთა. მერე ამ წყესმა დაიწყო ამ კამფეტების ხიკვა და ჭამა. ამ კაი ბიჭმა იფიქრა, რაც გააკეთა, იმას ჭამსო და თავისი გაკეთებული შეჭამა. ამ დროს გოგო შემოვიდა ბნელში. წამოვიდა იმ კაი ბიჭისკენ და უნდა ჩოუწვეს, გახედა, რომე ცუდი სუნი დგას, წავიდა ამ წყემსისაკენ და ნახა, რომ კამფეტის სუნია და ჩაუწვა იმას ლოგინში.

გათენდა, შემოვიდა ხელმწიფე, იმას გონია, რომ მისი გოგო კაი ბიჭთანაა ჩაწოლილი. შეხედა ამ ხელმწიფემ, რომე ეს კარგი ბიჭი გაქაფულია... ეს რა გიქნია; შე ბინძუროვო. შეხედა გოგოს და წევს იმ წყემსთან კამფეტებში. ხელმწიფემ შემოკრა ამ კაი ბიჭს ჯოხი და გააგდო, – მე შენ კაცი მეგონე და შენ რა ყოფილხარო.

ამ ღორების წყესმა ხელმწიფეც გააპატიმრა, მისი ცოლიც და ბოლოს გოგოც მას დარჩა.

სამი ბიჭის ამბავი

ქართ სოფელში სამი ბიჭი არიან. ამ სამ ბიჭმა მეზობლის ქალზე თვალი დეიკავეს. ამ ქალის ქმარი სამსახურში დადის და სამ თვეში ერთხელ დადის სახლში. ეს ქალი პატიოსანია და არ ასვენებენ ეს სამი ბიჭი.

ასე ყოველ დღე გოდოუდგებიან გზაში. გევიდა რამოდენიმე ხანი და მოვიდა მისი ქმარი. მის ქმარს უთხრა, რომე მდგომარეობა ასეთია: – ეს სამი ბიჭი არ მასვენებს. თუ ქმარი ხარ, მიაქციე ყურადღება. თუ არა და, მე ჩემ სინდისს არ გევიცვლიო. ქმარმა უთხრა, რომ, ნამდვილია! მე ვითომ წევალ სამსახურზე, ის ბიჭები დამინახავენ, მე რომ წავალ სამსახურზე, ის ბიჭები გადაგიდგებიან გზაზე, დაპატიჯე და მეიყვანე სახლში. მე ღამე მოვალ და ვიყურები გარედან, ჭვიტინადან. შენ გქონდეს ხუთოყიანი ქვაბით წყალი შეკიდული ცეხლზე. აჭამე ვახშამი მაგ ბიჭებს ლამაზათ, ბიჭები რომ გეტყვიან, ოჩერედობით ვიქეიფოთო, შენ უთხარი, რომ მე ჩემს ქმარს ტანდაუბანელი არ ვაწვენ და თქვენც დეიბანეთ, წყალი შეკიდული მაქ. ამ დროს დეიჯერეს ამ ბიჭებმა და დეიძრეს ტანზე. არიან თლათ ტიტველი. ამ დროს მოსწია ქმარმა კარი. ვითომ ქალმა შეიშალა, არიქა, ვინ არის ნეტაო. ამ ბიჭებმა დეიძახეს, – რა ვქნათ ტიტვლებმა, დაგვმალე სადმეო. ააღო კიდობანი, დიდი საფქვილე კიდობანი და ვითომ იმაში დამალა იგინი. ქმარმა შემოვიდა სახლში და ქალმა უთხრა ქმარს, – რატომ დაბრუნდიო, ვითომ არ იცოდა. რაღაცა დოკუმენტები დამრჩა და იმიტომ დავბრუნდიო. ამ დროს მისცა ცეცხლს პარა, აადუღა წყალი და უთხრა ჩუმათ, მომეხმარეო. მიიტანეს ეს წყალი, ახადეს კიდობანი და ეს სამივე ძმები დახარშეს.

ახლა დილას გათენდა და ფიქრობს ეს კაცი, სამი კაცი მოვკალი და სად წევიყვანო ახლა ეგენიო. დაღამდა, შეხედა, ერთი ქურთი მიდის საცხა. დუუძახა ამ კაცმა, – სად მიდიხარო? იმან უთხრა, რომ, – სიმიდზეო. ამ კაცმა უთხრა, – წუხელის ერთი კაცი შემომაკვდა და თუ იმას გააქარვებ, სიმიდს მე მოგცემო. იგიც დაეთანხმა.

დააყენა ეს ქურთი, აჭამა ვახშამი და ღამე უკვე მოკიდა ერთი კდარი კაცი ზრუგში და წეიყვანა ამ ქურთმა. უთხრა ამ ხაზაინს, რომ წევიყვანე და გადავაგდევო.

ხაზეინმა უთხრა: – შენი წაყვანილი კაცი კიდევ მოვიდა სახლშიო.

– როგორ მოვიდა ჩემზე წინ სახლშივო.

მოკიდა ამ კაცმა მეორე კაცი. ქურთმა დეიჯერა, მოსულა სახლშიო. მიყავს ეს კაცი და გზა-გზა ბურდღუნებს, აგინებს ამ კაცს, –რაზე მოხველ სახლში ჩემზე წინო. წეიღო და ქვებში ჩააგდო და ქვები დააყარა ზეიდამ. მეიარა, მოიდა ქურთმა და უთხრა ხაზეინს, რომ იმფრად გავაქარვე, რომო მისდღემჩი ვეღარ მოვაო.

ხაზაინმა უთხრა: – ვის ატყუებ შენ, შენზე წინ კაცი მოდის სახლშიო. ამ ქურთს მოკიდა მესამე კაცი და მიარბენიებს. ჰამან გოუთენდა ქურთსა. ამ კაცსაც აგინებს ზრუგში, – რატომ მორბის სახლშიო. გაწია ხიდზე. დილას ჩასულა ვინცხა სხვა კაცი და იმ წყლიპირში ტანს იბანს. ამ ქურთმა, – გიმითენდაო, – და ეს კდარი გოუშვა წყალში. ამ კაცმა, ვინც ტანს იბანს, დეინახა, რომ ჩამოვარდა ტიტველი კაცი წყალში. გეიქცა. გახედა ქურთმა, რომე გარბის ტიტველი კაცი. ამან იფიქრა, კდარი გარბის ისევ სახლშიო. გამეეკიდა მაგ

კაცსა, მისდია, მისდია, დეეწია და რეხვა კომბალაი ჯოხი და ესეც მოკლა. მოიარა, მოვიდა სახლში. ხაზეინს უთხრა, რომ შენი ნათქვამი, ხაზეინ, თლათ მართალი ყოფილაო. წევიღე ტყეში, მოვიდა სახლში. მეორედ წევიღე, ქვებში ჩავაგდე, ისევ მევიდა. მესამე წყალში ჩავაგდე, გავხედე კიდევ გარბის. გამევეკიდე ამასაც. ქურთი ამბობს, –ვრეხვე კომბალაი ჯოხი და დავარტყი თავში. შენი ნათქვამი თლათ მართალი ყოფილაო. მოკიდა ხაზაინმა სიმინდი და ამ ქურთს გაატანა.

შიფრი: ბსკიფა 21, 1.
მთქმელი: ბერიძე სელიმ ინუსის ძე.
ასაკი: 40 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭალა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭალა.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

შუახევის რაიონი, ჭვანის ს/საბჭო. ჩამწერი ს. ბერიძე; ბერიძე სელიმ ინუსის ძე, 40 წლის, ცხოვრობს ჭვანის სას/საბჭოს სოფ. ჭალაში, განათლება – ოთხი კლასი, პარტიის წევრი. ნამყოფია საქ.სსრ თითქმის ყველგან. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისთვის. იცის: ზღაპრები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები.

ტყუილის თქმა

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხელმწიფე. მას ყავდა ერთი გოგო და გამოაცხადა მან, რომ ვინც ტყვილს მელაპარაკება, ჩემ გოგოს მივცემო; ვინც ვერ მელაპარაკება, თავს მოვკვეთავო. მოკვეთილ თავებით სახლს აშენებდა. სახლის გაკეთებას ერთი თავი ეკლო და ვერვინ ვეღარ ბედავდა ტყვილის ლაპარაკს. ამ დროს ერთმა ახალგაზრდამ, ქელოღლანმა თქვა, რომ,– მე ველაპარაკები ტყვილსო. მართლაც მივიდა და დაიწყო ლაპარაკი:

– მამაჩემი ხოჩიჩში იყო და დედაჩემიც ხოჩიჩში იყოვო. გაიზარდენ ესენი, დავაქორწილე მამაჩემი. დიდი ქორწილი იყო, დედაჩემი რომ სახლში მევიყვაით. მარილი შემოლეოდენ პოვრებს. მამალს ორმოცი გოდორი მოვკიდე და ტახსევანს წევედი მარილზე. ვიყიდე 40 ბათმანი მარილი, მოვკიდე მამალს და მეც ჩავჯექი კეხში. სახლში რომ მოვედი, კორკოტზე სირა მისული არ იყო. მამალს კეხი მოვხადე და ახორში დავაბი. ვნახე, რომ ზურგზე დაშავებია. დავნაყე კაკლის წეფრი და წუსვი. დილას ვნახე, რომ ნიგოზი ამოსულიყო ზედ, სახლი უუნგრევია და ვებერთელა ნიგოზი გაზრდილიყო. იმ ნიგოზ მიესხა. დედაჩემს უთხარი, – მე კაკალი უნდა დავკრეფო და შენ მოკრიფეო. ევედი ნიგოზზე. იმ ნიგოზზე დიდი, ვებერთელა ქალაქი იყო. ამ ქალაქში ერთი კაცი ყარფუზ ყიდდა. ეს ყარფუზი ვიყიდე, დანით დაჭრა რომ დევწყევი, დანა შით ჩამივარდა, ჩევხედე შით, რომ შით კაცი იყო. ვუთხარი,– რას შობი მან მეთქი? – ფულის წონაზე თელ ვყიდიო, – მითხრა.

დაასრულა ტყვილი ქელოღლანმა. ხემწიფემ უთხრა, – მართალი იქნებოდაო. მაშინ ახალგაზდამ უთხრა, – რომ ხვალ გელაპარაკებიო. სულ სამი ტყვილი უნდა აეთავებია. მეორე დღეს რომ მივიდა, ახალგაზრდამ მოუყვა:

– ერთი ძროხა მყავდა. დედაჩემი მემთევრად გავაგზავნე თაში. ერთი ძროხიდან 40 ფუთი ქარაქი გიმიკეთა, 80 ფუთი ყველი. მაშინ გადავწყვიტე, დედამ რომ ამდენი პროდუქტი გამიმზადა, ერთი წყვილ წუღას ვუყიდი-მეთქი. წყვილი წუღა ვუყიდე და 3 ცხენი წევყვანე გადმოსაბარგავად. წუღა რომ მიუტაი, დედას უთხარი, ქარაქი წუუსვი წუღაზე. ქარაქი მუტანე და 40 ფუთი კარაქი ცალ წუღას წუუსვა, მეორე კი დარჩა. ვუთხარ, რომ გაისათ რომ გააუკეთებ, ის წუუსვი ცალზე. ამ დროს ცალმა წუღამ გამიჯავრდა, წამოხტა თაროდან და გაიქცა. გამოვეკიდე წუღას.

– წუღავ, მოიცა! – ბევრი ვეხვეწე, მივდიე ბევრი, მაგრამ არ დაბრუნდა. ბოლოს ერთ სოფელში ჩავიდა. ერთი კაცი ცალი ხარით ყანას ხნევდა. მივიდა და ხარს მუცალა. დეიწყო ყანის ხნა. მივედი, კაც ვუთხარი, – წუღა ჩემია და მომეცი-მეთქი. კაცმა უარი მითხრა. მეორე ტყვილიც ეს იყო. ხელმწიფემ უთხრა, მართალი იქნებოდაო.

ეს ბიჭი გაიქცა. ეზოში დიდი ჭური ქონდა და იქ შეძრა. დედას დუუბარა, რომ მოიკითხონ, ასე უთხარი, მუცელი ატკივდა და ჭურში შეძრა თქვა.

მეორე დღეს უცადა ხელმწიფემ. ეს ბიჭი აღარ მივიდა. გაუგზავნა კარისკაცები, რომ მოვდესო. როცა კარისკაცებმა მიაკითხეს, დედამ უთხრა, მუცელი ატკივდა და ჭურშია შემძრალიო.

ხელმწიფის კარისკაცებმა ამ ბიჭს დაუძახეს, – გამოდი, ხელმწიფე გიბარებსო. ბიჭმა ასეთი პასუხი გასცა, – ძალზე მუცელი მტკივა, ვერ გამუალ და ჭურით თუ მიმიყვანთ, შეიძლებაო. ჭური იმხელა იყო, რომ 40 უღელი ხარი ჭირდებოდა მიტანას. ხელმწიფის კარისკაცებმა ხელმწიფეს მოახსენეს. ხელმწიფემ გასცა ბძანება, ხარები წაიყვაით და ჭურით მოიყვაითო.

როცა ჭურით მიიყვანეს ხელმწიფესთან ეს ბიჭი, ხემწიფემ დაუძახა: – ჰე, ახალგაზდა, გამოდი, ტყვილი მელაპარაკე. ახალგაზდა გარეთ გამოვიდა და უთხრა, მამაშენი ღარიბი იყო, მამაჩემი მდიდარი. ხუთი ამ ჭურით სავსე ოქრო ასესხა მამაშენს მამაჩემმა, ის ოქრო მინდაო. ხემწიფემ უთხრა, – ტყვილი იქნებაო. მაშვინ ბიჭმა უთხრა, გოგო მომეციო. ხემწიფემ უთხრა, – მართალი იქნებოდაო. ბიჭმა უთხრა:– მაშვინ ოქრო მომეციო. ხემწიფემ ბიჭს გოგო მისცა.

ანდაზები:

1. სხვისი ბაწრით ჭაში არ ჩაისვლება.
2. შეთლით შვილი არ გაკეთდებაო.
3. კაცს ლოთობას შეუქებ, ქონებას დაკარგავს; ჩხუბში წააქეზებ, სიცოცხლეს დაკარგავს.
4. სხვას ორმოს ნუ გუუთხრი, შენ ჩავარდები.
5. სხვისთვის ორი უნდა ინდომო, რომ ღმერთმა შენ ერთი მაინც მოგცესო.

6. ცოლი თუ გინდა, გოგო მოძებნე, მიწა თუ გინდა,– მინდორი.
7. კაცს ჯინსს მოუძებნიან და მატერიას განსო.
8. მელიამ ზღვაში დაშარდა და ჩემი ზიარიც არისო.
9. ახლობელი– კოჭმომწვარი, შორებელი– თლათ დამწვარი

(იტყვიან საცოლის ძებნის პერიოდში)

გამოცანები (მისივე ახსნით)

1. ცა ვდრიკე და მასკლავი ვკრიფე (თხილი).
2. ღელე-ღელე ღურღუმელი, კოჭდაბალი საქონელი (ფუტკარი).
3. ერთი პაწაწა ბეღელი რკინით გასაღებელი (წაბლაი ხაპი).
4. ერთი პატარა ბოსელი ვხვეტე, ვხვეტე, ვერ დავხვეტე (ცხვარი).
5. ახია, მახია, დედამიწა გახია, ვინც ამას ვერ მიხდება, ოროსპი და პრახია (თხუნელა).
6. ასერი სერსა, გეტყვი სახელსა, ვინც ამას ვერ მიხდება, მისი გასრესა (სერი, იგივე გორი).

გაწბილებული ხოჯა

Იყო ერთი ხოჯა და უყვარდა მისი მოწაფის დედა. ქალმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ხოჯამ მოინდომა, მისი მოწაფის საშუალებით აეხსნა სიყვარული ქალისათვის. დააბარა მის მოწაფეს: შენს დედას უთხარი, რომ ხოჯამ, ვიჰიჰიო, ისე დამაბარა. ქალმა ეს მდგომარეობა თავის ქმარს უთხრა. ქმარმა ქალს, ე.ი. ცოლს ასე უთხრა: – ბოუშს დააბარე ხვალისაღამ, – იჰიჰი, – თქვა, მე კი აქ დავიმალები. ქალმაც ასე მოიქცა. ბოუშმა რომ მივიდა ხოჯას ასე უთხრა: – ეფენდი, დედამ დამაბარა, ხვალისაღამ იჰიჰიო. ხოჯას ძალიან გაუხარდა, იმ ღამეს ბოუშები ადრე გაუშვა და საღამოს ქალს ესტუმრა. დაწოლის დრო რომ მოაწია, ქალმა თხოვა, ტანზე თლიანად გაეხადა ხოჯას. როცა ხოჯამ ტანზე გაიხადა, ქალის ქმარმა კარზე დააკაკუნა და დეიძახა,– კარი გამიღეო. ხოჯამ თქვა,– სა წავიდე ახლა მეო. ქალმა უთხრა: ვირის ტყავი მაქ, იმას გადაგაფენ და ახორში დაგაბამო. ვირი კი სახლში არ არისო. ასეც მოიქცა ხოჯა. ქალმა რომ თავის ქმარს კარი გაუღო, ქალმა ქმარს ვითომ აეშალა. წისქვილობა არ არის, რატომ არ აფქვევო. ქმარმა უთხრა, რომ ვირი შავაბათ ხელწისქვილში და დააფქვევსო. გამეიყვანეს „ვირი“ და ხელწისქვილში შააბეს, ვითომც ვირი, სინამდვილეში – ხოჯა. შუაღამე რომ შეიქმნა, ქმარმა თავის ცოლს თხოვნა დაუწყო. ცოლმა უარი განაცხადა. ქმარმა უთხრა, – დამთანხმდი, თორემ ვირთან მივალო. ქალმა მაინც უარი უთხრა, ფეხებათ, თუ მიხვალო. გაჯავრებულმა ქმარმა ხელწისქვილში შებმული ხოჯა გამოჯოქნა. დილას ხოჯას 3 ფუთი სიმინდი დიეფქვია. დილას ქალმა უთხრა ქმარს: ვირი დაიღალა და საბალახოზე გაუშვიო. რავარც ხოჯა გაუშვეს, ხოჯა ჯამეში გაიქცა, ვითომც არაფერი. დედამ შვილს ხელმეორეთ დააბარა, – ხოჯას უთხარ ამეღამ იჰიჰიო. ბაღუმაც ასე მოიქცა. ხოჯას რომ უთხრა, ხოჯამ ასეთი პასუხი გასცა:– ჯერ

ადრეა, წისქვილობა რომ დეგელევიან, მაშინ შამომითვალოსო.

მეორე დღეს ქალის ქმარი ჩევდა იმავე ხოჯასთან და უთხრა, რომ, ხოჯავ, ერთი საქმე დამემართა და ცოდვა ხომ არ იქნებაო. ხოჯა შეეკითხა, – რა საქმე იყოვო. ქალს ვთხოვე და უარი გამიცხადა, გამჯავრებულს ვირი შემომეხარჯა. ხოჯამ დაფიქრდა და უპასუხა: არ არის ცოდვა, მასეთ ვირს მასე ეკუთნებაო.

მამის ანდერძი

ქოხუცებულმა მამამ შვილს უანდერძა: მე რომ მოვკვდები, შენ მუდამ ცხიმიანი საჭმელი უნდა სჭამო; როცა ცხენზე შეჯდები, ყოველთვის მოსიარულე ცხენზე შეჯექი. შვილმა უპასუხა: – შენ სიცოცხლეში ესენი ვერც ერთი ვერ გავაკეთე და როცა შენ მოკდები, როგორ გავაკეთებო. მაშვინ მამამ ასე უპასუხა: – მოშივებამდე საჭმელს ნუ ჭამ, ხოლო, როცა მოგშივდება და საჭმელს ჭამ, ყოველთვის ცხიმიანია. თუ არ დაიღლები, ცხენზე ნუ შეჯდები. დაღალვის დროზე რომ შეჯდები, რაც არ უნდა ცხენზე შეჯდე, ყველა ცხენი მოსიარულეა.

გამოცანა

ორ ქალს ორი კაცი ხვდება წინ. ქალები ამბობენ:

–ეიგერ მოდიან ჩვენი ქმრები, ჩვენი ქმრების მამები, ჩვენი შვილების მამები, ჩვენი შვილების ბაბუები.

ახსნა: ომიანობის დროს ერთი სოფლიდან ჯარში წეიყვანეს ორი ახალგაზრდა, ახლად დაქორწინებულები. ორივეს ცოლები ორსულად დარჩენილან. გავიდა 2 წელი. ჯარში წასულები აღარსად ჩანდენ. სოფელში კაცები ძალიან ნაკლები იყო. ჯარში წასულების ცოლებმა გაზარდეს შვილები, ორივემ – ვაჟი. პირველის დედა ცოლად გაყვა მეორის შვილს. მეორის დედა – პირველის შვილს. ისინი ერთმანეთის ნათესავები არ იყვენ. თავის მხრივ მათაც ეყოლათ შვილები. კიდევ გავიდა დრო და მათი პირველი ქმრები დაბრუნდენ. თურმე ომის დროს მომხდარან პლენში. ეხლა როცა ეს ორი ქალი ხედავენ მათ წინა ქმრებს, ამბობენ, რომ ესენი პირველი ქმრები არიან, ეხლანდელი ქმრების მამები და ჩვენი ეხლანდელი პატარა შვილების ბაბუები.

საკრფიალო ლექსი

ჩათას ცხრაასოცი წელი,
ჩემი დაბადების დღეი.
რაც ვიცოცხლე, იმის შემდეგ
სიყვარული დარჩა ძნელი.

ოცდაერთი წლის შავიქენ
ახალგაზდა, ვით გელივით,
2 წლისას სიყვარული
გულში მიბრუნავს გველივით.

სიყვარულმა გული დამწვა,
ანთება გამიჩნდა ტანში,
ახალგაზდა ყმაწვილებო,
არ დამძრახოთ ამ სიტყვაში.
ეს ქვეყანა მე რათ მინდა,
ჩემთვის დაბნელებული.
ყველგან სიყვარული არის
ჩემთვის გაძნელებული.
ერთ დროს ერთმა ქალმა თავი
ძალიანი შემაყვარა,
მისი ჟუჟუნა თვალებით
სიყვარული გამიცხადა.
გულში სევდა ჩამივარდა,
უნდა გადვიქცე გიჟადა.
საყვარელო, ჩამეკონე,
უნდა გაკოცო ჯგირათა.
შენი სირმასავით თმაი
უნდა დავიგო მინდრათა.
ქალი: სიტყვას გეტყვი შესაფერსა,
ტყვილიც რომ არ დარჩეს ესა,
ამ ორ დღეში, გენაცვალე,
სხვაგან ვარ მივლინებული
და მაშვინა გზაზე დამხვდი,
ვკოცნოთ შეხმატკბილებული.
იმ ერთ ადგილს შეიყარენ
ორივე შეყვარებული,
ერთმანეთსა ჭირსა ჭამენ,
როგორც მტრედი და ბულბული.

შიფრი: ბსკიფა 21, 8.
მთქმელი: ბერიძე სულიკო სელიმის ასული.
ასაკი: 14 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭალა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭალა.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ბერიძე სულიკო სელიმის ასული, ცხოვრობს ჭვანის ს/ს სოფ. ჭალაში, 14 წლის, მე-9 კლასის მოსწავლე, იცის მხოლოდ ქართული ენა. იცის გამოცანები.

გამოცანები:

1. იარე, გულო; იარე სულო; კამკამები – გაბიანი, შენ ოჯახს რომ ესტუმრები, ფეშინ სული გაქცივაო (თევზი).

2. ერთ სერზე ორი გველი წევს (წარბები).

3. ოთხი უსტა სახლს აკეთებს, ერთი გარგულიშამ უარება (წინდის ქსოვა).

4. ერთ პატარა ოთახში გლოვის ქარი ქრის, შიგ ბრძოლის ხმა ისმის, სისხლი არა ღვრის (საათი).

5. მიწას ვთხრი და ოქრო ცვივა (კარტოფილი).

6. აფირფიტებული ფირფიტა აბანოს ებნება, მისი ხელ-პირის ნაბანი ხელმწიფეს ეკადრება (თაფლი).

7. ერთი სტუმარი მესტუმრა ებედი უსტუმრებელი. ისეთი საჭმელი მივართვი, სუფრაზე დაუდებელი (ჩვილი ბავშვი).

8. ქვეყანას გადაცდება, ჭურის თავს არა (ფული).

9. დიდი ვარ და დიდებული, დიდკაცისა მიღებული, ხან ზევით ვარ; ხან ქვევით ვარ, კუჩხეში ვარ მიგდებული (ცხენის უნაგირი).

10. ერთი რამე ვნახე, ეშმაკის სახე, ქვეყანა შემოვიარე, კვალი ვერსად ვნახე (სარკე).

შიფრი: ბსკიფა 21, 9.
მთქმელი: ბერიძე ფატყუმ მემედალის ასული.
ასაკი: 70 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭალა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭალა
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ბერიძე ფატყუმ მემედალის ასული, 70 წლის უპარტიო, წერა-კითხვის სრული უცოდინარი, ცხოვრობს ჭვანის ს/ს სოფ. ჭალაში, რაიონის გარეთ არ ყოფილა. იცის შელოცვები.

შელოცვები

თვალნაკეთის შელოცვა

ქაპავრი მაქ პანტისა,
გასკდა ავი თვალისა,
ფუფუ ბაშისა,
გასკდა ტაშისა,
ათასფერი კაცისა,
ათასფერი ქალისა,
ათასფერი ბაღვისა,
თვალშავისა,
თვალჭრელისა,
ჟუჟუნა თვალისა,
ვინცხასი თვალი შენ გეცა,
ღემას ემას მახათი თვალებში ერჭოს,
ფეხისგულებში ერჭოს,
ნამსხვანებში ერჭოს და შენ რაათი.

ლამაკაცნილის შელოცვა

ქადამ დეიბადა, სამი დეიძახა,
ცხრა წყარო თვალი ერთად შეიყარა,
ჯორჯმა ძაღლმა მიკბინა,
შავმა ვერძმა მირქინა,
ევედი მაღლა მთასა,
გედევხედე ჯოჯოხეთსა,
მაწრიპალი საჭმელს ჭამდა,
დედა სკნიდა, შვილი ხსნიდა,
დამტკეცილო, გუუშვი.

სირსვილის შელოცვა

ქლავერდისა ჭალასა
სირსვილი ხნევდა ყანასა,
მიაპობდა ქვიშნარსა,
მიაყრიდა ლილასა,
ხარს ტაპიკი გაწყვეტოდა,
სირსვალს ბოლო მოწყვეტოდა.

კუს შელოცვა

ჭუკუ, კუკუ, კურკუმელი,
კბილაღმართი, თბილჩაღმართი,
ცხენის ფეხო, ჩონჩორიკაო,
რას წამომჯდარხარ შავ მაჯარას,
რას წამოგისხამს შავი მუზარადი.
ანაითა, მანაითა,
ჩემ შავტარიან დანაითა
აქჭრი, ჩაგჭრი,
ჩაგყრი უბრალო ქოთანში,
გადუღებ და გაქაფქაფებ,
იგიყვან მაღლა მთა-სერსა,
გიბერავ სულსა, გაგაქრობ წამსა.

შიფრი: გსკიფა 21, 13.
მთქმელი: ხალვაში სულეიმან.
ასაკი: 63 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. გომარდული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. გომარდული.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ბარათაულის ს/საბჭო. ხალვაში სულეიმან, 63 წლის, ცხოვრობს ბარათაულის სას/ს. სოფ. გომარდულში. წერა-კითხვის უცოდინარი, ნამყოფია ბათუმსა და მახარაძეში. იცის ქართული ენა. ლაპარაკობს თურქულადაც, იცის ლექსები.

ლექსი ფირალზე

ვიდმეტი წლის შავიქენი,
იარაღი შავიყვარე,
მავიზორი და ლაგანა
ჯიფეში ამოვიფარე.
სალდათობა მომიწია,
პოლიციას დავემალე,
დედ-მამას დევემშვიდობე,
რუსეთისკენ გავემგზავრე.
სახარჯო შემომელია,
უფულობა არ ვიკადრე,
აზუღის ბანგი გავსტეხე,
ბლომად ფული გავიტანე.
ერთი ზევით შავიხედე,
ფაითონის ხმაი ჩანა,
რაც ოზრუქეთ ვაჭრენებია,
ყველა კაჲ შიან ჩამჯდარა.
ევიწიე, რომ ჩავჯექი,
წეველით იმ რუსეთშია.
ორი წელი იქ ვიცხოვრე,
მერე დავბრუნდი სახლშია.
ოცდახუთ მარიობის თვეს
სტრაჯნიკებმა დამედევნენ,

ადექ, ბიჭო, კარი გაღე,
მაგდენეთი ძილი კმარა.
ევიწიე, კარ გავაღე,
სტრაჯნიკები ხართ თუ არა.
ჩვენ გახლავართ სტრაჯნიკები,
კედიამ გამოგვაგზავნა.
წაღმა-უკუღმა ვესროლე,
ზაფთიები ჩუუფანტე,
იქიდანაც გავიქეცი,
წეველი გურიისკენა.
ფეხმაჩესტეს ვაწმენდიებდი,
ორადნიკმა მომეპარა,
ჩემსა სათქმელ მე კი ვიტყვი,
გინდა ქენ და გინდა არა.
ამოვიღე ასიანი,
ხელიც აღარ წააკარა.
მაგითანაი ასიანი
ორი-სამიც აღარ კმარა.
ამოვიღე და ლაგანა,
შაუსკდა სისხლის კამარა.
პალიტო გვერდზე ვიქციე,
ვირბინე ბლუზის ამარა.
სტრაჯნიკებმა დამედევნენ,
მუხლებში ქონდენ კანკალა.
კედიაძე იძახოდა,–დაბრუნდით
ყველა უკანა!
თქვენ თუ რამე და შეგეძლოთ,
ფირალი გყავდენ აქანა.
კედიაძე იძახოდა,
გაგწყვიტე დიდი-პატარა.
ლომინაძე, თუარ გვითხარი,
მე, ბატონო, მართალ გეტყვი,
თუ არსა იტყვი სხვასთანა.
ამ მინუტში ლომინაძემ
ჩემ ეზოს წინ გაიარა.
იმასაც ვერ დეიჭირავთ,
ძალვანაც თუ არ დეიღალა.
ორივე ხელში ეჭირა
მავიზორი და ლაგანა.
უჩხუბიდან გავიქეცი,
ხიდისთავში ლექსი ვწერე,
ბარიშნებო, დაგიმოწმებ,
თუ არ დავრჩე ქვეყანაზე,
ამითი გამიხსენიეთ,
დაამღერეთ გიტარაზე.

სიყვარულო

Ი ენაცვალე, საყვარელო,
ლამაზი ხარ დიდებული,
აჲ დესტანი გიახლება
ახალგამოჩინებული.
გენაცვალე, საყვარელო,
ეს დესტანი გიახლება
სისხლის ცრემლით გამოთქმული.
ახლა ზაფხული გევიდა,
სერებზე რომ გათოვდა,
შენი სიყვარულით ვკვდები,
ჩემი სიცოცხლე გათავდა.
ყოლისფერი შენ გიხდება,
ლამაზი ხელის თითები,
ცრემლიც რომე დავაქციო,
აღარ დარჩება ხიდები.
სიყვარულმა სიცხე მომცა,
ჩეველი, წყალში ვიცურე,
ჩემი ცოდვა შენ რათ გინდა,
ქალ-ბაღანა შემაძულვე.
ხიდი არ მაქ, სა გევჲარო,
წყალში ჩევდე, დავსველდები,
დღე და ღამე ძილი არ მაქ,
როდესაც გამახსენდები.
ერთი ხორუმი ვისამე

გარგულიშან დორდიანი,
აჲ ლექსი მიზა გამოვთქვი,
გულიც რომ მაქ დერდიანი.
სეირში წასლა გიხაროდა,
ტანზე გაცვია და ხასი,
გენაცვალე, საყვარელო,
რაიზა ხარ მაგრე ნახსი.
ჭკუაზე შექანებული ვარ,
ამ საქმეშინა გევხიდო,
შუაზე სერი მეფარება,
თხულვენივითნა გავხრიტო.
ფრთა ხომ არ მაქ, გენაცვალე,
ჩიტი ხომ არ ვარ ფრინველი,
შენმა სევდამ გამათავა,
რაიზა ხარ მაგზე ჯილველი.
ტყვილ დუნიაზე რომ მობძანდი,
ზესავით რომ გიენაზე,
ნეტა, არ გავჩენილიყავ,
ჩემ თვალებს არ დიენახე.
გამოსული რომ გამოვდა,
გარში გევიდა ფუტკარი,
მაგრე ვარი რომ მითხარი,
იმიზდა მაქ გული კდარი.
ქალი: არ მომშორდი, მე რა გიყო,
მე შენ გამიტეხე თვალი,
ყოლისფერი შაგისრულო,
თუ ვყოფილვარ მე ვაჟქალი.
ვაჟი: ხანდიხან გამომიარე,
როგორც არსიანის ქარი.
გენაცვალე, საყვარელო,
აგიც არი სევდის ბრალი.
ქალი: გამოსული რომ გამოვდა,
ყანაში მოვკრიფე ქვები.
ქვეყანა რომ დააქციო.
მაგ სიტყვაზე ვერ დაგყვები.

შიფრი: ბსკიფა 21, 15.
მთქმელი: დარჩიძე ლევან წურის ძე.
ასაკი: 18 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. გომარდული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. გომარდული.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

დარჩიძე ლევან წურის ძე. ცხოვრობს ბარათაულის ს/ს სოფ. გომარდულში. დაბადებულია 1941 წელს. განათლება 8 კლასი, იცის ქართული ენა, ალკკ წევრია.

სამი ძმა

Aყო ერთი სამი ძმა. მამამ სიკვდილის დროს დაუბარა, რომ, როცა მოვკვდები, სამმა ძმამ თითო ღამე მიყარაულეთ სასაფლაოზეო. ჯერი იყო უფროს ძმაზე. ძმამ იმ ღამეს არ წავიდა და წავიდა სულ უმცროსი ძმა. რომ მივიდა, შუა ღამეს უცბათ დაინახა, რომ თეთრი ცხენი, კარგი შეკაზმულობით, მოვიდა და ნიშნად დაუტოვა მათრახი და თან უთხრა, რომ,- სადაც გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე და მე იქ გავჩნდებიო. ძმა დაბრუნდა სახლში. ძმებმა უთხრეს, რომ, რა დაინახეო? ამან უთხრა, რომ, - არაფერიო.

მოვიდა მეორე ღამე. ჯერი მოუწია შუათანა ძმას. იმ ღამეს არც იგი წავიდა. კიდევ უმცროსმა ძმამ წავიდა. ამ ღამეს დაინახა ტორათი (წითელი ფერის) ცხენი. ამანაც ნიშნად

მათრახი დაუტოვა და დაუბარა, –სადაც გაგიჭირდეს, მე იქ გავჩნდებიო.

მესამე ღამეს ჯერი მიდგა თვით პატარა ძმაზე. წავიდა იმ ღამესაც. ამ ღამეს ნახა განმეორებით ცხენი, შავი. ამანაც ასე დაუბარა, როგორც სხვებმა.

იმ დროს, როცა მამა მოკვდა, ეს პატარა ძმა მექათმედ მუშაობდა. ძალზე გაჭირვებული იყო. ხელმწიფემ ბრძანება გაუშვა, რომ, ვინც ჩემ გოგოს ბეჭედს წაართმევს, გოგოს მას მივცემო. ამ უფროს ძმებს ყავდენ ძალიან კარგი ცხენები. წავიდნენ ძმები. ამ პატარა ძმამ წასლის დროს უთხრა, რომ მეც წამიყვანეთო. ძმებმა დაუშალეს, გალახეს და მიაგდეს. წავიდენ უფროსი ძმები. ამ პატარა ძმამ ახსენა პირველი ცხენი. ცხენი მაშინვე იქ გაჩნდა თავისი მოწყობილობით. პატარა ძმამ მოკაზმა ცხენი, კარგი ტანისამოსი ჩაიცვა, შეჯდა ცხენზე და წავიდა ხელმწიფის გოგოსთან. ძმებს გზაზე დაეწია. ძმებმა ვერც კი იცნეს, ისე ძალიან მოკაზმული და მოწყობილი იყო. ძმები მაგრად გალახა და უთხრა, რომ ტყვილად მიდიხართ, ის გოგო საბოლოოდ ჩემიაო.

ჩავიდენ ძმები ხელმწიფის სასახლესთან. ამ ბიჭმა ცხენი ისე მაგრად შეათამაშა, რომ მთელ ხელმწიფის სასახლესთან შეგროვილ ხალხს ძალზე თავი მოაწონა. ხელმწიფის გოგო მესამე სართულში იჯდა. ვინც იქ ცხენს შეაფრენდა და ბეჭედს წაართმევდა, გოგოც მისი იქნებოდა. ამ პატარა ძმამ ცხენი მეორე სართულში ააფრინა და დაბრუნდა სახლში. ძმებს სახლში მოასწრო. როცა ძმები სახლში დაბრუნდენ, ამ პატარა ძმამ შეეკითხა, რომ, – რა დაინახეთო, ვინ შეაფრინა ცხენი ყველაზე მაღლათო. ძმებმა უთხრეს, რომ, – ერთი ბიჭი იყო და ცხენი მეორე სართულში შეაფრინაო. წავიდნენ მეორე დღეს ძმები. ამ პატარა ძმამ კიდევ სთხოვა წაყვანა, მაგრამ არ წაიყვანეს, – შენ ქათმები აძოვე, ერთი ბურდღაც არ მოაკლოვო. წავიდნენ უფროსი ძმები. უმცროსმა ახსენა მეორე ცხენი და გასწია ხელმწიფის გოგოსთან. მივიდა ხელმწიფის სასახლესთან, ცხენი შეაფრინა და სადაც გოგო იჯდა, ნამდვილად იქამდის მიაღწია. დაბრუნდნენ საღამოს ძმები სახლში. პატარა ძმამ განმეორებით შეეკითხა, – რა ქენითო? ძმებმა უთხრეს, რომ ის ბიჭი, გუშინ რომ იყო, დღეს წითელი ცხენი ყავდა, შეაფრინა ცხენი და გოგოსთან მიაღწია, ჩვენი სიარული ტყვილად არის, ჩვენ მაინც მიზანს ვერ მივაღწევთო.

მესამე დღეს კიდევ წავიდნენ ძმები. პატარა ძმამ სთხოვა წაყვანა. ძმებმა განმეორებით გალახეს, არ წაიყვანეს. მოსწია მესამე ცხენი და ამ პატარა ძმამ კარგად ჩაიცვა, ცხენს შეჯდა და ამ დროს ცხენმა უთხრა, რომ, შეფრენის დროს ისეთი მაგარი დამარტყი, რომ მათრახის დანარტყამი სიკვდილამდის მემჩნეოდესო. ასეც მოიქცა. შეაფრინა ცხენი და გოგოს ბეჭედი მოსტაცა. დაბრუნდა სასწრაფოდ სახლში. მივიდენ ძმები სახლში და შეეკითხა ძმებს, რომ რა იქნა, ვინ მოიგოვო? ძმებმა უთხრეს, რომ ის ბიჭი, რომელსაც ორი ცხენი გამოეცვალა და მესამე ყავდა, მოიტაცა ბეჭედი. შემდეგ ამისა, ხელმწიფემ ბრძანება გამოუშვა, რომ ყველა უნდა მისულიყო ამ ხელმწიფესთან. ვისაც ბეჭედი აღმოაჩნდებოდა, გოგო მისი იქნებოდა.

პატარა ძმამ ბეჭედი თითზე წამოიდო და ბინტი დაიხვია ზედ. მივიდნენ ძმები და ბეჭედი აღმოაჩნდა სულ უმცროს ძმას; გოგოც ამ პატარა ძმას დარჩა. ახლა ძალიან დაღონდნენ უფროსი ძმები და ნანობდნენ, რომ მამას არ უყარაულეს და არ სცეს პატივი. ეხლა მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე.

შიფრი: ბსკიფა 21, 16.
მთქმელი: ტარიელაძე ახმედ თეარისძე.
ასაკი: 39 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. გომარდული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. გომარდული.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ტარიელაძე ახმედ თეარის ძე, ცხოვრობს გარათაულის ს/ს სოფ. გომარდულში.
უპარტიო, 39 წლის, წერა-კითხვის მცოდნე. იცის ზღაპრები.
იცის ქართული ენა, ნაწილობრივ - თურქულიც.

ახლად დაქორწინებული ღარიბი

ყოფილა და რა ყოფილა, ყოფილა ერთი ღარიბი ახალგაზრდა. არაფერი არ გააჩნდა იმას. ისესხა მეზობლიდან ფული, დაქორწინდა, მოიყვანა ცოლი. გევდა სამი დღე. მევალე მეზობლებმა მიაკითხეს ფულზე. რა ქონდა, რადა მიცეს. უთხრეს, რომ, ან ფული მოგვეცი, ან მოყვანილი ქალიო. ახალგაზდამ იფიქრა, რომ ჩემ სიცოცხლეს სიკდილი ჯობიაო. დატოვა ცოლი. წასლის წინ ცოლმა უთხრა, რომ შენ რომ წახვალ, მე დაგავიწყდებიო და გაატანა ბეჭედი.

ღარიბი ახალგაზდა ბატონთან დადგა მოჯამაგირედ. იქ დარჩა 3 წელი. 3 წელი შეთავდა და მერე დახედა ბეჭედზე, გაახსენდა ცოლი. მაშინ ერთი იმხელა ამოიგნეშვა, რომ სტექლოები ჩამოზავდა. დაუძახა ბატონის ცოლმა, რომ – 3 წელიწადია ჩვენთან ხარ, მაგხელა არ ამოგიგნეშვია, რაზე ხარ შეწუხებულიო. – რაზე ვარ და მაგას შენ ნუ მკითხავო. მე ვიყავ ძალზე გაჭირვებული, ვისესხე ფული და მევყვაი ცოლი. გევდა სამი დღე და მომთხოვეს: ჲა ფული, ჲა ცოლი. ამიტომ წამოვედი. ცოლმა მითხრა,- მე დაგავიწყდებიო. გამომატანა ბეჭედი, რომ, არ დაგვიწყდეო. მე მართლა დამავიწყდა. ამეღამ გამახსენდა და ამოვიგნეშვე, 3 დღის ცოლი დავტოვე და 3 წელიწადია აქ ვარ. ქალმა უთხრა, რომ,- შედი და დაწევიო. მოვდა ბატონმა სახლში. ჩვენ 3 წელიწადია დიდი ცოდვა ჩაგვიდენიაო. – უთხრა ცოლმა ბატონს. რაო, – უთხრა ბატონმა. – ჩვენ რომ მოსამსახურე გვყავს, მას სამი დღის ცოლი დაუტევია და ჩვენთან მსახურობსო. ბატონმა უთხრა, რომ გამოუცხე პური და მეშვიდე პურზე მე დამიძახეო.

მეშვიდე პურის გამოცხობაზე ცოლმა გააღვიძა ბატონი. ბატონმა გაშალა ეს პური, ჩადვა შით ოქრო და ისე გამოაცხო. ადგა დილაზე მოსამსახურემ. უთხრა ბატონმა, რომ,- მოდი აქ. შენ სამი წელიწადია ხომ მემსახურები. ვიანგარიშოთ. რამდენი გაქ ასაღებიო. იანგარიშეს და მუუწია სამი ოქრო. ჩუუწყო პური სუნკაში. მეშვიდე პური ქვეშედან მეიყვანა, თან დააფიცა, რომ სახლში მისლამდე არ გახსნა მეშვიდე პურიო.

ცოტა რომ გევდა, ბატონმა დუუძახა, ერთ ოქროს თუ მომცემ, ერთ ჭკუას გასწავლიო. მისცა ერთი ოქრო, – მაინც არ მაქო, იფიქრა. ბატონმა უთხრა: – რაც გზა შენ იცი, იმ გზით წადიო. ნასტავლი გზით არ წახვიდეო. წადი ახლაო. გევდა პაწაზე და მეორედ დუუძახა: – დაბრუნდი უკანო. ერთ ოქროს თუ მომცემ, კიდევ ერთ ჭკუას გასწავლიო. კიდევ მისცა

ბიჭმა. ასწავლა: რასაც შენი თვალით ნახავ, ის დეიჯერე, ნუ შეეკითხები სხვასო. წადი ახლაო. მესამედ დააბრუნა და უთხრა: – მესამე ოქროსაც თუ მომცემ, ერთს კიდევ გასწავლიო. მისცა მესამე ოქროც მოჯამაგირემ. – სხვისი სიტყვით არ გააკეთო, ნურც სხვის საქმეში ჩაერევიო, – დუულოცა გზა და გაგზავნა.

რამდენიმე გზა გეიარა. შეხდა სამი ამხანაგი. მივდენ ორ გზის წვერზე. მისი ნაცოდინარი გზით ამ ამხანაგებმა არ წაყვენ, უთხრეს, რომ ეს ზედაჲ გზა ახლოს არის და აქედან წავიდეთო. წაიყვანეს მის უცოდინარ გზაზე. გაყვა პატარაზე და მუაგონდა ერთი ოქრო. უთხრა ამხანაგებს, რომ თქვენ გაყევით და მე დეგეწევიო. ამან დაბრუნდა და წევდა მის ნაცოდინარ გზით. გევდა ერთ მინდორზე, ეს გზა შეუერთდა ამხანაგების გზას. დაინახა, რომ ამხანაგები საცვლების ამარა იყვნენ. შეეკითხა, რა გჭირთო. უთხრეს რომ, – შეგვხდა მქუცავები და გაგვქუცესო. ბიჭმა უთხრა მათ, რომ წაგყოლოდი, მეც გამქუცავდენო.

ისევ განაგრძო გზა. ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა ერთ ადგილზე. შეხდენ პოლიციელებმა. უთხრეს: –არ შეიძლება გავლა. აქ ჩამობძანდი და მერე წადიო. იქ იყო ერთი ბატონის სახლი, შეიყვანეს იქ, რომ მოყრილი არიან ხალხი ბევრი. ერთი ტიტველი ქალი აკრული ყავან დირეგზე. ეს ხალხი საჭმელს ჭამენ. პატარა კიტმირი ძაღლი ყავან ერთი. აგერ ამასაც აჭმევენ და ძაღლის წანარჩენს ქალს აჭმევენ. დარჩა იმ დღეს იქ. არაფერი არ შეეკითხა ამ ქალის შესახებ. დაღამდა მეორე დღე კიდევ არ შეეკითხა. უნდა კითხვა, მაგრამ აგონდება ის ერთი ოქრო და ის ნათქვამი, – სხვის საქმეში ნუ ჩაერევიო. მოვიდა მესამე დღე, კიდევ არაფერი შეეკითხა. მეოთხე დღეს დილას უთხრა ბატონმა, რომ, – შენ ოთხი ღამეა ჩემთან ხარ და ამ ქალის შესახებ რატომ არაფერი მკითხეო. – რა ჩემი საქმეაო, – უთხრა მოჯამაგირემ, ალბათ დანაშაულია და მიტომ არის ასეო. გაატანა პოლიციას ეს კაცი, – წადი და კაზარმები მოარუნიეო. გააღეს კაზარმის კარები, შეიხედა რომ კაზარმა სავსე იყო კაცის თავებით. მეორე ოთახის კარები გააღეს და სავსე იყო უკანა ლეშით.

მაინც არაფერი შეეკითხა. ისევ შეიყვანა ბატონთან, არაფერს არ ეკითხება. ბატონმა უთხრა, რომ თუ დეინახე იქ რამეო. კი დავინახეო, – უპასუხა მოჯამაგირემ.

– მერე რატომ არაფერს მეკითხები? – უთხრა ბატონმა.

– რა ჩემი საქმეა, – მიუგო მოჯამაგირემ.

– ქვეყანა გამოსტორებულა, – უთხრა ბატონმა, – ახლა მიდი და ახსენი შენი ხელითო.

მოჯამაგირემ გაათავისუფლა ეს ქალი წვალებიდან. მოვიდა და ბატონმა უთხრა ბიჭს, რომ, – შენც რომ შემკითხებოდი მაგის ამბავი, შენც მოგჭრიდი კისერსო. რადგანაც არ მკითხე, ახლა მე უნდა გითხრაო და დაიწყო:

მაგი არის ჩემი ცოლი, ძალზე ერთმანეთი გვიყვარდაო, იყო ბავშზე მოსარჩენელიო და რომ გახდა ბოუშზე ავათო, მითხრა, რომ ამდონი წვალება ჩემიდან არისო. ვიფიქრე, კაცობას დავკარგავ, მეთქი. ეს ქალი არ მოკვდა, მორჩა. გავიდა ორი წელიწადი. მყავდა ერთი არაბი მოსამსახურე. ადგება ღამეში ქალი და გეიპარვის, ეს ერთი ღამე, ორი ღამე და სოინი აღარ იქნა. დავცევი ქალიო. მეგემ შეიყვარა არაბი. ვეღარ მევთმინე, შევარდი ამ არაბთან, დევეტაკე. არაბმა ღონეზე მაჯობა და მომიქცია ქვეშედანო. ქალმა გამეიქცა ყილიჯზე, ჩემი თავი უნდა დიეკლესო. ამ დროს ჩემმა კიტმირმა ძაღლმა შამოვდა, შამეიხედა, რომ მე არაბი მარჩობს. გიექანა და ეტაკა არაბს. როდესაც რომ ემტრია ძაღლი, ამასობაში არაბი

მე მევიქციე ქვეშედანო. ამასობაში ქალმა შამეიტანა ყილიჯი, მას ეგონა არაბი ისევ ზევიდან და ყილიჯი შემთხვევით მომცა ხელში მე. არაბი დავკალი და ოცი წელიწადია, ეს ქალი დირეგზე მყავს აკრული და ვაწვალებო. ვინცხაი მკითხავს, რაზე გყავს დაბმულიო, იმასაც ვკლავო.

მოჯამაგირემ განაგრძო გზა. მივიდა სახლში, შეიხედა, რომ მის ცოლს სამი წლის ბიჭი ეთამაშება, იფიქრა მოვკლავო. ამოუჯდა ფანჯრიდან და აგი ბიჭინა მოკლას. ამ დროს მოაგონდა მესამე ოქრო, – თვალით რასაც ნახავ, ის დეიჯერეო. იფიქრა, დუცდი პატარა ხან და ვნახავ, რას იქმენო. იფიქრა, ისევ მოვკლავო, დუუმიზნა თოფი, მაგრამ ისევ შეაყენა. დუუცადა პატარა ხანს კიდევ, მოვიდა დაწოლის ხანი და აგერ ამ ბიჭმა უთხრა: – დედა ლოგინი დამიგევ, მეძინებაო. კაცს ძალიან გაუხარდა, იფიქრა, – მესამე ოქროც აქ გამომადგაო, შვილს ვკლავდიო.

ბიჭ რომ დიეძინა, მუურაკუნა კაცმა კარზე: გამოცადა ცოლი. ცოლმა დუუძახა, რომ, – მე შენი ნათქვამი არ ვარ, მომშორდი, თუ არა, არ ვიციო. მომშორდი, თუარა შვილს გავაღვიძებო. ახლა დუუძახა, რომ მე ვარ შენი ქმარიო. ქალმა უთხრა, – ჩემი ქმარი სამი წელიწადია დაკარგულია, ცოცხალი არ იქნებაო. მაინც არ უღებს კარს. შენ თუ ნამდვილად ჩემი ქმარი ხარ, ნიშანი მითხარიო. მაშინ კაცმა ბეჭედი აჩვენა. მაშინ ქალი დათანხმდა, გაუღო კარი. გააღვიძა შვილიც. ქალს უთხრა: მშია და საჭმელი მაჭამეთო. არაფერი ქონდენ, ეჭმევიეს, მაშინ მე მაქ პური, ერთი ცალი, და ვჭამოთო. ამეიღეს ეს პური და ჭრიან, და ვერ გაჭრეს. გააძრეს ქერქი და გამოჩეჩდა ოქრო. მაშინ მიხდა, რაშიც იყო საქმე. დუუძახა მეზობლებს, თქვენი ვალი მაქ სამი წელიწადია და მოგცემთო. მაშინ მეზობლებმაც უთხრეს, რომ, შენ რომ მოდი, ვალი ჩვენც გვიჩუქებიაო.

შიფრი: ბსკიფა 21, 17.
მთქმელი: ქათამაძე მუხამედ სულეიმანის ძე.
ასაკი: 43 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ბარათაული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ბარათაული.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ქათამაძე მუხამედ სულეიმანის ძე, 43 წლის, ცხოვრობს სოფ. ბარათაულში, წერა-კითხვის მცოდნე, პარტიის წევრი, იცის ქართული ენა. იცის თქმულებები.

ღმერთის სამი საჩუქარი

ღმერთმა ადემს გუუგზავნა საჩუქარი სამი რამ: პირველი იყო ბედი, მეორე იყო ჭკუა, მესამე იყო ფიქრი.

ამ სამში ერთი ედია იქნება შენი, რომელიც გინდაო, – შამუთვალა ღმერთმა. თავისმა ცოლმა ურჩია ადემს ბედი, რომ ჩვენ დავემყაროთ ბედსო. ქმარმა ადემმა არ დაეთანხმა. მან მისი აზრით ყველას ამჯობინა ჭკუა და ეს საჩუქარი აიღო. ღმერთისაგან გამოგზავ-

ნილი დარჩენილი ორი საჩუქარი უნდა დაბრუნებოდა ღმერთს. ამ ორმა, სადაც ჭკუა მოთავსდა, ბედმა და ფიქრმა, დაბანაკდენ მასთან და უარი განაცხადეს უკან დაბრუნებაზე. სადაც ჭკუა იქნება, ჩვენც იქ უნდა ვიყოთო. ღმერთმაც დართო უფლება, რომ ისინიც ჭკუასთან ერთად ყოფილიყვნენ.

შიფრი: ბსკიფა 21, 18.
მთქმელი: მელიქაძე დურსუნ ესრეთალის ძე.
ასაკი: 40 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჟანივრი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჟანივრი.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

წყლისაყრის სასოფლო საბჭო. მელიქაძე დურსუნ ესრეთალის ძე. ცხოვრობს წყლისაყრის სასოფლო საბჭოს სოფ.ჟანივრში. 40 წლის. იცის ქართული და რუსული ენა. სამამულო ომის მონაწილეა. ნამყოფია უკრაინაში. დას. ბელორუსიაში, ლენინგრადში. იცის ზღაპრები. მოუსმენია გაბუისგან.

ზარმაცი ღარიბი

ყოფილა ერთი ღარიბი კაცი და მუშაობა არ ყვარებია. სხვა ხალხი ყანის თხრას რომ დეიწყებდნენ, იმას მაშინ ძინავდა. სხვისი სიმინდი სათოხნი რომ გახდებოდა, მაგი მერე დეიწყებდა თხრას.

ერთ დღეს, გაზაფხულის პერიოდში ცოლ-ქმარმა მეილაპარიკეს, რომ ერთი ადრე გავკაფოთ ყანა და დავთესოთო. გაკაფა რამოდენიმე ადგილი. ეს ხნის დროს დაავიწყდა. მოაგონეს, რომ ხალხის სიმინდი სათოხნელია და, – შენ რა გჭირს, რატომ არ მოთხარეო. მივიდა მის გაკაფულში. ნახა, რომ ვიღაცას მუუთხრია და სიმინდი პირველი სათოხნელია. დაბრუნდა სახლში, თქვა, რომ, ჩემი ყანა მუუთხრიან და გუუთოხნიან, მაგრამ მე მეორეს გავთოხნი და შევინარჩუნებო.

მოაწია ვითომ მის ჭკუაში მეორე თოხნა. ნახა, რომ ყანა მეორე გუუთოხნიან და სიმინდი ჭყინტლშია. მოიდა სახლში და თქვა, რომ მეორეც გუუთოხნიან, მაგრამ აღებას მაინც მოვასწრებო. სიმინდის აღების დროც მოვიდა მისი აზრით. ნახა, რომ სიმინდი უუღიან და წუუღიან ჩალიანა. ხოლოდ ერთი ტარო სიმინდი დახდა ერთ ჯირეკის ძირში. მოვდა სახლში. კითხეს, რა ქენიო? – რაოდა, სიმინდი წუუღიან და ერთი ტარო დუუტოვიანო.

კაცმა უთხრა ცოლს: – ჩვენ რომ ძროხა გვყავს, ის უნდა გავყიდო და ყილიჯი უნდა ვიყიდო და დავცო ის ტარო, ვინ წაიღებსო. წაიყვანა ეს ძროხა და გაყიდა. იყიდა ყილიჯი, გადაიკიდა და მივიდა სახლში. ცოლ-შვილმა უთხრეს: – რა გვიქენ ეს, რა ვჭამოთ, ყილიჯი ხომ არ გვაჭმევსო. – არაო, ამით მე ყანას ავანაზღაურებო.

მივიდა ყანაში და დაიწყო ერთი ტარო სიმინდის ცვა. ერთ დილას ამ სიმინდთან მოვიდა და დააფრინდა ჩიტი ზედ. იმდენი მოუხერხა ამ ჩიტს, რომ დეიჭირა და უთხრა,

რომ,– ჩემი ყანა შენ წიგიღია თლათო. ახლა კისერი უნდა მოგგლიჯო შენო. ჩიტმა უთხრა, რომ,– ჩვენი წესი ასეა, ჩვენ ნარჩენებს ვჭამთ და მთელის წაღება სად შეგვიძლიაო. ბოლოს ჩიტმა უთხრა, რომ, შენ გიმიშვი, მე ჩიტების ხელმწიფე ვარო.

ჩიტმა ერთ-ერთ მის ტყეში უჩვენა ადგილი, რომ, – თუ გიმიშვებ, სამ რამეში დაგეხმარებიო. დაბრუნდა სახლში. ცოლ-შვილმა უთხრეს, რომ, – რა გვიქენ. ერთი ძროხა გვყავდა და ისიც გაგვიყიდეო. ცოლ-შვილმა წამოაქციეს და ცემეს ეს კაცი, ისე ცემეს, რომ ძლივს ადგა ზეზე და იფიქრა, რომ მართლაც წავალ იმ ტყეში და მეტყვის შეიძლება ჩიტი იმ სამ რამესო.

გაყვა იმ ტყეში. მიდის. გაფრინდება ერთი ჩიტი, შეხედავს, რომ ეს არის თუ არაო. ჩიტი ჩიტ გავს. ბოლოს იარა, იარა ამ ტყეში და მიადგა ერთ სარაიას. შეყვა და შევდა ამ სარაიაში. შევდა, რომ ერთი ლამაზი გოგო ჯდას სტოლზე. ამ გოგომ უთხრა კაცს, რომ– მოდიო, შენ რომ დაგპირდი, მე ის ჩიტი ვარო. დაუძახა ამ გოგომ მის მოსამსახურეებს და უთხრა, რომ ჩვენ რომ სუფრა გვაქ, დაჯდები, რასაც მეითხოვ და ზედ გაჩნდება, ის სუფრა გაატანეთ მასო.

გამეიდვა ფხარზე და წამეიღო სახლში სუფრა. ცოლ-შვილმა უთხრეს, რომ, რა ქენიო. მე ისეთი სუფრა მევტანე, რომ აწე ჩვენს ცხოვრებას რაღა უნდაო. შამუუჯექით ყველამ სუფრასო.

მართლაც, მეითხვა საჭმელები და ზედ გაჩნდა ყველამფერი. ცოლ-შვილი ძალიან კმაყოფილი დარჩენ. ამ კაცმა მეიფიქრა ბოლოს, რომ ამ სუფრას ჩევტან გზაზე და გამლელ-გამომლელსაც ვაჭმევო. რამდენიმე დღეს ასე აჭამა ხალხს, გამლელ-გამომლელს.

რამდენიმე დროს შემდეგ აქ გამოიარა ამ ქვეყნის ფადიშარმა. უთხრა ამ ფადიშარს, რომ – რაც საჭმელი გინდა, მეითხვე ამ სუფრაზეო. მართლაც, მეითხვა საჭმელები. გაჩნდა ყველაფერი ზედ. ფადიშარმა ჭამა. წევდა ფადიშარი. ცოტა გზა რომ გეიარა, ამ კაცმა იფიქრა, რომ, მოდი ამ სუფრას ვაჩუქებ ფადიშარსო. გამოეკიდა გზაში, დიეწია, უთხრა, რომ შენ, რომ ჩემ სუფრაზე ჭამე, მე უნდა გაჩუქო, მაგრამ ღარიბი ვარ და რაცხა დამეხმარე შენცო. ფადიშარმა უთხრა – ოღონ მომეცი ის სუფრა, შენ სარაიას იგიგებ ჩემზე უკეთესო. ეს სუფრა წაიღო ფადიშარმა. სუფრა რომ წაიღო, ვიღას მოაგონდა ეს კაცი, რომელი დახმარება. გევდა ერთი დღე. ცოლ-შვილმა უთხრეს, რომ, რატომ დაკარგე, ჩვენ დევხოცებითო. დეიწყო ცოლ-შვილმა შიმშილით სიკდილი. იმდენი ქნეს, რომ ეს კაცი ცემეს, ეს რა გვიქენიო, ჩვენ მშიერს გვკლავ ახლაო, ფადიშარს სუფრა მიეციო.

ადგა ამ კაცმა და წევდა კიდევ იმ ტყეში, მივდა იმ გოგოსთან და უთხრა, რომ ჩემი მოსაცემელი მომეციო, კიდევ ორი მაქ ასაღებელიო.

დუუძახა მოსამსახურეებს გოგომ და უთხრა, რომ, ჩვენ რომ ჯორი გვყავს, ის ჩააბარეთ მაგასო. მოგვარეს ეს ჯორი ამ კაცს. ამ გოგომ უთხრა ამ კაცს, რომ ამ ჯორს ისეთი თვისება აქვს, რომ რაცხამდენს აჭმევ, იმდენ ოქროს დაყრისო.

შეჯდა ჯორზე და წამოვდა. ჯორი ბალახობს გზადაგზა, ყრის ოქროებს. ბოლოს მეიგონა, რომ ტყვილა ოქრო გზაში არ ვაჩეჩო, ხურჯინს მოვდებ არ ჯორსო. მიდის სახლში. შეხდა ერთი ურია ვაჭარი. ამ ვაჭარმა უთხრა, რომ ჩემ ვაჭრობას ჯობია, მოსამსახურედ

დამიყენო, ეგ ჯორი შენც გეყოფა და მეცო–შამომაჯექიო, – უთხრა ამ კაცმა, – მე გულერთი კაცი ვარო. შემოიჯდუმლა. მოაწიეს ერთ ხრამ ადგილში. ამ ურიამ ეს კაცი ხრამში გეიქნია, მიადვა წრიხლი. ჩავარდა კაცი ერთ ხრამში. რამდენიმე დღეს დარჩა აქ ცოცხალმკვდარი.

დიდი ხნის შემდეგ ეს კაცი მოჯანიანდა, ამოვიდა გზაში, საცხიდან რომ გადაგდეს და თქვა, რომ ჩემი სახლში მისლა მაიც სიკდილია და დავბრუნდები და მესამე ასაღებელსაც ვთხოვო. მივიდა იმ გოგოსთან. გოგომ უთხრა: მოდი? – დაკარგე კიდევ ჩემი მოცემულიო. დუუძახა მოსამსახურეებს გოგომ და უთხრა, რომ ჩვენ რომ ტაკვეცი გვაქვს, ის მომიტანეთო. მისცეს ტაკვეცი ამ გოგოს. ამ ტაკვეცს უბრძანა გოგომ, გიერტყი თავზე მაგასო. ტაკვეცო, სანამ ჭკუაზე არ მუა, უთაქე და უთაქე თავშიო. ეს კაცი რამდენიმეჯერ დეიბნიდა. ბოლოს უთხრა გოგომ, რომ ჭკუაზე ხარ თუ არა მოსულიო. ცოცხალმკვდარმა უთხრა, რომ – მე სრულ ჭკუაზე ვარ, რასაც ვნახავ, არ დავკარგავო. მაშინ წაიღე ეს ტაკვეცი და შენ დაკარგულებს გაშოვიებს ესო.

გამეიდვა ტაკვეცი ფხარზე და წამოვდა. სრულ ჭკუაზეა ახლა მოსული. მოვდა სახლში. ეს ჯორი რომ წაართვა ურიამ, ესეც სახლში მოსულა და ამ კაცის ცოლს ეუბნება, რომ– მე შენ უნდა შეგირთო ცოლათო. შენი ქმარი ხრამში მოკდაო. ურიას ჯორიც იქ ყავს მიყვანილი. დიდი ჩხუბი იყო გაჩენილი. ცოლი არ ნებდებოდა. ამ დროს ამ კაცმა მოუსწრო ტაკვეცით მხარზე. უთხრა, რომ, რა გინდა აქ შენო, რაც მიქენი, ის არ გეყო, ცოლსაც მართმევო? წადი, მომცილდიო. ურიამ უთხრა, რომ ახლა ჯორიც ჩემია და ეს ქალიც, ამ დროს გამჯავრდა ეს კაცი. უბრძანა ტაკვეცს: – რას მიშობა, ტაკვეცო, კაცი, ხედავ?–ეტაკე მაგას ხაპერში! გიექანია ტაკვეცმა და ეტაკა თავში. დეიბნიდება, გეიღვიძებს ეს ურია. ბოლოს უბრძანა ტაკვეცის, დიერტყი წელზე და გადაჭარ შუაზეო. მართლაც, დიერტყა წელზე და გადაჭრა ურია ტაკვეცმა. ეს კაცი სრულ ჭკუაზეა ახლა.

ამ კაცმა დაიწყო ცხოვრება, ეს ჯორი ჩაიგდო ხელში, რამდენიმე ფულს მუუყარა თავი. თქვა, რომ – მე სარაია უნდა გავაკეთოვო, რომელიც ფადიშარზე უკეთესი იყოსო. მართლაც გააკეთა ფადიშარჰის სარაიაზე უკეთესი.

ამ დროს ესტუმრა ამ კაცს იმ ფადიშარის ჯარის უფროსი. იმ ღამეს მოუარა კარგად ამ ჯარის უფროსს. დილას, წასლის დროზე დააბარა: – ფადიშარს უთხარი, ჩემი სუფრა გამომიგზავნოს, თუარა ავაოხრებო. ჯარის უფროსმა გამჯავრდა, მხოლოდ არაფერი უთქვამს და წავიდა. მივიდა და უთხრა ფადიშარს, რომ ერთი ღარიბი კაცი რომ ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაში, იმან დეიბარა, რომ ჩემი სუფრა გამომიგზავნოსო. იმან ჩემი პატივისცემა ვერ დეინახა და ერთი კაპიკიც არ დამეხმარა. ახლა სულსაც დავატევინებო.

ამ დროს მეფემ გასცა განკარგულება მთლიან ჯარს, – წადით და მართლაც მოსპეთ მისი სარაია და მისი ცოლ-შვილიო. თვითონ მომიყვაით აქ და ჩემი ხელით უნდა მოვახრჩოვო.

გაემართა ჯარი ამ კაცის სახლისაკენ. ამ დროს ამ კაცმაც მიხდა, წამოსული იქნებიანო. და თავისი ტაკვეცით წავიდა შესახვედრად. გაიხედა, რომ მიადგა ჯარი იქეთა მხარედან. გადმოიღო ტაკვეცი და უთხრა: –ტაკვეცო, ხედავ, ჩემ ასაოხრებლად მოდიან და ახლა უნ-

და დამეხმაროო. ტაკვეცი გიექანა, გუუსტორდა ამ ჯარს და დეიწყო კაფვა. ამ კაცმა დეიწყო ხელები წელზე და მიდევს უკან. იმდენი ქნა, რომ მიაწია ფადიშარის სარაიასთან და სოინი დეიკავა ეს ტაკვეცი ხელში. სარაიაში რომ შევდა, შესასლელზე ყარაული დახდა. შიმიშვიო, – უთხრა ყარაულს. – არ შეიძლება შეშვებაო. მაშინ უბრძანა ტაკვეცს,– მეიყვაჲ ჭკუაზეო, უთაქეო. შემდეგ დეიკავა ტაკვეცი ხელში და შევიდა ფადიშართან. ფადიშარი გაოცდა. კაცმა უთხრა, რომ დიდი ხნის ჟინი მაქ შენიო, ეტაკე ტაკვეცო, მაგასაც თავშიო,– უთხრა ტაკვეცს. ტაკვეცმა ეტაკა და ფადიშარი მობნიდა. ბოლოს უთხრა, რომ – დიეტაკე წელზე და გასჭარ შუაზეო. თვითონ დაჯდა ტახტზე. გასცა განკარგულება, რომ – მე ვარ ფადიშარიო.

მის ბედს ვერ ცდილსა და მოკვდა

Ერთ სოფელში ცხოვრობდენ ერთი მოხუცი კაცი და ერთი დედაბერი, ცოლ-ქმარი. ამათ ყავდენ ერთი გოგოშვილი. მოხუცებულმა ბერმა უთხრა დედაბერს: – მე რომ მოვკვდები, ჩემი გოგო, პირველი შუამავალი რომ მუა, იმას მიათხოვეო. ამ დროს ეს მოხუცი მოკდა. გეიხედეს ერთ საღამოს, რომ ერთი თეთრწვერი მოხუცი მოვიდა და უთხრა ამ დედაბერს, რომ შენი გოგოს მთხოვნელი ვარ მეო. რაღა ექნა ამ მოხუცებულ ქალს და მიათხოვა. იმ ღამეს, ცალკე ოთახში რომ დაწვენ გოგო და ის მოხუცი, ამ ბერმა ყილიჯი ჩეიდვა შუაში და უთხრა გოგოს: ღმერთმა, რომ გეიცინე, ვარდი ამოგგვარა პირზე; ტანს რომ დეიბან, ვერცხლი გაგცვივაო; პირს რომ დეიბან, ოქრო გაგცვივაო. ეს მოხუცი გაქრა.

დილას შამოვიდა გოგო სახლში და დედას უთხრა, რომ ასე იყო ასეო. გავსინჯოთ ერთიო – დედამ უთხრა გოგოს. დაიბანა პირი და ოქროს ფული გაცვივდა, თითქმის ერთი ლეგენი ეიმსო. ტანი დეიბანა, ვერცხლი გაცვივდა; გეიცინა, ვარდი ამოუვდა ლოყაზე. ამ დროს ეს გეიგო იმ ქვეყნის ფადიშარმა და გუუგზავნა კაცი, რომ მომათხოვოს მისი გოგოვო. მიათხოვა. დანიშნეს ქორწილი. იმ მოხუცი ქალის გვერდით ცხოვრობდა ერთი მოხუცი ქალი-ჯაზი ნენე. ეს ჯაზი ნენეც დადეთ გაატანეს გოგოს ქორწილში. ამ ნენეს ყავდა იმ გოგოს ტოლი გოგო. რომ წევდენ, ჩუმათ, გზაზე ჯაზი ნენემ ეს გოგო ჩემეიღო ცხენიდან, თვალები დათხარა და გზაზე გადააგდო; მისი გოგო შესვა ცხენზე და გაუდგა გზას ფადიშარისაკენ. მისი გოგო წეიყვანა ფადიშართან.

ამ გოგომ იგორვა, თვალებდათხრილმა, საწყალმა, იგორვა და იმ გორვაში ერთი გზა მიაგნა. ამ გზაში ერთი უშვილო ვაჭარი შეხდა. ვაჭარმა ნახა თვალებდათხრილი, საწყალი გოგო, თქვა, რომ ღმერთმა მე შვილი არ მომცა და ამას ვიშვილებო. მართლაც წაიყვანა სახლში თვალებდათხრილი, სისხლიანი გოგო. სახლში რომ მიიყვანა, ცოლს უთხრა ვაჭარმა: – დაბანე ტანი და პირი, ჩვენ ვიშვილოთო. ბანა რომ დაუწყეს, ვერცხლი და ოქრო გაცვივდა. თქვა ვაჭარმა: – ეს ყოფილა ჩემი საქმეო და უფრო კარგად შეხედა.

ასე იყვნენ რამდენიმე ხანს. იმ ჯაზი ნენეს, ფადიშართან რომ მიიყვანა გოგო, ფადიშარმა უთხრა, – რატომ არ ცვინდება ვერცხლი და ოქრო, ანდა, რომ გეიცინებს, ვარდი რა-

ტომ არ ამოუდის პირზეო. ჯაზი ნენემ უთხრა, რომ, მაგხელა კაცი ხარ და ვერ ხდები, ასეთი ამბავი ხდება წელიწადში ერთხელო. ფადიშარს რაღა ექნა. მიიღო ცოლად.

ამ წელს ზამთრის თვეში ამ გოგოს ვაჭართან გუუცინია, ამოსვლია ლოყაზე ორი ვარდი. გოგომ ვაჭარს უთხრა, რომ, ამა და ამ ფადიშარის კარზე მიდი და ეს ორი ვარდი დააფასე ორი თვალის კაკალიო.

ასეც მოიქცა ვაჭარი. ჯაზი ნენემ დეინახა ეს ვარდი ზამთარში და გუუხარდა, მოვატყუებ ფადიშარსო. ვაჭარმა რომ დაუფასა ორი თვალის კაკალი, ასწია და მისცა იმ გოგოს თვალის კაკლები, რომელიც თურმე შენახული ქონდა. წამეიღო ვაჭარმა სახლში. ამ გოგომ ჩეიწყო ეს თვალები და მორჩა, გაახილა თვალები.

ფადიშარს რომ მუუტანეს ეს ვარდი, ფადიშარმა დასუნა ზედ, რა გემიელი სუნი აქვსო. ბოლოს იფიქრა იმ ჯაზი ნენემ, რომ ახლა ვარდი არავის არ ამოუვიდოდა იმ გოგოს მეტსო და ისიც იცოდა, რომ იმ გოგოს ერთი ჰამაილი ქონდა, თუ მოცილდებოდა მას ტანზე, მოკდებოდა. წევდა და ნახა ეს გოგო ვაჭრის სახლში ჯაზი ნენემ. ამაღამ თქვენი სტუმარი ვარო, – უთხრა ვაჭარს, მაგრამ გოგო ჩემთან უნდა დააწვინოთო. ნენე ვერ იცნეს. ეს ჰამაილი მოპარა. დილას ნახეს, რომ ჯაზი ნენე არსად არ იყო და გოგო მომკდარი დახდენ. ამ გოგოს დაბარება ქონდა იმ ვაჭარზე, რომ მე თუ მოვკვდები, მაღალ სერზე ააგე ჩემთვის სასაფლაო, კარებს რომ გუუკეთებ ჩემს სასაფლაოს, ქარი მოუქრის, გააღებს და დუუძრავსო, კარებმა უნდა იძახოს: მის ბედს ვერ ეღირსა და მოკვდა.

ასეთად დაასაფლავეს ის გოგო იქ. გაუკეთეს სექვი და დადვეს ოთახში.

ფადიშარმა რომ ვარდზე დასუნა, აქედან ვარდის პატრონ გოგოს, რომელიც პირველ ცოლად უნდა ყოფილიყო ფადიშარისათვის, ჩეესახა ბაღანა. როცა გოგო მოკვდა და დაასაფლავეს, მკვდარმა დაბადა ბაღანა.

ამ დროს ფადიშარმა უთხრა მის ნაზირ-ვეზირებს, რომ სანადიროდ გორებზე გევიაროთო. რომ ევდენ მაღალ სერზე, აქედან ფადიშარს მოეყურა კარების ლაპარაკი: –

„თავის ბედს ვერ ეღირსა და მოკვდაო“.

ფადიშარმა უთხრა ვეზირებს, რომ – მე ჩავალ და ვნახავ ერთიო. რომ ჩევდა, ნახა, მკვდარ ქალს დაებადებინა ბაღანა და მკვდარ ქალს ბაღანა ძუძუს წოვდა. მოგლიჯა ეს ბაღანა ძუძუზე და წეიყვანა სახლში. მიიყვანა სახლში და ჯაზი ნენეს და მის ცოლს უთხრა: – ეს რომ ატიროთ, თავებს დაგჭრითო ორივესო. ამ ბაღანას უვლიან კარგათ.

ერთ დღეს ამოიტეხა ტირილი ამ ბაღანამ და ვერაფრით ვერ წააყურეს, ბოლოს თქვეს, – ვუთხრათ ფადიშარს და რა ვუყოთ, თუ მოგვკლავსო. მოვიდა ფადიშარი, მას უთხრეს, რომ ბაღანა ტირის და არაფერი არ შველისო. გაუხსენით სკივრი და შიგ კარგი რამეები იქნება და შეიძლება შეექცესო. გაუხსნეს სკივრი. ოქროვლობა დეინახა ბაღანამ და დეიწყო ხელების ფათური შით. ამ დროს დედაბრის მოპარული ჰამაილიც მოყვა ხელში ამ ბაღანას, ამეიღო და გედეიკიდა. წაიწიეს ასართმევად ჯაზი ნენემ და ფადიშარის ცოლმა, უარესად იტირა ბაღანამ. ბოლოს ფადიშარმა იფიქრა, რომ, მე ვერ გავაკეთე საქმე კარგიო. იმაზე დაწერილი ისე ყოფილა, რომ კდარ ქალზე უნდა ეწოვნა ძუძუო. და წეიყვანა მკვდარ დედასთან. რომ მიიყვანა, რაცხაფერ ძუძუზე იყო მიმხობილი, ისე მიადო ბაღანა. ბაღანას

ეს ჰამაილი გადაკიდული აქ გულზე. ჰამაილი მიედვა ქალს გულზე და ქალმა გაიზმორა – რამდენი მძინებიაო, – თქვა და გაცოცხლდა. იქ დეინახა ფადიშარი და უთხრა: – ჩადი, ეიგერ რომ ვაჭარი ცხოვრობს, უთხარი, რომ თქვენი შვილი გაცოცხლდა-თქვა. ფადიშარიც ჩევდა და უთხრა,-თქვენი შვილი გაცოცხლდა და ტანისამოსი უუტაჲო.

ტანისამოსი უუტანეს და წამოიყვანეს სახლში ბავშიანად. ფადიშარსაც უთხრეს, რომ, წამობრძანდით ჩვენსკენო. რომ ჩამეიყვანეს ფადიშარი და ეს გოგო სახლში, ვაჭარმა უთხრა ამ კაცს, რომ, – შენ ჩემი შვილის გაცოცხლება მიმახარობლე, ერთ ოთახში სამსე ოქრო და ვერცხლი მაქ და ის უნდა გაჩუქვოო. ფადიშარი გაოცდა, – სად ნახე ამდენი ოქრო-ვერცხლიო. გამოუტყდა ფადიშარი ვაჭარს და უთხრა: – მე თქვენი ფადიშარი ვარ და ამდენი მე არ მაქ და შენ სად ნახეო. ვაჭარმა უთხრა, – მომცა ღმერთმა და ვნახეო. მაშინ დავმეგობრდეთ ჩვენ, – უთხრა ფადიშარმა. გოგომ უთხრა ფადიშარს, რომ ერთი გვესტუმრე შენი ამხანაგებითო და მერე ჩვენ გესტუმრებით თქვენო. ესტუმრა ფადიშარმა ვაჭარს. გააწყვეს კარგი დამეგობრება და თანაც დაპატიჟა, – მეც მესტუმრეთო. გესტუმრებითო, დაპირდნენ. ერთ დღეს ესტუმრენ ფადიშარს: – ვაჭარი, მისი ცოლი და ეს გოგო თავისი ბავშით. საჭმელი რომ ჭამეს, ამ გოგომ უთხრა ფადიშარს: ოთახში დარჩეს მამაჩემი, დედაჩემი, შენ, შენი ცოლი და სიდედრიო. ერთი ახალი გადახდენილი ამბავი უნდა ვილაპარაკოვო. მოუყვესდა. ელაპარაკა ეს ამბავი, რაც გადახდა. ბოლოს უთხრა, რომ, მე უნდა ვყოფილიყავ შენი ცოლი, შენმა სიდედრმა თვალები დამთხარა, ვერცხლი და ოქრო მე მცვივაო. ზამთარში რომ ვარდი მოგცეს, ის ჩემი იყოვო და იმ ვარდზე რომ შენ დასუნე, მე ბაღანა გამიჩნდაო.

იმავ მინუტში დააპატიმრა ფადიშარმა მისი ცოლი და მისი სიდედრი. მეორე დღეს საჯაროდ გამუაბა ჯორის კუდებზე და ფეხებით დააწეკვია.

მღვდლის ოინები

Ერთ ღარიბ კაცს ყავდა ძალიან ლამაზი ცოლი. მიეწონა ის მღვდელს. ამ დროს ღარიბის ცოლი ფეხძიმედ იყო. ერთ დღეს ღარიბის ეზოში გეიარა იმ მღვდელმა და ქალი რომ დეინახა, ფეხძიმედ იყო თქვა: – ჰო, ჰო, ჰო. ქალს უთხრა,– შენს ქმარს ბაუში გუუკეთებია, ხოლოდ ნაკლი აქს ერთი ყურიო.

გამოუცდელმა ქალმა შეეხვეწა მღვდელს, რომ თქვენ ყველაფერი შიგიძლიან და მიშველე რამე, უყურო ბაღანა არ შემეძინოსო. გავაკეთებო, – უთხრა მღვდელმა. მასაც ეს უნდოდა და ვითომც გაუკეთა ყური და მისი მხეცური სურვილები მოტყუებით შეასრულა და წავიდა სახლში.

საღამოს მოვიდა ღარიბი სახლში. ცოლმა უთხრა, რომ შენ არ გცოდნია ბაუშის გაკეთება და ბაუში რომ გააკეთე, რაღა ყური დააკელიო და ქალმა თან უთხრა მღვდელთან მომხდარი ამბავი. ღარიბი კაცი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და გადაწყვიტა შური ეძია. მოიფიქრა, რომ მღვდელს მოჯამაგირედ დადგომოდა. ასეც მოიქცა. დაუდგა მოჯამაგირედ. მღვდელს ყავდა ცოლი და ერთი გოგო.

ერთ დღეს მღვდლის ოჯახი სხვა სოფელში დაპატიჟებული იყო ქორწილში. მღვდელი

ადრიანად წავიდა დილას და მოჯამაგირეს დაუბარა: ცოლი და გოგო შენ წამეიყვანეო. შუადღის შემდეგ ღარიბი მოჯამაგირე, მღვდლის ცოლი და მისი გოგო წავიდენ ქორწილში. გზაზე დაიღალენ და დაისვენეს, მღვდლის ცოლს და გოგოს დაეძინათ. მოჯამაგირემ მძინარეებს ხელებზე ოქროს ბეჭდები წაართვა. როცა გაიღვიძეს, ნახეს, რომ ბეჭდები აღარ ქონდენ. კითხეს მოჯამაგირეს, შენ გღვიძავდა და თუ იცი, სა წევდა ბეჭდებიო. მოჯამაგირემ უთხრა, რომ მე დავინახე თქვენი ბეჭდები, თქვენმა სარცხვენელმა ჩაყლაპესო.

მღვდელის ცოლმა და გოგომ დაიჯერეს და ძალიან შეწუხდნენ. დაღონდნენ და კითხეს მოჯამაგირეს: – რა შიგვიძლია გავაკეთოთ, რომ ვნახოთ ბეჭდებიო. მოჯამაგირემ უთხრა, რომ – მე ამოგიღებთო. ქალებიც დაეთანხმენ და მოჯამაგირემ ბეჭდების მიზეზით მღვდელს ანგარიში გაუსწორა.

როცა ქალებმა ნახეს მღვდელი, უთხრეს, რომ თურმე ჩვენი სარცხვენელი გვაფსობს ჩვენ. ამდენი რამე რომ გვეკარქება, თურმე იგინი ყლაპავენო და უთხრეს ბეჭდების ამბავიც და ისიც, თუ როგორ ნახა მოჯამაგირემ ეს ბეჭდები. მღვდელმა მიხდა და უთხრა: ბაუშს თუ ყური გუუკეთდება, სარცხვენელშიც ბეჭდები იპოვნებაო. ძალიან კარგად მოქცევლა მოჯამაგირეო.

ხოჯის ოინი

ერთმა ხოჯამ დუუძახა სოფლის ქალებს და ვაიზი ქნა. ვაიზის დამთავრების დროს ქალებს უთხრა: – ამეღამ მუბარექი უნდა მოვიდეს და კარები ღია დატოვეთო, ქმრები სხვაგან გაგზავნეთო.

ვინც მადლიანია, იმასთან მივაო. პალტოში, საერთოდ ჩაცმულობაში, მე მგავს თლათო. ვინცხასთან არ მივა, ვაი იმას, რომ საჯენნეთო იქნებაო. ქმრებმა ცოლების სიტყვა დეიჯერეს და სხვაგან წევდენ.

ღამით ხოჯამ, ვისთანაც მისლა უნდოდა, იმასთან მივიდა. კარები ღია დახტა. ქალს გუუხარდა, რომ მე ვყოფილვარ მადლიანიო და ხელ-ფეხზე კოცნა დაუწყო.

მისი სურვილის შესრულება რომ დააპირა ხოჯამ, ქალმა უთხრა: – ეს რაფერ შეიძლებაო. მაშინ ხოჯამ უთხრა:

– მუბარექს უფლება აქ ყველაფერს გააკეთებს! ასეთი მოტყუებით შეასრულა ხოჯამ მისი ოინი.

* * *

ერთ ფადიშარი. ამან თქვა, რომ წევდეთ და ერთ დღეს სერიებზე ვინადიროთო. 6 დღე იარეს და ვერაფერი ვერ ნახეს, თანაც დეიღალენ. მივიდენ ერთ წყალზე, ცხენს წყალი დაალევიენ და თითონ სადილობენ. გეიხედეს, რომ ერთი დაბალი, წვერიანი დედეი მოვდა. წვერს ძირში ათრევს. უთხრეს, – ვინ ხარ შენო. ამ მოხუცმა პასუხი გასცა: – ჩემი ვინაობა თქვენზე საჭირო არ არისო.

ფადიშარმა ბიჭებს გასცა განკარგულება ეს დევჭიროთო.

მართლაც, დაიჭირეს ეს მოხუცი, დაიჭირეს, მიიყვანეს ფადიშარის კაბინეტში. ეკითხებიან, პასუხს არ სცემს. ბოლოს უთხრეს, რომ სანამ პასუხს არ გაგვცემ, არ გაგიშვებთო. – მოხუცი კაცი ვარ, რომ მომკლათ, არ გაგცემ პასუხსო.

ამ დროს ფადიშარმა ერთი ოთახი გააკეთებია და ჩასვა ციხეში, დაადვა დიდი ბოქლომი. გასაღები დუუტია მის ცოლს, თანაც დუუბარა:

– ვინც ამას გაუშვებს ან ხელს შეუწყობს გაქცევაში, იმას დავკლავო.

ამ ფადიშარს ერთი ბიჭიშვილი ყავდა. ამან დაიწყო ბულთის თამაში. ამ თამაშის დროს ბულთი შევარდა მოხუცის ოთახში ფანჯრიდან. მივდა ბაუშმა და უთხრა, რომ ბურთი მომეციო.

– აქედან თუ გიმიშვებ, ბურთს მოგცემ – უთხრა მოხუცმა.

– მე სიდან შიმიძლია შენი გაშვება, – უთხრა ბაუშმა.

– შიგიძლია, – უთხრა მოხუცმა, დედაშენს აქვს გასაღები წელზე გამოკიდული. თავი კალთაში ჩაუდევი, ვითამ გეძინება თქვა და მოპარე.

კაკრაზ ასე მოიქცა ფადიშარის შვილი. გამოხსნა დედამის კილტე და მოხუცი გამოუშვა, ბულთი აართვა.

ამ დროს, სად იყო და სად არა, მოვიდა ფადიშარი. ვინ გაუშვაო, – იფიქრა. ის კილტე ბაუშმა ისევ მიაბა დედამისს, სადაც ქონდა. ამ ფადიშარს ქალი უნდა დიეკლა, რაფერ გუუშვი შენაო. ამ ბიჭმა თქვა, რომ, დედაჩემს ბრალი არ აქო.

ფადიშარმა გასცა განკარგულება, – წეიყვანეთ და დაკალით ჩემი შვილიო და გაატანა ჯალათებს. ეს წეიყვანეს ჯალათებმა, ეიყვანეს მაღალ სერზე, გამეიდინეს სისხლი, ამ ბიჭის ტანისამოსი დასვარეს და მუუტანეს ფადიშარს, ხოლო ბიჭი შეებრალენ და გაუშვეს.

ბიჭმა რომ მოხუცი გაათავისუფლა, მოხუცმა დუუბარა ბიჭს: შენ თუ გაგიჭირდეს „ბერო კაცო“ – ახსენე და იქ გავჩნდები მეო.

ბიჭი წევდა სხვა სახელმწიფოში. მივდა ერთ სახელმწიფოში და ხელმწიფეს მეცხვარედ დუუდგა, აძვებდა ცხვრებს.

ამ ხელმწიფეს ერთი გოგო ყავს. ხელმწიფემ გააკეთა ისეთი ასასლელი, რომ ორასი მეტრის სიმაღლეზე სტექლოსი ვინც იქ ავა ცხენით გაჭენებული, ჩემ გოგოს იმას მივცემო. დილით მირეკავს ცხვრებს ბიჭი. შეხედა, რომ ზოგი იმტრევა, თავს იტეხს, ზოგიც კისერს და ვერ ადიან. ეიყვანა ცხვრები სერზე. დაღონებული არის, რომ მე ხელმწიფის შვილი ვიყავი. მამაჩემისთვის რომ ასეთი საქმე არ გემეკეთებია, იქნება იმ გოგოს მე მომცემდენო. დაღონებული ჯდას ბიჭი. ჩივის, ბერო კაცო, რა გამიკეთე, რომ ასე დამკარგეო. იმავ მომენტში ის ბერი კაცი იქ გაჩნდა და კითხა: რა გიჭირსო? ამ ბიჭმა უთხრა, რომ ჩვენს ხელმწიფეს გოგო ყავს, ორას მეტრიანი ასასლელი გააკეთა და შენ რომ ხელი არ შეგეშალა, მამაჩემის ცხენი იქ ევდოდაო, ხელმწიფის გოგო ჩემი იქნებოდაო. ამ მოხუცმა შეეკითხა ბიჭს:

– დღეს როგორი ტანისამოსით დგას ის გოგო?

– წითელი, – უთხრა ბიჭმა.

დუშვიტინა რაღაცას მოხუცმა და მოვდა წითელი ცხენი, წითელი ტანისამოსით.

ბიჭმა ჩეიცვა ტანისამოსი, შეჯდა წითელ ცხენზე და გასწია. მოხუცმა დააბარა, რომ ამ ცხენით ნახევარზე ადი და დააბრუნე ცხენიო.

მართლაც, შეჯდა ბიჭი ამ ცხენზე, ევდა ნახევარზე და ზედ შემოატრიალა, დაბრუნდა და გამოაჭენა ცხენი.

მეორე დღეს წეიყვანა ცხვრები, კიდევ გეიარა, შავი ტანისამოსით იყო გოგო. ევდა იმ სერზე და მეითხვა კიდევ ბერი კაცი. მოვდა მოხუცი ბერი კაცი.

– როგორ ტანისამოსშია?–შეეკითხა ბიჭს.

შავში, – უთხრა ბიჭმა.

დუუფშვიტინა მოხუცმა, მოვდა შავი ცხენი, შავი ტანისამოსით. შეჯდა ცხენზე და გუუშვა. – ამ ცხენით ადი, შემოუარე გოგოს და წამოდი, ბეჭედი არ წააძრო ხელზეო.

ბიჭმა შეჯდა ცხენს და წევდა, გააჭენა ცხენი. ევდა, შემოუარა გოგოს და არ გაჩერებულა, ისე გამოაჭენა. ევდა იმ სერზე. საღამოს მორეკა ცხვრები და მეიყვანა.

გამოიარა მესამე დღეს. გოგო თეთრი ტანისამოსით იდგა. ევდა იმ სერზე კიდევ, ბერი-კაცი ახსენა. ბერი კაცი მოვდა.

– როგორ ტანისამოსშია ის გოგო? – იკითხა მოხუცმა.

– თეთრში, – უპასუხა ბიჭმა.

დუუფშვიტინა კიდევ და მოვიდა თეთრი ცხენი, თეთრი ტანისამოსით. შეაჯდუმლა ბიჭი და გაუშვა მოხუცმა. უთხრა, რომ ადი ახლა იქაო, ხელი ჩამოართვი, ბეჭედი წააძრე და არ გაჩერდე, წამოდიო.

კაკრაზ, გააჭენა ცხენი ბიჭმა, ევდა იქ, ევდა, ხელი ჩამოართვა, ბეჭედი წააძრო, არ გაჩერებულა წამოვდა.

ფადიშარმა გამოაცხადა, რომ დამთავრებულია ჩემი გოგოს გათხოვების დრო, დანიშნა ბიჭმაო. მხოლოდ ეძებენ და ვერ ნახეს, ვინ იყო ეს ბიჭი. გამოაცხადა ფადიშარმა, რომ ჩემს ხელქვეით რაც კაცია, უნდა მოვიდეს და ჩემ გოგოს ხელი უნდა ჩამოართვას ორივეო. ბეჭედს ეძებს!

ერთ დღეს მოყარა თელი ხალხი, ხოლო მისი მეცხვარე ცხვრებს აძვებდა, რომელთანაც ბეჭედია. დოუარა გოგომ და ბეჭედი ვერ მიაგნა. მეორე დღესაც ასე, მესამე დღესაც ასე და არ იქნა ბეჭედის პოვნა. მეოთხე დღეს რომ დანიშნა ბეჭდის ძებნა, უთხრეს, რომ, ერთი შენი მეცხვარეც დევსტრათო. წეიყვანეს მეცხვარე ბიჭი. ამ ბიჭმა რომ მივდა, სულ ბოლოში დაჯდა. ამ ბიჭს რომ ჩამოართვა ხელი, აღმოჩნდა ბეჭედი.

ფადიშარმა გაბრაზდა, – მე ჩემ გოგოს მაგას არ მივცემო, მაგი არის ჩემი მეცხვარეო, საიდან ნახა ჩემი ბეჭედიო. გოგომ თქვა: – ჩემი ბეჭედი სადაც ვნახე, მე მისი ვარო.

რაღა ექნა ფადიშარს, მისმა ხალხმა გაამტყუნეს და ამ ბიჭს მიათხოვეს ეს გოგო, ხოლოდ ფადიშარმა მათ ბინა მისცა საქათმეში.

ერთხელ ფადიშარი ავათ გახდა. ამ ბიჭის გარდა, ფადიშარს ყავს ორი სიძე. დუუძახა სიძიებს და უთხრა: – მე ჩემი ავადყოფობის წამლად ირემის ძე გამომიწერესო.

გაუკეთა საგზალი, მისცა კარგი ცხენები და გაგზავნა ირმის ძის მოსატანად.

იმ ბიჭმაც გუუგზავნა მისი ცოლი, – მეც მომცეს ცხენი და მეც წავალო. ფადიშარმა

თქვა: – მისი მოტანილი და მისი თავიო. ერთი კოჭლი ცხენი არის თავლახანაში და მიეცითო, მაგის აქ ყოფნას პატარა ხანს თვალზე მოცილებაც მირჩევნიაო.

შეჯდა ეს ბიჭი კოჭლ ცხენზე და მიდის. მიდის ქალაქში. ბაღნები დიესევიან და უქნევენ ქვას, ნაფოტს. ფადიშარის სიძე კოჭლი ცხენით მიდისო, მაგან რა უნდა მეიტანოსო. აბუჩად იგდებენ ამ ბიჭს.

გაცილდა ქალაქს ეს ბიჭი და გეიხსენა ბერი კაცი, მოვიდა ბერი კაცი. უთხრა: – რა გაჭირვება გაქსო? ასე მჭირს და ასეო, – უთხრა ბიჭმა, – ირემის ძე მინდაო. დუუფშვიტინა ბერმა კაცმა. მოვდა წითელი ცხენი. შეჯდა ამ წითელ ცხენს, წამოეწია მის ქვისლებს, სალამი მისცა და ვერაფრით ვერ იცნეს სხვანაირად მოწყობილი. გაუსწრა და მიაწია იმ ტყეში, სადაც ირმები არიან. გამიეკიდა, დეიჭირა ერთი ირემი, დააბა და ყავს. ამ დროს მივდენ მისი ქვისლები.

– სელამალეიქუმ, ტყეთა მეფევო, – უთხრეს ამ ბიჭს. – ნება მოგვეცი რომ ჩამოვწველოთ ირემიო. ჩამოწველეთო, – უთხრა ბიჭმა. ჩამოწველეს ირემი და უთხრეს, რომ რა მოგცეთ ამაშიო. მაგაში მე არაფერი არ მინდა, მხოლოდ ერთიაო: – მარჯვენა ფეხის ნეკის თითები უნდა დეიჭრათ და მომცეთო.

სხვა გზა არ იყო, დეიჭრეს და მისცეს. ბიჭმა გამოქანდა სახლისაკენ. სახლის ახლოს შეჯდა კოჭლ ცხენზე და წამოვიდა. დეეწიენ ეს ბიჭები მას გზაში. შენ მაჩანჩალიძე, ადგილზეც ვერ მოგვისწარიო, – დასცინეს ბიჭს. – მოგისწარ, მხოლოდ შესრულებული იყო თქვენი სურვილი და აღარ გამოვჩენილვარო.

ფადიშარს შაასვეს ირმის ძე და მორჩა.

გავიდა რამდენიმე ხანი. ფადიშარი კიდევ ავათ გახდა. უთხრეს, რომ ვეფხის ძე მოგარჩენს შენო. მოიყვანა მისი ორი სიძე, გამოუცხო კარგი საგზალი და გაემგზავრენ მეორე დღეს, დილას ვეფხის ძის მოსატანად. ამ ბიჭმა კიდევ გაუგზავნა კაცი,– მეც გამაგზავნოსო. გამოუთრიეთ ის კოჭლი კიდევო, – უთხრა ფადიშარმა.

შეჯდა ეს ბიჭი კოჭლ ცხენზე და გაყვა, წევდა. ქუჩაში რომ მიდის, დიესიენ ბაღნები და იცინიან, ზოგი ჯოხს უქნევს და ზოგი – ქვას.

გაცილდა ქალაქს. გაიხსენია ბერი კაცი. მოვდა ბერი კაცი და უთხრა ბიჭმა, რომ, – მიშველეო. მოგვარა შავი ცხენი თავისი მოწყობილობით. შეჯდა ამ ბიჭმა და წამოეწია ქვისლებს. მიასწრო, სადაც ვეფხები ცხოვრობენ. გამოეკიდა და დაიჭირა ვეფხი, მიაბა ხეზე. მივიდენ ეს ბიჭები.

გამარჯობა, ტყეთა მეფევ! – უთხრეს ბიჭს, – ვეფხის ძე გვინდაო. – პაჟალუსტა, მოგიწველიო. მუუწველა და მისცა. რა მოგცეთო, – უთხრეს ქვისლებმა.

– თქვენი არაფერი არ მინდა, მხოლოდ მარჯვენა ყურები მეიჭერით და მომეციოთო.

ამით შელაპარაკდენ, – როგორ მევჭრათ ყურებიო. ბოლოს თქვეს, რომ მევჭრათ ყურები და ქუდები ცალ მხარეზე დევხუროთო.

დაბრუნდენ სახლში. გამოუსწრა ამ ბიჭმა, შეჯდა კოჭლ ცხენზე და მოდის. ქვისლები წამოეწიენ.

– სა იყავი შე მაჩანჩალავ,–უთხრეს ბიჭს.

რა ვუყოთ. თქვენი შეძლება და ჩემი ერთი არ არის,–გასცა პასუხი.

მოვიდენ. ასვეს ძე ხელმწიფეს, მორჩა ხელმწიფე.

ამ დროს კიდევ გახდა ხელმწიფე ავათ. უთხრეს, რომ უკვდავების წყალი გინდა შენო.

მოიწვია მისი სიძეები. გამოუცხო საგზალი კარგად და გაგზავნა.

ამ ბიჭმა კიდევ გუუგზავნა ცოლი,– მომცეს მეც ცხენიო. მისცეს ისევ ის კოჭლი ცხენი. შეჯდა და გაყვა და წევდა. უარესად ცინიან ქალაქში ბაღნები:

– დღეს თლა აკოჭლებულა შენი ცხენი, ყოჩაღ, ფადიშარის სიძევ! – ეძახიან ბავშვები.

გევდა ქალაქიდან, ახსენა ბერი კაცი. მოვდა ბერი კაცი – რა გიჭირსო? – უკვდავების წყალი მინდაო,–უთხრა ბიჭმა.

დუუფშვიტინა მოხუცებულმა. გეიხედა, რომ მოვდა თეთრი ცხენი. შეჯდა ზედ და თანაც დააბარა მოხუცმა, რომ უკვდავების წყალზე მისლა პატარა საქმე არ არისო. გაყვა და წევდა ეს ბიჭი. რომ დუუსიახლოვდა უკვდავების წყალს, იმისი ქარი აშინებდა ძალზე. შეხედა და დეინახა ერთი მოხუცებული კაცი. ამან უთხრა, რომ, უკვდავების წყალი არის კლდეში, ეღება და ეხურებაო. რომ გეეღება, ისე უნდა დაკრა ცხენს და გეიაროო, რომე მეორე კუთხეს გახვიდეო. ცხენმა უთხრა, რომ, იმხელა დამარტყი, რომ პირიდან დედის რძე წევქნიოვო.

მართლაც მეიქცა ასე ბიჭი. გიეღო კლდის კარი და გევდა. გასლიხან ამოკრა კოპე და გეიტანა წყალი. მხოლოდ ორი ტკაველი კუდი წააგლიჯა ცხენს, მარა წყალი მაინც გეიტანა. მისი ქვისლები ორ კილომეტრზე ახლოს ვერ მისულიყვნენ.

მოიტანა წყალი და ქვისლებს უთხრა, რომ მე გასაყიდელი მაქ უკვდავების წყალიო. მიყიდა ქვისლებს და უთხრა, რომ მე ამაში არაფერი არ მინდაო, მხოლოდ მარჯვენა საჯდომებზე ჩემი ცხენის ნალებს მიგარტყამთო.

კაკრაზ, ასე მოიქცა. ნალების დაღი მიარტყა და გამოიქცა სახლისკენ.

მივდა ეს ბიჭი. შეჯდა კოჭლ ცხენზე და წამოვიდა სახლში. დაეწიენ ხელმწიფის სიძეები.

– შენ ორმაგი უკვდავების წყალი მიგაქ? – დაცინვით უთხრეს ქვისლებმა.

მოიტანეს წყალი ხელმწიფესთან. ხელმწიფე მორჩა და თქვა, რომ, აწე აღარ გავხდები ავათ და აღარც მოვკვდებიო. გასცა განკარგულება, – კამპანია მაქ ჩემი სიძეების სადღეგრძელოდო. მეიწვია ეს სიძეები და გამართა კამპანია ხალხთან ერთად.

კამპანია გაიმართა. ხალხმა უთხრეს, რომ მესამე სიძეც მოვიყვანოთო. მეიყვანეთ, მხოლოდ სულ ბოლო ადგილზე უნდა დაჯდესო.

ფადიშარმა აიღო სადღეგრძელო და დალია. სულ აქებს და ადიდებს ორ სიძეს. მესამეზე არაფერს არ ამბობს. ყველამ დალია, მიაწია მესამე სიძესთან. ამ მესამე სიძემ თქვა, – მე დალევის ღირსი არ ვარ, თუ დავლევ, ჩემს ცოლის მამას წინედან დაუჯდები და ისე დავლევო.

ეს უთხრეს მეფეს, – ასე ამბობსო. მე მაგაზე ნებას ვერ მივცემო,–უპასუხა ხელმწიფემ. ამ კამათში კაი დრო გავიდა და ხალხმა დაიყოლიეს, რომ ხელმწიფის წინ ეს სიძე დამჯდარიყო. ხელმწიფემ თქვა – მე თვალები შიმიხვიეთ და ისე დალიოს მაგანო. კარგიო, –

დათანხმდა ბიჭი და ეიღო სადღეგრძელო.

ჩემს ხელმწიფეს, ჩემო სიმამრო, – დაიწყო ბიჭმა, – თვალების შეხვევა კი არა, თვალები ამოსათხრელი აქვსო. მაგის თვალებმა მესამე სიძე კი არა, ეს ხალხიც არ უნდა დეინახოსო და ის ხელმწიფეც არ უნდა იყოსო, იმისათვის, რომ ხელმწიფე კაცი იმას რომ ვერ მიხდებაა, რომ მე საიდან ჩევიგდე ის ბეჭედი ხელში, იმის შემდეგ მაგაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო. მე მისი მეცხვარე ვიყავი, ცხვარს ვაძოებდი და ცხვრებს რომ გამჟროენიებდი და გოგო აყვანილი ყავდა ორას მეტრიან სიმაღლეზე, სტექლოს მიფერდებაზე და ხალხი რომ ცხენებს აჭენებდნენ, მე მომეწონა ის გოგო. სერზე რომ ევედი, ვახსენე ბერი კაცი და ის ბერი კაცი და ის ცხენები იქ გაჩდნენო. მოუყვა ყველაფერი,– ასე და ასე გავაკეთეო. ამით შევირთე მე ჩემი ცოლიო. პირველათ რომ ავათ გახდა ჩემი სიმამრი და ირმის ძე იყო საჭირო, მე კოჭლი ცხენი მომცაო. ქალაქში ყველა დამცინოდაო. დევჭირე ირემი, მოვდენ მისი სიძიები, მუუწველე და მივეცი რძეო, ფული რომ მითხრეს, რა მოგცეთო, მარჯვენა ფეხის ნეკის თითები მოვაჭარიო. თუ არ იჯერით, გააძრეთ ფეხიო.

გააძრეს ფეხზე, რომ აღარ ქონდენ ნეკის თითები. ამოიღო ჯიბიდან და სტოლზე დუუდვა სიმამრს თითები.

ვეფხის ძე რომ დაჭირდა, კიდევ ასე მოვიქეცი და მარჯვენა ყურები დავაჭერიო, თუ არ იჯერით, ახადეთ ქუდებიო. ამეიღო დაჭრილი ყურები და დაუწყო წინ.

უკდავების წყალზე რომ წავედითო, ორ კილომეტრზე ახლოს ვერ მოვიდენო. გამევიტაჲ უკდავების წყალი და მივეციო. სამაგიეროთ ნალები მივარტყიო მარცხენა საჯდომზეო.

ბოლოს ხელმწიფემ თქვა: – არ ვყოფილვარ ხელმწიფობის ღირსიო. თქვა, რომ, – მე ხელმწიფობა გადამიბარებია ჩემს პატარა სიძეზე, ჩემს ყოფილ მეცხვარეზეო. ეს უყურო, უთითო და ნალდარტყმული სიძეები მოჯამაგირეები იქნებიან მისიო.

გევდა რამდენიმე ხანი. ბიჭმა თქვა, რომ მე ამა და ამ სახელმწიფოში მივდივარო, სადაც მამამისი ხელმწიფეა. ვესტუმროთ უნდაო. ხელმწიფემ არ იცის, რომ შვილია, თუ ვინააო. რომ ჩევდა და ხელმწიფის სახლს დუუახლოვდა ეს ბიჭი, ნახა, რომ მისი ძეგლი გუუკეთებია მამასისს. მაშინ ტირილი მუუვდა თვალებზე. შევდა ხელმწიფესთან – გამარჯობა, მამაჩემო, – მიმართა ხელმწიფეს. – ეს მამაჩემი იმიტომ გითხარ, რომ ეს ძეგლი მე ჩამომგავს თლათო. მე გამიგონია, რომ შენ შვილი დაგიკლავს ასეთ საქმეზეო და მაგ ისტორიას მელაპარაკები შენო. ჯალათი რომ გყავს, ის მომიყვანეო. იმან არ მომკლა და გიმიშვაო და ჩემს სამაგიეროდ შენ ძეგლი იგიგიაო. ამის შემდეგ ელაპარაკა მისი თავგადასავალი. მამამისმა უთხრა, – ჩემი ხელმწიფობაც შენზე ჩამიბარებიაო.

ბიჭმა ორივე სახელმწიფოს საზღვრები შეაერთა და დაიწყო მართვა.

გლეხს დაეკარგა ცხენი და თხა (მეგობრული დაცინვა)

ცდათექსმეტ წელს დავკარგე
ჩემი ერთგული ცხენია,
მის სიკდილზე დამირბინა
ხურება ციებ-ცხელია.
ვისთანაც მყავდა, მან თქუა:
პირზე შეხედვა მრცხვენია,

ვიცი, მაზე ტრიალებდა
ცხოვრება მთელი შენია.
რომ ჩავედი და დევნახე
გლახათ იყო მორთულიო,
თავი ისე გადაეგდო,
ვით ბაჭია მოკლულიო,
პატრონო, შინ წამიყვანე,
იხვეწებოდა, მგონიო.
სიკვდილისხან იჭიხვინა.
ვსთქვი, რომ მწყალობს მიწა, ცაცა,
გადარჩენისა მეგონა,
სიხარულმა ამიტაცა.
თურმე სასიკდილო იყო,
რომ გაიქნია ფეხია,
მის ფეხისა გაქნევაზე
თავზე დამეცა მეხია.
მე სულ ტანი შემიჩერდა,
მხოლოდ ვუყურებდი ჭვრეტით,
ჭირ-ვარამის გამყოფელი
ჩემი სიძე მედგა გვერდით.
ვხედავ, თვალწინ მეკარგება
ჩემი ოფლით მონაგები,
გასახდელად მოხვევიან
მრავალი ამხანაგები.
ეხლა ჩემი აზროვნება
გადვიდა ფანტაზიაზე,
ბოლოს ჩემი ფიქრთა გროვა
ბოლოვდება მხოლოდ თხაზე.
ერთ მშვენიერ მაისის დღეს
არ მოვიდა ჩემი თხაი,
წავედი, მამას ვუთხარი,–
მამა არ მოსულა თხაი.
გაოცებით შემომძახა,–
ბიჭო, რა მითხარი მაი:
ის არა გავდა სხვა თხასა
ბოსელის წინ დადგებოდა,
მოდი, ბეკეკა, ვეძახდი.
ის იყო ჩემი აღმზრდელი,
სახელად დედას ვეძახდი.
საღამოს შევატყობინე,
დილას მოვიდა მემედი,
ჯერეთ არ გამღვიძებოდა,
ძლივსღა ჭკუაზე მოვედი.
ავდექით და გაუდექით,
დავაღამეთ მთელი დღენი,
ბოლოს ერთ ხევს მივადექით,
გასავალი ქონდა კლდენი.
თურმის მემედი ხედავდა,
თქმა ეხათრებოდა ჩემი.
ბოლოს მითხრა, ძმაო, ჩემო,
აგერაა დედაშენი:
იქ ყველანი მოიყვანეს
სოფსაბჭო და მილიცია,
მაშინ მგელს ვერ გავამტყნეებთ,
ასე ჩივა მილიცია.
თხას მუცელი ატკენია,
მგელმა ქნა აპერაცია.
ლექსზე ყველა მერწმუნება,
დიდები და პატარები.
შაქირა ვერ მელიქაძე,
ამ ცხოვრების ნატარები.

შიფრი: ბსკიფა 21, 24.
მთქმელი: ქათამაძე ოთარი ახმედის ძე.
ასაკი: 11 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. წყლისაყარი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. წყლისაყარი.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ქათამაძე ოთარი ახმედის ძე, მე-4 კლასის მოსწავლე. ცხოვრობს წყლისაყრის ს/საბჭოში, სოფ. წყლისაყარში. 11 წლის. გაუგონია ზღაპრები ბაბუისგან.

მოხუცი პეტრია

ყო 90 წლის კაცი, სახელად პეტრია ერქვა. მას ყავდა ორი შვილი, შვილებს დაუბარა და უთხრა, რომ მე ისეთ რამეს თუ მეტყვით, რომ გამაკვირვოთო, 18 წლის გავხდებიო.

წავიდა უფროსი შვილი და იარა რამდენიმე ხანი. შეხდა ერთი დიდი ხე, რომელიც წვერით ცას ებჯინებოდა. ისეთი ფოთლები ქონდა, რომ ხუთ კაცს დაფარავდა. ამ ბიჭს გაუკვირდა და უთხრა მამას, – მე ასეთი ხე ვნახეო. მამამის სულაც არ გაკვირვებია, –იმ ხის ძირში მე ზარმელიც მაქ ნაჭამიო. წავიდა უმცროსი შვილი, იარა, იარა და ნახა ერთი დიდი ჭრელი ფრთა, რომელსაც ვერ შეხედავდი. ბიჭმა იფიქრა, რომ წავალ და ამ ფრთის ცხოველს ვნახავო. წავიდა და ნახა ერთი კვიცი, რომელსაც ასეთი ფრთები ქონდა. კვიცს უთხრა, რომ, – შენ ჩემი კვიცი იყავიო. კვიცმა უთხრა: – შენ რომ მე შემჯდები და გავჭენდები, თუ არ გადმუარდები, შენი ვიქნებიო.

ბიჭმა შეჯდა ცხენზე. ცხენი წევდა ცაში, ცას რომ არ მოხვედროდა, ბიჭმა ქვეშ მოექცა. როცა ძირს წამოვიდა, ისევ ზევიდან მოექცა. ბიჭი ვერ გადმოაგდო და უთხრა კვიცმა, რომ, – მე შენი კვიცი ვიქნებიო. ბიჭმა წეიყვანა სახლში. მეზობელთან დააბა კვიცი და მივდა სახლში და უთხრა მამას, – მე ასეთი კვიცი ვნახეო, როცა შეხედავ, თვალებს მოგჭრისო. იმ კაცმაც 18 წლისა გახდა.

შიფრი: ბსკიფა 21, 25.
მთქმელი: ბერიძე მემედ ალის ძე.
ასაკი: 57 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჟანივრი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჟანივრი.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ბერიძე მემედ ალის ძე, ცხოვრობს წყლისაყრის ს/ს სოფ. ჟანივრში, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, ნამყოფია საქ. სსრ-ში ყველგან. იცის ზღაპრები, თქმულებები. 57 წლის.

ფადიშარის ბირობა

ერთმა ფადიშარმა გასცა განკარგულება, რომ მისი ტერიტორიის გარშემო ინახოს ისეთი კაცები, რომ მე იმ ხალხთან ვთქვა ჩემი ასახსნელი. ჩემი წინადადება, გაეცით ყველგან, ყველა კუთხეში ხალხთან, რომ ინახოს იმფერი აშუღები, რომლებიც გამცემენ მე პასუხსო. ვინც პასუხს გამცემს და ჩემ ასახსნელს დამიხსნის, რამდენიმე ოქროს მივცემ, ვინც ვერ ამიხსნის, თავს მოვჭრიო.

წამევიდენ სხვადასხვა კუთხიდან სამი აშუღი, მივდენ ფადიშარის კარზე. მეფეს მოახსენეს, რომ, – თქვენი ბძანების თანახმად, ჩვენ მოვედით თქვენი წინადადების დასახსნელადო და შაგვეკითხეთო.

დაუძახა უფროს აშუღს და შეიყვანა მასთან, თავის კაბინეთში, – აბა, დავიწყოთ ჩვენი ასახსნელებიო.

ფადიშარმა უთხრა:

– ჰემ აშუღი ხარ, ჰემ ლაჩარი ხარ, მაგარი სიტყვის გამჭრელი ხარ, ქვეყანა რომ წყალმა აიღოს, შენ საითკენ წახვალ?

უფროსმა აშუღმა უპასუხა:

– ქვეყანას რომ ზღვა ეიღებს, მე მაღალ თიებზე წავალო.

შედეგიანი დახსნა არ იყო. ფადიშარმა ამას მოკვეთა თავი.

დაუძახა შუათანა აშუღს. უთხრა, რომ ხომ ხედავ, რა ვქენიო. თუ ვერ ამიხსნი, ნუ მოხვალო. შამეკითხეო, -უთხრა აშუღმა.

იმასაც იგივე ასახსნელი უთხრა. მოკლეთ, – შენ სა წახვალ, ქვეყანა რომ წყალმა ეიღოსო?

– მე, ფადიშარ, გემში შევალ და თავს ვუშველიო, –უთხრა აშუღმა.

არ იყო სწორი ახსნა. თავი მოკვეთეს ამასაც.

დოუძახა სულ უმცროს აშუღს და უთხრა, რომ ნახე, როგორია ეს ხალხი, თუ ვერ შეძლებ, პასუხს ნუ გამცემ და წადიო. პატარა აშუღმა უთხრა, რომ შამეკითხე, დაგიხსნიო. შეეკითხა, რომ,– ქვეყანას რომ წყალი ეიღებს, შენ საით წახვალო?

ამან უპასუხა – როცა ქვეყანას წყალი ეიღებს, ამდენი ხალხის ერთად მეც ერთ სულიდან გევიარ, წავალო და ამდენი ხალხის ერთად მეც ვიქნებიო. მარტო ჩემს გადარჩენას რა ფასი აქვსო.

ახსნა სწორი იყო. ფადიშარმა დაასაჩუქრა რამდენიმე ალთუნით ეს პატარა აშუღი და დაუბრუნა თავის სახლს.

ასეთი კაცი იგივე ვირიაო

ერთი ცოლ-ქმარი 40 წლის გახდენ და შვილი არ ყოლიან. დაკლა ამ კაცმა საწირავი, რომ ღმერთო, ერთი შვილი მომეცი და მე მოვიტან რამდენიმე პურს და ჯამის მინარეზე ვირით ევტანო.

გავიდა ხანი, მართლაც მიეცა შვილი. გამოაცხო რამდენიმე პურები და სხვადასხვა საჭმელები, მიიტანა ჯამესთან ვირით, მიიყვანა მინარესთან და მინარეზე ვირმა არ ევდა. მას კი ნათქვამი ქონდა, რომ მინარეზე ვირით ევტან საჭმელსო, მაგრამ ვირმა ველარ ეიტანა.

ვირი გუუშვა საბალახოთ, ის საჭმელები დააწყო ამ ჯამის კალიდორში და ხოჯასთან წავიდა.

– ხოჯა ეფენდი! რა მდგომარეობა მაქ იცი? – ეუბნება ეს კაცი ხოჯას.

– აბა, გვითხარი, – ეუბნება ხოჯა.

– ასე წამომცდა მე, რომ ღმერთო, შვილი მომეცი და ვირით საჭმელს მოვიტან, პურებს მოვიტან, მინარეზე ევტან და იქიდან ხალხში გადმოვყრი. მოვიტანე საჭმელი ვირის ერთად, მაგრამ მინარეზე არ ავიდა ვირი და შენ რას გვიბრძანებთ.

ხოჯამ უთხრა, რომ ვირს მე გინახავო. დოუძახა ხალხს, შეიყვანა თავის ჯამეში. უთხრა ამ ხალხს ხოჯამ, რომ ქვეყანაზე ვისაც დარდი არ აქ და არაფერი აწუხებს, ფეხზე ადგესო.

გამოვიდა ერთ-ერთი კაცი, რომ ხოჯა ეფენდი, მე ამქვეყნად ჯავრი, დარდი არ მაქო. ჩემთან არ იმყოფებაო. ხოჯამ უთხრა, – თქვენ ერთი ათი წუთით მე წამომყევითო. მიიყვანა ხოჯამ ტვირთთან და უთხრა, თუ კაცი ხარ, ის ჭვირთი ამ მინარეზე ამიტანეო, მოკიდა ზურგში, ეიტანეს პური და გადმოყარენ ძირში.

– თქვენ თავისუფალი ხართ, ბატონო! – ეუბნება ხოჯა.

პურის ამტანელი წავიდა. პურის მომტანელი ეკითხება, – ეს რა ქენიო? – რა და, ვნახე ვირი და ევტანე პური და გადმოვყარეო.

რაფერ ეფენდი,–ეკითხება პურის მომტანი.

ისეთი კაცი გამოერია, რომ ამქვეყნად ჯავრი არ ქონია და არაფერი არ აწუხებს და გამოვიყენე ვირათო. ასეთი კაცი იგივე ვირიაო.

* * *

ხალხური გადმოცემა ბერიძეების გვარის აჭარაში შემოსვლის შესახებ

ბერიძეები ცხოვრობდენ ჩოხატაურის რაიონში, სოფ. ხიდისთავში. იყვენ 7 ძმა და ყავდათ ერთი და – თამარი. ბერიძეებს ბატონი თხოვს მათ დას. ბატონი მოხუცი, კუზიანია. ამ ბატონს მოკლენ ბერიძეები და გამეიქცევიან აჭარაში. გაუგონიათ, რომ აჭარაში

არის ტყე, თავშესაფარი. ჩამოვდენ აქ ამ ყაჩაღებმა. და იქ, გურიაში გაათხოვეს შესაფერ ქმარზე.

ძმები შევიდენ სოფელ ხაბელაშვილებში, მაშინ სოფელი არ იყო, იყო ნიგვზები. ნახეს იქ წყაროები, გააკეთეს ჯარგვლები და დეიწყეს ცხოვრება. დარჩენ რამდენიმე ხანს იქ.

თამარის ქმარმა აჭარაში ნახა ორი-სამი კარგი ამხანაგი, გადმეიპარა აჭარაში და ნახა ცოლის ძმები. უთხრა, რომ თქვენ დას ძალიან ენატრებითო, თითქმის გაგიჟებაზეაო.

ხაბულია ბერიძე იყო ძმებს შორის უფროსი. მან 4 ძმა შეიარაღებული გაგზავნა დის ჩამოსაყვანად. თამარს ძალიან ენატრებოდა უფროსი ძმა, ხაბულია ბერიძე. როცა ძმებს მოყავდათ და და მოადგენ აჭარის კუთხეს, დას უთხრეს, რომ ორ-სამ საათში ჩავალთ და ხაბულიას განახვებთო. თამარმა პირჯვარი დაიწერა სიხარულისაგან. სადაც მან პირჯვარი დაიწერა, ამ ადგილს დაერქვა ჯვარის მინდორი და დღესაც ეს სახელი ქვია. ეს ადგილი არის გომის თის მახლობლად, სოფლების: – ახოსა და ცხემლისის იაილის (მთის) მახლობლად. თამარი ჩამოსულა და უნახავს ხაბულია – უფროსი ძმა.

ამ ძმებიდან 4 ძმა ისევ უკან დაბრუნებულა. ხაბულია ბერიძე აქ დარჩენილა. აქედან გამრავლებულა აჭარაში ბერიძეების გვარი. ზოგი ქალის ოჯახზე მისულა, ზოგი ისე გადასულა სხვადასხვა სოფელში. ხოლო იმ ადგილს, სადაც ცხოვრობდენ ეს ძმები და, კერძოდ, ხაბულია, ეწოდება დღესაც ხაბელაშვილები.

შიფრი: ბსკიფა 21, 28.
მთქმელი: შარაბიძე ისმაილ რეჯების ძე.
ასაკი: 45 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ინწკირვეთი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ინწკირვეთი.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

შარაბიძე ისმაილ რეჯების ძე. ცხოვრობს წყლისაყრის ს/ს სოფ. ინწკირვეთში. 45 წლის, იცის ქართული ენა, წერა-კითხვის მცოდნეა, უპარტიო. იცის მამისგან გაგონილი ზღაპრები, გამოცანები.

60 წლის ზევა ხალხს საჭიროა

ძველ დროში ერთ–ერთი სახელმწიფო იყო და ამ სახელმწიფოში დადგენილება იყო, რომ ვინც 60 წლის გახდებოდა, დაკლულიყონა. ხელმწიფის ძმა გახდა 60 წლის. თავისი ძმა ხელმწიფემ დამალა დოლაბში და უარება ამ დოლაბში.

ერთ დროს ქალაქს, სადაც ფადიშარი ცხოვრობდა, შამიეხვია გველეშაპი. ატირდა ხალხი, რა ვქნათ, როგორ გევდეთ ქალაქს გარეთ და როგორ ვიცხოვროთო. ტირილით მივიდა სახელმწიფოს მეთაური, ძმასთან. ძმა ეკითხება, რომ, – ბიჭო, რა მოგვივიდაო?

– რა მოგვივიდა და, დღეს ოთხი დღეა, ჩვენს ქალაქს შამიეხვია გველეშაპი კიდიდან კიდემდე. როგორ მოვიქცეთ, რომ გადავრჩეთო. ხალხი ატირებულია, – უთხრა ხელმწიფემ.

– მაგი ადვილია, – უთხრა მოხუცმა.

– რამე გააკეთე და გიგიშვებთ გარეთ და იცხოვრე, – უთხრა ხელმწიფემ.

ძმამ გუუმარტა, რომ, იყიდეთ დიდი სარკე, სადაც რომ თავი აქ დადებული, იმ თავთან მუუტანოს ვინმე გულვანმა კაცმა და დუუდვასო. იმ დროს, როცა სარკეში გეიხედავს, იფიქრებს, ჩემი ამხანაგი მოსულაო და გეიქცევაო.

მართლაც ასე გააკეთეს დეინახა – სარკეში თავისი თავი და ეგონა ამხანაგი და გეიქცა. სახელმწიფოს მეთაურმა გასცა განკარგულება, საჭიროა 60 წლის ზედა ხალხიცო, გამოსცა კანონი, რომ აღარ დავკლათო.

გამოცანები:

1. ვიცი, არ ვიცი (სიკვდილი, ე.ი. ვიცი რომ მე მოვკვდები, მაგრამ არ ვიცი, როდის).
2. კამსი, კუმსი, კამს არაო, ნადირობს და ჭამს არაო (ხაფანგი, თოფი).

შეპარებული ნათქვამი

ერთი გლეხი მივიდა ყადისთან და უთხრა:
– ქვა გააგორვეს გვერდში,
ძროხა ძოვდა ფერდში,
მას მოხდა მენჯში (და მოკვდა),
ძროხა ეფენდი, ვის გადახდება?

შიფრი: ბსკიფა 21, 31
მთქმელი: ფუტკარაძე მუსტაფ ხუსეინის ძე
ასაკი: 83 წლის
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. დარჩიძეები
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. დარჩიძეები
ჩამწერი: ბერიძე სოსო
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959

შუახევის რაიონი, შუბნის სას/საბჭო, ფუტკარაძე მუსტაფ ხუსეინის ძე. ცხოვრობს შუბნის ს/ს სოფ. დარჩიძეებში. 83 წლის, წერა-კითხვის მცირე მცოდნე, აწერს მხოლოდ ხელს. იცის ქართული ენა, თურქული ენა. ნამყოფია გათუმში, თბილისში, დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში. იცის ზღაპრები, ზღაპრები მოსმენილი აქვს გაბუისგან, ცოდნია მამასაც.

ლათვის აძბავი

Ადრინ დათვი ჭკვიანი ყოფილა. ერთი ქალი წინდას ქსოვდა და მურგვი გუუგორდა. ჩავარდა დათვის ფოქვში. ჩაყვა ფოქვში ქალი და აღარ გამოუშვა დათვმა, შეირთო ცოლად ქალი. ეყოლა ორი ბაღანა. მერე ქალმა უთხრა, რომ, – მე თოკი წამაბი და წყალინა მევტანოო. კეცი გაახურვა. შენ გეიქცევი, ვერ გაგიშვებო. – თოკი წამაბი და გამიშვიო. წააბა თოკი და წევდა წყალზე, თოკი მეიხსნა გოგომ და მუაბა ჯირეკზე. ქალმა აღარ

მოვდა, დუუგვიანდა.

– კეცი ხუხუ, წყალი დუდუ, მარიავ, მოდი! – ამბობს დათვი.

მოსწია თოკი, ნახა, რომ ჯირეკი. დათვმა გამოეკიდა ქალს, მიეწია გოგოს. ქალმა უთხრა დათვს, რომ, – მე დიგიმღერებ და შენ ისამეო. თუ ისამებ, შენ წამოგყვებიო. აბა, დიმიმღერეო. გოგოს პატრონს დიდი ძაღლები ყოლია, თურმე. ქალი კი არ მღერის, არამედ უძახის ძაღლებს, – აყარყაშავ, მაყარყაშავ, აქ მოდითო. მახანში ძაღლები აცვივდენ, დათვი მიმოღენკეს. გოგომ გადარჩა. ჩამოვდა სახლში.

ყარაჯა მონადირე და ტყიკაცი

ველათ ერთი მონადირე ყოფილა. იმ დროზე ყოფილა კაჟიანი თოფი. მონადირეს ყორაჯა რქმევია. მოკლა გარეული თხა. დაანთო ცეცხლი და წვავს და ჭამს. ღამეა ტყეში. ტყის კაცი ყოფილა. დეინახა ცეცხლი და მოვდა ყარაჯასთან. შეწვა ყარაჯამ ხორცი. უთხრა ტყი კაცმა, რომ, მოწიკვე, ძმობილოო. მუუწიკვა. შეჭამეს თხა. – ახლა წევძინოთო, – უთხრა ტყიკაცმა. უუგორდენ. ტყიკაცი აძინებს, რომ ყარაჯაჲ შეჭამოს უნდა. ყარაჯას არ ძინავს, ამასობაში ტყიკაც დეეძინა. ადგა ყარაჯამ, ასწია თოფი და წევდა. ჩოხა ჯირეკზე შამუახვია, გევდა შორეთ და ბრენგვა ტყიკაც. რომ ესროლა და, ტყიკაცი წამოხტა. ტყიკაცმა ჯირეკი მოგლიჯა. მახანში ყარაჯამ მეორეთ აამსო თოფი. ამასობაში კიდე ესროლა. მეგემ ტყიკაც ქალიც ყავს. ქალმა უთხრა, რომ, მე ხომ გითხარი, იმ კბილებსავარცხალას ნუ მიენდობი მეთქი. ტყიკაცი მოკდა. ყარაჯამ გამეიქცა.

ქერიმი

ერიმი ისპიან შაჰის შვილი იყო. ქეშიშის გოგოზე იყო აშუღი. ქერიმი იყო თათარი. გოგოს მამამ იფიქრა, რომ ეს ძალით ამართმევს გოგოს და ღამეში ადგა და გეიქცა. ახლა მეიკითხეს, რომ ქეშიში წასულა. ადგა ქერიმმა და გამუეკიდა ამას. ამ ქეშიშმა მივდა მეგემ ყენდეარ. მივდა აქ ქერიმიც და ერთი ნენეჲ შეხდა 100 წლისა და ნენეს დუუმღერა, რომ გზა მასწავლეო:

აჲ სანა ყურბან ორენ,
აჲ ჰაჯი ნენე.
ბილ იოლიგრათ შეპრი, იარა გედერამ,
სანდადესაე იშდან ოღურ ავარა,
ეიალა სალარან ფარე, ფარე გედერამ
ბენ ქერუმამ ქირაჯიამ ასღუმუნ
ღენდურ იექუმ ყენდეჰარა გედარამ.
ბილ იუროგრაფ, შერი იარა გედერამ.

ნენემ მიხდა და კითხა, – რომ ისპიან შაჰის შვილი ქერიმი შენ ხარო?–მე ვარო; – უთხრა ქერიმმა. ახლა ასლი,–უთხრა ნენემ, –არის ყენდერ (ასლი ქეშიშის გოგოს ქვიოდა, ქე-

რიმს რომ უყვარდა). მოვდა ყენდერ, გამეიცვალა ტანისამოსი და მეიკითხა, რომ, სად არის ქეშიშიო.

მოვდა ქეშიშის სახლში. ნახა, რომ ქეშიში წასულა ქალაქში, დედა და გოგო შინ არიან. ასლის დედა კბილის ამომღებელი იყო. ქერიმმა ეიხვია პირი და მივდა, უთხრა, რომ კბილი მტკივა და ამომიღევო. ახლა დედამ უთხრა ასლის, რომ შენ კალთაში ჩეიწვინე, ცოდვა არიო. დედამ მოსწია კბილი, ამოუღო. ამოუღო ერთი კბილი, უთხრა, რომ, ეგ არ მტკივა, სხვა მტკივაო. უნდოდა, არ ამდგარიყო ქალის კალთიდან. მეორე ამოუღო. არც ეს მტკივაო. მესამე, მეოთხე და ეგ არ მსტკივა, ეგ არ მტკივაო და თლათ კბილები დააგლიჯა.

ქერიმს ძალიან დიეწვა და სისხლიც ჩაუდგა პირში, ამეიღო პლატოკი და მეიხოცა პირი. ეს პლატოკი მიცემული ქონდა იმ ასლის. მისი დაქარგული. ასლიმ პლატოკი იცნა და დედას უთხრა, რომ ეს ქერიმი ყოფილაო.

დედა გეიქცა ქეშიშთან. ამან რომ გეიქცა, დარჩენ ქერიმი და გოგო. ახლა გოგომ უთხრა, რომ შენ ადექი და წადიო, რომ ის კაცს მეიყვანს და შენ დაგაკავებენო. ქერიმი გამოაგდო ოთახიდან გარეთ. რომ გამოუგდო გოგომ კარი, ცქვიტა მუუძრა და ფეხის ქუსლზე მოხდა კარი ქერიმს. კარი რომ მოხდა და ეტკინა, ქერიმმა ასწია ხელები და ღმერთთან თქვა: ჩემი სიყვარული ამას ნახევრის ნახევარი მაინც მიეციო.

ასლის ჩუუვარდა წინწკალი მუცელში.

ასლიმ დუუმღერა:

იენი დუშტუმ ათეშენა ინარამ,
იანდუმ ქერემ ბენი რისვა ეილარამ
ბენი ეშყენ ათეშენა სალანვან,
იენდუმ ქერუმ ბენი რისვა ეილარამ.

ქერემი:

ბიზუმ ეილარდამ სურდუმ გეთურდუმ
ბენუმ ჩექტუჩაგუმ სანუმ ეილენდა
ელბილმასა სენბილურუნ ჰალუმი
ბენუმ ჩექტუჩაგუმ სანუმ ელენდა.
ენგეჩექტი ოꟾუზ იქი დიშუმი
ბენუმ ჩექტუჩაგუმ ხანუმ ეღუნდა.

ასლი:

უღრუნ, უღრუნ დოსტბაღნ გეꟾურდუმ
ელ უზადუფ ღინჯა გულუმ დემადუნ
ბენ იარენ იუზუნდა ვეფა გორმადუნ
იꟾნდუმ ქერემ ბენ რისივა ეილამა.

წევდა ქერიმმა. ამ ქალმა მეიყვანა პოლიცია და ვეღარ ნახეს. მოვდა ქეშიშმა. იმ დროზე ბეგები ყოფილან. 1 ალთუნი მიცა ბეგს, რომ ეს ქერიმი მოაკლევიეო. ამ ბეგმა ყადისთან და მუფთისთან მივდა, უთხრა, რომ ამისი ნება მომეცით, რომ ის მუაკლევიოვო.

ამათმა უთხრეს, რომ – დუუძახოთ, ვნახოთ, რანაირი კაცია და ისე მოგცემთ ნებასო.

მოიყვანეს ქერიმი ყადისთან, ამღერეს ქერიმი, ამღერეს და თქვეს, რომ ამის ნებას ვერ მოგცემთ, რომ მოკლათო. ბეგი გაბრაზდა და მივდა სახლში. სახლში და ყავდა, დამ შეეკითხა, თუ რაზე ხარ გაბრაზებულიო. უთხრა ბეგმაც, რაში იყო საქმე. დამ უთხრა, რომ მაგ საქმეს მე მოვჭრიო, მაგას მე გადავწყვეტო. შამომიდვია შენზეო,–უთხრა ბეგმა,– 1 ოქრო არ გიმიქციოვო.

გოგომ დააძახნია ქერიმი. ქერიმს უთხრა, რომე შენი საქმე მენა გადავწყვიტოვო.

ბეგის დამ ორმოცი გოგო შეკაზმა და ორმოც გოგოში ასლიც იყო ტანგამოცლილი. ქერიმს უთხრა, რომ ამ ორმოცი გოგოს სახელს თუ მოთლი, მაშინ მოგებული იქნებიო, მხოლოდ სიმღერით თუ მოთლიო.

დეიწყო სიმღერით და მოთვალა 40 გოგოს სახელი, უკანიხან ასლიც თქუა. ამ დამ თქვა, რომ ეს ჰაყ აშუღი ყოფილა, ეს არ მეიკლებაო. ამას ასლინა მივცეთო. დუუძახეს ქეშიშს ბეგმა და მის დამ. ბეგმა და მის დამ უთხრეს, რომ ასლინა მივცეთ ქემირსაო. ქეშიშმა უთხრა, რომ მადროვეთ და ხვალ იყოსო. ამ ღამეს ადგა ღამეში ქეშიშმა, გოგო და ცოლიც წეიყვანა და გეიქცა სხვა მემლექეთში.

მეიკითხეს, რომ ქეშიში გაქცევლა. 1 ოქრო ბეგმა შეჭამა, წამოესხრიკა ქერიმი და საცხა ქეშიში იყო, იქ მივდა. იქ ქერიმს გოგო ძალით მიცეს, მამამ ვეღარ მოერია. შეაგდეს გოგო და ქერიმი ერთად ოთახში. ქეშიშმა, თურმე, გოგო მოსირა (დაკოჭა). ჩააცვა ფეხებამდე კაბა და ფეხებიდან ყელამდე დააბა სედეფები. დასირული რომ იყო, დეიწყო ქერიმმა ხსნა და ერთი კუთხიდან რომ ხსნიდა, მეორედან იკეტებოდა. ამას ვერაფერი უშველა, ასწია ჩონგური და დეიწყო სიმღერა:

ბირა ათეშ დუშტი ოზუმა,
მა ილამ ალა გოზუნა,
ოლანდა გელ მეზერუმა
იანარუმ ასლი, იანარუმ
ქერემ ჩიხარ ვერადუმ
ელუმდან გითდი მურადუმ,
იანარუმ ასლი, იანარუმ.

გაუჩნდა ცეცხლი და დეიწვა ქერიმი. ადგა გოგომ და დეიწყო ტირილი. ტირის და მღერის, იმასაც გაუჩნდა ცეცხლი და იმანაც დეიწვა.

მოკრიფეს ძვლები, რაც დარჩა და ერთმანეთზე ახლოს გაუკეთეს საფლავი. ქერიმისა და ასლის საფლავზე ამოვდა ვარდი. შუაზე ამოვდა ეკალი, წავა ვარდები, უნდა ჩეეხუტოს ერთმანეთს და არ უშვებს ეკალი.

ნაცარქექია

ყოფილა სამი ძმა. მესამე ძმა, პაწაჲ, არ მუშაობს. ამას დაარქვეს ნაცარქექიაჲ, იმ დროზე დევები ყოფილან. თქვეს ძმებმა, რომ, ეს წევყვანოთ და დევებს მივცეთო, შეჭამენო. პაწამ თქვა, რომ, იმ დევებს მე რას დავმართებ, ნახეთო. მომეცით მე ერთი თორბა, ჩადევით ორი კვერცხი, ცოტა ნაცარიც ჩამიყარეთო. მიცეს და წევდა დევებთან. ჩევდა დევების ტყეში. დუუღამდა ამას, დაანთო ცეცხლი და დადგა ტყეში. დევებმა დეინახეს, რომ ჩვენ საფარავ ტყეში ვიღაც გვიწვავსო.

გათენდა. გაგზავნეს პაწაჲ დევი. მივდა ახლოს, გახედა, რომ კაცი. იფიქრა, ჯერ გავსინჯავო. ასწია ქვა, მოუჭირა და მოსრისა. ნაცარქექიამაც ამეიღო კვერცხი, ვითომ ქვა, გათქვლიფა, ნაცარიც ამოყვა, შეუბერა და მტვერი გაადინა. დევემ იფიქრა, ეს ჩემზე ჭკვიანი ყოფილაო. დევემ უთხრა, რომ ჩვენ დავძმობილდეთო.

დევების დიდ ძმას ერქვა ბაყბაყი. შადგენ ამათმა და წევდენ დიდ ძმასთან. მიადგენ ღელეს. ნაცარქექიამ შეშინდა, ვერ გეიარა. დევს უთხრა, – მე ნუღარ დამასველებ, მომიკიდეო. მოიკიდა დევემ. შუა წყალში რომ გევდენ, დევემ უთხრა, – რა სუბუქი ყოფილხარო. ნაცარქეცქიამ უთხრა, რომ, მე ზენჯირები მაქ და ის მიკავებსო. – ცოტა გუუშვი აბა ზენჯირიო. ნაცარქექიას ბიზი ქონდა, ამეიღო და ცოტა დააწვა. რომ ეტკინა დევს, უთხრა,– ისევ დეეკიდეო. ცოტა დეეკიდონო. მივდენ დევებთან. გეეგებენ დევები. დევემ უთხრა ძმებს, რომ ეს ღონიერიაო. – რომელია ბაყბაყ დევიო? –იკითხა ნაცარქექიამ. – მე ვარო,–უთხრა ერთმა დევმა. მე შენ ჩემი ღონე უნდა დაგანახვოო. შენ გეეჭენე და ტვერს თუ აადენო.

გეეჭენა დევი, ვერ აადინა ტვერი. გეეჭენა ნაცარქექია და ნაცარი რომ ქონდა, ყვიმი აადინა. შეიძრო თორბა და ჩააგდო, მობრუნდა, მოიდა ბაყბაყ დევესთან. დაპაიჯეს ეს და გააწყვეს კამპანია.

დევებს და ყავდენ ერთი გასათხოვარი, ასწიეს და მიცეს ეს, გახადეს მათი უმფროსი.

ერთხელ ლაპარაკობენ სახლში და ერთმა დევმა მაზე ზეით დაჯდა. მას უთხრა ნაცარქექიამ, რომ შენ ზეით რაფერ დაჯდები, რომ მოვთხრიშო ახლა ეს ჩხირი და დაგარტყაო დიდ ყოშათზეო. დევებმა იფიქრეს, ჩვენ აქ ძმები ვართ და იტყვიან, ვერ გევტანეთო.

დევები შეშაზე დადიან. ახლა ნაცარქექიას მუუწია სირა. მიცეს თოკები, მაგრამ თოკებ ძვილ ზიდავს. წევდა ტყეში, გააბა თოკი ხიდან ხეზე. დეიგვიანა ნაცარქექიამ. დევებმა თქვეს, – სა წევდა ეს კაციო. გაგზავნეს დევე, ნახა, რომ თოკი გაუბამს ხიდან ხეზე. რას შობიო, რომ შეეკითხა, – ესნა მოვთხრიშოვო. დაანებე თავი და მე წევღებო, – უთხრა დევმა.

შემდეგ უთხრა დევებს, რომ – მე ახლა სახლში წასლა მინდაო, რამდენი ჩობანი მყავს სახლშიო. დევებსაც ყავან მეგემ ჩობნები, ცხვრები. გამოაცილეს და გამოაგზავრეს. მეიყვანა ქალი და უთხრა ძმებს, რომ დეინახეთ თუ არა, რაფერი ვყოფილვარო.

ხებერი რომ მოვდა ნაცარქექიას მოსლის შესახებ, ძმის ქალმა გეეგება. დევე, ცოლი, რომ სულ იღებს, ქალი იქცევა მეგემ. დევემ უთხრა, რომ, ესაო რატომ იქცევაო. ეს უხარია და ამიტომ სამობსო. მემრე გეიგეს დევებმა, მარა რაღაი.

სამი ამხანაგი

Სამი ამხანაგი წასულან მოსაგებზე. გუუვლიან ერთ ტყეში. გზა დუურევიან, მოღალულან, დამჯდარან ერთ ადგილ, ფიქრობენ, რომ, ჰა წევდეთ ახლაო. ერთს ჯოხი აქვს ხელში და რაცხას ფურთნის, გახვეტა ზიბილი და ერთი ლამაზი ქვა გამოჩნდა. მივდა ამ ქვასთან, ქენერი უნახა და ამოდვა ხელი. მიახოხვა, რაცხა თვალი გამოჩნდა. ჩაყვეს ხელი, ამეიღეს, ნახეს, რომ თაფლი. – ბიჭო, ეს ჩვენ მოსაგებად მივალთ, ეს რა ვნახეთო. ამათ გეიქცენ ნავალი გზიდან, ჩევდენ ქალაქში, იყიდეს ჭურჭელი და მივდენ.

დეიწყეს თაფლის ამოცლა. წეიღებენ, გაყიდვენ, ამგრუებენ ფარას. მერე ველარ ჩუუცდენ ამათ. სამი არიან, ერთს უთხრეს, რომ შენ ჩადი შით და გვაძლიე. ჩუუშვეს ამხანაგი, მიცეს ჭურჭელი. უუმსო, მიცა; უუმსო, მიცა ის. დეილია ჭურჭელში. ამხანაგებმა თქვეს მერე, რომ ამას ნულარ ამევყვანთო, ფარა ჩვენ გევრიგოთო.

ერთი ამხანაგი დატიეს და წევდენ. ახლა ამან იფიქრა, რომ რა ვქნა მიღალატეს. ამათმა მივდენ სახლებში. კითხეს: – ჰა, წევდა, თქვენ რომ გეხლენო. – ჩამოგვცილდაო, უთხრეს. ამან ლოკა თაფლი ქენერებზე, იქეთ-აქეთ ერეკა. მეგემ ეს არის შაჰმარანის,– (გველთა მეფის) ჭური. ბიჭმა ფეხი მიარტყა და გაშპა. ნახა, რომ რაღაც თვალია. წევდა ამ ოთახში. შიან ზის შაჰმარანი. შეშინდა ამას. შაჰმარანმა უთხრა, რომ – ნუ გეშინია, სახელად ადამიანოვო, მარაო, თქვენზე, ინსანზე არ ინდობაო. თქვენ უუდუღარი ძე გაქვენ ნაჭამიო. დაიჯდუმლა და უთხრა, რომ – მე მოგიარო. დარჩა მასთან 7 წელიწადს. ერთი ამეიგნეშა ამ კაცმა. შაჰმარანმა უთხრა, რომ, რა გინდაო. ჩემი ცოლი, შვილი, ქალი მომაგონდაო და ამიტომო ამოვგნეშეო. მაგრე თუ არი, გაგაგზავრებ შენაო, ჰამა არნა გამამჟღავნო იქაო. – მე შენ რავა იქნება, გაგამჟღავნოვო, – უთხრა კაცმა. მაშინ გამიეყვანა გარეთ, გუუშვა. მოვდა სახლში. კითხეს: – ჰა იყავ?

დამატუზაღეს და მუედიო.

გევდა 5-6 წელიწადი და ერთი ნეფე ავათ გახდა. მოყარა ჰექიმები. რაც ჰექიმებმა უწამლეს, არ ეშველა ამ ნეფეს. ამ ჰექიმებმა უთხრეს ამ ნეფეს, რომ შენ არა წამალი არ მოგიხდება, შენ მოგიხდება შაჰმარანიო. შენ შეგიძლია, რომ ქვეყანა მოყარო, ყველა ხალხი და შენ ხელქვეშ ვინცხას დანახული ექნება შაჰმარანი. – რა მივხდეთ, რომ ვის ექნება დანახულიო. – ჩვენ მივხდებითო, – უთხრეს ჰექიმებმა. შაჰმარანის დამნახველს გავატიტვლებთ და ზურგში ფრულები (ნახიშლები) ექნებაო. ხელმწიფემ გაცო განკარგულება, რომ მოვიდესნა ყველა ხალხიო. შეყარა მის ზაბორში და ჰექიმები ატიტლებენ.

დეილევა ხალხი. მეორე დღეს განკარგულებას მიცემს მეორე ღელის ხალხს, იმათაც გაატიტვლებენ, არ გამოდგება. ბოლოს იმ კაცზე მივა სირა. ხომ არ იციან, რომ რაში იყო საქმე. ნახეს, რომ წელზედაი ნახიშლია. დეიკავებენ და მუუყვანებენ ნეფეს. ნეფე ეტყვის, რომ შენ უნდა მიგვყვე შაჰმარანთანო.

რაღას იქს, მოკლით ემუქრებიან. უმფოსი ჰექიმი წაყვება და 34 მოსამსახურე. მიიყვანს შაჰმარანთან ზეიდან. ახლა ვინ ჩავა იქ? ეტყვიან, რომ შენნა ჩახვიდე ისევო, თუ არა, კისერ მოგჭრითო. გაძრება და გავა შაჰმარანთან.

– ხომ გითხარი, რომ შენ ინსანზე არ ინდობაო, – უთხრა შაჰმარანმა.

– საქმე ასეთი, ასეთი იყო და აგერ მე და აგერ შენო,–უთხრა კაცმა.

შაჰმარანმა უთხრა, რომ მაგრე თუ არი, მე შენ კიდო პატივ გცემო. ჩემი დღე აქობამდი ყოფილაო და მე შენ გაგყვებიო, ჰამა მე თავში მაქ ქვეყნის მარიფათიო, შუაზე მაქ წამალი და კუდის თერეფზე მაქ აღვიო.

მე ექიმი სამად გამჭრისო, სამათ მომხარშავსო, ცალკე ცალკეო დაასხამს საინზე და თავი მან უნდა შესვასო, შუაი–ნეფემ და კუდის ნაწილი დარჩებაო. იმდენი გააკეთე, რომ, როცა დააწყობს ცალკ-ცალკე, შენ შეცვალე საინები, კუდისა თავის ადგილზე დატოვე და თავისა კუდისაზეო. შეცდომით კუდის თერეფს შესვამსო, თავი თერეფიც შენ შესვიო და ყველაფერი გეცოდინებაო. შუასაც ასწევ და წუუღეფ ნეფესაო. ისე გააკეთა და ჰექიმმა შესვა აღვი და მოკდა. მან შესვა თავის კუთხე და ყველაფერი შეისწავლა. მეფეც მორჩა. ეს კაცი გამოკეთდა ბითევად და დეიწყო ცხოვრება.

დედაკაცი

ქეითანი მოპარებია ქალს და ქალი ფეხძიმედ დარჩენილა. ქალს მუცელი ატკენია დროს ათავებამდის. ქალი გუუჭრიან და მომკტარა. ერთ ქალს წუუყვანია და გუუზრდია ბაღანა-დედჯალი. ამ კაცსაც ორი შვილი ყოლია – იუსუფი და ბადრი. ძმებად შეიფიცენ. ესენი რომ გეიზრდებიან, ადგებიან და წავლენ. ესენი მივლენ ერთ ადგილ, რომ ერთი სარაიაა. კარს ვერ მიაგნებენ შესასლელს. დედჯალი მუხებს მიასობს და ავა. შევა, რომ ერთი კაცი მოკლული შიან. იმ კაცს ქაღიდი დუუწერია და შამუხვევია კლავზე. ქაღიდი წეიკითხეს, რომ სახელი ქმევია ცამცუმიანი. ქაღიდზე დუუწერია, რომ მე მომკლა დევემ და ვინცხაჲ, იმას მოკლავს, ჩემი ცოლი და ჩემი ჯაბახანა, რაც რომ მაქ, იგი იმისათვის მიჩუქებიაო. ვინცხაჲ დამმარხავს, ჩემი ქონებაც მისიო.

ძმებმა ითათბირეს და თქვეს, რომ მოვკლათ ამის მომკლელიო. მიყვებიან გზას და შეხედავენ, რომ მოდის იმის მომკლელი სამთავიანი დევე. დედჯალი ეტყვის, რომ, სად მიდიხარო?

– სადაო და ცამცუმიანი უნდა შევჭამოვო.

– ვინ მოგცა მაგის ნებაო? – ვინ რას მიზამს მეო, – უპასუხა დევმა.

– აგერ ვარ მე და მაშინ მოდი და შემჭამე, – უთხრა დედჯალმა.

– მოდი, აბაო, – უთხრა დევემ.

შეიტაკენ ამათ და დედჯალმა შამეიდვა ეს დევე. დევემ უთხრა, რომ არ მომკლაო, ერთ რამეს გეტყვიო, ერთ ადგილ ამფერი ქალია, გასტავლი და ნუ მომკლავო.

– არა, მაინც დაგკლავო.

– აბა, თუ დამკლავ, მე რომ სამი თავი მაქო, სამი თავიდან სამი ჭია გამოვლენო, ერთი – შავი, ერთი თეთრი, – ერთი – ყირმიზიო. ამათ ნუ მოკლავო.

– კარქი, არ დავკლავო, – უთხრა დედჯალმა.

მოჭრა სამი თავი, გამოძრენ სამი ჭია. ძმებმა უთხრეს, რომ მეგენი დაკალიო. დედჯალმა უთხრა, რომ რას მიზმენ ეგენიო.

ადგენ და წევდენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, შებნელდა. მივდენ ერთ ადგილს. დევები არიან ბევრი. ძმები დატია უკან, დამალა და დევებთან გეიბინა – გამეიბინა.

დევებმა დეინახეს. დევებმა ქალს უთხრეს, რომ ჩვენს კარებზე ადამიანი თუ გეიარს, ის დედჯალი იქნებაო. ქალს უთხრეს, რომ, გეიარე და მაგას გუუცინე, დედჯალს ოქროს კბილი აქ, თვალები საცერივით აქო.

მივდა ქალმა ახლოს, დოუწყო სიცილი. დედჯალმა უთხრა:

– რას მიცინი, დევის ქალო, მე სომეხი ვარ, სახელი ანკლია მქვიაო. ვირი დავკარგე და ვირს ვეძეფ, დღეს დავკარქე, ხვალე ვნახავ, ჩემი ბედი ასეთია.

გეიქცა ქალმა და უთხრა, რომ ის სომეხი ყოფილა ანკლიაო. დევებმა უთხრეს, რომ არა ის დედჯალიაო.

დედჯალმა გეიქცა და შევარდა შით, გეისვა ყილიჯი და თლათ დაჭრა დევები. სისხლში ირჩობა და ბოლოს ერთ დაარტყა და გეიღო კარი და დეიცალა სისხლი. დოუძახა ძმებს და წევდენ, ქალთან მიდიან, დევემ რომ ასტავლა.

მიდიან ის ჭიები, რომლებიც არ დაკლა. გზაში გუდუუდგენ და დაამღერეს ჭიებმა, რომ ჩვენ დარეჯანის შვილს (დედას დედჯალისას დარეჯანი ერქვა) ომი უნდა გოუხსნათო.

უსუფს უთხრა, რომ შენ გადი ჩხუბში პირველათო. ამან უარი უთხრა, რომ, ჩვენ რომ გითხარით და არ დაგვიჯერე, ახლა ჩვენ არ გავდივართო. მეორე ძმას უთხრა, ბადრის. იმანაც ასე უთხრა. ეგ ჭიები გახდენ გველეშაპები. თვითონ დედჯალმა გევდა ჩხუბში. დაუწყო ჩხუბი და ორი მოკლა და ერთმა გადაყლაპა ეს დედჯალი. რომ გადაყლაპა, ახლა ძმამ გეეცადა. დაარტყა ყილიჯი ბადრიმ და კუდი მოჭრა. მოჭრილი კუდით ვეღარო დაამტვრია ძვლები დედჯალს.

დედჯალს ჩექმაში ალმასის დანა ქონებია. კუდი რომ აღარ ქონდა, ამეიღო ალმასის დანა და გააპო შიგნიდან; გადარჩა და გამოხტა. გამოვდა ძმებთან და ადგენ და წევდენ ქალთან. მიადგენ დიდ ჭოროხს და ძმებმა ვერ გეიარეს ცხენებით, დედჯალმა გეიარა. დატია ეგ ძმები და ეს ქალი მეიტაცა. მეიყვანა ძმებთან და შეერთდენ.

იმ გოგოს მამას ჯარი ყავდა, დეესია და იჩხუბენ. თელი ჯარი გაწყდა და მამა დარჩა გოგოსი. მამა და დედჯალი ჩხუბობენ. ვერც ერთი ვერ უგებენ. გოგო უყურებს შორედან. გოგომ დოუძახა დედჯალსა, რომე ხმალსა თავზე ნუ არტყამ, მაგით არ მოკდებაო, ძირიდან შამოკარიო. მამამ დოუძახა გოგოს, რომ მე გაგზარდე და ახლა გამაგდევი და კაცს ეხმარებიო?!

მართლაც, დედჯალმა შემოკრა ძირიდან და წააქცია. მეისაქმა ისიც და გაუდგენ გზას. მიყვენ, მიყვენ და დედჯალმა თქვა: რომ ქრისტიანის ღმერთო, ჩემთვინ იმდენი ღონე მოგიცემია, რომე ქვეყანაზე არავინ გამიკლავდაო. მოდი, მეჭედე ერთი, ქირვავო. ღმერთმა უბრძანა, რომ ღმერთს რაფერ დეეჭიდებიანო. აბა, მე ერთ ჯოხს დავასობ და ის თუ ამეიღევი, იქნები მორევლიო.

– კარგიო, – უთხრა დედჯალმა.

დაასო ჯოხი ღმერთმა. მივდა, მოსწია და ამოაძრო ჯოხი.

– აბა, ნუ მეხუმრებიო.

ხელმეორედ დაასო, ესეც ამეიღო.

–თუნა მეჭედო, მეჭედე, ჯოხი რას გიმიკავდებაო,–უთხრა დედჯალმა.

მესამეხელ უთხრა, რომ ახლა დავასობ და თუ ამეიღებო.

მოსწია ჯოხი და დაასო ღმერთმა, თან უთხრა:– ჩადი დედამიწაში და გეისხი ფესვებიო. აბა, მიდი და ახლა ამეიღევიო. მივდა და რამდენი ეწიკა, ვეღარ ამეიღო. უბრძანა ღმერთმა და ეგ წეიყვანეს და დააბეს. რკინის ჰალღა აქ გამოდებული, ზენჯირი ზედ გამოდებული და დაბმულია საქართველოს მთებზე, ვერავინ ვერ დეინახავს მას.

დაბმულია დედჯალი და რკინის ჩივი აქ დასობილი. ჩივთან დადებულია ფუთიანი ურო. ამ ზენჯირს რომ რეკავს, ჩივი წამუა ზეით. გამოექანება ერთი ჩიტი და დაჯდება ჩივზე, აწევს უროს დედჯალი, უნდა დაარტყას ჩიტს, ჩიტი გეიქცევა, დაარტყამს ჩივს და დაამაგრებს ხელახლე.

ასე იქნება დედჯალი ყიამეთამდე, დუნიადაქცევამდე. ყიამეთამდე 5 წლით ადრე უნდა ეიშვას ამ ზენჯირიდან. იმას პურ და ღვინოს, საჭმელს უზიდავს ყვავი. მერე ეიშვებს და მეიბენს ქვეყანას. დაჯდესნა შამის მელეში. მისი კანონი და ოქმი უნდა ატაროს. იმან მხოლოდ ჯამიებში ვერნა შევდეს, ვინცხაი შეასწრებს ჯამეში, ის გადარჩება.

ღისა ფეიღამბერი უნდა ჩამოვდეს ციდან ჯუმა დღეს (პარასკევს). ცის მეშვიდე ყათშია ღისა ფეიღამბერი. ჯუმაზე ხუთბეზე უნდა ევდეს ხოჯა და ენა უნდა დეებას, ხუთბე ვერ უნდა იკითხოს. მაშინ უნდა ჩამოვდეს შამას ჯამი უნიაში, იმანნა ევდეს ხუთბეზე და ხუთბენა იკითხოს. ამის შემდეგ უნდა შეხდეს დედჯალს და დედჯალი უნდა მოკლას. ამის შემდეგ ღისა ფეიღამბერმა 4 წელიწადს მისი კანონი უნდა ატაროს.

ოხრუჯი ნიშნავსო, მთქმელის განმარტებით, შეუბრალებელს.

(ეს ზღაპარი მას უსწავლია ბაბუისაგან, რომელიც გარდაცვლილა 100 წლის ასაკში, როცა ამის მთქმელი, ამჟამად 83 წლის ფუტკარაძე მუსტაფი, ყოფილა 16 წლის. იმის შემდეგ ძალიან ხშირად აყოლებდენ თურმე და არ დავიწყებია. მთქმელი წერა-კითხვის მცირე მცოდნეა. აწერს მხოლოდ ხელს).

ერთი გაბედული ბიჭის ამბავი

ერთხელ შუღეიბ ფეღამბერი გზას დარევია და შეხდენია ერთ დევრიშს. დევრიშისთვინ გზა უკითხავს და მას უთხრობია, რომ გზას გასტავლი თუ იმ მაღალ თაზე ახვალ და ჩამოხვალო. ავალო, – უთხრა შუღეიბ ფეიღამბერმა.

წევდა შუღეიბი, მიაწია მთის ძირში. ხედავს რაღაცა სინათლეს, რომელსაც გარს შამოხვევიან ხალხი. მივდა ახლოს და ნახა, რომ გოგო, რომელიც შორედან ანათებს, ახლოდან კი შავი და ჭრელია. ვერაფერი გაიგო. განაგრძო გზა და ევდა მაღალ თაზე. დეინახა, რომ დედჯალი მიბმულია ზენჯირით. დედჯალმა კითხა შუღეიბას, რომ ქალები თუ შეჯდენ ცხენზეო. შუღეიბმა უპასუხა, რომ, – კიო. დედჯალს ძალიან გახარებია. შემდეგ შეკითხებია დედჯალი: მუხამედ ფეიღამბერი თუ დეიბადაო? კიო, – უპასუხა შუღეიბმა. ეს ეწ-

ყინა თურმე დედჯალს.

დაბრუნდა უკან დედჯალიდან შუღეიბი. დევრიშმა კითხა შუღეიბს: – რა ნახეო? შუღეიბმა უპასუხა, რომ ეს და ეს ვნახე, მაგრამ ისიც უთხრა, რომ ვერაფერი გავიგეო. ვერც ის გავიგე, რატომ მომცა ასეთი შეკითხვები დედჯალმაო.

დევრიშმა უპასუხა: ის გოგო, შორედან რომ ანათებდა და ახლოდან შავი იყო, არის ეს ქვეყანა. ეს ქვეყანაც ამფერია: შორედან კაჲ, ლამაზი ჩანს, ახლოს თუ დოუკვირდები, ჭრელი და შავია.

კითხვები რომ მოგცა დედჯალმა, ეს იმას ნიშნავს, რომ ძველათ ქალები ცხენზე ვერ ჯდებოდენ. რომ გკითხა, ცხენზე ჯდებიან თუ არაო და გუუხარდა. რომ უთხარი,– ჯდებიანო, მან მიხდა, რომ ყიამეთი ახლოვდებაო; რომ ეწყინა მუხამედ ფეღამბერის დაბადება, ეს იმას ნიშნავს, რომ იფიქრა, ეს, ცოტათი დააგვიანებს ყიამეთსო.

შემდეგ ასწავლა დევრიშმა გზა და შუღეიბი წავიდა მისი მემლექეთისაკენ.

სამი ჭკუა

ართ ფუხარა კაცმა ადგა და მოსაგებელში წევდა, მივდა ერთ კაცთან, დადგა სამუშაოთ, წლობით სამ თუმანზე. მერე ათავდა წელი, მიცა ამ კაცმა 3 ალთუნი. უთხრა, რომ მე სამ ჭკუას გასწავლი სამ ოქროზე, თუ გინდაო. უთხრა ამ ფუხარამ, რომ მასტავლეო.

ერთი ჭკუა ეს არის, რომ შენ რაც რომე არ გესაჭიროება, იმას ნუ იტყვი, არ გეხება ნუ შეეხები. მეორეც აართვა და უთხრა, – ფართო გზა რომ იქნება, ვიწროზე არ გეიაროო. მესამე ოქროც აართვა და უთხრა, – თუ არავინ არაფერს გკითხავს, შენ ნუ უპასუხებო. აართვა სამი ოქრო და წევდა.

ცოტა იარა თუ ბევრი, დეეახატაშენ ორი ამხანაგი. გზამ გარიგდა. ერთი ვიწრო იყო და ერთი ფართო. ის ფართო გზაზე წევდა, ვიზრო გზაზე წასულები გაქუცეს.

მივდა ერთ სოფელში. ღამე არ გაათევიეს, დასველდა, დაღამდა, თან ბნელა. მერე ერთი ბიჭი შეხდა და კითხა, რომ ვინ გაათევიებს ღამეს აქაო. ბიჭმა უთხრა,– რომ აქ ერთი აღა გაათევიებს, მაგრამ ცოცხალი ყველა ვერ გამოდისო. თუ ჭკუა გიჭრის, შედიო.

მოვდა ეზოში, დუუძახა. შეპატიჟა აღამ – მობრძანდიო, – უთხრა. ხალი აქ დაგებული აღას, მას ქალამნები აცვია. ვერ ბედავს გავლას. აღამ მოკიდა ხელზე, შეიყვანა ოთახში, ლეგენ-წყალი მუუტანა, ხელები დაბანა. ივახშმეს და აღას ერთი კიტმირი ძაღლი ყავს, დუუდვა მასთან და აჭამა. რომ ივახშმეს და მორეცხა ჭურჭელი, ძაღლის ნაჭამი იმ ქალს დუუდვა და აჭამა. ქალი ყავს დაბმული შიშველი. ქალი ახსნა და ჩემეიყვანა ძირში, ჩემეიყვანა და მეიტანა ერთი შეკონვილი თხილის ჯოხი. გამეიღებს და ცემს ამ ქალს ერთი ჯოხი გატყდება, მეორეს გამეიღებს. ქალი ყვირის, გლეხიც უყურებს და არის.

დალია ჯოხები, ეიყვანა და ისევ დააბა. ამ კაცმა ვერც კითხა, ვერც ჯოხები აართვა, ახსენდება ერთი ოქრო, – თუ შენ არ გკითხავენ, შენ ნუ შეეკითხებიო.

დაწოლის დრო მოვდა, დუუგო ლოგინი, დააწვინა. გათენდა, ადგა ჩეიცვა და, აღავ,

შვიდობითო, – უთხრა გლეხმა. პაწაჲ რომ გამოვდა, აღამ დუუძახა, შეიყვანა ისევ სახლში, დააჭინა.

– მე რომ ეს ქალი ვცემე, ნარეცხი ვაჭამე, რატომ არაფერი მკითხეო. –მე რანა გკითხოვო, ალბათ რაცხა საქმე არის და იმისთვინ არ გკითხეო.

– მაშინ მე თითონ გეტყვიო, – უთხრა აღამ.

– ეგ ქალი ჩემი ცოლია. ჩვენ ერთმანები გვიყვარდა, ერთად დავდიოდით. მე მყავდა ერთი ხიზმეთქარი, არაბი. მეგემ ეგ არაბი შეიყვარა მაგან. ერთ ღამეს გამევლვიძე, რომ ქალი არსად არ არის, მეორე ღამესაც გამევლვიძე, რომ კიდევ არა. ეჭვი შემეპარა, წამოვხტი ლოგინიდან, ვნახე, რომ იმ ხიზმეთქარის ოთახიდან სინათლე გამოდის, გავაღე კარი და ვხედავ, რომ ორივე გაშიშვლებულან და წევანო. გავექანე და მოვხდი იმ ხიზმეთქარს. შევტაკეთ და ამ ხიზმეთქარმა შამომიდვა მე. ამან რომ შამომიდვა ქალმა უთხრა, რომ მე ყილიჯ შამოგიტან და დაკალიო. ქალი რომ ყილიჯზე წევდა, კიტმირმა ძაღლმა დემეხმარა და არაბი ქვეშ შამევქციე, ქალმაც ყილიჯი შამეიტანა და მომცა ყილიჯი, რომ დაკალიო. მაგას ეგონა, რომ ყილიჯი არაბს მიცა. ავართვი ყილიჯი და მოვჭარი კისერი. ქალიც რომ ერთბაშად მომეკლა, ამით ჟინს ვერ ვიყრიდი, ამიტომ მევყვანე და დავაბიო. ამ ძაღლის ნაჭამს ამას ვაჭმევ და არის ასე, ვაწვალებ.

მე რომ კაც დავაყენებ, არ უნდა მკითხოს, თუ რატომ ვაკეთებ ამას. სხვამ სხვისი საქმე არ იცისო. მოდი და ახლა ადამიანების თავებს განახვებო. შენ რომ არც მკითხე და არც ხელი შემიშალეო. ამეიღო და ოქროც აჩუქა.

გამოხტა ფუხარამ და გეიქცა სახლში.

ქალის კურო

ერთ ქალს შეყვარებული ყავს კაცი, ქმარი სახლშია და კურო ვერ მიყავს სახლში. ქალმა მოუწყო და კაც უთხრა, რომ შენ წადი საცხა მოსაგებში და მეიგე, თილმეშარში ძაღლები იყიდება და წეიყვანეო. დააღერა კაცი, გამოუცხო აზუღი და გაამგზავრა ეს კაცი.

კუროს მიცა ხებერი, რომ კაცი გავაგზავრე და მოდიო. კურო მივდა იმ ღამეს, გულაობენ, ერთ ჭკვიან კაცმა შეხდა ქალის ქმარს, რომელიც ძაღლების გასაყიდად მიდის.

– რა გინდა თილმეშარსო? – ძაღლებს ფასი ქონებია და უნდა გავყიდოვო.

შემხდურმა კაცმა იფიქრა, რომ ეს ტყვილია რაცხაო. – ვინ გითხრაო? – უთხრა. – ჩემმა ცოლმა მითხრაო.

კაცმა მიხდა, რაშიცაა საქმე. – ბიჭო, ეგ ტყვილი ამბავია და თუ დამიჯერებ, სახლში წადიო.

– არა, მე იმფერი ქალი არ მყავს, რომ მომატყვილოსო, – მიუგო ამ კაცმა.

– თუ დიმიჯერებ, შენ დაბრუნდი და წამოდი ჩემთან. მივდეთ შენთან და განახვებ, რა ამბავი იქნებაო.

დაბრუნდა კაცი. მოახლოვდენ სოფელზე. უთხრა, რო – წადი, ერთი ბაწარი იყიდე, ერ-

თი მეშოკი იყიდე და ერთიც ხმალი იყიდე, მეიტანე და მოდიო.

წევდა, იყიდა ბაწარი, მეშოკი, ხმალი და მეიტანა ამ კაცთან. მივდენ სოფელში, დაბნელდა. უთხრა, რომ, სად არის შენი სახლიო. ასწავლა ამ კაცმაც.

ეს კაცი ჭკვიანმა ჩადვა ტომარაში. წაუკოჭა თავი, ხმალი ხელში მიცა. მეიკიდა ეს კაცი მეშოკით და მიიტანა მის ეზოში. დოუძახა ქალს, მეიხედა ქალმა. კაცმა უთხრა, რომ – მე მოსაფირი ვარ, ამაღამ ღამე გამათევიეო.

– რა გაქ ეგ ზურგში? – კითხა ქალმა.

– იაღი და თაფლი, – უპასუხა კაცმა.

ქალს კურო შინ ყავს, – მოდიო, – უთხრა ქალმა. იფიქრა, ჩემ კუროს ვერ იცნობს ვერფერი. ქმარი ეგონებაო.

შევდა კაცი შინ, დადვა ტომარა და დეისვენა. ქალმა ჩამოვდა შუაზე და დაამღერა:

აღამ გედარ თიღმეშარა,
ბაიაზ ღარი ონბეშარა,
სიაჰღარი ყირხბეშარა,
აღა ჯაღარი აღთიმიშარა,
საჲ ჰაბღამ საჲ
დონ ჰაბღამ დონ.
აღა წევდა თიღმეშარში,
თეთრი ძაღლები – თუთხმეტ-თხუთმეტად,
შავი ძაღლები – ორმოცდახუთად,
ჭრელ-ჭრელი – სამოცათ.
გაყიდე, გაყიდე,
დაბრუნდი და მოდი.

იმ კაცს უთხრა ქალმა ახლა, რომ იაღი და თაფლი რომ გაქ გასაყიდი, ეგენი მეიტანე და კუროს ვაჭმევო.

სტუმარმა უთხრა ახლა, რომ ერთი მეც დავამღერებო. ქალმა უთხრა, რომ დაამღერეო. კაცი მღერის:

ვაიმე, ჩემო ბამბის ტომარაო,
გესმის ყურსა თუ არაო.
კაცი ტომრიდან:
მესმის ყურსა,
მიკლავს გულსა,
წამიხსენი ტომარაო.

მივდა ეს კაცი, გასჭრა ტომარა, გამოვდა კაცი ხმალით. კურო შეშინდა.

გიექანა კაცი, შუშხა კუროს ხმალი. კუროს მოკლავს, მიუბრუნდება ქალს, ერთსაც იმას შამოკრავს და დაალევიებს სულს.

მოკლულები სულს აძლევენ. სტუმარი და ეს კაცი დაჯდებიან და აბოლებენ ძიგარას. ბოლოს გამეიტანებენ მკვდრებს და გეიქნევენ ფლატეში. ის კაცი ეტყვის, რომ მე ამას ვერ გევგებდი და შენ ახლა ხარ ჩემი მამობილიო.

ქოსას ამბავი

ერთ კაცს ერთი შვილი ყოლია. კაცი ავათ გამხდარა და უთხრობია შვილისთვის, რომ ქოსა კაც ნუ დიელაპარიკებიო.

მამა მოკვდა, შვილმა ადგა და ერთ დღეს საფქვავი წეიღო ვირით. მიიტანა წისქვილზე, რომ ქოსა კაცი. უთხრა ქოსას, რომ რამითათ დამიფქვავო?

– ფუთი ორ კილოზეო,–უთხრა ქოსამ. კაცმა იფიქრა, რომ მეორე წისქვილზე წავალ, იქ ქოსა კაცი არ იქნებაო. თურმე ქოსაი იმ წისქვილსაც უყურებს. მივდა მოკლე გზიდან და დახდა იმ წისქვილში.

– რამდენად ფქვავ ფუთსო? – ეკითხება ეს კაცი.

– ფუთს სამ კილოზეო, – უთხრა ქოსამ.

კაცმა იფიქრა, ბარემ ზევით დავაფქვევ ორ კილოზეო.

დაბრუნდა ქოსაც ისევ იმ გზით, მიასწრო ამ წისქვილში. ამ კაცმაც მეიტანა და დააყარა წისქვილზე. ქოსამ ჭურჭელი მიცა, ჩაყარა ფქვილი და დეიწყო ზელა, ჭადი უნდა გამოეცხო. ქოსამ მოპარა და წყალი ჩუუსხა. გაწყალდა და ისევ ჩაამატა ფქვილი.

დააკრა მჭადი. ქოსამ უთხრა, რომ შენ ისეთი რამ უნდა თქვა, რომ ეს ჭადი ან შენ არ უნდა ჭამო, ან მეო. მობრუნდა ეს კაცი და უთხრა ქოსას, რომ მე მარტო ჭადზე არ მაქ საქმე, მაგრე თუ არისო.

– თუ მომიგევი, ქოსავ, ეს 6 ფუთი სიმინდი უნდა შეგატიო, თუ მოგიგევი, ერთი ამდენი უნდა მომცეო. თანახმა ხარ, ქოსავ?!

– თანახმა ვარო,–უთხრა ქოსამ.

ამ კაცმა დეიწყო, რომ ჩვენ ადგილში მიწა არ არის ბევრი სათესი და წაველ ტყეში. ვნახე ერთი დიდი წიფელა. ავედი ამ წიფელაზე და წვერიდან დევწყევი მისი როკვა. ჩამევტანე წიფელა შუაზე ჩამოსლამდი, ჩავყარე ტანები, დავფინე და გავაკეთე მინდორი, ავზიდე მიწა და დავაყარე ზედანო. გავაკეთე ყანა და დავთესე პური. წავედი მოსავლელათო. ვნახე, რომ მოსულა პური. ევღევი მანგალი და წაველი პურის მოსაჭრელად. მიველ, რომ პური რაცხას უჭამია. მეგემ კურდღელი ასულა და პურ ჭამს. გამოხტა ეს კურდღელი და გეიქცა. ეს მანგალი გევქნიე და მანგალი ტარი კურდღელს შიესო. მანგლის პირმა გეიშვირა და კურდღელი გარბის, პურს თიბავს. ბოლოს კურდღელმა გუდუუხტა. მანგალმაც გამუარდა. ჩავედი ძირს, ავწიე მანგალი, რომ ტარზე ქაღიდი შამოხვენული. მოვხსენი ეს ქაღიდი, გავშალე და წევკითხზე, წევკითხე, რომ წერია: ქოსამ უნდა გედეიხადოს 6 ფუთი სიმინდი.

– მომიგევი. მაგას მე ვერ დავაწყობდიო – უთხრა ქოსამ.

ქოსამ უთხრა, რომ, ეიგერ ჩემი სახლია. მე წავედი. შენ დააფქვიე სიმინდი და გამეიარე სახლში და მოგიწონავ სახლშიო.

მივდა ქოსამ სახლში. ქალს უთხრა, რომ ასე იყო და ახლა რა მუუწყოთ მაგასო. ქალს უთხრა, რომ, მე მოვთხრი მიწას, შენ წამაყარე მიწა, ფოთოლი და უთხარი კაცს, რომ ქოსაჲ მოკდა – თქვა.

დააფქვია სიმინდი კაცმა და გეიარა ქოსასთან. გევდა ქალმა, – რა გინდაო. – ქოსაჲ

ჰად არისო?

ქოსაი მოკდაო.

– როდის მოკდებოდა, ახლა აქ იყო, – უთხრა კაცმა.

– ეიგერ ჩაფლულიაო.

გადმოთხარა მიწიდან ქოსაი, მეიტანა სახლში,

– ქვაბი გამეიტანე და წყალიო, – უთხრა ქალს კაცმა.

გააცხელა წყალი. კაცი ამბობს, რომ ჩემზე ანდერძი ქონდა ნაქმარი, როცა მოვკდე, ტანი შენ დამბანეო.

გააცხელა წყალი და დაასხა ქოსას. კაცი ფიქრობს, იქნებ წამოხტესო.

დაალია ერთი ქვაბი წყალი. ქოსაი არ ადგა. კაცს ეჭვი შეეპარა, მართლაც თუ არ მოკდაო. ამდენი რაფერ გუუძლო 6 ფუთი სიმინდისთვინო. იფიქრა, არ მინდა ამის სიმინდიო. ამ ფიქრში გამუუვლიან ჰარამჯებს (ყაჩაღებს). ამ ქურდებმა მივდენ და კაცმა უთხრა, რომ ერთი ეგ ხმალი მომეცითო. მიცეს ქურდებმა ხმალი, მივდა ქოსასთან და დოუმიზნა. ამას გავჭრი თუ არა ხმალითო. ქურდებს უთხრა, რომ მოდით და ვინიძლაოთ ამის გაჭრაზეო.

ქურდებმა უთხრეს, რომ გაჭარი შენო. აბა მეორეჯერ დოუმიზნებ ხმალს და მესამედ დავარტყამო. ქოსას ესმის ეს ყველაფერი. დოუმიზნა ხმალი, ხელმეორედ დეიტანა ხმალი. მესამედ, ქოსამ იფიქრა, მართლა არ დამარტყასო და წამოხტა ზეზე. არამჯებს შეეშინდათ და გეიქცენ.

ადგა ქოსამ, მუურწყო სიმინდი და მიცა, – შენ არაფერი არ გეშველებაო!

* * *

ართი ზენგილი კაცი ყოფილა და ჰაჯ წასულა. შვილითვინ უთხრობია, რომ მე მივალ და დედაშენი ფეხძიმედ არი. გოგო თუ შეეძინოს, დაკალი და გეიქნიეო, ბიჭი თუ შეეძინოს, იყოს გეიზარდოსო.

– კარგიო,– უთხრა შვილმა მამას.

წევდა ეს კაცი ჰაჯ. დეიბადა გოგო. ამ ძმამ ვეღარ გეიმეტა და ვერ მოჭრა კისერი. გოგო გეზარდა, 16 წლის გახდა.

ერთ დღეს მამიდან წერილი მოუვიდა, – შვილო, მე მოვდივარ სახლშიო. ძმამ იფიქრა, დავკარგავო. უთხრა დას, რომ მე აბანოზე მივალ და შენც წიგიყვანო.

გამოსწიეს ცხენები და წევდენ. მივდენ ერთ ადგილზე. ნახეს ერთი ვერანა, ცარიელი სახლი. დეიწყეს აქ ცხოვრება. დილას გათენდება, გარედან კარებ დუუკლეტს ძმა და წავა ქალაქში. საღამოს მივა. მეორე დღეს ისევ დაკეტავს კარებს.

ერთ დღეს გოგო ეტყვის, რომ, მე რატომ მამწყვრევ, გავალ, მეც გევიარ–გამევიარო. მერე აღარ დუუკლეტია და წევდა ქალაქში.

ამ გოგომ გეძრ-გამეძარა, დეიწყო ეზოს გვა. ერთ ადგილ ნახა ბრტყელი ქვა. მიახოხვა ეს ქვა. ჩახედა, რომ, შიან ზინდანი, შით კაცია ჩაგდებული.

დოუძახა ყუდან კაცმა, რომ აქედან ამომიყვანე და რაც გინდა, ის მთხოვეო. გოგომ უთხრა, რომ, რით ამოგიყვანოვო. თოკი ჩამოუშვი და დემეკიდეო.

– თოკი არ მაქ, – უპასუხა გოგომ.

– ერთი აბაზი ნახე და იყიდე თოკიო.

წევდა ქალაქში გოგო, მეიტანა თოკი და ამეიყვანა. ნახა, რომ არაბი. არაბმა ეიყვანა გოგო სახლში და ნამუსი ახადა.

გოგომ ფეხძიმედ დარჩა. ამას მუცელი გეეზარდა. ძმამაც ერთი ქალი შეირთო ქალაქში და მეიყვანა. არაბმა ეს ქალიც შეაცდინა. გოგოს მუცელი რომ გეეზარდა, შეშინდა, ძმა შეიტყობსო. არაბმა უთხრა, რომ ეგ თქვენი ძმა უმჭსლელ გზაზე გავაგზავნოთო.

– შენ ავათ გახდი, – უთხრა არაბმა, – დაწევი ლოგინში. როცა ძმა მუა, უთხარი, რომ ამა და ამ ადგილს რომ ზღვაში ვაშლია, ის მომიხდება მეო. ადგება და წავა, შეჯდება ცხენზე.

იარას, იარს და გზაზე კაცი შეხდება. ეს კაცი წინასწარმეტყველია. კაცმა უთხრა, რომ შენ ქალების შარზე წასულხარო.

ამ კაცმა ასწავლა გზა და თან დაუბარა, რომ მიხვალ, ვაშლს ნუ შეხედავ, უკუღმა მოწყვიტე და წამეიღეფო.

დეერია გზას ეს კაცი. მოვიდა ერთი ხელმწიფის ეზოში. მოსამსახურე ყარაული ეზოშია.

– ამეღამ ღამე გამათევიეო, – უთხრა მოსამსახურეს.

– ვკითხავ ერთსო, – უთხრა ყარაულმა. შეიყვანეს სახლში. ჰეგბა გოგომ აართვა. გოგომ დაინტერესდა, – ნეტაი, რა აქ ამაშიო. ამეიღო ნახა რომ ვაშლი, რომელიც ამ მემლექეთში არ მოდის. ამოცალა ეს და სხვა ვაშლი ჩაყარა.

გათენდა. ხელმწიფემ გამოვდა და კითხა, რა დერდი გქონდაო. უთხრა რაც დერდი ქონდა. მისცა ხელმწიფემ მისი ცხენი. მივდა მის ეზოში. დატია ცხენი და ევდა სახლში. ევდა, რომ არაბიც შინ არის, დაც და ცოლიც. ადრე უთხრა არაბმა, რომ საყვარელო, თუ შენი ძმა დაბრუნდეს, ყილიჯი დაარტყით და ჩააგდევითო.

ამ გოგომ და ცოლმა დაახტენ ყილიჯს და დამ დაარტყა მხარზე, ცოლმა ვეღარ დაასტრა. ბიჭმა მოტრიალდა, არ ჩავარდნილა, შეჯდა ცხენზე და გეიქცა. მისცა ცხენს გზა და მივდა ხელმწიფის ეზოში. ცხენმა დეიჭიხვინა. ხელმწიფემ გეიგონა და მოსამსახურეს დუუძახა, რომ ჩემი ცხენი მოვდაო. ჩამეიღეს კაცი და ნახეს, რომ თლათ სისხლია.

ეიტანეს ბიჭი ხელმწიფესთან. ამ გოგომ ის ვაშლი შეიტანა და იარაზე მუუსვა. იარა გამთელდა. ახლა უთხრა ხელმწიფემ, რომ რა გინდაო?

– რა და შენი ცხენი და ისევ ყილიჯიო.

მისცა ცხენი და ყილიჯი ხელმწიფემ და გასწია. მივდა მის ეზოში, ევდა სახლში, ერთი გოგოს მოუქნია, ერთიც ქალს და დახოცა ორივე. არაბს უთხრა: მე შენ არ მკვლევდი და ისევ ჩემიანებმა გამიმეტესო. შენ ცოცხლად გტოვებო. ღირსი ხარ ამისო.

დაბრუნდა ბიჭი და მივდა ხელმწიფესთან. ხელმწიფემ თავისი გოგო მისცა მას. ერთი თვის შემდეგ მოითხოვა, რომ ახლა წავალ ჩემ მამის სახლშიო. გაატანა გოგოც და გაგზავნა ხელმწიფემ. მივდა მამასთან, მამაც მოსული იყო. მამამ უთხრა, რომ, სა იყავ, შვილო?

– სა ვიყავ და შენ რომ ანდერძი მიყავ, რომ გოგო თუ იქნება, მოჭარ კისერიო, მე ეს ვერ გავაკეთე, გეჲზარდა და წევყვანე, რომ შენ არ გენახა. შემდეგ მოახსენა მამას, რომ ამ-

ბავი გადამხდაო.

მამამ უთხრა, რომ მე შვილო, რისთვინ გიყავი ეს ანდერძი, ახლა გეტყვიო.

– მე იმ დღეს ჰარამი ხორცი ვჭამე, რა დღესაც დედაშენთან დავწევი და დაორსულდა. ამიტომ ვიცოდი, რომ ის თუ გოგო იქნებოდა, სირცხვილს გვაჭმევდა და გაგვაწბილებდა. ამიტომ დიგიბარე, რომ დაკალ მეთქი.

გამოცანები

1. აჭიჭნილი, დაჭიჭნილი, ბაზარნაქმარი, ქალის სახმარი

(ბუხრის ჯაჭვი).

2. ახალგაზრდობაში მოკაკული, ბერობაში გაშლილი

(ეწერი, გვიმრა).

ჯიბგირი

ერთი კაცი მომკდარა და ქალი უტირის, რომ, ვანო, რატომ მოკდიო, ჩაცმა არ გაკლდა და ჭამაო. 3 ოქრო რომ გქონდა, ის მიგეცა და შენ არ მომკდარიყავიო.

3 ოქრო! ეს ჯიბგირმა გეიგონა მეგემ. ერთს კითხა, რომ ამ ქალს, რომ ტირის რა ქვიაო. – ამასა ნატიე ქვიაო. ეს დეისტავლა ჯიბგირმა.

გავიდა ორი-სამი დღე და გ̈ურბინა ეზოში ჯიბგირმა და დუუძახა. ქალმა გევდა გარეთ-ო, – ნატიე გამარჯობა შენიო. – გაგიმარჯოსო, – მიუგო ქალმა, – შენ რა იცი ჩემი სახელი?

– როგორ არა. ვანომ გამომგზავნა შენთან. ვანო გაცოცხლდა და დამაბარა, 3 ოქრო რომ გაქ, გამოგატანოსო.

ჯიბგირმა ქალს 3 ოქრო აართვა და გეიქცა.

მეგემ ქალს მაზლი ყავს და სახლში არ არის. ორი საათის შემდეგ მაზლმა მოვდა. ნატიემ უთხრა:

– ახალი ამბავი შეიტყევ?

– არა!

– ვანო გაცოცხლებულა.

– როგორ?

– 3 ოქროზე გამოეგზავნა კაცი და გავატანეო.

– სა წევდა ის კაცი?

– ასე, – უჩვენა მიმართულება ქალმა.

მაზლს ცხენი ყავდა და ცხენით გამოეკიდა. ჯიბგირი მალ-მალე უკან მოიხედავს. ხედავს, რომ ცხენოსანი მოდის. ამან გეეჭენა. ერთი გლეხი ყანას ხნავს, ამასთან მოასწრო და გლეხს უთხრა:

– მომეცი, მე ვხნავ და შენ დეიმალე, რადგან ვინცხას თავზე ბანალი არ აქ, იმას თავს ჭრიან.

კაცმა დეიმალა.

მოვდა კაცმა და ეკითხება: – აგზე რომ კაცი მოვდა, სა წევდაო. ასწავლა, რომ ბალზეა მაგერო.

მივდა ხესთან, ცხენიდან ჩამოვდა ჯიბგირმა, უცბად მოახტა ცხენზე და ცხენიც წაიყვანა და ოქროც წაიღო.

მაზლი მიბრუნდა და წევდა სახლში, მივდა ნატიესთან და ნატიე ეკითხება: – რა ქენიო?

– შენ რომ იმდენი პატივი ეცი, მეც ვეცი პატივი და ცხენი მივეცი, მალე მივდეს ვანოსთანო.

ყისმეთი

ერთი ნეფე წევდა თავის მოსამსახურესთან ერთად. ერთი კაცი წყალზე დამჯდარა და ქაღალდს წერავს. ერთ ქაღალდს აღმა აძლევს წყალს, მეორეს – დაღმა. ეს ნეფე უყურებს. ბოლოს შეეკითხა, – რას აკეთებო?

– რას ვაკეთებ და, ვინ ვისი ყისმეთია, იმას ვწერავო.

ამ ნეფეს გოგო ყოლია ერთი და შეეკითხა, რომ ჩემი გოგო ვისი ყისმეთიაო.

– შენი გოგო ამა და ამ ქურთის ბაღვის ყისმეთია, – უპასუხა ამ კაცმა.

ნეფემ იფიქრა, რომ მე ნეფე ვარ და ჩემ გოგოს ქურთის ბაღვს არ მივცემო. ამ დროს მისი გოგოც ქორფა იყო და ქურთის ბიჭიც. დაბრუნდა ნეფემ და გამეიარა ქურთთან. ქურთს უთხრა, რომ შენ რომ ბაღვი გყავს, ის შამომიყვანეო. მიაყვანინა ის ბავშვი და უთხრა, რომ ეს მომყიდე მეო. მიყიდა ქურთმა ეს ბავშვი.

წეიყვანა ნეფემ ეს ბავშვი. გეიყვანეს პაწაჲ ტყეში და აართვა მოსამსახურეს დანა, კრა მუცელში დანა და გეიქნია ბურწუმლებში დანიანა. ჰა და იყოს ყისმეთიო. ნეფემ გეიბინა, წევდა.

ერთი სოფლიდან ერთი დედაბერი ადგა და ბურწუმლებში ბალახის ბღალა დეიწყო. ნახა ბაღვი, დანაჩასობილი მუცელში. წეიყვანა ექიმებთან და ბაღვი მუარჩინეს. დედაბერმა იშვილა. მოკლეთ, ამ ბავშვმა გეიზარდა. ი დანაც დედაბერს შენახული აქ.

გავიდა რამდენიმე ხანი. ნეფე კიდევ მიდის იმ ქვეყანაში მოსავლელად. იმ დედაბერთან მივდა ასე შუადღიხან. ნეფე ტანისამოსში გამოცლილია. ნენემ სუფრა გუუშალა და რომ დაჭრა პური, დანა სუფრაზე დარჩა. ნეფემ დანა დეინახა, ასწია და კითხა:

– ნენევ, ეს დანა ჰა გქონდა შენო?

ნენემ უპასუხა, რომ ეს დანა, ეკლებში ბალახს ვბღლიდი, ბავშვი ვნახე, მას ქონდა მუცელშიო.

– ბავშვი?

– ბავშვი მორჩა, – უთხრა ნენემ.

მეიყვანეს ბავშვი და ანახვეს ნეფეს, ნეფემ კითხა, რომ, შენ წერა-კითხვა იცი თუ არაო.

– არაო, – უთხრა ბავშვმა.

მე ერთ ქაღიდს გაგატან საცხა და მუუტან თუ არა?

კიო, – უპასუხა ბიჭმა.

ნეფემ დაწერა, რომ ამ ქაღალდის მომტანი დაკალითო.

დაბეჭდა და ჩაუდვა ჯიბეში, – მიდი ჩემთან და მოსამსახურეებს მიეციო.

ბიჭმა მიიტანა ნეფის კართან, სახლში ვერ შევდა და ეზოს წინ, წყალთან დაჯდა. დაჯდა ამ წყალთან და დეეძინა. იმ დროზე გოგომ გამოვდა და დეინახა, რომ წყლთან ერთ ბიჭს ძინავს. გამოვდა სარაიიდან და მივდა წყალთან. შეხედა ბიჭ, რომ ქაღიდი აქ ჯიბეში, ყური უჩანს, მიეპარა ძილში და ქაღიდი ამუღო. გაშალა, წეიკითხა, რომ ამის მომტანი დაკალითო. იმ წუთშიო.

გოგომ ეს ქაღიდი დაფრიწა, დაწერა, რომ ეს ბიჭი რაცხა დროზე მუა, ჩემი გოგო მიეციო. დაბეჭდა, როგორც მამამისს ქონდა და ჩაუდვა ჯიბეში. გეიქცა და ევდა სახლში.

გამეიძინა ბიჭმა და ადგა. დეინახა, რომ ეზოში დადიან. ამეიღო ქაღიდი, მიცა მოსამსახურეს. გაშალეს წეიკითხეს, რომ, რაცხა დროს მუა, ჩემი გოგო მიეციო.

ხელათ გაიმართა ქორწილი. მოვდა 10 დღის შემდეგ ნეფე, გეიგო საქმე, უჩვენეს ქაღიდი. მაშინ თქვა, რომ მე შევმცდარვარ, ძალით რომ ვაცილებდიო.

ამქა უსტა

ქოფილა ერთი ფუხარა კაცი. უფიქრია წასლა სხვაგან. ქალითვინ უთხრობია, წევდეთო. წასულან. ერთი ქორფა ბიჭი ყოლიან. დასტუმრებიან ერთ აღას. გათენდა და აღას უთხრა, რომ არ იქნება, რომ მე შენ შეშა მოგიტანო, გემსახურო, ქალმაც გემსახუროს, გარეცხოს, ჭადი დაგიკრას. აღამ გეიხარა, მასაც ეს უნდოდა. ორი თვე რომ გავა, ამ კაცს, ფუხარას, ქალი მუუკდება. ერთი თვე გამუა კიდევ, კაციც მოკდება. დარჩება ობოლი ბიჭი.

ერთხელ აღა ეუბნება ქალს, რომ ეს ქორფა ჩვენ დაგვრჩა, რამე ხელობა ვასწავლოთო. აღამ ასწია ბაღვი და წეიყვანა ქალაქში. მიიყვანა ჭედელთან, რომ ამას გამიუსტავებ თუ არაო. დუუტია ჭედელს. შეიქნა ერთი წელიწადი, მოვდა აღამ, მეიკითხა, რომ ჩაქუჩის დარყტმაც ვერ უსტავლია.

გამეიყვანა იქიდან. წეიყვანა და მკერავს მიაბარა. უთხრა, რომ ამას დაასტავლი თუ არაო. იმასაც დუუტია ერთი წლის ვადით. ერთი წელიწადი გევდა, მეიკითხა. ლემსის აგებაც ვერ ესტავლა. იქიდანაც წეიყვანა და დურგალთან მიიყვანა. უთხრა, რომ ეს ბავშვი ვერაფერი გავხადე და რამეს თუ გახდი, დიგიტევო. დურგალმა უთხრა, რომ დიმიტიეო.

მივდა ერთი წლის შემდეგ დურგალთან და ნახა, რომ კარგი უსტა გამხდარა.

წეიყვანა სახლში, მიიყვანა და აღამ უთხრა, რომ, – მე რომ ბინა მოგცე და მასალა, სახლს ააშენებ თუ არაო? ფუხარამ უთხრა, რომ იმფერ სახლს ავაშენებ, რომ არა ხელმწიფეს ექნებაო.

აღამ მიცა მასალა და ამან შეუდგა სახლის კეთებას. ერთი სარაია ააგო, რომე უკეთესი არ იქნება.

ერთ დღეს, შუადღიხან, ადგა და ცივ წყალზე მივდა. იზარმაცა, წყალი სვა და გამოუწვა. ამ ბიჭს სახელი დაარქვეს ამედ უსტა. ქეიფობს წყალთან და გახედა, რომ მოვდენ 3 გოგო. ამ ერთ გოგოზე აშიღი გახდა ეს. კითხა გოგოს თუ ვისი იყო.

უსტა მივდა მის შენობაში და დაწვა, გარეთ აღარ გამოვდა. მეიკითხა აღამ, რომ სად არი ამედ უსტაო. წევდა აღას ქალმა, ნახა, რომ ლოგინში წევს. კითხეს, რა გინდაო. უთხრა, რომ ამა და ამ გოგოზე ვამ ჩამწვარი და რამეს თუ მიშველითო.

მივდა აღას ქალმა და მოახსენა აღას, საქმე რაშიც იყო. აღამ უთხრა, რომ იმას რა უნდა, ხვალვე მოუვუყვანო.

აღამ შეუდგა საქმეს. ორ დღეში მუუყვანა ქალი. ამან დეიწყო ცხოვრება და სარაია მორთო.

ერთ დღეს ქალმა უთხრა, რომ, შენ რომ ამფერი უსტა ხარ, წადი საცხა, ისაქმე და მეიგეო.

კაცმა უთხრა, რომ ახალი ქალი რაფერ დაგტოვო სახლშიო.

– მე ერთი მოსამსახურე გოგო მომიყვანე და წადი! – უთხრა ქალმა.

ბიჭმა ბევრი იფიქრა და ეჭვი შეეპარა, ხომ არ მიშორებს თავიდანო.

ქალმა უთხრა, რომ შენ რატომ გეშინია. აღას ბიჭები გეიზრდებიან. აღა მოკდება და ამ ბინას აგართმევენ. ჩვენ გლეხები ვართო. ამედ უსტამ ქალს კიდევ ვერ ენდო. იმ დროზე ერთმა კაცმა მოვდა და ქალს ორი ვაშლი მიცა. ქალს უთხრა, რომ ამ ვაშლს ის მარიფეთი აქ, რომე, შენ რომ უნამუსობა გააკეთო, შენი ქმრის უბეში ვაშლი დალპებაო. იმან თუ გააკეთა, შენ უბეში დალპებაო.

ქალმა შეიტანა ეს ვაშლი და უსტას უთხრა, რომ ერთი ვაშლი შენ და ერთი – მეო. ჩვენ ერთმანეთისას ყველაფერს შევიტყობთო. მაშინ ადექი და წადი.

მუუყვანა ერთი მოსამსახურე გოგო და უსტა წევდა. ვაშლი ჩამეიდვა უბეში.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივდა ერთ მეფესთან. დეინახა, რომ სარაიას აგებიებს, 9 უსტა ყავს. ამ დროზე ამ ამედ უსტამ შამურბინა გულიშამ და თავი გააქნია. ამან რომ თავი გააქნია, მეფე მეგემ აკოშკიდან უყურებდა, მეფემ დეინახა.

ამ მეფემ იფიქრა, რომ ალბათ ეს უსტაა და რაღაც არასტორად არის გაკეთებულიო. მეფემ დაუძახა, მეიყვანა მასთან და უთხრა:

– შენ უსტა ხარო?

– უსტა ვარო – უპასუხა ამედმა.

– შენ რომ თავი გააქნიე, რა მიზეზი იყო?

– არ არის სწორად აშენებული.

მეფემ უთხრა, რომ ჩემ სარაიას ნაკლი არ უნდა ქონდეს. შენ ააგებ თუ არაო. ამედ უსტამ უთხრა, რომ მე ავაგებ, მაგრამ ეს უნდა დავანგრიოვო. მეფემ უთხრა,– აბა შენ იციო.

დანარჩენი უსტიები გაგზავნა და ამას მიცა. ამან დაანგრია და დეიწყო შენება.

ერთ დღეს ამეიღო უბიდან და ვაშლს დახედა. ვაშლი მთელი იყო. გუუხარდა და გეიცინა.

მეფეს ეს დეინახა. უსტას დუუძახა მასთან და კითხა:

– რას დახედე?

– არაფერს!

– მე დევინახე, რომ დახედე და გაიცინე.

– ერთ კაცმა გეირბინა, ერთი ვაშლი მომცა და იმაზე გემეცინაო.

– არა, იქ არავინ მოსულა!

რაღა ექნა. უთხრა, რომ ვაშლი მქონდაო. ამეიღო და მისცა. მეფეს გაუკვირდა, ამ ჯიშის ვაშლი ჯერ არ ენახა.

– სად ნახე ეს ვაშლი?

– სახლიდან მოვიტანე.

– როგორ გაძლებს ამდენხან ვაშლი?

მაშინ უთხრა, რომ ასე იყო და ასე, ამას ასეთი მიზეზი აქო. თუ ჩემი ცოლი მიღალატებს, უნამუსობას გააკეთებს, ვაშლი დალპებაო.

მეფემ არ დაიჯერა. მეფემ უთხრა, რომ ეს ვაშლი ჩემთანნა იყოსო. მერე ვალი დეიტია და აღარ მიცა.

მეფემ დუძახა მოსამსახურეს და უთხრა, – წადი შენ და ისეთი კაცი მინახე, რომელიც მოახერხებს ქალებთან მისვლას.

წავა მოსამსახურე. ნახავს ასეთ კაცს ზამფარას. ეტყვის მეფე, რომ შენ შეგიძლია თუ არა ასეთი საქმეო?

– კიო, – უთხრა, – მაგრამ მე არ მაქ ფარა და ცხენიო.

– მე მოგცემო, – უთხრა მეფემ, – ოღონდ ამედ უსტას ქალთან მიდი და ვნახოთ, ვაშლი დალპება თუ არაო.

გაგზავნა ზამფარა უსტის ქალთან. მივა ეს კაცი, მეიკითხავს ამედ უსტას სარაიას. ცხენი დააბა ხანში. ერთი დედაბერი შეხდება, ის ასტავლის ამედ უსტის სარაიას. მისცა ერთი ალთუნი, წეიყვანა ეს დედაბერი, მიუყვანა სკივრების გამკეთებელთან. ეტყვის დედაბერი, რომ ერთი იაშიკი დიმიჭედეთ ისეთი, რომ კაცი შეეტიოს შიან. დააჭედიებს, ჩადებს კაცს იაშიკში და დაუძახებს კურტანჯის. მეიკიდავს იაშიკს და მიიყვანს ამედ უსტის ქალთან. დუუძახებს, გამუა ამედ უსტას ქალი. დედაბერი ეტყვის, რომ შენ საწოლ ოთახში უნდა შეინახო ეს იაშიკიო.

შეუნახა ქალმა იაშიკი.

დაღამდა. ივახშმეს და ამის შემდეგ ამედ უსტას ქალი ეტყვის მოსამსახურეს, რომ ეს იაშიკი ავიღოთ და კაცი თუ არი აქ, ჩემი იყოსო; ტანისამოსი თუ არი, შენი იყოსო. ააღებენ იაშიკს და ამოხტება კაცი. ამოხტება და ამედ უსტის ქალი ეტყვის მოსამსახურეს, რომ შეიყვანე იქით ოთახში, დეიბანოს და შემოიყვანეო. თურმე ქალს გაკეთებული აქ ქვეშ ზინდანი. გეიყვანეს, დაადგმევინეს ფეხი და ჩააგდეს შიგ. დუძახეს, რომ ბამბა ღენკე მაქ, თუ არა, პურს არ ჩამოგიგდებთო.

ეს კაცი აქ ასე დარჩა ერთ თვეს. ნახავს მეფე ვაშლს, ისევ არ დამპალა. გაგზავნა მისი მოსამსახურე. მოსამსახურე მივდა, იმასაც ასე მოუწყო და ჩააგდო ზინდანში.

გავიდა ერთი თვეც. მოსამსახურე არსად ჩანს. ადგა და თვითონ წევდა.

მივიდა ქალაქში. მეიკითხავს ამედ უსტას სარაიას, მეფემ იაშიკში არ დაწვა. მივდა უსტის ქალთან. გამეიხედა უსტის ქალმა:

– რა გნებავთ, რა გინდაო?

– მე მოსაფირი ვარ და საქმე მაქო.

შეიყვანა ოთახში, ყავე მუუდუღა და გაატანა მოსამსახურეს. უთხრა მეფემ მოსამსახურეს, რომ მოვიდეს და დემელაპარაკოსო. მეფემ უთხრა, რომ მე შენთან კაცები გამოვგზავნე, მოიდენ თუ არაო? ქალმა უთხრა, რომ ზინდანში მყავსო. ამეიყვანა ქალმა ეს კაცები მეფესთან. ნეფემ უთხრა, რომ ამედ უსტა ჩემთან არისო.

მეფემ ქალიც წეიყვანა სახლში და წევდა. მეიყვანა სახლში.

ამედ უსტას არაფერი უთხრა. დაუმახა ამედ უსტას და უთხრა, რომ შენ უნდა დაგაქორწილოვო. უსტამ არ ქნა. ბოლოს ძალით შეაგდო ოთახში. ნახა, რომ მისი ცოლი. დაჯდენ და დეიწყეს ცხოვრება.

შიფრი: ბსკიფა 21, 48.
მთქმელი: ფუტკარაძე მუხამედ მევლუდის ძე.
ასაკი: 32 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. დარჩიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. დარჩიძეები.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ფუტკარაძე მუხამედ მევლუდის ძე. ცხოვრობს შუბნის ს/ს სოფ. დარჩიძეებში. 32 წლის. განათლება 8 კლასი. იცის მხოლოდ ქართული ენა. ზღაპრები გაგონილი აქვს ბაბუასგან.

ყენდერ აღა

Aყო ერთი ზარმაცი ყენდერ აღა, არ მუშაობდა და ნაცრებში გორევდა და იყო. მეზობლები უზიდევდენ საჭმელს. ერთ დღეს ერთ მეზობელმა მოიტანა თაფლი, ნახევარი შეჭამა და ნახევარი შეინახა, რომ შუადღიხან ვჭამო. შუადღიხან ნახა ეს თაფლი, რომ შეუჭამიან ჭინჭველებს. ეიღო და დაარტყა მუშტი ჭინჭველებს და 3 მოკლა.

ბოლოს იფიქრა, რომ ასეთი ცხოვრება არ იქსო და ადგა და წევდა. მივდა ქალაქში. ნახა ერთი ჭედელი უსტა. უთხრა ამ ჭედელს, რომ ერთი ყილიჯი უნდა გამიკეთოვო. ტარზე უნდა ეწეროს, რომ ამის პატრონი მჯიღით კლავს სამს და ხმლით რამდენს მოკლავსო.

დაბრუნდა სახლში. გზაზე შეხდა ერთი კაცი, რომელიც ტიროდა. ამ კაცს შეეკითხა, რომ რაზე ტირიო. კაცმა უპასუხა, რომ მე გასავალი ვარ დევებთან, რომ სახლში წევდევო. ისინი კი შემჭამენო. ყენდერ აღამ უთხრა, რომ იმ დევებთან მე გაგაცილებო და წეიყვანა ეს კაცი. წეიყვანა და დევების სახლს რომ მიუახლოვდა, გზაზე დახდა უმცროსი დევი. უმცროს დევმა ყენდერ აღას ყილიჯს რომ დააკვირდა, შეშინდა. ყენდერ აღას მეორე კაცმა ამასობაში გამოსავალი ნახა და გეიქცა თავის სახლში.

ყენდერ აღა უმცროს დევმა შეპატიჟა სახლში. რომ მიიყვანა სახლში, მეორე ძმა დევებსაც შეეშინდენ და თქვეს, რომ მევეფეროთ, თუ არა გვცემსო და დაგვხოცავსო.

მერე თქვეს დევებმა, რომ, – ეს თუ მაგარია, გარეთ რომ გავა, მეიხსნის ყილიჯს და დატოვებსო, თუ მშიშარაა, მაშინ არ მეიხსნისო.

ყენდერ აღას რომ გარეთ გასლა დაჭირდა, ყილიჯი კედელზე ჩამოკიდა. დევებმა იფიქრეს, ეს დიდი უშიშარი ვინმეაო.

ერთ დღეს უმცროსი დევი ქალაქში წავიდა. თურმე იმ ქალაქშიც ერთი დევია წყალზე, რომელიც დღეში ერთ ადამიანს ითხოვს, რომ წყალი მიცეს ქალაქს. იმ დღეს ფადიშარის გოგოს უწევს სირა. ფადიშარმა გაცა განკარგულება, რომ, ვინც იმ დევს მოკლავს, აუარებელ ქონებას ვაჩუქებო.

უმცროსმა დევმა ქალაქში ეს რომ გაიგო, თქვა, რომ ამას თუ რამეს უშველის, ჩემი სიძე ყენდერ აღაო. მიირბინა ფადიშართან და უთხრა, რომ მაგას თუ რამეს უშველის, ჩემი სიძე ყენდერ აღაო.

ფადიშარმა გაგზავნა კაცები, რომ ყენდერ აღა მეიყვანეთო.

ყენდერ აღასთან რომ მივდენ, ყენდერ აღამ უთხრა, რომ ცოტა მაცალეთ და წამუალო. ყენდერ აღა შეშინდა ძალიან, დევები დააძინა და გეიქცა. ცოტა იარა თუ ბევრი, მივდა შემთხვევით სწორედ იმ წყალთან, სადაც ეს დევი იყო და იკავებდა წყალს. დევმა რომ ყენდერ აღა დეინახა, ძალიან გუუხარდა, რომ ეს ხევსი მოსულაო. ადგა დევი და წევდა ყენდერ აღისაკენ. ყენდერ აღა შიშისგან ხეზე ევდა, ამ დევმა ეს ხე ერთი ღონივრად მოაჯანჯგალა და ყენდერ აღა გადმოვარდა. გადმოვარდა და დევს დეცა ზურგში, მოკიდა ყურებზე ხელი. დევმა იქით ირბინა, აქეთ ირბინა და ყენდერ აღა ზურგიდან ვეღარ მეიცილვა. ამასობაში ეს დევი მივარდა სწორად მეფის სახლთან. ყენდერ აღამ იყვირა დევის ზურგიდან, რომ ციხის კარი გახსენითო.

დევმა გაქანებული ციხეში შევარდა. ყენდერ აღა, დევის ციხეში შესვლისხან, გადმოხტა და მიხურა კარები.

მეფემ ყენდერ აღა დაიბარა სახლში და აჩუქა რამდენიმე ოქრო.

შიფრი: ბსკიფა 21, 49.
მთქმელი: სირაძე აკაკი ვეზირის ძე.
ასაკი: 17 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. დარჩიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. დარჩიძეები.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

სირაძე აკაკი ვეზირის ძე, ცხოვრობს შუბნის ს/ს სოფ. დარჩიძეებში. 17 წლის, განათლება I კლასი. ზღაპრები გაუგონია მოხუცებიდან. ნამყოფია ბათუმში, თბილისში.

ორი ძმა

ყვენ ორი ძმა, ერთი ჭკვიანი და ერთი ბეჩი. ამ ჭკვიან ძმას ყავდა ცოლი და სულელს არ ყავდა. ეს ჭკვიანი ძმა ყიდდა და ყიდულობდა. ერთ დღეს ამ სულელ ძმამ თქვა, მეც წევყვან ერთ ძროხას და გავყიდიო.

წაიყვანა ერთი ძროხა გასაყიდად. მივდა ერთ ხის ძირში, მიაბა ხეზე და წევდა სახლში.

სახლში რომ მივდა, ძმამ უთხრა, რომ სა წეიყვანე ძროხაო? სულელმა უთხრა, რომ ძროხა ხეს მივყიდეო. – ფული აართვი თუ არაო? – ფულს სამ დღეში მომცემსო.

როდესაც გამოვდა სამი დღე, მივდა, ნახა, რომ ძროხა მომკვდარიყო. მომკვდარიყო და ყვავები ჭამდენ. სახლში მივდა და თავის ძმას უთხრა, რომ ქორწილობა ქონდა და არ ცალოდათო. ცოტა ხნის შემდეგ მომცემსო. როდესაც გავიდა ხანი, მივდა ხის ძირში და ეს ხე მოგლიჯა. მის ძირში იყო 3 კოდი ალთუნი. წამოიღო სახლში, გზაში მას ჩრდილი მოსდევდა და ეგონა, რომ ერთ მივცემ, აღარ წამომყვებაო. სახლში რომ მივდა, ნახევარი აღარ ქონდა. თავის ძმამ გადაწყვიტა, წასულიყო სხვაგან, გადასახლებულიყო. ცოლს უთხრა, რომ ნამცხვრები გამუაცხე და ხვალ წავიდეთო.

ერთ დღეს ცოლმა გამოუაცხო ნამცხვრები, ჩადვა იაშიკში და წასასლელად მიემზადნენ. ეს შეიტყო სულელმა ძმამ. მივდა და იაშიკში ჩაჯდა. აკიდეს ვირ და გაუდგენ გზას. გზაში, სადაც დუუღამდენ, ჩამოხსნეს ტვირთი, დაინახეს რომ შიგ ძმა იყო. დაწვენ ზღვის ნაპირას და ეს ძმა ზღვის ნაპირას დააწვინეს. შუაღამიხან ამ ძმამ გადმოვიდა აქეთ და მის ძმის ცოლი მიიყვანა ნაპირზე. ძმამ, როდესაც შუა ღამე იყო, ეს „ძმა“ გადააგდო. დილას რომ ადგა, დაინახა, რომ ძმა ცოცხალი იყო, ცოლი მკვდარი.

წამოიდენ სახლისკენ, მივდენ ერთ დევთან მოჯამაგირედ. სულელი ძმა თხებს აძოებდა, ჭკვიანი დევის დედას უვლიდა.

ერთ დღეს სულელმა ძმამ ავიდა მსხალზე, მსხალს რომ რეკავდა თხებს დუუძახა, რომ მსხალი შიმინახეთო. თხებმა მთლიანი მსხალი შეჭამეს და ერთ-ორ თხას ქიებში დარჩენოდა მსხალი, დაკლა თხები. როდესაც მივდა სახლში, ძმამ უთხრა, რომ სა წეიყვანე თხებიო? თხებმა მსხალი შემიჭამეს და დავკალიო. მეორე დღეს ჭკვიანი ძმა წევდა თხებში, სულელი დატოვა დევის დედასთან მოსავლელად. ამ სულელმა ძმამ გაუკეთა ფაფა ცხელ-ცხელი. მოკვდა დევის დედა და გადააგდო ახორს უკან. როდესაც მოვდა ჭკვიანი ძმა საღამოზე

და დევის დედა მოკლული დახდა, მან თქვა, რომ მოვდა დევი, მომკლავს და გავიქცეთო.

ჭკვიანმა აიკიდა ლოგინი და ბიჭმა რკინის კარი, გუუდგენ გზას. დაუღამდათ ერთ ადგილას, ავიდენ ხის წვერში. შუაღამისას მოვიდენ დევები და დაიწყეს ქეიფი ხის ძირში. როდესაც ნახევარი ძლივს შეჭამეს, სულელმა ძმამ უთხრა, რომ გაუშვა უნდა კარიო და გაუშვა რკინის კარი. დევებმა გეიქცენ. ძმებმა ჩამოვიდენ ძირში და დაიწყეს ჭამა. ამ დროს მოვიდენ დევები და დაიკავეს ჭკვიანი ძმა. ჭკვიანი ძმა ეუბნება სულელს, მომეხმარე მომკლან უნდაო. სულელი ეუბნება, რომ ჯერ გავძღე და მერე მოგეხმარებიო.

ბიჭისა და დედაბრის ამბავი

Ყო ერთი კაცი. ამ კაც ყავდა ერთი შვილი. მამამ უთხრა თავის შვილს, ყანაში უნდა წავიდეო და შენ აქ დარჩიო, მაგრამ შვილმა უარი განაცხადა, მეც თან წამოვალო.

– მაშ, თუ წამოხვალ, იქ ისეთი ადგილია, რომ წყალი არ იშოვება. შვილმა უპასუხა,

– მაშ, თუ ასეა, არ მომწყურდება.

მამა დიეთანხმა შვილს და წაიყვანა ყანაში. ყანაში როდესაც გავიდენ, შვილმა უთხრა, რომ წყალი მომწყურდაო.

– მაშ, თუ მოგწყურდა, მაგერ იქით ცოტა გადი და იქ პატარა წყაროა და დალიე. მასთან ახლოს არის ერთი ვაშლი და იმ ვაშლს ზედ არ შეხედო.

შვილი დაეთანხმა მამას. გავიდა, წყალი დალია და ვაშლს შეხედა მაინც. როდესაც შეხედა ვაშლს, მოწონდა, ავიდა ზედ და დაიწყო ჭამა. ჭამა რავაც დეიწყო, ამ დროს გამეიარა ერთმა მოხუცმა ქალმა, რომელსაც წამოკიდული ქონდა გუდა და ამ გუდით ის დადიოდა სოფელში. მოხუცმა დოუძახა ვაშლზე ბავშვს:

– შვილო, ერთი ვაშლი გადმომიგდე.

ბავშვმა მოტეხა ერთი ტანი და გადაუგდო.

მოხუცმა უთხრა:

– ეს კოტორი ყველა დაწყდა, ამიტომ ფეხი დაადგით, დამიწიეთ და მე თვითონ მოვტეხ.

ბიჭმა დაადგა ფეხი, ტანი დოუწია, მოხუცმა მას დიეწიკა ფეხზე და გუდაში ჩააგდო. წაუკოჭა თავი, არ გეიქცესო. როდესაც მივიდა სახლში, თავის ქალიშვილთან დატოვა და უთხრა, რომ მე მივდივარ სოფელში რძის საკრეფად. შენ ეს ბიჭი მოკალი ჩემ მოსლამდე. დაჩეხე ცულით, დასჭერი ისე, როგორც ხორცი და ჩაყარე ჩვენს ჭურჭელში. მოხუცის ეს სიტყვები ესმოდა ბიჭს.

ის ქალიშვილი ამ ბიჭმა მოკლა, დაჭრა და ჩაყარა ჭურჭელში. დოუნთო ცეცხლი და იხარშება. მან თვითონ კარიდან ავიდა თავანში და დეიწყო კატასავით ჭყავილი.

მივიდა დედაბერი სახლში, დეიწყო ყვირილი, – ოხ, რა კარგია, ჩემ შვილს ის ბიჭი დუჩეხიაო. ერთხელ ამოიღო ხორცი, – ძალიან კარგიაო. ბოლოს ნახა თავისი შვილის ძუძუ და იკივლა, – ვაიმე, ჩემი შვილი დუჩეხიაო. გახედა, რომ ის ბავშვი თავანშია. დოუძახა: –

შვილო, შვილო, მაქ საიდან ეხვედიო? ბიჭმა უპასუხა, რომ დამპალი კიბე მოვიტანე და იმით ევედიო. მოიტანა დამპალი კიბე, შუა კიბეზე რომ ევდა, გატყდა კიბე და ჩამოვარდა დედაბერი. მერე ბავშვმა უთხრა: საჩეჩელი საჩეჩელზე დავდევი და ევედიო. მეიტანა საჩეჩლები, დააწყო დედაბერმა და ავიდა, გადმოვარდა და დაეცა საჩეჩელზე. დედაბერი მოკვდა, სახლი ბავშს დარჩა.

შიფრი: ბსკიფა 21, 52.
მთქმელი: ივანაძე როლანდი სულეიმანის ძე.
ასაკი: 17 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჯაბნიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის, სოფ. ჩირუხი.
ჩამწერი: გერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ივანაძე როლანდი სულეიმანის ძე– ცხოვრობს დღვანის ს/ს სოფ. ჯაბნიძეებში, 17 წლის, განათლება 1 კლასი, წამყოფია გათუმში. ზღაპრები გაუგონია ბაბუისგან, მასალები ჩაწერილია ჩირუხში.

სამი ძმა

Ყო ერთი მოხუცი კაცი. მას ყოლია სამი ვაჟიშვილი და ამ ვაჟიშვილებს უნდოდათ ენახათ ისეთი ცოლები, რომლებიც დები იქნებოდენ. მამამისმა დააბარა, რომ პირველ ადგილს რომ მიხვალთ, იქ არ დეიძინოთო. მუა ისეთი მხეცი, რომ თქვენ შეგჭამსო. სამ ძმამ არ დაუჯერა მამას და დაიძინეს. მაგრამ უფროსმა ძმამ არ დაიძინა. და ცოტა ხნის შემდეგ დაინახა დევები მოდიოდნენ. უფროსმა ძმამ ადგა და დევები დახოცა. შემდეგ, როდესაც გამოაღვიძა ძმები, ეს ამბავი არ უთხრა და წავიდენ მეორე ადგილას ტყეში. დაინახეს ორსართულიანი ქვის სახლი. ამ სახლში ცხოვრობდენ დევები, რომლებიც ადამიანს ჭამდენ. უფროსმა ძმამ მივდა ამ სახლში და გაიგონა დევების ხმა, რომ კარტს თამაშობენ. მან დაიძახა, რომ ამ სახლში ვინ ცხოვრობსო. ეს გაიგონა უფროსმა დევემ და უთხრა ერთს, – ჯერ შენ გადიო. გავიდა ერთი დევი და უფროსმა ძმამ ეს მოკლა.

ეს დევი რომ არ შამოვიდა, მეორე გავიდა და იგიც მოკლა. ასე დახოცა ეს დევები. შევიდა უფროსი ძმა ერთ ოთახში, გატეხა კარები და ქალები დაანაწილეს. მისი ცოლი ძმებს გამოატანა და თვითონ წავიდა სხვა ადგილას. მივიდა ერთ ადგილს და დაინახა მხეცი, რომელსაც სძინავდა. რომ ამოისუნთქავდა, კლდეებს იქეთ აგდებდა; რომ ჩაისუნთქავდა, მისკენ მიქონდა.

ეს ბიჭი ძლიერი იყო. ამოეკრა ერთ კლდეს, როდესაც მხეცმა ჩაისუნთქა, კლდეებმა ძვრა დიწყეს. მოვიდა კაცი მხეცთან, მიეპარა, დაარტყა ხმალი, მაგრამ ერთი ბალანიც არ გაჭრა.

მხეცმა გამოიღვიძა. მხეცს უნდა მოეკლა კაცი. ბიჭმა უთხრა: – შენ წაქცეულზე მაგარი ხარო. ასე თუ არ იყო, მაშინ მე მოგკლავდიო. მხეცმა უთხრა, – მე არ მოგკლავ, მაგრამ ერთ რამეს დაგავალებო: – მეორე სახელმწიფოში ხელმწიფეს გოგო ყავს და ის მომიყვანეო,

თან მიცა ერთი ბეწო ბალანი, თუ გაგიჭირდეს, გამიხსენეო. ბიჭი წავიდა ამ გოგოს მოსაყვანად. მოვიდა ერთ მოხუც ქალთან და უთხრა, დამაყენეო. დააყენა ეს მოხუცმა. პირველ ღამეს ბიჭი ჩაიკითხავს ერთ მუხლ ლოცვას და დაესიზმრება შავი ყოჩი. მეორეჯერ ჩაიკითხა მეორე ღამეს დაესიზმრება ისევ ისეთი ყოჩი. მესამეჯერ დაესიზმრა და შავი ყოჩი ცხადად იქცა. ამ ყოჩს იმხელა რქა ქონდა, რომ შით ერთი კაცი და ერთი თვის მარაგი საჭმელი ჩაეტეოდა. ამ ბიჭმა მოხუც ქალს არ გააგებინა ეს ამბავი და მან ერთი თვის მარაგით წევიდა ამ რქაში. მოხუც ქალს დაავალა, რომ ამ ყოჩს მაინც აგართმევენ და ხელმწიფეს აჩუქვეო.

მართლაც, მოხუცმა ქალმა წაიყვანა და ხელმწიფეს მისცა. ამ ხელმწიფემ საჩუქრად ერთი კოდი ალთუნი მიცა.

ხელმწიფეს თავისი გოგო მიწის ქვეშ, სახლში ყავდა. ხელმწიფემ თქვა, რომ ყოჩს გოგოს ვაჩვენებო. ჩაიყვანა ხელმწიფემ და გოგოსთან დატოვა. ამ ბიჭმა გამოვიდა რქიდან, გოგო შეიყვანა შით და გაჩნდა ზედაპირზე. ხელმწიფეს ჯარები ყავდა დაყენებული, რომ გოგო არავის მოეპარა. ამოვიდა ბიჭმა და ეს ჯარები დახოცა და ყოჩმაც გაქრა. შემდეგ მას გაუჭირდა გოგოს წაყვანა. მან გაიხსენა ის მხეცი და მხეცმა ორივე მოიყვანა ადგილზე. ამ მხეცმა ეს გოგო ქვაბში ჩააგდო, რომ არავის მოეპარა. ამ მხეცს ყავდა სამფეხა ცხენი და ეს ცხენი ბიჭს აჩუქა. ამ ბიჭს უნდოდა იმ მხეცის მოკლა. სამფეხა ცხენმა ასწავლა მხეცის ხმალი და ბიჭმა მხეცი მოკლა. შემდეგ გოგო წამეიყვანა. როდესაც მოვიდა, მის ცოლმა დაინახა, რომ მეორეც მოყავდა, ეწყინა, მაგრამ არაფერი უთქვამს. გამართეს ქორწილი სამივე ძმებმა. უფროსმა ორი ცოლი შეირთო.

სიბერეში სიკარგე

Aყო ერთი ცოლ-ქმარი და ამ ცოლ-ქმარს ყავდა სამი ვაჟიშვილი. მამა იყო მეცხვარე. ამ კაცმა ერთხელ ნახა სიზმარი, რომ კითხეს, სიკარგე სიბერეში გინდა თუ სიახლეშიო. ეს მეორე ღამესაც ნახა და ქალს უთხრა, რომ, რა ვთქვათო? ქალმა უთხრა, რომ სიბერეშიო.

ერთხელ კაცი წასული იყო. ქალთან მოვიდა ერთი რუსი აფიცერი შარვლის მოსაკერებლად. ის ქალი მკერავი იყო და კარგად მოკერა. ამ რუსს მოაწონდა და მოიტაცა. როდესაც დაბრუნდა ქმარი სახლში, მის შვილებმა უთხრეს ეს ამბავი. ქმარმა ეს შვილები წაიყვანა, მივდა ერთ ხიდზე და ერთი შვილი აიღო ხელში, გაიყვანა, დადვა და მეორეზე გამოვიდა. ეს პირველი შვილი მგელმა მოიპარა. მეორე და მესამე მეწისქვილემ გაზარდა, მამამისი კი წავიდა ერთ სახელმწიფოში, სადაც ხელმწიფე არ ყავდენ და ირჩევდენ. მათ ყავდენ ერთი გვრიტი. ამ გვრიტმა დააჯდა ამ ღარიბ კაცს. ეს კი არ იკადრეს და მეორეთ გაასინჯვეს. კიდევ მასთან მივიდა. ეს მოხუცი ერთ კუთხეში დამალეს. ჩიტი ამ ხალხში ვისაც დააჯდებოდა, ის იქნებოდა ხელმწიფე. იფრინა, იფრინა და არვის არ დააჯდა, მივიდა და ამ კაცის კუხნას დააჯდა. მაშინ დანიშნეს ეს ღარიბი ხელმწიფედ.

ბიჭები რომ დაიზარდენ, მათ არ იცოდენ, თუ ძმები იყვნენ.

ერთხელ იმ აფიცერმა, რომელმაც მათი დედა გაიტაცა, ეს ბიჭები მორიგეებად დანიშნა, რომ ქალი არვის მოეპარა, რადგან ის სხვაგან მიდიოდა. ამ ბიჭებმა დაჯდენ და დაიწყეს თავიანთი თავგადასავლის ლაპარაკი. გაიცნეს ერთმანეთი, რომ ძმები ყოფილან. ეს ლაპარიკი ამ ქალმაც გაიგონა და დაიძახა: – შვილებო! შევარდენ და გადაეხვიენ. რომ მოვიდა ოფიცერი და დაინახა, რომ ის კაცები ქალთან შესულიყვნენ, ხელმწიფესთან, გაასაჩივრა. რომ მივიდენ, დედამ და შვილებმა ხელმწიფესთან, მოუყვენ თავიანთი თავგადასავალი და მიხვდა ეს ხელმწიფე, რომ მისი ცოლი და შვილები ყოფილან.

ხელმწიფემ ოფიცერი მოკლა, მათ კი დაჯდენ და დაიწყეს ცხოვრება. აი, მართლაც გამოდგა სიბერეში სიკარგე.

ციმბირის კატა კატუნისძე

Ყო და რა იყო, იყო ციმბირის კატა კატუნისძე. ერთხელ ციმბირის კატა კატუნისძე გავიდა ღრმა ტყეში. შეხვდა მელია. კატა კატუნისძე აიბუჯგა, მელიას შეეშინდა და უთხრა, – სად მიდიხარო, ძმობილო.

– შვილების საძებნელადო. შენ სადაური ხარო, – მე ვარ ციმბირის კატა კატუნიძე. მელამ უთხრა: – მოდი, დავძმობილდეთო. დაძმობილდენ და გაუდგენ გზას. ციმბირის კატა კატუნისძეს უთხრა მელიამ, შენ აქანე იყავი და მე საჭმელს მოვიტანო. მელამ წავიდა. გზაში შეხვდა მგელი.

– სად მიდიხარ ძმობილო? – კითხა მგელმა.

– ციმბირის კატა კატუნისძესთან, – უპასუხა მელიამ.

– მეც წამიყვანე.

მელიამ უთხრა, რომ თუ საჩუქარს არ მოიტან, შეგჭამსო. შემდეგ შეხვდა დათვი.

– სად მიდიხარ, ძმობილო?

– ციმბირის კატა კატუნისძესთანო,–უთხრეს დათვს.

– მეც წამიყვანეთო,–უთხრა დათვმა.

– საჩუქარს თუ არ მოიტან, შეგჭამსო.

დათვმა ხარი წაიყვანა, მგელმა – თხა და მივიდენ. მივიდენ და უთხრეს მელას, აბა, დაგვანახე ციმბირის კატა კატუნისძეო. მელიამ უთხრა, რომ თქვენ დაიმალეთ და მე გამოვიყვანო.

გამოიყვანა მელიამ კატა კატუნისძე, დაიწყო ხორცის ჭამა და ჭყავილი. მელიას უთხრეს, – რას ამბობსო?

– რას ამბობს და ეს რა ცოტა არისო. მგელს უნდა, რომ ციმბირის კატა დაინახოს და წამოდგა, გეეფაჩუნა. კატას თაგვი ეგონა და წაუხტა. მელიამ უთხრა, – გაიქეცით, თორემ შეგჭამსო.

მგელი და დათვი გაიქცენ. ხორცი დარჩათ კატას და მელიას. დაჯდენ და დაიწყეს ჭამა.

საჯარვე

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ახლად დაქვრივებული ქალი, რომელიც ცხოვრობდა ერთ ქოხში და ცხოვრობდა ისეთ ადგილას, ახლომახლოს მოსახლეები არ იყო. ერთ დროს, როდესაც ქალი ორსული იყო და მოსარჩენად ავად იყო, იმ ღამეს გამოიარა ერთი ვიღაც უცნობი კაცი და მიაძახა სახლში, რომ, ღამე გამათენებიეთო. ამ ქალმა უთხრა, – მობრძანდიო. შევიდა სახლში და უამბო, თუ როგორ იყო. მასპინძელმა უთხრა, რომ შენ და და მე ძმაო. ეს ქალი უფრო ავად გახდა და ამ კაცმა წავიდა მომლელის მოსაყვანად. მოვიდა მომლელი და ამ ქალს ვაჟიშვილი შეეძინა.

გავიდა ის ღამე და მეორე დღეს უთხრა სტუმარმა ამ ქალს, რომ მე ამ ვაჟის ქირვა ვარო და რომ გაიზრდება, ჩემთან გამოაგზავნეო. აგრეთვე, მან დაუტოვა სამი ოქრო, რომ ასწავლეო. ერთი ოქრო იყო – გაზრდისა, ერთი – ცხენის, ერთი – ხმლისა და თან დააბარა, რომ ჩემთან როდესაც წამოვა, გზაში თუ ქოსა კაცი შეხვდა, მაშინ არ წამოვიდესო.

გავიდა რამდენიმე წელი და ეს ბიჭი გაიზარდა. ამ ქალმა სტუმრის ნათქვამი აასრულა, რომ ასწავლა. ამ ბიჭმა ერთ დღეს ქირვის ნაწერი ფურცელი ნახა. წაიკითხა, თუ როგორი იყო მისი ქირვის დავალება. ეს ბიჭმა აასრულა და წავიდა ქირვასთან. როდესაც მიდიოდა, მას გზაში შეხვდა ქოსა კაცი. მას გაახსენდა ქირვას ნათქვამი, რომ ქოსაჲ კაცი რომ შეხდებოდა, უნდა დაბრუნებულიყო. მართლაც დაბრუნდა. როცა მეორედ წავიდა, ასევე მოხდა; მესამედ კიდევ და აღარ დაბრუნდა. ის ქოსაჲ კაცი უკან მისდევდა. მას ძალზე წყალი მოსწყურდა და მივიდა ერთ ჭასთან. ქოსას უთხრა, რომ მე ჩავალ და ისევ ამომიყვანეო. მართლაც წამოიყვანა ამ ბიჭმა, ჩავიდა და ქოსას უთხრა, რომ ამომიყვანეო. ქოსამ უთხრა,– შენს ხმალს თუ მომცემ, ამოგიყვანო. მისცა ის ხმალი, მაგრამ ქოსამ მოატყუა და არ ამოიყვანა. მეორეთ უთხრა ამ ბიჭმა, რომ ამომიყვანეო. ქოსამ უთხრა, შენი ტანისამოსი მომეცი და ამოგიყვანო. მიცა ტანისამოსი და კიდევ არ ამოიყვანა. ამ ქოსამ ჩაიცვა და წავიდა ბიჭის ქირვასთან. ფიციც დაადებია, რომ არ გამოტყდებოდა. თუ გამოტყდებოდა და ფიცს გატეხდა, მოკდებოდა.

გავიდა ერთი დღე. მეორე დღეს გამოიარა ერთი მოხუცებული ქალი. ამ ქალს ეხვეწა და ეს ბიჭი ამოიყვანა, მხოლოდ ერთი რამე გამიკეთეო: ჩემი ქალიშვილი მომტაცეს და მომიყვანეო. ამოიყვანა მოხუცმა. დედაბერმა დალოცა, რომ ჭიანჭველასავით მუშა ყოფილიყავიო, ქარივით ჩქარი და თევზივით ძლიერიო.

ბიჭი მივიდა ქირვასთან, მაგრამ არ გამომტყდარა. ამ ქირვას ნათქვამი ქონდა, რომ მისთვის ქორწილი უნდა გადაეხადა. ეს გამორჩევლი ქალისამ ზღვას იქით ცხოვრობდა. მესამე ზღვა ბრუნავდა. ამ ქალის მოსაყვანად გაგზავნეს რამდენიმე ხომალდი, მაგრამ ვერცერთი ვერ მივიდა. ბრუნავ ზღვაში გაჩერებულიყო. შემდეგ ქოსამ უთხრა, რომ ეს ბიჭი წავაო. მართლაც, ამ ბიჭმა წავიდა. პირველ ზღვასთან რომ მივიდა, დაინახა, რომ კატას ჩიტი დაეჭირა და უნდა შეეჭამა. ის გააგდებინა და ჩიტმა ფრთა მისცა, რომ სადაც გაგიჭირდეს, მე ამ ფრთით გამიხსენეო. მეორე ზღვაზე რომ მივიდა, თევზი დაბმულიყო ანკესზე და იგიც გაუშვა. იმ თევზმაც ფრთა მისცა, რომ გაგიჭირდეს, გამიხსენეო.

მივიდა მესამე ზღვაზე, რომ ხუთი ხომალდი ზღვაში გაჩერებული იყო და ვერც იქეთ

მიდიოდა და ვერც-აქეთ. ეს ბიჭი მოხუცი ქალის ლოცვით გავიდა და ისინიც გაიყვანა. როდესაც მივიდენ მეფესთან და უთხრეს, თუ რაში იყო საქმე; ამ მეფემ უთხრა, რომ მე დავალებას მოგცემ. თუ შეასრულებ, გაგატანო. ორ კოდ პურს, ორ კოდ სიმინდს და ორ კოდ ბრინჯს აურევ ერთმანეთში და ცალ-ცალკე გადამირჩიეო. ამ ბიჭმა იფიქრა და გამოწია ჩიტის ფრთა. მოვიდა ჩიტი. მან უთხრა მისი გაჭირვება, თუ რაში იყო. ამ ჩიტმა მოიყვანა მთელი ჩიტები და გადაარჩევია და მეფემ ეს გოგო გამოატანა. ამ გოგომ წამოიღო ისეთი ბეჭედი, რომელიც აცოცხლებდა კდარ კაცს. გზაში მოგზაურობის დროს ეს გოგო შეუყვარდა ამ ბიჭს, მაგრამ ერთი უბედურება დაემართა,– ის, რომ, ბეჭედი დაკარგა და წყალში ჩაუვარდა. ამ ბიჭს მოაგონდა თევზი. უნდა ბეჭედი ამოაღებინოს თევზს. გამოსწია ფრთა და მოვიდა თევზი. უთხრა ბიჭმა მისი გაჭირვება. ამ ბიჭს თევზმა ბეჭედი მოუტანა. როდესაც მოვიდენ სამშობლოში, ამ ბიჭს ქოსამ მოეგება და სიკდილის წამალი დაალევინა. ამ გოგომ ქოსას არ წაყვა. გოგომ ბიჭი ბეჭდით გააცოცხლა და მოვიდენ სახლში. ამ ბიჭმა ამხილა ქოსას საქმე და ქოსაჲ მოკლეს. ქორწილი გადაუხადეს ნამდვილ საქირვეს.

შიფრი: ბსკიფა 21, 56.
მთქმელი: ბერიძე ფაცია ხუსეინის ასული.
ასაკი: 16 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. წაბლანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. წაბლანა.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ბერიძე ფაცია ხუსეინის ასული, ცხოვრობს უჩამბის ს/ს სოფ. წაბლანაში. 16 წლის. განათლება 8 კლასი. იცის ზღაპრები, გაუგონია მამისგან.

სამი და

Aყო სამი და. ერთ ტყის მახლობლად ქონდენ სახლი. ამ ტყეში სანადიროდ წამოსულიყო ხელმწიფე, დაინახა სინათლე სახლში და მოვიდა ახლოს, შეხედა ფანჯრიდან, რომ სამი და ზის ბუხრის პირას და საუბრობენ. უფროსი და ამბობს, რომ, მე რომ ხელმწიფემ ცოლად წამიყვანოს, ისეთ ჩადრს მოვქსოვ, რომ მის ჯარს დაფაროს. შუათანა დამ თქვა, რომ ოღონდ მე წამიყვანოს ხელმწიფემ და ერთი კოვზის პირი იაღიდან იმდენ საჭმელს გავაკეთებ, რომ მთელ სახელმწიფოს ჯარს ეყოფაო. უმცროსმა დამ თქვა, რომ ოღონდ მე წამიყვანოს ცოლად და ტყუპ სირმა– ქოჩრიან ბიჭებს ვიშოვ და გავზრდიო.

მეფემ გადაწყვიტა მართლაც შეერთო ცოლად ერთი და. გადაწყვიტა შეირთოს უმცროსი და, რომელიც სირმაქოჩრიან ბიჭებს გაუზრდის.

ხელმწიფემ შეირთო ცოლად უმცროსი და. მალე ფეხძიმედ გახდა. ახლა დები ჩამოეკიდენ პატარა დას და შურიანი თვალით უყურებენ. გადაწყვიტეს, რაღაც მოუწყონ. შეუყენეს ჯაზი ნენე და როცა შეეძინა ბავშვები, მართლაც ტყუპი ბიჭები, დებმა ნენეს მოაპარინეს

ეს სირმაქოჩრიანი ბიჭები და ძაღლის ლეკვები ჩაუყარეს.

ხელმწიფეს მოახსენეს, რომ შენმა ცოლმა ქოჩრიანი ბიჭები კი არა, ძაღლის ლეკვები იშვაო.

ხელმწიფე გაბრაზდა, ბრძანა, რომ ეს ქალი ყოველდღე შიშველი ჩაედვათ კამეჩის (ჯამუშის) ტყავში და მზეზე დაედვათ. საღამოს ისევ შემოეტანათ.

ქოჩრიანი ტყუპი ბიჭები გეიტანეს და წისქვილის ღურნეში ჩაყარეს.

ერთ დღეს წისქვილზე მოვიდა მოხუცი დედეი. ნახა, რომ ღურნეში წყალი არ გევდა. ნახა ბიჭები, წეიყვანა და გაზარდა.

ხელმწიფე ამ ქალს ყოველდღე აწვალებს. დებს უხარიან, რომ ასე მოუწყვეს.

ხელმწიფის ვეზირებმა ერთ დღეს გეიგეს, რომ ამ ქალაქში ერთი მოხუცი ზრდის ორ ბიჭს, რომლებიც უნახვია წისქვილის ღურნეში. გამოარკვიეს და ყველაფერი გამომჟღავნდა. ჯაზი ნენეი და უფროსი დები სიკვდილით დასაჯეს. უმცროს დას დაუბრუნეს შვილები და გაათავისუფლეს.

შიფრი: ბსკიფა 21, 57.
მთქმელი: ბერიძე ახმედ მემედალის ძე.
ასაკი: 60 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. წაბლანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. წაბლანა.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ბერიძე ახმედ მემედალის ძე, ცხოვრობს უჩამბის ს/ს სოფ. წაბლანაში. 60 წლის. იცის ქართული ენა მხოლოდ, ნამყოფია ბათუმში, ფოთში.

ხელმწიფის განკარგულება

ერთმა ხელმწიფემ გაცა განკარგულება, რომ ამა და ამ ღამეს ქალაქში არსად სინათლე არ უნდა აინთოსო. ადგა და თავისი მოადგილე წეიყვანა და წევდა, რომ ნახოს, ვინმეს თუ აქ სინათლე ანთებული. იარეს, იარეს და გახედა, რომ ერთ ორსართულიან სახლიდან სინათლე მოჩანს მკრთალად. მიაყუდეს კიბე აკოშკზე, გადახედეს ოთახში, რომ ერთი ცოლ-ქმარი წევან და ჩახვეული არიან, ორივე ისე ლამაზები რომ ოთახს სინათლეს აძლევენ.

ხელმწიფემ მოადგილეს უთხრა, რომ ნეტაი ესენი ოდესმე უღალატებენ თუ არა ერთმანეთსო; რომ ორივე ასე ლამაზები და სიყვარულით ჩახვეულები არიანო. მოადგილემ უპასუხა, რომ ქალი უღალატებსო. ხელმწიფემ უთხრა, რომ არა, ესენი ერთმანეთს არ უღალატებენო. მაშინ მოადგილემ უთხრა, რომ მაშინ რამდენიმე ოქროზე დავნიძლავდეთო, თუ არ უღალატებს ეს ქალი ამ კაცსო.

მოადგილემ ამ ქალს შეუყენა ჯაზი ნენე, რომ ქალმა უღალატოს ამ ქმარს. ჯაზი ნენემ შეუდგა საქმეს და ქალს უთხრა, რომ შენ დედოფალი უნდა იყო, ხელმწიფის ცოლიო. შენ,

ასე ლამაზ ქალს, რათ გინდა გლეხის კაცი ქმარიო. იმდენი ქნა ამ დედაბერმა, რომ ქალი დააჯერა და იფიქრა ქალმა, მართლაც, მე გლეხს კი არა, ხელმწიფეს უნდა ვყავდე ცოლათო.

დართო ქალმა პირობა ნენეს, რომ გავყვები ხელმწიფეს და გავაშვებ ქმარსო.

ამ ნენემ უთხრა ხელმწიფის მოადგილეს, რომ ქალი ტოვებს ქმარს, გეიძულვა და აწე შენისა შენ იციო. მოადგილემ მივდა ხელმწიფესთან და უთხრა, რომ ჩვენი ნიზლაობა ახლა გავანაღდოთო.

დაუძახა ამ ქალს ხელმწიფემ და მოაყვანია მასთან. კითხა, რომ შენ ქმარს ხომ არ ტოვებო, ასე მესმისო. ქალმა უპასუხა, რომ, მაგი მე არ მინდა, გლეხის შვილია, ფუხარაო. მე თავადის საცოლე უფრო ვაროო.

ხელმწიფემ წააგო ნიზლავი. დაუძახა თავის ჯალათებს და უთხრა, რომ გაუშვით ზის უდუნახავი ყათირი და ზედ კუდზე გამუაბით ეს ქალიო.

გამუაბეს ყათირს კუდზე ეს ქალი და დააწეკვიეს.

ხელმწიფემ გაცა განკარგულება, რომ ჩემ ხელქვეით რაც ქალია, ყველა გაწყვიტეთო და ამოხოცეთო. დაიმწყეს საშინელი ქალების ჟლეტა.

გავიდა ხანი, წყვეტენ ქალებს. ამ დროს მეორე სახელმწიფოდან მოსულა ერთი ამბავი, რომ მეზობელი სახელმწიფოს ხელმწიფეს ყოლია ვაჟიშვილი, რომელსაც სიზმარში უნახავს, რომ, შენ თუ ცოლს შეირთავ, იმ წამსვე მოკდებიო.

ვაჟიშვილი დაქორწინებაზე უარზე იყო, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაუტეხა ხათრი დედამამას და დაქორწილდა, იფიქრა, ერთხელ დაბადებული ერთხელ მოვკვდებიო, ბოლოს მაინც სიკვდილიაო.

მოუყვანეს ცოლი. რავარც რომ ოდაში შევიდა ცოლთან, იმ წუთიდან ბიჭი წეიქცა და დეიწყო სიკვდილი. ბიჭის დედამ დეემხო სასიკვდილოდ დაცემულ შვილს და თხოვა ღმერთს, რომ ოღონდ ეს შვილი აცოცხლე და მე მოვკდები მის მაგიერო. შეისმინა ღმერთმა და დედამ მართლაც დეიწყო სიკვდილი. რომ ამუაწია გულამდე და გაცივდა, ვეღარ გაუძლო დედამ და ისევ მეითხოვა მისი სული და გაიმეტა შვილი.

შემდეგ მამა დაემხო და ისევე თხოვა ღმერთს, რომ მე მომკალი და ეს აცოცხლეო, დაიწყო სიკვდილი, მაგრამ მამამაც ვეღარ გაუძლო და მეითხოვა მისი სული. შემდეგ დამ დაემხო და, ასევე, მეითხოვა. დამ ყელზე ამოსლამდე გოუძლო, მაგრამ მთლად მაინც ვერ გაუძლო და მეითხოვა მისი სული.

ბიჭმა ისევ დეიწყო სიკვდილი. საცოლე იქ იდგა ამ დროს, ამას ყველაფერს უყურებდა. ბოლოს თვითონ დაემხო და თხოვა ღმერთს, რომ მე მოვკდები და ამან იცოცხლოსო. დეიწყო ქალმა სიკვდილი, წამოიდა სული, გაუძლო და მოკდა ქალი. გაცოცხლდა ბიჭი. ამან იმოდენა სიხარული და სიბრალული შექმნა, რომ ქალიც გაცოცხლდა და ორივემ დეიწყეს ცხოვრება, ქმრისათვის სული გაწირა ქალმა.

ეს ამბავი სწორედ შეიტყო ამ ხელმწიფემ, რომელიც ქალებს წყვეტდა. ამის შემდეგ ხელმწიფემ გაცა ისევ განკარგულება, რომ შეეწყვიტათ ქალების ჟლეტა. თქვა, რომ, ყველა ქალი მოღალატე არ ყოფილა, ამიტომ ყველა არ არის ღირსი სიკვდილისაო.

შიფრი: ბსკიფა 21, 58.
მთქმელი: ბერიძე ფერათ ხუსეინის ძე.
ასაკი: 76 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. წაბლანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. წაბლანა.
ჩამწერი: ბერიძე სოსო.
ჩაწერის თარიღი: 05.07.1959.

ბერიძე ფერათ ხუსეინის ძე, 76 წლის, ცხოვრობს უჩამბის ს/საბჭოს სოფ. წაბლანაში.

გოგო გახდა ბიჭი

იყო ერთი ფადიშარი, ცხრა გოგო ყავდა. ქალი ფეხძიმედ იყო. ფადიშარმა უთხრა: – ახლა თუ ბიჭი არ იშვე, დაგკლავ და ის იქნებაო. დრო რომ მოვდა ქალისა, ქალს ეშინია რა ქნას, არ იცის, ქალი წევდა და ებიები შეიყიდა. უთხრა, რომ თუ ბიჭი მეყოლა, კარგი. თუ არა და, ფადიშარს უნდა მოატყვილოთ, რომ ბიჭი ეყოლა.

მართლაც, ქალს ეყოლა გოგო. ებიებმა უთხრეს ფადიშარს, რომ ბიჭი გეყოლაო.

ოთხი დღის შემდეგ ფადიშარი აპირებს შვილის ნახვას. წევდა ქალმა და ექიმები შეიყიდა. გუუკეთეს რეზინით და ბიჭს დაამსგავსეს. ფადიშარმა ნახა, რომ ბიჭია მართლაც. ფადიშარმა გეიარა და წევდა. გევდა ხუთი-ექსი წელი ბავშვი მოსანათლია. ახლა გამოირკვევა, რომ ქალია და არა ბიჭი. დაუძახეს ბაღანას, მეიყვანეს, ნახეს. უთხრეს, რომ უნდა მოგნათლოთო. დედას შეეშინდა და გეიქცა. ბავშვმაც უკვე მიხდა, რომ დედა რა სატანჯველში იყო. ბიჭმა მოითხოვა, რომ ერთ წელიწადს ნუ მომნათლავთო, პაწაი ვარო. მამამ უთხრა, რომ სამი წელი იყოსო.

გევდა ეს სამი წელიც. ფადიშარმა დანიშნა სუნნეთ დუგუნი, გამართულია კამპანია. ქალი დარწმუნებულია, რომ დაკლის დროა მოსული, გამომჟღავნდება. ბიჭი მიხდა და მამას უთხრა, რომ ერთი კარგი ცხენი მომეცი, მეც ვიჯირითებო. შემდეგ მომნათლეო, გოგო, ცხადია, ბიჭის ურუბაშია.

შევდა თავლახანაში და ნახა ყირათი ისეთი, რომ ქორუღლის ყირათზე ნაკლები არ იყო. გამეიყვანა, შეჯდა, გააჭენ-გამოეჭენა, ქამრები მოსინჯა. მეზობლებს უთხრა, რომ შვიდობითო და დედა რომ არ დაეკლეს, გეიქცა სახლიდან.

გევდა დრო, აღარ დაბრუნდა „ბიჭი“. იარა, იარა და სამი დუელი გეიარა. მივდა ერთ ფადიშართან. იმ ფადიშარსაც ბიჭი არ ყავდა. მოწონდა ფადიშარს და უთხრა, რომ, ჩემთან ხიზმეთქრათ დადექიო. დადექი, ჰამა უნდა დაცაო ოქროვო.

ერთი წელი გევდა, ორი წელი გევდა. ეს ბიჭი მოწონდა ფადიშარს, სამი გოგო ყავს. ბოლოს უთხრა, ამას, სამი ვაჟი არა მყავს, სამი გოგო მყავს აგერ. გამეირჩიე, რომელიც გინდა, წეიყვანე და მეშვილეო.

ორი გოგო ძალიან ლამაზია, ერთ არაბის სახე აქვს, დედა არაბი ყავს. „ბიჭმა“ იფიქრა, არაბს მოვკიდებ ხელსო. უთხრა ფადიშარს, რომ ის შავი გოგო მომეციო. – ის შავი რათ გინდაო, – ეუბნება ფადიშარი. გოგომ არ ქნა თურმე, – მე მაგასთან საქმე მაქ. თუ იმას შემისრულებს, მაშინ წავყვებიო, – ამბობს ეს შავი გოგო. ამასაც ეს უნდა, რომ არ წამყვესო და

გამოქცევა უნდა იქიდან.

– რა გინდაო, – შეეკითხა გოგოს.

– რა და, ამა და ამ ადგილას დევები არიან და სარკე აქვან. ის სარკე ნიშნად მომიტანეო.

– კარგი, უთხრა გოგოს ბიჭმა.

ეს „ბიჭი“ გეიქცა. ყირათი ენაზე მოვდა და უთხრა, რომ შენ ნუ გეიქცევი ნურსად და მე ამას შეგისრულებო. ოღონდ, წადი ქალაქში შენ და იყიდე: ოთხი უხმარი ლემსი, ერთი ბოთლი ღვინო და ქეჩა. ქეჩა კუდზე გასლამდე დამაბურეო. სარკეს რომ წამოვიღებთ, ისინი გამოგვეკიდებიან ჩვენ. დამახტებიან მე ზურგში, მაგრამ ქეჩა გვექნება და ვერ მიკბენენო. როცა დაგვეწევიან, უკან გეიქნევ ღვინის ბოთლს და ზღვა გაჩნდებაო. შემდეგ ნემსები გადაყარე და გაჩნდება ხე-ქვა-ჯოლგი.

მოტაცა სარკე დევებს, შეჯდა ცხენზე და გამეიქცა. ჰამან უნდა დეეწიონ და გეიქნია ბოთლი, გადაყარა ნემსები და გაჩნდა ზღვა და კლდეები, გამეიტანეს სარკე და მოუტანეს გოგოს.

ახლა მეორე თხოვნა მაქო, – უთხრა გოგომ. ამა და ამ ადგილას დევები არიან, იმათ ბახჩაში აქვენ ჟოლი. ის მოგლიჯე და წამეიღევიო. ცხენმა ასწავლა, რომ ახლა წამეიღევი ერთი სავარცხალი, ერთი ბოთლი ღვინო და ნემსებიო.

დააბარა, რომ წამეიღე ესენი და ასე... და ასე შედი ბახჩაში და მეიტაცე ჟოლის თვიდანიო. ისინიც გამოგვეკიდებიან. გადააგდებ ბოთლს, ნემსებით, სავარცხალს გახდება ზღვა, კლდე და ტყეები, ვეღარ გამეიარებენ და გავალთო. მაგრამ მათ ყავან ერთი ხუცესი დედაბერი, მაწყევარაჲ. იმან თუ დაგვწყევლა, რომ კაცი თუ არის, ქალი გახდეს და ქალი თუ არის, კაცი გახდესო. ეს ახდებაო. ჩვენც ეს გვინდაო.

შევდა, მოგლიჯა ჟოლი, მოექცა ცხენზე და გამეიქცა. გამოეკიდენ, მაგრამ ვეღარ დიეწიენ. დედაბერმა დაწყველა, რომ, კაცი თუ არის, ღმერთო, ქალი გახადეო; ქალი თუ არის, კაცი გახადეო.

მართლაც, გოგო გახდა ბიჭი. მეიტანეს ჟოლი და მიცეს გოგოს.

– ახლა წაგყვებიო – უთხრა გოგომ.

დაუძახეს და ჯვარი დაწერეს. დილას ნახეს, რომ მისი შვილი ძალიან გალამაზებულია, ეს არაბი.

ერთ-ორ წელიწადს კიდევ დარჩა აქ და ბოლოს უთხრა, რომ მე ფადიშარის შვილი ვარ და უნდა წევდო მამასთანო. მისცა ნება მამასთან წასლისა.

ამასობაში გევდა თხუთმეტი წელიწადი, მოვიდა მამასთან, მამას ძალიან გაუხარდა. დიდი კამპანია გედეიხადა და დაჯდენ და იცხოვრეს.

შიფრი: ბსკიფა 22, 1.
მთქმელი: ქათამაძე ეთერ ისკენდერის ასული.
ასაკი: 46 წლის.
დაბადების ადგილი: სოფ. დანდალო.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ქათამაძე ეთერ ისკენდერის ასული, დაბადებული 1913 წელს სოფელ დანდალოში, გათხოვილია სოფ. ჭვანაში. ქმარი გარდაცვლილი ჰყავს. ჰყავს ორი შვილი - ერთი ვაჟი, ერთი გოგო. გოგო გათხოვილია, ვაჟი - დაქორწინებული. ნამგზავრია ქ. ბათუმში, ქ, ქობულეთში. ზღაპრები და სხვა ამბები გაგონილი აქვს ბავშვობაში მშობლებისგან და სხვა ახლობლებისგან.

სერსემი

ყოფილა ერთი კაცი. ყოლია სამი შვილი და ერთი ცოლი. ცოლი მოკდენია და ეს სამი ობოლი დარჩენია. მერე მეიყვანა მეორე ქალი. ამ ქალმა ელოღლები ვერ შეითვისა. კაცს უთხრა, რომ ან შენ ესენი მომაშორე, ანდა მენა წევდე აქედანაო. კაცმა ქალი ვერ გააგზავნა და შვილები მეიშორვა. წეიყვანა დიდ, ღმა ტყეში და უთხრა,– მე იქით გავალ, ხეს მოვჭრი და თქვენ მაქ მომიცაჲთო. წევდა იქით და უთხრა, რომ სანამ ჩემი რაკარუკის ხმა არ შეწყდება, ისე არსად წეხვიდეთო. წევდა და გააკეთა სარაკუნაჲ ხეზე და ეს სარაკუნაჲ ერაკუნება და არის იქ. გევდა რამოდენიმე ხანი და ის იქ ერახუნება, მამამისი იქ გონიან იმათ. სოვნი ევდა ხეზე ერთმა დიდმა გოგომ და შეიხედა, რომ, ნეტაი, სად არის მამაჩვენი, რომ არ მოვდაო. მამამისი ველარ დეინახა იქიდან და ერთი დიდი სახლი დეინახა ტყეში. ადგენ და თქვეს, რომ მივდეთ ერთი იმ სახლის სანახავათო. იარეს ბევრი და სოვნი მიაწიენ იქა. მერე მივდენ იქ და დაინახეს ბევრი საჭმელი. სახლის პატრონი კი ვინმე არ ჩანდა. ჭამეს და დეიმალენ ლოგინებში. გეიხედეს, რომ ერთმა სერსემმა მეიყვანა ბევრი ცხვრები. ესენი დამალული არიან იქ. იძახის, რომ მე ისნის სული მცემსო და მისთვინაი საქმობს. ამის ძახილში მოეძინა, დაწვა და დეიძინა. გამოვიდენ მაგათ ლოგინიდან, მიიტანეს მაწონი, ჩუსხეს ლოგინში და ხელმეორედ დეიმალენ. ადგა ზეზე, რომ ლოგინში შეუფსამს და იყვირა, რომ ლოგინმა შამაფსმევიაო და იძახის „მე ისნის სუნი მცემს, აქ ისანს რა უნდა, სერსემი ბლაყვი“ და თან ცხვრებს წველის. „ახლა სერსემმა რა ჭამოსო? თბილი ჭადი ბრალიაო, ცივი ჭადები გახრას და მიეგდოსო“. გამოუშვა ცხვრები და წეიყვანა საბალახოზე. შტვირი აქ და ამ შტვირით მწყესავს ცხვრებს. დუშტვერს და ამ შტვირით მოყრის ცხვრებს. ამ საღამოს დაღამდა, დუშტვირა შტვირი და წამეიყვანა ცხვრები სახში. ელოღლებმა ჭამეს და ხელმეორეთ ჩაძვრენ ლოგინში. მოვდა სერსემი, ცხვრები მეიყვანა და იძახის, – მე ინსის სული მცემს, აქ ინსას რა უნდა. სერსემი ბლაყვი“, რომ ნახოს, შეჭამოს უნდა, ერჩის ადამიანს. ამ ძახილში ცხვრები მოწველა და ამოვდა სახლში. იმეორებს მე ინსის სული მცემსო“. კიდევ ასე ამბობს: „ახლა სერსემმა რა ჭამოს, თიბილი ჭადი ბრალია, ცივი ჭადი გახრას და მოეგდოსო. ჭამა ცივი ჭადი და ახლა სერსემმა რაზე

დაწვესო. ლოგინმა შეაფსმევიაო. დაწვეს და ქეჩხოზე მიეგდოსო. მივდა და დაწვა და დეიძინა. ამ გოგოებმა გამოძრენ და საჭმელი ჭამეს მათ. მერე მოიტანეს და იმ ქეჩხოზე ჭლიკებში მიასხეს თაფლი. წევდენ და დეიმალეს ლოგინში. ადგა ამ სერსემმა, რომ კიდევ მუუფსამს ქეჩხოზე მაგას. ვერ მიხტა, რომ რააო. იძახის კიდევ. „მე ისნის სული მცემსო“... ამის ძახილში ცხვრები მოწველა და უნდა წეიყვანოს. გამუშვა ცხვრები და წეიყვანა, საღამოს დაბრუნდა და კიდევ იძახის: „მე ინსნის სული მცემს; აქ ინსანს რა უნდა, სერსემი ბლაყვიო.

მეიყვანა ეს ცხვრები და იძახის, რომ ახლა ამ სერსემმა რა ჭამოსო? თიბილი ჭადი ბრალიაო. ცივი ჭადი გახრას და მიეგდოსო. ახლა ამ სერსემმა რაზე დაწვეს? ლოგინმა შეაფსმევია, ქეჩხომაც შეაფსმევია, ძელებზე დაწვეს და მიეგდოსო. გამოძრენ ამ გოგოებმა, გააცხელეს რკინა, თვალებში გამოუსვეს და თვალები დუუქორეს ძილში. ადგა ამ სერსემმა, რომე დაქორებულა, თვალებს ვეღარ ახილებს. ქორმა მოწველა ცხვრები და იძახდა: „მე ინსნის სული მცემს, აქ ინსანს რა უნდაო“. მეისაქმა და ცხვრები საბალახოთ წეიყვანა. ამ გოგოებმა წაყვენ, გამოძრენ ლოგინიდან. მიმოდევან ამ ქორს სერსემს უკან და იცინიან და არიან. ეს ახლა ვერ ხედავს და იმას გონია, თაგვები და ამბობს, რომ თაგვებო! თაგვებო! რაფერ დაგწყვეტ მეიცადეთ ჰალაო. მივდა და ერთ კილდის თავზე დაჯდა სერსემი, შტვირს უშტვერს და ამ ცხვრებს ისე აძვებს სერსემი. მივდენ ამ გოგოებმა, შტვირი გამოართვეს, სერსემი დაბიძგენ და გადააგდეს კლდეზე. შტვირს უშტვერენ, ცხვრები თვითონ ჩეიბარეს, მოვდენ, ის სახლიც ჩეიბარეს და იქ იცხოვრეს ამ გოგუებმა.

სამი ძმა

ქოფილან სამი ძმა და ამ სამა ძმამ თქვეს, რომ ქვები გევქნიოთო და ვინცხას სახლზე დეცემა, იქიდან ვითხოვოთ ქალებიო. გეიქნიეს. უმცროსმა ძმამ ბაყაყის ბუდეზე დაუშვა ქვა, იმათ კი ცოლები მოიყვანეს. პატარამ ბაყაყის ბუდე მეიტანა და დადვა სახლში. ესენი წევლიან სამუშაოზე, დატევენ ბაყაყის ბუდეს, მოვლენ სახლში, რომ ყველამფერი მოსაქმებული. ამ ბიჭმა დაინტერესდა ამ საქმეზე და უნდა დავცოვო. დაცო. გეიხედა, რომ ამ ბაყაყის ბუდედან გამოვდა ერთი მშვენიერი გოგო და დეიწყო მუშაობა ოჯახში. მივდა, აწია და ეს ბაყაყის ბუდე უნდა დუუწვას. ამ გოგომ მივდა და შახტა ხელში და ეხვეწებოდა, არ დიმიწუა მაგერ ესაო. ამ ბიჭმა არ დუუჯერა გოგოს ხვეწნას და დაწვა მაინც ბაყაყის ბუდე. გოგო ებნეოდა; ამ საქმეში დიდად მოტყვილდი, რომ არ დამიჯერეო. მერე ამ ბიჭის მამამ დეინახა ეს ლამაზი ქალი და მოწონდა და მას მუნდა. მერე მამამ მეიფიქრა, რომ ამ შვილს იმფერი რა გუუკეთო, რომ ის დავღუპო და ქალი მე ვითხოვოვო. ამ ბიჭს უთხრა ხემწიფემ, რომ ხვალ, დილას, ჩემი ჯარის ცხენს რუმ ნალი ეყოფაო, ჰაზირი უნდა გქონდესო, თუ გექნება, გექნებაო და თუ არ გექნება, შენ სიცოცხლეს ნუღარ ელოდებიო. ასე უთხრა შვილს მამამ. ამ ბიჭმა შევდა ქალთან და იჩივლა თავის საქმეზე. ამ ქალმა უთხრა, რომ არ დიმიწვა, მოტყვილდებიო, ხომ გითხარიო. რატომ დაწვი ჩემი ბუდეო. წადი ახლაო და ჰაცხა რომ ამწიე და წამომიღე, იქ მიდი და ნევ –დეიძახე.

ერთი დედაბერი ქალი გამოვა. უთხარი, რუმე, შენ შვილს კოჭიჭაში ნალი და მუხი დარჩენია და ის მომეციო. გამეიტანა იმან და უთხრა ამ ბიჭს,– ოდ, შვილო, ის მამაშენი არაფლით არ მომცილდებაო და მისცა ნალი და მუხი. წამეიღო ეს, მეიტანა და უთხრა, რუმე, ერთი ცალიერი სახლია და იმ სახლში შეაგდე ხელუკუღმა ბისმილაჲთო. მიიტანა, შეაგდო, დუუძრა კარი და წამოვდა. ამ ბიჭს ეშინია იმ ღამეს, ნეტაი, ხვალ რა უნდა იქნას და მამაჩემს რა ვუთხრაო. ის ღამე ისე გათენდა. ადგა დილას, შეიხედა იმ სახლში და დეინახა, რუმე ეს ნალ-მუხი ამსილა ამ სახლში და მოწოლილია კარებზე. დაძახა მამამისს და მისცა ის ნალ-მუხი. ამ მაამისმა იფიქრა, რომე ეს საქმე გააკეთა და ახლა სხვა რამე უნდა დაავალოს. უთხრა, რომ, ჩემ ჯარს რომე ნიფხავ-პერანგი ეყოფა, ერთ ნიგვზის ხეჭეპორში უნდა ჩატიო ხვალეო. მოვდა ის ბიჭი მის ქალთან და დეიწყო ტირილი და ამბობდა მამის დავალებას. ამ ქალმა უთხრა, – რატომ დიმიწვი ჩემი საფარი, დეინახე ახლა მამაშენმა რა გიგიკეთაო. მიდი კიდევ ჩემს დედასთან, დუუმახე და უთხარი, რომ შენ შვილსო ნიგვზის ხეჭეპოში მტერია დარჩენიაო. აართვი და წამეიღეო. დაძახა მამამისმა დილას, რომ რა ქენ; ჩემი საქმე გააკეთე, თუ არაო. გეიყვანა ჯარი, დააყენა და ამან ჩამძარა ჯარს, ერთი ყათი დარიგა და ერთი ყათი კიდევ წარჩა.

ახლა მამამისმა იფიშმანა, რომ ამფერი რა დავავალოვო და უთხრა, რომე, მამაჩემი რომ მოკვდა, ოქროს ბეჭედი წაყვა: ეს უნდა მომიტანო შენაო. ამ ბიჭმა მოვდა და დეიწყო ტირილი ქალთან, – ასეთი საქმე დამავალაო. ამ ქალმა უთხრა, რომ მიდი და ერთი ხუთი დღე ნება ართვიო და გაგზავნა. მოვდა და უთხრა ამ ქალს – ქალის დედას, რომ შენ შვილს კი ჭაში ერთი შავი მურგვი დასჩენია, ერთი-თეთრიო და ის მომეციო. გამძუტანა ის მურგვები, მისცა და უთხრა, რომ ოი, შვილოვო, შენ ის უსიკვდილოთ არ მოგეშვება და შენ რა გეშველებაო. ამ ბიჭს უკვირს, რომ საქმე რაშია. მამა ამას რატომ უკეთებს, ამბავი არ იცის.

ამ დღიებში ის ქალი ოდიდან აღარ გამოდის და მარტო ტირის. უთხრა ბიჭს, რომ შენ შავი მურგვი გააგორვე და შენც იქ წაყევი, საცხა ის წაგორდება, შენც იქ ჩაყევიო და იქ არის ბაბუაშენი და ამოიტანე ბეჭედი. მერე თეთრი მურგვი გამოაგორე და მოხვალ სახლშიო. წევდა ეს მურგვი და წაყვა ამ მურგვს ამ ბიჭმა. მოვდა და ერთ ადგილზე ჩავარდა ამ მურგვმა. ეს ადგილი გაფართოვდა და ამ ბიჭმაც ჩაყვა მიწაში. ჩევდა და სხვა ქვეყანაში ჩევდა. ამ ბიჭს გუუკვირდა, სხვა ადგილზე ვაროო. იარა, იარა და ერთ ადგილზე მიაწია. მივდა, რომ ერთ ბალახში ისეთი ჭლე საქონელია, ისეთი ჭლე, რომე სიმჭლი მგონე, იმტრევიან. შიეკითხა, რომე, ამფერ ბალახში ასეთი ჭლე რატომ ხართო. ამ ძროხებმაც უთხრეს, რომ გამოიარ, გეტყვითო. გევდა იქით, რომ სულს უბალახო ქვებში ისეთი საქონელი არიან, რომე სულს ვერ ითქვამენ სიმსუქნის გონე. შიეკითხა იმათაც, რომე, ამფერ უბალახო ადგილზე ასე რაფერ ხართო. გამეჲარ და გეტყვითო, – იმ ძროხებმაც ისე უთხრეს. ეს მურგვი მიგორავს და მიდევს. გევდა იქითკენ, რომ ერთი ქალი შავ მატყლს რეცხს და წვენი რამე აღარ აქ. ეს ქალი კდება ამ მატყლის რეცხვაში. შიეკითხა, რომ მაგას რომე ჭუჭყი აღარ აქ, რატომ რეცხავ კიდევო. გამჲარ და გეტყვიო, – ქალმა უთხრა. გევდა იქით, რომ ერთი ქალი თეთრ მატყლს რეცხავს-რეცხს და ჭუჭყი რამე აღარ აქვს. კიდევ იმას შიე-

კითხა იმფრათ. იმანაც უთხრა, რომ გამეჲარ, გეტყვიო. გევდა იქითკენ, რუმე ორი ცხემლაა. იმ ორ ცხემლაზე ერთი სკვინჩაი ჩიტია დამჯდარი. ერთზე დაჯდება, ის ჟვერს გამეიღებს, მეორე გახმება. კითხა და ჩიტმაც უთხრა, – გამოჲარ და გეტყვიო.

გევდა იქით, რომე ერთი კაცი წყალში დგას და ამბობს, – ვაი, რა წყალი მწყურია, ვაჲ, რა წყალი მწყურიაო. ბიჭმა იმას უთხრა, რუმე წყალში დგახარო და ხელში წყალი გიკავია, რატომ იძახი მაგრეო. გამეჲარ და გეტყვიო, – იმანაც ისე უთხრა.

გევდა იქითკენ, რომე ერთი კაცი უფსკერო კოდში ჩააწყობს კვერცხს. აწევს, გაჩეჩდებაო. მაგრე რატომ იჯებიო კითხა ბიჭმა.

– გამოჲარ და გეტყვიო, – უთხრა კაცმა.

წევდა იქიდან და მივდა. ერთი მოხუცი ჯდას სკამზე და იმ შავმა მურგვმა იმას ჩუგორდა კალთაში. ამ ბიჭმა თქვა, რომე, თუ არის, ჩემი ბაბუაჲ ის არისო. მივდა და მიეხვია იმას. მოხუცმა უთხრა, ოი, შვილო, რამდენი შენ გაწვალაო. შენ ის უსიკდილოდ მაინც არ მოგეშვება და ღმერთმა ის ცოცხალი არ დაგახვედოოსო. ერთი ბეჭედი წამომყვაო და იმასაც გამეეტირა და აქ გამოგაგზავნა შენაო. ამდონი ამბავი გადაგახდია შენაო შენ არ იცი, საქმე რაშია. ბაბუამ იცის საქმე რაშიცაა. წამეიძრო ეს ბეჭედი და მისცა.– აჰა შენ ეს ბეჭედი! ეს შენთვის მიჩუქებიაო და ის მაინც არ დაგხდება ცოცხალიო. ჩეიდვა ბიჭმა შავი მურგვი ჯიბეში, თეთრი მურგვი გამოაგორვა და წამოყვა. მოვდა და კაცი რომ კვერცხს ყრიდა კოდში, მას შიეკითხა, – რაშია საქმე, რატომ ყრი კოდში კვერცხსაო. იმ კაცმა უთხრა, რომ ფანი დუნიას ერთი კაკალი კვერცხი მევპარეო (ამ დუნიას ქვია ფანი დუნია). ერთი კაკალი კვერცხი პატრონს მუტანეო და ყიამეთამდინ მე ასენა ვიცოდვილოვო. წამოვდა მემრე იქიდან და კაცი, რომე წყალში იდგა, კითხა, – წყალში დგახარო და რატომ არ ლევ რომ გწყურიაო. იმ კაცმა უთხრა, რომე, – ფაანი დუნიას კაცი რომ წყალი წყურვილში მომკვდარიყო, მე წყალს არ დავალევიებდიო. ყიამეთამდინ მე ასენა ვიცოდვილოვო. წამოვდა იქიდან, მოვდა და დეინახა ცხემლაზე ჯდომი სკვინჩა და შიეკითხა. ჩიტმა უთხრა, რომ ფაანი დუნიას მე ერთი კაცი ვიყავი და ორი ცოლი მყავდა. ერთ ღამეს ერთთან ვწვებოდი, მეორეს წყენდა. იმის ცოდვა მაქ მე ახლა და იმას ვიხდიო.

იქიდან წევდა და თეთრ მატყლს რომ რეცხდა ქალი, იმას შიეკითხა. იმ ქალმა უთხრა, რუმე, ფაანი დუნიას შავი მატყლი მევპარეო და ეს მომცეს,–რეცხე, რეცხე გააშავეო და მიეცი მის პატრონსო. თეთრი როგორ გაშავდებაო? მემრე შავ მატყლს რომ რეცხდა, იმ ქალს შიეკითხა. იმ ქალმა უთხრა, რუმე,– ფაანი დუნიას თეთრი მევპარეო და ეს მომცეს რეცხე, რეცხე, გაათეთრე ის შავი მატყლი და მის პატრონს მუტანეო.

აქედან წევდა და ქვებში უბალახო ადგილზე მსუქან ძროხებს შიეკითხა, – ქვებში მაგფერი სუქანი რაფერ ხართო. - ფაანი დუნიას ჩვენი პატრონი ჰალალს გვაჭმევდა, ჰარამში არ გიგიშვებდაო და იმიტომ ვართ ასე სუქანიო.

წევდა იქიდან და მივდა იმ ჭლე ძოროხებთან და იმათ შიეკითხა: მაგფერ კარგ ბალახში ასე ჭლე რატომ ხართო. იმათ უთხრეს, რომ ჩვენი პატრონი ფაანი დუნიას ჰარამს გვაჭმევდაო. ეს ბალახი ჩვენთვინ ჰარამია ახლაო. ყიამეთამდინ ასე უნდა ვიყოთ ჩვენაო. წამოვდა იმ მურგვმა და იმ ადგილზე ამოძვრა, სადაც რომ ჩევდა. მივდა, მარა მის სახლ-

ში მამამისი მომკვდარა და მისი ჯანაზა ყოფილა. ბიჭმა დაიწყო თავის მზეთუნახავ ცოლთან ბედნიერი ცხოვრება.

ხის ჟვერი იტყვისო

ერთ კაცს უყვარდა სხვისი ქალი მეგემ და იფიქრა, რომ ამის კაცს მოვკლავ და ამის ქალს ვითხოვო. ეს კაცი წეიყვანა ტყეში, ეიყვანა და მოკლას უნდა, ისე დუუწყო მუქრება. შაატყვა ამ კაცმა, რომ მკლავსო და შეეხვეწა, არ მომკლაო, თვარა წააგეფო,– მე ვინდა შიმიტყვოსო, აქ ვერვინ ვერ მხედავს და შენ კი მოგკლავ და სხვა ვინ არის აქო. – აჲ ხის ჟვერი იტყვისო. ამ ლაპარაკში მოკლა ის კაცი იმან. მერე გევდა პაწაჲ ხანი და ის ქალი ითხვა მან. ერთხელ ოდაში იყვენ ერთად და არშიყობდნენ, მიხედეს, რომ ერთმა ჟვერმა შემოვარდა ფენჯარაში. ამ კაცსა გიეცინა ჟვერის შემოვარდნაზე. ქალმა მიაჩემდა, რომ, – რატომ გეგეციანო? ტყვილაი გემეცინაო, – კაცი უჩივა. კიდო ჩივის ქალი,– რაზე გეგეცინაო? კაციც არ ეუბნება, – ტყვილაო გემეცინაო. გევდა რამოდენიმე ხანი და ამ ქალმა ათქმევინა იმ კაცს ის ამბავი. ამ კაცმა იფიქრა, რომ მე ზათი ვუყვარვარო, ზათი ჩემია, მოდი ვეტყვიო; მუყვა და ილაპარაკა; – შენი ქმარი მე მოვკალიო. მებნეოდა, არ მომკლა, თუარა ხის ჟვერი იტყვისო. ამ ქალმაც მაშინ ჩამეიდვა გულში, რომ ამან თუ ამფერი საქმე გიმიკეთა, ამას არ ვაცოცხლეფო. დიეძინა კაცსა და ამ ქალმა დაარტყა ცული და მოჭრა კისერი კაცს.

რაქლონზე გიყვარვარო?

ერთ კაცმა უთხრა ქალს, რომ რამდონზე გიყვარვარ, ქალოვო. რამდონზე მიყვარხარ და ძალიან მოღალულზეო, დაჯდები და გემრიელი ქარი გიგიქრისო, იმდონეზეო. ამ დონის მეტი თუ არ გიყვარვარო, დადვა და მოკლა ეს ქალი ქმარმა. შეშინებული ამ კაცმა გეიქცა და წევდა. ევდა ერთ მაღალ გორზე. ამ მოღალულზე გემრიელმა ქარმა გუქროლა, ძალიან მოწონდა ეს ქარის გაქროლება. მაშინ გული დაწყდა, რომე, ქალი ტყვილაჲ მომიკლავსო და დაჯდა და დაიწყო თავისი უბედური ცოლის ტირილი.

ანდაზა: გულდიდმა ცოლი მოკლა, დაჯდა და მანვე იტირა!

შიფრი: ბსკიფა 22, 7.
მთქმელი: ქათამაძე ფატყუმე შუღეიბის ასული.
ასაკი: 48 წლის,
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ჭვანა.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: მსხალაძე ალექსანდრე
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ქათამაძე ფატყუმე შუღეიბის ასული, დაბადებული 1911 წელს სოფ. ჭვანაში. მშობლები ცოცხალი ჰყავს. ქმარშვილიანი. წერა-კითხვის უცოდინარი, უპარტიო.

ლექსი, წიგნი დავწერე

მოვკვდე, წიგნი დავწერე,
იესერების ამბავები,
მოწყალე ღმერთმა გაგვაჩინა,
სულზე დაგვიწერა დერდები.
ამდონ ქვეყანას ვიარებით,
რა უდროვოდ ჩვენ ვბერდებით,
წინა-უკან ჩამოგვდგომიან
სუნგიანი სალდათები.
ოცი დღეა ვიარებით,
ზრუგში გვკიდია თორბები,
მოვუხსნათ და შიგ ჩავიხედოთ,
ბელქი იყოს შიგ ფუნჩხები.
შიმშილმა მუცელი დაგვწვა,
სიცივემაც სულ ფეხები,
სვალეთის გზა დაგვანახეს,
ჩვენი სასიარულო გზები.
იმასაც რომ გედევიართ,
ჩავბარდებით კავკასიაში,
მოქალექემ არ მიგვიღო
უნდობი და იარაღები.
ქალის ურბანი მორთულან,
ხომ არ არიან ქალები.
იმათი სიცოცხლე ვიღან თქვა
იმათ მოიჭრან თავები.
მასაც კარგი არ დაემართა,
ბაწრით ჩაათრიეს ზღვაში,
მათი კივილი მოდიოდა,
სუფსას გაღმა ბიანეთში:
ერთ სოფელში გაგვაშპუნლეს,
ალა ფრანგა მემლექეთში,
ერთ წუთში დაღამდება,
არ გათენდება მიდღემჩი.
ისიც იყო ჯოჯოხეთი.
ერთსა ლამაზსაც ვესტუმრეთ,
პურსა აცხობდა ფურნეში,
ჩაი პური დაგვალევია,
ფული ჩაგვიდვა ჯიბეში.
ისე ზოვლი შევეცოდვეთ,
კურცხალი ყარა კალთაში,
იმისთანაი ჩხუბი ვქენით,
ალფაჯელის და მინდორში.
რუსის ლეში შევაყარეთ,
სუნგიანი მარტუშკებში
ბეგიებმა დაგვემტერენ
ქუჩა-ქულაჲ მოხდენ თავში.

დედა და შვილი

მედას შვილი გაუჩნდება,
გაუხარდებაო,
თვრამეტი წლის შეიქნება,ჯუნჭი ერგებაო,
ჯერ კენჭი არ მიეწევია, ქალი დეინიშნაო.
დეემშვიდობა დედ-მამას და დანიშნულსაო,
– ჩემს წასვლას ელოდეთ, მოსვლას ნუღარაო.
დაღონებული შაქრო ომში წავიდაო.
ერთი კვირე არ გასულა, შაქრო დაიჭრაო,
დედას წერილი მოსწერა,– დედი, ავად ვარო.
ადგა დედიკო, წავიდა სანახავადაო.
ნათლობაში რომ მიაღწია, იქა ჩამოხტაო,
ერთი პატარა სალდათი გზაზე დაუხტაო.
დედაშვილობაზე მითხარ, შაქრო როგორააო.
დედი! ტყვილაი მოსულხარ სანახავადაო.
ხუთი დღეა იმის შემდეგ, შაქრო გათავდაო.
ამის გამგონე, დედა წაიქცაო.გამწიეთ და წამიყვანეთ ჩემ შაქროსთანო.
ეს დანიშნულმა გაიგო, შავი ჩაიცვაო,დედა იქინე მიიყვანეს, ბევრი იტირაო.
კდარ შვილზე შემხედვარეს, თავი რათ მინდაო.
დანიშნულმა ბეჭედი მეიძრო, გულზე დაადვაო,
– არ მოწყვა ჩვენი ცოლქმრობა, ბედმა გვიმტყუნაო.
ორი-სამი დღე გავიდა დანიშნულიც ავად გახდაო.
ერთი კვირაც არ გასულა, ისიც გათავდაო.
შაქრო და მისი საცოლე ერთად წასულანო.

პატიმრის სიმღერა

ო, რა კარგი თვე დამდგარა,
გეორგობისა თვეო,
ციხეში ვარ დამწყდეული,
კაცს ფერი არა მაქო,
დღეით ბუზები მაწუხებენ,
ღამე ძილი არა მაქო,
ბარიშნები შემოდიან,
სიყვარული აღარ მაქო,
ადგა დედამ წავიდა
ციხის კარებზეო:
ნაჩალნიკსა ეუბნება,
შვილი მაჩვენეო,
ნაჩალნიკმა ვარი უთხრა, –
ჯერეთ მაცალეო,
ნაჩალნიკმა მუშტი გაკრა,
კიბილი მოტეხაო:
ოცდახუთი წლის ვაჟკაცი,
რისთვის ვაჩინეო,
ცხრაი თვე მუცლით ვატარე,
მას ვენაცვალეო,

ორ წელიწად ძუძუ ვაძლიე,
მისი ჭირიმეო,
ორ წელიწადს აკვნით ვზარდე,
მას ვეყურბანეო,
აპრილი და მაისი,
მშვიდობით ქაუთაისი.
ბათუმი და სოჩა
დახვრიტეს და მორჩა.

* * *

ქალს ნაფოტი მოჰქრონდა
ალმასის ჩამონათალი,
დადექ, ნაფოტო, მითხარი
საყვარლის შემონათვალი.
ჩემოვლობდანათ ნაქები
შენი დიდებული გვარი,
მონაწილეობას მოგიღებ,
გინდა რომე შემავალი,
ამ ტყვილ დუნდას არ იქნება
შენი შესადარი ქმარი,
უნდა მიქცე თათრის სულთანს,
რომ არ შაიძლება ვარი.
–მე გაგათხოვებ, ჩემო დაო,
ჩემი ძმაიც მპირდებაო.
არც კარგს მიმცა, არც გონჯსა,
ამ სიტყვებით დამაბერაო.
იძახიან ბერიაო,
თმაში თეთრი მერიაო,
შენ მამაჩემო, ზავალო,
ჯუჯუხეთში წასავალო.
რას უყურებ, რომ არ მათხვებ,
25 წლისა ვარო,
რომ ვბერდები, რას უყურებ,
ჩამომცვინდა კბილები,
ჩემ ეშვან ქალებსა,
სამ–სამი ყავან შვილები.
სარკეში რომ ჩავიხედე,
კარგი გოგო ვყოფილვარო,
დედა, რომ დამიჯერებდეს,
გასათხოვარი ვყოფილვარო.
თმაში თეთრი მერია,
თვალებშიც გედემერია.

შაირები

მაღლა სერსა წყარო მოდის,
ნადუღს მოეფინებაო,
ჩემი გოგო ის იქნება,
ვისაც გაეცინებაო.

*

მაღლა სერსა წყარო მოდის,
ნარინჯის ფერად გადმოდის,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
თავარი სული ამომდის.

*

მაღლა სერსა ჩიტი ფრინავს
კუდგამოჭრილი მერცხალი,
ჩემი გული იმასავით
არც კდარია, არც ცოცხალი.

*

მაღლა სერსა წამომდგარა,
თვალჟუჟუნა თეთრი ქალი,
ხელსა მიქნევს, აქ ამოდი,
შინ არ არის ჩემი ქმარი.
ავდექი და იქ ევედი,
თავსა ედგა მისი ქმარი,

ღმერთო, იგი მოკალი,
წყვილს დავაკლა ტოლი ხარი.

*

შემოქმედის ეკლესია,
ქვაით აშენებულია,
ახლანდელი გოგონები
ჭკვაზე შექანებულია.

*

ბოსტანშია გადვიხედე,
დავინახე მაკიდოვო,
ახლანდელი გოგონები
ჭლიკით უნდა დაკიდოვო.

*

სერი-სერსა მივდიოდი,
რაცხა ყვავის ჲელივითო,
ეს გოგონა გავაბრაზე,
ვაყაყუნე გელივითო.

*

მე ბათუმში რომ ჩავედი,
გატეხილი ცულისთვისო,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
შენ დედ-მამის სულისთვისო.

*

პიჭკის სინათლე მიყვარდა,
ჟუჟუნთვალებში ყურება,
ჩემოვლობა შენთვის მინდა,
შენ აფერი გეყურება.

*

წყალგაღმა თეთრი დედალი
გამოღმა გამოკაკანებს,
გოგოვ, როცა მახსენდები,
ზღვასავეთ გამაკანკალებს.

*

ბუხარში ცეცხლი დავანთე,
ფუტი ავიდა ყელემში,
გოგოვ, წინდები დამიცდა,
გენაცვალები ხელებში.

*

გოგოვ, შენი წელი წმინდა,
მომიქსოვე ჭრელი წინდა,
ფეხზე ძალიან ჩაცმა მინდა,
შენი ძიაჲ ყაჲნათ მინდა,
შენი თავი ცოლათ მინდა.

*

გოგოვ, შენი შარიშური,
მითხარ, თუ ხარ დანიშნული,
არ დამტანჯო, გეხვეწები,
შენსკენ მორბის ჩემი გული.

*

გაზაფხული რომ გამუა,
ამწვანდება მთა და ბარი.
შენი სევდა გულსა მიკლავს,
შემიყვარდი ნამეტარი.

*

ოცდახუთი წლისა გავხდი,
არ შემშრობია კურცხალი,
უშენობით თავს მოვიკლავ,
მე არ დავრჩები ცოცხალი.

*

სახლიკისერ ეწრის ფაცხა,
ვიქნებოდე შენი რაცხა.

*

სახლისაკენ ბიმბალაჲო,
გოგონა მყავს პირგვალაჲო.

*

ამომავალ მზესა გავხარ,
ღამით მნათობ თვარესაო,
გულზე მაშინ შემეყრება,
რომ დახუჭავ თვალებსაო.

*

მაყვალივით შენი შავი თვალებიო,
მიპასუხე, როგორ არ გებრალებიო?!

*

წაბლისფერი შენი თმებიო
ყურბნათ შემოგევლებიო.

*

უშენობით დევიტანჯე,
შენ ხარ ჩემი ვექილიო,
უშენობით არ მოვრჩები,
შენნა გახდე ექიმიო.

*

ერთი ცხენი, ერთი კვიცი,
ამის მეტი აღარ ვიცი.

შიფრი: ბსკიფა 22, 33.
მთქმელი: ქათამაძე შახმურად ხასანის ძე.
ასაკი: 28 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ჭვანა.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ქათამაძე შახმურად ხასანის ძე, 1931 წელს დაბადებული, სოფ ჭვანაში, კოლმეურნე, კომკავშირელი, უცოლშვილო, მშობლები ჰყავს, მოხდილი აქვს სამხედრო სამსახური, ნამყოფია: კალინინგრადში, ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში, გორკში, ურალში, თბილისში, ბათუმში და სხვაგან.

კაცი უნდა იყოს ჯინსიო

ერთი ხემწიფე და მისი მოადგილე. საუბრობდნენ ადამიანის სწავლა-განათლებაზე. უფროსმა, ხემწიფემ თქვა, რომ კაცს უნდა ასწავლო და კაცი დადგებაო. მოადგილემ ამაზე ვარი უთხრა,–კაცი უნდა იყოს ჯინსიო. თუ ჯინსი არ არის, რაც არ უნდა ასწავლო, მაინც დაქკარქავსო. ხემწიფე გაბრაზდა და მოადგილეს ცუდათ მოეპყრო. მოადგილეს უნდოდა კაცის სწავლა დაეფაქტებინა.

ხემწიფემ ასწავლა კატას სამი წლის განმავლობაში ისე, რომ, როცა საზღვარგარეთიდან სტუმრები მოდიან, კატა თაბლას დეიკავებს ორ ტოტში, უკანა ტოტებზე დადგება და ამ თაბლაზე დალაგებულ ყავეს ჩამოურიგებს სტუმრებს, ისე რომ უმცროს-უფროსსაც არჩევს. ჯერ უფროსებს აწვდის, შემდეგ-უნცროსებს.

ამ საკითხის გადასაწყვეტად ხემწიფემ დაუძახა საზღვარგარეთიდან სხვა ხემწიფეებსა და ნასწავლ ხალხს, რომ გადაეწყვიტათ მოადგილესა და ხემწიფეს შორის წამოჭრილი დავა. ჩამოდიან სტუმრები და კატას შეაქვს თაბლაზე დალაგებული ყაჰვე. ხემწიფის მოადგილე პაპიროსის ყუთით შეიყვანს თაგვს და კატა როცა არიგებს ყაჰვეს, მაშინ ჩუმათ გამო-

უშვებს ამ თაგვს. თაგვი როცა დაინახა კატამ, ეს თაბლა გააგდო ხელიდან და ემსხვრია თაგვს, ფინჯები მთლიანად დაამსხვრია. გაოცებულმა ხემწიფემ თქვა, რომ მართალი ხარ, მოადგილევ, მაჯობე ჭკვაშიო. კატას რომ ჯინსი არ ქონდა, სწავლით არაფერი გამოვიდა. ხემწიფემ თავისი პოსტი მოადგილეს დაუთმო, თვითონ კი მოადგილედ დაინიშნა.

ბედის შეხვედრა

ყო ერთი კარაბლი (კაპიტანი), რომელიც ორმოცი წლის იყო. მიდიოდა ევროპაში პარახოტით. შუა გზაჲ რომ გაიარა, უცბად რაღაცამ პარახოტი გაუჩერდა გზაზე. ჩავიდა კაპიტანი ზღვაში, ნახა, რომ ზღვაში პატარა ოთახი იყო. შევიდა ამ ოთახში, რომ სამი კაცი რაღაცას წერავენ. შიეკითხა კაპიტანმა, – რას წერთო? იგენმა უპასუხეს, რომ, ჩვენ ბედს ვწერთო. დაინტერესდა კაპიტანი თავისი ბედითაც და უთხრა,– მეც უცოლო კაცი ვარ, გამაგებინეთ ჩემი ბედიო. ამ სამმა კაცმა უპასუხეს, წუხელის დეიბადა შენ ბედზე ერთი გოგოვო სოფ. ერაყში და შენ ბედზე იგი დავწერეთო. კაპიტანმა მიუგო,– ჩემ ბედზე როგორ დაწერეთ, მე ორმოცი წლისა ვარ და ის კი გუშინ დაიბადაო. კაპიტანმა თხოვა იმ ოჯახის მისამართი. ამ გოგოს პატრონი ძალიან ღარიბი იყო. ადგა და კაპიტანი ღამე მივიდა იმ ოჯახში. სუნკით დატენილი ფული ჰქონდა კაპიტანს ხელში. როცა მივიდა, მშობლებს სძინავდნენ, ბავშვი კი აკვანში ყავდნენ. ამოიღო კაპიტანმა დანა და მძინარე ბავშვს მუცელში დაასო. – აბა, ერთი ჩემი ბედი უნდა ვნახოთო. სუნკით დატენილი ფული კი იქვე დააგდო. ამ ფულით ამ ღარიბმა კაცმა ქალიშვილი მოარჩინა. თავისი სოფელი დატოვა, ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად, დუქნები გახსნა და ვაჭრობა დეიწყო. სულ თვრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ. ქალიშვილი გადარჩა და ამის შემდეგ ეს კაპიტანი ევროპიდან დაბრუნდა. როცა ის დაბრუნდა, ამ დუქნის წინ კარგი ადგილი და ცივი წყალი იყო. ამ კაპიტანმა გამოვდა და აქ დეისვენა. ის კი ორმოცდათვრამეტი წლის იყო. როცა კაპიტანი წყლის პირას სვენობდა, ის გოგოც კაკრას იმ დროს გრაფინით ხელში გარეთ გამოვიდა წყლის ასადენად. კაპიტანმა დეინახა და ძაან მიეწონა. ხალხმა უთხრეს, გათხოვნინებთო. – როგორ უნდა ვითხოვო? მე ორმოცდათვრამეტი წლის ვარ და ის კი – თვრამეტი წლისაო. ძველმა ბეგიებმა საქმის გაკეთება დაპირდენ და წავიდნენ შუამავლად გოგოს მამასთან.

ბეგიებმა გაუკეთეს საქმე და ქორწილიც გადაიხადა. როცა კაპიტანმა ამ ქალთან ცხოვრება დეიწყო, აბანოში ერთად წავიდნენ. მაშინ კაპიტანმა აბანოში ცოლს შეამჩნია, რომ მუცელზე რაღაცა დიდი გაჭრილი ემჩნეოდა. შიეკითხა კაპიტანი ცოლს, – რატომ გაქ ასე გაჭრილი მუცელიო? ცოლმა უთხრა: – როცა ბავშვი ვიყავ აკვანში, ვიღაცა კაცი მოვიდა ჩვენთან ღამე სახლში და დანა დამარტყა მუცელზე, სუნკით ფული დააგდო და გეიქცა. მამაჩემმა ამ ფულით მეც მომარჩინა და დუქნებიც გახსნა ქალაქში. კაპიტანმა უთხრა, რომ წადი და ის სუნკა და დანა მომიტანეო. მუუტანა ის სუნკა და დანა ცოლმა და მაშინ ცოლს უთხრა, რომ ეს ჩემია ორივენიო და კაპიტანმა საჭიროდ გამოაქვეყნა თავისი თავგადასავალი. სთქვა, რომ უბედოდ, მართლაც, არაფელი არ იქნება. კაპიტანი ოთხმოცდახუთი წლის

ასაკში გარდაიცვალა და თავის პარახოტზე ეს ახალგაზრდა ქალი დაჯდა და დღესაც მუშაობს.

ცხენი გვარზე გაჭენებაო

ყო ერთი ხემწიფე და მის გვერდზე ცხოვრობდა ფოშა (კოლოფებისა და კაპიწების მკეთებელი). ამ ხემწიფესა და ფოშას ცოლები ფეხმძიმედ ყავდათ და ერთ დღეს დაებადათ ვაჟები. ბებია (ამყვანი) ორივეს ცოლს ერთი ყავდათ და ამ ბებიამ ჩუმად შეუცვალა მათ ბავშვები: ფოშის ბავშვი ხემწიფის ქალთან მიიყვანა და ხემწიფისა – ფოშის ქალთან.

ეს ვაჟები გაიზარდენ, დავაჟკაცდნენ და ოც-ოცი წლის შეიქნენ. ხემწიფემ თავისი შვილით წევდა მაღალ გორებზე სანადიროდ. გაიარეს ერთ მშვენიერ ნაძვნარეში და ამ შვილმა თქვა, რომ, კოლოფებისათვის რა კარგი საყავრე ხეაო. ეს ხემწიფეს გაუკვირდა, ეს ოხერი ფოშის შექნილი ხომ არ არიო.

მერე ფოშა და მისი შვილი მიდიან ტყეში საყავრე ხის მოსანახავად. მივიდნენ ისევ იმ მშვენიერ ტყეში და ფოშის შვილმა უთხრა მამას, რომ აქ ყავრის მოჭრა ცოდვააო. აქ კარგი სატახტო ადგილი გაშენდებაო. ფოშას გაუკვირდა, მე ლუკმა პურს დავეძებ და ჩემი შვილი კი ხემწიფობაზე ფიქრობსო. მერე დაბრუნდნენ. ფოშა და ხემწიფე შეხვდენ ერთმანეთს და შვილების ამბავი ილაპარაკეს. შემთხვევით ერთმა მამის ტრადიციას მიჰყო ხელი და მეორემაც. ხემწიფე დაინტერესდა ამ საქმით და ფოშისაგან გაიგეს ამბავი, რომ მათი შვილები ბებიას შეუცვლია ერთმანეთისათვის ჩუმად. აქედან გამოდის, რომ გვარს არ დაკარგავს ადამიანი. ცხენი გვარზე გაჭენდება.

შთამომავლობა საშვილიშვილოდ გადაეცემა.

შიფრი: ბსკიფა 22, 37.
მთქმელი: ამაღლობელი შახმურად მუხამედის ძე.
ასაკი: 28 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ჭვანა.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ამაღლობელი შახმურად მუხამედის ძე. დაბადებული სოფ. ჭვანაში. 1931 წელს. უპარტიო. მუშაობს ჭვანის ცენტრში, ბუფეტში. ცოლშვილიანი, არასრული საშუალო განათლებით, ლაპარაკობს ქართულად.

ამაღლობელი გვარის აჭარაში გადმოსახლების შესახებ

ჩვენი გვარი ბაღდადიდან გადმოსახლებულია; იქ წესი ყოფილა, რომ გოგო რომ გეთხოვა, ჯერ მღვდელთან უნდა გაევლო ერთ ღამეს. ერთმა ამაღლობელმა ითხოვა გოგო. ეს გოგოც პირველ ღამეს მღვდელმა წაიყვანა, ვერ მოითმინა ეს ამბავი ამ ამაღლობელმა, მოკლა ეს მღვდელი და გამოიქცა ჭვანაში. ეს კაცი იყო ჩემი დედესი დედეი.

ასე წარმოიშვა ამაღლობელის გვარი სოფ. ჭვანაში და სხვა სოფლებში.

* * *

ქუთაისში ყოფილა სოფელი წაბნარაჲ. იქიდან, თურმის, ბაღნებს იპარავდენ და ყიდნენ, თურქებს აძლევდნენ. სოფ. ნაღვარევიდან იქ ჩაბარგული ყოფილა, თურმე, ერთი იაღიზაჲ. ის ისეთი მაგარი კაცი ყოფილა, რომ ერთს რომ დეიყვირებდა, ქვეყანა ზანზარებდა. ის თურმე ვერ იტანდა ამ ქურდობას და ქუთაისლები მტრობდენ ამის გამო. ის ერთხელ ტყისველას ყოფილა მთაზე და ქუთაისლებმა გადასწყვიტეს მისი მოკლა. იაღიზამ გაუგო ქუთაისლებს ეს ამბავი. ისინი, თურმე, ტყისველას გაღმა, გადმოსახედ სერზე იყვნენ, რომ გამოღმიდან იაღიზამ შეამჩნია. გაბრაზდა, თურმე, და იმხელა დეიყვირა, რომე ჩამოსული ქუთაისლები ზოგი იქვე დაიხოცნენ და ზოგმაც, ვინც გადარჩენ, თავს უშველეს და გაიქცენ.

ამის შემდეგ ბაღნების ქურდობაც შენელდა.

* * *

ჩვენ ზეგნებში არის ნახიზნევი. ჭვანაში თურმე შავი ჭირი მოსულა და თითქმის ნახევარი ხალხი გუუწყვეტია. დანარჩენი ხალხი თავის გადასარჩენად, თურმე, გახიზნულან ზეგნებში და იმ ადგილებს, სადაც ისინი იმალებოდენ, ნახიზნევი დაარქვეს.

* * *

ეს, სოფ. ჭვანის გაღმა ჭალები რომ არის, ის ყოფილა ძველად სოფ. წყაროთის. თურმე იმ წყაროთლებმა ჭვანელებს მოსტაცეს გოგო. ამაზე ჭვანელები მოსაკლავად ემუქრებოდნენ

წყაროთლებს. ამის გამო წყაროთლებმა რიშვეთში გაღმა ჭალებში დაპირდენ. ბოლოს ჭვანელები შეურიგდენ ამ ჭალებზე და იქიდან მოყოლებული ეს ჭალები ჩვენია.

შიფრი: ბსკიფა 22, 41.
მთქმელი: ქარცივაძე ისკენდერ ახმედის ძე.
ასაკი: 30 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. გომარდული.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. გომარდული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. გომარდული.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ბარათაულის სას. საბჭო. სოფ. გომარდული. ქარცივაძე ისკენდერ ახმედის ძე, 30 წლის, ცოლშვილიანი, უპარტიო. საქართველოს ყველა ტერიტორია იცის, ნამყოფია ერზრუმში, კახზევანში, ყარსში. უკრავდა გარმონს და ამღერებდა. იცის ორი ენა - ქართული და თათრული.

ხელწიფის შვილი

ერთ ხემწიფეს სამი შვილი ყოლია, დაშახა შვილებს. უთხრა ერთს, რომ, შენ ვინმემ რომ გლახობა გიყოს, შენ რას იზამო? – გლახას გუუკეთებო. მეორემაც ასე უთხრა,– მეც გლახას გაუკეთებო. უმცროს კითხა ბოლოს,– შენ რას იზამო და მე რას ვუზამ და, რაც უნდა გლახა გამიკეთოს, მე მაინც კარგს გაუკეთებო. –შენ იქ ხემწიფობასო,–უთხრა ხემწიფემ და გუშვა ხემწიფედ.

ხელწიფის გოგო

ერთ ხემწიფეს გოგოშვილი არ ყავს თურმე და კითხეს, რომ გოგოშვილი რომ გიგიჩნდეს, რას იზამო. რას და, დავკლავო, იმიტომ, რომ ჩემს სიძიობას ვერავინ ვერ იზამსო. ცოლი ორსულა გაუხდა და ეყოლა გოგო შვილი. შეებრალა დასაკლავად. გამოიცვალა ტანზე, გლახა ტანსაცმელი ჩეიცვა და გასწია სხვა სოფლებისაკენ. ერთ ჭალაში გეიარა და დეინახა ნური ციდან ჩამოსული და ნურს კითხა, – რას იჯები აქაო? – მეო, – უთხრა ნურმა, რომ, მე ახლად დაბადებული გოგო და ბიჭი უნდა შევაუღლოვო. კითხა,– ჩემს გოგოს რას იზამო – შენს გოგოს ამეღამ შევაუღლებო. მათ ბედს დავწერო. ამეღამ იცდუნა ერთი ბიჭიო. ღარიბი კაცია სოფლის ბოლოსო და იქ დაიბადებაო. ამ ხემწიფეს ღამეს არვინ გაათევინებს და იმ ღარიბის ოჯახში მოხდება. იქ დაიბადება ეს ბიჭი და ხემწიფე ყიდულობს ამ ახალდაბადებულ ბიჭს და მწყემს აძლევს, რომ წყალში ჩააგდეო და ფულს მოგცემო. ეს ბიჭი წყემსს შეეცოდვა და ხრამში დატოვა. წყემსი თხებს აძოვებს და ერთი თხა არ იწველებოდა საღამოს. გაუკვირდა, რატომ არ იწველებაო. მეორე დღეს დაცო და, თურმე, იმ ბაღვს აწოვებს ძუძუს. წაიყვანა კიდევ სახლში, შვილი არ ყავდა და გაზარდა. გოგოც გასათხვარია. ხელმწიფემ განაცხადა, რომ ჩემი სახელმწიფოს ბიჭებმა შეიკრიბონ

და ჩემთან მოვიდენო. შეიკრიბენ და მოვიდენ, მაგრამ ხემწიფეს გოგოს არვინ არ მოეწონა. ბოლოს ეს წყემსის ბიჭი ასწავლეს და გოგომ თქვა, – ეს არის ჩემი საქმროვო. ხემწიფესაც მოეწონა ეს წყემსის შვილი და დეისიძია ეს ბიჭი. დაწერილი ბედი არ წეიშლება.

მოგზაურობა ყარსში

ყარსში ძალიან კარგი კურორტია, მე რომ ვიყავ, ნიკოლაი იყო. ახლა იერქის ხელშია, ყველამფრიდან კარგი კურორტია, მაგრამ წყალი არ აქვს. თოვლის წყალს ინახავენ. სავაჭროდ საქონელი იყიდება. დიდი რკინის კარებია ძველი. კარი ნიკოლასი არ არის, ძველისძველია; გეიღება ეს კარები და შეხვალ და შიგ იწყება კურორტი, იქ იყიდება ყველამფერი – ცხელი საქონელი და სუყველამფერი, მის ახლომახლო გაშენებულია სოფლები. საინტერესო იყო იქაური ნოხები.

კახსევანიც დიდი კურორტია, მაგრამ იგი შესანიშნავია, როგორც მარილის ქვეყანა. ერთი დიდი მთა იყო და ეს მთა სულ მარტო მარილი იყო. ზედან დიდრონი სახლები იყო გაშენებული, აფეთქებდნენ და მარილს ტეხდნენ. რასაც ერთი კაცი ასწევდა, ის უფასოდ იყო. თუ რაიმით წაიღებდა, სამი კაპიკი უნდა გადაეხადა. სხვა საქონელი მაინდამაიც არ იყო გასაყიდი. ხეხილი არ იყო. მხოლოდ ბევრი მუშები ცხოვრობდნენ. სიმინდი რამე იქ არ მოდის, ქერი აქვთ მარტო.

მოლლა მ-უსხვედიანი

ქართ გოროტში მიდის თურმე მოლა და ქალმა უთხრა, რომე ერთი ფეხსაცმელი მომიტანეო. წევდა და გზაში გაახსენდა, რომ ზომა რატომ არ წამოვიღე ქალის ფეხისაო. დაბრუნდა უკან. მოვდა სახლში, რომ რას დეინახავ: ქალს მოჯდომია ვინცხაჲ და იმ საქმეს აკეთებენ. დეინახეს კაცი და წამოდგომა დააპირეს. ქმარმა თქვა,– თქვენ მოიცადეთ, მე ხელს არ შეგიშლითო. ცოლს აწეული ფეხებიდან ზომა აუღო და წეიღო და ქაღალდის ფეხსაცმელები შეაკერია. ქალს გაუკვირდა, – რატომ ქენ ასეო, ერთ დღეს არ გამიძლებსო. კაცმა უთხრა, რომ შენი ფეხები ძირში არ დიმინახავს და ზევით აწეული ფეხებისათვის ქაღალდის ფეხსაცმელიც გამოდგებაო.

შიფრი: ბსკიფა 22, 46.
მთქმელი: ქარცივაძე მემედ სულეიმანის ძე.
ასაკი: 31 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ზემოხევი.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ზემოხევი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. გომარდული.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ქარცივაძე მემედ სულეიმანის ძე, 31 წლის, დაბადებული სოფ. ზემოხევში, უპარტიო, ნამყოფია ქ. ბათუმში.

ბიძას მძებნელი

ქართ სოფელში ყოფილა ორი ძმა. უფროსი ყოფილა ძლიერი და ვაჟკაცი, მას რვა კაცი მოკლული ყოლია და სურდა, სოფლიდან წასულიყო. უფროსი გადასახლდა იქიდან. უმცროსს ბავშვი შეეძინა. ბავშვი ჯამეში სწავლობდა ქირით. ცემდენ. ბავშვს გული ეტკინა, რომ არვინ არ მყავს, არც ბიძაშვილი და არც არავინ. მამას კითხა: რატომ არ მყავ-სო? მამამ უთხრა ბიძას გადასახლების ამბავი და ბავშვმა იკივლა. მე ასეთი ბიძა მყოლია და მე აქ რა გამაჩერებსო. ბიძა უნდა ვნახოვო. მეორე დღეს საგზალით გაუდგა გზას ბიძის საძებნელად. მამამ წასვლიხან დაარიგა: – თუ ამხანაგს შეხვდები და საჭმელად დაჯდებით, თუ მან დიდი პური მეიტეხა, შენ – პატარა, იმას არ დაეამხანაგოვო. დეეწია ერთ კაცს და დაუამხანაგდა. ამოიღეს პური წყლის პირას და პურს ჭამენ. ეს კაცი დიდ პურს მოიტეხს. ბავშვი მიატოვებს და წავა. ბიჭს დაუღამდება და ღამის გასათევად ერთ მოსახლესთან მივა. ხაზეინი დიდ პატივს ცემს ამ ბიჭს. მოვიდა დაწოლის დრო და ამ ბიჭს უთხრა, რომ ჩემი ოთახები უნდა დაგაბრუნიოო. მამას ანდერძის სახით დარიგებული ყავდა, რომ არაფელი არ გაიკვირვოვო. ბავშვმაც ბევრი რამ ნახა და არაფელი არ გაკვირვებია. სულ დაატარებია ყველამფერი და ერთ ოთახში ნახა მზეთუნახავი ქალი ფეხებით ზევით მიკრული. მეორე ოთახში შევიდენ და ნახა ბევრი ხალხი დაკლული. ბავშვი შეშინდა. ბავშვს ეშინია და გაქცევა სურს. კარი დაკეტილი დახვდა. აკოშკიდან ვერ გაბედა გადახტომა. იფიქრა, რომ მე მაინც დამკლავსო. დილას შევიდა ხეზეინი, პატივი ეცა და ბიჭს კიდევ დაურუნია ოთახები. რამე არ კითხა ბიჭმა. მასპინძელს გაუკვირდა, თუ როგორ არ კითხა რამე და გზა დაუ-ლოცა ბავშვს. ბიჭი წევდა. დეეწია ბიჭმა ერთ მოხუცს და თხოვა, გაზიდვინებ ტვირთსო. არ მისცა მოხუცმა. დაჯდენ საჭმელის საჭმელად. დიდი მისცა ბიჭს პური და პატარა მან ჭამა. გაწიეს გზაში. მოხუცმა ტავარჯოღი დადვა გზაში და გარეთ გევდა. მივდა ბავშვმა და ერთი ყოშიც ვერ გააქანა. ბავშვმა უთხრა, შენ დედევ, სხვა სულის პატრონი ხარო და მითხარიო. ბერმა უთხრა: მე გეტყვი, მარა შენ ჰადმე იტყვი და მოკდებიო. აქ ადამიანების სული მაქო. თან უთხრა, რომ მე აწი რომ შემხდები, მე თუ ადამიანის თავთან ვჯდავარ, შენ ბოლოში დაჯექიო, თუ ბოლოში ვარ, შენ თავში დაჯექიო. მე ღეზრაელი ვარო. ბიძას სახლიც ასწავლა და მივიდა ბიძას სახლში. ბიცოლამ არ მიიღო.

ქმარმა უთხრა: გადი და ჰკითხე, რომ ბიძამისი ჰად ცხოვრობდა, როგორ ცხოვრობდა,–

მითხრასო. ბავშვმა ნიშნები უთხრა და ბიძა დარწმუნდა, რომ მისი ძმისშვილი იყო. ყოჩიც დაუკლა, დაუგო ლოგინი და ბიძამ უთხრა, რომ შენ დაწექი და მე გელაპარაკებიო. ილაპარაკეს, მერე, ბავშვი გარეთ გამოვდა. რომ შევიდა ბიჭი და ეს მოხუცი იჯდა ბიძას თავთან. ბიძას უცებ სული ართვა. ბიჭმა კითხა მოხუცს, რამედენი წელიწადი უნდა ვიცოცხლოვო. ბერმა უთხრა სამი წელს იცოცხლებ, თუ ქალს არ მეიყვანო. თუ მოიყვან, იმ დღესვე მოკდებიო. ბიცოლამ უთხრა: უნდა დაგაქორწილოვო. ბიჭმა ვარი უთხრა. ბიცოლა მაინც ეხვეწება. გაყიდა ყველაფერი და იქ გეიბარგა, სადაც მამამისი ცხოვრობდა, ოქროთი სავსე ურმებით. მამამისს უთხრა, რომ მე ისეთი სახლი უნდა გავაკეთო, რომ ჩემი რაიონის ხალხს რომ დავპატიჟებ, ჩემს ქორწილში, ყველა შიგ მოთავსდესო. ოთხი უსტა მოიყვანა და დვარეცი გააკეთა. დაქორწინებაზე ვარი განაცხადა იმის გამო, რომ მოხუცმა ასეთი ანდერძი მომცაო და ასეო. მამამ ვექილი გაუხდა, რომ შენ არ მოკვდებიო. დედამაც და დამაც ასე უთხრეს. ეს ბიჭი დაქორწინდა და რაიონში ყველა დაპატიჟა. უკვე ყველამ იცის, რომ ქალის მოყვანის შემდეგ უნდა მოკვდესო. ქორწილის დროს ბიჭს შეიყვანებენ და ხალხი ჭუჭრუტანიდან უყურებენ, რომ როგორ უნდა მოკდესო. შევიდა და მიდის ქალთან და შეატანა ღეზრაელმა: რას შობი პირობას, ახალგაზრდავო? – მე ერთ სიტყვას გეტყვი და თუ გინდა, მერე წაიღე ჩემი სულიო. ვექილობა თუ შეიძლებაო. კიო! დედა, მამა და ბიცოლა მყავს ვექილადო. ყველა შემოიყვანეს და ღეზრაელი სულს ართმევს. წელზე მისვლამდე ყველამ გაძლეს და მერე თქვეს, რომ ვერვინ ვექილი ვერ ვიქნებითო, ესენი ასე დამთავრდა და ღმერთი უბრძანებს ღეზარაელს, რომ სული ართვიო. გოგო პირზე ეიხდის, რომ მაგის მაგივრად მე ამართვათ სულიო. ღმერთს შეეცოდვება და აჩუქებს სულს მათ, სულს დაუტოვებს.

შიფრი: ბსკიფა 22, 47.
მთქმელი: ქათამაძე იოსებ მუხამედის ძე.
ასაკი: 23 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ბარათაული.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ბარათაული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ბარათაული.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ქათამაძე იოსებ მუხამედის ძე. დაბადებული 1936 წელს სოფ. ბარათაულში. მშობლები ჰყავს. კომკავშირელი, ნამყოფია ლატვიაში, ლიეპაიაში, კიევში, ხარკოვში, მინსკში, ვილნიუსში, კლაიპედაში, მოსკოვში, თბილისში, სალდურში, ვერსკში და ქ. ბათუმში, ლაპარაკობს რუსულად და ქართულად.

* * *

ყო და არა იყო რა, იყო ერთი სოფელი. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი ვაჟი, რომელსაც უყვარდა ამავე სოფელში მცხოვრები მდიდრის ქალიშვილი. მაგრამ ვაჟს გოგოს მშობლები ვარს ეუბნებოდნენ გოგოს მითხოვნებაზე. ამდენათ ქალ-ვაჟი შეიქმნენ იძულებული, ეთხოვათ ღმერთისათვის დახმარება შემდეგი დაპირებით: როცა ისინი

ერთმანეთის გახდებოდნენ, მათ ორმოც დღე და ღამეს არ უნდა ეძინათ და ერთმანეთისათვის ეყურებიათ. მართლაც ასრულდა მათი თხოვნა და ამ ვაჟმა შეირთო ეს ქალიშვილი ცოლად. დაიწყეს ღმერთისადმი დადებული პირობის შესრულება. ერთ მშვენიერ დღეს ამ ადგილ-მამულის მფლობელმა გასცა ბრძანება, რომ მის საბრძანებელში არსად არ ყოფილიყო სინათლე. მართლაც, შესრულდა მისი ბრძანება, მაგრამ ამ ქალ-ვაჟის ოთახში სინათლე მაინც იყო. ამდენად ამ ადგილ-მამულის მფლობელმა მოინდომა ამ სინათლის ჩაუქრობლობის მიზნის გამორკვევა და წამოვიდა თვითონ ამ ქალ-ვაჟთან. ეზოდან ეძახის და გამოდის ქალი გარეთ. ის ეკითხება მიზეზს, თუ რატომ არ ჩააქრეს სინათლე. ქალი პასუხობს, რომ ისინი შეპირებული არიან ღმერთზე, ორმოცი დღე და ღამე უყურონ ერთმანეთ და მოყვა ყველა მათი თავგადასავალი. მაშინ ფლობელმა გოგოს უთხრა, – რად გინდა, ამ ვაჟისათვის, ასე იტანჯები. წამომყევი მე ცოლადო, ეგ კი დაახრჩეო. მართლაც, ქალმა ქმარს ბალიში დადვა პირზე და დაახრჩო და გაჰყვა ამ კაცს. ამ კაცმა კი, როდესაც მიიყვანა ეს ქალი თავის ოთახში, ბრძანა, რომ ის ჩაესვათ საპყრობილეში. მეორე დღეს გამოვიდა მისი ბრძანება, რომ რადგან ქალები ასეთი მოღალატენი არიან, ასეთი საყვარელი ადამიანებისადმი და თავის ბედნიერებას და სიყვარულს ამჯობინებენ სიმდიდრეს და ფუფუნებას. დაიხოცოს ჩემს საბრძანებელში ყველა ქალი. თავისმა ვეზირებმა სთხოვეს, რომ ქალებს მთლიანად ნუ დახოცავდა, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა. მაშინ მასთან შედის მისი ერთერთი გამოჩენილი ფალავანდი და მოუთხრობს შემდეგს: რომ ერთ მშვენიერ დღეს მოუხდა მგზავრობა შორს. გზაზე მას მოშივდა და ერთ წყაროსთან დაიწყო საჭმელის ჭამა. ამ დროს მოდის ერთი ცხენოსანი კაცი, რომელიც ძალზე სუსტი და მაღალია, მან მოსლისთანავე მისცა სალამი და სთხოვა, რომ მასთან ეჭამა საჭმელი, მან მოიპატიჟა. როცა დაჯდა საჭმელის საჭმელად, ფალავანს სთხოვა, მის ცხენიდან გადმოეღო ხურჯინი და მიეტანა. ფალავანდი ასრულებს მის თხოვნას, მაგრამ ვერ ახერხებს ხურჯინის გადმოღებას, რადგან ის მძიმე იყო. მაშინ მოდის ეს უცნობი და ამ ხურჯინს ნეკი თითის აკვრით იღებს ძირში. ფალავანდი ძალიან გაკვირდა, რომ ის ასეთი ძლიერი იყო და ვერ შესძლო ხურჯინის გადმოღება, როცა ეს უცნობი ძალიან სუსტი ადამიანი იყო და ერთი შეხედვით იფიქრებდა კაცი, რომ ის სრულებით უღონო იქნებოდა. საჭმელის ჭამის შემდეგ გაუდგნენ გზას. ფალავანდი ფიქრობს, რომ ეს უცნობი გვიან თუ ადრე მოუღებდა ბოლოს მასაც. ამდენად განიზრახა მისი მოკვლა მუხანათურად. მას გააჩნდა მხოლოდ მრგვალი რკინის ბურთები სიმძიმით განსხვავებულნი. პირველად შემოკრა ყველაზე პატარა რკინის ბურთი, მაგრამ უცნობს თითქმის არც კი უგრძნია. მაშინ შემოკრავს უფრო მძიმეს. უცნობი არც ამაზე პასუხობს. ბოლოს იყენებს ყველაზე მძიმე ბურთს, ამაზე კი უცნობი პასუხობს:– ამას კი არა უშავდაო. ამ დროს მიაღწიენ ერთ ტრიალ მინდორში, სადაც იდგა მხოლოდ ერთი კოშკი. უცნობი ჩამოდის ცხენიდან და ეუბნება: მე აქ უნდა შევიდე, თან გიტოვებ ჩემ ცხენს. გაფრთხილებ თუ მე დავიყვირებ, მაშინ დამიცადე და თუ არ დავიყვირო, მოაჯექი ჩემს ცხენს და ის გადაგარჩენს მხოლოდ სიკვდილიდან, მიდის უცნობი. რამდენიმე ხნის შემდეგ ისმის ყვირილი. ფალავანდი დამშვიდდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოდის უცნობი კოშკიდან და ეუბნება, რომ ის კაცი კი არ არის, არამედ ქალია: მხოლოდ საქმე იყო

შემდეგში: ამ კოშკში მცხოვრებმა ადამიანებმა მოუკლეს მას ქმარი. რომ აეღო მისი ქმრის სისხლი, სთხოვა ღმერთს, რომ მიეცა მისთვის ისეთი ღონე, რომ შესძლებოდა ქმრის მკლელებისადმი გასწორება და შემდეგ აღარ ითხოვდა სიცოცხლეს. ღმერთმა მართლაც შეუსრულა ეს თხოვნა. ეხლა ის მოკვდებოდა. ამდენად სთხოვა ფალავანდს, დაემარხა ეს ქალი. მართლაც ქალი კვდება, მარხავს ფალავანდი მას. აი, მბრძანებელო, ასეთი კეთილი და პატიოსანი ქალებიც არიან ჩვენს სამფლობელოში. მაშინ მბრძანებელი ცვლის თავის ბრძანებას და აღარ მოითხოვს ქალების მთლიანად სიკვდილით დასჯას. იმ ქალს კი სიკვდილით სჯის.

ორი ძმის ამბავი

ყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი, მოხუცებულობის დროს გაუჩნდათ ტყუპები, ბიჭები. მოხუცი ცოლ-ქმარი მალე გარდაიცვალნენ, დარჩენ ობოლი ბავშვები. სიღარიბისაგან რომ თავი ეხსნათ, გადასწყვიტენ წასულიყვნენ ფულის მოსაგებად. ძმები ძალიან გავდენ ერთმანეთს ისე, რომ მათი გამორჩევა ძნელი იყო. ბევრი სიარულის შემდეგ მიაღწიენ ერთ გზაჯვარედინს. აქ მათ გადასწყვიტეს, წასულიყვნენ სხვადასხვა მიმართულებით, მხოლოდ დანიშნულ დროზე უნდა მოსულიყვნენ ამ გზაჯვარედინზე. იქ მდგომ ერთ ხეზე მიასეს ხანჯალი, რომელიც გააგებინებდა ძმის დაბრუნებას. თუ მისი ძმა აქ არ დახდებოდა, გაჭირვებაშია თუ კარგადაა. თუ ხმალი დაჟანგული იქნებოდა, ეს იმას ნიშანვდა, რომ ძმა გაჭირვებაში იმყოფებოდა, რის შემდეგაც ვალდებული იყვნენ, წასულიყვნენ ერთმანეთის დასახმარებლად. ამრიგად, გაუდგნენ გზას. პატარა ძმას დიდი ხნის სიარულის შემდეგ შემოეყარა კურდღელი. კურდღელი ეკითხება ბიჭს: საით მიემგზავრებითო? ბიჭი პასუხობს, – ბედის საძიებლათო. მეც თქვენი ძმობილი ვიქნებიო, – ეუბნება კურდღელი და გაჰყვა ბიჭს. ცოტა ხნის შემდეგ შეხვდათ მელია. ისიც მათ დაუძმობილდათ და გაჰყვა. შემდეგ შეხვდათ მგელი, მგელიც უძმობილდება. შემდეგ შეხვდა დათვი და დათვიც ასევე მოიქცა. ამრიგად, ბიჭის ერთად ხუთი მხეცი მიემგზავრებიან ბედის საძიებლათ. დიდი ხნის სიარულის შემდეგ მიადგნენ ერთ ქვეყანას ღამის გასათევად. ბიჭმა სთხოვა ერთ მოხუცს, მიეცა მისთვის თავის შესაფარი. მოხუცმა ქალმა უთხრა,- თქვენ ეხლა გემშიებათ, მაგრამ არ შემიძლია საჭმელი გაგიკეთოთო. ბიჭმა კითხა ამის მიზეზი. მოხუცმა უპასუხა, – აქ ჩვენს ქვეყანაში არის ერთი მდინარე, რომელსაც ვხმარობთ, მაგრამ ეს მდინარე დაკავებული აქვს ერთ გველვეშაპს, რომელიც ყოველ კვირაში მოითხოვს, რომ მას შესწირონ თითო ადამიანი. დღეს რიგით ხელმწიფის ქალიშვილი უნდა მიართვან. როცა მას შეშჭამს, შემდეგ შეგვიძლია წყალი მოვიხმაროთო. მაშინ ბიჭი ეუბნება, – მომეცი კოკა, მე წავალ და მოვიტან წყალსო. ბიჭს თავისი მხეცების ერთად მოდის ამ ადგილას, სადაც ეს ხელმწიფის ქალვიშილი იმყოფება, როდესაც მივიდა ქალიშვილთან, ხედავს, რომ ის ტირის. ეკითხება, თუ რა მოუვიდა. ქალიშვილი ეუბნება, რომ ის მსხვერპლადაა დატოვებული გველვეშაპისათვის და სადაც არის მოვაო. ვაჟმა უთხრა, – მე ძალიან დაღლილი ვარ, დავისვენებ და როდესაც გველვეშაპი გამოჩნდება, გამაღვიძეო. ბიჭმა დაიძინა. რამო-

დენიმე ხნის შემდეგ მოდის გველვეშაპი. ქალიშვილმა დაიწყო ტირილი და ვერ ახერხებს ვაჟის გაღვიძებას. ქალიშვილის ცრემლმა ვაჟს დაეცა ლოყაზე, რამაც ვაჟი გამოაღვიძა და დაინახა ვაჟმა გაშმაგებული ვეშაპი. ვაჟმა იშიშვლა ხმალი და გველეშაპი შუაზე გაჰკვეთა, რის შემდეგ, დაღლილობის გამო, დაიძინა და თავის მხეცებსაც უბრძანა, მათაც დაეძინათ. ქალიშვილი მათ თვალყურს ადევნებდა. ყოველივე ეს შენიშნა ამ სახელმწიფოს სოვდაგარმა. მიეპარა ამ ვაჟს, აიღო ვაჟის ხმალი და ერთი დარტყმით მოსჭრა კისერი და თან ქალს უთხრა, თუ ის ამას გაამხელდა, მასაც მოკლავდა. წაიყვანა ქალიშვილი თავის მამასთან და უთხრა, რომ მისი ქალიშვილი გადაარჩინა სიკვდილს და გველვეშაპიც მოკლა. გახარებულმა ხელმწიფემ იმ დღესვე მოუწყო ორმოცდღიანი ქორწილი და შერთო თავისი ქალიშვილი ცოლად. ამ ხნის განმავლობაში გამოიღვიძენ მხეცებმა და რა ნახეს თავისი ძმობილი მკვდარი. დათვმა მივარდა მელასთან და უთხრა,– შენ დაძვრები ყველგან და შენვე გეცოდინება ისეთი წამალი, რომელიც ჩვენს მეგობარს გააცოცხლებსო. მელამ უთხრა: მე მართლაც ვიცი ეს წამალი, მაგრამ მე რომ სოფელში გავიარო, ყველა მე დამედევნება, ეგონებათ, მელა ქათმების მოსაპარავად მოდისო, ამიტომ გავაგზავნოთ ძაღლი და კურდღელი. როდესაც ისინი სოფელს მიუახლოვდებიან, კურდღელი გაიქცევა წინ და მას თითქოს დასაჭერად დაედევნება ძაღლი. სოფლელი ხალხი მურიას დაუწყებენ ყვირილს. რომ სწრაფად დაიჭიროს კურდღელი. ასეთი ხერხით ისინი მიაღწევენ იმ ადგილას და მოიტანებენ წამალს. მართლაც, კურდღელი და ძაღლი ასრულებენ ამ დავალებას და აცოცხლებენ ბიჭს. ბიჭს ყველაფერს ეტყვიან მხეცები. მიდის ბიჭი მხეცების ერთად, მიდის იქ, სადაც ქორწილი მიმდინარეობს. ამ დროს ქალიშვილი მზად არის, დალიოს საწამლავი და მოიკლას თავი. მაგრამ ვიღაცა ეტყვის, რომ ერთი ბიჭი ხუთი მხეცით ჩვენს ქორწილში მოვიდაო. მაშინ ქალიშვილი დააქცევს საწამლავს. ბიჭი ჯდება მაგიდასთან თავისი მხეცების ერთად და შიექცევა პურ-მარილს. ბოლოს იკითხავს, თუ რა იყო მიზეზი ასეთი დიდი ქორწილის გადახდისა. მას უამბობენ ყველაფერს. მაშინ ვაჟი ეუბნება, – თუ აქვს იმ სოვდაგარს ამის დამადასტურებელი ნიშანი. ეს ნიშნები არ აღმოაჩნდა სოვდაგარს. მაშინ ვაჟი ამოიღებს სუნკიდან გველვეშაპის ყურებსა და ცხვირს და ამბობს, – ის გველვეშაპი მე მოვკალიო. მაშინ სოვდაგარი ეუბნება, – შენ შეიძლება კდარ გველვეშაპს მოაჭერი ყურებიო. ვაჟი მაშინ მოითხოვს, შემოეყვანათ ქალიშვილი. მასთან შემოდის ქალიშვილი ხელმწიფისა. ვაჟი იძრობს ხალათს და უჩვენებს ზურგს, – სადაც ქალიშვილს გველვეშაპის სისხლში გასერილი ხელები დაერტყა ვაჟისათვის ზურგზე ნიშნათ. ქალი ამბობს სინამდვილეს. ვაჟიც ყველაფერს ყვება. რასაც ქალი ადასტურებს. მაშინ ხელმწიფემ მისცა ვაჟს უფლება, მასვე დაესაჯა მატყუარა სოვდაგარი. ვაჟმა მოითხოვა სივდგარის მინდორში გაყვანა. იქ მიუსია თავისი ნადირები და სოვდგარი ნაკუწებად დაგლიჯეს, რის შემდეგ განაგრძეს ქორწილი და შერთეს ცოლად ეს ქალიშვილი ვაჟს.

ქორწილის გადახდის შემდეგ, ვაჟმა სთხოვა ხელმწიფეს, რომ დაერთო ნება მისთვის, წასულიყო სანადიროდ. ხემწიფე ეუბნება, - წადი, მხოლოდ მალე დაბრუნდიო და თან ჩრდილოეთის მხარით არ წახვიდეო, სხვა ყოველ მხრივ შეგიძლია ინადიროვო. ვაჟი მიდის სწორედ იმ მხრივ, სადაც ხელმწიფემ აუკრძალა. რამოდენიმე მანძილის გავლის შემ-

დეგ გზაზე შემოეყარა ყარაული. ყარაულებმა უთხრეს, აქეთ გამლელი უკან არასდროს დაბრუნებულაო. ვაჟი მაინც მიდის თავისი გზით. უღამდება ერთ დიდ ნაძვის ძირში. ანთობს ცეცხლს. ჰკლავს ირემს და სწვავს წვადებს. ამ დროს ამავე ნაძვის წვეროდან ისმის მოხუცი ქალის ყვირილი. ვაჟი შესძახებს, – ვინა ხარ. ქალი პასუხობს,– ადამიანი ვარო. – მაშ, თუ ადამიანი ხარ, ჩამოდი ძირშიო. მოხუცი ეუბნება, – თქვენი ნადირებისა მეშინიაო და თან ჩამოყრის თავისი თმის ნაგლეჯებს, – ეს მოაყარე თქვენს ნადირებს და ჩამოალო. ვაჟი მართლაც ასე იქცევა. მოხუცი ქალი მოითხოვს საჭმელს. ვაჟი მას აწოდებს ერთ შამფურ წვადს. როდესაც შეშჭამა, ეს მოხუცი ქალი ეუბნება, – თქვენ არა ხართ ის ვაჟი, რომ ჩემი შვილი გველვეშაპი მოჰკალითო და იქვე აქვავებს თავის მხეცებთან ერთად. სწორედ ამ დროს შესრულდა ის დროც, რა დროსაც ძმები ერთმანეთს უნდა შეხვედროდენ. უფროსი ძმა ნახულობს ხანჯალს. ხანჯალი დაჟანგული აღმოჩნდა, რაც მოასწავებდა მისი ძმის დაღუპვას. უფროსი ძმა მიემართება ძმის საძებნელათ, მას ყავდა ისეთივე ნადირები, როგორიც მის უმცროს ძმას და თვითონაც სახით გავდა ძმას. უფროსმა ძმამ მიადგა იგივე მოხუცს, რომელ მოხუცთანაც იყო მისი ძმა. მოხუცმა ვერ იცნო, რომ ეს ვაჟი არა ის ვაჟი იყო, რომელიც მასთან პირველად იყო. ამდენად, ფიქრობდა, რომ ეს ბიჭი იყო ხემწიფის სიძე. მოხუცმა ქალმა გააგებინა ხემწიფეს, მისი სიძის უვნებლივ დაბრუნების ამბავი. ხემწიფემ თავისი ამალით ბიჭი მიიყვანა სახლში, მაგრამ ისინიც ვერ ცნობენ მას და აწვენენ მის ძმას ცოლთან. ვაჟისათვის ყველაფერი გასაგები იყო. ამდენად მან, რომ თავისი ძმის ცოლისათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. ბრალს დებს ქალსა და ეუბნება,– ამეღამ არ მაქვს უფლება, თქვენ შეგეხოთო. ქალიც თანხმდება. მეორე დღეს ვაჟი მოითხოვს ხელმეორედ სანადიროდ წასვლის. ხელმწიფე ეუბნება, წადი მხოლოდ ასე არ დაიგვიანოვო და არც ჩრდილოეთით ინადიროვო. ვაჟი მიემგზავრება სწორედ ჩრდილოეთით. მას უღამდება იმავე ნაძვის ძირში. ისიც წვადებს წვავს აქ. ქალი ყვირის ნაძვის წვეროდან. ვაჟი უფრო მრისხანედ პასუხობს მოხუცს და უბრძანებს ჩამოვიდეს ძირში. დედაბერი ეუბნება, მეშინია თქვენი ნადირებიდანო და თხოვს, მისი თმების ნაგლეჯები მოუყაროს ნადირებს. ვაჟი კი პირიქით აკეთებს და თმებს იდებს ჯიბეში. დედაბერი ჩამოდის ძირში და მოითხოვს საჭმელის ჭამას. ვაჟი მას ყოველ სურვილს უსრულებს. ბოლოს უბრძანა მხეცებს, შეეპყროთ დედაბერი, მხეცებმა მართლაც შეიპყრეს ის. ვაჟმა უბრძანა დედაბერს, ეამბო მისთვის, სად წაიყვანა მისი ძმა და ეხლავე აქვე მიეყვანა. შეშინებულმა დედაბერმა უთხრა, -ე მაგერ პირსახოცი რომ დევს, აიღე ხელში და მაქ რომ გაქვავებული ადამიანები არიან, მოუსვი და გაცოცხლდებიანო. ვაჟი აცოცხლებს თავის ძმას თავისი ნადირებით. შემდეგ ვაჟი უბრძანებს, გეეცოცხლებინა ყველა მის მიერ დახოცილი ადამიანები. დედაბერი ასრულებს მის ბრძანებას. წამოიშალნენ რამოდენიმე ათასი კაცი, რომელიც დედაბერს გაექვავებინა. გახარებული ხალხი ჰკოცნიან ძმებს. ძმებმა ეს დედაბერი, შებოჭილი, ხალხთან ერთად წამოიყვანენ. როცა მოვიდენ უმცროსი ძმის სიმამრის სახლში, უამბენ სიმავრს ყველაფერს. სიმავრი, ხელმწიფე, მეორე ძმას აძლევს სამფლობელოს, შერთავს ცოლად მეზობელი სახელმწიფოს ხელმწიფის ქალიშვილს. დედაბერს საჯაროდ ნადირებს დააკუწვინებენ. ძმები კი აწყობენ გაერთიანებულად სახელმწიფოს მართვას და ბედნიერ ცხოვრებას.

იადონი და ბულბული

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი კაცი. ამ კაცმა გადასწყვიტა, გზაჯვარედინაზე აეშენებინა ისეთი ჯამე, რომელიც ყველა გამვლელს და მნახველს გააკვირვებდა. მართლაც, ააშენა მშვენიერი ჯამე და დაუყენა მას მცველები, რომელთა მოვალეობა იყო, ეთვალყურებინა ყველა ამ ჯამეში შემსვლელი ადამიანისათვის, რათა გაეგო მათი აზრი, თუ რას დაიწუნებდენ. ერთ მშვენიერ დღეს შედის ამ ჯამეში ვიღაცა უცნობი მოხუცი. დათვალიერების შემდეგ თავის დაქნევით რაღაცას იწუნებს. მაშინ ეს მდიდარი კაცი ეკითხება, თუ რა ჰქონდა ამ ჯამეს დასაწუნი. მოხუცი ეუბნება,– ყველამფერი კარგია, მაგრამ კარგი იქნებოდა, გყოლოდა იადონი და ბულბული, რომელიც თავის გალობით დაატკბობდა აქ შემომსვლელ ადამიანებს. მაშინ მდიდარი კაცი მიდის სახლში და იბრუნებს თავის სამ შვილს და აძლევს დავალებას, რომ, სადაც არ უნდა ყოფილიყო ეს იადონი და ბულბული, უნდა ენახათ და მოეყვანათ. უამისოდ დაბრუნებას უკრძალავდა შვილებს სახლში. შვილები გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგენ ერთ ქალაქს. აქ ძმებმა გადასწყვიტეს, დარჩენილიყვნენ და აღარ ეძებნათ იადონი და ბულბული, რადგან არ ქონდათ იმედი მისი ნახვისა, მაგრამ ამას წინააღმდეგობა გაუწია უმცროსმა ძმამ. ის მოითხოვდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ეძებნათ იადონი და ბულბული. რადგან ვერ დაითანხმა ძმები, თვითონ მარტო გაუდგა გზას. დარჩენილმა ძმებმა კი დაიწყეს მუშაობა სამჭედლოში. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, უმცროსმა ძმამ გავიდა ერთ ტრიალ მინდორში, სადაც დაინახა მხოლოდ ერთადერთი კოშკი, რომელსაც შესავალი არსაიდან ჰქონდა. მაშინ ამ ბიჭმა ხმლის საშუალებით გამოსჭრა კედელი და შევიდა შიგ. დაინახა, რომ შიგ ზის ერთი მშვენიერი ქალიშვილი და ტირის. ვაჟი ეკითხება ტირილისა და მარტოობის მიზეზს. ქალი პასუხობს, რომ მას ყავდა ცხრა ძმა, რომელნიც ამჟამად ფრონტზე იმყოფებიან და ებრძვიან ერთ სახემწიფოს ჯარს. ენახა სიზმარი ორი ძმის დაღუპვისა და შესაძლებელი იქნებოდა, თუ დახმარებას ვერ მიიღებდენ, ისინიც დაიღუპებოდნენ. მაშინ ვაჟმა უთხრა, მე წავალ და დავეხმარებიო. მიდის ვაჟი. ქალი მას საჩუქრად და ნიშნად, რათა ძმებს ეცნოთ, მის მიერ მოქარგულ ცხვირსახოცს ატანს. ბევრი სიარულის შემდეგ მივიდა იმ ადგილას, სადაც ბრძოლა იყო გამართული. ძმები გაჭირვებაში იყვნენ. ვაჟმა იშიშვლა ხმალი და რამდენიმე წუთის განმავლობაში მოკლულთა გორა დააყენა. დახოცა ყველა მოწინააღმდეგე ძმებისა. ამ ბრძოლის დროს დაიჭრა ნეკა თითში და შეიხვია ეს თითი ქალიშვილის მიერ ნაჩუქარი ცხვირსახოცით. ეს რომ ძმებმა დაინახეს, ეცნოთ მათი დის ცხვირსახოცი. გამოკითხეს ვინაობა, თუ ვინ იყო ის და საიდან ნახა მათი დის ცხვირსახოცი. ვაჟმა ყველაფერი უამბო. მაშინ ძმებმა გადაეხვივნენ ამ ვაჟს და სიხარულით კოცნიდნენ. წაიყვანეს სახლში და მიათხოვეს ცოლად მათი და ამ ბიჭს. შემდეგ ვაჟს უთხრეს, თუ რას მოითხოვდა ამ ძმებისაგან, რომ მას დახმარებოდენ. ვაჟმა უთხრა, რომ ის წამოსულია იადონი და ბულბულის საძებნად და სთხოვს, რომ მიასწავლონ მისი ადგილი, სამყოფელი. მაშინ ქალი ეუბნება, – მე მყავს და, რომელიც საღამოს დაწვება, რაღაცას ჩაიფიქრებს და სიზმარში ნახავს მისი სურვილებისდამიხედვით, რაც მას სურს. შენ მიდი ჩემ დასთან. ჩემი სახელი უხსენე, გაჭირვება ყველაფერი მოახსენე და ის

გასწავლის, თუ სად იქნება იადონი და ბულბული და როგორ შეძლებ შენ მათ წამოყვანას. წამოსვლის ხანს ჩვენთან გამოივლი. ორ წელი ვადას გაძლევ და გიცდი და წმინდად შევინახავ შენ სიყვარულს, თუ არ დაბრუნდი, ჩემი ძმების დახმარებით, იძულებული შევიქმნები გეძებო და თუ ვერ გნახე, სიკვდილამდე შენი სახელის თაყვანისმცემელი ვიქნები.

გაუდგა ვაჟი გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა ერთ დიდ ზღვას, რომელსაც მოლურჯო ფერი ქონდა და უცხო ვინმეს მოსლაზე დაიწყებდა კამკამს და თანდათან აგორდებოდნენ ზედ დიდრონი ტალღები. ამ ტალღებს შორის მოჩანდა ორსართულიანი კოშკი, რომელიც, იმ გოგოს სწავლებით, უნდა ყოფილიყო მისი დის კოშკი. ვაჟმა დაიძახა იმ გოგოს სახელი და ამ კოშკიდან გადმოდგა ერთი ლამაზი ქალი, რომელმაც გაიგო ვაჟის ყვირილით, რომ მისი დის გამოგზავნილი იყო. უცბად ზღვაზე ხიდები გაიდვა. ეს ვაჟი შედგა ამ ხიდზე და მივიდა კოშკთან, ირგვლივ შემოუარა, მაგრამ შესასვლელი არსად უჩანდა. უცბად გაიხსნა ერთ კედელი და გამოჩნდა ხალიჩებდაფენილი მერდივანი, რომელიც მეორე სართულზე ადიოდა. აჰყვა ბიჭი ამ კიბეს და ავიდა მეორე სართულზე. ავიდა და დაინახა ტახტზე წამომჯდარი მზეთუნახავი ქალი, რომელიც სულ მის დას გავდა. გაუზიარა ვაჟმა თავისი გულის დარდები, აუხსნა მისი ვინაობა. ქალმა გამოჰკითხა, თუ როგორ გაიცნო მისი და. ვაჟმა დაწვრილებით უამბო ყველამფერი და მოახსენა მისი დახმარება მისი ცხრა ძმისადმი და მათი გადარჩენა. ბოლოს მოახსენა მისი გულის დარდი და დახმარება თხოვა. ქალმა შეჰპირდა, რომ მე ხვალე დილისათვის უსათუოდ გავიგებ, სად არიან იადონი და ბულბული და როგორი საშუალებით შეიძლება მათი ნახვა და წამოყვანა. ქალმა დიდი პატივი სცა თავის დის საქმროს და ცალკე ოთახში მოათავსა. თვითონ კი დაიძინა და ნახა სიზმარი, რომელიც დილას უამბო თავის სასიძოს და გააგებინა იადონის და ბულბულის ნახვის საქმე. ქალმა უთხრა: ამ სამ მთას იქით ერთი დიდი მთაა და მას აქვს მიუწვდომელი მწვერვალი, რომელზეც აგებულია ქაჯების ციხე და ამ ციხის დასამშვენებლად ყავთ იადონი და ბულბული. მისი წართმევისათვის თქვენ დაუღალავი ბრძოლა და სისხლისღვრა დაგჭირდებათ, მაგრამ მას თქვენ მაინც მოიპარავთ, თუ ამ ჩემ დარიგებას არ შეცვლით: წადი, აქედან ამ სამ მთას იქით რომ გადახვალ, იმ მეოთხე მთას შემოუარე უკნიდან. იქ დიდი მდინარე ჩამოუდის ძირში. იქ შეცურავ და იმ მთის ძირში რომ მიხვალ, ერთი ასასვლელი გზაა და იმას აჰყვები. ახვალ ციხის ძირში. ამ ტანისამოსს ჩაიცვამ და კარებში შეხვალ. თუ ყარაულმა გკითხოს, ვინა ხარო, ჰაჯი ხუსეინი ვარ თქო და გაგიშვებს. როცა შიგ შეხვალ, მერე ადვილია. ყველაჲ დაიძინებენ და შენ ახვალ თაროზე, საიდაც გალობენ იადონი და ბულბული, მოიპარავ და წამოიყვან. ისე უნდა წამოიყვანო, რომ იადონმა და ბულბულმა არ დაიწყონ გალობა და ყარაულებს არ გაეღვიძონ. ამ ბიჭმა შეასრულა ქალის ყველა დავალება, მაგრამ თაროდან ჩამოიყვანა თუ არა იადონი და ბულბული, მორთეს საშინელი წივილი. ჯარმა ყველამ გაიღვიძეს და შეიქმნა საშინელი ომი. ცალ ხელში ესენი ეჭირა, ცალში – ხმალი და მოკლულთა გორები დააყენა ამ ბიჭმა. ბოლოს გამოანგრია ალყა, კარებში გამოვიდა, ციხეს შემოუარა უკანა მხარეზე და საიდუმლო გზით ჩამოვიდა. წამოიყვანა იადონი და ბულბული, გამოიარა თავის ბალდუზთან.

ისიც მას თან წამოყვა მთელი თავისი მზითევით და გამოიარეს შუათანა დასთან. ისიც წამოიყვანეს, მოვიდენ უმცროსთან, იქ იქეიფეს მაგრად და მეორე დღეს გამოსწიეს სახლისაკენ. იმ ქალაქში თავის ძმებმაც შეხვდნენ და გახარებული დაბრუნდენ სახლში. დები ცოლად შეირთეს ძმებმა და მამას ჯამეში იადონი და ბულბული მიუყვანეს.

შიფრი: ბსკიფა 22, 50.
მთქმელი: ქათამაძე ოსმან ისმაილის ძე.
ასაკი: ? წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ნაღვარევი.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ნაღვარევი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ნაღვარევი.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ქათამაძე ოსმან ისმაილის ძე. ?8? წლის, დაბადებული სოფ. ნაღვარევში, მშობლები არ ჰყავს. ცოლშვილიანი. ჰყავს ორი ქალიშვილი; ერთი ვაჟიშვილი, იცის თათრული და ქართული ენები. ლაპარაკობს ქართულად. უკრავდა და ამღერებდა პიანინოზე. ნამყოფია ახალციხეში, ახალქალაქში, თბილისში, მახარაძეში, ქობულეთში და ბათუმში.

ლექსები

* * *

ჲენაცვალე მასკლავებო,
მოწმენდილო ცავო,
ბარიშნებო, დამაყურეთ,
ლექსი უნდა ვთქვავო.
მიყვარს, მიყვარს, გულით მიყვარს,
მე ლამაზი ქალები,
მიყვარს მათი ქორფა სახე,
და ცქრიალა თვალები.
ქალიშვილებმა გამოსთქვა,
დაგვიახლოვდა აღება,
ბედნიერ კაცს მიესტრობა,
აწე, ჩვენი გასაღება.

სულ ჭიშკრისკენ ვიმზირები;
შუამავალი არსა მუვა,
უცხო კაცსა რომ დეინახავ,
შუამავალი მეგონება.
იგიც სხვა ამბავს დეიწყებს,
ჩემი გული კი მოკვდება,
აწე, ბედი არ გამეხსნა,
არც წამიყვანა და ქმარმა,
რა ვქნა რომე სახლი არ მაქ
ღამის გასათიებელი.
რა ვქნა, რომე ქმარი არ მყავს,
თავქვენ კლავის დამდებელი.

* * *

ჩითელ ვაშლსა ლოყა გიგავს,
ბაღჩაში მდგომიარესა,
მასუფთავებელი რათ უნდა;
შენ კლავზე მწოლიარესა.

გაღმაზე ხარი გავდევნე,
გამოღმიდან ვიარები,
ბარიშნებო, შემიბრალეთ,
უცოლშვილოდ ვიარები.
გოგოვ, შენი ლამაზობა,
მიყვარს შენთან თამაშობა,
ციცავ შენი წელი წმინდა.

* * *

ენ რომ გაქ, მეც ის მინდა.
მე მიყვარს მეგრული ფაცხა,
მთა კორტოხზე წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წმინდა წნელით ჩახლართული.
ოზრუგედში ჩასვლა მინდა,
ნახვა მინდა ქალებისა,
ბარიშნებთან წოლა მინდა,
მეშინია გალახვისა.
ციცავ, წელი მელეწება,
გული გევარდიანება,
მე თუ გძულდე, სხვა გიყვარდეს,
ფესვი ამოგივარდება.
შენ ტრედი ხარ, მე ბულბული,
უშენობით კდება გული,
შენთან მინდა, თამაშობა!
არ მაქ ხურდა თეთრი ფული,
ცაი ღრუბლავს, მზე მწკირვალობს,
თოვლი არ დაზავებულა,
საათითა მოგახსენებ,
სადილზე გადარებულა,
როგორც ღორის მონადირე,
ბიჭები დამზადებულა,
დავჯექი და დავისვენე,
ოხერი ხუთშაფითია,
რაცხა პალკონზე შემოდგა,
თურმის ჯარი, სალდათია,
დიდება უკან მოსდევდა,
ისიც მათი ადათია.
ერთმა მეორეს უკივლა,
აბა, დახტით მაქედანა,
კაცობიდან მოვიშალე,
თავმა მოუშვა ბალანი,
აქამდინ იმედი მქონდა,
კი ვისროლე ცალხელაიო,
ფალასკა გამომეცალა,
ტყვია დამეხარჯა ყველა,
კაბალახი მათ ვუჩვენე,
დავჯექი თავშიშველაო.

* * *

აღმა-გამოღმა კიდესა,
ჩიტი იწყობდა ბუდესა,
ბიჭო, ულვაში მეიწყე,
წადი, აკოცე გოგოსა.
სიყვარულმა სიცხე მომცა,
ჩეველი წყალში ვიცურვე,
ჩემი ცოდვა შენ რათ გინდა,
ქალ-ბაღანა შევიძულვე.
ხიდი არა რომ გევიარო,
წყალში შევდე, დავსველდები,
დღე და ღამე ძილი არ მაქ,
როდესაც გამახსენდები.

მიყვარდა პიჯაკის სინათლე,
ჟუჟუნ თვალებში ყურება,
ასე იწვის ჩემი გული,
შენ აფერი გეყურება.

* * *

იოგო მივა ლეხოურში,
ვსტაცე ხელი გოუშვი,
დედამისი მეხვეწება,
აკოცე და გამოუშვი.
ციცავ, შენი ნარმის კაბა,
წყალ მიქონდა, მდინარესა,
შუაღამიხანს გამოგიარ,
გაგაღვიძებ მძინარესა.
ერთი ამდენი ხანია,
თავი არ შამიფხანია,
არც წავსულვარ გონჯ საქმეზე,
არც მომიპარავს ხარია,
ჟოლი ჟვერი მოვკრიფე,
ციციებს სახარელი,
დედაბრები თან ახლავან,
ადრე გასაქარვებელი.
ლამაზებსა ვენაცვალოთ
წელში მოსაქანებლები.

* * *

ვავი ზღვის პირათ,
მასკლავები ფწკვინავს,
შეყვარებულის ჭირიმე,
ვის კლავზე ძინავს.
ბახმაროს თაზე დაუთოვლია,
შეყვარებულის ჭირიმე,
სხვა უთხოვნია.
ბახმაროზე ერთი ქალი,
მანდარინას უკრავდა,
ჭლიკვი–ჭლიკზე გიდიედვა,
უკრაინა უჩანდა.

* * *

ნაქმარები ბევრი მქონდა.
ბევრი შევჭამე ხარები,
ავიდარი მომეწია,
ველარ დავდექი ტყეშია.
ქესკინამ ბევრი მიყვირა,
რაც ამიეტია ყელშია.
დუქანჯები ასტე მორბის,
როგორც გინახავს რუსია,
ჩემი ტყავი თქვენ გახადეო,
ტანზე ჩაიცვიო ქურქია.
ჩემი მოკლა თუ გინდოდენ,
რეიზა არ იშვეთ თოფია,
გამჩენი ღმერთის წყალობით,
თქვენ გაგიჩნდებათ ცოფია.
ოცდახუთი წლის ვიყავი,
არ მიჭამია თიკანი.
გამჩენი ღმერთის წყალობით.
თქვენ დაგეწვება დუქანი.

* * *

ქპრილში ყანა დავთესე,
შუა მაისში იმარგლება,
დღევანდელი ბარიშნები,
ტუჩებზე კოცნას იმადლება.

შენ ტრედი ხარ, მე – ბულბული,
უშენობით კდება გული.
შენთან მინდა თამაშობა,
არ მაქ ხურდა თეთრი ფული.

* * *

მედოფალი წამოვიყვანე,
წონწორაი, მაღალიო,
ნამეტარი გულს მოვედი,
ბევრი მოსდევს მაყარიო;

მამაჩემო, არ შეწუხდე,
მე თუ კი არ ნოქარიო,
ბოლაი ხორცი მივაყარე,
ცხენი დარჩა სუქანიო

(მისი გამოთქმულია).

მთაში გამგზავრება

ქუქურ ზაფხული გამოვდა,
თხა და ცხვარი ქვეყანაში,
მემთევრები ველარ ძლებენ,
სული შაუწუხდენ ბარში.
უმალ გაეშურებიან,
ერთ ლამაზ გამოსულ დარში.
თავის ქმრებს ებნევიან,
ჰაიდეთ, წევდეთ, ერთად თაში.
ჰაიდეთ, წევდეთ, ჩემი სიტყვა,
რატომ არ გესმით ყურშიო?!
თავი ბედი ამევწყევლე,
ცხვრები გეიქცნენ პურშიო.
რადგან შაფათ ვერ წავედით,
კვირას წევდეთ ადრიანზე,
წასლის დრო მოვიდა,
მეთამღლიდა კატრიანზე.
ჩიტი ყველაი ჭუკჭუკს დეიწყებს,
რაც არის ცაში ფრინველი,
თათირ ქართველი თაზე ამოვა,
ჩურუკსური და ხინველი.
გამჩენი ღმერთის წყალობით,
მეც ვიქნები ამოსული,
ძროხები ბღავილს დეიწყებენ,
ხბოებს ეტირებიან,
ერთად მიემართებიან
მაშინ გახდები თიები!
მეტი ლამაზი ჯილველი,
რვა თვე ნამწყრევ საქონლის
ჯერნეთი ხარ, შენ პირველი.

დურსუნ ქესიოღლის ლექსი

ოხ, რა ცუდათ დევიტანჯე,
ამ ბოლო დროს მე საწყალი,
სიკდილიხან ისე დავჩი,
კაცმა აღარ მასვა წყალი.

ასტე უცებ დევილიე,
აღარ მიცოცხლია წამი,
ჩემი ამგვარი მოღალატე,
დღეს სოფელში კიდევ არი.

ოთხშაფათი საღამოა,
ოზრუქეთიდან მოვდივარ,
მე, დურსუნა კვესიოღლი,
ბიჭად მარჯვედ დავდივარ.
ხუთშაფათი დილა იყო,
ვაპირებდი სამსახურსა,
ლოგინიდან წამოვჯექი,
რაცხამ ზარი დამცა გულსა,
მამულიშვილის ქალმა თქვა,
დურსუნ გენაცვალე სულში,
დღეს მოიცაი, ნუ მიდიხარ,
სიზმარი მაქ გლახა, ვიცი.
აწე საყდარს ჩამოვშორდი,
რაცხამ გულში გამიარა,
საისრესთან მიაწიე
გლახა ფერმა ამიარა,
ცხრაი ტყვია მარცხნით მარტყეს,
ოხ, რა სისხლი დამეღვარა,
სუყველა კაი ამაცალეს
პლაგონი და ფარიანა,
მოვდენ და გამასტორეს,
ქუდი დამიდეს მერეთზე.
სიკდილიხან ისტე ვიცან,
ერთი იყო მჟავანაძე.
ისაკაი მე მოვკალი,
ნაცვლად მე დამაკლეს თავზე.
ამეიღეს მისი ლევერი,
ოთხი ერთად დამკრეს თავზე,
ამეიღეს ჩემი ლეკური,
პირით ჩამომიდვეს წელში;
სისხლში ვარ ჩაცურებული,
თუნდ გენახოს თევზი წყალში,
თუნდ გენახოს კდარი ღორი,
ისტე რომ გამაგდეს გზაში.
მეშარია მიდის-მოდის,
თითი წრიხლს მცემს ყველა თავში.
ჩემი ცოდვა თქვენ მოგეცენ,
კისრით რომ გამიშვით ქვაში,
ამამყროლეთ იმ სიცხეში,
მწყერმა მომაურა თვალში.
ამას თავი დავანებოთ,
მე მინდოდა სამსახური;
კარგად იყო ჩემი საქმე,
ბანკში მქონდა ბევრი ფული.
სახლში ვიყავ მოწყობილი,
ოდა მქონდა სულ ჯართელი,
ვისანჯოდი ქართულ წესზე
რჯული მქონდა მე თათრული.
არ შემერთო ქართლის ქალი,
დღეს ცოცხალი ვიქნებოდი,
არ გაბედო გურულ წესზე,
პატიოსნად ვიქნებოდი.
მიკვირს ასე უბედური,
ღმერთმა რეიზა გამაჩინა,
რისთვინ მომცა საყვარელი,
მასთან აღარ დამარჩინა,
მისმა მშვენიერმა ერამ,
სამუდამოდ დამაძინა.
არც მიბრბძანე, მე მოგშორდი,
სურვილი გაქვს, ასედაც გინდა.
ბიძაშვილებო, გიმოწმებ,
არ შეჭამოთ ნენას გული,
ჩემო კლული ოთხი ბიჭი,
ტყეში არიან გაქცეული;
ძმანებო, ამას გიმოწმებ,
ჩემ სიტყვას თუ დაადგებით,
გურულს თუ თოფი ესროლეთ,
მით ვერაფერს წამადგებით.
უკეთესია, სახლში დაჯდე,
ქალ-ბაღანას წაადგები,
ტყვილაი მოჟლეტთ ერთ–მეორეს,
ერთ მიერეს წააწყდებით.
იმ დროში კუბო გამოიდა,
შიგ სუდარი მიაყარა,
ამწიეს და შიგ შემდვეს,
ჯანიეთში მიმაბარეს.

დურსუნა კვესიოღლი ქობულეთელი ყოფილა.

უფულობა

დავჯდეთ და ლექსი ვუთხრათ,
ძველებური პაწაი რაში,
უფულობამ შეგვაწუხა,
ვეღარ დავჯექ თავი სახში.
ბათუმში რომ ჩაველი,
იქ მივენდვე ინწკირველსა,
ინწკირველმაც გვისაშველა,
დუქნის კარსა, მის ოთახსა;
ერთი თაგვი შემოგვეჩვია
მუდამ ახრაგუნებს რაცხას,
მუდამ ასტე ახრაგუნებს,
მინდა ხრევდეს ძაღლის ძვალსა.
ხაზეინს გავაგებინოთ,
თავი ჩვენი მწუხარება,
მან რომ სახლი გვაქირავა,
თაგვმა აღარ დაგვანება.
ხაზეინმა უპასუხა:–
შენ რა გინდა, თაგვო, წმულო
იმისთანა საქმე გიყო,
ორ-სამ კივირას ხელი გაუვირო.
თაგვმაც ასე უპასუხა:–
შენ რა გინდა, ხაზეინო!
ცოტა პურის კიდურს მოვხრავ,
რადგან აღარ მასვი ღვინო.

უბედურო, ჩემო თავო

უბედურო, ჩემო თავო,
სულ სიკეთის მდომობაში,
ამ სიცოცხლემ გამიარა,
მე საწყალს უნდომობაში.
მუდამ მტკივა თავი, გული,
ბოლოს ვუძელი ხველაო,
ჩემზეა მოპირებული,
ავადმყოფობა ყველაო.

ოსმან ქათამაძის საკუთარი ლექსია სიბერის ჟამს თავის თავზე გამოთქმული.

შიფრი: ბსკიფა 22, 63.
მთქმელი: ათაბაგი ისმაილ ახმედის ძე.
ასაკი: 62 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ინწკირვეთი.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ?
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ნაღვარევი.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959

ათაბაკი ისმაილ ახმედის ძე. 62 წლის, დაბადებული სოფ. ინწკირვეთში, ცოლშვილიანი, უპარტიო. ნამგზავრია ერევანში, თბილისში, ბათუმში და სხვაგან. ლაპარაკობს ქართულად, რუსულად და თათრულად, სუსტად იცის. ყვება ქართულად. მოსმენილი აქვს ამბები ძველებისგან, გაბუისგან.

ქალის სიმართლე

ვიძაჩემი იტყოდა, რომ მჭედელი ყოფილა თავიდან. რუმ, მაშას არ ხმარობდა და ცხელ კინაზე ხელს დებდაო. ამაზე ცოლმა უთხრა, რომ ხელს რომ კიდებ და არ გწვავს, რაიდან არის იგივო. ქმარმა უთხრა, რომ მე შეძლებული ვარ და იმიტომ არ მწვავსო. ქალმა უთხრა, რომ შენ არ ხარ კაი კაციო, მე ვარ კაი ქალი და იმიტომ არ გწუავს ის ცხელი რკინა შენ ხელსაო. შემდეგ ქმარმა უთხრა, რომ რაით ხარ შენ კაი ქალი, რომ მე არ მწვავს ხელს რკინაო. ქალმა უთხრა: იმით ვარ კაი ქალი, რუმეო სხვის ქმარს მე არ დევენახვები და არ შევეხარბებიო.

რაით დაამტკეც მაგასო? რაით დაგიმტკეც და მე სხვის ქმარს დავენახვები და შენ ცხელ რკინაზე ხელს ვეღარ მოსდებო. მართლაც, ასე მოიქცა ქალმა და ვეღარ მოსდვა კაცმა ცხელ რკინაზე ხელი. შემდეგ რაღაცა უნდა გეეკეთებინა ისეთი, რომ რკინაზე მოეკიდა, ხელის მოსაკიდებელი მაშის გაკეთება არ იცოდა „მჭედელმა“, ძაღლი დეინახა ძვალის ჭამაში. ორივე თათებზე ერთმანეთი გადაედვა და ისე ჭამდა. აქედან გადაიღო ასლი და გააკეთა მაშა და აქედან დეიწყო მჭედლობა. ქალი გამოვიდა მართალი.

ქალაქის ბეგი

ქადგა ერთმა ქალაქის ბეგმა. წავიდა სოფლის მოსამლელათ და დაუღამდა სოფელში. დაუძახა ერთ მოსახლეს, ღამის გათევა მინდაო. არვინ არ გაათევინა, ისე ამოვიდა სოფლის თავში. მივიდა ერთ სახლში. ის იყო რომ თავდებოდა სოფელი და დადგა იმ ბოლო მოსახლესთან. მარტო ერთი ქალი იყო სახლში. დაიძინა ამ ბეგმა, შუაღამიხან დაიწყო ქალმა ტირილი, გამოელაპარაკა ბეგმა და უთხრა: რა გინდაო? – ქმარი მომიკვდა ექვსი თვეაო და ფეხმძიმედ ვარ დარჩენილი და მუცელი ამტკივდაო. ბებია მინდა რომ მომიყვანო, თუ შეძლებო. ამ სოფელში არის თუ არა ბებია, თუ გამოდგებაო, – ამ ბეგმა უთხრა. აქ რომ გაუყვები სოფელს, წყალი ჩამოდის ერთ ადგილზეო. იმის ქვევით, იქ არის ერთი ქალი და ის ბებია. ადგა და წავიდა ეს ბეგი. მივიდა და დაუძახა, გამოიხედა გარეთ და მოახსენა ბეგმა, რომ აგერ ქვრივ ქალს მუცელი ტკივა და უნდა წამომყვეო. წაყვა და

მივიდა. ბეგმა უთხრა: თუ გოგო არის, არ შემოიყვანოვო, თუ ბიჭია შემოიყვანეო. მორჩა აი ქალი და ეყოლა ბიჭი. შეუყვანა ამ ბეგს. დასუნათა ამ ბეგმა. თვითონ ქირვად დაუდგა. ექვსი დღე დარჩა ქალის მორჩენამდე. ექვსი დღის შემდეგ, რომ ადგა ქალი, სამი მანეთი ოქროს ფული მისცა. თხუთმეტი მანეთითო ცხენი იყიდოს, რომ გახდება თხუთმეტის წლისო, თხუთმეტი მანეთის ისეთი ტანისამოსი იყიდოს, რომ ჩემთან რომ მოვა, არ შერცხვესო. სანამ თხუთმეტი წლის არ გახდება, მანამდე არ მისცე ეს ფულიო, და ქოსა კაცის ერთად არ წამოვიდეს ჩემთანო და წავიდა ეს ბეგი თავის სამეფოში. გახდა ეს ბიჭი თხუთმეტი წლის და თავისმა დედამ გამოუჩინა მისი ქირვის დაცული ოცდაათი მანეთი. უთხრა: თხუთმეტი მანეთით ცხენი იყიდეო, თხუთმეტით კი – შენი ტანისამოსიო. შეასრულა ეს, ბიჭმა, ყველაფერი. ჰოდა, ადგა დილას და წავიდა მისი ქირვის სანახავად. ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა პატარა გზაზე და შეხვდა ქოსამა და წავიდნენ ერთად. ამ ბიჭმა უთხრა: – რაღაცა დამავიწყდა სახლიდან წამოღებაო და დაბრუნდნენ უკან. ქოსამაც დაბრუნდა. მივიდა და სახლში დედას უთხრა: ქოსამ დამეწია და აღარ წავედიო. გათენებას ერთი საათი ეკლო, რომ წავიდა ამ ბიჭმა. გაიარა რამოდენიმე გზა და მოიხედა უკან, რომ ცხენზე შემჯდარი ქოსა მოქრის. გააჩერა ცხენი და დაბრუნდა უკან და დაბრუნდა ქოსამაც და წამოვა უკან. მივიდა სახლში და მოახსენა თავის დედას, რაც არ უნდა დამიჯდესო ახლა, რომ კიდევ დემეწიოსო. უნდა წავიდე მის ერთათო. გათენებას ეკლო ორი საათი, შეჯდა ცხენზე და წავიდა. დააკლდა ორი ვერსი გზა ქირვასთან მისვლას, დაეწია ქოსამა და ჩამოვიდა ბიჭმა ცხენიდან; შუადღე იყო და სიცხე იყო მაგარი. მოსწყურდნენ წყალი. ადგა ქოსამ და წავიდა წყლის მოსანახავად, ნახა ქოსამ წყალი. მოდი, წყალი ვსვათო, – უთხრა ბიჭს. მივიდა ბიჭმა, ყუიში მაღალი და წყალი სულ ბოლოში. თოკით უნდოდა კაცს ჩამოშვება შით და წყლის ამოღება, უთხრა ბიჭმა: ჩადი ქოსავო. ბევრი დავის შემდეგ ბიჭი ჩაეშვა თოკით ყუიში. ქოსას გამუუგზავნა ბიჭმა, წყალი დალიეო. დალია ქოსამ წყალი, თვითონ ბიჭმაც დალია ჭაში წყალი, უთხრა: – ახლა ამომიყვანეო. გაიძრე შენი ტანისამოსი და გამომიგზავნე ზევითო და კიდევ დეიფიცე, რომეო შენ ქირვასთან რომ მივალთო, უთხარი, რომ ეს ქოსა არის შენი ქირვა და მე მისი მოჯამაგირეო. მაშინ ფიცი ფიცი იყო. დაიფიცა ამ ბიჭმა რამენაირად თავი გადავირჩინოვო და გამოუგზავნა ურბა ზევით. ჩაიცვა ქოსამ ამ ბიჭის ურუბა, ამ ბიჭმა – ქოსას ურუბა და წავიდა ქოსაი წინ, უკან წაყვა ეს ბიჭი, ვითომ მოჯამაგირე. მივიდნენ ამ ბეგთან. ამ ბიჭმა უთხრა ბეგს: ეს ქოსა არის შენი ქირვაო, მე მისი მოჯამაგირეო. ჰოდა, ამ ბეგმა იფიქრა, ნეტავ, ჩემი ქირვა ეს ბიჭი ყოფილიყოვო. ქოსამ უთხრა მის ქირვას: ერთი ჩვენი სამხეცე დვარუნიოთ ბიჭსო. მოკლეთ ცოცხალი ვერ გამოვდოდა ამ სამხეცედან. ითხოვა ბიჭმა სამი დღე ნება. გავიდა და დაჯდა ბაღჩაში. იტირა ორდღე-ნახევარი. მოფრინდა ერთი ჩიტი, უთხრა ნუ ტირიო, ამოიწიკვა ფრთა და მისცა. რომ შეხვალ სამხეცეშიო, მოიქნიე აი ჩემი ფრთაო და შეჭმის მაგიერ ლოკვას დაგიწყებენო. მართლაც, ასე მოიქცა ამ ბიჭმა. დაათვალიერა ეს სამხეცე. შეჭმის მაგიერ, ლოკვა დაუწყეს მხეცებმა. გამოვიდა გარეთ სამხეცედან და მივიდა ქოსასთან. მოახსენა, რაც ნახა ყველაფერი შით. მერე უთხრა ქოსამ ბეგს: ამა და ამ სახელმწიფოში ყოფილა ერთი ქალი და ის უნდა მომიყვანოს ამ ბიჭმა ცოლათო. ითხოვა სამი დღე ნება

ამ ბიჭმა, გავიდა და დაჯდა ბაღში და მოფრინდა ეს ჩიტი კიდევ, მისცა ფრთა და თან უთხრა: ტონა პურის კაკალიო, სამი ტონა ხორციო აკიდე ცხენებს და წაიღეო. ახვალ პირველ მთაზეო, დახსენ პურიო და დააპნიე ამ მთაზეო. დაესევა ყველა ფრინველი და შეჭამს ამ პურსო. მადლობას მოგიხდიან და გაგიშვებენო. მეორე მთაზე, როცა ახვალო, მაშინ დახსენი ხორცი ცხენებსო და დაყარე ამ მთაზეო. ყველაფერი რიგზე იქნებაო და გაფრინდა ეს ბიჭი. მოვიდა და რაც ჩიტმა უთხრა, იმ თადარიგით გაუდგა გზას. აიტანა პირველ მთაზე, დაესიენ ჩიტები, დახსნა ცხენებიდან და დააპნია სულ პურის კაკალი. დაძღენ თუ არა ფრინველებმა, ამოიწყვიტა ფრინველების უფროსმა ფრთა და მისცა. გაგიჭირდება და ჩემი სახელი ახსენეო. მიაღწია მეორე მთას. დაესივენ მხეცები. დახსნა აი ცხენებს ხორცი და დუუყარა. გაძღენ თუ არა, ამათ გაუშვეს ეს ბიჭი. უთხრეს, რომ ამა და ამ ალაგზეო, არის ძნელი გადასასვლელიო. იმას რომ გადახვალო, მიაღწევ სადაც მიხვალ შენო. მიაწია მას რომ უნდოდა შვიდობით იმ ადგილზე. დაუძახა ამ სახლის მეპატრონეს. გამოიხედეს სამი ძმა დევმა. შეპატიჟეს და შეიყვანეს, შენ ვიღაცა ბიჭი ხარ თუ რაც ხარ, შენ ხარო, რო აქ მოაწიეო. ვახშამის შემდეგ უთხრა თქვენი და უნდა წაუყვანო ჩვენ ქოსასო. დევებმა უთხრეს – შევეკითხებით ჩვენ დასო. შეეკითხენ და დამ ასე უთხრა: გუშინ რეცხვის დროსო, ბეჭედი დავკიდე მუხაზეო. ყვავმა მომპარა და წეიღოვო. იმას თუ მომიტანს, წავყვებიო. ადგა ამ ბიჭმა დილას და ახსენა არწივი მისი ფრთის საშუალებით. მოვიდა არწივი. უთხრა, რომ შენ სამეფოში ვიღაცას ჩემი ბეჭედი წაუღიაო. დაუძახა რაც ფრინველი იყო, ამ არწივმა, ვიღაცას ბეჭედი გაქვს მოიტანე ახლაო. მოიტანა ყვავმა და ჩააბარა. წავიდა ეს ბიჭი ამ გოგოსთან და ამ გოგომ უთხრა, აღდი თვითონ ქენით იმ ბიჭზე ჩემიო და არა იმ ქოსაზეო. მართლაც, ძმებმა ასე მოიქცნენ და გიჟი შეუყვანეს ამ ბიჭს ოთახში, დაწვენ ლოგინში. ბიჭმა ხმალი ჩააგო შუაზე. გათენდა დილა და ადგენ ზეზე გულნატკენი გოგო გაყვა ბიჭს. მიაღწია ამ ბეგის სამეფოში. ქოსას ქალი კი არ უნდოდა, ამ ბიჭის დაღუპვა სურდა დაწერეს ჯვარი ქოსას (აღდი ქნეს). მხოლოდ გოგო არ შობოდა. მე ბიჭმა რომ მომიყვანა აქ, იმას უნდა გავყვეო და აღდი ნაქმარიაო. ამ ქოსამ იფიქრა, რომ ის ბიჭი შევიყვანოთ გოგოსთანო, ერთი სტაქანი საწამლავი შევულოცოთო. შესლის დროს ის სტაქანით საწამლავი დავალევინოთ ამ ბიჭსო. მართლაც, მოიქცნენ ასე. შესვლის დროს დალევიეს ერთი სტაქანი საწამლავი და თან ბიჭი წაიქცა ოთახში. წაქცევის დროს, ქალმა ადგა და ჩამოკეტა კარები. ამოიღო ის, მისი ბეჭედი, გალესა წყალში და დალევინა ამ ბიჭს. დალევის შემდეგ საწამლავმა პირს ასაქმა და გაცოცხლდა ეს ბიჭი და უთხრა გოგოს: ნუღარ გეშინია ეხლაო. ადგა და მოახსენა ბეგს მაშინ სინამდვილე. ბეგმა ქოსაი დასაჯა და ქალი კი დარჩა ამ ბიჭს.

შიფრი: ბსკიფა 22, 67.
მთქმელი: ბერიძე ავთანდილ ისმაილის ძე.
ასაკი: 18 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ხაბელაშვილები.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ?
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ნაღვარევი.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ბერიძე ავთანდილ ისმაილის ძე, დაბადებული 1941 წელში, სოფ. ხაბელაშვილებში. კომკავშირელი, მოსწავლე, ნამყოფია: ახალციხეში, ბათუმში, ქობულეთში, მახარაძეში. ეს ამბავი გავიგონე სოფ: ტაკიძეებში მოხუცებისგან.

ბავშვების მოტაცება

ქვანაში ყოფილა ერთი კაცი. წასულა გურიაში ბავშვების დასატაცებლად. ჩასულა, ხუთი ბავშვი დაუტაცნია. ეს ბავშვები წამოიყვანა აჭარაში და დაუღამდა გომის მთაზე. შემდეგ დაღლილმა ხალხმა ერთ შენობაში ძილს მისცეს თავი. მომტაცნელს აქვს ხმალი დაკიდული და ღმა ძილში არის შესული. ბავშმა გამოიღვიძა და ხელუკუღმა ამოუღო ხმალი და მეორეს ბორკილები გაუჭრა. მერე – მესამეს და ასე განთავისუფლდნენ ბავშვები. ყოჩაღმა ბიჭუნამ ხმალი გადაამტვრია შუაზე და დააგდო. ხუთმა ბავშმა მოკურცხლეს გურიისაკენ. ის დროა უკვე, რომ ღამეა. გურიიდან წამოსულია ხალხი ბავშვების საძებნელად. ბავშვები შეხვდნენ მთის გადასასვლელზე. გამოღვიძებული ბავშვების ქურდი დაედევნა უკან ბავშვებს და ხელცარიელი დარჩა.

ბავშვები მშობლებმა წაიყვანეს გურიაში, შემდეგ ეს მოხუცი მოდის აჭარაში და ეუბნებიან ხალხი, რატომ დარჩი ხელცარიელიო? მოხუცმა სიცრუე ჩაიდინა, ავად გავხდი მთაში რომ ავედიო, მოვიკეთე და სახლში დავბრუნდიო.

შიფრი: ბსკიფა 22, 68.
მთქმელი: ირემაძე კოლია მუხამედის ძე.
ასაკი: 24 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ხაბელაშვილებში.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ?
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ნაღვარევი.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ირემაძე კოლია მუხამედის ძე. დაბადებული 1935 წელს, სოფ ხაბელაშვილებში, კომკავშირელი.

ასანსნქლა

Ყო ერთი ქალიშვილი, რომელიც სწავლობდა უმაღლესში. ის დირექტორმა გამოცდაზე ჩაჭრა და უთხრა, რომ კარგად გაიმეორე და საღამოს ჩემთან მოდი და გამოგცდიო. გოგონამ ჩაიცვა კარგად, ხელზე ოქროს საათი დაიბნია და წავიდა დირექტორის ბინაში გამოცდის ჩასაბარებლად. დირექტორს მოეწონა ეს ლამაზად მორთული გოგონა და ნამუსის ახდა დაუპირა. გოგონამ სასტიკი ვარით გაისტუმრა. დირექტორს შეშინდა, არ გამცესო და გოგონა მოკლა და სკივრში ჩააგდო. გოგოს ეძებდა მისი ძმა. ძმამ ღამის გასათევად ესტუმრა დირექტორს. დირექტორმა იმ სკივრზე დააწვინა, სადაც მკვდარი ჩააგდო. ძმამ მიხვდა, რომ მისი და იმ სკივრში იყო. აბა, მიხვდით, რით გაიგო ძმამ რომ მისი და იქ იყო?

(საათი ქონდა კლავზე და იმით).

შიფრი: ბსკიფა 22, 69.
მთქმელი: შაინიძე სოსო ყაიას ძე.
ასაკი: 24 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. შუბანი.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. შუბანი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. შუბანი.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

შაინიძე სოსო ყაიას ძე, დაბადებული შუბნის სასოფლო საბჭოს სოფ. იაკობავში, 1933 წელს. ცოლშვილიანი. მოხდილი აქვს სამხედრო სამსახური. ნამყოფია: მოსკოვში, სტალინგრადში, თბილისში, ბათუმში. ზღაპრები მოსმენილი აქვს ბაბუიდან, სუსტად იცის რუსული ენა. ლაპარაკობს ქართულად.

იყვნენ სამი ძმანი

Ქმ სამ ძმას ქონდნენ ერთი ძირი ვაშლი და წელიწადში ისხამდა ერთ ცალ ვაშლსა, მაგრამ ეს ძმები ამ ვაშლის ჭამას ვერ ასწრებდნენ. როცა ეს ვაშლი კარგად მოვიდოდა, კარგად შეწითლდებოდა, მაგის ჭამა შეიძლებოდა. ამ დროს რაღაცა იპარავდა ამ ვაშლს. შემდეგ აი ამ ძმებმა გადასწყვიტეს, რომ ეს ვაშლი დაეცოთ, თუ რა სჭამდა

ვაშლსა. პირველად უფროსმა ძმამ დაუწყო ყარაულობა, შემდეგ ვერ გამოიტანა, თუ რა იპარავდა. მეორე ღამეს საშუალო ძმამ იყარაულა, მანაც ვერ გაიგო. მესამედ უმცროსმა ძმამ იყარაულა. უმცროსმა ძმამ ეს ამბავი გაიგო, კარგად იჯდა ხის ძირში, როცა იყო ღამის ოთხი საათი, ამ დროზე მოვიდა რაღაცა ცხოველი, ავიდა ვაშლის ხეზე, მოსწყვიტა ეს შეწითლებული ვაშლი. ამ დროზე ეს უმცროსმა ძმამ დაინახა. ესროლა თოფი და ჭრილობა მისცა. სასტიკად დასჭრა ეს ცხოველი. მერე წავიდა სახლში, დაიძინა ტკბილად.

გათენდა. დილას წავიდნენ სამნი ძმანი მის საძებნელად. წაჰყვნენ სისხლის კვალს. მივიდნენ ერთ ადგილას. ნახეს, სპეციალური ამოჭრილი ორმო. თან ქონდა ზევიდან დახურვილი კარი. ეს კარი ააღეს. ჩახედეს შით. ნახეს უშველებელი დიდი ორმო იყო. პატარა ძმამ უთხრა თავის ძმებს: წადით სოფელში, მოკრიფეთ ბაწრები, რამდენსაც იშოვნითო. წავიდნენ, მოიტანეს ბაწრები, წააბეს ერთიმეორეს და შეიქმნა რამოდენიმემეტრიანი ბაწარი. ეხლა ამ სამმა ძმებმა მოილაპარაკეს. აბა, ახლა ვინ იქნება მაგარი გამბედავი, რომ ეს ბაწარი მოვამბათ და ჩაუშვათ შიგო.

რა თქმა უნდა, პირველად მოიმბა უფროსმა ძმამ და უთხრა, რომ დამიშვით ახლა და როცა დავიყვირებ, ბაწარს დაეკიდეთ და უკან ისევ ამომიყვანეთო.

ჩაუშვეს უფროსი ძმა. ცოტა რომ დაეშვა, დაიყვირა, მომეშველეთ და ამოვიდა ზევით.

შემდეგ საშუალო ძმამ მოიბა ეს ბაწარი და დაეშვა ქვევით. მანაც ასე დაუმოწმა, როცა დავიყვირებ, უკან ამომიყვანეთო. ცოტა ჩაუშვეს, დაიყვირა, უკან ამომათრევიეთო, მეშინია, მეშინიაო. იგიც ამოიყვანეს უკან. შემდეგ მივიდა უმცროსმა ძმამა და უთხრა თავის ძმებს:

– მომაბით ბაწარი და ჩამიშვითო, რამდენსაც დავიყვირებ, მაზე მეტი ჩამიშვით ქვევითო და ასე დაუმოწმა თავის ძმებს, სანამ ბაწარს გავანზრევდე, მანამდე დამიშვით დაბლაო. მოიბა ბაწარი პატარა ძმამა და წავიდა, დაეშვა დაბლა. დაუშვეს, წავიდა და წავიდა. ჩავიდა ქვეშ, დედომიწაზე. ბაწარი მიამბა იქვე, ორმოს პირას, წავიდა და იარა, იარა და მივიდა ერთ სასახლესთან. გააღო კარები. შევიდა ოთახში. ნახა ლამაზი გოგო. მაშინაში იჯდა, კერავდა რაღაცებს.

მერე შეაღო მეორე კარები, იქაც ნახა, იჯდა ერთი ლამაზი გოგო, ახალგაზრდა, რომელიც დროშებს აკეთებდა.

შეაღო მესამე კარები და ნახა, ისეთი ლამაზი გოგო იჯდა, რაღაცებს ქსოვდა.

მერე ამ სამმა დანებმა უთხრეს ამ ბიჭს, რად მოხვედი აქანეო? როგორ გაბედე აქ მოსვლაო? ჩვენა გვყავს მამა, დევა არისო, ცხრათავიანიო და ის ეხლა შენ შეგჭამსო.

ამ ბიჭმა უთხრა, რომ ერთი მანახეთ, სად არის ის თქვენი მამა დევა ცხრათავიანიო. აი, ამ კარებშიაო. ბიჭმა დეიჭირა ხმალი, შეაღო კარები, ნახა, რომ დევს სძინავს, აიღო ხმალი დაარტყა ამ ბიჭმა დევს და რვა თავი წასჭრა. დევს დარჩა ერთი თავი და დევმა უთხრა, ეს თავიც მომჭერიო. ბიჭმა უთხრა დევს: დედამ მე ერთჯერ მშობა და არა ორხელო, რომ მეორედ დაგარტყაო.

ამ ბიჭმა კარგად მოიქცა, რომ ის დარჩენილი თავიც არ წაჭრა. ის თავიც რომ წაეჭრა, მერე დევი გაცოცხლდებოდა და შეჭამდა ის დევი. ამ ბიჭმა ის დევი მოკლა და მერე ეს სამნი გოგუები წამეიყვანა. მოიყვანა იმ ჭასთან, საიდანაც ის ჩავიდა. მოამბა უფროს დას

და ასე დაუმოწმა, რომ თქვენმა ძმამ გამომაგზავნა თქვენთან, უმფროს ძმის საცოლე იქნებითო.

მოამბა ბაწარი, გაგზავნა უმფროსი გოგო უმფროსი ძმის საცოლედ. ავიდა ეს გოგო. შემდეგ კიდევ ჩაუშვეს ეს ბაწარი. მოამბა საშუალო დას, გოგოს და საშუალო ძმის საცოლედ გაგზავნა. ასე დაუმოწმა, ბაწარი კიდევ ჩამოუშვითო. დარჩენ ცოლი და ქმარი ქვევით, ასაყვანი ზემოდ, დედამიწაზე.

შემდეგ ბაწარი ჩამოუშვეს და ეხლა გოგო ეუბნება ბიჭს, პირველად შენ ადიო და მერე მე ჩამომიშვი ბაწარი და მე ამიყვანეო. ბიჭს შეეშინდა, ეს გოგო მე მომატყუებსო და ბიჭმა უთხრა გოგოს, შენ ადი პირველად და მერე მე ამოვალო.

– გოგომ უთხრა ბიჭს, მე რომ ავიდე, შენი ძმები გიღალატებენ და დაგტოვებენ აქო, არ აგიყვანებენო.

როგორც იქნა, ბიჭმა გაგზავნა ეს გოგო. ავიდა ზევით და მისმა ძმებმა, მართლაც, უღალატეს უმცროს ძმას და დატოვეს ქვევით.

ამ გოგოს ასე ქონდა დაბარებული ბიჭისათვის: რომ დაგტოვონ, არ ამოგიყვანო, მაშინ ჩადი იქანე, დაბლა, ხიდესთან, იქანე გამოიარებენ ორი ცხვარი. ერთი თეთრი იქნება, მეორე კი – შავი. თუკი პირველად შემოაჯექი თეთრ ცხვარს, ის გაგიყვანს თეთრ ქვეყანაშიო. თუკი შავზე შემოაჯექიო, ის გაგიყვანს შავ ქვეყანაშიო.

ჩავიდა ბიჭმა ხიდესთან. დაუცადა ამ ცხვარებსა, თუ როდის გამოიარებოდენ ეს ცხვრები. გახედა, მოდიან ეს ცხვრები, მაგრამ ამ ბიჭმა ვერ მოასწრო თეთრ ცხვარზე შეჯდომა და შეჯდა შავ ცხვარზე. ამ შავ ცხვარმა წაიყვანა შავ დუნიაში. მივიდა ერთ სოფელში სტუმრად, მოხუც დედაკაცთან, მივიდა ღამის გასათევად. ძალზე შიოდა ამ ბიჭსა. ამ დედაბერმა მოიტანა ფქვილი, გადაჯდა გობზე და შარდით დაიწყო ზელა ფქვილისა.

– ბიჭმა შეხედა და უთხრა ამ დედაბერს: რას შვებით, ქალო?

– ეხ, შვილო, ჩვენთან არის ერთი წყალიო, სადაც მას პატრონობს გველვეშაპიო. მას სანამ საჩუქრად ვინმეს არ მოუყვანთ, რომ ის შეჭამოს და წყალი მოგვცესო, მანამ წყალს არ გვაძლევსო და ახლა უჩერედი არის. ფადიშაჰის გოგო უნდა წავიყვანოთო და მის შეჭმაში რასაც ავამსებთ წყალს, ის იქნებაო. თუ არა და, არ მოგვცემს წყალსაო.

ბიჭმა უთხრა დედაბერსა: აბა, მოიყვანეთ ის გოგო, მე წავიყვან იქანეო. მოიყვანეს ის გოგო. წაყვა ის ბიჭი. მივიდენ ახლოს ამ წყალთან და ბიჭმა გოგო უკან გააჩერა და მან კი გოგოს წინ წავიდა. ხმალი კი ქონდა ბიჭს მომზადებული. გველვეშაპმა როცა წამოიწია ბიჭის შესაჭმელად, ამ დროზე ბიჭმა დარტყა ხმალი და მოსჭრა კისერი. წავიდა სისხლის დიდი წყალი. ხალხმა გამოიქცნენ ვედროებით წყალის გასამსობად.

ბიჭმა დაუძახა ხალხს, რომ ცოტა ხანს დაუცადეთ, წყალი როცა დამწნდება, მაშინ წაიღეთო.

ბიჭმა მოკლა ეს გველვეშაპი და ეს გოგო გადაარჩინა. ბიჭმა მეფეს გამოუბრუნა თავისი ქალიშვილი ცოცხალი.

მეფემ გამოიბარა ეს ბიჭი და უთხრა: ეს ჩემი შვილი რომ გადამირჩინე სიკვდილს, ეს გოგო შენ უნდა მოგათხოვო ცოლადო, მაგრამ ბიჭმა უთხრა მეფეს: ეს გოგო არის ჩემი

მკვიდრი დაო. მაგრამ შენ თუკი დახმარებას გამიწევ და ჩემ ქვეყანაში გამიყვანო, მადლობელი ვიქნებიო, თუ არა და, მეტი არაფერს არ გთხოვ თქვენაო.

მეფემ უთხრა ბიჭსა: შენ თუ გაგიყვანს შენ ქვეყანაში ერთი ცხოველი არისო, მაღლა, გორით. ხის ძირას მიხვალ და იქ ინახულებო. წავიდა ეს ბიჭი იმ ადგილას, სადაც მიასწავლეს. მივიდა ეს ბიჭი ხის ძირას, ცოტა წაეძინა. შეხედა, რომ ხის ტოტებზე გაისმა ჟღრიალ-ჭყრიალი. შეხედა, რომ ხეზე მოიკლაკნება უშველებელი გველი. ამ ბიჭმა დაირტყა ხმალი, მოკლა ეს გველი, ჩამოაგდო ძირში. ამ ბიჭს დაეძინა ხის ძირას. მივიდა ფრინველი, რომ თავისი შვილები, წიწილები ცოცხალი დახვდა. უთხრეს არწივებს შვილებმა, რომ აი, ამ ბიჭმა გადაგვარჩინა გველისაგან შეჭმასო და ეხლა ეგერ სძინავსო.

არწივს გაუხარდა. ჩამოვიდა ძირს და ეს ბიჭიც გააღვიძა და უთხრა: რა გინდა, რომ დაგეხმარო, ეს ჩემი შვილები რომ გადამირჩინევო ცოცხალიო. ყოველ წელიწადს მიჭამდა შვილებს ეს გველიო.

ბიჭმა უთხრა არწივს: თქვენგან არაფერი არ მინდა, მხოლოდ ჩემ ქვეყანაში გამიყვანეთო.

არწივმა უთხრა ბიჭს, რომ წადი, მომიტანე აქანე ორმოცი ფუთი ღვინო, ორმოცი ცხვარი დაკლული და გაგიყვანო. დაბრუნდა ეს ბიჭი. მივიდა მეფესთან, რომელსაც გოგო შვილი გადაურჩინა სიკვდილს. უთხრა მას: თქვენგან ის დახმარება მინდა, რომ უნდა მომცე ორმოცი ფუთი ღვინო და ორმოცი ცხვარი დაკლულიო.

მეფემ ეს ყველამფერი მისცა ბიჭსა, თან აუტანა აქლემებით იმ მთაზე, სადაც ცხოვრობდა არწივი და არწივმა უთხრა ბიჭს, რომ ეს ორმოცი ფუთი ღვინო ცალ ფრთაზე დამადევიო და ეს დაკლული ცხვრების ხორცი კი – მეორე ფრთაზეო. შენ კი შუა ადგილას ჩაჯექი და წავიდეთო თქვენ ქვეყანაშიო. მაგრამ მარცხნივ რომ მოვიხედო, ერთი ცხვარი ჩამიდევი პირშიო და მარჯვნივ რომ მოვიხედო, ღვინო ჩამასხი პირშიო. ეს იყო და წავიდნენ.

ეს საჭმელი, ყოლაფერი, როგორც უთხრა არწივმა, ისე ართმევდა, მაგრამ ცოტაღა დარჩა გასავლელი, რომ ბიჭს ერთი ცხვარი გადმოუარდა და როცა არწივმა მოიხედა, თავის ჭლიკზე თავის კბილით ხორცი ამოიჭრა და მიაწოდა არწივს. ეს მიხვდა არწივმა და ენას ქვეშ შეინახა ეს ხორცი. ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ თეთრ ქვეყანაში, სადაც ძველად ცხოვრობდა ეს ბიჭი და უთხრა ბიჭს: აბა, ეხლა წადი სახლშიო.

ბიჭი როგორ გაივლიდა, რომ ფეხში ქონდა ჭრილობა.

ბიჭმა უთხრა არწივს, დიდად მადლობელი ვართ თქვენგანო, რომ მომიყვანე ჩემს ქვეყანაშიო. არწივმა არ დაანება და უთხრა: აბა, ახლა ადექი და გაიარეო. ბიჭმა ადგა და წავიდა კოჭლობით.

– არწივმა დაუძახა: მოდი აქაო. მოიყვანა ბიჭი არწივმა, ამოიღო თავის ენის ქვეშ შემოდებული ბიჭის ჭლიკზე მონაჭარი ხორცი, მიადო, სადაც იყო გამოჭრილი, წაუსვა ენა და გაუმრთელა ჭლიკი. ბიჭი წავიდა სახლში.

მივიდა ეს ბიჭი სახლში, მოკლა თავისი ძმები და დაიწყო ცხოვრება ოჯახში ტკბილად. ასეთია ყოველთვის პატარა ძმა, გულმაგარი, გამბედავი, გმირი.

ცოლი და ქმარი

Ცხოვრობდნენ ცოლი და ქმარი. ცოლმა შაიყვარა ხოჯა, ყადი და მუფთი. აი, ეს სამი კაცი ყავდა ქალს შეყვარებული, თავის ქმარმა იცოდა ეს ამბავი. თუ ქალი რას აკეთებდა ჩუმათალაი.

უთხრა თავის ცოლსა ქმარმა: შენ ქალი ყოველთვის რომ გლახა საჭმელს მაჭმევ, ეს მთელი წლის მოსავალი სად იკარგებაო?

ქმარმა კი ის არ იცის, რომ თავის ცოლს რაც კარგი საჭმელი მოეპოვებათ, ყველას თავის შეყვარებულებს აჭმევს. ქმარმა გადასწყვიტა, რომ თავისი ცოლისათვის მახე მოეწყო. იფიქრა, ერთ დღეს დილით უთხრა, რომ მე მივდივარ შორ სოფელში სამუშაოდო. შემდეგ ამისა ცოლმა-კარგიო უთხრა. წავიდა ქმარმა ვითომც და თავის ქალმა მის შეყვარებულებს მისცა ამბავი, რომ ქმარი ჩემი არ არისო სახლში და ეხლა გპატიჟებთო. იმ დროს არ მივიდნენ არც ხოჯა, არც მუფთი და არც ყადი. ქალმა გაბრაზდა, რატომ ასე გააკეთესო და მეორედ, როცა ქმარი დაბრუნდა, უთხრა თავის ქმარს:

– ქმარო, ასე არის ამბავი, მე გადამეკიდნენ: ხოჯა, ყადი და მუფთი. ჩემთან მოსლა უნდანანო და აბა, შენ იციო, მაგენი შენ უნდა მოკლაო.

ეს იყო მოლაპარაკდნენ ცოლი და ქმარი. ერთხელ ნახა ქალმა ხოჯა, ყადი და მუფთი და დაუბარა, რომ ამა და ამ ღამეს მოდითო. ხოჯას უთხრა, ამეღამ მოხვალო ღამის თორმეტ საათზე, მერე ყადს უთხრა: თქვენ ამეღამ ორ საათზე მოხვალთ. მერე მუფთს უთხრა: შენ მოხვალ ღამის სამ საათზე.

და ეს იყო მათი მოტყუება, რომ სიცოცხლე უნდა გამოაცალოს ამ ქალმა.

გააფრთხილა თავისი ქმარი: თქვენ მოდით ღამის ოთხ საათზე, იყავით დამალული ჩვენს სათივეში. მესამე კაცი რომ შემოვა, მერე თქვენ მოაკაკუნეთ კარებთან.

ეს იყო და ქალმა მოიტანა ეკალა, ხეები და ჩაყარა უშველებელ დიდ იაშიკში, რომ შით ჩავიდოდა რამდენიმე ფუთი სიმინდი. შეიქნა ის დღე.

დაღამდა. მოვიდა პირველი ხოჯა და მოაკაკუნა კარებზე. ქალმა გაუღო კარები. შემოვიდა ხოჯა. გაეარშიყნენ ერთიმეორეს და ამ ხანში მოაკაკუნა ვიღაცამ კარებზე კიდევ და ამ ხოჯამ უთხრა ქალს: – აბა, სად წავიდე ეხლაო? ქალმა უთხრა ხოჯას: – აი ამ იაშიკში ჩაძვერიო. ხოჯას ტიტველ, გახდილ ტანზე, არაფერი არ ეტევა. ჩავიდა ამ იაშიკში. ნახა, რომ ვაი მის მტერს, ჩავარდა ეკლიან ადგილას და დაიჩხვრიტა ყველამფერი, იქ მოიკრუნჩხა კურდღელივით.

შემდეგ მოვიდა ყადი. ამის ხანაში მესამემ მოაკაკუნა კარებზე და ყადმა თქვა: – ეხლა სად წავიდეთო? ქალმა უთხრა ყადს: – აგერ იაშიკში ჩაძვერიო. მანაც იქ ჩავიდა.

შემდეგ შემოვიდა მუფთი. მუფთიმ გაეარშიყირა. გაიარ-გამოიარა და ამის ხანაში მოაკაკუნა კარებზე მისმა ნამდვილმა ქმარმა. მუფთიმ უთხრა:- ეხლა სად წავიდეთო? აგერ იაშიკში ჩაძვერიო. ეს მესამე კაციც ჩააგდო ეკლიან იაშიკში. მოიყარეს სამმა კაცმა ერთად თავი და ერთმანეთ ეუბნებიან: თქვენ ვინ ხართ? – მე ხოჯა ვარ, შენ ვინ ხარ? მე ყადი. შენ? – მუფთი.

ოხ, ჩვენი საქმე წახდაო, უთხრეს ერთმანეთს და უცდიან, თუ რა დაემართებათ მათ. ბოლოს შემოვიდა თავისი ქმარი და უთხრა ცოლმა: – აგერ აქ არიან სამივენი და აბა, შენ იცი, რას უზამ მაგენსო.

ქმარმა თავის ცოლს უბრძანა: – აბა, ახლა გაადუღე ქვაბით წყალიო. აადუღეს ქვაბით წყალი და ქვაბით წყალი დაასხეს ამ იაშიკს.

ესენი ყველანი, როგორც თაგვი, ისე გაშლიპეს. დაიხოცნენ სამივე ერთად. ეხლა ფიქრობენ ცოლი და ქმარი, როგორ გაიტანონ ეს იაშიკი, რომ ვინმემ არ გაუგოს.

დილას თენდება, გახედა კაცმა, ერთი მეურმე კაცი მოდის, ეს იყო ქურთი, გამოვიდა, უთხრა მეურმეს: სად მიდიხარო?

მინდა სადმე სიმინდი ვიყიდოვო. ამ კაცმა უთხრა, სიმინდს მოგცემ, სიმინდი მისცა, ოღონდ ერთი კდარი კაცი მყავს და ის წაიღე და გადააგდეო.

გაუხარდა მეურმეს და დადვა ეს კდარი, წეიყვანა და გადააგდო. ერთ უღრან ტყეში.

მობრუნდა მეურმე კაცთან და უთხრა: სიმინდი მომეციო. – რაის სიმინდი უნდა მოგცეო – უთხრა ამ კაცმა, აი, აგერ მოიყვანე! მოიყვანე! ამის ისეთ ადგილას გადავაგდებ, მისდღემჩი უკან ვეღარ მობრუნდება.

მეორეც წაიყვანა. მობრუნდა ისევ მეურმე და ეხლა მესამე კდარი ყავდა გასატანი და რასაკვირველია, ეს კაცი ისე სიმინდს არ მისცემდა და კიდევ უთხრა: ეს მესამედ მოვიდა უკან ეს შენი გადაგდებული კდარიო.

მეურმემ უთხრა, მომეცი, მაგას სად წავიყვან, ნახეო. ისეთ ადგილას გადავისროლებ, რომ მიზდღემჩი ვეღარ მივავო.

მეურმემ წაიყვანა მესამე კდარი კაცი. მიყვა ერთ ხიდეზე და გადააგდო ხიდეზე. დიდ მდინარეზე, წყალში.

ამ მეურმემ ეს კდარი კაცი რომ გადაგდო, იქ ახლოს თურმე ყოფილა ჯამე, იქაური ხოჯა გამოვიდა საპირფარეშოში. ეს ხმაური რომ გაიგონა, ამ ხოჯამ ბოლოთი გამოვარდა გარეთ და მეურმემ დაინახა, კაცი გარბოდა ხიდეს ქვეშედან და მეურმემ დაინახა. შენი დრო ეხლა არის, რომ სიცოცხლეს გამოგასალმებო.

მეურმემ ეს ხოჯაც მოკლა და ათავდა ოთხი მოკლული იმ ღამეს.

ეს არის, რომ ქალს არ უნდა ენდო, არც უნდა დაიჯერო მისი სიტყვა.

ჭირი იქ და ლხინი აქ.

მამა და შვილი

ერთ კაცს ყავდა სამი შვილი. მამამ თავის შვილებს დაუმოწმა სიცოცხლის დროს, რომ მე როცა მოვკდები, ჩემს საფლავს თვითეულად სამი ღამე ყარაულობა უნდა გამიწიოთო; ერთ ღამეს – უფროსმა შვილმა, მეორე – ღამეს საშუალო შვილმა და მესამე ღამეს კი – უმცროსმა შვილმაო. ამ კაცმა რამოდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა. ეს მამა თავის შვილებმა დამარხეს.

შემდეგ უმცროსმა შვილმა მოიწვია თავისი ძმები და უთხრა: თუ გახსოვან ჩვენი მამა რომ ცოცხალი იყო და ჩვენ დაგვიმოწმა, რომ როცა მოვკდე სამი შვილი ხართ ჩემიო და თითო ღამეს მიყარავლოთო. მოდი, ახლა ვიყარაულოთ მამის საფლავზეო. რა თქმა უნდა, პირველ ღამეს ყარავლობა უწევდა უფროს შვილს, მაგრამ ვარი თქვა, ერთი თქვენ მოგცვლიათ, იგი მოკდა, რად უნდა ყარაულობა.

უმცროსმა შვილმა თქვა: წავალ და მე ვუყარაულებ ჩემს მამასო.

წავიდა პირველ ღამეს უმცროსმა შვილმა. უფროსმა შვილმა კი ვარი თქვა.

მივიდა უმცროსი შვილი მამის საფლავზე საყარაულოდ. შეიქმნა ღამის ორი საათი და საფლავიდან შემოსძახა თავის მამამ: რომელი ხარ ამეღამ საყარაულოდ ჩემს საფლავზეო? უთხრა უმცროსმა შვილმა: მამა, მე ვარ, შენი პატარა შვილიო.

მამამ უთხრა თავის შვილს: აი, მე მოგცემ თეთრ მათრახს და როცა გაჭირდები, ეს მათრახი დაარტყი მიწაზეო და თეთრი ცხენი და ტანისამოსი გაგიჩნდებაო და რა გაჭირვებაშიც იქნები, ყველა გაჭირვებას გადალახავო.

შემდეგ, მეორე ღამეს უთხრა საშვალო ძმას უმცროსმა ძმამ, ამეღამ თქვენ გიწევს მამის საფლავზე ყარაულობაო.

მანაც ვარი უთხრა მამის საფლავზე ყარაულობაზე, მოკდა და წავიდა, რათ უნდა ყარაულობა, ხომ აღარ გაცოცხლდებაო. შემდეგ კიდევ წავიდა უმცროსი ძმა საყარაულოდ.

მოვიდა შუა ღამე. კიდევ შეეკითხა საფლავიდან მამამ შვილს, ვინა ხარ ამეღამ, ყარაულობ ჩემთანო. მე ვარ, – უთხრა შვილმა, უმცროსმა, თავის მამას. ჩემს მეორე ძმას ვუთხარი და მანაც ვარი მითხრაო.

მერე უთხრა მამამ შვილს: კარგი შვილოო. მე კიდევ მოგცემ აი, ამ მეორე მათრახსო, გაგიჩნდება შავი ცხენი მოკაზმული, შეჯექი ზედ და სადაც გინდა, იქ წახვალო.

ეს მეორე მათრახი მოიტანა და შემოიდვა უმცროსმა შვილმა ბალიშის ქვეშ.

მერე მესამე ღამეს კი უწევდა უმცროს შვილს და კიდევ მან წავიდა საყარაულოდ. როცა მივიდა საფლავზე, შემოსძახა საფლავიდან: აი, შენ შვილო, წითელი მათრახი, ესეც წაიღე და რაც გაჭირვებაში იქნები, ეს მათრახი დაარტყი მიწაზე და წითელი ცხენი თავისი ონაგირით გაჩნდებაო და სადაც გინდა, წახვალო.

უმცროს შვილმა გადალახა სამი ღამე ყარაულობა თავის მამის საფლავზე, მაგრამ სამაგიეროდ თავის მამამ სამაგიერო საჩუქრები მისცა თავის უმცროს შვილს.

უფროსი შვილი და საშვალო შვილი დარჩენ გლახები, მამის დავალება არ შემისრულეს.

ეს ყველაფერი დამთავრდა და სამი ძმაი ცხოვრობდნენ ოჯახში, მაგრამ ეს ორი გლახა ძმები მუდამ სცემდნენ უმცროს ძმას, როცა დაბრუნდებოდნენ სამუშაოდან. უმცროსი ძმაი სახლში არის და მზარეულობს ოჯახში. შემდეგ გამოვიდა ბრძანება სხვა სახემწიფოდან, რომ ვეზირს ყოლია ერთი გოგო შვილი გასათხოვი, ისეთი ლამაზი ისეთი, რომ მზეთუნახავი გოგოა. ბრძანება იყო ასეთი: გააკეთა რამოდენიმე მეტრის სიმაღლეზე მაღალი კოშკი. იქ აიყვანა თავისი ქალიშვილი, და თქვა, ვინც ბეჭედს გამოართმევს ხელზე გაჭენებული ცხენით, მას მივცემ ცოლადო ამ გოგოსო.

ამ ორმა ძმამ მოილაპარაკეს, დილით ადრე წასულიყვნენ იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი იყო. საღამოს ამ ძმებმა დაუმოწმეს უმცროს ძმას, დიდი საჭმელი მზად იყოსო. ჩვენ მივდივართ იმ ადგილას, სადაც ვეზირის სასახლეა გოგოს ბეჭედის წასართმევადო.

უმცროსმა ძმამ უთხრა, რომ მოდი მეც წამოვალო, მაგრამ თავის ძმებმა ვარი უთხრეს.

დილით ადრე გაუდგნენ გზასა ამ ორმა ძმამა. როცა გაუდგნენ, შემდეგ, უმცროს ძმას გაახსენდა ეს თავისი მამის მიერ ნაჩუქარი მათრახები.

გამოიღო თეთრი მათრახი ბალიშის ქვეშიდან, დაარტყა მიწას, გაჩნდა თეთრი ცხენი და შემოჯდა ზედ უმცროსი ძმა. ისეთი მფრინავი ცხენია, რომ ცაში მფრინავი ჩიტიც ვერ ასწრებს. დაეწია ამ ცხენით უმცროსი ძმა თავის ძმებს და მაგრად ურტყა და მან გაჰკურცხლა, სადაც ეს ვეზირის გოგო იმყოფებოდა. მივიდა იქ, ადგილზე, ნახა, რომ რამოდენიმე ცხენოსანი კაცი, მილიონობით მოსულიყო, მაგრამ ამ კოშკზე ვერსაიდან ვერ ასულიყო, ცხენით, გოგოს ცხენი სულ მოეკლა.

მაგრამ ამ ბიჭმა როცა მოვიდა, გააჭენა თავისი ცხენი, ავიდა აი ამ კოშკზე, მაგრამ ისიც უკან გამობრუნდა. გოგოს ბეჭედი არ გამოართვა პირველი ასვლისას.

მობრუნდა ეს პატარა ძმაი, სახლში მოვიდა. შემდეგ მოვიდნენ თავისი ორნი ძმაი. ისეთი ნაცემი და გალახული იყვნენ, რომ ცხვირი და პირი სისხლით ქონდათ მოდღუნული.

შეეკითხა უმცროს ძმამ თავის ძმებს: ძმებო, ვინ გაგლახა ასეო? მაგრამ ეს ამბავი მაინც არ ამხილეს ძმებმა, თუ ვინ გალახა იგინი. ხო, ეს კი არ იცოდნენ, ძმაი იყო თავისი მფრინავი ცხენით და მან გალახა ეს ძმები.

შემდეგ გათენდა. ეს ძმები კიდევ წავიდნენ თავისი კოჭლი ცხენებით. შემდეგ ეს უმცროსი ძმაი გაეკიდა, კიდევ მაგრამ ურტყა ძმებს. გაასწრო წინ, მივიდა იქ, სადაც ხალხი იყვნენ შეგროვებულნი და ამ ამბავში ხალხი იხოცებოდნენ. რამოდენიმე ცხენიც დახოცილიყო აქ, ამ გოგოს ამბავის გამო, რომ ვინმეს ეთხოვა ეს ვეზირის მზეთუნახავი გოგო.

მოვიდა ეს ბიჭი, გააფრინა თავისი მფრინავი ცხენი იმ კოშკზე. კიდევ მეორედ ახტუმლა იმ კოშკზე და გამობრუნდა უკან.

ხალხი გიჟდებოდა თუ ვინ იყო ასეთი ახალგაზრდა და სად ნახა ეს თეთრი მფრინავი ცხენი.

შემდეგ მესამე დღეს კიდევ ასე მოიქცა, თავისი ძმები გალახა. წავიდა და მესამედ გაქანებული ცხენი ახტუმლა იმ კოშკაზე და თანაც გოგოს წაართვა ბეჭედი და წამოვიდა უკან სახლში. ეს ყოლაფერი დამთავრდა და ეხლა ვეზირი დაეძებს ამ კაცს, თუ ის ვინ იყო. სამ ხელი ცხენით ავიდა აი, ამ კოშკზე, ჩემს გოგოსთანო.

შემდეგ ვეზირმა დანიშნა კრება. მთელი ხალხი უნდა მოსულიყო კრებაზე, მას ყავდა ერთი ფრინველი ჩიტი და ის გაიგებდა, თუ ვინ იყო ის კაცი და თავზე დააჯდებოდა ის ჩიტი ამ კაცს, ვინც ცხენი ააფრინა ამ კოშკზე.

მოვიდენ ხალხი. პირველ დღეს ვერ მიამკლიეს ეს კაცი, მივიდენ მეორე დღეს, კიდევ ვერ ნახეს ეს კაცი. შემდეგ ვეზირმა უთხრა ყველა ხალხს, რომ ოჯახში ვისაც ჰყავან ან სულელი, ან ინვალიდი, ის ყველანი წამოიყვანეთო. ეს ვეზირის დავალება იყო. ამ ორმა გლახაკმა ძმებმა თქვეს ჩვენ ქვყავს ერთი ძმაო, ბლაყვის ერთია, სახლში ნაცარს ქექავს,

მეტი არაფერი არ შეუძლიაო. ვეზირმა, ამ ძმებს უთხრა იგიც წამოიყვანეთ ხვალეო.

ამ ძმებმა წაიყვანეს მათი უმცროსი ძმაო, მაგრამ ისეთი დახეული ტანსაცმელი ეცვა, რომა ხალხში გასვლაც კი სირცხვილი იყო.

მოიყარეს თავი ხალხმა. ვეზირმა გაუშვა თავისი ჩიტი. იფრინა, იფრინა და ამ საწყალ ბიჭს დააჯდა მხრებზე. დაინახეს ხალხმა და ვეზირმაც და არ მოწონათ, ვინ არის ესო ბინძური მოთხრეშილი, დაუბანელი, ჭუჭყიანიო.

არაფერი, რა გზა ქონდა, რომ ეს გოგო არ მიეცა იმ საწყალ ბიჭისთვის.

მიცა გოგო აი ამ ბიჭს, მაგრამ ვეზირი და თავისი გოგო შვილი კი კვდებიან დარდით, მაგრამ რა ქნან.

ბიჭმა ეს გაიგო, რომე ასე არის ამბავი, მაგენს სწყენანო და იფიქრა, მოდი, ჩემი მათრახები ეხლა გამოვიყენიო, რომელიც მამაჩემმა მომცა საჩუქრად. გამოიღო თავისი წითელი მათრახი, დაარტყა მიწაზე და გაჩნდა წითელი ცხენი, მფრინავი. შეჯდა ზედ და გააჭენა-გამოაჭენა. ეს ბიჭი, მართლაც, გახდა კარგი შნოიანი ბიჭი და მშვენიერი შესახედი.

შემდეგ გაიგეს თუ რაში იყო საქმე. ამ ბიჭმა გააგებინა თავისი თავგადასავალი დაწვრილებით. ვეზირს ახლა მოსწონდა კარგად ჩაცმული და გონიერი ბიჭი და თანახმა გახდა ქორწილი მოეწყო. ვეზირმა ამ ბიჭის გაუკეთა ორსართულიანი დიდი შენობა და ამ ბიჭმა იქ დაიწყო სამუდამო ტკბილი ცხოვრება. ამ უმცროსმა ძმამ გამოკაცდა და დაიწყო ცხოვრება, მაგრამ ამ ორმა უმფროსმა ძმამ დარჩნენ გლახები, რომლებმაც არ დაიჯერეს მამის რჩევა.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

შიფრი: ბსკიფა 22, 72.
მთქმელი: სურმანიძე იოსებ ახმედის ძე.
ასაკი: 23 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. დარჩიძეები.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. დარჩიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. შუბანი.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

სურმანიძე იოსებ ახმედის ძე, დაბადებული 1936 წელს. შუბნის საბჭოს სოფ. დარჩიძეებში, სტუდენტი.

დედა და შვილი

Aყო ერთი ქალი. ქმარი ადრე გარდაეცვალა, დარჩა მოსავლელად ერთი პატარა ვაჟი, რომელსაც თვალისჩინივით უარებოდა თავის სიღარიბეში. როდესაც ეს ბიჭი წამეიზარდა, თავის დედას ჰკითხა: დედიკო მამაჩემს თავის სიცოცხლეში რა ზანაათი ჰქონდაო. დედამ უთხრა: მამაშენს რა ზანათი ჰქონდა და ყავდა ერთი ჩოჩიაი. მოკიდებდა მას ხის ნათალა ნაფოტს, ჩეიტანდა ქალაქში, გაყიდდა. იყიდდა პურს და საღა-

მოს ამოვდოდა სახლში.

შვილმა გადასწყვიტა მამის გზას დადგომოდა და მანაც იყიდა ერთი ჩოჩია. საღამოს ნაფოტებს მოკიდებდა ჩოჩიას და შინ მეიტანდა. მეორე დღეს, დილას, ადრე აკიდებდა ამ ჩოჩიას და გუდგებოდა ქალაქისაკენ.

ჩევდა ქალაქში. გაყიდა ნაფოტი. იყიდა პური და წამოვდა სახლში. გზაზე გამეიარა, რომ მუყრიან თავი წყემსებს და რაცხას უთხრაშუნებენ. მივიდა ამ ბიჭმა მათთან და რას დეინახავ, დუკავებიან გველის ბარტყი და ურტყამენ. ბიჭმა უთხრა, ნუ მოკლავთ მაგას, მე მომყიდეთ და ფარას მოგცემო.

– რათ გინდა გველი სახში? გუკვირდათ წყემსებს.

– თქვენ რა გენაღლებათო, – მიუგო ბიჭმა, მე მომყიდეთ და დანარჩენი ჩემი საქმე იყოს. მიყიდეს წყემსებმა ეს გველის ბარტყი და წამეიყვანა და წამოვიდა ამ ბიჭმა სახში გველის ბარტყით. ამოვიდა სახში და დედას მიახარა ეს საქმე. დედამ გუუბღეზდა, ეს რა გიქნია, შვილო, მაგი მე სახში რათ მინდა, გარეთ მეზარება და ყველ დღე მაგასნა ვუყურო. შვილმა ეხვეწა და დატოვეს სახში და უვლიდა ის ბიჭი ამ გველის ბარტყს პატარა გალიაში.

წევდა ბიჭი მეორეთ ტყეში, მოხერხა ნათალაი ნაფოტები და მეიტანა ქალაქში წასაღებად.

გათენდა მეორე დღე და გაუდგა ხელმეორედ ქალაქის გზას ეს ბიჭი, ჩევდა ქალაქში, ნაფოტი გაყიდა და საღამოს ადრიელაი გამოსწია შინისაკენ. მოაწია კიდევ იმათ ადგილზე, რომ რას დეინახავ, დუუკავებიან კატის ცინტალი და ისე მაგრად უთხრაშუნებენ, რომ შეეცოდვება. მივიდა ამ ბიჭმა.

– ეგ რას იჯებით, რატომ არ გცხვენია, ასე მაგრად რომ ცემთ ცინტალსო. შეეცოდვა ეს ცინტალი ამ ბიჭს და უთხრა: მომყიდეთ ეს ცინტალიო. ასწია და იყიდა იმ გაყიდული ნაფოტის ფარით ამ ბიჭმა ეს ცინტალიც. წამოვდა და წამეიყვანა ეს ცინტალი ამ ბიჭმა სახლში. სახლში როცა ამოვდა, დედას მიახარა, ასე ვქენი დედიო. დედა გაუბრაზდა, საჭმელი პური ჩემთვის არ მაქ და მაგას რანა ვაჭამოვო.

ბევრი ეხვეწა თავის დედიკოს ბიჭმა და ეს ცინტალაც დაატევია სახლში. წევდა კიდევ მესამეთ ბიჭი ტყეში, შეაგროვა კაი–კაი ნაფლეტები და მეიტანა სახლში. ხვალ ქალაქშინა წეიღოს გასაყიდათ.

გათენდა მეორე დღე და ეს ბიჭი გაუდგა თავისი ჩოჩიაით ქალაქში მესამედ. ჩევდა ქალაქში, გაყიდა ნაფოტი, პაწაი პური იყიდა და წამოვდა საღამოს სახში. ამოვიდა იმ ადგილას, რომ ის წყემსები კიდევ იქ არიან, მოუყრიათ თავი და რაცხას მაგრათ ურტყამენ. ბიჭმა უჩქარა ნაბიჯს, მივდა იმ ადგილას, რომ რას ნახავ, დაუკავებიან მწყემსებს პაწაი ძაღლის ლეკვი და მაგრად ცემენ, გაუკვირდა ბიჭს, რა დაგიშავა, რატომ ასე გამეტებით ცემთო. ბიჭმა უთხრა: მოდი ესეც მომყიდეთო. ასწიეს და მიყიდეს ამ მწყემსებმა ამ ბიჭს ეს ძაღლი ლეკვიც.

წამეიყვანა ბიჭმა ეს ლეკვი სახლში. ამოვდა საღამოს სახლში. დედას ნაყიდი პური მისცა და უთხრა: დედი, ეს პატარა ლეკვიც ვიყიდე, გზაში წყემსები ცემდნენ და შემეცოდვა და ავართვი, ნუ გამიჯავრდებიო. გუუბღეზდა დედა, ჩვენი საყოფი პური არ გვაქს

და აგენს რით უნდა ვუაროთო.

უარესი და ბიჭი ამათ გამო სახლში თვითონ იკლებდა საჭმელს და მათ აჭმევდა. გეიზარდა გველი. გალიაშიც აღარ ეტეოდა და ენაზე მოვდა და ამ ბიჭს, მის მეგობარს უთხრა: შენ მე დიდი ძმობა გამიკეთე, სიკდილს გადამარჩინე და სახლში ძმასავით მიარები, რით უნდა გადაგიხადო ეს პატივისცემაო. მე ბევრი არაფერი არ შემიძლია, შენ წამომყევი მამაჩემთან და ის გცემს შენ პატივს, რომ შვილი გადაურჩინე და ძმასავით პატივი ეცი და გამიზარდეო. დაითანხმა ეს ბიჭი გველმა, მეორე დღეს მამამისთან გამგზავრებაზე.

გათენდა მეორე დღე და გაუდგნენ გზას გველი და ბიჭი გველის მამასთან, რომელიც ერთ დიდ კლდის შიგნით ცხოვრობდა და თუ ვინმე დაუძახებდა ან მას რაღაც დასჭირდებოდა, ეს კლდე გაეღებოდა და გამოვიდოდა.

მივიდენ ამ კლდის ძირში და დუძახეს ამ გველს თავისი სახელი. გაიღო კლდე და გამოვიდა უშველებელი გველვეშაპი, რომლის დანახვაზეც ბიჭმაც ცახცახი დაიწყო.

გველვეშაპმა თავისი შვილი ვეღარ იცნო და გაკვირვებით იკითხა: ვინ ხართ თქვენ ან რისთვის მოსულხართ აქაო?

შვილმა ვეღარ მოითმინა და გადაეხვია მამას და უამბო თავისი თავგადასავალი. გახარებულმა გველვეშაპმა დიდი პატივისცემით მიიღო თავისი შვილის ძმად ნაფიცი და საჩუქრად ენის ქვეშიდან პატარა ღილის კაკალი ამოიღო და დაასაჩუქრა და თან დაარიგა: – ეს ღილის კაკალი შეინახე კარგად ისე, რომ შენს მეტი ხელი არავინ მოკიდოს. თუ რამე გაგიჭირდება, ამოიღე ეს ღილის კაკალი და შეთხოვე ღმერთს, რაც გსურდეს და ის გაგიჩნდება მაშინვე.

წამოვდა ბიჭი მადლიერი. სახლში მოვდა და იყო დაფიქრებული, მას ბევრი სურვილი ქონდა ცხოვრებაში და რამდენი აესრულებია ერთად, არ იცოდა.

პირველად ბიჭმა ამეიღო და ახალი სახლის აგება შეთხვა, ღმერთო, მომეცი ახალი სახლი, ეს ძველი სახლი თავზე უნდა დამალპესო. ადგა მეორე დღეს ზეზე, რომ რას ნახავ, ეზოში წკრიალებს ორსართულიანი ახალი სახლი. ძველი სახლი დატოვეს დედამ და შვილმა და ახალში გედევდნენ და დეიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

მეზობლებს გუუკვირდათ, ასე ღარიბი იყვნენ და ერთ ღამეზე ასეთი წკრიალაი ორსართულიანი სახლი როგორ ააგესო.

ამ ბიჭის მეზობლათ ცხოვრობდა ერთი ფადიშაჰი და გაუკვირდა იმასაც, რომ ასეთი სახლი ამათ რათ უნდათო და თან არ მოსწონდათ ძალიან ეს ამბავი.

ამ ფადიშაჰს ყავდა ერთი მზეთუნახავი. ამ ბიჭმა აინით დეფნიდან დეინახა ეს გოგო და ძალიან უნდა. რა ქნას, აღარ იცის, ისე შეუყვარდა. ბიჭი გამოვდოდა დეფნაზე და ყოველ დღე უყურებდა ბაღში ფადიშაჰის ქალიშვილს, რომელსაც სიყვარულის გამო თვალებს ვერ აშორებდა. ვერ ბედავდა ბიჭი ამის გამხელას, ვაითუ ფადიშაჰმა ვარი მითხრას და მერე სად უნდა წავიდეო. ამ დერდში იყო ბიჭი და ძალიან ჩამოჭკნა ტანზე. დედას უკვირდა შვილის ამგვარი დაღონება და ვერ გაეგო, თუ რისი ბრალი იყო. სულ ემუდარებოდა დედა თავის ერთადერთ შვილს, რათა გაემხილა თავისი გულის წადილი, მაგრამ ამაოდ, დედასაც არ უმხელდა ბიჭი (შვილი) თავის გულის საიდუმლო სიყვარულს. ამ

ამბავით დაინტერესებული დედა მიდევ-მოდევს ჩუმათ თავის შვილს და სურდა გაეგო, თუ რა იყო შვილის დამწუხრების მიზეზი.

ერთხელ, როცა შვილი გამოსულიყო და დეფნიდან უყურებდა ფადიშაჰის ბაღში მოსეირნე ქალს, დედისთვინ გასაგები იყო თავისი შვილის მწუხარება.

უნდოდა დედას რამენაირად დახმარებოდა შვილს. უთხრა შვილს დედამ: – შვილო, მომეცი ნება, მე წავალ იმ ფადიშაჰთან ელჩად და მოვაგვარებ საქმეს რამენაირად. შვილმა დართო ნება დედას, რათა მეორე დღეს წასულიყო შუამავლად.

მეორე დღეს გაუდგა ეს დაკონკილი დედაბერი გზას და მივიდა ფადიშაჰის სასახლესთან. შევიდა ეზოში და იქ ორი ქვა იდვა. ერთი იყო ელჩის ქვა, მეორე კი – მათხოვრის ქვა. მივიდა ამ დედაბერმა და ელჩის ქვაზე დაჯდა.

გამოვიდა ფადიშაჰის მოსამსახურე და უთხრა: რა გნებავს, ელჩის ქვაზე რატომ დამჯდარხარ, მათხოვრის ქვაზე დაჯექი და ფადიშაჰი მოწყალებას მოქცემსო.

– მე სამათხოვროდ არ ვარ მოსული, ელჩად ვარ მოსულიო.

შევიდა მოსამსახურე და მოახსენა ფადიშაჰს ეს ამბავი. ფადიშაჰი გაბრაზდა და უთხრა მოსამსახურეს: – გადი და უთხარი ან ელჩი ქვიდან ადგეს, ან სულ გაეთრიოს აქედანო.

გავიდა მოსამსახურე და მოახსენა ფადიშაჰის განწყობა, და უთხრა, ან ელჩი ქვიდან ადგეს, ან სულ წავიდეს აქედან თორემ, კარგ დღეს არ დავაყრიო.

დედაბერმა მოახსენა მოსამსახურეს, რომ შედი და ფადიშაჰს უთხარი, რომ მე ვარ ელჩი და არა მათხოვარი. მე მინდა ფადიშაჰის ქალიშვილი ჩემი ვაჟისთვის, სანამ ფადიშაჰი პირობას არ მომცემს, არ მოვეშვებიო.

შევიდა და მოახსენა მოსამსახურემ, რომ არ მიდის ის დედაბერი, ელჩად ვარ მოსულიო, ფადიშაჰის ციცოი მინდა ვითხოვო ცოლადო.

გაბრაზდა ფადიშაჰი და მოითხოვა, რომ შემოეყვანა ის დედაბერი მასთან.

გამოვიდა მოსამსახურე და უთხრა დედაბერს, რომ შემოდი, ფადიშაჰი გიბარებსო.

შევიდა კანკალით დედაბერი ფადიშაჰთან და დაიჩოქა.

– რა გნებავთ, მოხუცო, რად არ ღებულობთ მოწყალებას, ან რად ჯდები ფადიშაჰის ელჩის ქვაზე?

დედაბერმა მიუგო, რომ მე ელჩად ვარ მოსული და არა მათხოვრად, თქვენი გოგო მინდა ჩემი შვილისათვის ცოლად და გეხვეწები, მომათხოვო რძლად.

– ეს რას ბედავ, მათხვარს როგორ მივცემ ჩემ შვილსო. გაბრაზებულმა ფადიშაჰმა გამოაგდო დედაბერი სახლიდან და უბრძანა, მეორედ არ გაებედა ასეთ საქმეზე მოსვლა. დაბრუნდა სახლში დედაბერი და მოახსენა შვილს ფადიშაჰის სიტყვები, რომელმაც უფრო მეტად აღაგზნო შვილი და გააძლიერა მისი სულიერი მღელვარება.

დამწუხრებული დედა ამშვიდებდა შვილს, მაგრამ რა ექნა.

დედაბერმა გადაწყვიტა მეორე დღესაც წასულიყო ელჩად ფადიშაჰთან.

მეორე დღეს მიდის კიდევ ეს მოხუცი ფეხშიშველი, დაკონკილი ტანისამოსით ფადიშაჰთან ელჩად. მივა და ისევ ელჩის ქვაზე დაჯდება. გამოვა გარეთ ფადიშაჰის მოსამსახურე და დაინახავს დედაბერს, შებრუნდება სახლში და ფადიშაჰს მოახსენებს, გუშინდელი

დედაბერი მოსულა და ისევ ელჩის ქვაზე ზისო. გაბრაზდება ფადიშაჰი და მოსამსახურეს უბრძანებს, შემოიყვანოს ეს დედაბერი.

გამოდის და ეუბნება მოსამსახურე დედაბერს ფადიშაჰის ბრძანებას – მასთან უნდა შეხვიდე. მიდის დედაბერი ჯოხის კაკაკუკით ფადიშაჰთან, რომელიც მეტისმეტად აღგზნებულია ამ დედაბრის საქციელით.

– ხომ გითხარით, მეორედ არ გაგებედათ ჩემთვის ეს ამბავი, ეხლა კიდევ რაზე მოსულხართ? – ეკითხებოდა გაბრაზებული ფადიშაჰი დედაბერს.

ფადიშაჰმა უთხრა, რომ რაკი არ მშორდები, წადი და შენ შვილს უთხარი, რომ ამეღამ თუ ააგებ ისეთ სახლს, როგორიც მე მაქვს, თავისი მოწყობილობით და ყველაფერით, მაშინ შეიძლება მოვილაპარაკოთ მაგ საქმეზეო.

ფადიშაჰს ეგონა, რომ ამ ერთ ღამეზე ის სახლს ვერ ააგებს და რამენაირად მეც მოვიშორებო.

წამოვიდა დედაბერი ჩანჩალით და ტირილით, რომ ჩვენ ისე ღარიბი ვიყავით, ერთი სახლი ღმერთის დახმარებით ძლივს ვიგდეთ ხელში და ახლა ფადიშაჰისავით სახლი როგორ უნდა ავაგოთო.

დაბრუნდა საღამოს შვილი და დედამის კითხა, თუ როგორ არის საქმეო.

დედაბერმა დაიწყო ჩივილი, იმფერი რამე დაგვავალა, რომ იმის გაკეთება ჩვენ არ შეგვიძლიაო.

შვილმა მიუგო: – დედი, ნუ ჩივი მაგას, მაგმეტ ნურაფელს დაგავალებს, ეგ არაფელია, მაგის იმედი მაქვს, მოვაგვარებ.

დაღამდა ის საღამო და ბიჭმა ამოიღო იმ გველის მიერ ნაჩუქარი ღილი და შეთხვა ღმერთ, რომ მისთვის იმ ღამეს აეგო ისეთი სახლი, რომ ფადიშაჰის სახლზე ორჯერ უკეთესი ყოფილიყო.

გათენდა მეორე დღე და გაიხედეს დილას ეზოში, რომ დიდი ქვითკირის სახლი ორსართულიანი, რომ ფადიშაჰის სახლი მას ვერაფელში შეედარებოდა.

გაუდგა გახარებული დედაბერი მეორე დღეს გზას. მივიდა ფადიშაჰთან და თხოვა, რომ თქვენი ბრძანება შესრულებულია და გთხოვთ, თქვენი პირობის თანახმად შესრულებასო.

ფადიშაჰმა გაიხედა აინით, რომ სახლს დეინახავს, რომ მისი სილამაზით თვალს მოგჭრის. ფადიშაჰი შემობრუნდა დედაბერისაკენ: არა, არა, ეგ არ იქნება საკმარისი!

წადი და შენ შვილს უთხარი, რომ ხვალე ასი დევით მოკიდული საქორწილო მარაგი მომიტანოს, ისეთი, რომ ჩიტის რძეც არ აკლდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საქმეზე ლაპარაკი ზედმეტიაო, – განუცხადა ფადიშაჰმა დედაბერს.

დაბრუნდა სახლში გადერდიანებული დედაბერი და ფიქრობდა, თუ სად უნდა ენახათ ამდონი საქორწილო მარაგი. დაბრუნდა საღამოს მისი შვილი და კითხა დედამის, თუ როგორ იყო საქმე. დედაბერმა უთხრა შვილს, რომ შვილო, იმფერი საქმე დაგვავალა, რომე იმის შესრულება ჩვენ მაინც არ შეგვიძლიაო.

– რა არის, დედი, მასეთი, რომ ვერ შევასრულებთო?

– რა არის და ხვალე ფადიშაჰს ასი დევით დატვირთული საქორწილო მარაგი უნდა გავუგზავნოთო, მისი ხარჯიც ჩვენ უნდა გადავიხადოთ, ისეთი საჭმელები უნდა გავგზავნოთ, რომ ჩიტის რძეც აღარ უნდა აკლდესო.

– ეგ არაფელია, დედაჩემო, რამენაირად მაგასაც მოვახერხებთ, ოღონდ გაკეთდებოდეს მაგი საქმე.

დაწვენ იმ საღამოს და დაიძინეს. ბიჭმა კი ამოიღო და შესთხოვა ღილის კეკალს, რომ ასეთი და ასეთი სურვილი მაქვს და ესეც შიმისრულეო.

გათენდა მეორე დღე, რომ დატვირთული აქლემები ეზოში დგანან და ფხუტუნებენ, გეიხარა ბიჭმა ესეც.

ადგა დედამისი და გუძღვა ამ აქლემებს და წეიყვანა და წევდა ფადიშაჰთან. მივიდენ ეზოში და ფადიშაჰს გაუკვირდა, თუ საიდან გააჩინეს ასე მალე ამდენი სურსათიო. აქლემებს მოსამსახურეებმა ტვირთები ჩამოხსნეს და მიამწყნარეს. დედაბერი კი ფადიშაჰმა შეიყვანა თავის ოთახში.

ფადიშაჰი ეუბნება დედაბერს, რომე ეგ არ არის საკმარისი, წადი ახლა და მოამზადე – ხუალ, ჩემი სახლიდან თქვენ სახლამდე ყუმაში და ატლასი უნდა დაფინო, თორემ ისე არ გაგატან გოგოსო. მაგდენი ყუმაში და ატლასი სანა ვნახო მე ხვალისათვის, დეიწყო დედაბერმა ჩივილი და წამოვიდა სახლში.

მოვიდა დაფიქრებული დედაბერი და სულ იმას ჩიოდა, რომ ამდენი ატლასი და ყუმაში სად უნდა ეშოვნა.

მოვიდა საღამოს მისი შვილი სამუშაოდან და დედას კითხა, თუ რაში იყო საქმე, რა გააკეთა ფადიშაჰთან.

– შვილო, ისეთი რამე დაგვავალა, რომ იმის შესრულება შეუძლებელია.

– რა არის ასეთი დედი, რომ გაგვიჭირდეს მისი შესრულება?

– რა არის, შვილო, და ხვალე ჩვენი სახლიდან ფადიშაჰის სახლამდე უნდა დავფინოთ სულ ატლასი და ყუმაში.

მაგასაც რაცხას ვიზამთო, – მიუგო შვილმა.

დაწვენ საღამოს და ამეიღო ბიჭმა კიდევ თავისი ღილის კაკალი და შეეხვეწა ღმერთს და ღილს, რომ ეს და ეს საქმე შემისრულეო. მან დეიძინა. გამეიღვიძა დილას, რომ რას გეიხედავ, ატლასი და ყუმაში კანკალებს მისი ეზოდან ფადიშაჰის ეზომდე. გუხარდა ბიჭს ეს. დედაბერიც, ადგა და გაუდგა გზას მისი დაფშატული ფეხებით ამ ატლასზე და ყუმაზე. მივიდა ფადიშაჰთან. ფადიშაჰი ძალიან განაწყენებული იყო იმის გამო, რომ მისი ყველა თხოვნა შეუსრულეს, რომელთა შესრულების იმედი არ ქონდა და გოგო არ უნდა მიეცა, მაგრამ ახლა რაღა უნდა ექნა, მის გადაფურთხებულს თვითონ აღარ ალოკავდა.

რაკი ასე მოხდა, – მიუგო ფადიშაჰმა დედაბერს, დავნიშნოთ ქორწილი ხვალისათვის, მაგრამ იმ პირობით, რომ ჩემი ქალიშვილის ქორწილს ჩემს სამეფოში კაცი სურიელი არ უნდა აკლდესო, ამ თადარიგით იყავითო, – უთხრა ფადიშაჰმა დედაბერს და გაისტუმრა.

მივიდა სახლში დედაბერი და ჩიოდა, თუ სად უნდა ენახათ ამდონი საჭმელ–სასმელი, რომ ყველა სურიელი დაეპატიჟათ. დაბრუნდა შვილი და დედაბერმა უამბო ყველამფერი.

– ეგ არაფერია, დედაჩემო, ამდენთან ერთად ეგეც იქნება, ფადიშაჰი რომ დაგვთანხმდა, მაგას რაღა გაჩივლებს.

დაღამდა ის საღამოც და გახარებული კაცმა ამოიღო თავის ღილის კაკალი და შეეხვეწა, რომ ხვალისათვის მიეცა იმდონი სურსათი, რომ ფადიშაჰის ყველა ქვეშევრდომი და მის სამეფოში შემავალი ყველა სურიელი დაეკმაყოფილებინათ ისე, რომე მის ქორწილს ჩიტის რძეც არ აკლდეს.

დაიძინეს იმ ღამეს შვილმა და დედამ. გათენდა მეორე დღე. გაიხედეს, რომ მისი ძველი სახლი და ის მეორედ გაკეთებული ახალი სახლი გავსილი იყო საჭმელებით.

მეორე დღეს დიდი ქორწილი უნდა გამართულიყო, ფადიშაჰის გოგო თხოვდებოდა ღარიბი გლეხის შვილზე.

მოიყარეს თავი ხალხმა ფადიშაჰის სასახლის წინ. ვის არ ნახავდი იქ: კოჭლს, ქორს, მუნჯს, ლამაზ–ლამაზ ქალებს და ბიჭებს, რომლებიც ქორწილში იყვნენ მოსული.

საღამოვდებოდა. მექორწილე უნდა ავსილიყო. ამ დროს ფადიშაჰმა დაიბარა ქალიშვილი და უთხრა: – შვილო, შენ მიდიხარ ჩემი სახლიდან და სხვაგან უნდა შეიქნა მყუდრო და ბედნიერი ცხოვრება, სადაც უსათუოდ გესაჭიროება მოსამსახურეები, მიდი, აირჩიე, რომელი მოსამსახურე გაგატანო მზითვად. თქვი და იმას გაგატან.

ქალიშვილმა უპასუხა: – მამაჩემო, ჩასუქებული არაბი რომ გვყავს, მოსამსახურედ იგი უნდა გამატანო მზითვათო. დათანხმდა მამა შვილს და დაიბარა ის არაბი და იქვე უბრძანა, რომ ის, იმ დღიდან იქნებოდა მისი ქალიშვილის მზითევი, ხელით მოსამსახურე.

ქორწილი სულ ოთხ დღეს გაგრძელდა ფადიშაჰის სახლში და მეოთხე დღეს, საღამოს, მექორწილე დაიძრა ატლასითა და ყუმაში დაფენილ გზაზე, მიყავთ დედოფალი და მიდიან მხიარულად.

მივიდნენ ვაჟის სასახლეში. ერთი ოთხი დღე იქ იქორწილეს, დაუტოვეს ვაჟს მზეთუნახავი ცოლი და გულდაწყვეტილი მაყარი დაბრუნდნენ სახლში.

ცხოვრობდა ბიჭი ბედნიერად და ლაღად. მას ცხოვრებაში ჩიტის რძეც არ აკლდა. მოსამსახურე არაბიც თავს ევლებოდა მზეთუნახავ ფადიშაჰის გოგოს ისე, რომ ნიავსაც არ აკარებდა.

ქალსაც მოსწონდა არაბის ერთგულება და თავდადება მისდამი და ხშირად უმხელდა მისი გულის ჭირ-ვარამს.

არაბი, რომელიც მოეშმაკო კაცი იყო, დაინტერესებული იყო იმ ამბით, რომ ეს ღარიბი ობოლი ბიჭი, რომელსაც არაფერი არ გააჩნდა და ფაცხაში ცხოვრობდა, რით შექმნა ამდენი ქონება, სახლ-კარი და სხვა. მას უკვირდა, რომ ყოვლიშემძლე ფადიშაჰს როგორ მოუგო, როგორ შეასრულა ფადიშაჰის ყველა მოთხოვნილება და როგორ ითხოვა ფადიშაჰის ასული ცოლად. სულ აინტერესებდა ეს ამბავი, სადაც დადიოდა, სულ იმაზე ფიქრობდა.

ამ არაბს ავტორიტეტი ქონდა ფადიშაჰის გოგოსთან და ერთხელ, როცა გოგოს ქმარი სახლში არ იყო, გოგოს გაუმხილა ეს ამბავი. ელაპარაკა, ელაპარაკა და დაინტერესა ეს გოგო, რომ თავისი ქმრის პირით გაეგო ეს ამბავი, თუ როგორ მოხდა, როგორ გამდიდრდა ეს ღარიბი ფუხრის შვილი. არაბმა უთხრა გოგოს, რომ გაიგე, საინტერესოა ეს ამბავი და

მეც გამაგებიეო.

დაბრუნდა ქმარი სახლში და საღამოს მოუალერსა ცოლმა ქმარს ისეთი გულით, რომ არ შეიძლებოდა ამ ორ არსებასთან რამე დაფარული ყოფილიყო. დიდი ალერსის შემდეგ ქალმა გაუმხილა ქმარს:

– ქმარო, ამდენი ხანია ერთად ვცხოვრობთ და შენ ერთხელაც არ მოგიყოლია ჩემთვის შენი თავგადასავალი. ერთი ღარიბი კაცის შვილი იყავი, არაფერი არ გაგაჩნდა და როგორ გამდიდრდი ასე, რომ ფადიშაჰის სიძე გახდი და დღეს ბედნიერად ცხოვრობო. ქმარს სახეზე ფერი აუარა და გაუკვირდა ცოლის ამგვარი ცნობისმოყვარეობა. მიაჩემდა ცოლი, არ ეშვება, როგორ გამდიდრდიო. კაცი ხან ამას უყვება და ხან იმას, მაგრამ მაინც არ სჯეროდათ, რომ კაცი სიმართლეს არ ეუბნებოდა. ვერ მოიშორა ბიჭმა თავისი გულის საიდუმლო. ერთ საღამოს, როცა ცოლი და ქმარი მარტოდ იჯდნენ თავის ოთახში და იქ სხვა არავინ ეგულებოდათ, ქმარმა ცოლს გაუმხილა საიდუმლოება – ააფჩინა პირი და ენის ქვეშედან ამოიღო ის ღილის კაკალი და უთხრა თავისი წარსული ყველამფერი, ამ ღილის კაკლის ყველა ისტორია და მისი დანიშნულება. ქალს გაუკვირდა ეს ამბავი. ქმარმა პირობა ჩამოართვა ცოლს, რომ მის ამ საიდუმლოებას არავისთან იტყოდა და მხოლოდ მათ ეცოდინებოდათ, ცოლ-ქმარს.

გავიდა ორი-სამი დღე, ქმარი კიდევ წავიდა საცხა და არაბს აინტერესებდა ეს ამბავი ძალიან და ისარგებლა ქმრის შინ არყოფნით და შევიდა ფადიშაჰის გოგოს ოთახში.

გოგოს მიუჯდა და უთხრა: – გაიგე თუ არა, რაშია საქმე, როგორ გამდიდრდა, რა საშუალებით. ქალი სასტიკ ვარზე იყო, არ გამიმხილაო. არ უნდოდა, ქმარი გაეცა, მაგრამ არაბმა ბოლოს მაინც დაახათრა და ათქმევინა გოგოს ქმრის საიდუმლოება.

ქალმა უთხრა, რომე თუ არსად გამამხელ და შენს პირს იქით არ გადაცდება ეს ამბავი, უსათუოდ გეტყვიო. არაბმა დაიფიცა ყველამფერზე, რომ არსად არ ვიტყვიო. ქალმა უთხრა ყველამფერი იმ ღილის კაკლის შესახებ, რომელიც ქმარმა აჩვენა და მოუყვა თავის ცოლს.

ყველამფერი გაიგო არაბმა, რაც აინტერესებდა, მაგრამ ამ ამბავმა მას მოსვენება აღარ მისცა. მას გულში ჩაეჭრა იმ ღილის ხელში ჩაგდების სურვილი და დღედაღამ მის ხელში ჩაგდებაზე ფიქრობდა, რომ წაერთმია ამ ვაჟისათვის ბედნიერი ცხოვრება.

ბოლოს ხერხიც გამონახა და ხელსაყრელ ვითარებასაც ეძებდა, რომ წაერთმია ვაჟისთვის ეს ღილის კაკალი და მას მოეპოებინა ის ბედნიერი ცხოვრება.

ერთხელ, როცა ბიჭი დაღლილი მოვიდა და დაიძინა, მან შეიპარა მის ოთახში და დანაყილი პირპილის ფხვნილი შეიტანა ყუთით. მიეპარა მძინარეს, ცხვირთან დაუხრჩოლა ის და ვაჟს ცხვირი დააცემინა და ის ღილის კაკალი გადმოუარდა ცხვირიდან. არაბმა დაახტა და გაიქცა იქიდან. მივიდა ერთ ზღვის ნაპირზე, ამოიღო ღილი და შეთხვა მას, რომ ის ყველაფერი სიმდიდრე და ფადიშაჰის გოგო, რომელიც იმ ბიჭს ყავდა, მიეცა მისთვის. იმ ზღვის შუაგულში კოშკი აეშენებია და შიგ ყოფილიყვნენ ისინი, რომ არავის მიეგნო.

გათენდა მეორე დღე და ეს არაბი ფადიშაჰის გოგოსთან ერთად ზღვის შუაგულშია ერთ ორსართულიან ლამაზ კოშკში.

დაიწყეს აქ არაბმა და ფადიშაჰის გოგომ ცხოვრება. ის ბიჭი კი დარჩა იქ მძინარი მაშინ. როცა გამოიღვიძა, რას გამოიღვიძებ, მისი აღარც ცოლია და აღარც სახლ–კარი, ისევ ძველებურად ფაცხაშია დამწყდეული დედამისთან ერთად.

ბიჭი კინაღამ გაგიჟებას მივიდა, თუ რა მოხდა სრულებით არაფელი იცოდა. გამოვარდა გარეთ, აათვალიერა იქით-აქეთ ყველამფერი, მაგრამ ვერაფელი ვერ დაინახა. მიატოვა თავისი ფაცხა და გუუდგა თავისი ცოლის საძებნელად.

ბევრი იარა თუ ცოტაი, მიაღწია იმ ზღვის პირას, საიდანაც ერთი დიდი კოშკი მოჩანდა და გაუკვირდა, თუ რა იყო ეს კოშკი, ან, როგორ გაჩნდა აქაო.

ამოიღო თავისი აინა და გაუხედა. ბევრი უყურა, უყურა და ბოლოს დეფანზე გამოსული ფადიშაჰის გოგო, მისი ცოლი იცნო. შემდეგ უყურა, უყურა და დეფანზე ის მოსამსახურე არაბიც გამოვდა. დეინახა ეს ყველაფერი და გახარებული გამოსწია შინისაკენ.

მოვიდა სახლში და დედას უამბო ყველამფერი, რაც დაინახა. ძალიან შეწუხდა დედამისი, რომ ძლივს მოაგვარა საქმე და ახლა ასე ჭირდათ. ვაჟი გადერდიანებული იყო, რა გიეკეთებია არ იცოდა. საყვარლობდა და იყო თავის ბავშვობის მეგობრებს, ძაღლს და კატას.

ამ თამაშობაში იყვნენ კატა, ბიჭი და ძაღლი, რომ ძაღლმა ენაზე მოვდა და უთხრა თავის ბავშვობის მეგობარ ბიჭს, რომ შენი მწუხარება ყველაფერი ვიცი და ნება მომეცი, რომ დაგეხმარო და შენი ღილი, რომლითაც მოიპოვე ბედნიერება, დაგიბრუნო. ბიჭს სიხარულის გამო ცრემლები გადმოსცვინდა. ძაღლმა თქვა, რომ გავცურდები ზღვაში, ზურგზე შემაჯდეს კატა, მივალთ იმ კოშკთან. კატა ბოღორზე ახოხდება და შევა სახლში, იმათ დაეძინებიან, მიეპარება უჩუმარაი და იმ არაბს ცხვირში კუდის წვერს ჩაუყოფს. იმ არაბს დააქსიტყვებს და ის ღილი გამოუარდება პირიდან, დაახტება კატა, გამეიქცევა, შემაჯდება ზურგზე, მოგიტანთო. პატრონს ძალიან გაუხარდა. კატამაც ენა ამეიდგა და მოილაპარაკეს, როგორ უნდა მიაღწიონ.

შემოისვა ძაღლმა კატა ზურგზე და მივიდნენ ზღვის პირას. ძაღლმა გაცურა. ზღვაში იცურავა, იცურავა და მიაღწია იმ კოშკთან, კატამ ბოღორზე აცოცდა, ფანჯარაზე შემოხტა, არაბი და ფადიშაჰის გოგო საჭმელს ჭამდნენ. გუხარდენ კატის მოსვლა, ჩვენი კატაც აქ ყოფილა. გეიხედეს რომ ძაღლმაც დეიყეფა ეზოში. გევიდენ, ძაღლიც აქ ყოფილაო და ისიც შემოიყვანეს შინ და აჭამეს და ასვეს.

დაღამდა ის საღამო. დაიძინეს არაბმა და მისმა ცოლმა. კატა კი სექვის ქვეშ იყო დამალული და იქიდან იდარაჯებოდა. დეეძინა ამ არაბს თუ არა, კატა გამოძრა იქიდან, მიეპარა არაბს და კუდის წვერი ჩაუყო ცხვირში, ერთ-ორჯერ გამოუსვა და ამ არაბს დააქსიტვა ერთი იმისთანა, რომ კინაღამ წელები გაუწყვიტა. ეს ღილის კაკალიც გამოუშპა პირიდან, დაახტა კატამ და მოკურცხლა. ჩევდა ძირში, ძაღლი იქ უცდიდა, შეაჯდა ზურგში და გამეიქცნენ იქიდან, რამოდენიმე კილომეტრი გამოცურეს. ამათ შეიტყვეს რაში იყო საქმე, მაგრამ რაღას იზამდნენ.

კატა და ძაღლი როცა ნაპირს უახლოვდებოდნენ, ძაღლს მოუნდა, რომ მას მიეტანა პატრონისათვის ეს ღილის კაკალი და კატას უთხრა, რომ მომეცი ეგ ღილის კაკალი, თო-

რემ ზღვაში გადაგაგდებ და დაიხრჩვებიო. კატას შეშინდა და ამეიღო და მისცა ძაღლს ღილის კაკალი.

გევდენ ხმელეთზე და გაკურცხლეს სახლისაკენ, სადაც პატრონი ელოდებოდა. მიუტანა და მიახარა ძაღლმა ღილის კაკალი პატრონს.

გახარებულმა ბიჭმა ერთი ამოლოცა თავისი მეგობრები და ღილს ჩაუკითხა და შეთხოვა თავის სურვილები, რომ ის ზღვაში რომ კოშკია, ის აქ გამეიტანე და ჩემი ცოლი ისევ ჩემი გახადეო.

გათენდა მეორე დღე, რომ თავისი ორივე სახლი და ყველა ქონება ისევ ძველ ადგილზე იყო. ცოლი კი მისი გვერდზე იწვა.

ადგა ბიჭმა, პირი დაიბანა და ცოლს კითხა: რატომ გაეცი, ცოლო, ჩემი საიდუმლოებაო, ვინ შეგაცდინაო?

ქალმა მოუყვა ყველამფერი, თუ როგორ მოატყუა არაბმა ის.

გაბრაზებულმა ბიჭმა არაბი დაიბარა, ჯორის კუდზე გამოაბა და ნაკუწებად აქცია. მან კი დაიწყო ძველებურად ბედნიერი ცხოვრება.

ნურასდროს ნუ ენდობით ცოლებს.

შიფრი: ბსკიფა 22, 73.
მთქმელი: გამრეკელიძე ნადია ღისას ასული.
ასაკი: 19 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. დარჩიძეები.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. დარჩიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. შუბანი.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

გამრეკელიძე ნადია ღისას ასული. დაბადებული 1940 წელს, სოფ. უჩამბაში, საშუალო განათლებით. იცის ლექსები, რომლებიც გაუგონია ხალხისგან. ლაპარაკობს ქართულად.

ლექსები

Ციხევ, მოგიკვდეს ამშენებელი,
შენ ხარ ვაჟკაცის დამღონებელი,
ციხეს რათ უნდა რკინის კარები,
მას უნდა ქონდეს შუშაბანდები.
იმ შუშას გავტეხ, გავიპარები,
მივალ, სამშობლოს ჩავებარები.

სასიყვარულო ლექსები

ვასა და ვარდს შორის,
არ იქნება დაწყნარება,
ვინც მე და შენ დაგვაშორებს,
არ ეღირსოს მას ცხოვრება.
რა ძალიან მეძინება,
თან მიდგება ნური.
ოხ, რა ძნელი რამ ყოფილა,
ეს ოხერი სიყვარული.
ეს ყვავილი არ დაჭკნება,
თუ წყალს უსხამ მუდამ ძირში,
არ გაქრება სიყვარული,
თუ გახსოვარ მუდამ ძილში.
მე ის მიყვარს, იმას ვიტყვი.
მისი ეშხი აზნავლი,
უნახავი რა ყოფილა,
ბიჭო, შენი სიყვარული.
ვიღებ ხელში საწერ–კალამს,
სალამს გითვლი მოქარგულსა,
მე გისურვებ ჩემო ბიჭო,
უფრო მტკიცე სიყვარულსა.
მაგრამ ერთი დარიგება,
რომ არ მოგცე, არ იქნება.
ამ ლექსების საშუალებით,
მომიგონე, რა იქნება.
ერთი წერილი მომწერე,
შენი ოქროს ხელითა,
ერთმანეთი შევიყვაროთ,
წერილების წერითა.
ერთი შენ ხარ, ერთი მე,
შენ თავს მომცემს ღმერთი მე
შევაერთოდ ფიქრები,
შენ თუ ჩემი იქნები.
ლამაზო, შენი თვალები,
სიყვარულის დამთესავია,
გოგოვ, იმიტომ მიყვარხარ,
რომ არ ხარ ნათესავია.
ორიოდე ლექს დაგიწერ,
თუ მექნება თქვენგან ნება,
რომ ბუნების ყვავილი ხარ,
არ გჭირდება ჩემგან ქება.
ერთად ნაშოვნი არა ვართ,
როგორც ღვინო და ძმარიო,
ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი,
როგორც ცოლი და ქმარიო.
არც კლუბში და არც თეატრში,
მე უშენოთ არ დავდივარ,
მაგონდება შენი სახე,
ოცნებიდან გამოვდივარ,
ამას ვწერ ვარდსა,
ჩემი გულის დარდსა,
შეინახე ჩემს მაგივრად,
არ აჩვენო სხვასა.
უბედური გოგო მე ვარ,
ბედისგან დაფიქრებული,
ადრე ხანში შევიქნებით,
ერთ კლავზე დაძინებული.
ბევრი ლექსი რომ დავწერო,
დავიღლები ძალზე,
შეყვარებული არ მახლავს,
დავიარები ცალაზე.
ვარდსა და იას შორის,
შენი სახე შევინახე,
ეს ლექსები ჩემ სახსოვრად,
შენს ჯიბეში შეინახე.
თუ ვიცოცხლე ას წელიწადს,
ერთმანეთს მოშორებული,
არ დაგივიწყებ, ლამაზო,
შენთვის ვიქნები ერთგული.
შენ ხარ ჩემი ნუგეში,
თავს ჩაგიდებ უბეში,
ძილი მოვა, ჩაგიძრები,
მაგ შენ ლამაზ ტუჩებში.
უშენობით ცის სივრცეში
ცისარტყელა იკლაკნება,

ეს ოხერი ჩემი გული.
მუდამ შენთვის იტანჯება.
პირველად რომ დაგინახე,
მე მეგონე ბაღის ვარდი,
დედამ გშობა ეგრე ტურფა,
თუ ზეციდან ჩამუარდი.
პირველად რომ დაგინახე,
მოვიბნიე გულზე ია,
თუ ოდესმე მიღალატო,
არ აგშორდეს ასი ტყვია.
შაშვს რომ საწყობი დაუწყე,
ჭიანჭველამ დამიშალაო,
მე და შენის სიყვარული,
ღმერთმა არ დაგვიშალაო;
წამწამსა და წამწამს შორის,
არ იქნება დაწყნარება,
ვინც მე და შენ დაგვაშოროს,
არ ელირსოს მას ცხოვრება.
ხარბად ვიმზერ მე შენსკენ,
უნდა გაკოცო თვალებში,
ტურფა ხარ, ჩემო გოგონავ,
ერჩევი ყველა ქალებში.
აბრეშუმი დავართი,
იყო ცოტა ხოშორი,
ვენაცვალე ჩემ ბიჭიკოს,
სირმას უგავს ქოჩორი.
ეს ქვეყანა შემოვიარე,
საზოგადოდ ოთხი მხარე,
მეტი რომ არ გავაგრძელო,
შენ მიყვარხარ, გენაცვალე.
შენ მიყვარხარ, გენაცვალე
მე შენს გამჩენს გფიცაო,
შენ თუ მე ცოლად არ წამიყვან,
შენ გაგისკდეს მიწაო.
მიყვარხარ და მეყვარები,
მე არ გაგცლი სხვაში,
თავი არ დამახრჩობიო,
აღელვებულ ზღვაშიო.

ეს ქვეყანა შემოვიარე,
ევროპა და აზიაო,
მე რომ ბიჭი შემიყვარდა
ნეტავ, რა ლამაზია.
მიყვარს სპიჩკის ნათელი,
ჟუჟუნ თვალებში ყურება.
შენი სევდით მე დავიწვი,
და შენ კი არ გეყურება.
ბუნება რომ კარგია,
მეც ვარ ამის თანახმა,
თელ სოფლიოს მირჩევნია,
ბიჭო, შენი დანახვა.
როცა მოვკდები, აღარ ვიქნები,
გულზე მეყრება ქვა და ლოდები,
მე შენ გავალებ, ჩემო ბიჭიკო,
შენ ჩემს საფლავზე მალ-მალე მოდი.
თვალი მიჭირავს მე შენზე,
როგორც მიმინოს მწყერზე,
ნეტავი, შემატყობინა,
შენ რა გული გაქვს ჩემზე.
გენაცვალე, რისთვის დამწვი,
რად ჩამაგდე ცეცხლის ალში,
შენ თუ ჩემი არ იქნები,
მაშ, ჩავარდი მღვრიე წყალში.
გაზაფხული რომ გამოვა,
ზღვა ჩადგება კალაპოტში,
ბიჭო, შენი დავიწყება,
არ იქნება არას დროში.
გაღმა დანა დავასე,
გამოღმა ვიარები,
ტურფა გოგოვ, შემიყვარე,
უცოლოდ ვიარები.
ზევიდან წყალი ჩამოდის,
მას ეხვევა მზე და მთვარე,
შენ ხარ ჩემი მზე და მთვარე,
შენ მიყვარხარ, გენაცვალე.
ჟუჟუნა ველები დანაბა.
ვინც უღალატოს სატრფოსა

გული გაუპოს დანამა.
შენ ხომ იცი, ჩემო ბიჭო,
თუ რას ფიქრობს ჩემი გული,
შენზე ფიქრი არ მშორდება,
მწვავს და დამწვავს სიყვარული.
ფერად ლამაზი ბძანდები,
ალვის ხეს გავხარ ტანადა,
გფიცავ, არ მომიძულო,
გულში დავისობ დანასა.
ადექ, წერილო, დაფრინდი,
გადიარე ველები.
ჩემ სიყვარულთან რომ მოხვალ,
დაუკოცნე ხელები.
შენ ალბომში ჩასაწერად
მოვიგონე რაღაც ლექსი,
გეფიცები, ჩემ სიკეთეს,
რომ მინდოდა უკეთესი.
როცა მოვკდე, დამიტირე,
გულზე ცრემლი დამაყარე,
მინდა შენზე ჩაკონება,
შენი ჭირი ჩამაყარე.
ნეტავი, ბიჭო, შენი ხმა
ავანტყოფს გამაგონაო,
ტუჩი-ტუჩ დამადებია.
და ლოყას ჩამაკონაო.
მალ-მალე მოდი ჩემთანა,
შენც ობოლი ხარ, მეცაო,
უბეში ხელსა ჩაგიყოფ,
შენც გეამება, მეცაო.
საყვარელო, რა ხარო,
ჩემი გულის ტბა ხარო,
გეძიე და ვერ გნახე.
ჩემო ტურფავ, სად ხარო?!
ნეტავი, მომცა ის ბედი,
შენ პირსახოცად მაქცია,
ყოველი პირის დაბანაზე,
მე შენ სახეზე მახვია.
სიყვარული ისეთია,
როგორც თეთრი მიტკალი,
რამით წელიწადს გიცადო
საყვარელო, მითხარიო.
წუხელი სიზმარში გნახე,
წარბი აღმა აგეყარა,
აკოშკაზე მომდგარიყავ,
ქოჩორი გადმოგეყარა.
ათი თითი ბროლის ხელი,
წმინდა წელში ჩაგეყარა,
თეთრ ლოყაზე ვარდის ფერი,
ზედ შაქარი მოგეყარა,
სიყვარული ოხერია,
ჩემი გულის მომკლელია,
ერთი შენთან მოვიდოდე,
შენი გული როგორია.
გულითაც ვნატრობ შენ ნახვას,
ტყეში ფოთლების კონაო,
ნეტავი, ნამძინარევსა,
შენი ხმა გამაგონაო;
შენთან დამიგო ლოგინი,
შენ კლავზე გამაგორაო.
მზე წავიდა ქედისაკენ,
ჩასაძრომად ემზადება,
ბიჭო, შენზე ერთი კოცნა,
მთელ სიცოცხლეს მეღირება.
ბიჭო, ისე ლამაზი ხარ,
ფერს ვერ გიცლის ზამთარი,
მომცემ პირობას თუ არა,
შემომითვალე მართალი.
ნეტავი, ჩიტად მაქცია,
უღრან ტყეში მომცა ბინა,
წელიწადის თორმეტი თვე
სულ შენ კლავზე დამაძინა.
ერთი გნახე, მეტი არა,
გული გადამიტრიალდა,
ბიჭო, შენმა სიყვარულმა
კაკალ გულში გამიარა.
შენ ერში, ჩემ ერში,

ია-ვარდმა გაიხაროს,
მე და შენს მოღალატეს
გულზე მიწა წაეყაროს.
ჩემი ლექსის სტრიქონი,
ოთხი სტროფისგან შედგება,
პასუხი ადრე მომწერე,
თუ ჩემი ხათრი გექნება.
გავიარო, არ მაქ ხიდი.
წყალში ჩევდე, დავსველდები,
დღე და ღამე არ მაქვს ძილი,
როდესაც გამახსენდები.
ახ, წერილო, წადი მალე,
შენ წამკითხველს ვენაცვალე,
ჩემდა უთხარ, კარგად არის,
შენგან პასუხს ველი მალე.
წერილის წერა დავიწყე,
ხელში ავიღე კალამი,
წერილო, მოდი ჩემ საყვარელთან,
და უთხარი სალამი.
ეს წერილი წერია,
შენთვის მომიწერია,
დაბრძანდი და წაიკითხე,
თუ რა დერდი წერია.
ზღვაში თევზი დაცურავდა,
ბოლო ქონდა განიერი,
ამ წერილის წამკითხველმა,
მან დაწეროს მაგიერი.
ერთი ძირი ვაშლი მქონდა,
გამომიდგა ფუტურო,
გენაცვალე, ჩემო ბიჭო,
სულ მინდა, რომ გიყურო.
ოხ, როდესაც ჩემს ოთახში,
მარტოდმარტო მე დავდივარ,
მაგონდება შენი სახე,
გონებიდან გამოვდივარ.
ბიჭო, შენზე ცუდის თქმელსა,
დანა დაერჭოს გულზედა,
ის არ გვენახოს ცოცხალი,
მეორე გაზაფხულზედა.
ისწავლე, ჩემო ბიჭიკო,
სწავლა არის ბედისწერა,
მხოლოდ ის არ დაივიწყო,
ვინც ეს ლექსი დაგიწერა.
ეზოში ცხენი დავაბი,
ონაგირი უხდება,
ბიჭო, კოსტუმი გაიძრე,
საროჩკა მოგიხდება.
ვზივარ მარტოდ, მოწყენილი,
და ქაღალდზე ვუსვამ კალამს,
ახლოდან რომ ვეღარ გხედავ,
შორიდან გითვლი სალამს.
ეკლიანი გზა,
შენთვის იყოს ვარდიანი,
არ მენახოს, ჩემო კარგო,
არასოდეს დარდიანი.
მე გისურვებ, ჩემო ბიჭო,
მუდამ კარგათ ყოფილიყავ,
რაც თქვენ ნორჩ გულსა სურდეს,
იმის ღირსი გამხდარიყავ.
ბავშვობიდან რაც რომ გნახე,
სატრფოს გულით გატარებდი,
მახსოვს მე შენი ნახვა,
მზის ამოსვლას გადარებდი,
ისწავლე, ბიჭო, ისწავლე,
ისწავლე ნელა-ნელაო.
ბოლოს ისეთი დადექი,
რომ შეგნატროდეს ყველაო.
საყვარელო, ჩემო კარგო,
პლატოკინა მოგიქარგო,
პატარა ხანს მომიცადე,
თვრამეტი წლის შევიზარდო.
თექსმეტ წელსა ვასრულებ,
ეხლა მომავალ მაისში,
მშობლებმა თუ ვარი გითხრეს,
მაშინ ნუღარა დამიცდი,
ყველა ხეი რომ აყვავდა,

შენ რას შობი წიფელაო?!
რამდენი წელი გიცადო,
ჩემო ლოყაწითელაო.
მე არ მინდა სულ მარტო ყოფნა,
მარტოობა არ შემიძლია,
ჩემ სიცოცხლეში შენ შეგიყვარე,
ამ სიყვარულმა მე გადამრია.
ვიცი, რომ შავარდენი ხარ,
ნეტავ, რომელ ბუდისა,
შენ ხარ ჩემი სიცოცხლე,
ბედისწერა გულისა.
ფეტვის თესლი დავაპნიე,
რა მოკეკავს ჩიტის მეტი,
როცა ვიღებ ხელში კალამს,
მიზანი მაქვს მხოლოდ ერთი,
გულში ის მაქ, რომ გვახსოვდეს,
ყოველ წამში ერთმანეთი.
მე გისურვებ, ჩემო ბიჭო,
მუდამ კარგად ყოფნას,
რომ მაგალითს აძლევდე,
ჩვენს მომავალ თაობას.
ოხ, რა ლამაზად გიხდება,
აივანზე შემოჯდომა,
მომიტაცე და წამიყვაი,
რომ მოვა შემოდგომა.
მაყვალს გიგავს თვალები,
ზიპეტოს წარბები,
შენ ისეთი ბიჭი ხარ,
ყველას შეუყვარდები.
ცაზე მთვარე ამოვიდა,
მას ამოყვა ნისლია,
ერთი ბიჭი შემიყვარდა,
მეც არ ვიცი, ვისია.
სათამაშო ვაშლი მქონდა,
შენსკენ გადმომივარდა,
ბიჭო, შენ თუ მიღალატე,
ჯინსიც ამოგივარდა.
ორშაბათი, სამშაბათი,
პარასკევი დღენია,
შენგან წერილი მივიღე,
ეხლა სირა ჩემიაო.
ვზივარ მარტოდ, მოწყენილი,
დაჩაგრული, როგორც მონა,
რა დავწერო აღარ ვიცი,
სიყვარულმა დამიმონა.
ვინც ერთხელვე შემიყვარდა,
მას ვერავინ დამავიწყებს,
მე შენს სახელს გულში ვხედავ,
და სიმღერას შენზე ვიწყებ,
უკეთესი ჩემს მხარეში,
მე არავინ მეგულება,
მზე ციმციმებს ჩემს თვალებში,
და სამშობლოს ერთგულება.
დამსძლია შენმა დარდებმა,
ამაღებინა კალამი,
და ამ პატარა ფურცელზე,
დამაწერია სალამი.
უნდა გითხრა სანუგეშო,
ნორჩი გულისა,
აღარ მაქვს მოთმინება,
სიყვარულისა;
ყველა სიკეთე ღმერთსნა შევნატროთ,
შენთვის სახსოვრად მცირე ლექსი,
ამ ჩემ ნაწერის მეტი არ ვიცი,
მე უკეთესი.
თეთრი ხარ, თოვლის ლანქერი,
გაპენტილი ბამბასავით,
გზაზე როცა მოდიოდი, ანათებდი,
შვიდ ნომერა ლამბასავით.
შენ მიყვარხარ, გენაცვალე,
შენ კი სხვასთან კავშირს იჭერ,
ორი კურდღლის მაძებარი,
ერთ კურდღელსაც ვერ დაიჭერს.
ნუ ჩამოჯდები შენ ჩემ საფლავზე.
მიწა მოდის და მეყრება გულზე,
ჩემი საფლავი ჭლექიანია,

გაიკურნება ამ გაზაფხულზე.
გისურვებ მანდ კარგად ყოფნას,
სულ ყოველ წუთს გამარჯვებას,
გისურვებ ჩემ ნორჩი გულით,
სიკვდილამდის ჯამრთელობას.
მაკვირვებს, შენ ვინ დაგბადა,
საიდან გაჩნდი ქვეყანაზე,
სიკვდილამდის ჩემ გულშია,
შენი სახე, სილამაზე.

გშვენის მომხიბვლელი სახე,
ტანადობა, სილამაზე,
დიდი თავდაჭერილობა,
მიტომ გეტყობა სინაზე.
მეტი რა უნდა გამოვთქვა,
მე შენ აგებულებაზე,
იცოცხლე, სანამ შენა გსურს,
ამ წუთიერს ქვეყანაზე.

* * *

ყველა სნეულებაზე,
სიყვარული ძნელია,
ორი შეყვარებულთათვის,
ნათელიც კი ბნელია,
ეს ბუნების კანონი,
ყველასათვის ვალია,
განურჩევლად იმონებს
ქალია თუ კაცია.

* * *

წუ დაენდობი ახლანდელ ბიჭებს,
პეპელასავით თავს რომ გევლება,
ჯერეთ მოგხიბლავს და შეგიყვარებს,
შემდეგ კი, ისევ გვერდით გადგება.
რად მასწავლე მისამართი,
შენი ადგილი და ბინა,
ბიჭო, შენმა სიყვარულმა,
ღამე აღარ დამაძინა.

შიფრი: ბსკიფა 22, 77.
მთქმელი: ბერიძე სულიკო ომერის ძე.
ასაკი: 25 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. უჩამბა.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. უჩამბა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. უჩამბა.
ჩამწერი: მსხალაძე ალ.
ჩაწერის თარიღი: 27.06. – 27.07. 1959.

ბერიძე სულიკო ომერის ძე, დაბადებული 1944 წელს უჩამბის სას. საბჭოს სოფ. ლაკლაკეთში, მოსწავლე, კომკავშირელი, ლაპარაკობს ქართულად (სუსტად იცის რუსული). ზღაპრები მოსმენილი აქვს ბაბუიდან, ნამგზავრია ქობულეთში, გონიოსა და ქ. ბათუმში.

ბერიკრეჭია

Იყო ერთი ბერიკრეჭია. მას სახლში მხოლოდ ერთი ცოლი ყავდა. მას ქონება არაფელი არ გააჩნდა, ამიტომ ცოლს უთხრა:

– მე წავალ და ამ ერთ წელში თუ მოვედი, მაშინ კარგი იქნება და თუ არა და, ნუღარ მელოდებიო. ადგა და წავიდა ეს ბერიკრეჭია. მას ღონე არ ქონდა. უჭალო იყო.

ცოტა იარა თუ ბევრი, მივიდა ერთ ტყეში. ამ ტყეში კვამლი ამოდიოდა. აქ ცხოვრობდა მოხუცი დედა დევებისა. მივიდა იქ და დევიების დედამ უთხრა:– შენ აქ რამ მოგიყვანაო? ჩემი სამი შვილი დევი სულს არ გაგატანენო, მაგრამ ამ ბერიკრეჭიამ უპასუხა: – თლათ ქვეყანა დავაქციე და პირადათ თქვენთან მოვედიო.

მართლაც, საღამოს დევიებმა სახლში მივიდნენ და მიესალმა ბერიკრეჭია. მიერე დღეს ბერიკრეჭიამ და დევიებმა წავიდნენ სანადიროდ. როდესაც ტყეში შევიდნენ, დეინახეს მწიფე ბალი. დევიებმა დეიწყეს ჭამა, მაგრამ ბერიკრეჭია უფრო ცქვიტა ჭამდა. ერთმა დევმა ბალის ტანს ხელი გაუშვა და ბერიკრეჭია ბურთივით გადაისროლა ტანიანა ძირში.

დევმა მიუგო: – მაქ რაზე ჩადიო? ბერიკრეჭიამ უპასუხა: – მე ბლის წვერში ბალი დევნახე, გუხტი და მოვწყვიტე და თან გადმოვხტი ძირშიო.

საღამოს დევიებმა სახლში დაბრუნდნენ და გადაწყვიტეს მეორე დღეს შეშაზე წასვლა.

როცა შეშაზე წავიდნენ, დევიებს უბრძანა ბერიკრეჭიამ, რომ შენ ამ ხეზე მოაბი თოკი და შენ ამ ხეზეო. ეხლა გაიქეცით, თორემ ეს მიწა გასკდება და ჩავარდებითო. გაიქცნენ დევიები და ის დიდვანი ხიები დაგლიჯეს. დევიებმა უთხრეს, რომ ეს შეშა გვეყოფა, შენ ცარიელი წამოდიო. მას მაინც ჰალი არ ქონდა და ვერ წამოიღებდა.

იმ ღამეს გადაწყვიტეს, მეორე დღეს ბერიკრეჭიას წყალი უნდა მოეტანა. ბერიკრეჭიამ დევიებს უთხრა, რომ სამი ჯამუშის ტყავი მომიტანეთ და მისგან შეკერეთ გუდაო და იმით და იმით მოვიტან წყალსო.

ბერიკრეჭიას აუსრულეს ეს თხოვნა. როცა მდინარის ნაპირას მივიდა ბერიკრეჭია გუდით, ის გუდა გაბერა სულით, შით მარტო ორი ჭიქა წყალი ჩაასხა. დაბრუნდა სახლში და დევიებს უთხრა: – მე ისეთი დრო მომივა, რომ ამ გუდით წყალს მარტოდ დავლევო.

დევიებმა შიეხვეწნენ, რომ შესვიო. ბერიკრეჭიამ დაიწყო ამ ტივიდან გაბერილი სულის ჩუმად ბუხრის ყელემში აშვება. დევიებს უფრო გაუკვირდათ ეს. ასე გაატარა ბერიკრეჭიამ ერთი წელიწადი.

ბოლოს დევიებმა ვეღარ გაიტანეს ბერიკრეჭია და უბრძანეს: – სამ ჭურ ოქროს მოგცემთ და წადიო. ბერიკრეჭიამ დაეთანხმა. ერთმა დევმა შეისვა კისერზე ეს ოქრო და ბერიკრეჭია და გაუდგნენ გზას.

გზაში ღამის გასათევად ისინი მივიდნენ ერთ ბეგთან და ამ ბეგმა უთხრა დევს: მაი ბერიკრეჭია რამ მოგაყვანიაო, სულ უჰალოაო. დევმა უთხრა: მაგ კაცის მე მაინც მეშინიაო და ვერ გავბედავ მარტვაი მისვლასო.

ბეგმა უთხრა:– კისერზე ბაწარი წამაბი და მე მიგყვებიო.

მართლაც, მივიდნენ ბერიკრეჭიასთან. რომ დეინახა ბეგი და დევი, თქვა:– შეხედე, მაგ ბეგს რომ სამი დევი ჩავაბარე, ისინი დ̃კლავს და ერთი მიყავს მარტოვო. შეეშინდა დევს და რაც ძალა და ღონე ქონდა, ბეგი თრევაში გაცვითა.

ოქრო და ბეგის სახლი დასჩა ბერიკრეჭიას.

შიფრი: ბსკიფა 23, 1.
მთქმელი: დუმბაძე მუხამედ ხეირის ძე.
ასაკი: 70 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959.

დუმბაძე მუხამედ ხეირის ძე, 70 წლის, დაბადებული სოფ. ტაკიძეებში. წერა-კითხვის მცირე მცოდნე, უპარტიო, ცოლშვილიანი, ჰყავს ხუთი შვილი. იცის ქართული და თურქული ენები. ნამყოფია: ახალქალაქში, ახალციხეში, ბათუმში და სხვაგან. ზღაპრები მოსმენილი აქვს მამისგან, რომელიც ამჟამად გარდაცვლილია. მის რეპერტუარში ძირითადად შედის ზღაპრები. საკრავ ინსტრუმენტებს ვერ ხმარობს.

ერთი ეპიზოდი თურქთა ბატონობის პერიოდიდან

ქუხამედ დუმბაძე ამ ეპიზოდს ასე აღწერს:

სოფ. ტაკიძეებში მოვიდენ თურქები. მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. ჩვენი სოფლიდან წაიყვანეს ექვსი კაცი, მათ შორის მეც. დაგვავალეს, რომ ახისხადან ერთი დონუმი ჭვირთი უნდა ჩამოიტანოთ ხიჭაურში. ჩვენც წავიყვანეთ ცხენები და გავუდექით გზას ახისხისაკენ. როცა ხიჭაურში ჩავედით და ფოშტის წინ გავიარეთ, დავინახეთ, რომ ორ თურქ სალდათს დაეჭირეს ერთი ქედელი კაცი და ფეხებით კიდებდნენ ბალკონზე. როცა ჩავედით ახისხაში, მოგვცეს სამუშაო. ოცდახუთ დღეში გვაძლევდნენ რვა კვერცხ, ოთხ გრამ ქერის პურს. ხოლო ცხენებისათვის ერთი კვერცხის ქერს. ერთხელ ერთ ჯენდერმეს ერთი ვინმე კაცი გამოპარებია. ეს გაუგეს ჯენდერმეს, დააწვინეს პირჩაღმა და დაარტყეს

ჯოხი ხუთჯერ. ჯენდერმეს სისხლის ღვარი გადიოდა. მემრე გადმოაბრუნეს მეორე მხარეზე, ოთხჯერ კიდევ დაარტყეს და შემდეგ ცოცხალ-მკვდარი წაიღეს. მთელ დღეს ძალით გვამუშავებდნენ, საჭმელს კი არ გვაძლევდნენ, ამიტომ გადავწყვიტეთ, გამოვქცეულიყავით. ერთ სომეხს ჩუმად მივეცით ექვსი ბანგანოთი და იმან გამოგვაპარა. ჩამოვედით ერთი წვალებით სახლში, მაგრამ მეორე დღეს გაგვიგეს და ხამაი დაგვიჭირეს. ვინც დაგვიჭირა, იმას ჩუმად მივეცით ერთი მანგანოთი და ამით გადავრჩით იმ ძაღლებთან წასვლას.

ერთხელ ხიჭაურში ჩავედი. რიგში დაწყობილი მოდიოდენ თურქი ჯენდერმები. ამათგან ერთი გამოვიდა რიგიდან და წყალს ლევდა. ეს რომ დაინახა უფროსმა, ამოიღო ლივერი და წყლის სმაში მოკლა ის ჯენდერმი. ასე აწვალებდნენ თურქები ჩვენ ხალხს.

საქე – ბოროტების ბოლო

Ყო ერთი კაცი, ყავდა გოგო და ბიჭი. ერთხელ ეს კაცი წასულა ჰაჯს.

შვილებისათვის დაუტოვებია იმდენი ქონება, რამდენიც მათ ეყოფოდათ მის მოსვლამდე. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს კაცი დაბრუნებულა და როცა მიუახლოვდა სოფელს, შეხვედრია ერთი მეზობლის ქალი (ეს ქალი ცდილობდა, გოგო მამის მოსვლამდე როგორმე გაეთხოვებინა, მაგრამ გოგო არ დათანხმდა, ამიტომ გადაწყვიტა მამისათვის დაებეზღებია გოგოს შესახებ). ქალმა მოატყუა გოგოს მამა, რომ ვითომ გოგოს კავშირი ქონდა ვინმე ბიჭთან. გაბრაზებულმა მამამ თავის ვაჟს უთხრა: –წეიყვანე, შვილო, ჩვენი გოგო და ტყეში დაკალი. სახლში არ დამახვედრო.

ვაჟმა წაიყვანა თავისი და ტყეში, მაგრამ ებრალებოდა დასაკლავად. ამიტომ უთხრა:– დავ, მე შენ ვერ დაგკლავ, მომეცი შენი პერანგი, დავსვრი ქათმის სისხლში და მამას მივუტან. მართლაც, ასე მოიქცენ. გოგომ განაგრძო გზა, ავიდა ერთ მთაზე, შეხვდა მწყემსი. მწყემსს მოეწონა გოგო. გოგომ უთხრა, რახან ასეა, ჯერ ტანი დავიბანოთ და მერე დავწვეთ ერთადო. ბიჭი სასწრაფოდ ჩახტა მდინარეში. გოგომ სტაცა ხელი მწყემსის ურუბას (ტანისამოსი), მოახტა მწყემსის ცხენს და გაქუსლა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სოფელში. ერთ მდიდარს დაუდგა მოსამსახურედ, როგორც ბიჭი. ამ სოფელში წესი იყო, რომ მეფის არჩევისას გაუშვებდენ ჩიტს და ვისაც თავზე დააჯდებოდა, ის გახდებოდა მეფე. მოიყარა ხალხმა თავი ერთ ტრიალ მინდორზე, აუშვეს ჩიტი, მაგრამ არავის არ დააჯდა თავზე. მეორეჯერ გაუშვეს, კიდევ არავის არ დააჯდა.

მდიდარ კაცმა თქვა: მე სახლში მყავს ერთი მოსამსახურე ბიჭი, რომელიც აქ არ წამომიყვანია და იმას მოვიყვანო. მართლაც მოიყვანეს, გაუშვეს ჩიტი და დააჯდა ამ მოსამსახურეს. ხალხმა იფიქრა, ჩიტს შეეშალა და ხელმეორედ გაუშვეს, კიდევ ამ „ბიჭს“ დააჯდა თავზე. მესამეჯერ გაუშვეს, კიდევ იმ ბიჭს დააფრინდა თავზე და ბოლოს გაუშვეს ეს ბიჭი ხელმწიფედ. იმ სახელმწიფოშიც ეს ბიჭი იყო მეფედ. იყვნენ, აგრეთვე, მისი მამა და ძმა და დედაბერი. ერთხელ გამოიბარა ისინი, შეიყვანა თავის ოთახში. დაკლა ერთი ბატი და

უთხრა: – მე თქვენ მოგიყვებით ჩემ თავგადასავალს. თუ ეს ბატი გაცოცხლდება, მაშინ ჩემი ლაპარაკი მართალი იქნება, თუ არა და, მაშინ ტყვილი იქნება. მეფემ დაიწყო თავისი თავგადასავალის თხრობა, რომ მყავდა მამა და ძმა. მამა წავიდა ჰაჯ, როცა დაბრუნდა, მეზობლის დედაბერმა ჩემზე დააბეზღა, ძმამ ტყეში არ დამკლა, მწყემსს ურუბა წავართვი, მოვედი აქ, მოსამსახურედ დავუდექი ერთ მდიდარს. ჩიტი მე დამაფრინდა თავზე, გავხდი მეფე და ახლა თქვენი მეფეც ვარ. მართლაც, ბატი გაცოცხლდა. დედაბერს გაქცევა უნდოდა, მაგრამ ვერ მოასწრო. დედაბერი გამოაბეს ჯორის კუდზე და გაუშვეს ჯორი. ხოლო ამ ბიჭმა თავის მამასთან და ძმასთან ერთად დაიწყო ტკბილი ცხოვრება.

შიფრი: ბსკიფა 23, 3.
მთქმელი: დიმიტრაძე შაღბან მუხამედის ძე.
ასაკი: 55 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959.

დიმიტრაძე შაღბან მუხამედის ძე, 55 წლისა, დაბადებული სოფ. ტაკიძეებში, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, ცოლშვილიანი. იცის ქართული, რუსული და თურქული ენები. ნამყოფია: ბათუმში, თბილისში, სოხუმში, აბაშაში და სხვ. მის რეპერტუარში შედის ძირითადად ზღაპრები. გამოცანები, მოგონებანი. საკრავ ინსტრუმენტს არ ხმარობს.

ზღაპარი გურულებისა და აჭარლების ურთიერთობის შესახებ

ჭვანის ახლოს ყოფილა ერთი ეკლესია, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი ხუცესი. ერთხელ იგი წასულა ყარსში. სანამ ყარსიდან ჩამოვიდოდა, ჭვანაში თურქები შემოსულან და მუსლიმანობა გაუვრცელებიათ, თავიანთი ჯამე აუგიათ, ეკლესია კი დაუნგრევიათ. როცა ჩამოსულა ხუცესი და დაუნახავს, რომ ეკლესია დაუნგრევიათ, აუღია ეკლესიის ზარი და წაუღია გურიაში და იქ შეუნახავს შემოქმედის ეკლესიაში.

შემდეგ დაიწყო დავა გურულებსა და ჭვანელებს შორის თაგინურის მთაზე, რომ ჩვენ გვეკუთვნისო, ორივე მხარე ჩემობდა. ბოლოს დაიდო საზღვარი: მოყორვილი, ასანაღის ჭალა, ქვაბიყელი, დიდვაკის გაღმაი პირი, ჭინჭაოს ყელი, საომიას ყელი, ასე გადიოდა საზღვარი. ხოლო მთის მიწებზე აღებული გადასახადის ფულიდან ჭვანელები ნახევარს ჭვანის ჯამეს აძლევდნენ, ნახევარს კი შემოქმედის ეკლესიას უგზავნიდნენ.

მწყემსის ბედ-იყბალის ამბავი

ყოფილა ერთი მწყემსი, აძვებდა კამეჩებს, კამეჩი ყოფილა სავსე. მწყემსს უხარია, რადგან ბატონს მიუყვანს ახალ ნაშობ ზაქს და საჩუქარს მიიღებს. ამ დროს მწყემსს დაეძინა. გამოიარა ვიღაც კაცი და დაინახა, რომ კამეჩს ზაქი ეშვა (მოეგო). ასწია ზაქი და წაიღო პატრონთან. როცა გაიღვიძა მწყემსმა და დაინახა, რომ სხვას მიჰყავდა, მივიდა და უთხრა: ეს ჩემი ბედი იყო, რატომ მიგყავს შენ ჩემ პატრონთანო". მაშინ ამ კაცმა მიუგო დაცინვით: შენი ბედ-იყბალი უსკუდარის ხიდზე საზს უკრავს. მართლაც, მწყემსმა დატოვა საქონელი და წავიდა ამ ხიდის საძებნელად. როცა მივიდა ხიდთან, დაინახა კაცი, რომელიც თუთუნს სვამდა. კაცს შეეკითხა: – ჩემი ბედ-იყბალი შენ ხარო? კაცმა არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ ხელში მისცა ერთი ნიგოზი. მწყემსი წავიდა, გზაში შეხვდენ ხალხი, რომლებიც ქვებით თამაშობდენ. კაცებმა უთხრეს: – კაკალი მოგვეცი და ქვას მოგცემთო. მართლაც გაუცვალა მწყემსმა, წაიღო ქვა და წავიდა.

მივიდა ერთ დიდ ქალაქში, შეხვდა ვაჭარს და უთხრა: – ქვას მოგცემ და შენი საქონელი მომეციო. ვაჭარმა უპასუხა: – შენი ქვის ფასის საქონელი მე არ გამაჩნია. ამ ვაჭარმა ასწავლა უფრო მდიდარი ვაჭარი. მივიდა მწყემსი, მაგრამ ამ ვაჭარმაც ისე უთხრა, როგორც პირველმა.

წავიდა მწყემსი უფრო მდიდარ ვაჭართან. ვაჭარმა უთხრა: – გამიზიარე ქვა და მეც დუქანს გაგიზიარებ. დაიწყეს ერთად ვაჭრობა. ერთხელ ვაჭარმა მწყემს შეეკითხა: – ჩემი ღმერთი რას აკეთებსო? მწყემსმა უპასუხა: – ჩემი ღმერთი მერდევანს აკეთებს ჩემთვის.– აქამდე რა გაგიკეთა ღმერთმა?

– აქამდე ღმერთმა ის გამიკეთა, რომ ამ ქვით შენი ქონების ნახევარი ჩამიგდო ხელში. ვაჭარი გაბრაზდება და დარდისაგან კვდება. ვაჭარს შვილები არ ჰყავდა და მთელი ქონება დარჩა მწყემსს.

ერთხელ სავაჭროში ერთი ქალი შემოვიდა, რომელმაც მწყემსს მოსთხოვა ჩითი. გადაზომვის დროს მწყემს არშინი გადაუტყდა. ამაზე ეწყინა მწყემს, დაკეტა დუქანი და წავიდა სხვა ქვეყანაში.

მივიდა ერთ მდიდართან და უთხრა: – მოჯამაგირედ დაგიდგებიო. დაიწყო შეშის დამზადება. ერთ დღეზე რვა ურემი შეშა დაამზადა, აქედან ერთი მოიტანა სახლში. მდიდარმა უთხრა: – რამდენი მოგცე დღიური გასამრჯელო? მწყემსმა მიუგო: მე არ მინდა შენი ჯამაგირი, მხოლოდ შენი ბაღიდან მომეცი ერთი ძირი ვაშლი. გავიდა ოთხი წელიწადი. მდიდრის ვაშლები ყოველ წელიწადს ისხამდა, მწყემსისა კი – არა. მეოთხე წელს კი მწყემსის ვაშლმა მოისხა, ხოლო მდიდრის ვაშლებს არც ერთი კაკალი (ცალი) არ ებათ. მწყემსმა მოითხოვა წასვლის ნება, აღარც ვაშლი თხოვა მდიდარს. უთხრა მხოლოდ მდიდარს, რომ შენც ჩემთან ერთად წამოდიო. მდიდარი წაყვა. ბევრი იარა თუ ცოტა იარეს, მივიდნენ მწყემსის დუქანთან. მწყემსმა მოუყვა თავისი თავგადასავალი, არშინის გადატეხის ამბავი; მე რომ შენ ვაშლი აგართვი, იმიტომ მინდოდა, რომ როდის შემობრუნდებოდა ჩემი ბედ-იყბალი. სამ წელიწადს არ მობრუნდა. მეოთხე წელიწადს შენც დაინახე, რომ მხოლოდ

ჩემმა ვაშლმა მოისხა, ამიტომ ჩემი ბედი შემობრუნდა. ახლა მე ბედნიერი ვარ. მწყემსმა სთხოვა მდიდარს, მიეცა მისთვის ქალიშვილი. მართლაც, დამოყვრდნენ, გამართეს დიდი ქორწილი, სადაც ჩიტის რძის მეტი არაფერი არ აკლდა და შეუდგენ ბედნიერ ცხოვრებას.

შიფრი: ბსკიფა 23, 5.
მთქმელი: ბეჟანიძე მურმან ალიოსმანის ძე.
ასაკი: 17 წლის.
დაბადების ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959.

ბეჟანიძე მურმან ალიოსმანის ძე, 17 წლის, დაბადებული სოფ. ჭვანაში, სკოლა-ინტერნატის მოსწავლე, კომკავშირელი, უცოლშვილო, იცის ქართული ენა. ნამყოფია: ბათუმში, ახალციხეში, ზღაპრები მოუსმენია მამისგან. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები და გამოცანები.

ნახევარაი მამალი

ერთ ბატონს ყავდა ქათმები. ერთ მშვენიერ საღამოს ქათმები ქანდარაზე იჯდენ. შუაღამისას მოცუნცულდა მელია და ყველა ქათამი შეჭამა, ხოლო ერთ მამალს ნახევარი ტანი შეაჭამა. ბატონმა ამ მამალს "ნახევარაი მამალი" დაარქვა. მამალმა სახლში დაიწყო ყივილი. ბატონს მოსწყინდა მამლის სახლში ყივილი და დაკლა. მამალმა დაიტრაბახა, ბატონი შევაშინე და ამიტომ დამკლა. როცა ბატონმა მამლის ხორცის ჭამაზე პირი აღებინა, მამალმა კიდევ დაიტრაბახა: – შევაშინე და გარეთ გამოვედიო. ბატონს ბევრი ოქრო ჰქონდა. მამალმა კიდევ დაიწყო ყივილი, ბატონი გაბრაზდა და ოქრო გაუქნია მამალს, მამალმა კიდევ დაიტრაბახა, ბატონი შევაშინე და ოქრო გავაქნევიეო. ბატონმა გადაწყვიტა მამლის მეორეჯერ დაკლა. მამალი გაიქცა. ბევრი ირბინა თუ ცოტა ირბინა, მიადგა ერთ მაღალ ციცაბო კლდეს. მამალი გადახტა წყალში, ბატონიც გადაჰყვა და დაიხრჩო. მამალი კი ამოფრინდა და გაუდგა თავის გზას.

აჯაბაი და ყარაბაი

ერთ მოხუცებულ კაცს ყავდა ერთი ვაჟი. ვაჟს უნდოდა დაქორწინება. ვაჟმა გაუმხილა მამას თავისი სურვილი. მამა დაეთანხმა და წავიდა მეფესთან და სთხოვა, ნება დაერთო ვაჟისათვის ცოლი მოეყვანა. მომიტანე აჯაბაი და ყარაბაი, მაშინ დაგრთავ ნებასო. დაღონებული დაბრუნდა სახლში ვაჟის მამა. გზაში შეხვდა ერთი მოხუცი. ვაჟის მამამ შეეკითხა მოხუცს: – რას ქვია აჯაბაი და ყარაბაი? მოხუცმა უთხრა:– წაიღე ბატონთან

შავი და თეთრი თოკი. ვაჟის მამამ მიუტანა ბატონს შავი და თეთრი თოკი, მაგრამ ბატონმა უთხრა, ეს აჯაბაი და ყარაბაი არ არისო და ერთი კარგი სილაც გააწნა. ვაჟის მამა დაღონებული დაბრუნდა სახლში. შვილს უთხრა, ვერ ვიშოვნე აჯაბაი და ყარაბაი. მაშინ ვაჟმა უთხრა: – ახლა მე წავალ მის საძებნელად. მოამზადეს საგზალი, შეიარაღდა ბიჭი წავიდა აჯაბაისა და ყარაიბის საძებნელად. გაიარა ერთი მდინარე, მეორე მდინარე. ბოლოს მიადგა ერთ დიდ სარაიას (სახლს), სადაც ნახა აჯაბაი და ყარაბაი. გახარებულმა ვაჟმა მიუტანა მეფეს აჯაბაი და ყარაბაი, მეფემ ნება დართო. ვაჟმაც ითხოვა ცოლი და შეუდგენ ერთად ბედნიერ ცხოვრებას.

შიფრი: ბსკიფა 23, 6.
მთქმელი: ძნელაძე ოთარი ლეოს ძე.
ასაკი: 19 წლის.
დაბადების ადგილი: ჩოხატაურის რაიონი.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959.

ძნელაძე ოთარი ლეოს ძე. 19 წლისა. დაბადებული ჩოხატაურში. ამჟამად სწავლობს ჭვანის საშუალო სკოლაში, კომკავშირელი, იცის ქართული ენა, ნამყოფია გათუმში. ჩოხატაურში, ბახმაროზე. მონათხრობი მოსმენილი აქვს მამისგან. მის რეპერტუარში შედის ძირითადად ზღაპრები.

პატარა გიორგი მონადირე

ყო ერთი პატარა მონადირე, სახელად გიორგი. ერთხელ გიორგი მონადირე წავიდა სანადიროდ. დილიდან საღამომდე მოკლა მხოლოდ ერთი კურდღელი. გააჩაღა მუხის ძირას ცეცხლი და დაიწყო კურდღლის შეწვა. შემწვარი ხელში დაიკავა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა და კურდღლად გადაიქცა. პატარა გიორგი მონადირემ დაიძახა: – ეს რა საკვირველებააო. კურდღელმა მიუბრუნდა და უთხრა: – საკვირველება ეს კი არაა, არამედ საკვირველია დიდი გიორგი მონადირის ამბავი. პატარა გიორგი მონადირეს დააინტერესა ეს ამბავი და წავიდა დიდი გიორგი მონადირის საძებნელად. პატარა გიორგიმ მიაგნო დიდი მონადირე გიორგი და უამბო თავისი თავგადასავალი. დიდი გიორგი მონადირემ უთხრა, სანამ ჩემს ამბავს დავიწყებდე, ერთ რამეს განახვებ. მან ერთ მინდორში გაიყვანა პატარა გიორგი მონადირე და ორი გამხდარი ცხენი დაანახვა და თან ცემა დაუწყო. ამის შემდეგ დიდი გიორგი მონადირემ დაიწყო თავისი თავგადასავლის თხრობა: – ამ ორი ცხენიდან ერთ-ერთი ჩემი ცოლია და მეორე კი – ძმააო. ეს ჩემი ისეთი ქალი იყო, რომ ერთი ისეთი ჯოხი ქონდა, რომ ადამიანს დაარტყამდა და რაც სურდა, იმად გადააქცევდა და სახელად მურა დაარქვა. მე შიმშილის გამო სახლიდან გავიპარე. გზაში ერთი მეცხვარე შემხვდა, მეცხვარემ ერთი ნაჭერი გადმომიგდო და თან ცუგა, ცუგა დამიძახა. მე

ურემზე ავხტი. გზაში შემოგვაღამდა. ერთ ადგილას სახლი შევნიშნეთ, მეცხვარემ სახლის პატრონი გააფრთხილა, არ დამღერღონო. მე სახლის კარებთან დავწექი. ნახევარი საათი არ იყო გასული, ცხვრები გაიფანტენ, ატყდა ღმუილი. ძაღლებმა სახლში შემოვარდენ. მე გადავხტი და ერთი დამხრჩვალი მგელი შემოვათრიე. იმ ღამეს ხუთი მგელი დავახრჩე. ამიტომ ჩემი პატრონი ჩემს ქებაში იყო. ერთ ქალაქში მეფეს შვილი ავად გახდომოდა. ვერავინ ვერ გაიგო, თუ რა აწუხებდა მეფის შვილს. მეფემ გაიგო ჩემი ამბავი და ბრძანა, ის ძაღლი ჩემთან მოიყვანეთო. მე დიდი ამბით მიმიყვანეს მეფესთან და მასთან ახლოს დამაწვინეს. როცა დამაწვინეს, ნახევარი საათის შემდეგ შევამჩნიე, რომ შემოვიდა ეშმაკი. მე ფეხზე ხელი ვსტაცე და დავიჭირე. ეშმაკმა უთხრა: – მე ბედსა გწევ და ბატონის ხელში ნუ ჩამაგდებო. მეც პირი გავუშვი და წავიდა. როცა გათენდა, მკითხეს, რამემ თუ შეგაწუხაო.

მეფის შვილი თავს კარგად გრძნობდა. მეფემ კისერზე ოქრო ჩამომკიდა. მე მესმოდა ყველაფერი, მაგრამ ლაპარაკი არ შემეძლო. მეფის სახლიდან ჩემ სახლში გავიქეცი. როცა სახლში მივედი, ჩემ ცოლს გაუხარდა და ოქროები ჩამომხსნა. შემდეგ ჯოხი გამოიტანა და მე ვიფიქრე ადამიანად გადამაქცევს-მეთქი, მაგრამ გარეულ იხვად გადამაქცია. დავიწყე ჰაერში ფრენა. ბოლოს ერთ ძნაში დავიმალე. მოვიდა ძნის პატრონი და როცა მე მეძინა, წამიყვანა სახლში. ცოლს უთხრა, დაკალი და მეორე სადილზე შემწვარი დამახვედრეო. ცოლმა სხვა იხვი დაკლა. როცა სახლში მოვიდა მისი ქმარი და ხორცი ჭამა, მოეწონა და თქვა: ეს რა კარგი ყოფილა გარეული იხვიო. ქალმა გამიხსნა ფეხები, გამოიტანა ჯოხი, დამარტყა და კაცად გადამაქცია და თანაც ჯოხი მაჩუქა და თან მითხრა: შენ რომ ცოლი გყავდა ის ჩემი დაა. მისი ჯოხი უფრო ძლიერია. მან თუ დაგინახა, მისი ჯოხი მოერევა შენ ჯოხსა და შენც დაიღუპები და მეც. მივედი სახლში. ჩემი ცოლი და მისი ძმა ბაღში სეირნობდენ. მე იქვე დავიმალე, მივეპარე, დავკარი ჯოხი და ცხენად ვაქციე და ამის შემდეგ ამიტომ ყოველთვის ვცემ ამ ცხენებს. პატარა გიორგი მონადირეს გაუკვირდა და თან უთხრა, დიდი გიორგი მონადირეს, რომ ასეთ ეშმაკსა და არამზადა ქალს უფრო მაგრად ვცემო. ამის შემდეგ პატარა გიორგი მონადირე და დიდი გიორგი მონადირე ერთმანეთს დაემშვიდობენ და სახლში წავიდენ.

ალლინ ქაბუკი

იყო ერთი ცოლ-ქმარი. მათ ყავდათ ორი ვაჟი. ქმარი წავიდა ტყეში შეშის მოსატანად და ცოლს დაუბარა, შუადღეზე სადილი გამოატანე ბავშვებს და თან დაარიგა: – ჩემთან მოსლამდე შეხვდებათ ორი გზა. ერთ გზაზე ყრია ნახშირი, მეორეზე – ნაფოტი. ნახშირიანი გზით რომ წავიდნენ, იქ დევები არიან. ნაფოტიანზე კი მე ვიქნები. შუადღისას ცოლმა გამოიტანა სადილი და ბავშვები თან დაარიგა, ნაფოტიანი გზით წადითო. ბავშვებს დაავიწყდათ და ნახშირიანი გზით წავიდენ. მივიდენ ერთ ადგილას და ცხრათავიანმა დევმა გადაყლაპა. როცა ქმარი დაბრუნდა, ცოლს დაემდურა, რომ სადილი რატომ არ გამოატანეო.

ეს რომ ქალმა გაიგო, ტირილი დაიწყო. ალბათ, დევებმა შეჭამესო. ქმარი წავიდა შვილების საძებნელად, მაგრამ დევმა ესეც გადაყლაპა. ქალთან მოვიდა ერთმა კაცმა და ჰკითხა ქალს: რა დაგემართაო? ამ კაცმა ქალს ვაშლი აჩუქა და უთხრა: შეჭამეო. ქალმაც შეჭამა და ეყოლა ვაჟი და სახელად ალღინ ჭაბუკი დაარქვა. როცა დავაჟკაცდა ალღინ ჭაბუკი, ერთხელ, ბავშვებმა წააყვედრეს, რომ თუ ასეთი ვაჟკაცი ხარ, წადი და შენი ძმები და მამა გამოიხსენიო. ჭაბუკი მივიდა სახლში და უთხრა დედას: სად არიან ჩემი ძმები და მამაო? დედამ დაუმალა და უთხრა: ქმარი ომში დამეღუპა, ძმები კი არა გყავსო.

ჭაბუკმა რომ ცოლი მოიყვანა, ბიჭებმა კიდევ წააყვედრეს. სახლში რომ დაბრუნდა, თავი მოიავადმყოფა და დედას ძუძუ მოთხოვა. ალღინ ჭაბუკმა ძუძუებს კბილები მოუჭირა და უთხრა: მითხარი, სად არიან ჩემი ძმები და მამაო? დედამ უთხრა ყველაფერი. ალღინმა გადაწყვიტა წასვლა. დედამ ბევრი უშალა, მაგრამ ჭაბუკმა თავისი არ დაიშალა. მაშინ დედამ დააბარა, სახლიდან რომ წახვალ, წყაროსთან ცხენი დაგხვდება, შეახტი ცხენს და თუ არ გადმოვარდი, დაგმორჩილდება. ჭაბუკმა დაინახა ოქროს ცხენი, რომელიც წყლის სასმელად მოფრინდა. ჭაბუკი შეახტა ცხენს. ცხენი ცაში აფრინდა და ცას მიუახლოვდა. ვაჟმა მაგრად მოუჭირა ფეხები მუცელზე. როცა ძირს ჩამოფრინდა და დაინახა, რომ ვაჟი კიდევ ზურგში იყო, ახლა ცხენი დათანხმდა და უთხრა, ყველგან წაგყვებიო. ალღინ ჭაბუკმა უთხრა, ცხრათავიან დევებთან მიმიყვანეო. ცხენმა უთხრა, მხოლოდ ერთ რამეს გეტყვი: როცა მიხვალ, ოქროს სკამს მოგცემენ, მაგრამ არ დაჯდე. მოითხოვე ნაცრიანი ტომარა. როცა ღვინოს მოგაწოდებენ, საყელოში ჩაისხი და ნაცარი შეისრუტავს. როცა გეტყვიან დაწექიო, უთხარი ცხენის ბაგაში დავწვები-თქო. მივიდენ, მართლაც, ასე მოიქცა ალღინ ჭაბუკი. დევებს უკვირდათ, რატომ არ თრებოდა ჭაბუკი.

ნახევარი საათის შემდეგ დევმა დაიძახა: – ვინ მღვიძარი და ვინ მძინარი. ალღინ ჭაბუკმა დაიძახა, – მე შენი სტუმარი ალღინ ჭაბუკი. ერთხელ კიდევ დაიძახა დევმა, მაგრამ ჭაბუკს ეძინა. დევმა მოინდომა შანთით მოეკლა ჭაბუკი. ცხენმა ეს რომ დაინახა, ალღინ ჭაბუკს ნეკი თითი მოკნიტა. ალღინმა გაიღვიძა და დაიწყო ბრძოლა. ალღინმა დევი ყელამდე მიწაში ჩაფლა. ხმალი ამოიღო და რვა თავი მოაჭრა და თანაც უთხრა: – თუ მეტყვი მამა და ძმები სად არიან, სიცოცხლეს შეგინარჩუნებ. კარგიო, – მიუგო დევმა და თან უთხრა: – ერთ კუჭში მეზობლები მყავს, მეორეში – ძროხები, ხოლო მესამეში კი შენი ძმები და მამა. ალღინ ჭაბუკმა მოსჭრა მეცხრე თავიც და ამოიყვანა მამა და ძმები, მათ გააცნო თავისი თავი, შესვა ცხენებზე და სახლში წამოიყვანა.

შიფრი: ბსკიფა 23, 8.
მთქმელი: ქათამაძე ავთანდილ ისმაილის ძე.
ასაკი: 19 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959.

ქათამაძე ავთანდილ ისმაილის ძე, 19 წლის, კომკავშირელი, უცოლშვილო, რვა კლასდამთავრებული, ნამყოფია: თბილისში, ბათუმში. მის რეპერტუარში შედის ძირითადად ზღაპრები, საკრავ ინსტრუმენტებზე დაკვრას ვერ ფლობს.

მონადირეთა ნააბობი

Იყო ერთი მონადირე. წავიდა სანადიროდ. მიადგა ერთ უღრან ტყეს, ბევრი იხეტიალა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოკლა. გახედა ერთ მაღალ მთას, რომელზედაც შეამჩნია ირემი. დაუმიზნა თოფი, ესროლა და ირემი გადმოვარდა. მივიდა ირემთან, მაგრამ ამავე დროს, მეორე მონადირეც მოვიდა ირემთან.

პირველმა თქვა: – ირემი მე მოვკალი. მეორემაც თქვა: – ირემი მე მოვკალიო. რადგან ვერ დაამტკიცეს, თუ ვისი მოკლული იყო ირემი, ამიტომ თქვეს, ვინც კარგ ზღაპარს იტყვის, მას ერგოს ირემიო. დაიწყო ზღაპრის თხრობა პირველმა მონადირემ. იყო ერთი მოხუცი, მას ჰყავდა ცხრა შვილი. სიკვდილიხანს შვილებს დაუძახა და დაუბარა:–ჩრდილოეთით სანადიროდ არასოდეს არ წახვიდეთო. გავიდა რამდენიმე ხანი და უფროსმა შვილმა თქვა, სანადიროდ მივდივარ ჩრდილოეთით. ბევრი უშალეს, მაგრამ თავისი არ დაიშალა. წავიდა ჩრდილოეთით სანადიროდ.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ დიდ ტრიალ მინდორს. მინდორზე შეამჩნია კოშკი, მივიდა ახლოს და დაინახა მზეთუნახავი ქალი, რომელმაც დაჰკრა ჯოხი ამ მონადირეს და მგლად აქცია. ამ უფროსი ძმის საძებნელად წავიდა შუათანა ძმა. მასაც ისევე მოუვიდა, როგორც პირველ ძმას. შემდეგ მომდევნო ძმები წავიდნენ ცალ-ცალკე, მაგრამ არც ერთი არ დაბრუნებულან. ბოლოს წავიდა პატარა ძმა. მიადგა კოშკს. დაინახა მზეთუნახავი და მივიდა მასთან და თან უთხრა: – თუ შეიძლება თქვენთან საქმე მაქვსო. ქალმა მიიპატიჟა სახლში. დაიწყეს საუბარი. ამ დროს ქალმა მოიმარჯვა ჯოხი დასარტყმელად, მაგრამ მოასწრო ვაჟმა და მათრახი გამოართვა. ეს ქალი იყო ნადირთა მეფე. ქალმა უთხრა ვაჟს, ამის შემდეგ მე შენი მორჩილი ვარო. ამ კაცმა დაათვალიერა კოშკი. ბოლოს შევიდა ერთ ოთახში და დაინახა ერთი მზეთუნახავი ქალის სურათი, რომელსაც ერქვა გულუზარი. ვაჟს შეუყვარდა გულუზარი. ვაჟმა უთხრა ნადირთა მეფეს: – სად არიან ჩემი ძმებიო? ნადირთა მეფემ დაუსტვინა და მთელი ნადირი კოშკთან მოვიდა. აქ იყვნენ ამ ვაჟის რვა ძმა (მგლად ქცეულნი). ვაჟმა დაკრა მათრახი და აქცია ადამიანებად. ვაჟმა უთხრა, ძმებს: წაიყვანეთ ეს ქალი, მიცადეთ სამი წელი, სამი თვე და სამი დღე. თუ არ დავბრუნდე ეს ქალი (ნადირთა მეფე) გაათხოვეთ. ადგა ვაჟი და გაუდგა გზას გულუზარის საძებნელად.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ ზღვისპირას, სადაც შეხვდა ერთი მომაკვდავი კაცი. ამ კაცს ჰკითხა გულუზარის ამბავი. მომაკვდავმა უპასუხა: – მე მწვავს გულუზარის სიყვარული და ამიტომ ვიტანჯებიო. ვაჟი გაუმხელს თავის ვინაობას და ეტყვის, რომ თვითონაც შეყვარებულია გულუზარზე. მომაკვდავმა უთხრა: – სულ ერთია მე შენს გამოვლამდე მაინც მოვკვდები, ამიტომ როცა გამოივლი, გულუზარის პერანგში გამახვიე და ისე დამმარხე. ვაჟი გაუდგა გზას.

მიაღწია იმ სოფელში, სადაც გულუზარი ცხოვრობდა. გამოცხადდა გულუზართან და უთხრა, რომ მე შენმა სიყვარულმა მომიყვანა აქ და უნდა წაგიყვანო. გულუზარი დაეთანხმა და თან უთხრა: აქ ჩემს წასაყვანად მოსულია ერთი ლომკაცა, თუ მას ჭიდაობაში მოუგებ, შენ გაგყვები, თუ არა და – მას. ვაჟი დაეთანხმა.

მოვიდა ლომკაცა, გაიგო ამ ვაჟის ამბავი და საღამოსათვის დანიშნეს ჭიდაობა. მოვიდა ჭიდაობის დროც და სასახლის წინ ხალხი შეგროვდა. გაიმართა ჭიდაობა, მაგრამ ვერცერთმა ვერ შეძლო ერთმანეთის წაქცევა. დაინიშნა ჭიდაობა ხელმეორედ, ახლაც ასე დამთავრდა. გულუზარს შეუყვარდა ვაჟი. ერთ საღამოს დაიბარა და უთხრა: ლომკაცის ძალა აქვს სამ ჩიტს, რომლებიც ზღვისპირად მდებარე კოლოფში არიან მოთავსებული. წადი მოიტანე ის კოლოფი, მოკალი სამივე ჩიტი და შესძლებ ლომკაცას დამარცხებას. ასე მოიქცა ვაჟიც. მესამედ დაინიშნა ჭიდაობა. ვაჟმა დაამარცხა ლომკაცა და გულუზარი წამოიყვანა. გამოიარეს ზღვისპირას მომაკვდავ კაცთან, რომელიც მომკვდარიყო. ვაჟმა დანაბარები შეუსრულა მომაკვდავს. წამოვიდენ თავის სახლში. გაიგო, ძმებს რომ ქალი გამოატანა, გათხოვილიყო. ამის შემდეგ ვაჟმა გულუზარი შეირთო ცოლად და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება. ამით დაამთავრა ზღაპრის თხრობა პირველმა მონადირემ.

შემდეგ დაიწყო თხრობა მეორე მონადირემ: იყო და არა იყო რა, იყო ერთი მონადირე. წავიდა სანადიროდ, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ ტყეში. გაჩერდა კლდის თავზე, საიდანაც დაინახა ციდან მომავალი არწივი, რომელიც მონადირისაკენ მოდიოდა. მონადირეს შეეშინდა და კლდიდან გადახტა, მასთან მივიდა ერთი ტიტველა კაცი. მონადირეს შეეშინდა, მაგრამ დაამშვიდა ტიტველამ, წამოდი ჩემთან, სტუმრად მიგიღებო. როცა მივიდნენ სახლში, მონადირემ ოთახში დაინახა, რომ მოხუცი ჯაჭვებით იყო დაბმული, მონადირეს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს. მეორე ოთახიდან მოესმა ხმა და დაინახა, რომ ქალი ბავშვს თოვლიან აკვანში აწვენდა, ძალიან გაუკვირდა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს. შემდეგ დაინახა იქვე ერთი ქალი, რომელსაც კაცის თავის ქალა ეკიდა კისერზე. მონადირემ ტიტველა კაცს კითხა თავისი ოჯახის ამბავი. ტიტველამ უთხრა: – ეს მოხუცი ჯაჭვებით რომ არის დაბმული, მამაა ჩემი, როცა სოფელში გადის, თვრება და ხალხს აწუხებს, ამიტომაა დაბმული. როცა მე წავალ სოფელში, თან წავიყვან. მარტო არ გავუშვებ.

ბავშვს რომ თოვლში ვაწვენ, ეს იმიტომ, რომ სიცივეს შეჩვეული იყოს და იაროს ისე, როგორც მე დავდივარო.

ეს ქალი, რომელსაც კაცის თავის ქალა კიდია კისერზე, ჩემი ცოლია. ერთხელ ქორწილში ვიყავი და ღამით თვალწინ წამომიდგა, რომ ვითომ ჩემ ცოლს ვიღაც კაცი ეარ-

შიყებოდა. სასწრაფოდ წამოვედი იქიდან, მივედი სახლთან და დავინახე, რომ ვიღაც კაცი მართლა ეარშიყებოდა ჩემ ცოლს. ცოლი ეუბნებოდა, მე მინდა ყოველთვის შენთან ვიყო და შენ თავს ვატარებ სიცოცხლეში. შევედი სახლში, ამ კაცს ხმლით მოვჭარი კისერი და ჩემს ცოლს ამ კაცის თავის ქალა ჩამოვკიდე და ახლაც ის თავის ქალა აქვს ჩამოკიდებული. ჩამოკიდებისას თან ვუთხარი: ჰა, და სიცოცხლეში ატარე მისი თავის ქალა. ამით დაამთავრა მეორე მონადირემ თავისი ზღაპარი. შეთანხმების შემდეგ თქვეს, რომ ორივე ზღაპარი ერთნაირად კარგია და მოკლული ირემიც შუაზე გაიყვეს და გახარებული ცალ-ცალკე წავიდნენ თავიანთ სახლებში.

ხუთკუნჭულა

ერთ სოფელში ცხოვრობდა ცხრა ძმა. მეცხრე ძმას სახელად ერქვა ხუთკუნჭულა. სახლში ძალიან ღარიბად ცხოვრობდენ. როცა გამოელიათ სარჩო (საჭმელ-სასმელი), გადაწყვიტეს, ვინმეს მოჯამაგირედ დადგომოდენ. გუდგენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, გზაზე შემოხვდათ დევი. დევმა უთხრა: – სად მიდიხართ? ძმებმა უთხრეს: – გვინდა ვინმეს დავუდგეთ მოჯამაგირედ. დევს გაუხარდა და უთხრა, თუ ასეა, კარგი, ჩემთან წამოდით მოჯამაგირეებად. ძმები გაყვენ დევს სახლში. ერთ საღამოს დევმა გადაწყვიტა, ძმები შეეჭამა. როცა ძმებმა დაიძინეს, დევი შევიდა მათ ოთახში და უთხრა: გძინავთ თუ არაო? ხუთკუნჭულამ უთხრა: – შენმა ბატების ყიყინმა ჩვენ არ მოგვასვენა. დევი გაბრაზდა, ჩავიდა ბატებთან და მთლად დახოცა. ამოვიდა და კიდევ შეეკითხა დევი: გძინავთ თუ არა? ხუთკუნჭულამ უპასუხა: – შენმა ცხენების ჭიხვინმა მოსვენება არ მოგვცა. დევი გაბრაზდა და ცხენებიც დახოცა. ამასობაში ხუთკუნჭულამ ძმები გააღვიძა და შეატყობინა დევის განზრახვა. ძმები გაიქცენ, მაგრამ თავს უშველიდენ თუ ხიდს გაღმა გავიდოდენ, რადგან ხიდს გაღმა გასვლა დევს აღარ შეეძლო. სწორედ ამ ხიდზე გასვლა მოსწრეს ძმებმა და გავიდენ სამშვიდობოზე. წავიდენ ძმები და ერთ ხელმწიფეს დაუდგენ მოჯამაგირედ. ხელმწიფესთან დაახლოვდა ხუთკუნჭულაი და მან ვეზირობაც კი მიიღო. ხუთკუნჭულას დაწინაურება ძმებს არ მოეწონათ და ხელმწიფეს უთხრეს: – ხუთკუნჭულაი თუ კარგი ვაჟკაცია, დევს რომ ხალიჩა აქვს, ის მოგიტანოსო. ხელმწიფემ დაიბარა ხუთკუნჭულაი და მოახსენა ძმების ნათქვამი. ხუთკუნჭულაი გაუდგა გზას, შეიარა დევის სამფლობელოში. მივიდა დევის სასახლესთან და შევიდა შით. დევის ხალიჩას ქვევიდან გაუკეთა ლემსები (ნემსი). თვითონ კი მიიმალა ერთ კუთხეში. როცა დევი მოვიდა, ხალიჩაზე წამოგორდა, ნემსებმა უჩხვლიტეს. დევი გაბრაზდა და ხალიჩა გარეთ გაისროლა. ხუთკუნჭულამ სტაცა ხელი და გაიქცა. დევმა იფიქრა, ის ოხერი ხუთკუნჭულაი წაიღებს ხალიჩასო, გამოვიდა გარეთ, მაგრამ აღარ დახვდა. გამოეკიდა, მაგრამ გვიანი იყო, რადგან ხიდზე გაასწრო ხუთკუნჭულამ და ხიდს იქით გასვლა კი დევს არ შეეძლო. დევმა მიაძახა ხუთკუნჭულას: გახვედი ღელეს გაღმა? ხუთკუნჭულამ უპასუხა: გავედი და თვალები დაგთხარეო. ამაზე კიდევ უფრო გაბრაზდა დევი. მაგრამ რა ექნა. მივიდა ხელმწიფესთან

ხუთკუნჭულაი და მიუტანა ხალიჩა. ამაზე უფრო მეტად გაბრაზდენ ძმები და ხელმწიფეს უთხრეს: თუ ასეთი დიდი ვაჭკაცია ხუთკუნჭულაი, დევს რომ თხა ყავს, ის მოგიყვანოსო. ხელმწიფემ უთხრა ხუთკუნჭულას ძმების ნათქვამი. ხუთკუნჭულაი გაუდგა გზას. მივიდა დევის სახლთან და კარების უკან აიტუზა. დევის თხა ვისაც დაინახავდა, იმის სახელს დაიძახებდა. როცა ხუთკუნჭულაი შეამჩნია, დაიძახა: – ხუთკუნჭულაი, ხუთკუნჭულაი. დევი დაფაცუნდა, მაგრამ ვერ მიაგნო. კვლავ დაიძახა თხამ, მაგრამ დევმა ვერ ნახა ხუთკუნჭულაი. ამაზე გაბრაზდა დევი და თხა გარეთ გააგდო. ხუთკუნჭულამ წაავლო თხას ხელი და გაიქცა. დევი გამოეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია. ხუთკუნჭულამ გაასწრო ხიდს გაღმა. დევს შესძახა: – გავედი და დაგივსე თვალები. ხუთკუნჭულაი გამოცხადდა მეფესთან და მიიყვანა თხა. მეფეს გაუხარდა და ხუთკუნჭულაი კიდევ უფრო დააწინაურა. ამან უფრო გააბრაზა ძმები და უთხრეს ხელმწიფეს: ხუთკუნჭულაი თუ მართლაც ვაჭკაცია, თვითონ დევი მოგიყვანოსო. ხუთკუნჭულამ გაამზადა საგზალი და ხუროს ხელსაწყოები და წავიდა დევის სახლისაკენ. მივიდა დევის სამფლობელოში და დაიწყო ხეების ჭრა.

დევმა რომ დაინახა, გაბრაზდა, ვინ ბედავს ჩემს სამფლობელოში შემოსვლასო. მივარდა ხუთკუნჭულასთან და უნდოდა შეეჭამა. ხუთკუნჭულამ შეაჩერა და უთხრა: მე ხურო ვარ. ისეთი კიდობანს გავაკეთებ, რომ შით ჩაჯდები, ვერ გაამტვრევ. ხუთკუნჭულამ გააკეთა კიდობანი. დევი ჩაჯდა კიდობანში, მაგრამ ვერაფერი ვერ უშველა. ხუთკუნჭულამ მოიკიდა კიდობანი და გაიქცა ხელმწიფესთან. როცა ხიდზე შედგენ, დევმა იყვირა. ხუთკუნჭულამ უპასუხა: დევო, ახლა თვალები უნდა დაგთხაროო.

ხუთკუნჭულამ მიიყვანა დევი კიდობნიანად ხელმწიფესთან. სასახლესთან შეგროვდა მთელი ხალხი. დევი გამოედევნა ხალხს. ხუთკუნჭულა ხეზე შეახტა და ხიდან ჩამოსძახა: დევო, ხუთკუნჭულა აქ გახლავსო. დევი შეეკითხა: როგორ ახვედი მანდ? – დაწევი და ამოფრინდები. დევი მართლაც დაწვა. ხუთკუნჭულამ ხეზე ატანილი ქვა ჩაარტყა და დევი მოკლა. ამასობაში გარდაიცვალა ხელმწიფეც. ამ დღიდან ხუთკუნჭულა მართავდა სახელმწიფოს და ცხოვრობდა ბედნიერად.

პატარა ძმის ამბავი

ყო სამი ძმა, სამთავე ვაჭარი. დადიოდენ სხვადასხვა სახელმწიფოებში. ერთხელ წავიდენ ერთ-ერთ სახელმწიფოში ზღვით. ამოვარდება ქარი, გემი დაიშლება. სამივე ძმა ერთ ფიცარზე მოებღაუჭება. ფიცარი წყალმა ერთი დიდი კლდის ძირას მიიტანა. როცა დაღამდა, ერთი მაგრად დაიჭექა და ერთი ძმა გაქრა (გაუჩინარდა). ძმები შეშინდენ. მეორე დღეს საღამოჟამს კიდევ დაიჭექა და შუათანა ძმაც გაუჩინარდა. დარჩა პატარა ძმა, იფიქრა, იფიქრა და ჩაეძინა. ნახა სიზმარი, რომ ვიღაც კაცი ეუბნება: –შენ რომ ჯიბეში ჩაქი დანა გაქვს, ამოიღე და კლდეზე მოლესე, რომ დაიჭექებს, მაგრად დაიქნიე და გადარჩებიო. ბიჭმაც ასე მოიქცა, დაიჭექა, დაიქნია დანა და დაინახა უზარმაზარი გველეშაპი ზღვაში ჩაყუდებულიყო. ბიჭი ხორცს ჩამოთლის გველეშაპს და გველეშაპზე შედ-

გება და წავა ნაპირისაკენ. გავა ხმელეთზე და მივა ერთ ქალაქში. ნახავს, რომ კაცის ჭაჭანება არ ისმის. შევიდა ერთ მაღაზიაში და დაიძინა. სიზმარში ნახა, რომ: ჰეი, ვინცა ხარ, მალე წადი, თორემ დაიღუპები. მანდ დუქანში სასროლია, გამოიტანე დუქნის წინ, უკან მოუხედავად გაიქეციო. მართლაც, დაიჭექებს, მიმოიხედავს და დაინახავს, რომ დიდი გველეშაპი მომკვდარა. დარჩა ბიჭი ცარიელ ქალაქში. დაინახა ზღვის პირას ერთი ლამაზი ქალი. მიეპარა, წაატანა ხელი და წამოიყვანა სახში. გავიდა რამდენიმე წელი, ეყოლათ ერთი ვაჟი. ქალი ეტყვის, ეხლა მაინც გამიშვი გარეთ, ხომ ხედავ, ბავშვი მყავს, სად წავალო. გამოვიდენ გარეთ, მივიდენ წყლისპირას, ქალი ბავშვიანად შეხტა წყალში. დაღონებული დაბრუნდა კაცი სახლში. შემდეგ გავიდა ერთ ტრიალ მინდორში. დაინახა ერთი უზარმაზარი კაცი, რომელსაც მხოლოდ ერთი თვალი ჰქონდა და ისიც თავი დუდში (ცენტრში). ეს კაცი აძვებს ცხვრებს. მიიპატიჟა ამ დიდ კაცმა, უთხრა ამ პატარა კაცს, ჩადი საცხვარეში და ცხვარი ამოიყვანე, დავკლათო. ამოიყვანს, მაგრამ პატარას. ეს არ მოეწონება და ეტყვის: – ეს რაა, ლუკმადაც კი არ მეყოფა. ამოიყვანს დიდ ცხვარს, თითებით გაატყავებს, შეწვავს და დაუწყებს ჭამას. შემდეგ დაიძინებენ. პატარა კაცს არ ეძინება შიშისაგან. აიღო რკინა, გააშანთა და თვალი გამოთხარა დიდ კაცს. გამოეკიდება დიდი კაცი, მაგრამ ვეღარ ხედავს. პატარა კაცი ჩაძვრება საცხვარეში. იქაც ჩაყვება ის. დადგება კარებთან და გარეთ ყრის ცხვრებს. პატარა კაცი შეეხვევა დაკლული ცხვრის ტყავში და გამოვა გარეთ. დიდი კაცი იქვე კვდება.

პატარა კაცი მოსცილდა იქაურობას, მივა ერთ ქალაქში. დაიწყებს ცხოვრებას. გავა ხანი და ერთხელ დაინახავს, ხელმწიფე მომკვდარა და მის კუბოსთან ერთად მეორე კუბოც მოაქვთ. გაიგებს, რომ აქ ყოფილა წესი. თუ ქმარი მოკვდებოდა, ცოლსაც ჩაატანდნენ მიწაში და თან გაატანდნენ ოთხი დღის საჭმელს. და თუ ცოლი მოკვდებოდა, კიდევ ასე იზამდენ. ამ კაცს შეეშინდა, ვაითუ, მეც ასე არ დამემართოსო. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ამ კაცს ცოლი ავად გაუხდა, ცოლი მოკვდა. ცოლთან ერთად დაასაფლავეს ეს კაციც. წევს საფლავში კაცი. გავიდა ორი დღე, გამოჩნდა სინათლე და დაინახა, რომ მელაი მოძვრებოდა ლეშის შესაჭმელად. იქით დაინახა მეფის ცოლი. ორივემ ერთად მოკიდეს მელას კუდზე ხელი და გამოვიდნენ გარეთ. შეხვდენ ვაჭრები. ცხენები დაფრთხენ. ამათ იხელთეს დრო. შეახტენ ცხენებზე, ჩაიცვეს ტანისამოსი და გაიქცენ. გამოედევნა მთელი სოფელი. მივიდენ წყლის პირას და ის, ის არის, უნდა დაეწიონ, რომ გამოჩნდა წყლის ქალი, რომელიც ამ კაცს ცოლად ყავდა და ეტყვის: თუ შვილს ალალს მიზამ, გადაგარჩენო. კაცმა ალალი უყო და გადაარჩინა ამ ქალმა კაცი და ქალი.

არაფერი დაიშალება

Aყო ორი ძმა. ერთი იყო ცოლშვილიანი, მეორეს ცოლი ყავდა, მაგრამ შვილი არ ყავდა. ცხოვრობდენ ერთად. ბოლოს ცოლები ვეღარ შეეწყვენ ერთმანეთსა და გამოეყვენ. უშვილო კაცმა იფიქრა, წავალ სხვა ქვეყანაშიო. ბევრი იარა თუ ცოტა

იარა, მივიდა ერთ სარაიასთან. კარები ღია იყო, სახლში კი არავინ არ იყო. შევიდენ შით, მაგრამ არავინ არ ჩანდა კიდევ. გამევიდა რამდენიმე ხანი, მაგრამ არავინ არ მოვიდა. დაიწყო ამ კაცმა ცხოვრება. ბოლოს, როგორც იქნა, შეეძინათ ერთი გოგო. გოგო როცა წამოიზარდა, მზეთუნახავს დაემსგავსა. კაცმა გადაწყვიტა, ვინმე დიდ კაცებს მოვანათვლიებო. გამოვიდა გარეთ და დაინახა სამი მტრედი, რომლებიც კაცებად გადაიქცენ და უთხრეს, ჩვენ მოგინათლავთო.

ერთმა კაცმა დაანათლა: – ისეთი სიცილი ეცოდინება, რომ მის სიცილზე მკვდარი გაიღვიძებს.

მეორემ დაანათლა: – რომ იტირებს, მისი ცრემლები მარგალიტებად გადაიქცევაო. მესამემ დაანათლა – სანამ კისერზე საყბავრი (ღილი) ექნება, მანამ იცოცხლებს. ამ სახელმწიფოში არის ერთი ხელმწიფე, რომელსაც ყავს კარგი ვაჟი, იგი ყოველდღიურად დადის სანადიროდ. მოკლა ერთი ხოხობი. ვეზირებს აჩვენა ამ კაცის სახლი და უთხრა: მიდით, შეწვით და მომიტანეთო. მოვიდენ ვეზირები და როცა წვავდენ ხოხობს, ამ კაცის მზეთუნახავი გოგო შემოვიდა. ვეზირებს დაავიწყდათ ხოხობი და დაუწყეს ცქერა გოგოს, მწვადი დაიწვა. ვეზირები ეტყვიან ბიჭს, რომ ხოხობი დაგვეწვა იმიტომ, რომ მზეთუნახავს ვუყურებდითო. ხელმწიფის შვილი მივა სახლში ამ კაცთან და სურს დაინახოს ეს გოგო, მაგრამ მასთან არ უშვებენ. ხელმწიფის შვილმა მოითხოვა, ხელები დამაბანიოს ამ ოჯახის ყველაზე პატარა წევრმაო. გოგო იყო ყველაზე პატარა. შემოვიდა გოგო. როცა დაინახა მეფის შვილმა, გულს მოუვიდა. გოგოს გაეცინება და ბიჭი გაიღვიძებს. ბიჭმა დაინიშნა ეს გოგო. დაინიშნება ქორწილიც. ხელმწიფის შვილს ყავს გამზრდელი, რომელსაც ყავს ერთი უშნო, შავი გოგო და სურს მიათხოვოს მეფის შვილს. ამიტომ გადაწყვიტა როგორმე ხელი შეუშალოს ამ გოგოსა და მეფის შვილის ქორწინებას. მეფის შვილი საცოლის მოსაყვანად გაგზავნის გამზრდელს. გამზრდელი თან წაიღებს ორ ბოთლ წყალს და ორ მარილიან პურს. იქორწილეს გოგოსთან, წამოვიდენ, გზაში გოგოს მოშივდა, აჭამა მარილიანი პური, გოგოს მოწყურდა წყალი. გამზრდელი ეტყვის, თუ ერთ თვალს ამოიღებ და მომცემ, წყალს დაგალევინებ. გოგო შეწუხებული იყო და დათანხმდა. გავიდენ კიდევ რამდენიმე მენძილი და კიდევ მოწყურდა წყალი. გოგომ მეორე თვალიც ამოითხარა. გამზრდელმა ეს გოგო დატოვა ტყეში. გააძრო ურუბა, ჩააცვა თავის შავ გოგოს და მიუყვანა ხელმწიფის შვილს. ეს ბიჭი ამ გოგოს არ იკარებს და წავა ტყეში სანადიროდ. იმ ტყეში, სადაც გოგო იყო დატოვებული, შეშის საზიდავად ვირით დადიოდა ერთი კაცი. ერთხელ დაინახა რომ ვირი ერთი კლდისაკენ იყურებოდა, მივიდა თვითონაც. გაიგონა ქალის ტირილი. დაინახა, რომ ქალი რამდენ ცრემლსაც გადმოაგდებდა, იმდენი მარგალიტი დაეცემოდა გულზე. ქალმა გაიგონა კაცის ხმა და სთხოვა მიშველეო. ქალი ეტყვის: ყელზე რომ ღილი მაქვს, მომხსენ და მოვკვდები, ხოლო ეს ღილი ადამიანის თვალებზე გაყიდე და მე კი კუბოთი ტყეში დამტოვე. კაცი წავიდა ქალაქში, ყიდის ღილს ადამიანის თვალებზე. შეხვდება გამზრდელი და იყიდის ამ ღილებს იმ მიზნით, რომ მეფის შვილს მოეწონოს ჩემი შვილიო. მოიტანა კაცმა თვალები, ჩააწყო გოგოს და წაიღო ტყეში. ამ ქალს ხელმწიფის შვილთან ერთი ღამე გაუტარებია და ეყოლება ბავშვი. ხელმწიფის შვილი სანადიროდ იყო

წასული და მივიდა იმ ადგილზე, სადაც კუბო იდგა. ბავშვმა დაინახა თუ არა კაცი, შეახტა კაცს ყელზე. მეფის შვილი წაიყვანს სახლში. გამზრდელი იცნობს, მოეფერება ვითომ, ბავშვი შეახტება ყელზე და ართმევს ღილს. წაიღებს ამ ღილს მეფის შვილთან ერთად ტყეში. მოახვევს ყელზე დედას და გაცოცხლდება. ეს ქალი მოუყვება თავის თავგადასავალს. მეფის შვილი დარწმუნდება, რომ ეს მისი ცოლია. მოიყვანს სახლში გამზრდელს და მის გოგოს ჯორის კუდზე გამოაბამს და დააფლეთიებს და თვითონ დაიწყებენ ტკბილად ცხოვრებას.

შიფრი: ბსკიფა 23, 14.
მთქმელი: მსახურაძე შალვა.
ასაკი: 13 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა,
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959.

მსახურაძე შალვა, V კლასის მოსწავლე, 13 წლის. კომკავშირელი, მის რეპერტუარში შედის ზღაპრები და ასახსნელები, ნამყოფია ქ. ბათუმში, მოსმენილი აქვს ბაბუასგან.

ღვდაბრის ამბავი

Ayო ერთი პატარა ბავშვი. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მოვიდა ერთ ღელეში და ავიდა ღელის პირად მდებარე ვაშლზე. ამ დროს გამოიარა ერთმა დედაბერმა და უთხრა: ერთი ვაშლი გადმომიგდეო. გადმოუგდო, მაგრამ ვაშლი ვირის ნაკვალევში ჩავარდა. მეორეჯერ გადმოუგდო. კიდევ ასე განმეორდა. მაშინ დედაბერმა უთხრა: – ტანი ჩამომიწიეო. დედაბერს გოდორი ჰქონდა, ჩამოუწია და დედაბერმა დაეკიდა ტანს და ბიჭი ჩააგდო გოდორში. გოდორს წაუკრა თავი და გასწიეს. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, დედაბერი დაიღალა. გოდორი ძირს დადო და ტყის პირას მივიდა. ბავშვს ჯიბეში ჰქონდა დანა, ამოიღო, გაჭრა გოდორი, ამოძვრა, ჩაყარა შით წაბლის ბუჯგები წაუკოჭა (წაუკრა) თავი და თვითონ გაიქცა. მევიდა დედაბერმა. ასწია გოდორი და გაუდგა გზას. დედაბერს ზურგში წაესო ბუჯგები და დაუძახა ბავშვს: ნუ მასობ, თორემ ცოცხლად შეგჭამო.

ბოლოს ერთ ადგილას დედაბერმა დაისვენა, წაუხსნა თავი გოდორს, რომ ბავშვი აღარ იყო. დედაბერმა განაგრძო გზა. გზაში შეხვდა ერთი ბავშვი. ჩააგდო გოდორში და წაიყვანა. მივიდა სახლში. სახლში მას თან ყავდა ერთი ქალი. დედაბერმა უთხრა, ჩადი ბოსტანში, მოკრიფე მწვანილი, ამოიტანე და ეს ბავშვი შევწვათო. ბავშმა დედაბერს უთხრა: მოდი, თავს მოგიხილაო. მოუხილა მართლაც, ამოიღო დანა, მოჭრა თავი და ჩააგდო ქვაბში, თვითონ კი ავიდა თავანში და დაიწყო კაკლის ტეხა. როცა ქალი ამოვიდა და ჭერში კაკლის ტეხის რახუნი გაიგონა, დაუძახა: – თაგვო, ნუ ეხრაწუნები, თორემ ცოცხლად შეგჭამო. ბავშვმა გადმოხედა, დედაბერი ეგონა ქალს და დაუძახა: ნენი, საიდან ეხვედი? ბავშვმა

უთხრა, საჩეჩელაზე დავკარი ფეხი და ავედი. ქალმაც დაკრა ფეხი, მაგრამ თლად დაიჩხუტნა ფეხები და ვერ ავიდა. ქალმა კიდევ დაუძახა: – მანდ საიდან ეხვედიო? ცეცხლში შევძვერი და ისე ევედი. ქალიც შეძვრა ცეცხლში, მაგრამ დაიწვა, ბავშვი გადავარდა. ბავშვიც გადავარდა და ქვაბში ჩავარდა. მთლად დეიმდუღრა. ბოლოს ამოხტა და გაიქცა იქიდან.

შიფრი: ბსკიფა 23, 15.
მთქმელი: ჭაღალიძე ომარი ზაბითის ძე.
ასაკი: 22 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959,

ჭაღალიძე ომარი ზაბითის ძე. 22 წლისა, კოლმეურნე, კომკავშირელი, უცოლშვილო. ნამყოფია რუსეთში. ექვს კლასდამთავრებული, მის რეპერტუარში შედის ზღაპრები, უკრავს გარმონს.

თემური და ალექსანდრე

Იყო ღარიბი კაცი. ამ კაცმა იფიქრა ცოლს მოვიყვანო. მოიყვანა ცოლი, ეყოლათ ერთი ვაჟი. ღარიბად ცხოვრობდენ. გავიდა რამდენიმე წელიწადი. დედ-მამა მოუკვდა. ადგენ ორივე ძმები და წავიდენ ერთ ხელმწიფესთან. ხელმწიფეს სთხოვეს, რომ მოსამსახურედ დაგიდგებით, ოღონდ, ორივე ერთად, რადგან ძმები ვართო. ხელმწიფემ უთხრა, ორივეს ადგილი არ მაქვს და ერთს დაგიტოვებო. ეს ძმები აქ აღარ დარჩენ. შემდეგ მივიდენ ჯარების უფროსთან, აქაც ასე უთხრეს. რახან ასეა, თქვეს ძმებმა, ერთი დავრჩეთო. პატარა ძმას ერქვა თემური, დიდს კი – ალექსანდრე. თემური დარჩა ჯარების უფროსთან, ხოლო ალექსანდრე წავიდა და დაუდგა ერთ მჭედელს მოსამსახურედ. თემური დავაჟკაცდა. იმ ქალაქში მეფეს ყავდა კარგი გოგო. ეს გოგო მოსწონდა ჯარების უფროსაც. ეს გოგო უყვარდა ამ მეფის ვეზირს. მეფეს კი ვეზირზე შვილის მიცემა არ უნდოდა, ამიტომ ყველაზე ძნელ ბრძოლებში ვეზირს გზავნიდა, რათა მომკვდარიყო, მაგრამ ბედზე ეს ვეზირი არ კვდებოდა.

ჯარების უფროსი დარწმუნდა, რომ იმ გოგოს თვითონ ვერ ჩაიგდებდა ხელში. გადაწყვიტა, თავის შვილობილ – თემურის ჩაეგდო ხელში. ერთხელ უთხრა თემურს: შეგიძლია თუ არა, შეეჭიდო იმ ვეზირსო? თემური დაეთანხმა, მაგრამ როცა დაინახა, ძალიან შეეშინდა, რადგან ძალზე მაგარი იყო ვეზირი. ხელმწიფემ სახელმწიფოში გამოაცხადა, რომ ჩემ გოგოსთვის არის დანიშნული ჭიდაობა და ვინც ჭიდაობაში მოიგებს, გოგოც მისი იქნება. თემური შიშისგან აღარც ჭამს, აღარც სვამს, ეს ამბავი გაიგო თემურის ძმამ ალექსანდრემ. იმ დღეს, როცა ჭიდაობა იყო დანიშნული, ამ დღესვე ჰქონდა ქორწილი ალექსანდრესაც. ამიტომ ჩავარდა დიდ გასაჭირში. ბოლოს მოიკრიბა მეზობლები და უთხრა: –

მე სადღაც მივდივარ, თქვენ, ჩემ სტუმრებს პატივი ეცითო. ადგა ალექსანდრე და წამოვიდა ძმასთან. მოსამსახურეებმა იფიქრეს, შეიძლება ამან უშველოს თემურს და შეუშვეს თემურის ოთახში. როცა შევიდა, თემური ისე იყო ჩაფიქრებული, რომ ვერც კი შეამჩნია ძმის მოსვლა. ბოლოს თემური უყვება თავის გაჭირვებას. ალექსანდრემ უთხრა თემურს: შენ ჩაიცვი ჩემი ტანისამოსი, წადი ჩემს ქორწილში, ხელმძღვანელობა გაუწიე და როცა დამთავრდება ქორწილი, ჩემს საცოლესთან დაწვები, შუაზე ყამაი ჩადე და უთხარი: ჩვენთან წესია, სამ დღეს არ მოგეკარებით-თქო, მეოთხე დღეს კი მინდორში გამოდით ორივე და იქ შევხვდებით ერთმანეთს. მართლაც წავიდა თემური ალექსანდრეს სახლში. დადგა ჭიდაობის დროც. ვეზირმა რომ მოკიდა ხელი, ალექსანდრე ცაში ააფრიალა, მერე ალექსანდრემაც ასე გააკეთა, მაგრამ ჭიდაობაში ორივე ძლიერები დარჩენ. შემდეგ დაიწყეს ცხენებით ჯირითი. ალექსანდრემ დაარტყა ყამაი და ორივე ხელი მოაჭრა. ცოცხალმკვდარი ვეზირი გაიყვანეს მოედნიდან და როცა ალექსანდრე და მეფის გოგო მკვლავმოჭერილი დაინახა, იქვე მოკვდა. გადაიხადეს ქორწილი, მოვიდა დაწოლის დრო. ალექსანდრემ აიღო ყამაი და ჩადო მათ შუა. გოგოს გაუკვირდა. მეოთხე დღეს უნდა წასულიყო, მაგრამ გოგომ არ გაუშვა. ალექსანდრემ გაუმხილა ყველაფერი, მე თემური არა ვარ, არამედ მისი ძმა.

თემური ჩემ ქორწილშია, რადგან ის ცუდად იყო. მე გამოვედი ვეზირის წინააღმდეგ. ამის შემდეგ, ამან ქალი კიდევ უფრო გაახარა და უთხრა: რახან შენ ჩემ ქმარს ასეთი დახმარება გაუწიე, ამიტომ სიცოცხლეში შენთვის არაფერი არ შემებრალება. ადგა ალექსანდრე და წავიდა თემურთან. ხოლო თემური დაბრუნდა თავის ცოლთან. გავიდა რამდენიმე დღე და ალექსანდრესა და მის ცოლს შორის შავმა კატამ გაიარა. ქალმა გადაწყვიტა, მოეწამლა ალექსანდრე, მართლაც, მოწამლა. ალექსანდრემ სთხოვა მეზობლებს, მიმიყვანეთ ჩემი ძმის სახლთანო. მართლაც მიიყვანეს. თემურის ცოლი ბალკონიდან დაინახავს ალექსანდრეს, დაუნახავს იმ ბეჭედს, რომელიც მან ალექსანდრეს აჩუქა ქმრის გადარჩენისათვის. შეიყვანა სახლში. თემური სანადიროდ იყო წასული, როცხა მოვიდა და ცოცხალმკვდარი ძმა დაინახა, კინაღამ გაგიჟდა. ერთ ღამეს თემური და მისი ცოლი ნახავენ საშინელ სიზმარს. არცერთი არ უმხელს ერთიმეორეს. ეს სიზმარი იყო შემდეგი: გამოეცხადება კაცი ცოლ-ქმარს და ეუბნება: ალექსანდრე გადარჩება იმ შემთხვევაში, თუ თქვენი შვილების სისხლით დაბანთ ტანს. ძმას უჭირს, ასევე რძალსაც, მაგრამ ქალი ეტყვის, რომ მე დაპირებული ვარ ალექსანდრეზე, რომ არაფერს არ დაგიშლი-მეთქი, ამიტომ უნდა დავკლათ ჩვენი შვილები. ქალი ეტყვის, მე სუსტი გული მაქვს, დაკლაში ვერ გიყურებ, ამიტომ შენ დაკალი და მე კი სისხლით დავბან ტანს. ეს გაიგო ალექსანდრემ, მან მოითხოვა საწამლავი, მაგრამ არ მისცეს, რადგან თავი უნდა მოეკლა. პირველად დაკლეს ბიჭი და როცა ღარზე სისხლი წამოვიდა, თვალცრემლიანმა დედამ ხელი შეუშვირა და ტანი დაბანა ალექსანდრეს. იმ დროს, როცა მეორე ბავშვიც უნდა დაეკლათ, ალექსანდრე მოკეთდა, წამოხტა და გაიქცა. გოგო გადარჩა სიკვდილს. ალექსანდრემ გადაწყვიტა მოკვლა თავისი ცოლის. მივიდა სახლში და მართლაც, ერთი დარტყმით გამოასალმა სიცოცხლეს. დაბრუნდა ძმასთან და მათთან ერთად დაიწყო ბედნიერად ცხოვრება.

შიფრი: ბსკიფა 23, 16.
მთქმელი: ამაღლობელი სულეიმან ოსმანის ძე.
ასაკი: 80 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959.

ამაღლობელი სულეიმან ოსმანის ძე, 80 წლისა, ცოლშვილიანი, ნამყოფია საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, უპარტიო, შრომისუნარმოკლებული, მის რეპერტუარში შედის ზღაპრები.

სამი გოგო

ყოფილა ერთი ხელმწიფე. გაუცია განკარგულება ერთ გოროტში მის ვეზირებისათვინ, რომ ამეღამ მთელ ქალაქში სინათლე უნდა ჩააქროთო. გაივლიან ქალაქში ვეზირები და დაინახავენ, რომ ერთ ფანჯარაში სინათლე ჩანს. მივლენ და მუუსმენენ. ოთახში ისხდენ სამი გოგო. ამათგან ერთმა თქვა: – რატომ ჩააქრო ხელმწიფემ სინათლე. მეორემ შეეკითხა: ხელმწიფემ რომ წაგიყვანოს ცოლად, რას გააკეთებ? მან უპასუხა: – ისეთ საჭმელებს გავაკეთებ, რომ მის ჯარს გამოვკვებავ. მეორემ თქვა, – მე რომ წამიყვანოს, ისეთ ჩადრს მოვქსოვ, რომ მთელ ჯარს დავფარავ. მესამემ თქვა: – მე ვშობ ერთ ვაჟს, რომელსაც ალთუნის კბილები ექნება და ერთ გოგოს, რომელსაც ვერცხლის თმები ექნება. ვეზირებმა მოახსენეს მეფეს. მეფემ დაიბარა გოგოები მასთან. პირველ გოგომ უთხრა, შენ როგორ იკადრებ, რომ მეფის ცოლმა საჭმელი ვაკეთო. მეფემ გაუშვა ეს გოგო.

მეორე გოგომაც ასე უპასუხა: სირცხვილი არაა, ქსელში ჩავჯდე და ვქსოვო. ესეც მიატია მეფემ. მესამემ დაპირდა, რომ შევასრულებ ნათქვამსო. მეფემ ითხვა ცოლად. ეყოლა მართლაც ერთი გოგო და ბიჭი, მაგრამ ამ გოგოს ორი და გაბოზდებიან და დაიხმარებენ ერთ დედაბერს. ამ დედაბერმა იცოდა მშობიარობის დროს მკურნალობა. როცა მოვიდა დრო მეფის ცოლის მშობიარობისა, მოვიდა ეს დედაბერი, მოიყვანა ძაღლის ორი ლეკვი. იმშობიარა ქალმა. ეყოლა მართლაც ოქროსკბილებიანი ბიჭი და ვერცხლისთმიანი გოგო. დედაბერმა შეახვია ბავშვები ბამბაში, ჩადო იაშიკში და გადააგდო ზღვაში. მეფეს ეტყვიან, რომ შენმა ცოლმა ლეკვები შობაო. მეფე გაბრაზდა და ეტყვის: რატომ შემარცხვინეო? აიღებს მეფე კამეჩის ტყავს, შეახვევს ამ ქალს და შეაგდებს ერთ ოთახში. ზღვაში მოტივტივე იაშიკი დაინახა ერთმა ფურუნჯიმ, გამოიტანა იაშიკი. ნახა, რომ შით ბავშვები, წაიყვანა სახლში. თანდათან წამოიზარდნენ ბავშვები. იმ ხელმწიფეს უყვარდა ნადირობა. ამ ბიჭმაც მოინდომა ნადირობა და მართლაც, დაიწყო მეფესთან ერთად ნადირობა. ბიჭის ხალაებმა გაიგეს ბიჭის ცოცხლად ყოფნა და დედაბერს უთხრეს: ბიჭი გამოჩნდაო. დედაბერმა უთხრა: მე ვუშველიო. მოვიდა დედაბერი ამ ბიჭთან და უთხრა: – ადი მაღლა მთაზე, იქ კარგი ცხენია, ჩამოიყვანე და იმით ინადირე მეფესთან. სინამდვილეში, იმ ცხენთან ვინც ავიდოდა, ყველა იღუპებოდა.

ფურუნჯიმ არ დართო ნება, ბიჭმა თავისი არ დაიშალა. მაშინ ფურუნჯიმ უთხრა: წა-

დი, ერთი ფუთი ღვინო იყიდე, აიტანე და ჩაასხი იმ ჯარაში, სადაც წყალს სვამს ცხენი. ევდა ბიჭი მთაზე, ჩაასხა ჯარაში ღვინო. მოვიდა ცხენი, დალია წყალი და წამოვიდა ბიჭისაკენ. ბიჭი უნდა შეეჭამა, მაგრამ ბიჭი არ შეშინდა, მიახტა ცხენს, დაიჭირა და ჩამოვიდა ხელმწიფესთან. დებმა კიდევ უთხრეს დედაბერს. დედაბერმა კიდევ დააშოშმინა ისინი. მივიდა ბიჭთან დედაბერი და უთხრა: აქედან წადი, გაივლი ღელეს, გახვალ გაღმა, იქ ცხოვრობს ქოსაი კაცი, რომელსაც ფეხები არ აქვს. ბიჭმა უთხრა მამობილს. ბევრი უშალა ფურუნჯიმ, მაგრამ ამაოდ. მაშინ მისცა ერთი პლატოკი და უთხრა: ჩაიდე ჯიბეში, გახვალ გაღმა, ქოსას ყავს კარგი გოგო და იმას მოგცემსო, ბიჭი მიადგა ადიდებულ მდინარეს. ცხენმა უთხრა, როცა წყალში შევალ, იმდენად დამარტყი, რომ დარტყმულის სიმწარე ღელეს გაღმა გამყვესო. ჩავიდნენ მდინარეში და გავიდნენ ღელეს გაღმა. კითხა ხალხს, ხალხმა უთხრეს: თუ სიცოცხლე გინდა, ჩამოეხსენი. ბიჭი მაინც წავიდა. მივიდა და დაინახა რკინის ოთახი ბოქლომით, მოგლიჯა ბოქლომი, შევიდა ოთახში, ქოსას გაუკვირდა, მაგრამ რაღა ექნა. ქოსამ უთხრა: მინდოდა შენი ნახვაო და მისცა პლატოკი. მაშინ ქოსამ დაუძახა ცოლს და უთხრა: შეიყვანე მეორე ოთახში და გოგოც მას შეუგდეო. ოთხ დღეს მასთან დარჩა ბიჭი. მეოთხე დღეს ქოსამ უთხრა: ახლა წადით და რომ მიხვალ სახლში, წერილი გამომიგზავნეო. ხელმწიფეს უკვირდა, თუ სად წავიდა ბიჭი. როცა მოვიდა, მისთან გამოიბარა და ჰკითხა, ვისი შვილი ხარო? ბიჭმა უთხრა: – ფურუნჯის. ხელმწიფემ ჰკითხა ფურუნჯის. მან უპასუხა, რომ ესენი მე ვიპოვე ზღვაში და აუხსნა მთელი სინამდვილე. ხელმწიფემ იფიქრა: მე რომ ქალი შევირთე და მითხრა, ასეთ ბავშვებს ვშობო, ალბათ, ესენი არიან. მოიყვანა გოგო-ბიჭი სახლში. ხელმწიფემ მოიყვანა თავისი ცოლიც, რომელიც ჯერ კიდევ კამეჩის ტყავში იყო შეხვეული და საშუალოდ დარწმუნდა სიმართლე. მეფემ გადაიხადა ქორწილი. დედაბერი და ცოლის დები ჯორებს გამოაბეს კუდებზე და დააფლეთიეს.

შიფრი: ბსკიფა 23, 21
მთქმელი: ქათამაძე შახმურად ხასანის ძე
ასაკი: 27 წლის
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959

ქათამაძე შახმურად ხასანის ძე. 27 წლისა. სოფ. ჭვანა, უცოლშვილო. წერა-კითხვის მცოდნე. ნამყოფია რუსეთში. მის რეპერტუარში შედის ძირითადად ზღაპრები.

ზექიე და ხოჯა

465 წელში სოფ. ქობულეთში იყო ერთი ბატონი, რომელსაც ყავდა ერთი ლამაზი გოგო. ბატონმა გადაწყვიტა, წასულიყო საფრანგეთში. საფრანგეთში თან წაიყვანა ცოლი და ვაჟი, გოგო კი დაუტოვა ხოჯას. ამ გოგოს ერქვა ზექიე. ბატონმა ზექიეს

დაუტოვა მოსამსახურე ქალი – აიშე. აიშესთან გააბა კავშირი ხოჯამ, რათა ამით როგორმე ხელში ჩაეგდო ზექიე. ზექიემ სასტიკი უარი უთხრა ხოჯას, რადგან მას არ შეეფერებოდა. ხოჯამ არ მიცა იმის საშუალება, რომ სადმე წასულიყო. ბოლოს ზექიემ დათანხმდა, რომ წავალ ხოჯასთან ერთად აბანოში. როცა შევდენ აბანოში და დაიწყეს დაბანვა, გოგომ ჯერ ნელთბილი წყალით დაბანა, მემრე ადუღებული წყალი დაასხა და ხოჯა მთლათ დამდუღრა და სიკვდილისხანს მიიყვანა, მაგრამ მაინც გააკეთა ხოჯამ, რომ დამწვარი ტანი მოირჩინა, სულ გავიდა ექვსი თვე. საფრანგეთიდან ზექიეს მამამ გამოაგზავნა დეპეშა, რომ მოვდივარ და დამხდითო. ხოჯა შეშინდა, ამიტომ გაგზავნა წინასწარ კაცი ბატონთან შესაგებებლად, რათა მოეტყუებია, რომ ზექიემ ხოჯას არ დაუჯერა და ნამუსი დაკარგაო. როცა დაუახლოვდა ბატონმა ქობულეთს და ეს ამბავი გაიგო, ვაჟს დაავალა, რომ ჩემს სახლში მოსვლამდე მიდი, წაიყვანე ტყეში, დაკალი და სისხლიანი პერანგი დამახვედრეო. მივდა ბიჭი სახლში, წაიყვანა და დასაკლავად, მაგრამ ვერ გაიმეტა, ამიტომ დაკლა ქათამი, შეღება მის სისხლში პერანგი, ხოლო ზექიე დატოვა უპატრონოდ ტყეში, ამ დროს ამ ტყეში სანადიროდ წამოვიდა ერთი ხელმწიფის შვილი. გზაზე დახვდა ტბა. მივიდა ტბასთან, რათა ცხენისათვის წყალი დეელევნებია, მაგრამ ცხენმა ტბაში დაინახა ქალის ჩრდილი და წყალი არ დალია. ხელმწიფის შვილმა მიმოიხედა აქეთ–იქეთ და დაინახა, რომ ხეზე იჯდა ერთი გოგო. ხელმწიფის შვილს მოეწონა ზექიე და წეიყვანა საცოლედ. მიიყვანა სახლში, მშობლებსაც მოეწონათ და გამართეს დიდი ქორწილი. შეეძინათ ორი ვაჟი. ბოლოს ზექიეს ქმარს დაინტერესა ზექიეს ვინაობა და კითხა: საიდან ხარ, როგორ მოხდი იმ ტყეში და სხვა. ქალმა უთხრა, რომ მე სოფელ ქობულეთში ერთ-ერთი ბატონის შვილი ვარ. მამაჩემი საფრანგეთში წევდა, ხოჯამ ჩემზე ნამუსის ახდა მოინდომა, მაგრამ ვერ მიაღწია ამას. ამიტომ მამასთან დამასმინა. მამამ მოსაკლავად გამიმეტა, მაგრამ ძმამ დამტოვა ტყეში. ქმარს დაინტერესა სიმამრის ვინაობა და წევდენ სოფ. ქობულეთში. მაგრამ მამამ და შვილმა გზაში ცნობა მიიღეს და უკან დაბრუნდნენ. ზექიე და ორი ვაჟი კი გამოგზავნეს სოფ. ქობულეთში. როცა ზექიე მიუახლოვდა სოფ. ქობულეთს, შეხვდენ ხოჯის მსახურები, რომლებმაც ზექიეს ორივე ვაჟი მოუკლეს. ზექიემ თხოვა, ხუთი წუთით გარეთ გამიშვიო. მართლაც გაუშვეს. გაიქცა ზექიე და გადავიდა ქუთაისის მხარეში. შეიცვალა ტანისამოსი და ერთ თორნეში დაიწყო მუშაობა. სამ წელიწადს იმუშავა ამ თორნეში. ამ დროს სოფ. ქობულეთში მოდიან ზექიეს ქმარი და მამამთილი. ზექიე კაცის ტანისამოსში გამოწყობილი მოდის ქობულეთში. დაესწრობა კამპანიას მამასთან და დაიწყებენ თითოეული თავიანთი თავგადასავლის თხრობას. ბოლოს რიგი მიდგა ზექიეზე. ზექიემ დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი. აქ იყვენ: ხოჯა, ვეზირები და ზექიე. როცა ეს გაიგონეს, უნდოდათ გამძვრალიყვნენ, მაგრამ კარები დაკეტილი იყო. ამიტომ ბატონმა ბრძანა მათი სასტიკი დასჯა.

ორი მდიდარი

ყო ერთი მდიდარი კაცი. ესტუმრა მეორე მდიდარი კაცი და უთხრა: ვინ გყავს შენ მწყემსიო? პირველმა მდიდარმა უთხრა, რომ მე მყავს ისეთი მწყემსი, რომელიც ტყვილს არ იტყვის თავის სიცოცხლეში. მეორემ უთხრა: ადამიანი იყოს და ტყვილი არ იცოდეს, ეს არ შეიძლებაო. პირველმა კიდევ დაბეჯითებით უპასუხა: ჩემი მწყემსი ტყვილს არ იტყვისო. ამაზე დანიზლავდნენ. მეორე მდიდარმა კაცმა უთხრა, რომ თუ შენ მწყემსს ტყვილი ვათქმიე, მაშინ ნახევარ ქონებას აგართმევ და თუ ვერ ვათქმიე, ნახევარ ქონებას მოგცემ. ამის შემდეგ მეორე მდიდარი ფიქრობს, ახლა რით ვათქმევიო ტყვილიო. ამ მდიდარს ყავს ერთი გოგო, რომელიც შეეკითხა მამას: რას ფიქრობ, მამავ? მამამისმა უთხრა, რად გინდა, სულ ერთია, შენ ვერაფერს დამეხმარები. გოგომ უთხრა: მე დაგეხმარებიო. მაშინ მამამ უთხრა თავისი გასაჭირი. ადგა გოგო და წავიდა. მივიდა ამ მწყემსთან, მაგრამ ცხენიდან არ ჩამოვა. მწყემსი ეტყვის: თუ მიდიხარ, წადი, თუ არა და, ჩამოდი. გოგომ უთხრა: ამეღამ მე ერთი საქმე მაქ და თუ გამიკეთებ, მაშინ დავრჩები. ბიჭმა დათანხმდა. გოგო ჩამოვიდა და მივიდა ბიჭის სახლში. გოგომ უთხრა: ამეღამ უნდა დამიკლა დევი და მისი ფეხები (ბარკლები) სახლში უნდა გამატანოთ. ბიჭმა დაკლა დევი. მეორე დღეს წაიღო დევის ხორცი და წავიდა მდიდართან. გაბრაზებულმა მდიდარმა გამოიბარა მწყემსი. ადგება მწყემსი და წავა თავის ბატონთან. სანამ სახლში მივიდოდეს, მივა ერთ მოჭრილ ხის ჯირეკთან (ჯირკი), დაახურავს ყაბალახს, ჩაიცვამს ჩოხას და ეტყვის, რომ ბატონი ჩვენი დევი გახდა ბოგაზე. მუცელი გამოიფაწლა და მოკვდა. მაგრამ შემდეგ მწყემსი დაფიქრდება და იტყვის: აქამდე ტყვილი არ მითქვამს და არც ვიტყვიო. მივა მწყემსი მდიდართან. მდიდარი ეტყვის: რა დაგემართაო? მწყემსი გულახდილად ეტყვის ყველაფერს: რომ წუხელი მოვიდა ერთი გოგო. მითხრა: ამეღამ შენთან კი ვიქნები, ოღონდ დევი დამიკალიო და მეც დავუკალი. ამ ლაპარაკის დროს ორივე მდიდარი უსმენდა მწყემსს. დივების პატრონმა მეორე მდიდარს აართვა მთელი ქონება. გოგოს მამამ წააგო არამარტო მთელი ქონება, არამედ გონებაც. გოგოც მწყემს მისცა და დაიწყეს კარქი ცხოვრება.

უმცროსი ძმა ახმედი

ყო სამი ძმა. იმ ძმებს შორის ყველაზე უმცროსს ერქვა ახმედი, რომელიც არ იყო მთლიანი ჭკვისა. ბოლოს ძმებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთს გამოყოფოდენ. მართლაც გარიგდენ ძმები. ახმედაი, როგორც ყველაზე მოუხერხებელი, ღარიბად ცხოვრობდა. მისი კუთვნილი ცხვრები ვერავის ვერ მიაბარა, ამიტომ მან თვითონ გარეკა ცხვრები მთაში. აიყვანა მთაში და დატია ერთ ტრიალ მინდორში. თველზე წევიდა ცხვრების ჩამოსაყვანად. ავიდა, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ცხვრები დატია, არც ერთი ცხვარი

დახვდა. დაიწყო ცხვრების ძებნა. შეხვდა ერთი მგელი, დეიკავა და დაუწყო ცემა, რატომ შემიჭამე ცხვრებიო? მგელმა უთხრა: ოღონდ ნუ მომკლავ და მე გიშველიო. მგელმა უთხრა: ეიგერ რომ ჰემშილი არის, მე იმას ცხვარს მოვპარავ, ის მე გამომეკიდება და შენ დანარჩენი ცხვრები წეიყვანე. ამ ახმედამ უთხრა: ერთი ცხვარი წეიყვანე, მაგრამ ყველაზე ხმელი მართლაც მგელმა გაიტაცა. ჰემშილმა გამოეკიდა, ახმედამ კი დარჩენილი ცხვრები წეიყვანა, როცა სოფელს მიუახლოვდა, დაიწყო ყვირილი. ძმებმა დეინახეს და უთხრეს: აქამდე არც ერთი არ გყავდა და ახლა სად ნახეო? ახმედამ უთხრა: მე რომ ცხვრები მყავდა, ევყვანე მთაზე, ერთ მინდორში დავტოვე და ერთი სამად გამიმრავლდა. ეს ძმებმა დაიჯერეს და მეორე გაზაფხულზე, მართლაც, დატოვეს ცხვრები უმწყემსოდ მთაში. მაგრამ თველზე როცა ავიდენ ძმებმა, არც ერთი ცხვარი არ დახვდათ. გაბრაზებულმა ძმებმა დაწვეს ახმედას სახლი. ახმედამ მოკიდა თავის ჯორს დამწვარი სახლის ნახშირი და გასწია. თან წაიღო სამი ოქრო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ მედუქნესთან. მედუქნემ უთხრა: ღამეს გაგათევიებ, მაგრამ ჭვირთს ვერ შეგინახავ. ახმედამ უთხრა სამი მეშოკი (ტომარა) ოქრო მაქვს და არ დამეკარგოსო. მედუქნე შეპირდა, რომ არ დაგიკარგავო. როცა ყველამ დაიძინა, ადგა ახმედაი, აიღო და ყველა ნახშირიანი ტომარა გადაყარა. სამი ოქრო გააჩეჩა ეზოში. როცა გათენდა, ახმედამ მოიკითხა თავისი ოქრო, მაგრამ აღარ იყო. მაშინ ახმედამ უთხრა: სამი ტომარა ოქრო მოგიცია, მოგიცია, თუ არა და, მოგკლავ. შეშინებულმა მედუქნემ მიცა სამი ტომარა ოქრო. ახმედამ მოიკიდა სამი ტომარა ოქრო და გახარებული წამოვიდა სახლში. ძმებმა კითხეს: სად ნახე ამდენი ოქროო? ახმედამ უთხრა: ეი, თქვენ სულელებო, არის ისეთი ქალაქი, სადაც ნახშირი მის წონა ოქროზე იცვლება, მხოლოდ ეს ნახშირი უნდა იყოს დამწვარი სახლის ნახშირი. მაშინ ძმებმა წუუკიდეს ცეცხლი თავიანთ სახლებს. აკიდეს ვირებს ნახშირი და წავიდნენ იმ ქალაქში. მივდენ ამ ქალაქში და დაიწყეს ნახშირის ყიდვა მის წონა ოქროზე. ამის გამგონე ხალხმა დაუწყეს სიცილი: სად გეიგონეთ, რომ ნახშირი მის წონა ოქროზე იცლებოდა და კარგადაც ცემეს. დაღონებული ძმები დაბრუნდნენ უკან. ძმებმა გადაწყვიტეს ახმედასთვის სამაგიერო გადაეხადათ. მართლაც მოუკლეს ახმედას ცოლი. დაღონებულმა ახმედამ აიღო ეს მკვდარი ცოლი, მიაკრა ცხენზე და გაუდგა გზას. დაუღამდა ერთ ადგილას. იქ მახლობლად ქორწილი იყო გამართული. ახმედაიც დაპაიჯეს ამ ქორწილში. ახმედამ თავისი მკვდარი ცოლი ჩამოხსნა ცხენიდან, თითქოს, ცოცხალი და შეიყვანა დედოფლის ოთახში და თან თქვა გაბრაზებულად: ამ ჩემ ცოლს არც აჭამოთ და არც ასვათ. თვითონ კი შევიდა მეორე ოთახში და ჭიჭინადან (ჭუჭრუტანი) უყურებდა დედოფლის ოთახში. ქალებს შეეცოდათ ახმედას ცოლი და დაუწყეს ხვეწნა, რომ ჭამე საჭმელიო. მკვდარი ქალი უცებ დაეცა. ქალები შემოეხვივნენ მკვდარს, მაგრამ ვერაფერი ვერ გააგებიეს. ამ დროს შემოვარდა ახმედაი და იყვირა: რატომ მომიკალით ცოლიო. თუ მომცემთ პატარძალს, არაფერს ვიტყვი, თუ არა და, ყველას გადავწვავ. შეშინებულმა ხალხმა მიცეს ახმედას პატარძალი. ახმედამ წამეიყვანა სახლში. ძმებმა შეეკითხენ: სად ნახე ასეთი მშვენიერი ქალიო? ახმედამ უპასუხა: ამა და ამ ქალაქში, მკვდარ ქალებს ცვლიან ცოცხლებშიო. ძმებმა კიდევ დაიჯერეს ეს და იცნეს თავიანთი ცოლები და გაუდგნენ გზას. მივიდნენ იმ ადგილზე და დაიწყეს ყვირილი: მკვდა-

რი ქალი – ცოცხალ ქალზე. გაბრაზებულმა ხალხმა ცემეს და გამოაგზავნეს უკან. დაღონებულმა ძმებმა დიდი ფიქრის შემდეგ მოინდომეს ახმედას მოკვლა.

ძმებმა გააკეთეს დიდი იაშიკი და ახმედას თხოვეს, ჩასულიყო იაშიკში და ენახა სინათლე თუ შემოდიოდა. ახმედაი მართლაც ჩაძვრა იაშიკში. ძმებმა დააჭედეს ზეიდან ძელები და წაიყვანეს მდინარეში გადასაგდებად. როცა მიიყვანეს მდინარესთან, ძმებმა ჩხუბი დეიწყეს: არა შენ გადააგდე და არა შენო. როცა ვერც ერთმა ვერ გაბედეს, წევდენ კაცის მოსაყვანად. ახმედამ დრო იხელთა და დეიწყო ყვირილი: მეფის ქალს მაძლევენ, არ მინდა და იმიტომ წყალში მაგდებენო. იქ ახლოს იდგა ერთი ჰემშილი, გეიგონა და მივდა იაშიკთან და თან უთხრა: ამოდი შენ, მე ჩავჯდები და წავიყვან მეფის გოგოსო. გახარებული ახმედაი წევდა სახლში. ძმებმა მეიყვანეს კაცი და იაშიკი გადააგდეს წყალში. როცა სახლში დაბრუნდნენ: ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა ახმედაი ჰემშილის ცხვრით. ძმებმა უთხრეს, შენ ხომ წყალში ჩაგაგდეთ, აქ საიდან მოხველიო? ახმედამ უთხრა: ეი, თქვენ სულელებო, ცოტა რომ მაგრად მიგეკრათ ფეხი იაშიკზე, კამეჩებს ამოვიყვანდიო. მაშინ ძმებმა იფიქრეს თვითონაც წასულიყვნენ ამ მდინარეში. მართლაც წევდენ, როცა მივდენ, ერთმა თქვა: როცა წყალში ჩავალ, შენ მიყურე და თუ კამეჩებს დავინახავ, ხელს დაგიქნევ და შენც წამოდიო. როცა ერთი ძმა ჩევიდა წყალში, ხრჩობა დაიწყო და ძალაუნებურად ხელების ქნევაც დაიწყო. მეორე ძმას ეგონა, მართლა ბევრი კამეჩებიაო და გადახტა მდინარეში და დაიხრჩენ ორივე. ახმედამ კი განაგრძო ბედნიერი ცხოვრება.

შიფრი: ბსკიფა 23, 24.
მთქმელი: ტარიელაძე ზურაბ ალის ძე.
ასაკი: 16 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959.

ტარიელაძე ზურაბ ალის ძე, 16 წლის, მოსწავლე. ნამყოფია ბათუმში, თბილისში, კომკავშირელი. ზღაპრები მოსმენილი აქვს მამისგან.

ყაფლანი და ყერიბოლლი

Ayo ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი. საკმაოდ მოხუცდნენ, მაგრამ შვილი არ ყავდნენ. წავიდა მოხუცი ერთ მკითხავთან და მოახსენა მკითხავს თავისი გაჭირვება. მკითხავმა ურჩია: ერთი ღელის პირას არის ერთი ვაშლი, ის ჭამეთ ორივემ და შვილი გაგიჩნდებათ. მოხუცმა წავიდა ვაშლის მოსატანად. მოიტანა ეს ვაშლი, ჭამეს და გაუჩნდათ შვილი, რომელსაც დაარქვეს ყაფლანი. ეს ბიჭი ერთხელ მინდორში თამაშობდა. თამაშობის დროს ერთ მოხუცს გუგუმი გაუტეხა. მოხუცმა დასწყევლა იგი, რომ ღმერთმა ცხრა ძმა დევის დის სიყვარული ჩაგიგდოს გულშიო. ბიჭმა მივიდა სახლში, უთხრა და თვითონ

წავიდა ცხრა ძმის დევთან. გაიარა ერთ წისქვილში. დაინახა მეწისქვილე. მეწისქვილეს თან ეახლა ამ ბიჭისოდენა ბავშვი. ამ მოხუცმა მოუყვა, თუ როგორ გაუჩნდა ეს შვილი და ესენი აღმოჩნდნენ ძმები, ერთი ვაშლიდან გაჩენილი. ამათ დაძმობილდნენ. ამ ბიჭს ერქვა ყერიბოღლი. ეს ბიჭიც წაყვა ყაფლანს ცხრა ძმა დევის საძებრად. გაიარა რამდენიმე წელმა და ესენი დავაჟკაცდნენ, შეიქმნენ დიდი ფალავნები. მიადგენ ერთ კოშკს, ეს კოშკი იყო ცხრა ძმა დევის სახლი. ეს დევები სანადიროდ იყვნენ წასული. ძირს დიდი რკინის კიბე იყო. მიაყუდეს და ავიდენ კოშკში. ამ დროს დაბრუნდენ ნადირობიდან დევები. გაუკვირდათ, ჩვენ, ცხრა ძმა დევი, ძლივს ვაყუდებდით და ამათ ორს აუყუდებიათო. შეშინდენ და დაუძმობილდნენ ამ ბიჭებს. ყერიბოღლი დადევდა დევებს სანადიროდ. ცხრა ძმა დევს ყავდა ერთი და, რომელიც ყერიბოღლიმ შერთო ცოლად ყაფლანს და ისინი სახლში ცხოვრობდენ. ცხრა დევმა დააბარეს ყაფლანს, მეცხრე კოშკში არ უნდა ასულიყო და კარი არ უნდა გაეღო. როცა ყაფლანის ცოლს ეძინა, ყაფლანმა მას თმებში უნახა გასაღები. ავიდა, მეცხრე სართული გააღო. ამ დროს აქ ცხრა ძმა დევის მამას დამბული ყავდა ცხრათავიანი დევი. დევის ახლოს იდვა დიდი ხმალი, რომელიც ყაფლანმა ვერ ზიდა. დევიმ თვითონ მიათრია ხმალი, დაჭრა ეს ზენჯირები, აიშვა და თან მოსტაცა ამ დევმა ყაფლანს ცოლი და გაიქცა. როცა დაბრუნდა ყერიბოღლი, ყაფლანი დატოვა და თვითონ წავიდა ყაფლანის ცოლის საძებრად. მან დაუბარა: თუ სამ წელში, სამ საათში და სამ წუთში არ დაბრუნდებოდა, მაშინ მოეკლათ ყაფლანი. წავიდა ყერიბოღლი. მას დაუძმობილდა მღვდელი ბელტიყლაპია და მეწისქვილე. გავიდენ ერთ ტრიალ მინდორზე, გააკეთეს პატარა სახლი და იქ ითევდენ ღამეს. თურმე ამ მინდორის შუაში არის ამ ცხრათავიანი დევის გამოქვაბული. როცა ყაფლანი სანადიროდ იყო წასული, მღვდელი აკეთებდა საჭმელს. ცხრათავიანმა დევმა უთხრა: მოდი და მოიტანე საჭმელი მთლიანად და ჩამასხი პირშიო. როცა ყაფლანი დაბრუნდა, მშიერი იყო. მღვდელმა უთხრა, რომ გამვლელები ბევრი იყვნენ და შენ აღარ დაგჩა. ასეთივე ამბავი მოუვიდა მეწისქვილეს და ბელტიყლაპიასაც. ახლა სახლში დარჩა ყერიბოღლი. მოვიდა ცხრათავიანი დევი და მოთხოვა საჭმელი. ყერიბოღლიმ საჭმელი კი არ მისცა, არამედ აიღო ხმალი და მოკლა დევი. იქვე ახლოს დაინახა დიდი ორმო, რომელშიც იყო ყაფლანის ცოლი. ამ დროს დაბრუნდნენ ბელტიყლაპია და მეწისქვილე. ორმოში პირველად ჩაუშვა ბელტიყლაპია, როცა მიუახლოვდა ძირს, ბელტიყლაპიამ დაიძახა: ვიწვი, მიშველეთ, ზეით ამიტანეთ. შემდეგ ჩავიდა მეწისქვილე, მეწისქვილესაც ასე მოუვიდა. შემდეგ წავიდა ყერიბოღლი. მან დააბარა, რამდენსაც დავიძახებ ვიწვი, იმდენად ძირს დამიშვითო. როცა თანდათან ძირს იწევდა ყერიბოღლი, ყვიროდა ვიწვიო, მაგრამ უფრო ძირს ეშვებოდა. ჩავიდა ძირს და ამოიყვანა პირველად ყაფლანის ცოლი. როცა ყაფლანის ცოლი ამოვიდა ზევით, მეწისქვილემ და ბელტიყლაპიამ, იმის გამო რომ მოეწონათ ქალი, ყერიბოღლი შით დატოვეს და წამოიყვანეს ქალი. გავიდა ორ წელიწადზე მეტი. ერთხელ, მტრედის ბუდეს, რომელიც ამ ორმოს ერთ-ერთ კუთხეში იყო გაკეთებული, ძერა დაესხა თავს და ბარტყები უნდა შეეჭამა, მაგრამ ესროლა ქვა ყერიბოღლიმ და მოკლა ძერა. როცა დაბრუნდა მტრედი, გაიგო ყერიბოღლის გულკეთილობა და დახმარება და უთხრა, როცა გაგიჭირდეს, მაშინ გამიხსენეო. ყერიბოღლიმ თხოვა, ამიყვანე ზევითო.

მტრედმა ფრთებზე შეისვა ყერიბოღლი და აიყვანა ზევით. ყერიბოღლიმ მადლობა გადაუხადა მტრედს და წავიდა მეწისქვილის და ბელტიყლაპიას საძებრად. ერთ ტრიალ მინდორზე დაინახა, რომ მეწისქვილე და ბელტიყლაპია ყაფლანის ცოლზე დავობდნენ. ესენი ორივე მოკლა და წავიდა ყაფლანის სამყოფელისაკენ. წაიყვანა ქალი. დანიშნულ დროს ერთი წუთით გადააცილაო. დევები უკვე კლავდენ ყაფლანს, ერთჯერ უკვე გამოუსვეს ყელში დანა, მაგრამ მიუსწრო ყერიბოღლიმ და შეაჩერებია კვლავ. დახოცა ყველა დევი. შერთო ცოლად ყაფლანს ქალი და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

შიფრი: ბსკიფა 23, 25.
მთქმელი: ცენტერაძე ისმაილ მამუდის ძე.
ასაკი: 80 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ცენტერაძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ცენტერაძეები.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959.

ცენტერაძე ისმაილ მამუდის ძე. 80 წლისა შრომის უნარსმოკლებული. წერა-კითხვის მცოდნე. ნამყოფია: თბილისში, ბაქოში, ბათუმში და სხვა. ცხოვრობს ბარათაულის ს.საბჭოს სოფ. ცენტერაძეებში, მის რეპერტუარში შედის: ზღაპრები და გამოცანები.

ბოროტი ხელმწიფე

Ერთ ხელმწიფეს სამი შვილი ყავდა. ერთხელ დაიბარა და უთხრა: ჯირითი გეიქნიეთ თვითეულმა, ვის სახლშიც დაეცემა, იმის გოგოს გათხოვნიებო. დიდმა ძმამ გეიქნია და დეეცა საშუალო შეძლების სახლში. მემრე შუათანა ძმამ გეიქნია. მისი ჯირითიც საშუალო შეძლების ოჯახში დეეცა. დაქორწილდენ პირველი და მეორე ძმა. შემდეგ გეიქნია პატარა ძმამ, არც ერთ სახლს არ დეეცა. ბოლოს მეორედ გეიქნია და დეეცა ერთ პატარა ბაყაყს. ბიჭმა იფიქრა, ეს ყოფილა ჩემი ყისმეთი (ბედი). ჩეიდო ჯიბეში და გაუდგა გზას. მივდა ერთ დიდ ტრიალ მინდორზე. დეინახა, რომ ერთი მოხუცი ყირათ (თეთრ) ცხენს მოაჭენებდა. როცა მოვდა ახლოს მოხუცი, ბიჭს შეეკითხა, რომ რა გაქვს ჯიბეშიო. ბიჭმა უთხრა სინამდვილე. მაშინ მოხუცმა გააფრთხილა, რომ ეს ბაყაყი ლამაზად შეინახე. აქედან რომ წახვალ, ორი გზა შეგხდება, აუცილებლათ მარცხენა გზით წადიო. იქ ერთი სახლი შეგხდება. იმ სახლში კაცი არ იქნება. გააღებ სახლს, შეხვალ შიან და საცხა ლოგინებია დაწყობილი, ამ ბაყაყს იქ დადებ და დუუძრავ კარსა. შენ როცა მოგშივდება, საჭმელი მისით მოვა. მერე იტყვი: ნეტავი, ერთი ლოგინი დაეგებოდეს, შიგ ლამაზი გოგო გაჩნდებოდეს და მეც შიგ დავწვებოდე. მართლაც მივიდა ბიჭი სახლში და რაც ინატრა, ყველაფერი შუუსრულდა. ცხოვრობდნენ ბედნიერად. ერთხელ ბიჭმა უთხრა ქალს, რომ მოდი და მამაჩემს დავპატიჟებო. ქალმა უთხრა: ჭკვა რომ გქონდეს, არ დაპატიჟებ. ბიჭმა მაინც თავისი გააკეთა. წავიდა მამასთან. მივდა და დიდი ამბით დაპატიჟა მთელი ჯარით. მამამ

ეს არ დაიჯერა და უბრძანა, შვილი შეეგდოთ ციხეში და მემრე მოეკლათ. მაშინ შვილმა უთხრა: თუ ასეა, ოთხი კაცი წამოდით და თუ მე არ შემიძლია თქვენ გაგიმკლავდე (ამ შემთხვევაში, გაგიმასპინძლდე), მაშინ მართლაც დამკალითო. როცა მიუახლოვდნენ ბიჭის სარაიას, დაინახა შვილმა, მამას გაუკვირდა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს.

როცა მივდენ სახში, მამას მოეწონა შვილის ცოლი და გადაწყვიტა როგორმე შვილისთვის წეერთმია. ხელმწიფემ გადაწყვიტა, შვილისათვის გამოეძებნა ისეთი მიზეზი, რომლებიც შვილის დაღუპვას გამოიწვევდა.

როცა დაჯდენ საჭმელად, მამამ უთხრა შვილს: ხომ ხედავთ, ორმოცდაერთი კაცი ვართ. უნდა ნახო ისეთი ყურძნის მტევანი, რომელსაც ორმოცდაერთი კაკალი ექნება, ჰემ ვჭამოთ და მაინც არაფერი არ უნდა მოაკლდესო. ბიჭმა მართლაც დიდი გაჭირვებით შეასრულა მამის დავალება და გადაარჩინა დაკლას.

მაშინ ხელმწიფემ უთხრა შვილს: წადი და შენი დედის (ჩემი ცოლის), რომელიც მკვდარია, იმის ბეჭდები მომიტანე, თორემ თავს მოგჭრი. ბიჭმა მივდა ცოლთან და აუხსნა თავისი გაჭირვება. ქალმა დაამშვიდა და უთხრა: წადი და ერთ ტუნელში ნენეი შეგხდება და ის გასწავლის შენ ანას გზას. ბიჭი მართლაც მივა დედასთან და ეტყვის: შენი ბეჭდისათვის მკლავენ და მიშველეო. დედამ უთხრა: მამაშენის ოთახში ოქროულობა რომ არის, იმის ქვეშ არის ჩემი ბეჭდები. როცა მიხვალ მამაშენთან, მამაშენი გეტყვის: რა დაგაბარა დედაშენმაო და რა დაგარიგაო. შენ უთხარი: ის დამაბარა, რომ შენ გაჩერდი თვარამ (თორემ), მოტყვილდები, რაცხა დეგემართება. მივდა ბიჭი. მამამ უთხრა: ბეჭდები გინახავს, მაგრამ, აბა, ერთი ეს მითხარი, დედაშენმა რა დაგაბარა? ბიჭმა უთხრა: ის დამაბარა შენზე, რომ გაჩერდეს, თვარა მოტყვილდება და რაცხა დაემართებაო.

ხელმწიფემ (მამამ) იფიქრა, იფიქრა და შვილს კიდევ უთხრა: ისეთი კაცი უნდა მომიყვანო, რომელიც ორი მტკაველი უნდა იყოს, სამი მეტრო წვერი უნდა ქონდეს და ხელში დიდი ლომი უნდა ეჭიროს. ქალმა უთხრა: ნუ გეშინია, იმფერი ძმა სწორედ მე მყავს. წევდა ქალმა და მეიტანა ერთი სკივრი, სადაც ის კაცია დამწყდევლი. ქალმა გააფრთხილა ბიჭი, სკივრი შენ არ გააღო, მამაშენმა გააღოს. დუუდვა სკივრი მამას. რავარც ხელი წააკარა მამამისმა სკივრს, ამოვარდა ეს პატარა კაცი, შემოკრა თავში და მამამისთან ერთად მთლიანად გაანიავა. ამის შემდეგ ბიჭმა განაგრძო ბედნიერი ცხოვრება.

ხელმწიფის და ცლების შეილები

Aყო ერთი ხელმწიფე, ყავდა ერთი ბიჭი. გადაწყვიტა, ეშვილებია მეორე, ოღონდ უნდა ყოფილიყო თავისი ბიჭის მსგავსი. გაგზავნა ვეზირი და უთხრა, რომ მოიყვან ჩემი ბიჭის მსგავს ბიჭს, თუ არა და თავს მოგჭრიო. წევდა ვეზირი. მივდა ერთ მოხუცებთან და ნახა, რომ ყავთ ერთი ბიჭი, რომელიც ძალიან გავს ხელმწიფის შვილს. წამოიყვანა ეს ბიჭი და მოხუცებიც ხელმწიფესთან. ბიჭი მიიყვანა ჰამაგში, დაბანა, ჩააცვა, დაახურა და როცა ხელმწიფის შვილის გვერდით დააყენა, ხელმწიფემ ვერც კი იც-

ნო თავისი შვილი. ხელმწიფემ ვეზირი დააჯილდოა. მეფის შვილი და გლეხის შვილი დაძმობილდნენ. მეფის შვილმა უთხრა: მოდი და წევდეთ სამგზავროდ, ვნახოთ რას შევხდებითო. ღარიბის შვილმა უთხრა: ნუ წავალთო, მაგრამ მან თავისი არ დაიშალა. მაშინ გლეხის შვილმა უთხრა: მამაჩვენს დავემშვიდობოთო. შევიდნენ ხელმწიფესთან და გლეხთანაც. დაემშვიდობენ. მეფემ მიცა ბევრი ფულები. იარეს, იარეს და ბოლოს ფული სულ გამოელიათ, ამიტომ ღამეს საქათმის თავზე ითევდენ. როცა ძალიან მეემშიენ (მოშივდენ), გლეხის შვილმა უთხრა: წავალ და პურს მოვიტანო. წევდენ. ბიჭმა იმუშავა და მეიტანა პური. მეორეჯერ როცა წევდა, დაინახა, რომ ბავშვებს დაეკავათ ძაღლი და ახრჩობდენ. ბიჭმა ფული მიცა და გააშვებია. ბიჭი ყოველდღე უზიდავს თავის ძმობილს პურს. ერთ დღეს დაინახა, რომ სოფელში შესულა ერთი სომეხი, მოჭრის კისერს ქათამს, გაუსინჯავს კისერს და გადააგდებს. ამ ბიჭმაც გადაწყვიტა, ეყიდა ერთი მამალი და დაეკლა. სომეხმა ბევრი ფული წააძლია, მაგრამ ბიჭმა არ მიცა.

მიიყვანა მამალი, დაკლა და აღმოჩნდა მამლის ჩიჩახვში ერთი ოქროს ბეჭედი. ბიჭმა ოქროს ბეჭედი ენის ქვეშ ჩაიდვა. ამ დროს მოესმა: დაიძახე და რაც გინდა, გაგიჩნდება. ბიჭმა მართლაც მოითხოვა ერთი დიდი სარაია. მეორე დღეს გამოიარა სომეხმა და დაინახა რა სახლი, დარწმუნდა, რომ ჩემი ბეჭედი ამას აქვსო. ამის შემდეგ ხელმწიფის შვილმა თხოვა თავის ძმობილს, რომ დამასახლეო. წევდა ეს ბიჭი და მივდა ერთ ხელმწიფესთან. ხელმწიფემ უთხრა: ჩემ სახლისწინ თუ ერთ დიდ სარაიას ამიშენებ, მაშინ მოგცემ ჩემ გოგოს რძლადო. ბიჭმა შეუსრულა პირობა. გადაიხადეს დიდი ქორწილი. მეფის შვილი შეაგდეს გოგოსთან. შემდეგ ხელმწიფის შვილმა ძმობილს თხოვა ბეჭედი. აართვა ბეჭედი, დადვა სკივრის თავზე და თვითონ წევდა სათევზაოდ. ამ დროს გამოიარა სომეხმა და ყვიროდა: ახალი ბეჭდები ვის უნდა ძველ ბეჭდებშიო. ამ ხელმწიფის შვილის ცოლი მოძებნის ძველ ბეჭდებს, სახლში ნახავს, სკივრის თავზე ერთ ძველ ბეჭედს. სომეხი აართმევს ბეჭედს და შემდეგ შეთხოვს ბეჭედს, რომ ერთ ზღვას გაღმა ამ ქალითა და სახლით გამაჩინეო. მოვლენ ძმები და დახვდებიან ცარიელი საქათმის თავი. საქათმის თავთან ზიან გლეხის შვილის მიერ გადარჩენილი კატა და ძაღლი. კატამ უთხრა ძაღლს, რომ ჩვენ პატრონებს რაღაც უჭირთო და მოდი, ჩვენ სანადიროდ წევდეთო. მივლენ ერთ დიდ ზღვასთან, დაინახავენ თევზს და გამოეკიდებიან. ძაღლმა შეისვა კატა და მივდენ იმ სარაიასთან, სადაც სომეხი და მისი ცოლი ცხოვრობდნენ. ძაღლი ძირს დარჩა. კატა აცოცდა და შეძვრა სახლში. დაინახა, რომ კაცს ბეჭედი პირში აქვს შენახული. იქვე დეინახა თაფლი, გუუსვა შით კუდი, შემდეგ ამოუსვა პირში სომეხს, სომეხს დაახველა და პირიდან ამოუვარდა ბეჭედი, კატამ დაახტა და გამოიქცა. როცა ზღვაზე მოდიან, ძაღლი ეტყვის: რა გააკეთე, მითხარ და გაგიყვან, თორემ ზღვაში გადაგაგდებო, კატამ უთხრა: ჩვენ პატრონს რომ ბეჭედი დაეკარგა, ის ვუნახე და მომაქვსო. ძაღლმა უთხრა: მე მომეცი და მივიტან. კატამ უთხრა: შენ ვიღაცას დეინახავ, დაყეფ და დაგვეკარგებაო. ძაღლმა მაინც აართვა. გამოსვლის ხანს ძაღლმა მეთევზეები დაინახა და დაყეფა. გაუვარდა ბეჭედი. კატამ და ძაღლმა დეიწყეს წკმუილი. მეთევზეებს შეეცოდათ და მიცეს სამი თევზი. კატა გაწლავს სამივე თევზს და მესამე თევზში აღმოჩნდება ბეჭედი. ადგებიან კატა და ძაღლი და მივლენ პატრონებ-

თან. ღარიბის შვილმა უთხრა მეფის შვილს: ხომ ხედავ, ძმავ, შენ მეუბნებოდი, კატა და ძაღლი რას გარგებს, რომ მაგათ გამოსახსნელად ფული გადაიხადეთ. ახლა ხომ დარწმუნდი, რომ მაგათაც შეუძლიათ დახმარება. ბიჭმა შამეიდვა ენის ქვეშ ბეჭედი და თქვა: ის სომეხი და მისი ქალი თავიანთი სახლით აქ გააჩინეთო. მართლაც გაჩნდა. სომეხი მოკლეს. წამოიყვანეს ქალი და მივდენ სახლში. მამამ კითხა: რა ნახეთ და რა გადაგხდათო? შვილებმა უთხრეს: მამავ, შენ რომ ერთ წელიწადს გესწავლებია, იმდენს ვერ ვისწავლიდით, რამდენიც, ჩვენ ამ მგზავრობით ვისწავლეთ.

ახმედ აღა

იყო ერთი ღარიბი კაცი, რომელიც ერთ დროს აღა იყო და წევდა სხვაგან. შეხდა მეორე კაცი, რომელსაც ახმედ აღა ერქვა. მან უთხრა: დაგიყენებ მოსამსახურედ, თუ ყოველ დილაზე ნედლ თევზს მომიტან და მაჭმევო. ეს ღარიბი აღა დათანხმდება. დადის ყოველ დღეს სათევზაოდ. ამ მიდამოებში ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი. ამ კაცს ვიღაცამ ასწავლა, ახმედ აღასთან რომ კაცია, ის ყოველდღე თევზაობს. სამ დღეს წაყევი და პირველად რომ თევზს დაიჭერს, რაც არ უნდა დაგიჯდეს, იგი აართვი და თუ გაზენგილდები, მხოლოდ მაშინ. მართლაც წაყვა ეს ღარიბი. პირველ დღეს აართვა, მეორე დღესაც აართვა. მესამეჯერ რომ წაყვა, ახლოს აღარ მიუშვა. ბოლოს რომ აღარ მოეშვა, პირველი თევზი არ მიცა, შეცვალა და მეორე მიცა. ჩეიდვა ჯიბეში. როცა სახლში მივდა, ამოიღო, გაჭრა და ნახა პატარა სტიქანი. შიგ წყალი გამოავლო, გამოავლო. წყალი როცა გადაასხა, ოქრო დახვავდა. სხვა წყალზე გააკეთა. კიდევ ოქრო დახვავდა. სხვა სტიქანი გასინჯა, მაგრამ არაფერი არ გამოვდა. შეაგროვა ოქრო და იფიქრა: რაღად მინდა მოჯამაგირედ ვიყო. მართლაც, გამოეთხოვა ახმედ აღას და წავიდა. იარა, იარა, და მივდა ერთ ხელმწიფესთან და თხოვა: შენთან ახლოს სახლს ავაშენებო. გააკეთა ხელმწიფეზე უკეთესი სახლი. უკვირდათ ხელმწიფეს ოჯახში, ჩვენ არ გვაქვს მაქხელა სახლი და იმ უბრალო ღარიბმა როგორ გააკეთაო. ერთხელ ხელმწიფე წევდა სანადიროდ. სახლში დარჩა ახალგაზრდა გოგო. გოგოს დააინტერესა, როგორ მოახერხა ამხელა სახლის აშენებაო. მეთევზესთან კავშირი დაამყარა და გაიგო, რომ იმ ერთი ჭიქით ააგო მთელი სახლი. გოგომ უთხრა მომყიდეო. ამ კაცმა უთხრა: ერთ ღამეზე დაწოლის ნებას თუ მომცემ შენთან, მოგცემო. გოგომ დაეთანხმა. მისცა ჭიქა, მაგრამ გოგო ფეხმძიმედ დარჩა. ხელმწიფემ გაიგო და გადაწყვიტა, შვილი მოკლას. ადგება გოგო, ჩაიცვამს კაცის ტანისამოსს და გეიქცევა. გააკეთებს დიდ სარაიას. მოაწყო კარგად სახლი. ვინც სტუმარი მივდოდა მასთან, დილით ერთ ოქროს მიცემდა და ისე გაგზავნიდა. ეს გაიგო გოგოს მამამაც. იფიქრებს, წავალ მთელი ჩემი ჯარით და კარგ ფულსაც გავაკეთებო. გოგომ ჩამოიცვა ნიღაბი და მიიპატიჟა ხელმწიფე. ხელმწიფემ უთხრა: საიდან აკეთებ ამდენ ფულსო? გოგომ უთხრა: ამას ვპოულობ მე ამ ჭიქით და თან აჩვენა ჭიქა. ხელმწიფემ თხოვა ჭიქა. მაშინ გოგომ მოთხოვა ხელმწიფეს ისეთი რამ, რაც შეუძლებელი იყო. ხელმწიფემ მაინც იკადრა და დათანხმდა. გოგომ გა-

უმჟღავნა თავისი ვინაობა და თან შეარცხვინა, მე თუ მოვტყუვდი ამ ჭიქის გულისთვინ, მე მაინც ქალი ვიყავი და შენ კი კაცი ტყუვდები და მე კი მკლავდი, ნამდვილი მოსაკლავი შენ ყოფილხარ. გოგომ გახადა კანონიერ მეუღლედ მეთევზე, ხოლო მამამისი რამდენიმე ხანს მოსამსახურედ ამუშავა.

შიფრი: ბსკიფა 23, 30
მთქმელი: შარაშიძე ხუსია სულეიმანის ძე.
ასაკი: 75 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ინწკირვეთი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ინწკირვეთი.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959

შარაშიძე ხუსია სულეიმანის ძე, 75 წლისა. სოფ. ინწკირვეთის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი. ჰყავს 6 შვილი. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები. ნამყოფია თბილისში, ბაქოში, ბათუმში.

ერთი ადა

ერთ აღას ერთი შვილი ყავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს შვილიც მოუკვდა. დედამ ბევრი იტირა. აღა კი ქალაქში დადის და ყავახანებში ატარებს დროს. ამ დროს გამოიარა ერთმა გლეხმა და კითხა ქალს: რატომ ტირი ასე მაგრად? ქალს მოატყუა, რომ (საიქიოდან) იმ დუნიიდან მოვდივარ. ქალმა დაიჯერა და აიყვანა სახლში. ქალმა უთხრა: აბა, მითხარი, რა გაჭირვება აქვს ჩემ შვილს იმ დუნიას. კაცმა უპასუხა: ასი მანეთი და ერთი წყვილი კოსტუმ-შარვალი უნდაო. აღის ცოლმა იმ წუთში თერძთან კაცი გაგზავნა და შეაკერია კოსტუმ-შარვალი. ისესხა ასი მანეთი და გაატანა ამ კაცს. ამ დროს მოვდა აღაც, ქალმა უთხრა: რომ ასე და ასე, ჩვენ შვილს ერთი მანეთი და ერთი კოსტუმ-შარვალი ჭირდებოდა და ახლა გავატანე ერთ კაცს, რომელიც ახლახან წევდა და თან წაიღო ჩვენ შვილთან. აღამ კითხა: საითკენ წევდა ის კაციო? აღა გამოეკიდა, როცა მიუახლოვდა, გლეხმა იფიქრა, უკვე დამეწევაო. ამიტომ მივდა იქვე, ყანაში მომუშავე გლეხთან და უთხრა: შენს საცემლად მოდის აღა, ადი ხეზე და დაიმალე. მე კი შენს მაგივრად ვხნავო. გამოიარა აღამ და კითხა ამ გლეხს: სად წავიდა გლეხი რომ გარბოდაო? ამან უთხრა: აი, აგერ, ხეზე ავიდაო. აღა წავიდა ხისაკენ, ცხენი ძირში დატოვა. მივდა გლეხი, შეახტა ცხენს და მოკურცხლა. მოტყუებული აღა დაბრუნდა სახლში. ცოლმა კითხა: ცხენი სად წეიყვანეო? აღამ აღარ იკადრა და უთხრა ცოლს: იმ დუნიას კაცი ფეხით ხომ არ მივდოდა, ამიტომ დავეწიე, ცხენი მივეცი და მე კი უკან დავბრუნდიო.

* * *

ყო ერთი ღარიბი კაცი. მივდა ერთ სოფელში. დაუღამდა, სოფელში არვინ არ დააყენა. მივდა ერთ ვერანა სახლში, შეძვრა ჭერში და დაწვა. ამ ჭერში კაკალი იყო გაფენილი. გავიდა რამდენიმე ხანი და დაინახა ამ კაცმა, რომ ქვევით ლამპა გეენათა. მოვდენ ორი შეყვარებული გოგო და ბიჭი. გოგომ უთხრა ბიჭს: თუ შეიძლება ქალის ეს უსახელო ნაწილი, რაიმე იარაღის გარეშე გაკეთდესო. ამ დროს ჭერში რომ კაცი იყო, იმან დაიწყო კაკალის ტეხა და ქვევით გადმოყარა. თან დაუძახა: თუ შეიძლება უქუხოდ და უწვიმოდ ასეთი ხოშკაკალი იყოსო და კაკლების გადმოყრას მოუმატა. შეყვარებულები შეშინდენ და გაიქცენ.

* * *

ყო ერთი კაცი. მას ყავდა ერთი კარგი შეყვარებული. დადიოდენ ერთ დიდი ნაძვის ძირას და იქ არშიყობდენ. მათი არშიყობის ამბავი გაიგო მათმა მეზობელმა. ერთხელ, დილით, ადგა ეს კაცი და მივდა ამ ნაძვის ძირში და ავიდა ნაძვზე. ამ დროს მოვდენ შეყვარებულები. როცა ერთმანეთს ესაყვარლებოდენ, გოგომ დაინახა ნაძვზე ასული კაცი. ძირში მყოფ კაცს შეეშინდა, დატოვა შეყვარებული და გაიქცა როგორც ცხენი. ნაძვიდან ჩამოვიდა ამ კაცის მეზობელი და თვითონ გაეარშიყა ამ გოგოს. გოგოს შეყვარებული კი გარბოდა ისე, რომ ერთხელაც აღარ შემოუხედავს უკან.

ღვლი მქქი

ყო ერთი ხვანთქარი. ყავდა ერთი ყაშმერი კაცი, დელი მემედი. ხვანთქარმა უთხრა: ყოველდღე უნდა მელაპარაკო ისეთი ამბები, რომ სულ ყოველთვის ვიცინო. მართლაც, პირნათლად ასრულებდა თავის პირობას. გევდა რამდენი ხანი და ხვანთქარმა უთხრა დელი მემედს: უნდა დაგაქორწინო. დელი მემედმა უთხრა: მე ცოლის მოყვანა არ მინდა, რადგან ქალს ვერ დავცავ და ვერც მოვუვლი. ხვანთქარმა უთხრა: სახლს გაგიკეთებ ზღვაში ისე, რომ იქ ვერავინ ვერ მოვა. მართლაც, დააქორწინა დელი მემედი. გაუკეთა კარგი სახლი ზღვაში და დაიწყო ბედნიერად ცხოვრება. დელი მემედი დადიოდა ხვანთქართან და ბევრს აცინებდა, ხოლო საღამოობით ბრუნდება სახლში. გავიდა რამდენიმე ხანი. იქვე ზღვაში თევზს იჭერდა ერთი ლაზი. ფანჯარაზე გადმომდგარი ქალი რომ დაინახა, კინაღამ თვალები დაუბნელდა. ეს ლაზი გადაწყვეტს, როგორმე მივიდეს დელი მემედის ქალთან. იქვე დეინახავს ერთ ჯაზ ნენეს. ლაზმა თხოვა ნენეს, რომ როგორმე გამიკეთე საქმე დელი მემედის ცოლთან. ნენემ უთხრა: წადი, ნახე ისეთი სკივრი, რომელშიც შენ ჩაეტევი და მომიტანე. ლაზმა დააჭედია მართლაც კარგი სკივრი და შიგნიდან გაუკეთა საკლეტი. გარედან კი არაფერი არ ეტყობოდა. მოიტანა დედაბერთან, თვითონ ჩაძვრა სკივრში. ადგა დედაბერი, მივდა სახლთან ახლოს და დაუცადა დელი მემედს. რო-

ცა მოვდა დელი მემედი, უთხრა დედაბერმა: ეს სკივრი შემინახეო, თუ არ მოველი, ალალი იყოს შენზე.

ჩააგდო ყაილში სკივრი და მოიტანა სახლში და შეინახა სექვის ქვეშ. მეორე დღეს წევდა დელი მემედი ხვანთქართან. სკივრში მყოფმა ლაზმა გააღო კარი და ევდა დელი მემედის ცოლთან. დელი მემედი დაბრუნდა სახლში. ლაზი ისევ ჩაძვრა სკივრში.

ერთხელ საღამოს დელი მემედმა ქალს თხოვა, მალე დაწოლილიყო ლოგინში. ქალმა უარი უთხრა. მაშინ დარწმუნდა დელი მემედი, რომ მის ცოლთან ყოფილა. წევდა ხვანთქართან, მაგრამ აღარც იცინის და აღარც ხვანთქარს აცინებს. ხვანთქარს გაუკვირდა და კითხა: რა მოგივიდა?

– დელი მემედმა უთხრა ყველამფერი.

ხვანთქარმა უთხრა: მე იმდენი გიგიკეთე, რომ ცოლი მოგიყვანე, სახლი ზღვაში აგიშენე და კაცი მაინც საკუთარი ზურგით მიიყვანე სახლში. ეს რა ჩემი ბრალია. ადგა დაღონებული დელი მემედი და წევდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა, ცოლი და ოჯახი დუუტია ლაზს.

ეშმაკი ქოსაი

ყოფილა ერთი ქოსაი. დუუჭირვან და წუუყვანიან. დუუკრავენ არაბაზე და მიყავან დასახრჩობად. გზაში დატოვეს ჟენდერმებმა ქოსაი, ურემზე დაკრული და გზისპირად დაჯდენ. ქოსაი ყვიროდა: „არ მინდა ფაშის გოგო!“ ამ დროს გამოიარა ერთმა მეცხვარემ. გაიგონა ქოსას ყვირილი და კითხა, თუ რაში იყო საქმე. ქოსამ აუხსნა ყველაფერი. მეცხვარემ უთხრა: რახან შენ არ გინდა ფაშის გოგო, მოდი, მე დამითმეო. ქოსამ უთხრა: მაშინ ამხსენი ურმიდან და შენ დაგაკრავ, გოგოც შენი იქნება. მართლაც, ასე მოიქცენ. ქოსამ დააკრა მეცხვარე, წაიყვანა ცხვრები და წავიდა სახლში.

მოვიდენ ჟენდერმები და წაიყვანეს ეს კაცი. კაცი ყვიროდა: არ მინდა ფაშის გოგო. ჟენდერმებს გაუკვირდათ და უთხრეს: ვინ გაძლევს ფაშის გოგოსო და მაგრად ცემეს.

როცა მივდა ქოსაი სახლში, მეზობლებმა კითხეს: სად ნახე ამდენი ცხვარიო? ქოსამ უთხრა: თქვენ რომ დასახრჩობად გამატანეთ, ზღვაში გადამაგდეს, იქ ბევრი ცხვარი იყო და წამოვიყვანე.

მეზობლებმა იფიქრეს: მოდი, ჩვენც წავიდეთ. მივიდენ ზღვისპირეთზე და გადაწყვიტეს, თითო-თითო ჩასულიყვენ. თუ ხელს დაიქნევდა ჩამსვლელი, მეორეც ჩავიდოდა. ჩახტა პირველად ერთი კაცი, დაიწყო ხრჩობა, ამიტომ ხელებს იქნევდა. დანარჩენებს ეგონათ, ცხვარი ბევრია და გვეძახის, ჩამოდითო. გადახტა მეორეც. ამანაც არ მოიქნია ხელი? ამასაც სხვებიც მიყვენ და ყველა დაიხრჩვენ. ეშმაკი ქოსაი კი გაბატონდა სოფელში.

შაისმაილი

ყო ორი მეზობელი. ადგენ და წევდენ სადღაც, რათა ენახათ, სადმე შვილის ყოლის წამალი. გაიარეს რამდენიმე გზა და ერთ წყაროსთან ჭამეს საჭმელი.

მოვდა ერთი თეთრწვერა კაცი და კითხა: სად მიდიხართო? მათაც უთხრეს თავიანთი გაჭირვება. ამ კაცმა მიცა თითო ვაშლი და დაარიგა: გათალეთ ეს ვაშლი, ნათალაი, ცხენებს შეაჭამეთ, ხოლო ვაშლის ნახევარი ცოლებს შეაჭამეთ და ნახევარი თქვენ შეჭამეთ და გეყოლებათ შვილები.

მართლაც მიიტანეს სახლში და ისე მოიქცენ, როგორც იმ თეთრწვერა კაცმა დააბარა. ეყოლა ერთს – გოგო, ხოლო მეორე – კაცს ვაჟი. წყაროსთან იმ მოხუცმა დააბარა, რომ ჩემ მოსლამდე სახელი არ დაარქვათო.

თანდათან გაიზარდენ ბავშვები. დაიწყეს სწავლა. ამ გოგო-ბიჭს შეუყვარდენ ერთმანეთი, მაგრამ გოგოს მშობლები არ დათანხმდენ, ადგენ და წავიდენ სხვაგან.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ეს მოხუცი და დაარქვეს ბიჭს შაისმაილი. გოგოს კი – გულყიზარი. გოგოს მშობლები ცხოვრობდენ სხვა სახელმწიფოში.

წასვლის დროს გულყიზარმა დაწერა წერილი და ჩადრის ქვეშ რომ ქვა იყო, იქ შემოდვა, სადაც წერდა: მე თუ მომძებნი, შაისმაილ, ინდოსტანის შეჰერში ვიქნებიო.

ადგა შაისმაილი და წავიდა შეყვარებულის საძებნელად. ჩადრში, ქვის ქვეშ, ნახა გულყიზრის წერილი. შაისმაილს ისეთი ცხენი ყავდა, რომ გადახტომაზე ექვს არშინს ხტებოდა. შაისმაილი თავისი ცხენით გაემართა ინდოსტანის შეჰერისაკენ. მიადგა ერთ სარაიას და თან დაამღერა:

„შაისმაილ გელდი სანა,
გეზელადი ბილდურ ბანაი,
ლალიე ყეთილენ ალმასი
ნა იუგსეგ იაფმიშ ბინარი“.

ამ სტროფის ქართული თარგმანი დაახლოებით ასეთია: „შაისმაილი მოვიდა შენთან, შენი ლამაზი სახელი მითხარი, ეს ალმასის ყუთივით სახლი, რა სიმაღლისა გაგიკეთებიათ.“

გოგომ გადმოიხედა და უთხრა: მე შენი ჯავრი არა მაქვს, ჩემი შვიდი ძმა ჩხუბში არიან წასული, რადგან დევებმა ჩემი თავი თხოვეს, ამიტომ ახლა ეჩხუბებიან დევებს. ამ გოგოს ერქვა გულყიზარი. წავიდა შაისმაილი გულყიზარის ძმებთან. შაისმაილმა გადაწყვიტა, სალამს რომ მივცემ და ვინც მიპასუხებს, იმათ მხარეზე ვიბრძოლებო. როცა მივდა, სალამი მისცა. ძმებმა უპასუხეს და მათ მხარეზე დადგა. რამდენიმე საათის განმავლობაში დევები მთლად ამოწყვიტეს. შაისმაილიც წამოიყვანეს სახლში. როცა მიუახლოვდენ სახლს, დაანახეს, რომ სახლი ჩამონგრეული იყო. ძმებმა დას დააბრალეს, მაგრამ დამ აუხსნა ყველაფერი, რომ ეს ვაჟკაცობა შაისმაილმა გააკეთა. ძმებმა მიათხოვეს გულყიზარი შაისმაილს, როცა ერთად დაწვენ, შაისმაილმა უთხრა: სანამ გულყიზარს არ ვნახავ, მანამდე შენთან არ ვიცხოვრებო და შუაზე ხმალი ჩადვა.

ადგა შაისმაილი და წავიდა გულყიზარის საძებნელად. ცოლი ძმებმა გააფრთხილეს: ცოტა გაივლი და შეგხდება ორი გზა. მარჯვენა გზით არ წახვიდე, თორემ ცოცხალი ვერ დაბრუნდები.

შაისმალი მაინც მარჯვენა გზით წავიდა. გზა, მართლაც, ძალიან ცუდი იყო. სანამ ერთ სარაიასთან მივდოდა, ოთხი ყარავლი გეიარა. შევდა სარაიაში. ნახა, რომ ერთი გობი ფილავი (ფლავი) იყო გაკეთებული. შაისმაილს შიოდა, მაგრამ ამ სახლში იყო ერთი ხვანთქრის გოგო ყარაბუზენგი. დაიწყეს ბრძოლა. ყარაბუზენგმა მოარტყა გერძი, მაგრამ შაისმაილმა იმდენი მოახერხა, რომ ყარაბუზენგი ცხენიდან ჩამოაგდო. ყარაბუზენგმა იფიქრა, ვნახე ჩემი საფერი ქმარიო. დაწვენ ერთად, მაგრამ შაისმაილმა შუაზე ხმალი ჩადო და თან უთხრა: ასი ქალი რომ ვნახო, სანამ გულფერს არ ვნახავ, არც ერთთან არ დავწვები.

ყარაბუზენგი წაყვა შაისმაილს გულყიზარის საძებნელად. მივდენ ერთ სოფელში და მოესმათ ცეკვა-თამაშის ხმა, იკითხეს, დედაბერმა უთხრა: ამეღამ აქ თხოვდება გულყიზარი. მას არ უნდა იმ ბიჭზე გაყოლა, მაგრამ ძალით ათხოვებენ, ამიტომ საწამლავი აქვს შენახული და თავის მოკლას აპირებს.

– აჰა, შენ ოქროები – უთხრა შაისმაილმა დედაბერს. წადი და გააგებიე ჩემი მისვლის ამბავი.

შაისმაილს თან ქონდა გულყიზარის მიერ ნაჩუქარი პლატოკი და გაატანა დედაბერს. გულყიზარმა ფანჯრიდან დაინახა დედაბერი, რომელსაც პლატოკი ეჭირა ხელში და მისთან დაიბარა. დედაბერმა უთხრა ყველაფერი. გახარებულმა გულყიზარმა გეიქნია საწამლავი და დაიძახა, ნამდვილი ქორწილი ახლა უნდა გადავიხადოთ. ხალხი გაერთო ქორწილში. ამით ისარგებლა გულყიზარმა და ღამით სარაიასთან დაიბარა შაისმაილი. მეცხრე სართულიდან თოკით ჩავიდა გულყიზარი ძირს და გაიქცნენ. ევდენ ერთ მთაზე. დაიძინეს შაისმაილმა და გულყიზარმა. ყარაბუზენგს არ ეძინა.

ამ დროს მოადგა გულყიზარის მამა თავისი ჯარით. ყარაბუზენგმა არ გამოაღვიძა შაისმაილი და თვითონ მარტო – გადაწყვიტა მთელი ჯარი ყარაბუზენგმა დაუმღერა:

„ეი სევგულო უიან გორ ნერალალ ოლდი“ – გამოიღვიძე, ჩემო სევგულო, რა იქნა ქვეყანაზე, დეინახე. შაისმაილმა როცა დაინახა, რომ იქაურობა ადამიანთა ძვლებით იყო დაფარული, ძალიან გაუკვირდა. ადგენ და სამივემ გასწიეს სახლისაკენ.

გამოიარეს გულფერთან და ისიც წამოიყვანეს შაისმაილის სახლში. როცა მიუახლოვდენ შაისმაილის სახლს, შაისმაილმა კაცი გაგზავნა მამასთან და თან დააბარა: სამი ცოლი მომყავს და კარგი სახლი მომიმზადეთო. მამამ გაუაზირა სახლი. შაისმაილმა მიიყვანა ცოლები. როცა ნახა მისმა დედამ, ქმარს უთხრა, ის ქალები შენ გეკუთვნის. მამამ გადაწყვიტა როგორმე მოეშორებია თავიდან შვილი, შაისმაილი. მამა-შვილი თამაშობდენ. ვინც გაკოჭავდა (გათოკავდა), ის იქნებოდა ძლიერი. აჯობა მამამ. მამამ შეეკითხა: რა დაგიკავდება შენა? შვილმა უთხრა: მე მხოლოდ ჩემი თმა გამიძლებსო. ამითაც გათოკა შაისმაილი და გაატანა ჯალათებს მოსაკლავად. წეიყვანეს მთაზე, ჯალათებს შეეცოდათ. ამიტომ თვალები დათხარეს. მარჯვენა თვალი მარცხენა ჯიბეში ჩაუდვეს და მარცხენაი კი – მარჯვენაში. მამისს კი ქათმის სისხლში ამოსვრილი პერანგი მიუტანეს. ამ დროს გამოიარა მტრედმა, მან

თვალები გაუმრთელა, მაგრამ ელამი დარჩა.

დაღონებული შაისმაილი წამოვიდა სახლში. გზაში შეხდა ერთი კაცი, რომელმაც უთხრა: ხვალ ყარაბუზენგი ხვანთქარს ეომება და იქ მივდივარო. შაისმაილმა უთხრა: მოდი, შენ სახლში დარჩი და შენს მაგიერ მე წავალო. შაისმაილი მართლაც წავიდა ერთი დღეს მთელი სარაია აიღო და თქვა: ხვალ, შაისმაილის ცხენი მომიყვანეთ და იმ ქალებს დავამარცხებო.

შაისმაილმა თავისი ცხენით გაუმართა ბრძოლა ქალებს. გაიმარჯვა კიდევაც.

შაისმაილმა უთხრა ყარაბუზენგს: ეს ხვანთქარი ჩემი მამაა, მე ვერ მოვკლავ და გთხოვ, შენ მოკლა. მართლაც, ყარაბუზენგმა ავიდა სარაიაში, დაარტყა ხმალი და მოკლა შაისმაილის მამა. დედამისი კი ცხენს კუდზე გამოაბეს და დააწეკვიეს. შაისმაილს დარჩა ხვანთქრობა.

შიფრი: ბსკიფა 23, 38.
მთქმელი: მელქაძე შაქირ ლეზეთის ძე.
ასაკი: 59 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჟანივრი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჟანივრი.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 27.06.-27.07.1959.

მელქაძე შაქირ ლეზეთის ძე, 59 წლის სოფ. ჟანივრის მცხოვრები, კოლმეურნე, ცოლშვილიანი, წერა-კითხვის მცოდნე. ნამყოფია: თბილისში, ბათუმში. მის რეპერტუარში შედის: ზღაპრები და ლექსები.

სოლაღის ლექსი

ჭოლაღა სტამბოლში წევდა,
მის სიმამრის ბაროზაზე,
შვიდი დღე და ღამე იარა,
მიაწია ხვანთქარის კარზე.
რავაცა ბედმა უსაქმა,
ვეზირი დახდა კარზეა,
თქვენ, ნუ გეშინიან სეირებო,
ცხენი მომგვარეთ კარზეა.
შვიდ სეირს ხელში უჭირავთ,
ვერც იმაგრებს გზაზედა,
სოლაღა შეჯდა, შეაკიჟინა,
ხვანთქარიც დაძრა კარზედა.
არაბი მოდის, მოკივის,
ჯირითი ეჯდანა მკლავზედა,
ერთი ჯირითი ესროლა,
სულ არ წეიკრა ტანზედა.
მეორეთი რომ ესროლა,
მოარტყა ცალ ავშანზედა,
არაბი: – მკლავ, თუ რას შობი? ოხერო,
არაბი ძირს გადმოაგდო,
სულიც არ დაყვა გზაზედა.
ხოჯები, მოლიები
ქითაბს ბერტყავდა თავზედა.
სოლოღასაც შეეშინდა,
პარპეტებს ყრიდა გზაზედა.
ცხენს ეუბნება:
ჰადაც წაგიყვან თემსაო,
ქილიგით მოგცემ იემსაო,
აბრეშუმის თორებს მოგდებ,
საპნითა დაგბან ფეხსაო.
ყველა ლოცვაზე დავახტე,
ღმერთს შევახვეწებ შენსაო.

ლექსი ალიკო შევარდნაძეზე

დეკემბრის თხუთმეტ ორშაბათს,
გამითენდება ცუდი დილა.
რასაც მტერი მექადნოდა,
დღესაც სწორედ მენამდვილა.
ნუ ენდობი ჭელიძესა,
ბეურებმა გამაფრთხილა,
ღალატი და საწამლავი,
ვაი, დედა, რა ყოფილა,
შვიდობით დედავ, ცოლ-შვილო,
აღარ გყავთ თქვენი დათიკო.
ასე მტერმა მომიხერხა,
ვეღარ გპატრონობ, რა გიყო.
თუმცა, რომ არ ვარ თქვენი,
აგი ჭირი რომ შკაზე გაგიყო.
რადგან მტერის მოხერხებით
და მიწამ პირი ამიღო.
როცა ერთობა მღალატობდა,
მიმითვისა ამხანაგად,
ცუდი ეკალი და ვარდი
გადამექცა იავარდად.
ერთგული ვიყავ ძმობისა,
ბრუდე ხალხზე შემეღირა
ჩემი მკლავი, ჩემი აჯა,
ჩემდა მაინც უბედურად
შემომაკვდა ერთი სტრუა,
მასსა სიკვდილად ვენდობი
ბევრი გზებზე მიდარაჯა.
წინათ სიამაიშვილმა
ძალით თავი მომაკლია
დავჭექე და მას ვუთხარი:
ჩემთვინ გლახა ვინ გათქმია.
მან ბოდიშის მაგივრად,
ვხედავ მჯიღი მომიქნია.
დავჭექე და წავუკითხე
სპობილოვის პარაკლისი.
შევდექ, ტყვიით გავასწორე
დანაშაულობა მისი,
მაგრამ მეტის მოთმინება,
ჩემგან აღარ იყო ღირსი.
ჩემდა მაი სულერთია,
ვის დარჩება ეს ქვეყანა,
ყოფილა თუ აღარ არის,
ბეურები ჩემისთანა.
მადლობას გწირავ, ასკანავ,
თქვენი ძმა, თქვენთან აზრდილი.
დასტკბით, სიამით შეირგეთ
ჩემი ღალატით სიკვდილი.
ავიზა კარგი ნუ გინდა,
ანდაზა არის ნათქვამი,
თქვენ დაილოცეთ ჭელიძევ,
რომ გაგვიკეთე ვახშამი.
ძველი ხილი ბევრი გვქონდა,
შავი ღვინო და ქათამი.
საწამლავი შემაპარეს,
რომ შევიქენი ნასვამი.
მე მეგონა ოტკას ვსმიდი,
ვერ შევაქციე თვალ-ყური,
მეგემ ოტკა რაღამ მოგცა
შავი ღვინოა კახური.
სტაქანი რომ გამესინჯა,
ხომ არ ვიყავი დოხტური.
მე თუ ვიცი მასპინძელი
ეშმაკი და მაცდურია,
თუ რამ საწამლავი იყო,
მოტყუებით შემპარვია.
შევატყე, ძალა არ მქონდა,
მთელი მხრები წამიხდინა,
გულში ცეცხლად ჩამომერტყა,
მთლად მუხლები ამატკინა.
გათენდა დილა, წავედი
დავიბჯინე თოფის რკინა,
თვალით ვერაფერს ვხედავდი,
თურმე მტერი მოდის წინა.
ხმამაღლათა ვიძახოდი:

ჩამოდექით, ვინ ხართ, ვინა?!
ყველას ერთად შეეშინდა
ჩემს პირველ შეძახნაზე,
ბაჯელიძემ დაიძახა–
დათიკოა შევარდნაძე.
იარაღი გადმოვიღე,
ხელი გადვისვი თვალზეა,
შევბრუნდი და შევტრიალდი,
მტერი რომ შემომესია.
ერთი ასეთი ვიყვირე,
როგორც ვაჟკაცის წესია.
თოფის სროლას რად მიბედავთ,
თხის მწემსი მეგრელები.
თქვენ იფიქრეთ, რას ვიზამდი,
მე მწუხარე ავადმყოფი,
ერთსაც ფეხი მოვამტრიე,
რაკი გავისროლე თოფი.
ამხანაგი აღარ მახლდა,
არც მოყვარე განაყოფი,
თოფის სროლა არ შემეძლო,
ტყვია კი მქონდა სამყოფი.
მთავარი სული ამომხდა,
როცა მომხდა წელში ტყვია.
საწამლავით გულ-მოხარშულს,
სიკვდილიც არ შემიტყვია.
ასე რაფერ დამიბრუნდა,
ასე უკუღმა ჩარხია,
ერთი დროი გველის კბენისა,
ყველაი დასამარხია.
სიკვდილი ბევრად ჯობია,
ეხლა რომ ქვეყნად ხალხია.

ჭვანის ხეობაში გავრცელებული გამოცანები და ანდაზები:

1) კატა კუდით კიდია – ტაფა.
2) დიდია და დიდებული, დიდ კაცისა მიღებული. ხან აღმაა, ხან თავდაღმა, ხან კუთხეში მიგდებული – ქოლგა.
3) კიკი, კიკი, კიკი, ვაშლი ზედ ასხია წვიტი, არც იჭმება, არც ისხმება, არც ზევიდან გეისლება – ვარსკვლავები.
4) აქედან გევქეცი, დიდ მინდორში წევქეცი, იქ ვჭამე იელი, შინ მოვედი მშიერი – თოფი.
5) სახლზე მაღალი, კვერცხზე დაბალი, პირპილზე მწარე, შაქარზე ტკბილი – ნიგოზი
6) გარედან ატლასი, შიგნიდან ათასი–პირპილი.
7) ერთი პაწაი ბეღელი, რკინით გასაღებელი – ხაპი (კვახი)
8) ცუდი შვილი დედ-მამის მაგინებელია
9) გაიარე, ქვას დადევი, გამოივლი, დაგვხდება.

შიფრი: გსკიფა 23, 43
მთქმელი: ებრალიძე თემურ ვეზირის ძე.
ასაკი: 55 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. შუბანი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. შუბანი.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 11.07.-21.07.1959

ასლანი და ჯემალი

Ყო ერთი ფადიშაჰი (ხელმწიფე). ყავდა ორი ბიჭი. ერთს ერქვა ასლანი, მეორეს კი – ჯემალი. ერთხელ, ორივე ძმა იჯდა ერთ სერზე (გორაზე). დაინახეს, რომ ერთ ნენეს წყალი მოქონდა დოქით. ასლანმა ქვა მოარტყა დოქს, დოქი გატყდა. დედაბერმა ეს ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ დაიქცა წყალი. დედაბერი მივიდა სახლში. ნახა, რომ წყალი აღარ იყო. მობრუნდა უკან და ასლანი დაწყევლა: ღმერთმა ოთხი დევის დის სიყვარული ჩაგიგდოს გულში. გავიდა რამოდენიმე ხანი. ასლანს მართლაც შეუყვარდა ოთხი დევის და, აღარც ჭამდა და აღარც სვამდა. შეშინებულმა ფადიშაჰმა ხალხს მიმართა: ვინც ჩემი შვილის გაჭირვებას გაიგებს, რასაც მთხოვს, იმას მივცემო. ჯემალმა გაიგო ასლანის გაჭირვება. ასლანმა უთხრა: სულ ერთია, თუნდაც იცოდეთ, თქვენ მაინც ვერ მიშველითო.

მივდა ხელმწიფე შვილებთან და უთხრა: თუ გაბედავ და წახვალთ, რამდენიც გინდათ, იმდენ ოქროს გაგატან.

ძმებმა გააკეთებიეს ექვსი ფუთი გერგი და გაუდგენ გზას.

დევებს თავიანთი სახლ-კარი შემოღობილი ქონდათ და იქ შესვლა არც ისე ადვილი იყო.

ძმებმა მაინც გაბედეს შესვლა და შევიდნენ ეზოში. გაბრაზებულმა დევებმა ამბის გასაგებად გამოგზავნეს პატარა ძმა. ძმებმა უთხრეს: ჩვენ იმიტომ მოვედით თქვენს ეზოში, რომ თქვენი და უნდა წავიყვანოთ. დევების პატარა ძმა და ჯემალი დაიჭედენ. ბოლოს ჯემალმა ცაში აიტაცა და მიწაზე დაანარცხა. ჯემალმა უთხრა: შენ წილ დას თუ მოგვცემ, ცოცხალს დაგტოვებთო. პატარა ძმა დათანხმდა, აიყვანა სახლში ასლანი და ჯემალი. დევები გაბრაზდენ, მაგრამ პატარა ძმამ უთხრა: ჩვენი დის წასაყვანად მოსულან და მე ჩემი წილი მიმიცია. დევებმა მიხდენ, რომ, იგით (მაგარი ვაჟკაცი) ძმებთან ქონდათ საქმე და ყველამ დაუთმო და.

იმ საღამოს ასლანი და დევების და შეაგდეს ერთ ოთახში. ოთხი დღე და ღამეს ქორწილი ქონდათ. მეორმოცე დღეს ჯემალმა იფიქრა: მოდი ერთი ამ დევების ყველა ოთახს მოვივლი. მოიარა ყველა ოთახი. ერთ ოთახში ნახა, რომ ერთი ბიჭი ქოჩრით არის ჩამოკიდებული. ჯემალმა კითხა: რატომ არის ჩამოკიდებული? დევებმა უპასუხეს: დას გვპარავდა და იმიტომ ჩამოვკიდეთ. ჯემალმა მოიქნია ხმალი და ბიჭი ძირს დაეცა. ამ დროს ასლანთან მწოლიარე გოგო გაუჩინარდა.

სამი დღე მიცეს ნება ძებნისა. ადგა ჯემალი და წავიდა ასლანის ცოლის საძებნელად.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ დიდ სარაიას. შევდა და ნახა, რომ გოგო ზის, რომელსაც თვალები დათხრილი ქონდა.

ჯემალი შეცდომით მარჯვენა ხელს მარცხენა თვალზე წაუსვამს და მარცხენა ხელს მარჯვენა თვალზე. გოგოს თვალები აეხილება, მაგრამ ელამი დარჩება. გოგო ეტყვის: საიდან მოხვედი აქაო? ჯემალი აუხსნის თავის გაჭირვებას. გოგომ უთხრა: ჩვენ სამი და ვართ. ოთხმა დევმა მოგვიყვანეს შესაჭმელად. ჯემალმა სამივე გაუშვა და იმითაც თვალები აუხილა. იქვე ნახა ერთი დედაბერი და ისიც მოარჩინა.

ჯემალმა კითხა: სად არის დევი? გოგოვებმა უთხრეს, რომ დევი წევს ერთ დიდ სახლში. ოთხი დღეს ძინავს და ოთხ ღამეს ღვიძავს, როცა შეისუნთქავს, კარი გაეღება.

მივდა ჯემალი ამ სახლში. უცდის კარების გაღებას. გაიღო კარები, შევდა შით. ამოისუნთქა დევმა და ჯემალი აეკრა თავანში. როცა ჩაისუნთქა, ძირს დაეცა. ძირს დაცემისას, მაგრად დაარტყა ხმალი და კისერი მოჭრა თითქმის. სიკვდილის პირას მისულმა დევმა უთხრა: იგითი (მაგარი) თუ ხარ, კიდევ დამარტყი ერთხელ. ჯემალმა უთხრა: მე დედაჩემმა ერთხელ დამბადა და არა ორჯერ. დევი მოკვდა.

ადგა ჯემალი და წავიდა ასლანის ცოლის მოსაძებნად. ამასობაში ორი დღეც გავიდა, დარჩა ერთი დღე. ევდა ერთ მთაზე და იფიქრა, მაინც ვეღარ ვნახე და ჯობია, თავი მოვიკლა. გადახედა კლდეზე, რომ სამი კაცი ჩხუბობს. იფიქრა, ჩავალ, გავაშველებ და მერე მოვიკლავ თავსო.

ჩავიდა ჯემალი და ნახა, რომ ამ კაცებს გასაყოფი ქონდათ ერთი ყამჩი (სახრე-ტყავის), ჯელაჰისქედი (უჩინმაჩინის ქუდი) და ნაბადი. ჯემალმა უთხრა: – რა მარიფეთი (მნიშვნელობა) აქვთ თითეულსო?

კაცებმა უთხრეს: – ნაბადს ის მარიფეთი აქვს, რომ როცა დაჯდები ზედ, სადაც გინდა იქ წაგიყვანს.

ქუდს რომ დაიხურავ, ხალხი ვეღარ დაგინახავს. ყამჩს კი მაგრად დაარტყამ ნაბადს და გაფრინდები. სამნივეს უნდოდენ ნაბადი. ჯემალმა უთხრა: თქვენ წადით სხვადასხვა ადგილას, ვინც მალე მოვა, იმას მივცემ ნაბადსო.

წევდენ სამივე. ჯემალმა ნაბადს დაარტყა ყამჩი და უთხრა: – ოთხი დევის დასთან უნდა მიმიყვანო. შევდა ერთ სარაიაში, ნახა ასლანის ცოლი. ქალმა უთხრა: – ჩემ ახლანდელ ქმარს ორი ხბო ყავს, ერთი ჭრელი და მეორე – შავი.

ჭრელი რომ დაკლა, ორი სახლისკენ წამოვა, შავი რომ დაკლა, სახლში მოვა და კიდეც მოკდება. დაკლა ჯემალმა ჭრელი. მიუახლოვდა სახლს, დაკლა შავი და კაცმაც დაიწყო სიკვდილი. ჯემალმა უთხრა ქალის ქმარს: – ყოველთვის ასე მოუვა იმ კაცს, რომელიც ყველა თავის საიდუმლოს ქალს გაუმჟღავნებს.

ამასობაში მოკდა კაცი, ჯემალმა წამოიყვანა ასლანის ცოლი, გამართეს დიდი ქორწილი და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

შიფრი: ბსკიფა 23, 44.
მთქმელი: ჯუმუშაძე ნიაზ რეზაყის ძე.
ასაკი: 30 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. შუბანი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. შუბანი.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 11.07.-21.07.1959.

ჯუმუშაძე ნიაზ რეზაყის ძე. 30 წლისა, სოფ. შუბნის მცხოვრები, ცოლშვილიანი, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო. მის რეპერტუარში შედის ანეკდოტები და ზღაპრები.

მოლა ნესრედინი და მღვდელი

ერთხელ მოლა ნესრედინმა მღვდელთან მივდა. მღვდელმა მიცა დავალება: წადი, დაკალი ბატი, მოხარშე და მომიტანე. მართლაც, მოლა ნესრედინმა დაკლა ბატი, მოხარშა და წაუღო მღვდელს. გზაში მოშივდა. გადაწყვიტა, მღვდელს რაიმეს მოვატყუებო და მართლაც ერთი ბარკალი შეჭამა.

როცა მიუტანა მღვდელს, მღვდელმა კითხა: – რაშია საქმე, სად არის ერთი ბარკალი?

მოლა ნესრედინმა უთხრა: – ჩვენთან ამ წელში ყველა ბატს ერთი ფეხი აქვსო. მღვდელმა არ დაიჯერა. მაშინ მოლამ უთხრა, რომ გამოდი და დაინახე. მართლაც გამოვდა მღვდელი. წვიმიანი დღე იყო. ბატები წყლიდან ახლად ამოსულიყვნენ და თითო ფეხი ზევით ბუმბულში ქონდათ დამალული.

მღვდელმა უთხრა: – აბა, მოიტანე ჯოხი და გარეკე. როცა გარეკა ბატები, ყველამ ფეხები ჩამოიღო და გაიქცენ. მღვდელმა უთხრა: – რატომ მატყუებ?

მოლა ნესრედინმა მაშინ უთხრა მღვდელს: ჯოხით რომ გამოგეკიდო, შენც კი გაიქცევიო.

მოლა ნასრედინი და სარკე

ერთხელ მოლა ნესრედინაი მიდიოდა გზაში, ნახა ერთი ლამაზი სარკე. აიღო და ჩაიხედა შით. დაინახე თავისი სურათი და უთხრა: აჰა, ეს შენი ყოფილა – უთხრა საკუთარ სურათს და სარკე გადააგდო.

გაბმული სხალთის ეკლესიის შესახებ

ძველათ სხალთაში ცხოვრობდენ ორი ძმა. უფროსი ძმა ყოფილა ქვის კარგი მჭრელი. უმცროსი კი – კარგი მშენებელი.

ამ ძმებს აეშენებიათ სხალთაში ეკლესია. უფროსი ძმა იმდენად დახელოვნებული

ყოფილა, რომ მშენებლობის ადგილზე მოუსვლელად იცოდა, თუ რამდენი ქვა ეყოფოდა შენობას. დაიწყო ქვის ჭრა სხალთის ზეით. ამ ადგილას ერქვა ქვამათი. იქიდან მოჭრილ ქვას გზავნიდა მახარით. გამოგზავნილ ქვებს თან თვლიდენ რამდენი იყო. როცა მიაღწია ქვის რაოდენობამ გარკვეულ დონეს, მან შეაჩერა ქვის ჭრა. როცა ეკლესიას აშენებდენ, ერთი ქვა ქვის მშენებლებმა განგებ დამალეს და შეუთვალეს უფროს ძმას, ერთი ქვა აკლიაო. უფროსმა ძმამ შეუთვალა: ქვა მე გავზომე და ისე გამოვამგზავნე, თქვენ სადმე დამალული გექნებათო. მართლაც, მუშებმა გამოაჩინეს დამალული ქვა და როცა ის ქვა თავის ადგილზე დადეს, ეკლესიის მშენებლობაც დამთავრდა. ამდენად ნიჭიერი იყო უფროსი ძმა.

შიფრი: ბსკიფა 23, 47
მთქმელი: თავდგირიძე მურად ნურის ძე.
ასაკი: 28 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. კობალთა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. კობალთა.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 11.07.-21.07.1959

თავდგირიძე მურად ნურის ძე, 28 წლისა, სოფ. კობალთის მცხოვრები, უცოლშვილო, წერა-კითხვის მცოდნე. ნამყოფია რუსეთში, უპარტიო. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები. ზღაპრები მოსმენილი აქვს მამისგან.

და-ძმის ამბავი

ქოფილან ცოლ-ქმარი. ყავდა ორი შვილი, ერთი გოგო და ერთი ბიჭი. ქმარს უყვარდა ნადირობა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მამა გარდაიცვალა. დედამ დაუძახა შვილს და უთხრა:

– შვილო, მამაშენს ნადირობა უყვარდა და წადი შენც ინადირე.

შვილმა აიღო თოფი ხელში და წევდა სანადიროდ. ისეთი დღე არ გესულა, რომ რამე არ მეეკლა. ერთ მშვენიერ დღეს ბიჭი მიდიოდა სანადიროდ, გაიარა ნაძვის ძირას. შეხედა ზევით და დაინახა ჩიტის ბუდე.

ავიდა ნაძვზე, ჩიტის ბუდიდან ამოიღო კვერცხი და წაიღო სახლში. ბიჭის დედამ აიღო ეს კვერცხი და მიუტანა მედუქნეს. მედუქნემ უთხრა ქალს:

– საიდანაც ეს კვერცხი მოიტანე, იქიდან ჩიტიც მომიყვანე.

მეორე დღეს ადგა ბიჭი და წევდა ჩიტის მოსაკლავად, მივდა იმ ნაძვის ძირში, საიდანაც კვერცხი წამოიღო. დაინახა ჩიტი და მოკლა. მოიტანა სახლში და თავის დას მიცა. დედა სახლში არ იყო. და-ძმამ ჩიტი გაწლეს. ჩიტის გული გოგომ შეჭამა, ჩიტის თავი კი ბიჭმა. მოვდა დედა და კითხა შვილებს:

– სად წაიღე ჩიტი? შვილებმა აჩვენეს დარჩენილი ჩიტის ნაწილი. დედამ ეს ნაწილი მიუტანა მედუქნეს. მედუქნემ უთხრა: მე ეს ჩიტი კი არ მჭირდება, არამედ მისი გული და თავი.

ქალს დააინტერესა და კითხა მედუქნეს: – რა მარიფეთი (მნიშვნელობა) აქვს ჩიტის თავსა და გულსო. მედუქნემ აუხსნა, რომ ჩიტის თავის მარიფეთია ის, რომ ამ ქვეყანაზე რაც ენაა, ყველა მეცოდინებაო.

გულის მარიფეთი ის არის, ყოველ დილით რომ ადგები, თავქვეშ ერთი თორბა ოქრო დაგხდება. ქალმა უთხრა: ჩიტის გული და თავი ბავშვებმა შეჭამესო და თან შეეკითხა, რაიმე გამოსავალი ხომ არ არისო. მედუქნემ უთხრა:

– თუ შენ შვილებს დაკლავ და გულს და თავს ამოვაცლით, მოგცემ იმდენ ოქროს, რამდენიც შენ გინდა.

ამ ლაპარაკს ისმენდა ამ ქალის პატარა გოგო, რომელმაც ჩიტის გული შეჭამა.

ქალმა გადაწყვიტა, მოეკლა შვილები. როცა სახლისაკენ წამოვდა, პატარა გოგომ გაიქცა ძმასთან და უთხრა დედის განზრახვა.

ამ დროს მოვიდა დედაც. ბავშვებს ვახშამი გაუხაზირა, ლოგინი დაუგო და უთხრა:

– დაწექი, შვილებო, დაიძინეთ და ცოტა ხანში მოვალ.

ბავშვებმა ჭამეს საჭმელი და გაიქცნენ. რამდენიმე გზა რომ გაიარეს, ბიჭმა უთხრა დას:

– შენ ძალიან ლამაზი ხარ. შენ თავს ვინმე წამართმევს და მეც მომკლავენ, მოდი და გავნაწილდეთო.

მივდენ ერთ გზაჯვარედინზე, დაემშვიდობენ ერთმანეთს და გაუდგნენ თავიანთ გზას.

გოგომ ჩქარა წავიდა, მივდა ერთ სოფელში. ნახა, რომ ერთი დედაბერი ქალი გამოსულიყო ბალკონზე და თავს იბანდა.

მივდა ეს გოგო, აიღო გუგუმი და წყალი დაუსხა. ამ ქალმა გოგოს შეხედა და უთხრა:

– ვინ ხარ? საიდან მოდიხარ?

გოგომ უამბო თავისი თავგადასავალი. დედაბერმა უთხრა: მე შვილი არ მყავს და ჩემთან იყავიო.

გოგოს გაუხარდა და დარჩა დედაბერთან. გავიდა რამდენიმე ხანი, გარდაიცვალა ამ სახელმწიფოს მეფე. ამ სახელმწიფოში ასეთი წესი იყო: გაუშვებდენ მტრედს, რომელ სახლსაც დააჯდებოდა, იქიდან აირჩევდენ მეფეს. გაუშვეს მტრედი. იფრინა, იფრინა და დააჯდა ამ დედაბრის სახლს. მივდა ხალხი. ნახეს სახლში რომ ერთი დედაბერი და ერთი გოგო. არ დაიჯერეს, ეგონათ, მტრედს შეცდაო.

მეორეჯერ გაუშვეს, კიდევ დედაბრის სახლს დააჯდა. მაშინ ხალხი იძულებული გახდა დედაბრის ნაშვილები დაენიშნათ მეფედ.

დანიშნეს გოგო ხელმწიფედ. გავიდა რამდენიმე ხანი. ამ ხელმწიფემ გასცა ბრძანება, რომ არც სოფელში და არც ქალაქში ღამეში სინათლე არ უნდა აენთოთ.

გაიხედა ხელმწიფემ, რომ ერთ სახლში მოჩანდა სინათლე. მივიდა იმ სახლში. დაინახა ერთი ახალგაზრდა ბიჭი, წამოიყვანა და ციხეში დაამწყვდია.

გოგოს ძმამ ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივდა ერთ სოფელში. ერთ მუდუქნემ იშვილა. ღამეს დუქანში ითევდა. ერთხელ მედუქნემ უთხრა: წადი სახლში და ცოტა ხანში მეც მოვალო.

როცა მივიდა მედუქნის სახლთან და კიბეზე ადიოდა, მედუქნის ცოლი გამოეგება და

უთხრა:

– შენ თუ შემიყვარებ, სახლში შეგიშვებ, თუ არა და არა.

ბიჭმა უარი უთხრა და დაბრუნდა უკან. მივიდა მედუქნესთან და უამბო ყველამფერი. მედუქნემ მიცა სამი თორბა ოქრო და თან უთხრა: როცა დილით ადგები, მეოთხეც შენ ბალიშის ქვეშ იქნებაო.

ადგა მეორე დღეს, წაიღო ოქრო და წავიდა.

იარა, იარა და მივდა ერთ მეფურნესთან. მეფურნემ იშვილა. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი მზეთუნახავი ქალი, რომელსაც შეუყვარდა ეს ბიჭი, მაგრამ ვერ მოახერხა რომ გამოენახა დრო და სიყვარული აეხსნა ბიჭისათვის.

ბიჭმა კი არ იცოდა თუ ამ მზეთუნახავს უყვარდა.

ერთხელ ადგა მზეთუნახავი ქალი და თხოვა ერთ ეშმაკ ქალს, რომ იმ ბიჭთან როგორმე საქმე გამიკეთეო.

მივდა დედაბერი ბიჭთან და უთხრა:

– ჩვენი სოფლის მზეთუნახავს უნდა ცოლად გამოგყვესო.

ბიჭმა უარი უთხრა.

გაბრაზებულმა მზეთუნახავმა გადაწყვიტა, როგორმე თავიდან მოეცილებინა ეს ბიჭი. მივიდა ეშმაკი ქალი და უთხრა ბიჭს:

– რადგან შენ ასეთი ლამაზი ბიჭი ხარ, ამა და ამ ტყეში არის ერთი მფრინავი ცხენი, დაიჭირე და გყავდეს, რადგან შენ ის დაგშვენდებაო.

დაიჯერა ბიჭმა და წავიდა ცხენის მოსაყვანად. გზაზე შეხდა ერთი კაცი და უთხრა: ტყვილად მიდიხარ, ის ცხენი შეგჭამსო. ბიჭმა მაინც განაგრძო გზა. მაშინ კაცმა მიაძახა:

– რადგან მიდიხარ, თან წაიღე ორი ფუთი ღვინო და სამი ფუთი ბამბა. რომ ახვალ მთაზე, იქ არის ავაზანი, რომელშიც არის წყალი და სვამს ცხენი. ბამბით ამოაშრე წყალი, ჩაასხი ღვინო, შენ ადი მაღალ ხეზე, ცხენი დალევს წყალის მაგიერ ღვინოს. ცხენი დათვრება, ბიჭი ნახავს დროს და მოახტება ცხენს.

ცხენმა უთხრა:

– შენ რომ ჩემი დაჭერა შეძელი, ამის შემდეგ შენი მორჩილი ვიქნები. მიიყვანა სახლში ცხენი.

ეს რომ გოგომ გაიგო, კიდევ უფრო გაბრაზდა და ეშმაკ დედაბერს უთხრა:

– რაც გინდა იმას მოგცემ, ოღონდ, ის ბიჭი როგორმე მომაცილე.

მივდა დედაბერი ბიჭთან და უთხრა:

– რახან შენ ასეთი იგითი ხარ, კარგი ცხენიც გყავს, ცხრა მთას იქით ერთი სახლია. იმ სახლში ერთი პლატოკია და ის დაგშვენდება.

დაამზადა საგზალი და მეორე დღეს გაუდგა გზას.

გაიარა რამდენიმე გზა. შეხდა ერთი მოხუცი კაცი. მოხუცმა კითხა:

– საით მიდიხარ?

ბიჭმა უთხრა, რომ ცხრა მთას იქით, ერთ სახლში პლატოკია და ის უნდა მოვიტანო. მოხუცმა უთხრა: ტყვილად თავი არ შეაკლა, მაინც ვერ მოვიტანო. ბიჭმა მაინც განაგრძო

გზა. მაშინ მოხუცმა მიმავალ ბიჭს მიაძახა, რახან მიდიხარ, ჩემი ნათქვამი მაინც დაიმახსოვრე. გზაზე შეგხდებიან ოთხი ძაღლი და შეგჭამენ ამიტომ წაიღე ოთხი ცხვარის თავი და როცა შენკენ წამოვლენ, გადაუგდე თითეულს.

ბიჭმა მართლაც წაიღო ოთხი ცხვარის თავი და წავიდა. გადააყარა თავები ძაღლებს და პლატოკი ჩაიგდო ხელში.

როცა გოგომ გაიგო, რომ ბიჭი კიდევ დაბრუნებულა და პლატოკიც მოუტანია, კიდევ უფრო გაბრაზდა და დედაბერს დაემუქრა, როგორ ვერ მომაშორე ის ბიჭიო.

ადგა დედაბერი, მივდა ბიჭთან და უთხრა:

– კარგი ცხენი გყავს, კარგი პლატოკი გაქვს, ახლა ერთი კარგი ცოლი გეკუთვნის. ცხრა მთას იქით არის ერთი დიდი სახლი. იქ არის ერთი მზეთუნახავი და ის გეკუთვნის შენ.

ბიჭი წავიდა ცოლის მოსაყვანად. მივდა სახლთან. დაინახა ქალმა და უთხრა:

– რაზედ მოხვედიო? ბიჭმა უთხრა: – შენი თავი მინდა ცოლად. მაშინ ქალმა უთხრა:

– აი, იმ სტოლბაზე რომ სტაქანია დადებული, სამი ქვით თუ ჩამოაგდებ, გაგყვები ცოლად, თუ არა და თავს მოგჭრიო.

ესროლა ბიჭმა, მაგრამ ვერ ჩამოაგდო. მეორეჯერ ესროლა, კიდევ ვერ ჩამოაგდო, მესამეჯერ ესროლა და კიდევაც ჩამოაგდო სტაქანი.

ბიჭმა ეს მზეთუნახავი ქალიც მოიყვანა სოფელში.

ოთხი დღე და ღამეს გრძელდებოდა მათი ქორწილი.

ის ქვეყანა, სადაც ბიჭი ცხოვრობდა, ხელმწიფედ იყო მისი და, ერთხელ ხელმწიფემ გასცა ბრძანება, – ყველგან ჩაექროთ სინათლე.

ყველგან ჩააქრეს სინათლე. შუაღამისას ადგა ხელმწიფე და გაიხედა, დაინახა, რომ ერთ სახლიდან სინათლის შუქი გამოდიოდა.

გაგზავნა კაცები და მოიყვანა ეს ბიჭი და გოგო.

ბიჭს სიკვდილი ემუქრებოდა. ბიჭმა უთხრა: ჩემ თავგადასავალს მოგიყვები და ისე მომკალი. ბიჭმა უამბო თავისი თავგადასავალი. ხელმწიფემ დარწმუნდა, რომ ეს ბიჭი მისი ძმა იყო. ხელმწიფემ უთხრა ბიჭს: შენ ჩემი ძმა ყოფილხარო და გადაეხვია.

ხელმწიფემ ძმა დაიყენა თავის მოადგილედ. მოაყვანია დედა, გამოაბეს ცხენის კუდს და დააფლეთიეს. განაგრძეს ბედნიერი ცხოვრება.

შუბნის ხეობაში გავრცელებული გამოცანები და ანდაზები

1. აჯიჯიკნილ-მოჯიჯიკნილი (მიკეცილ-მოკეცილი), ბაზარზე საყიდველი, ქალის სახმარი – ბუხრის ჯაჭვი.
2. აქ კუკუ, იქ კუკუ, კარი ძირში კუკუ – ცოცხი.
3. თითო გრამი, ერთ წუთში ცა-ქვეყანას მეიარს – თვალები.
4. ერთი სტუმარი მესტუმრა, ებბედი უსტუმრებელი, ისეთი საჭმელი მივართვი, სუფრაზე უდუდებელი – ბავშვი.
5. ღანჯა-ღინჯაი, არც ერთი კაშია მუხა – ძაღლის ძუძვები.

შიფრი: ბსკიფა 23, 49.
მთქმელი: ნატარიძე ალი ზექერიას ძე.
ასაკი: 38 წლის
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჯაბნიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. დღვანი
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 11.07.-21.07.1959.
დღვანის სასოფლო საბჭო. ჩამწერი მ. ზოსიძე, ნატარიძე ალი ზექერიას ძე. 38 წლისა. სოფ. ჯაბნიძეების მცხოვრები. წერა–კითხვის მცოდნე. ნამყოფია მოსკოვში, თბილისში. ცოლშვილიანი, უპარტიო. მის რეპერტუარში შედის: შაირები, ზღაპრები, ლექსები, უკრავს გარმონს, გიტარას, ჩონგურს (დროის უქონლობის გამო რეპერტუარი ვერ ამოვწურეთ).

გოგო-ბიჭის გაშაირება

ბიჭი – ათას ცხრაას ორმოცდახუთ წელს,
შემიყვარდა ერთი ქალი.
შიგნით გული მე დამიწვა,
გარეგნიდან – ხორცის კანი.
ერთხელ ეზოში გევიარე,
ფანჯრიდან იმზირება,
სილამაზე ნაზოს პირი,
ვითომ ძალზე ეძინება.
სახე მშენიერი სხივი,
ფანჯერაზე იფინება.
ძირთაც ქმარი ლაპარაკობს,
სულ აფერი მეყურება.
მეშინია არის თქმისა,
შიგნიდან გული მეტირება,
სილამაზე გაგაკვირვებს
შეხედვით გამოგჭრის ყელსა,
ენა ხომ სულ მთლად არ იტყვის,
მაგრამ გეტყვი ნახევარსა:
იქით-აქეთ თვალები,
ჟუჟუნა ვარსკლავისფერი,
იქით-აქეთ და ლოყები,
კამფეტივით ჩასაკბენი.
ტუჩები აქვს ჩასაკოცნი,
კბილები ალმასისფერი
რაღა ბევრი მოგახსენო,
საქები აქვს ყველაფერი.

გოგო – ძალვან დიდი რომ შემაქე,
მე არ ვარ მაგის ღირსი,
მეც მიყვარხარ, ჩემო ბიჭო,
მაგრამ რა ვქნა, რომ ვარ სხვისი.
მომერიდე, გენაცვალე,
ჩუმად იშმარი მომეცი,
ბიჭი – იშმარსა, ნუ გეშინია,
წარბით გეტყვი ყველაფერსა,
მაგრამ იმას გეხვეწები,
ნუღარ გამაწვალებ ბევრსა,
მოდი, ერთი ჩამეკონე,
დამივიწყებ აშლილ გულსა.
გოგო – ორ-სამ დღეში, შენ მკლავებში
ვიქნები ჩაძინებული,
ძალვან ხელი რომ მეშლება
მაზედ ვარ დაღონებული.
გარეთ აღარ მახედვებენ,
შიგნით ვარ გაჩერებული,
ორ-სამ დღეში ჩემი ქმარი,
მთაშია მივლინებული.
მაზლსა დედასთან ვაგზავნი,
სახლი მაქვს გამარტვებული.
მოდი, მაშინ ჩამიკონე,
ლოყა მაქვს აყვავებული.
როდის გავა ეს ორი დღე,
ეს ამბავი დაბნელებული.

ბიჭი – იმის შემდეგ სიყვარულმა,
მეტი ზორი დამაყენა.
მტრედმა ჩიტად გადამაქცია,
მის ძუძვებში ჩამაფრინა,
ორი-სამი დღე გამყოფნა,
ქვეყნის ქეიფში გამარბინა.

ლექსი შეყვარებულზე

ვაჟი: ერთ მაღალ ადგილას ვიყავ,
მომდინარე წყარო წყალზე,
ერთმა ქალმა ჩამეიარა,
ეჭვიც რომ არ მქონდა მაზე.
მოვიდა, ახლოს დამიჯდა,
თან ეახლა მისი ქმარი,
მივბრუნდი, პირზე შევხედე,
დამიჭუჭა ცალი თვალი.
ისეთ ბელაში ჩამაბა,
მე რომ სულ არ მქონდა ბრალი.
დაჯდენ, ამბავი დამიწყეს,
სულ აფერი მეყურება,
ისე გლახათაც შევიქენ,
მთლად ამერია გუნება.
გზაზე გადაფარებამდის,
სულ დამავიწყდა ქვეყანა.
სიყვარულმა მეტის–მეტად,
სულ ჭკვიდან გამომიყვანა.
სილამაზეს მოგახსენებ,
მეტი რომ არ შეიძლება.
პირი უგავს სავსე მთვარეს,
აცქრიალებს ლამაზ თვალებს.
გველის კუდს უგავს წარბები.
ზედ მოყოლებული წამწამები.
ეს ქვეყანა აღარ მინდა,
ერთ ღამეს მასთან დავწვები,
ტან მაღალი გელის ვერცხლიო,
შენ დამნახველ კაცის ცეცხლი,
სანამ ვიქნები ცოცხალი,
შენთვის მომდივა კურცხალი.
მაი, არ მგონია დაბადილი
მაგი დედამისიდანა.
ყვავილივით ამოსულა,
ქვედა დედამიწიდანა.
წელი ოქროთი მორთული,
ტანზე – აბრეშუმის კაბა,
ასეთ ქალთან აშიღობას
თუ მოითმენთ, ვნახოთ, აბა.
სამი დღეი რომ გევიდა,
რომ ვეღარსად დავინახე....
სამ დღეს უკან მის ეზოში,
მივედი და მივაძახე.
მადლობა ღმერთს, გენაცვალე,
საყვარელი მარტო ვნახე.
საყვარელო, ყური მიგდე,
ერთი სიტყვა მაქვს შენთანა,
მაგრამ უარის თქმას, მომკალი,
ხელში უნდა მოგცე დანა,
ცოლად უნდა წაგიყვანო,
ჩემი თავი გენაცვალა.
ქალი: სიყვარული გქონებია,
მეც კი მივხდი ეხლა, მალე,
მაგრამ ცოლად ვერ გაგყვები,
არ გეწყინოს, გენაცვალე.
ვაჟი: მიყვარხარო, რომ მითხარი,
თურმე სულ არ გყვარებივარ,
ასე უარი რატომ მითხარ,
ჯერ ხომ არ წაგკარებივარ.
გოგო: შენ სიტყვაზე, გენაცვალე,
წყალი დგება და მდინარე,
მეცოდვები, ყველა ღამე,
რად გაგაღვიძო მძინარე,
კლავი-კლავ გამოდებული
გაიარ-გამოიარე.

ლექსი შირინაზე

ქომიგონეთ, მეგობრებო,
დედ-მამავ და მეგობარო,
და მეუღლევ მეგობარო.
წვრილო შვილო, ყმაწვილებო.
თქვენზე ვარ მოშორებული,
სამუდამოდ ქვეყანაზე.
მოყვარის გამეტებული,
საფლავში ვარ მუდარაზე.
მე მაგას ვერ წარმოვიდგენ,
რამდენად მაქვს გული მკვდარი,
ჩვენო შირინავ, ტაკიძევ.
შენ დაგვისხი ცეცხლზე ძმარი.
მოყვარის ნაცვლად გადაქცევ,
მის სახეს რა მოელევა,
ვიცი, ბოლოს შენც მოგიწევს
უდიდესი დამცირება.
ერთხელ კარში გავიხედე,
ჩემსა კარ-მიდამოს ირგვლივ,
სიჩუმეა ყველგან ირგვლივ,
აქეთ ვინცხაი ლაპარაკობს,
გავედი და კარგად ვიცან.
ოხ, სალამი შირინაო,
ჩქარა სახლში შევპატიჟე,
აქ რას შობი, ჩემო ძმაო,
მართლაც, შირინაი ტაკიძე,
ძმურად მყავდა მიღებული,
მე მოყვრებში არვინ მყავდა,
მაგისთანა მიღებული.
გამიხმო და ჩუმად მითხრა,
დურსუნ, არ შეირცხვინო გვარშია,
საქეიფოდ ვიპაიჯები,
შენცნა წაგყვე გურიაში.
იცოდა უარს არ ვეტყოდი,
მისთვის შევჭრებოდი ზღვაში,
დედ-მამას დავემშვიდობე
და გავყევი გურიაში.
გურიაში რომ ჩავედით,
კარგი დრო გავატარეთ.
ძმა-ბიჭები შევარჩიეთ,
კარგი ლხინი ჩავატარეთ.
პური-ღვინო ულეველი,
მასპინძელი მხიარული,
დავჯექით და გადავკარით,
იმან დამიღონა გული.
მაშინ ვუთხარი ჩემ მხლებლებს,
ველარ დავლევ ამის მეტსა,
რაღაც თავსა გლახადა ვგრძნობ,
საქმეს გლახას ჩავიდენთა.
ამ სიტყვის გაგონებაზე,
შირინაი გაკუჭდა ძალზე.
ლივერზე ხელი მეიკიდა,
მითხრა, მოგკალი ამ წამზე.
ავდექი, ხელი შევატაი,
იმ ლივერის ასართმევად,
მაგრამ უცბად გაუვარდა,
ჩემი სულის წასართმევად.
მოყვრის ნასვრი ის იყო,
შიგ მუცელში მომხვედროდა,
უცბად, ძილსა მივხვეოდი,
ჭკუა თავში დამბნეოდა.
აგიც მახსოვს სიზმარივით,
რომ ვუთხარი შირინასა,
ძმავ, ქე მომკალ, ეს კი ვიცი,
ეჭვი ხომ არ არის აქა.
ჩემ დედა-მამას ჩემი თავი,
მკვდარი მაინც ჩააბარე,
დავასრულე აგი თხოვნა,
უცბად ხრინვა ამოვუშვი.
სული სოფელ გომს დავტოვე,
ლეში მომყვა მარტო შინა,
ბევრი მათრიეს შარაში,
სანამ შვილმა ტირილი მორთო.
ცრემლი დამაფრქვიეს თავში.
აწი, მშვიდობით, ცოლ-შვილო,

ოხ, ჩემი კუბო იდგება.
მათავსებენ ცივ საფლავში,
სიცოცხლის კარი იძრება,
მამაჩემო, შენ გიტოვებ,
გამიზარდე შვილები,
თავს დამნაშავედ არა ვგრძნობ,
ვიცი უდანაშაულოდ ვკვდები.
ოხ, ჩემო ახალგაზრდობავ,
აღარსად ხარ წასავალი,
გარედან კუბო გარტყია,
ზევიდან მიწა მრავალი.

ილიასას ლექსი

Iამჩენელო, გენაცვალე,
შენ ნაბრძანებ შენობაში,
რადგან ვერვინ გაგერევა,
ამდენ ხალხის გაჩენაში.
მუდამ ლექსების თქმაში ვარ,
სულ ყელემის ქანებაში.
ლექსი ზორბად გამომეთქვა,
ასტე ვფიქრობ გუნებაში.
კაცის დახრჩობის კანონი,
გამოვიდა მთავრობაში,
ყველას იგი შეეცოდა,
იმ საწყალზე ყურებაში,
ოქროკაი სულ ბათუმი,
–ზალუმების თავის ბაში.
თათრებს მეტად გვემტერება,
არის სულ ჩვენ ჯავრობაში.
გადაყვანილი რუსია
ჰილლე არ აქვს მთავრობაში.
რაც მოხდა აქაურობაში.
მან ილიასას საქმეები,
დაწერა დიდ მთავრობაში,
მეტი გლახად რომ დაწერა,
გააწია ევროპაში.
ევროპამაც ასე ბრძანა,
აგია ჩვენი ნებაო.
ილიასაი დაახრჩევით,
მთავრობამ მისცა ნებაო.
თუ ევროპა არ უბრძანებს,
ხელმწიფეს და ყირალსაო,
ისე კაცსა ვერ დაახრჩობენ
საკატორღე ფირალსაო.
აი კანონი განუცხადა,
ევროპამ იმპერატორსა,
იმან თბილიზის სარდალსა,
სარდალმა-გუბერნატორმა,
ყაიძე ყამ იმ ოქროკას
რომ უყვარს ჩვენი წვალება.
ჩვენც გვჭირია და მის ხელში
გამჩენელზე შემდვალება
ორი თვის შემდეგ იქნება,
აი ჩვენი სწრაფი კანონი
ილიასას გაუთენდება
შავი დილა და იაღლუმი.
შემდეგ ეს შავი ამბავი,
ილიასას გაუმცხადდება.
გაღმა ქედს ტარაღაჯი,
დაასვეს, გაამზადესა.
მემრე ხალხი დაიბარეს,
მთელი უჩასტის ჯარიო,
დეკემბრის 28–სა,
ეს საქმე ნამდვილი არიო.
ქედას უნდა მოიყარონ,
ოთხშაბათსა დილასაო,
ოქროკასა ბრძანება აქვს.
დაანახვოს ყველასაო.
რადგან იმ დაბარებაზე,
მეც წამოველი ზეგნიდანა
ჩვენ ქედას და მოყრილან

მთელი ხალხი ქვეყნიდანა.
გაღმა ტარაღაჯი დაასმულა,
გაღმა ქედას ხიდ ზეიდან
ჩოღ მილლეთი გერილმიშტენ
ბენზა ღერესეთი მეიდანა.
მეც რომ მიველ, შევიხედე,
გულმა მერაყი მეიტანა,
იმ საწყალსა, საცოდავსა,
ხელზე ბორკილი ეყარა,
ილიასაი ღელე გაღმა
შით ფერღენშია დაკრული.
მერაყის გამო ავიდა,
მაშინ მიხდა, რაღა დროა
მე გამითენდა შავადა.
მივდა ხოჯამ უთხრა, რომე
ბიჭო, ყველა თოკზე ქენი,
წერა რომ აი ყოფილა,
ასე მოხდა საქმე შენი.
იმ საწყალმა უთხრა ხოჯას,
ასე ყოფილა წერაო,
თვალით სიკვდილი ჩემ გარდა
არვის უნახავს ჯერაო.
ვიცი, რომ ჩემთვის მოყრილან
ეს ათი ბინი ხალხიო,
მასობაში სალდათებმა
დაკრეს წაყვანის ჩალღიო.
დასახრჩობად რომ წეიყვანეს
გაანურიეს ხიდიო
ხოჯა სელავათს აკითხებს
ღმერთი ერთია დიდიო.
ის საწყალი მომწყვრეულიყო
სულ შიან ჯარის შუაშიო,
მიიყვანეს, გააჩერეს
იმ ტარაღაჯის ძირშიო,
სიმწრისაგან მოსდიოდა
მწარე ალავი პირშიო.
ათი ბინი თათარია,
სამასი იყო სალდათი,
წითელ ბულეზით თავს ედგა
მისი დუშმანი ჯალათი.
რაც საქმეში რომ მუქნია
ფურტიოში და ნენიაში,
მისი ნაქმარი საქმიები,
სულ გაატარეს ქენიაში.
მთავრობამაც ასტე ბრძანა,
უნდა მოვსპოთ დუნიაში,
ვიცი, ქართველი ერმანი,
შენი ნაქმარი გამწვალებს,
გულზე გკიდია ფერვანი.
ფერვანში უწერია –
არ აქვს სიცოცხლის დურმანი,
ჩემი სული მწვალებელი
აჯელლეთია, ღორიო,
ვიცი, რომ უნდა მამწვალოს,
მან უნდა მომცეს ზორიო.
საათის ხუთი შესრულდა,
დაკრეს სიკვდილის ბორიო.
მაშინ უთხრეს იმ ჯალლათსა,
დრო მოვიდა, მალე ქენი,
ჩასაცმელად წაიწია
უნდა წამოდვას ქეფენი,
მაშინ იფიქრა ილიასამ
ზათი ფერსანდ ელან გეშტი.
ჯალათსაც ცხვირში ჩაარტყა,
ღონიერად ჩიკთი მუშტი,
ნეერეგლი ადამიმიში
გერალლარი დილი დუშტი
იარაღი, თოფი არ ქონდა,
ხანჯალი, დანა, ფიშტოო,
შეკრული ხელით იმ ჯალათს
გაუტკლიცა ცხვრის ნეშტი.
შემდეგ ქეფენში გახვიეს,
შემოუჯდენ აქეთ-იქით
ტარაღაჯზე აიყვანეს,
იქ მყოფნელმა იმან იცის.
რაცხანაირად ის ამწვალეს,

საწყალი და უბედური,
საცოდვავად, დაამრჩვალეს
იქ მყოფნელმა იმან იცის.
ვინც რომ იყო გამოცდილი,
თქვეს რომ აგი ყიამეთია,
აი, ხომ არ არის ქორწილი,
ოქროკასა ძალიან რომ ძულს
თათარი და მისი რჯული.
ყალამეთ გვაყურებია,
მათ იყარა ჩვენი ჟინი.
მის გარდა ყველას შეეცოდვა,
ძაღლებმა გასწიეს ყიჟინი,
ძაღლებმა რომ სულ იყიჟინეს,
მე სულ ავივსე დარდითო.
ზოგი უყურებს და ტირის,
ზოგი სულ ვერც კი უმზერსო.
იმ საწყალსა რაც წევიდა,
მაგისთანა დარჩეს მტერსა,
იმ ოქროკამ იმ საქმითა
ვითომ სახელი დაიმშვენა.
ილიასაი გაისაქმეს
ეს გაყოლა მოისვენა,
ილიასას დახრჩობაზე
კიდევაც გვაყურებია ჩვენა,
მის გარდა ტასაღაჯი
ყირმილოღლის და უჩვენა.

ყირმილოღლის ლექსი

ყირმილოღლი! მეზერჯოღლის,
რომ გაუმწარე ზენაო,
ბათუმის საზოგადოში
ან შენ იქნები, ან მენაო.
ყირმილოღლი! ასტე ჩივა,
თვალი დაგიდგეს შენაო,
ერთი გზაზე შემხვდებოდე,
მაშინ დაგებმის ენაო.
ყირმილოღლი ასტე ჩივა,
შვიდი ხელმწიფის ყირაო.
მაგი ჩვენი ბრალი კი არ არის,
მაგია ხელმწიფის ბრალი.
სამი მეზერჯოლი მოკალ
ორი გყავ და იარალი.
თქვენთვის ტარაღაჯი გეეწყოს
ხაზინებმა ქნეს ზარალი.
მეზერჯოღლის რომ დაუტიეთ
ქალი, ბაღანა მტირალი,
მე მაინც არაფერი დავრჩი
ქიდათ აიგდეთ ყირალი.
პირველი დასახრჩობი ხარ,
რაზბოინიკი ხარ ფირალი,
აწი ვერ გადამირჩები,
ჩიტიც რომ გახდე ფრინველი.
ყირმილოღლი ასტე ჩივა:
სახელად ქვია მემედი,
შენ ხელში არ ჩაგეჭრები,
ღმერთიდანაც მაქვს იმედი.
ნუ გადამკიდიხარ ოქროკავ,
ნუ აყოლილხარ გულსაო,
ერთი კაცი ფირალს აჭმევს
თავის ოთახში პურსაო.
უღალატე, მასაც მოკლავ,
იმას ნუ აძელევ ყურსაო.
ჰეჩ ინსანი აჯიმაზში
ბელადერი ოზ ყარდაში,
ღალატობით რომ მეისაქმა
ჩემი ძმა თავის ოთახში.
იმას გარდა, რომ გეისაქმა
მევლუდაი და ხუსეინაიო,
იმას ხომ არ შევჭამდი
კაცი ვეღარ უცნიაო.
ტრაბახობით არ გიჩივი,
ბიჭი გახლავარ ყოჩაღი.

რწმენა, მამული დავტოვე,
სახლი და კარი, ოჯახი.
მე რომ მაგათ გავუკეთე
ქედას პირდაპირ ჩასტაღი,
უბრალოდ ხომ არ მიქნია,
სულ ყველამ უთხრა მუსტაღი.
ჩასტაღიდან შარიგზაში
ვუტირებდი დედასაო,
გიჩივოდი, ნუ მიმომდევ,
მაგ ოხერი ამხანაგებით.
მაგას სულ მთლად დაგიპანტავ
ერთ ხმამაღლა შეძახებით,
მეზერჯოღლის არვინ დარჩა
სული ამოაძრეს ყელში.
ღმერთის ტყვიანა ჩამიგდო
მაგ შენ გაყეყილ მუცელში.
ერთი შენ ხელებგაკრული
ტარაღაჯზე თუ დაგკიდე,
მე ის ბიჭი გეახლები,
შენ ამხანაგთან რომ წაგკიდე.
შენ რომ ფიქრობ, ყირმილოღლის
რა დავუძრა, რა წავკიდო.
ერთი პლანით დავიჭირო.
ფიტულივით ჩამოვკიდო.
ღმერთი ჩემი მომხრეა,
შენ როგორ უნდა დამკიდო.
შემიძლია, თავი მოგჭრა.
კოშივით წელზე დევკიდო,
მოსკოვიდან ნება მოვდა,
შენ, ოქროკავ, ელანძეო,
შენ ოქროკავ, ამ მომენტში
ტარაღაჯი დალანძეო.
იმ ოქროკას თუ იკითხავ,
იმ საქმეზე გეილანძღაო,
ამ ლექსისა გამომთქმელი
გეახლება მჟავანაძე.
ამდენ დარდის პატრონი ვარ,
იმიზა ვარ ძალზე ხმელი.

ოთხი ძმა

Იყო ერთი კაცი, ყავდა ოთხი შვილი. მამამ დაიბარა შვილები და უთხრა: – შვილებო, ახლა უკვე დროა, რომ დაგაქორწინოთ, შვილებმა უპასუხეს: – ჩვენ დავქორწილდებით, თუ ვნახავთ ოთხ დას ერთი დედა-მამიდან.

ადგა მამა და წევდა ოთხი დის საძებნელად, ნახა ოცდაცხრამეტი და ერთი ვეღარ ნახა. დაბრუნდა სახლში და შვილებს უთხრა:

შვილებო, ოცდაცხრამეტი ვნახე, მეორმოცეს ვინმე სხვას გათხოვნიებ. შვილებმა უარით უპასუხეს. თუ იქნება ოთხი და თუ არა და, არ დავქორწინდებითო.

შვილებმა თხოვეს მამას ნება და წევდენ საცოლეების საძებნელად. გაიარეს რამოდენიმე გზა და მოითათბირეს: – ჩვენ წამოვედით, მაგრამ მამას ვერ დავემშვიდობეთ წესიერად. ძმებმა გადაწყვიტეს ერთი რომელიმე დაებრუნებიათ და დამშვიდობებოდა. გაგზავნეს დიდი ძმა.

მივდა დიდი ძმა და უთხრა მამას:

– წასლიხანს ვერ დაგემშვიდობეთ და ამიტომ მე დამაბრუნეს, რათა გზა დაგვილოცოო.

მამამ უთხრა: – რახან ასეა, მე გასწავლი სამ ჭკუას. კარგად დაიმახსოვრეთ და გამო-

გადგებათ. პირველი – რომ გეიართ რამოდენიმე გზას, შეგხდებათ ერთი წყარო. იმ წყაროზე არ დაიძინოთ, თუ დაიძინებთ, ცოცხალი ვეღარ გადარჩებით.

მეორე – რამოდენიმე გზას გაივლით და შეგხდებათ ერთი სარაია, იქ გამვლელი ცოცხალი ვერ გადარჩება, ამიტომ იმ სარაიას შორიდან გუუარეთ.

მესამე – რამოდენიმე გზას რომ გაიართ, შეგხდებათ მწვანე ტბა. იქ ისეთი რამეა, რომ ამოისუნთქავს, ყველამფერს შორს აგორებს, ტყორცნის, ხოლო როცა ჩაისუნთქავს, ყველაფერი თავისკენ მოგორდება. ამიტომ ახლოს ნუ გაივლით. ესაა ჩემი დავალება თქვენზე და აწი, გზა დამილოციაო.

წამოვიდა უფროსი ძმა დანარჩენ ძმებთან, მაგრამ ძმებს არ უთხრა მამის დავალება. ეს დიდი ძმა იყო ყველაზე იგითი (ვაჟკაცი) და თავის იმედი ქონდა. ძმებს არ უთხრა, იმიტომ, რომ არ შეეშინდეთო.

განაგრძეს გზა, იარეს, იარეს და მივდენ იმ ცივ წყაროსთან, რომელზედან მამამ უთხრა, რომ არ გაიაროთო.

დაჯდენ, საჭმელი ჭამეს და ძმებმა დაიძინეს, იგითს არ ძინავს, გახდა შუაღამე და წყაროს მოადგა ოთხი ძმა დევი.

იშიშვლა ყლიჯი და ყველას თავები მოაცილა. გათენდა დილა. ადგენ ძმები და დაინახეს, რომ იქაურობა სისხლით იყო მორწყული. ძმებმა უსაყვედურეს: რატომ არ გაგვაღვიძეო.

იგითმა უპასუხა: საჭირო არ იყავით. რომ გამჭირვებოდა, მაშინ გაგაღვიძებდი. იგითმა დანარჩენ ძმებს უთხრა:

– თქვენ აქ დარჩით, სამ დღეს თუ არ მოვედი, მეოთხე დღეს მომძებნეთ, მანამდე კი აქ დაისვენეთ.

წავიდა იგითი. გაიარა რამოდენიმე გზა და მიადგა ერთ დიდ სარაიას. ეს სარაია იყო ის, რომელზედაც მამა უთხრა, რომ სარაის გუუარეთო. მიადგა იგითი სარაიას და დუუძახა. ეს სახლი ყოფილა ოთხი დევის. დევების უფროსმა ძმამ უთხრა პატარა ძმას: გადი გარეთ, ადამიანი მოსულა, თავი მოწყვიტე და ვჭამოთო.

გავიდა პატარა ძმა, დაარტყა ყლიჯი იგითმა და მოჭრა თავი. გამოვიდა მეორე, იმასაც მოჭრა თავი. ბევრი რაღა გავაგრძელოთ და ოცდაცხრამეტს მოჭრა თავი. გავიდა დევების უფროსი ძმა. როცა დაინახა კისერმოჭრილი ძმები, გაემართა იგითისაკენ. იგითმა მოარტყა ხმალი და იმასაც მოჭრა კისერი.

ამის შემდეგ შევიდა სარაიაში. დაათვალიერა ოთახები. ერთ ოთახში ნახა, რომ ოქროით არის სავსე. მეორე ოთახი მოკლული ადამიანების თავებით არის სავსე. მესამეში იყო დიდძალი ქონება.

შევიდა მეოთხე ოთახში და დაინახა ოთხი და, ერთიერთმანეთზე ლამაზი.

გოგვებმა ტირილი დაიწყეს, ასე ლამაზი ბიჭი როგორ შემოხვედი აქ, რომ თავი არ მოგჭრესო.

ბიჭმა უთხრა: ის დევები აღარ არიან. გოგოვებმა მოუყვენ თავიანთი თავგადასავალი, რომ ჩვენ ვართ ოთხი და ერთი დედ-მამიდან. მოგვიყვანეს ოთხმა დევმა საცოლეებად.

ჩვენი პატარა და დაქალიშვილებული არ არის და ამიტომ აქამდე ასე ვიყავით ცალკე.

იგითმაც უამბო თავისი ვინაობა, რომ ჩვენც ვართ ოთხი ძმა და ვეძებთ ოთხ დას ერთი დედ-მამიდან. უფროს დას უთხრა: შენ, ჩემი ცოლი იქნები, დანარჩენი კი – ჩემი რძლებიო და წამოიყვანა ძმებთან, თან წამოიღო მთელი ქონება ოთხი ჯორით, მივდა ძმებთან და უთხრა: – აჰა, ძმებო, რასაც ვეძებდით, ვნახეთ. მამაჩემმა ანდერძი დამაბარა, თქვენ არ გითხარით იმიტომ, რომ არ შეშინებულიყავით.

წყაროსთან რომ ოთხი დევი მოვკალი, მამამ მითხრა, არ გეიაროო, მაგრამ გევიარეთ და ხედავთ, მოვკალი. სარაიასთან არ გეიარო, გევიარე და გოგვები მოვიყვანე. დამრჩა მესამე ანდერძი და ისიც მარტო უნდა შევასრულო. თუმცა მამამ აგვიკრძალა. ძმებმა არ დართეს წასვლის ნება, მაგრამ იგითმა თავისი არ დაიშალა. გაატანა სახლში თავისი საცოლე და თან დააბარა ძმებს, სამ წელიწადს არ მომძებნოთ და მერე თქვენმა კაცობამ იცოდეს.

იგითი მობრუნდა უკან და გუუდგა გზას. იარა, იარა და ბოლოს მიადგა იმ მწვანე ტბას. დაინახა, რომ რაღაც როცა ჩაისუნთქავდა, ქვებს თავისკენ აგორებდა, როცა ამოისუნთქავდა, ქვებს აგორებდა შორს.

მივდა ახლოს ტბასთან და დაინახა დიდი უზარმაზარი დევი, რომელსაც ეძინა.

მძინარეს არ დაარტყა, იფიქრა, ეს არ არის ვაჟკაცობაო. იგითმა ერთი მაგრად დაიყვირა. წამოხტა დევი, შეჯდა სამფეხა ცხენზე და გაექანა იგითისაკენ. დაიწყო ბრძოლა მათ შორის. იგითი რამდენსაც დაარტყამს და დაჭრის, დევს ჭრილობა მაინც უმთელდება. დევს არ დაადგა საშუალება. იგითი მოიღალა. შეიტაკენ ხელხელ. დევმა აიტაცა იგითი და დაარტყა მიწაზე. დევი მეექცა ზეიდან, დაადვა ყელზე ყლიჯი და უთხრა: უნდა მოგჭრა თავი. იგითმა უთხრა: მე თავიდან რომ მოვედი, შემეძლო შენი თავი მომეკლა, მაგრამ არ მოგკალი, რადგან გეძინა, ეს კი ვაჟკაცობა არ იყო. ამიტომ გაგაღვიძე და შეგებრძოლე. ამიტომ თუ ვაჟკაცი ხარ, ერთ რამეს გთხოვ და ის შემისრულე და ისე მომკალი. დევმა დართო ნება. იგითმა უთხრა: მამაჩემმა მიანდერძა, რომ აქ არ მოვსულიყავი, მოვედი და თავს მჭრი, ამიტომ გამიშვი ცოტა ხნით, მამას დავემშვიდობები და ვეტყვი ალალ მიყოს (შემინდოს).

დევმა უთხრა: შენ მე აქედან ვერ გადამირჩები. ოღონდ ერთი საქმე მაქვს. თუ გამიკეთებ, არაფერს არ გერჩი. იგითსაც ეს უნდოდა. დევმა უთხრა:

ერთ ყირაღს (ხელმწიფე) გოგო ყავს. იმ გოგოზე შვიდი წელია, სევდალ ვარ, და თუ იმას მომიყვან, ყველაფერს გაპატიებ. იგითი დაპირდა, მიადგა თავისი ცხენით ამ გოგოსთან, მიადგა გოგოს სახლთან. დადგა ერთ ღარიბ მოსახლესთან. ღამე გაითია. ნენეს მოაწონდა და უთხრა მეშვილეო. ბიჭი დაპირდა. თხუთმეტი დღე დარჩა ნენესთან, მაგრამ ვერაფერი ვერ გააკეთა.

ერთ საღამოს ადგა იგითი და ღმერთს შეევედრა, რამე მიშველე და ის გოგო ხელში ჩამიგდეო.

დაწვა ლოგინში და დაიძინა, ნახა სიზმარი, მასთან მოსულიყო ერთი ლამაზი ყოჩი. გაიღვიძა, რომ ტყვილი გამოდგა. მეორე ღამეს კიდევ ნახა სიზმარში ყოჩი, მაგრამ გაუჩი-

ნარდა.

მესამე ღამეს კიდევ ნახა, მაგრამ ახლა აღარ გაუჩინარდა. ყოჩი იყო ძალიან ლამაზი, რქები ქონდა ძალიან დიდი. რქას ქონდა კარი. იგითი შეძვრა რქაში, შემდეგ ისევ გამოვდა, მივდა დედაბერთან და უთხრა:

– დედი, სულ ერთია, ამ ყოჩს მაინც წაგვართმევს ხელმწიფე, ამიტომ შენ თვითონ მიიყვანე და აჩუქე. ადგა და შეძვრა ყოჩის რქაში. ნენემ წაიყვანა ყოჩი ხელმწიფესთან, ყოჩი ძალიან მოეწონა და ნენეს შეუთვალა, მომყიდოსო.

ნენემ შეუთვალა, მე ამას არ ვიყიდი, ეს თქვენი საჩუქარია, ჩემმა შვილმა გამომატანა. მიუყვანა ხელმწიფეს ყოჩი და უკან წამოსასვლელად ემზადებოდა. ხელმწიფემ დაუძახა მოსამსახურეს და უთხრა: წადი და გამოიტანე ერთი ხურჯინი ოქრო და მიეცი ამ ნენეს.

სამ დღე-ღამეს ლხინი ქონდა ხელმწიფეს. ხელმწიფის ცოლმა უთხრა ქმარს: ამდენი ხანია ჩვენ ვქეიფობთ და ჩვენი შვილი კი ცხრაკლიტულში გვყავს დამალული. ერთჯერ მაინც დავანახოთ დედამიწა, მაიდამაიც დღეს ხომ არ მოვა ის ოხერი დევი. ხელმწიფემ არ მისცა გარეთ გამოყვანის უფლება, მაგრამ უთხრა: რახან ასეა, ყოჩი შით შეიყვანეთ. მართლაც, ძალიან მოეწონა და თხოვა რამდენიმე ხნით მასთან დაეტოვებიათ. ყოჩი დაუტიეს გოგოს. რომ გახდა შუაღამე, გოგოს ჩაეძინა. გამოძრა ყოჩის რქიდან იგითი და გოგოს აკოცა, ისევ შეძრა რქაში. გამოიღვიძა გოგომ, რახან ვერავინ დაინახა, ეგონა ყოჩმა ამლოკაო. ამიტომ ყოჩს ადგილი უცვალა, მეორედ გამოძრა ბიჭმა და უკბინა. ბიჭმა აღარ შეძრა რქაში. გამოიღვიძა გოგომ და დაინახა ბიჭი, მოეწონა და ჩაეკვრა გულში. გოგომ უთხრა: ცოლად უნდა გამოგყვე. ბიჭმა უთხრა: ცოლად კი წაგიყვან, მარა აქედან როგორ გავიდეთ. როცა ერთმანეთს ჩაეკონენ, ყოჩმა გაქარდა.

გოგომ უთხრა: მე გაგიყვან გარეთ და მერე შენ იცი. ბიჭს გაუხარდა და უთხრა: ოღონდ გარეთ გამიყვანე და მერე მე ვიციო.

დიდი წვალებით გავიდა გარეთ. ხელმწიფემ მთელი ჯარი შემოახვია გოგო-ბიჭს. იგითმა გაუმართა ბრძოლა. ბიჭმა გაარღვია ხალხი და თავისი საცოლით გაიქცა. მივდა დევთან და უთხრა: შენი დავალება შევასრულე. დევს გაუხარდა და უთხრა: რაც გინდა, იმას გაჩუქებო. გოგომ ტირილი დაიწყო და უთხრა ბიჭს: მე შენ გამოგყევი ცოლად და არა ამ დევსო. ბიჭმა უპასუხა: ნუ გეშინია, მე მაინც არ დაგტევო. ბიჭმა უთხრა დევს: დღეს ნუ მაჩუქებ, ხვალე მოვალ და მაშინ მაჩუქე. იგითმა იმ ღამეს კარგად დაისვენა. დილას ადგა და პირდაპირ წავიდა დევის სამყოფელოსკენ. მაშინ ცხენმა უთხრა იგითს: ნუ გგონია ადვილი იმასთან ბრძოლა, ლუკმა-ლუკმად რომ დაჩეხო, მაინც გაცოცხლდება. მხოლოდ ერთი რამ არის საშუალება, ერთჯერ უნდა დაარტყა, თუ მოკალ, მოკალ, თორემ მეორეჯერ რომ დაარტყა, კიდევ გაცოცხლდება.

მივიდა იგითი. დევს ეძინა, მძინარეს არ დაარტყა. დაიყვირა და გამოიღვიძა. დევმა უთხრა: მთხოვე, რაც გინდა და იმას გაჩუქებ. იგითმა უთხრა: შენი საჩუქარი მე არ მინდა, შენს მოსაკლელად მოვედიო. გაიმართა ბრძოლა. იგითმა ერთი მაგრად დაარტყა დევს. ცხენის დანაბარები გაახსენდა. დევმა უთხრა: თუ ბიჭი ხარ, კიდევ დამარტყი. იგითმა უთხრა: მე ერთჯერ ვარ დაბადებული. ნახევარი საათის შემდეგ დევი გადმოვარდა ცხე-

ნიდან. იგითმა დევის სამფეხა ცხენზე თვითონ შეჯდა, გოგო თავის ცხენზე შესვა და წაიყვანა მერე ცოლად. მივდენ სახლში, მამამ კარგი ლხინი გამართა.

შიფრი: ბსკიფა 23, 56.
მთქმელი: ნატარიძე ზექერია ბარათის ძე.
ასაკი: 78 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჯაბნიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჯაბნიძეები.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 11.07.-21.07.1959

ნატარიძე ზექერია ბარათის ძე. 78 წლისა, სოფ. ჯაბნიძეების მცხოვრები. ცოლშვილიანი, წერა-კითხვის უცოდინარი, ნამყოფია საქართველოს უმეტეს ქალაქებში. მის რეპერტუარში შედის ძირითადად ზღაპრები.

იგითი ბიჭი

ყოფილა ერთი ფუხარაი კაცი. ერთი ბიჭი ყოლია მხოლოდ. სამი წლის რომ გახდა, მამა გარდაეცვალა. დედამ აზარდა პატარა ბიჭი. გახდა თხუთმეტი წლისა და დედამ დააქორწინა. მოიყვანა ძალი სახლში. შეყარა გოგო-ბიჭი ოდაში. დაიწყეს თამაში. ერთმანეთს ებნევიან: მე უფრო მიყვარხარ, თუ შენ უფრო გიყვარვარ. ბოლოს გოგომ უთხრა: მიყვარხარ, მაგრამ, და გაჩერდა. ბიჭმა შეეკითხა, რას ნიშნავდა ეს მაგრამ. ბიჭს დააინტერესა და კითხა: – რა მითხარიო. გოგომ უთხრა: – ურუბა (ტანისამოსი) არ მაქვს, ამიტომ ვთქვი „მაგრამ“.

იმ ღამეს ერთად იწვენ. გათენებისას ბიჭმა უთხრა: ადექი და ჰალვა გამიკეთე. ხვალე ყელბეთლში მივდივარ. გოგომ არ ქნა, მაგრამ ბიჭმა თავისი არ დაიშალა.

გოგომ ტირილი დაიწყო. ადგა ბიჭმა, შევდა სახლში და უთხრა დედას: ჰალვა გამოიცხეთ, ხვალე დილით მივდივარ. დედამ უარი უთხრა. მაშინ ბიჭმა უთხრა: ძუძუები რომ არამი მიყო, უწუსვლელი ვერ ვიზამ.

გაუმზადა საგზალი. ადგა ბიჭმა და გაუდგა გზას. დედამ და ცოლმა გააცილეს სახლის ახლოს წყაროზე. იარა, იარა ბიჭმა და გედევდა სხვა სახელმწიფოში. მივდა ერთ ზენგილ კაცთან. სახლში რომ შევდა, აღას პატივი სცეს. შემდეგ აღაც შევიდა ამ ბიჭთან და კითხა ვინაობა. აღას მოეწონა ეს ბიჭი. აღას ოთხი შვილი ყავდა, აღამ უთხრა: სამ დღეს ჩემი სტუმარი იქნებიო. ბიჭმა მოუთხრო თავისი მდგომარეობა, რომ მე ვარ იეთიმი, ტაიებმა გამზარდეს და ახლა ფულის მოსაგებად წამოვედი. აღამ უთხრა: ჩემთან დადექი მოსამსახურედ. ბიჭი დაეთანხმა. აღას ძალიან შეუყვარდა, საკუთარ ბიჭებს ერჩივნა. იმდენად უყვარდა ეს ბიჭი, რომ საძინებელი ოთახი თავის ოთახის ახლოს მიცა. გავიდა ერთი წელიწადი. სამი თვე გადაუარა დათქმულ დროს. აღამ უთხრა: შენ იგითავდა ერთი წელიწადი. დრო გადაუარა. შენ კი არაფერს არ ამბობ. თუ გინდა კიდევ დარჩი, თუ არა და ფულს მოგცემ და წადი. ბიჭმა უთხრა: – თუ იზნს მომცემ, წავალ, თუ არა და, დავრჩები.

აღამ უთხრა: – მე კი სხვანაირად მინდა. ბიჭმა კითხა: – როგორ?

აღამ უთხრა: – ოთხი ბიჭი მყავს, მეხუთე შენ იყავი. ბიჭმა დათანხმდა. სახლში ყველას უყვარდა. გევდა თორმეტი წელიწადი. ბიჭი კიდევ აღასთან არის.

ერთ საღამოს ბიჭს ეძინა თავის ოთახში, აღის ცოლი ჯერ დაწოლილი არ იყო. გევდა ცოტა და ბიჭმა ერთი მაგრად ამოიგნეშვა. ხანუმი შევდა და უთხრა: – შვილო, ჩვენთან რა დაგაკლდა, რომ ასეთი ამოიგნეშე. ცოლი თუ გინდა, გვითხარი და ხვალვე მოგიყვანთ. ბიჭმა მოატყუა და უთხრა: როდის ამოვიგნეშვე, მე არც კი გამიგია. ქალმა აღარ მოცილდა, უნდა მითხრაო. ბიჭმა უთხრა: – გეტყვი, მაგრამ აღას არ უთხრა, თუ არა, ვიცი, რომ ის დამკლავს, რადგან იგი ძალიან ბრაზიანია. მე მყავს დატოვებული სახლში დედა და ცოლი, მომაგონდა და დავიკვნესე. შევდა ხანუმი სახლში. აღამ კითხა: – რა ელაპარაკე ჩვენ ბიჭსო? ქალმა უთხრა: – დილას გეტყვი, რადგან შენ ახლა გაბრაზდები. გათენდა. ბიჭი დამალა და ხანუმმა უთხრა ყველაფერი. გაბრაზდა აღა, წამოწია ყლიჯი და დაიყვირა: მომიყვანეთ, თავი უნდა მოვჭრა, რატომ მომატყუა. თუ ცოლი და დედა ყავდა, აქამდე გუუშვებდი.

აღას გადაუარა სიბრაზემ. მიუყვანეს ბიჭი. აღამ უთხრა: – ეი, შვილო, დედა, ცოლი გყოლია, რატომ არ მითხარი აქამდეო? ბიჭმა უთხრა: მომეხათრა შენგანო. თუ ნებას მომცემ, წავალ, თუ არა და, დავრჩები. აღამ უპასუხა: მარტო ცოლი რომ გყოლოდა, არ გაგიშვებდი, მაგრამ რადგანაც დედაც გყავს, ამიტომ გიშვებ, რადგან დედის ახი დაგედებაო.

აღამ დაუძახა ხიზმეთქარს და უთხრა: შედი ჩემ ოთახში, სკივრია, ააღე ის და ხურჯინში ჩაყარე ოქრო და მომიტანე.

სანამ აღა თავის ოქროს მისცემდა, მანამდე უთხრა: ჯერ უნდა მოგცე შენი ჯამაგირი, რაც შეადგენს სამი ათას მანეთს. მართლაც მიცა სამი ათასი მანეთი. ჩეიდვა ეს ფული ჯიბეში, გამოუცხეს ჰალვა, შეუკერეს სამი ყათი ტანისამოსი. ერთი აღამ აჩუქა. გათენდა დილა. დაიძახა აღამ და უთხრა: შენი სამი ათასიდან ერთ მანეთს თუ მომცემ, ერთ ჭკუას გასწავლი. ბიჭმა მიცა, აღამ უთხრა: თუ სადმე წახვალ, ვინმე დაგეამხანაგება და გეტყვის: აქედან წავიდეთ, ახლოა. შენ იმას არ დაუჯერო, შენ წადი ნაცნობი გზით.

ერთი საათის შემდეგ აღამ უთხრა: ერთ მანეთს თუ მომცემ, ერთ ჭკუას კიდევ გასწავლი. ბიჭმა მიცა. აღამ უთხრა:

– თუ სადმე საკვირველი რამე შეგხდა და შენ არ გეხება, ნუ შეეკითხები.

გავიდა ერთი საათი. აღამ კიდევ დაიძახა ბიჭი და უთხრა: შენ ათას მანეთს თუ მომცემ, კიდევ გასწავლი ერთ ჭკუასო. აღამ უთხრა: რაც არ უნდა გაბრაზდე, ერთი საათი მაინც მოითმინე. აღამ უთხრა: ახლა შეგიძლია წეხვიდე.

მოვდა წასვლი დროც. ბიჭი დაღონებულია, რადგან ფული აღარ აქვს. რაც ქონდა, ისიც აღამ აართვა ჭკვის სწავლებაში. ხანუმიც მოწყენილია. აღას უთხრა: თორმეტი წელიწადია ბიჭი ჩვენთან არის, ეს რა დამართე, როგორ მივდეს სახლში. აღამ უთხრა: თუ წასლიხან დამემშვიდობა, გავამდიდრებ, თუ არა და, არაფერს არ მივცემ. ბიჭი მაინც უნდა დამშვიდობებოდა, მაგრამ მეორე ოთახიდან მოისმინა. ადგა დილით, შევდა აღასთან, დაუძახა ოჯახის ყველა წევრს და სათითაოდ დაემშვიდობა.

აღამ კითხა: დღეს უკვე მიდიხარ, მერე უფასოდ მიდიხარ? ბიჭმა უპასუხა: თუ შევძელ, მივალ და თუ არა, საცხა მოვკდები. აღამ დუუძახა ხიზმეთქარს და უთხრა: ერთი ტომარა ოქრო მომიტანეო. შვიდი ჰეგბა (ხურჯინი) ოქრო და ქონება გაატანე.

იარა, იარა და მეორე დღეს ერთ შეჰერში გეიარა. დეინახა ოთხი ხირსიზი (ქურდი). ქურდებმა მიხდენ, რომ ამ ბიჭს ოქრო ქონდა. ქურდები გამოეკიდენ ბიჭს, დაეწიენ, მიესალმენ და კითხეს: სად მიდიხარო? ბიჭმა უთხრა სიმართლე. მემრე ბიჭმა კითხა ქურდებს ვინაობა. მათ მოატყუეს. დაამხანაგდენ, მივდენ ერთ ადგილზე, ოთხი გზა ნაწილდებოდა.

ქურდებმა უთხრეს: ქვედა გზით წევდეთ, იქიდან ახლოსაა, სინამდვილეში იქ ყრუღელე იყო და უნდა მოეკლათ. ბიჭი დათანხმდა და ჩაყვა რამდენიმე მანძილი. ბიჭს მოაგონდა აღას დარიგება, რომ სადაც გზა არ იცი, იქ არ წახვიდეო. ამხანაგებს უთხრა: უცნობ გზას ნაცნობი მირჩევნია და მოაბრუნა ცხენი. გამოეკიდენ, მაგრამ ამ ბიჭს ყავდა გამფრინვალე ცხენი და ვერ დეეწიენ. დაბრუნდენ ქურდები უკან.

იარა, იარა დღე და ღამე. მოწყურდა წყალი. მეოთხე დღეს ერთ სარაიას მიადგა. სარაიას ხუთი ოდა ქონდა. უძახა, უძახა, მაგრამ არავინ არ გაუგონა, თუ არა და ფუტი, კვამლი ამოდიოდა ბუხრიდან. ეზოში ზარი იყო. დაკრა ხელი ზარს და გეეღო კარი. გამოვდა ერთი დიდი, შიშმანი კაცი და კითხა: – რა გინდაო. ბიჭმა უპასუხა: – ჯერ შენი სიცოცხლე და მერე წყალი მწყურია. ამ კაცმა უთხრა: მოდი, სახლში წყალსაც გასვამ და საჭმელსაც გაჭმევ. შენ რომ გგონია, ისეთი კაცი არ ვარ. ჩემთან მოსულ კაცს სამ დღეს მაინც არ გუუშვებ.

შეიყვანა სახლში, ჰეგბე ეზოში დაკიდა, ბიჭს შეეშინდა: ვაითუ, არავინ მოიპაროსო, მაგრამ აღარ უთხრა აღას ამის შესახებ.

შევდა ოთახში და დაინახა, რომ ერთ დირეგზე ტიტველი ქალი იყო მიკრული. აღამ სკამი სწორედ ამ ქალის პირდაპირ დაუდვა, აჭამა საჭმელი, ბიჭმა სკამი შეაბრუნა, რომ ქალი არ დავინახოო. აღამ ყლიჯი წამოწია და თან უთხრა: როგორც სკამი დაგიდე, ისე დაჯექი. შეაბრუნა ბიჭმა სკამი.

დაღამდა. აღა გარეთ გავიდა. ქალმა დაუწყო ხვეწნა: უთხრა ჩემ ქმარს, გამიშვას აქედანო. რვა წელია, ამ დირეგზე ვარ მიკრული და მიშველე. ბიჭმა უთხრა: რაღაც ბრალი მიგიძღვის და მე არ შემიძლია დაგიხსნაო.

აღა შევდა სახლში, უნდა მკითხოს რაღაც ამ ბიჭმაო, მაგრამ ბიჭი არაფერს არ ებნევა. გავიდა სამი დღე. აღას მაინც არ კითხა, რა დანაშაული მიუძღვის ამ ქალსო.

აღამ მესამე დღეს დილით აჭამა საჭმელი და უთხრა: შენთანა იგითი ბიჭი აქ არ მოსულა, ამიტომ ჩემი ოთახები უნდა გაჩვენო. წევდენ მოსავლელად. დაარუნია ყველა ოთახი. ერთ ოთახში კაცის თავები იყო ავსილი, მეორე ოთახში – წითელი ოქრო, მესამე ოთახში – ვერცხლის ფარა. ბიჭი კიდევ არაფერს არ ეკითხება, მარტო ამას ებნევა: კარგი აღა ყოფილხარო. აღამ გამოიყვანა ცხენები, აკიდა შვიდი ჰეგბა ბიჭისა. შეჯდა ბიჭი, მაგრამ ავშარა არ მიცა ხელში. ბიჭს შეეშინდა და ხელი მოკიდა ყლიჯს, რომ თუ ჩემკენ წამოიწია, შეიძლება მოვასწრო დარტყმაო. აღამ მიხდა და უთხრა: შენისთანა იგითი კაცი აქ არ მოსულა და ვინც მოვდა, ყველა მოვკალი. ამის შემდეგ ავშარა მიცა ხელში. ბიჭი ჩამოხტა

ცხენიდან და უთხრა: ორი სიტყვა მინდა გითხრა, თუ შემცდარი ვარ, შენი ყლიჯი არ დამარტყა, ჩემი ყლიჯით მომკალი. აღამ დართო ნება.

ბიჭმა უთხრა: ის ხანუმი ჩემი დედაა. ამის შემდეგ თუ მომცემ ნებას, უნდა ავხსნაო. აღამ ნება დართო. შევდა სახლში, ხანუმს უთხრა: ახლა აგიშვებ, მაგრამ ამის შემდეგ ჭკვით იყავი.

როცა დაბრუნდა სახლიდან, აღამ უთხრა: ხომ ნახე ჩემი ფარა. ამ ფარის პატრონმა, ფულის გულისათვის სხვასთან დეიკავა კავშირი. ამიტომ დავსაჯე იქ რომ თავები იყო, ის ყველა იმათი იყო, ვინც მოვდოდა და მეკითხებოდა, რატომ აწვალებ ხანუმსო. შენც რომ გეკითხა, შენც მოგჭრიდი თავს. ამის შემდეგ აღამ მიცა ერთი ხურჯინი ოქრო. ამდენივე მიცა ხანუმსაც. ხანუმმა აჩუქა კიდევ ტანისამოსი.

იარა, იარა, და შუაღამისას მივდა სახლში, მიადგა სახლს, დაინახა ფანჯრიდან სინათლე. უკვე თექვსმეტი წელიწადი იყო გასული. ჯერ ფანჯრიდან შეხედა, შეიხედა ერთ ოთახში და დეინახა, ერთი მოხუცებული ქალი, რომელიც ლოგინში წვებოდა.

შეიხედა მეორე ოთახში. დაინახა თავისი ცოლი, მაგრამ კალთაში ახალგაზრდა ბიჭი ეწვა და თავს უხილავდა.

გაბრაზებულმა შეაყოფია თოფს ტუჩი ფენჯარაში და უნდა ესროლოს, რომ გაახსენდა აღის დარიგება და ერთი მანეთი და იფიქრა მოდი, ნახევარ საათს მაინც დავიცდი და მერე მოვკლავო.

ამოიღო საათი და უყურებს, თუ როდის გავა ნახევარი საათი. ამასობაში ბიჭი წამოდგა და უთხრა: დედავ, ადექი, ლოგინი დამიგე. დარწმუნდა კაცი თავისი ცოლის სიწმინდეში. მივდა და დუუძახა ეზოში. გეიხედა ბიჭმა. კაცმა უთხრა: ამეღამ ღამე უნდა გამათევიო. ბიჭმა შეიპაიჯა, აჭამა ვახშამი. ბიჭს კითხა თავისი ვინაობა; მამა გყავს თუ არაო. ბიჭმა უთხრა: მამა არ მომკდენია, სამგზავროდ წასულა და ჯერ არაფერი არ ვიცით. კაცმა უთხრა ბიჭს: მე შენი მამა ვარ და გადაეხვივნენ ერთმანეთს. დედამ სიხარულისაგან ტირილი დეიწყო და თქვა: – ვიღაცა გვატყვილებს, თორემ ჩემი შვილი არ იქნებაო.

დედამისმა კითხა: – თუ ჩემი შვილი ხარ, აბა, მითხარი, მე რა დაგაბარე, სადამდე გაგაცილე და სხვა.

კაცმა ყველამფერი აუხსნა. მაშინ დარწმუნდენ სისწორეში და გადაეხვიენ ახლად მოსულს.

ფისქეთი

Aყო ერთი ფაშა. შვიდი ბიჭი ყოლია, მერვედ გოგო ეყოლა. სამი დღის რომ გახდა, ფაშა სამგზავროდ წევდა. ერთი ჰეგბა ოქროც თან წაიღო. გევდა რამოდენიმე მანძილი. გახედა, რომ წყალს ქაღიდები მოაქვს. ფაშამ იფიქრა, ამდენი ქაღიდები სიდან მოდისო. ჩამოიდა ცხენიდან და შეყვა ღელე-ღელე, ევდა თითქმის მთის ძირში. დეინახა, რომ წყალი გამოდის ქვის ქვეშედან. იქიდან მოდის ეს ქაღიდებიც, მუუვარა ზეიდან

და დეინახა, ქვას კიდია კარი. შეაღო, შევდა შით და დეინახა, ერთი დიდი შეიხი ზის სკამზე და წერს. ყრის პატარა ქაღიდებს წყალში. ფაშამ სალამი მიცა. ხოჯამ არც კი უპასუხა. ფაშა დგას ახლოს და უცდის, როის გამოესაუბრება ხოჯა. ფაშა გაერსდა, რატომ არაფერს არ შეკითხებაო და უთხრა: – ეი, ხოჯავ, რაფერი კაცი ხარ, რა ხარ, ერთი საათია აქ ვარ და შენ არაფერს არ მეკითხებიო.

ხოჯამ უთხრა: – მე იმდენს ვერ მოვიცლი, რომ შენ ვერ დაგელაპარაკები. მე ვწერ ვინნა მოკდეს, ვისი გოგო ვისი ყისმეთია.

ფაშას გაუკვირდა და უთხრა: – თუ ასეა, სამი დღის გოგო დავტოვე და თუ იცი, გამიგე, ვისი ყისმეთია.

იმის ყისმეთი დავწერე დღეს დილით. დღეს დაიბადა ამა და ამ სოფელში, რომლის მშობლები ძალიან ღარიბები არიან, მხოლოდ სამი ცხვარი ყავან, მთაზე წეიყვანებენ და კაცი ჩობანია და იმით ირჩენენ თავს.

ფაშამ უთხრა: – არა, ხოჯავ, მე ფუხარას შვილს არ მივცემ, ამიტომ ამოშალე. ხოჯამ უთხრა: – ამას რამე არ ეშველება. მაშინ ფაშამ დაიწერა იმ კაცის სახელი და გვარი და წევდა იმ კაცის სოფელში, სადაც გოგოს ყისმეთი დეიბადა.

მივდა სოფელში. მოიკითხა ის კაცი. უთხრეს: მთაშია ჩობნად წასული, მხოლოდ სამი ცხვარი ყავს, ერთი ბიჭი ახლა დეებადა. შეჯდა ცხენზე და ევდა მთაზე. მივდა ქოხთან და დუუძახა. გეიხედა კაცმა, ფაშამ კითხა: – ბაღანა ხომ არ გყავთო? კაცმა უთხრა: – ორი დღეა, მეყოლა ერთი ბიჭი. ფაშამ უთხრა: – მე უშვილო კაცი ვარ, ბევრი ფული მაქვს, ბიჭი უნდა ვიყიდო, თქვენ ფუხარა ყოფილხართ და მომყიდეთო, თქვენ ახალგაზრდები ხართ და კიდევ მოესწრებით. ქმარი წინააღმდეგი, იყო მაგრამ ქალმა დაიყოლა. მიყიდეს ფაშას ბავშვი. წამოიყვანა ბავშვი. სამი დღის ბავშვი სამი წლისას გავდა. გეიყვანა სხვა სოფლის მთაზე. ბავშვი უნდას დაკლას, რადგან მისი შვილის ყისმეთია. დახედა ბავშვს, თავი ვეღარ მოჭრა. ყავარზე დაკრულ ბავშვს ჩაარჭო მუცელში დანა და დააკრა. დატია და გეიარა წევდა. მივდა სახლში.

საცხა ბავშვი დატია, იმ სოფელში იყო ერთი ცოლ-ქმარი. ბავშვი არ ყავდათ. კაცი ბარში იყო, ქალი – მთაში. ქალმა შეამჩნია, რომ ყოველ საღამოს თხა მოდიოდა მოწველილი. ქალს უკვირს. შეუთვალა კაცს ბარში, რომ ვინცხაი თხას წველის და რამე მიშველეო. ევდა კაცი მთაში და წაყვა თხას. შუადღისას გაქრა თხა. მოვდა საღამოს, რომ თხა კიდევ მოწველილია.

მეორე დღეს კაცმა თხას თოკვი წააბა და ისე წეიყვანა. შუადღიხან თხამ წასვლა დააპირა. კაციც წაყვა. მივდა ერთ ხის ძირში, რომ თხა აწვებს ძუძუს ბავშვს. კაცმა იფიქრა: შვილი არ მყავს და ბოლოს მეშველაო. შეამჩნია, რომ ბავშვს მუცელში დანა ქონდა ჩარჭობილი, მაგრამ თხას ამოეღო პირით და ამიტომ გადარჩა ბავშვი სიკვდილს.

წამოიყვანა ბავშვი სახლში. დანაც წამეიღო. ბავშვი გაიზარდა. გახდა თოთხმეტი წლისა. ერთ მინდორში ბავშვებთან ერთად ბილას თამაშობდა, საცხაიდან ფაშამ გეირბინა. შეხედა რომ ერთი ბავშვია, რომელიც სხვა ბავშვებს ყველას ერევა. კითხა: – ვისი ხარ? ბავშვმა უთხრა: – ამა და ამ კაცის შვილი ვარო. ფაშამ დაინახა დანა და უთხრა: – ბიჭო, ერთი

შენი დანა მანახვე. ბავშვმა უთხრა: – ჩემი თავი მთაზე უნახავთ დაკრული ყავარზე, ეს დანა ჩარჭობილი მქონია მუცელში. თხა მაწოვებდა ძუძუს. მომიყვანეს და ამზარდესო.

ფაშამ უთხრა: მე სამგზავროდ მივალ, სახლში დაბარება მინდოდა და დამავიწყდა, ამიტომ შენ მოიტანე ჩემ სახლში და სამაგიეროდ, ოქროს მოგცემ. ბავშვმა უთხრა: – მშობლებს უთხარი და ისე წავიღებ. მივდა ფაშა და უთხრა: – თქვენი შვილი უნდა გავგზავნო ჩემ სახლში. მართლაც გაგზავნეს ბავშვი და თან გაატანა წერილი იმ ხიზმეთ კაცთან, რომელიც ყველაზე ზალუმი იყო. მისთვის კაცის მოკლა ჭიანჭველას მოკლასავით იყო. ამ ხიზმეთქარს მიწერა, რომ ეს ბიჭი მოკალით და მისი თავი სტოლზე დამახვედრეთ.

წევდა ბიჭი და მიაღწია ფაშის სახლთან. გააღო ჭიშკარი, შევდა ბახჩაში და წყაროსთან დაჯდა და თან ჩაეძინა.

ხანუმს, მეგემ, ხორცი ქონდა ჩაყრილი ქვაბში. გოგოს უთხრა: – ბოსტანში მწვანილი მოკრიფე, თან წყალი მოიტანე და ხორცი შევკაზმოთ. ჩავიდა გოგო წყაროსთან, დეინახა ერთი ლამაზი ბიჭი, რომელსაც ტკბილად ეძინა გოგოს მოეწონა ეს ბიჭი.

გოგომ ჯიბეში დუნახა ქაღალდის ყური. ჩააპარა ხელი, ამოიღო ქაღალდი. ნახა, რომ მამის ბეჭედი ერტყა ზედ. წეიკითხა და კინაღამ დაიბნიდა. გოგომ დახია ქაღალდი და ბოსტანში ჩაფლა. წყალი აღარ მოადინა, დაჯდა, დაწერა წერილი: ეს ბიჭი რომ მოვა, იმ წამში ქორწილი მოაწყვეთ და მესამე დღეს ბიჭს გოგო შეუგდეთ ოდაში. დაარტყა ბეჭედი წერილს და ჩაუდვა ბიჭს ჯიბეში.

შევდა დედამისთან და უთხრა: – წყაროსთან ვიღაც ბიჭს ძინავს და არაფერმა უკბინოსო.

გააღვიძეს ბიჭი. მისცა ქაღალდი იმ ხიზმეთქარს, რომელიც დაიბარა ფაშამ. წეიკითხა ხიზმეთქარმა და თან მაგრად გაიცინა. ახლავე ქორწილი უნდა ვქნათ. დაავალა ხიზმეთქრებს ხალხის დაპაიჯება. მოიყარა თავი ხალხმა. გაიმართა ქორწილი. მესამე დღეს გოგო და ბიჭი შეაგდეს ერთ ოთახში. მეხუთე ღამეს მოვდა ფაშა. შევდა ოთახში და ნახა, რომ ბიჭის თავი არ არის სტოლზე. კითხა: სად არის ამ ცხენის პატრონის თავიო? უპასუხეს: – შენ გოგოსთან არის ოდაში. ფაშამ უთხრა: – აბა, წამიკითხეთ ის წერილი, რომელიც გამოვატანე. ხიზმეთქარმა წაუკითხა. ფაშამ არ დაიჯერა, თვითონაც წაიკითხა: მართლაც ისე ეწერა, რომ ახლავე მოაწყვე ქორწილი და მესამე დღეს გოგო შეუგდეთო. ზედ თავისი ბეჭედი ქონდა დარტყმული. ფაშა გაბრაზდა, გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ბიჭი.

ახორში ყავდა ასლანი და ყაფლანი, რომლებიც ადამიანს ერჩოდნენ. გოგო რომ გამოვდა ოთახიდან, შევდა ფაშა და ბიჭს უთხრა: – სიძევ, ჩადი ახორში, იქ არიან ერთი შავი და მეორე თეთრი ცხენი. ასვი წყალი და ამოდი. ბიჭმა არაფერი არ იცის. ხიზმეთქარმა ახორის შესასვლელთან დააყენა ასლანი და ყაფლანი. გოგომ მიხდა, რომ ბიჭი უნდა შეაჭამონ. წევდა ბიჭი ახორისკენ. გოგომ ნაფოტი შემოკრა ბიჭს. ბიჭმა მოიხედა, გოგომ წაეჩურჩულა, ჩადი შუა კიბეზე, ნახევარი საათი გაჩერდი და მერე ადი სახლში. მამაჩემს უთხარი: შავ ცხენს დავალევინე და ყირათი ავად არის და ვერ ავაყენე. ავად არის-თქო. ბიჭიც ასე მოიქცა. ფაშას ცხენები ძალიან უყვარდა და გაიქცა ახორში.

შევდა ფაშა ახორში. გაწიკვეს საწყალი ფაშა. თუთხმეტ დღეს დარჩა გოგოსთან. მეთექთსმეტე დღეს წეიყვანა სახლში გოგო და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

სამი ძმის ამბავი

ერთ კაცს სამი ბიჭი ყოლია. მშობლებს დიდი ძმის დასახლება მოუნდომებიათ. ძმებს არ უქნიათ. ჯერ ფუხარა ვართ, წავალთ ფულს მოვიგებთ და მერეო.

მიცა მამამ თითო-თითო მანეთი და წევიდენ. ექვს თვე იარეს, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახეს. დიდმა ძმამ ერთ მანეთს ერთი მანეთი მიუმატა, მიერები კი ვალით მოიდენ სახლში.

მეორე წელს წევდენ. ეკიდევ ვერაფერი ვერ მოიგეს. მესამედ წევდენ, იარეს, იარეს და მიადგენ ერთ ქილისას და თქვეს: მოდი, ცალკ-ცალკე წევდეთ და შეიძლება რამე მოვიგონოთო. ვინც მალე მოვა ამ ქილისასთან, დაგვიცადოს, რომ ერთად მოვდეთ სახლში. დანაწილდენ ძმები. დიდი ძმა შორს წევდა. მიერები უფრო ახლოს დარჩენ ერთმანეთთან. გევდა სამი თვე. დიდ ძმას სამი მანეთი დუურჩა.

გეიარა ერთ მინდორში და დაინახა, რომ ერთ მკვდარ კაცზე წაუბმან თოკი და ათრევენ, დიდი ძმა შეეკითხა: რატომ ათრევთ?

– სამი მანეთი გვქონდა ასაღები და არ მოგვცა, ამიტომ ვათრევთო.

აიღო ამ ბიჭმა და დარჩენილი სამი მანეთი ამათ მიცა. წაიღო ეს მკდარი და დაასაფლავა.

საერთოდ, წასლიხან მამამ დაუბარა, რომ ვინმე თუ დაგეამხანაგა, მაშინ დაუამხანაგდი, როცა ეს კაცი ჭადის დიდ ნატეხს შენ მხარეს დადებსო.

ამ ბიჭმა განაგრძო გზა. ერთ წყაროსთან შეხდა ერთი თეთრწვერაი კაცი, ერთად ჭამეს საჭმელი, თეთრწვერამ ჭადის დიდი ნატეხი ამ ბიჭს გადმოუდო, მაშინ იფიქრა ბიჭმა: მამაჩემმა რომ გვითხრა, სწორედ ასეთი კაციაო.

მოხუცმა კითხა: – საით მიდიხარ?

– ფულის მოსაგებად მივდივარ.

– მეც ასე – უთხრა მოხუცმა და დაამხანაგდენ. გადაწყვიტეს, ამ ადგილზე რომ გამოვივლით, ყველაფერი, რასაც მოვიგებთ, შუაზე გავყოფთო.

გაუდგნენ გზას. მიადგნენ ერთ ტრიალ მინდორს. მოხუცმა უთხრა: – მე აგერ, ამ სერზე, გადავალ, მალე მოვალ. სამ დღეს თუ არ მოვედი, თუ არ შეგეზარება, მომძებნე.

წევდა მოხუცი. იქვე, ახლოს, იყო ერთი დიდი სარაია. იქ გამვლელი ცოცხალი ვერ რჩებოდა. გეიარა მოხუცმა და ოთხ დევს თავი მოჭრა. შევდა შით, რომ ერთი ოდა ოქროით არის სავსე, ჩაყარა ერთ ჰეგბაში და წამოვიდა ამხანაგთან. მივდა და უთხრა: იმდენი ქონება ვნახე, რომ ორი ყათირი ძლივს წაიღებს, ამიტომ სადმე უნდა ვიყიდოთ.

მივდენ ერთ სოფელში და აღასთან გაითიეს ღამე. აღამ სამ დღეს არ გუუშვა. აღას ერთი გოგო ყავდა, ძალიან ლამაზი იყო. მაგრამ მუცელი ქონდა ძალიან ხოშორი. ეს იყო მისი ნაკლი.

ბიჭმა უთხრა თეთრწვერა მოხუცს: აღის გოგო მათხოვნიე. აგერ გაიხედე! და დაანახვა თერთმეტი საფლავი. ესენი ყველა ჩემ გოგოსთან იწვენ ღამეს და ყველა მოკდენ, ეს ბიჭი მეთორმეტე იქნება. ამიტომ მე ვერ ჩავდგები ამ ბიჭის ცოდვაში, თუ ბიჭი თანახმა იქნება,

მეც თანახმა ვარო. ბიჭმა უთხრა მოხუცს: – ერთი იმ გოგოს კლავს გადავდებ და რა ვქნა, თუ მოვკდებიო. აღა დათანხმდა.

გოგო და ბიჭი უნდა შეყარონ ერთმანეთთან. მოხუცმა უთხრა: – სამ რამეს გასწავლი და ის შეასრულე.

პირველი – ლამბაი არ დაანელო; მეორე –კარი არ დუუყაროო; მესამე – ილოცე და ისე დაწექი. თეთრწვერამ გადაწყვიტა, იმ ღამეს ეყარაულა გოგო-ბიჭისათვის. შეაგდეს გოგო ბიჭთან, წუუხედა თეთწვერამ რომ ძინავდა. შევდა ჩუმად და დადგა მათ თავთან.

თურმე გოგოს მუცელში ყავდა გველი. და იმიტომ იყო ხოშორი. გავიდა ხანი და გოგოს პირიდან ამოძვრა გველი. მოიქნია მოხუცმა ყლიჯი და თავი წაცალა. თავი ძირს დაეცა, ტანი კი ჩავარდა ისევ მუცელში. მეორე დღეს აღა დარწმუნებული იყო, რომ სიძე ცოცხალი აღარ იქნებაო და საფლავი გაათხრევინა. მოხუცმა შეეკითხა: – რატომ ათხრევინებო? აღამ უთხრა: – სულ ერთია, ჩემი სიძე ცოცხალი აღარ იქნებაო. დუუძახეს სიძეს, ნახეს, რომ ცოცხალია. ცხრა დღეს დარჩენ აღასთან. შემდეგ იყიდეს ორი ყათირი. გამოიარეს იმ სარაიაში. მოკიდეს ქონება და წამოვიდენ. მივდენ იმ ადგილზე, სადაც შეხდენ პირველად ერთმანეთს.

მოხუცმა უთხრა: – ხომ გახსოვს ჩვენი პირობა?

– როგორ არ? – უპასუხა ბიჭმა. ყველაფერი გაანაწილეს შუაზე, დარჩა ქალი. ბიჭმა უთხრა: – ოღონდ ქალი დამითმე და სხვა ქონება შენი იყოსო. მოხუცი არ დათანხმდა. ქალი შუაზე უნდა გავჭრათ. მოხუცმა დააყენა ქალი ერთ ბრტყელ ქვაზე და უთხრა: სწორად დადექი, თორემ ლამაზად ვერ გაგჭრიო. ქალი დადგა, მაგრამ აკანკალდა.

მოხუცმა მეიწონა ყლიჯი და დააზომა თავის დუდში. ქალმა ერთი მაგრად დეისნეკვა და გველი ამოაგდო. მოხუცმა იყვირა: ბიჭო – დავაცილე. კიდევ მეიწონა. გველის წიწილებიც ამოყარა. კიდევ დავაცალეო. მოიწონა და გველის ბუდეც ამოაგდო.

თეთრწვერამ უთხრა: – კაცს რომ ათრევდენ და შენ სამი მანეთი გადაიხადე და ის დაასაფლავე, ის მე ვარ. შენი იყოს ეს ქალიც და ქონებაც. მოხუცი გაუჩინარდა. მთელი ქონებით ძმებთან ერთად დაბრუნდა სახლში.

შიფრი: ბსკიფა 23, 59.
მთქმელი: ივანაძე ფიქრი ომერის ძე.
ასაკი: 30 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჯაბნიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჯაბნიძეები.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 11.07.-21.07.1959.

ივანაძე ფიქრი ომერის ძე. 30 წლისა, სოფ. ჯაბნიძეების მცხოვრები, უპარტიო, წერა-კითხვის მცოდნე. კლუბის გამგე, უკრავს გარმონს, გიტარას ფანდურს. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები, ლექსები, შაირები.

ჯიანშაი

ერთ სახელმწიფოში იყო მეფის შვილი ჯიანშაი. სიზმრით შეუყვარდა ფერის ქალი და წევდა ამ ქალის მოსაყვანად.

გაიარა რამდენიმე გზა და მივა ერთ უცნობ სახელმწიფოში. ამ სახელმწიფოში ერთი კაცი ყვიროდა: ჩვენი ფადიშაი აძლევს მის წონა ოქროს იმას, ვინც ცხენის მუცელს გაჭრის, ჩაწვება შით, ნახავს სიზმარს და ეტყვის ფადიშაჰს.

ამას გეიგონებს ჯიანშაი და ეტყვის: – მე შევძლებ ამ საქმეს.

ჩაწვა ჯიანშაი ცხენის მუცელში. გამოიღვიძა, რომ ერთ დიდ მთაზე ასულა, ის აიყვანეს სვავებმა. ჯიანშაის უყვირის ქვევიდან ფადიშაჰი: მანდ რომ ქვებია, გადმოყარე, მერე გზას გასწავლით და ჩამოდი. ქვები გადმოყარა, მაგრამ ჩამოსასვლელი გზა ვერ ნახა. დადის უჭმელ-უსმელი თითქმის ერთ კვირას. ნახავს ერთ ხრამს და ამ ხრამში გადმოცურდება. ქვევით მოსულიერდება და განაგრძობს გზას. მიდის ერთ ადგილზე, ხდება ოქროით მოპირკეთებული ბაღი.

შედის ამ ბაღში და ნახავს ორ წყაროს ოქროს ავაზნით. შედის და სვენობს, მივა ერთი მოხუცი და ეუბნება: შენ ადამიანი ხარ თუ მოჩვენებაო?

ჯიანშაი ეტყვის თავის ამბავს. ამ კაცთან იგი დარჩება სამ წელიწადს. აქ ყოფნის დროს დაინახავს, რომ მოდიან ჩიტები და თან ბანაობენ ამ ოქროს ავაზნებში.

აქ ცხოვრების დროს მოხუცს იმდენად შეეჩვევა, რომ მოხუცს გამოსტყუებს ბევრ რამეს. მოხუცის სასახლე ოთხი ოთახისაგან შედგება. მოხუცი ოცდაცხრამეტი ოთახის გასაღებს უტოვებს და მეორმოცეს არ უტოვებს.

ერთხელ მოპარა გასაღები და შევიდა მეორმოცე ოთახში. დაინახავს, რომ ოქროთი მორთულ ოთახში არის ოქროს ავაზანი, რომელშიც სამი ჩიტი ბანაობდა. ეს ჩიტები გაიხდიან და გამოჩნდება სამი ულამაზესი გოგო. ამათგან ერთი ის არის, რომელიც სიზმარში ნახა.

კიდევ უფრო შეუყვარდა. მოვდა მოხუცი, ჯიანშაი მოწყენილია, ჯიანშაიმ უთხრა: მეორმოცე ოთახში სამი გოგოა, ერთი ძალიან მომეწონა და ცოლად მინდა წავიყვანო.

მოხუცმა უთხრა: ამ წელში არ მოხერხდება. ისინი წელიწადში ერთჯერ მოვლენ და

ბანაობენ. ისიც, ტანისამოსი უნდა მოპარო და ის გოგო დარჩება. გავიდა ერთი წელიწადი. მოვდენ ჩიტები, ამ ერთ ჩიტს პარავს ტანსაცმელს. ორი წევა და დარჩენილი ერთი დაიწყებს ტირილს.

ეს სამი ჩიტი არის ფერის გოგო. ერთი გოგო დარჩა ჯიანშაის. მოხუცი ასწავლის მას გზას და მიდიან ქვევით. მოხუცმა დაარიგა ჯიანშაი: პერანგი, რომელიც ახლა გაცვია, ყოველთვის უნდა გეცვას, თორემ გაგექცევა.

მოვიდენ სახლში. გავიდა რამდენიმე ხანი. შეეძინათ სამი ბავშვი – ერთი ბიჭი და ორი გოგო. ბავშვები დაიზრდებიან.

ერთხელ, ამ კაცმა ჩადო პერანგი ყუთში და სახლის ბალავარის ქვეშ შემოდო, რათა ფერის ქალს არ ენახა. ერთ მშვენიერ დღეს ქალი გაიგებს, რომ პერანგი ბალავარშია, აიღებს პერანგს და გაფრინდება.

გაფრენისას ჯიანშაის ეტყვის: თუ ჩემი თავი გიყვარს, მოხვალ გულიზარის ქალაქში და ჩემ დედ-მამას აართმევ ჩემ თავს. ბავშვებიც წეიყვანა. ადგება ჯიანშაი და წავა ფერის ქალის საძებნელად.

გეივლის ერთ სახელმწიფოში და ფადიშაჰი კიდევ ყვირის: ვინც ცხენის მუცელში ჩაძვრება, სიზმარს ნახავს და მეტყვის, ოქროს მივცემო.

ჩაძვრება ჯიანშაი, ბრილიანტებს აღარ გადმოყრის, მიდის ძველი გზით. მივა იმ მოხუცთან, უთხრა თავისი გაჭირვება.

მოხუცი ეტყვის: თხუთმეტი წელიწადია, რაც ისინი აქ არ მოსულან.

ისინი ცხოვრობენ გულიზარის ქვეყანაში. საერთოდ, ეს მოხუცი იყო ჩიტების მეფე. მოხუცმა უთხრა: ამ წელიწადში მოვა ერთი ჩიტი და იმას გაგაყოლებ.

მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ჩიტი და წაიყვანა ჯიანშაი გულიზარის ქალაქში.

მივა ჯიანშაი ფერების მეფესთან და თხოვს: ოღონდ შენი შვილი დამიბრუნე ცოლად და თქვენ ჩვეულებებს მივიღებო. მეფემ დართო ნება. წამოიყვანა ცოლ-შვილი.

თავის სოფელს რომ მიუახლოვდა, დაუღამდა ერთ მინდორში. გაათია იქვე. შამეესიენ მგლები და ცოლ-შვილი შეუჭამეს.

გავიდა რამდენიმე ხანი, ჯიანშაი არ ცილდებოდა ამ მინდორს. ყოველ დღე მიდის და ტირის, ბოლოს ამ ტირილში დააკვდება თავის ცოლ-შვილს.

ოქროს ფინჯანი

Aყო სამი მეზობელი, სამივე ღარიბი. ერთი იყო ახალგაზრდა, დაახლოებით თექვსმეტი წლისა. ამ ორს კი ცოლ-შვილი ყავდათ, მაგრამ არ ქონდათ სარჩო. გადაწყვიტეს, წასულიყვნენ სადმე ფულის მოსაგებად.

მართლაც, წევდენ ფულის მოსაგებად. მივდენ ერთ ზღვისპირა ქალაქში. დაუდგენ ერთ აღას ხიზმეთქრად. აღამ უთხრა: რასაც გააკეთებთ და მოიგებთ, თქვენი იყოს. ორმა მჭედ-

ლად დაიწყო მუშაობა. პატარამ ბადის ქსოვნა დაიწყო, მოქსოვა ბადე და უთხრა აღას: აღავ, მზად არის. აღამ მიცა ხუთი კაპიკი და თან უთხრა: – წადი და ითევზავე. წევდა ბიჭი. ნავში მიცა ხუთი კაპიკი. ითევზავა ზღვაში, დაიჭირა თევზი, გაყიდა და ეიღო ისევ ხუთი კაპიკი.

მთელი ოთხი წელიწადი ისე იმუშავა, რომ ხუთ კაპიკს ვერ აცილდა, მისმა ამხანაგებმა კი ფულები დააგროვეს.

ამ ქალაქში ცხოვრობს ერთი ურია. ერთხელ ნახა სიზმარი, რომ ზღვაში არის ერთი თევზი, რომელსაც ოქროს ფინჯანი აქვს, რომელშიც წყალს ჩაასხამ და ოქროდ გადაიქცევა. ურია ყოველდღე გადის და ყველა თევზს ყიდულობს.

ბიჭი იფიქრებს, ამდენი ხანია აქ ვარ და აღასთვის რაიმე პატივი არ მიცია და გადაწყვიტა, ხვალ, რასაც ვნახავ, აღას უნდა მივართვაო.

ადგება და მიდის სათევზაოდ. დაიჭირა ერთი ლამაზი თევზი. შეხდება ურია. ბევრი ეხვეწა ურიამ, მაგრამ არ მიცა. მისი წონა ოქროც კი შეაძლია, მაგრამ ბიჭმა არ დათანხმდა.

აღას სტუმარი ყავდა. ბიჭი მივა და გაუწლელ თევზს დადებს მაგიდაზე. აღა ეტყვის: – არ გრცხვენია, გაუსუფთავებელ თევზს რომ დებ მაგიდაზე. აიღებს ბიჭი და თევზს გაჭრის.

უცებ გადმოვარდება ოქროს ფინჯანი. ჩაასხა წყალი, გადმოხვავდა ოქრო. სხვა წყალთან მიიტანა, იქაც ასე გადმოხვავდა. ჩაიდო ჯიბეში ფინჯანი, გასუფთავებული თევზი მიუტანა აღას.

ამის შემდეგ ბიჭი დადის ვითომ სათევზაოდ, სინამდვილეში ქალაქში დადის. იყიდის საღამოს ერთ თევზს, დაბრუნდება სახლში.

გავა ერთი წელიწადი, სამივე წამოვლენ სახლში. შუა გზაზე იტყვიან, რომ ჩვენი მონაგები გავინაწილოთო.

დიდები ეტყვიან: სახლში მივდეთ და იქ გავანაწილოთო.

პატარა ეტყვის, დედაჩემი მაინც აღარ იქნება ცოცხალი და აქ გავანაწილოთ. პატარა ყველაზე ცოტას დაიტოვებს. ბევრს მათ მიცეს.

დაბრუნდება უკან. იყიდის კარგ ცხენს, ჩაიცვამს კარგად, ეძებს საცოლეს, ოღონდ მეფის შვილი უნდა იყოს.

მიდის ერთი მეფის ბაღში. ამ ბაღში მარმარილოს ქვაში ამოდის ცივი წყარო. შეუდგა ფინჯანი, გადმოასხა და ოქროდ იქცევა. ოქროს სხივებმა თვალი მოჭრა მეფის გოგოს. გოგო დაუძახებს მსახურებს და ეტყვის: ჩადით და ის ბიჭი აქ ამომიყვანეთ. მსახურები ყურს უგდებენ გოგო-ბიჭის საუბარს. გოგო ვითომ ლანძღავდა ბიჭს. ბოლოს გოგო ეტყვის: – რით ახვავებთ ამდენ ოქროსო? ბიჭი უჩვენებს ფინჯანს.

გოგოს მოეწონა და უთხრა: – რა მოგცე, რომ მაგი მაჩუქო? ბიჭი ეტყვის: – თუ შენთან დაწოლის ნებას დამრთავ, მოგცემო. გოგო დათანხმდება.

დარჩა ბიჭი გოგოსთან სამ დღეს. სამი დღის შემდეგ მიცა ბიჭმა ფინჯანი. სამაგიეროდ გოგომ ერთი უბრალო ბეჭედი აჩუქა. წავიდა ბიჭი. მეორეჯერ აღარ შეუშვეს. დაიწყო იმ ქალაქში მზარეულად მუშაობა.

გავა რამდენიმე ხანი. გოგოს მუცელი გაეზრდება. მეფე გაიგებს და გასცემს ბრძანებას: ჩემმა გოგომ მე თავი მომჭრა, წეიყვანეთ ტყეში, დაკალით და მისი პერანგი სისხლში ამოსვრილი მომიტანეთ.

წეიყვანებენ გოგოს ტყეში. გოგო ეტყვის: მე სახლში მაინც არ მოვალ, ირემი მოკალით და მიუტანეთ მამაჩემს. მართლაც, აღარ დაკლეს, დატიეს ტყეში. გადის ცხრა თვე. შეეძინა ვაჟი, ფულით ამ ტყეს გააკაფიებს. დიდ სასახლეს ააშენებიებს და დაიწყებს ტკბილად ცხოვრებას.

გააკეთებია დიდი სასადილო. ვინც ამ სასადილოში ჭამდა, ფულს არ ახდევიებდა, ვაჟი გაიზარდა, გახდა ერთი წლისა.

ამ გოგოს ბიჭი სწავლობს ქალაქში. შეხდება მოხუცი ხელმწიფე. მოხუცი არის ამ ბიჭის დედე, მოხუცი ეტყვის: – ხიზმეთქრად თუ დამიდგები? ბიჭმა უთხრა: – დედას დავეკითხები და გეტყვიო.

მივდა ბიჭი დედასთან და უთხრა: – ამა და ამ ხელმწიფემ მითხრა, ხიზმეთქრად დამიდექიო. დედამ უთხრა: – წადი და იმას უთხარი: მის სახელმწიფოს ჯარითა და ხალხით თუ მესტუმრება, მაშინ დაგიდგები მოსამსახურედო.

ბიჭი მივდა და უთხრა დედის ნათქვამი. მოხუცს გაუკვირდა და შერცხვა კიდეც, ასეთი მდიდარი თუ იყო, როგორ ვკადრე მოსამსახურედ დადგომაო.

მოხუცი ეტყვის: ხვალე მთელი ჯარით და ხალხით თქვენთან ვიქნები. გაამზადებენ ჩადრებს ჯარისათვის. ყველაფერი მზადაა.

მეფე მიდის. საჭმელ-სასმელი ყელამდე ქონდათ. მეფეს უკვირდა: არც სახნავი და არც სათესი არ ჩანდა. მეფემ ბიჭს თხოვა, რომ შენი დედა მანახვეო.

დედამ მიიღო ხელმწიფე და კითხა: რა გინდაო?

გაკვირვებული მოხუცი მეფე ეტყვის: სად პოულობ ამდენ ქონებასო, რა საშუალებით? გოგო აჩვენებს ამ ოქროს ფინჯანს, წყალს ჩაასხამ და ოქრო გადმოცვივდება.

მეფეს მოეწონება და ეტყვის მომყიდეო. მეფეს სურს ხელში ჩაიგდოს ფინჯანი. მეფე ეტყვის: – რასაც მთხოვ, იმას მოგცემ.

გოგომ უთხრა: – მე გარეთ გავალ, ჩემს ხიზმეთქარს შემოვუშვებ და თუ იმასთან იცხოვრებ, მოგცემ ფინჯანსო. მეფე ამაზეც დათანხმდება. გავა, გოგო ჩაიცვამს კაცის ტანსაცმელს, მივა და ეტყვის: – აბა მოემზადეო. მოხუცი გეიხდის ყველაფერს. გოგო ერთი მაგრად კრავს წიხლს და ეტყვის:

– მე შენი შვილი ვარ, მე თექვსმეტი წლის გოგომ ფინჯანის გულისათვის მოვტყუვდი და რა გასაკვირი იყო, შენ კი, კაცმა მოტყუვდი.

მოხუცს გაუკვირდა, გადაეხვია თავის შვილს და თავისი ჯარითა და ბადიშით წეიყვანს სახლში.

დეიწყებენ იმ ბიჭის ძებნას, თუ ვის ქონდა ფინჯანი. გოგომ თქვა: – ცნობით ვერ ვიცნობ, მაგრამ ერთი ბეჭედი ვაჩუქე და იმ ბეჭედით ვიცნობო.

მიდიან ხალხი, ჩვენ ვართო, მაგრამ გოგო ყველას უარით ისტუმრებს.

ამ ამბავს შეიტყობს ეს ბიჭი, რომ მეფე ეძებს გოგოს ქმარს. მივა მეფესთან და ეტყვის:

მე ვარ მისი ქმარი. – თუ კი შენ ხარ, აბა, მითხარი, რა გაქვს ნიშანი?

გახარებული ბიჭი აჩვენებს ბეჭედს. მიხდებიან, რომ ეს არისო. შეიყვანებენ აბანოში, გაწმენდენ და მოაწყობენ დიდ ქორწილს. მერე მეფე ეტყვის სიძეს: მე უკვე მოვხუცდი და ამის შემდეგ შენ განაგე სახელმწიფო.

ერთი ბიჭის ამბავი

Იყო ერთი შუახნის კაცი. მას ყავდა ერთი ცოლი და ერთი ძროხა. ყველა მიდიოდა მთაზე. ესენი კი სახლში რჩებიან. ცოლი ეტყვის: – ერთი ძროხა გვყავს და ჩვენც წავიდეთ მთაში.

წევდენ მართლაც. მიადგენ ერთ ღელეს და დაუღამდებიან. გაყვებიან ერთ პატარა გზა-ბაწარს. წევლენ ამ ბილიკით და მივლენ ერთ დიდ სარაიასთან. დაუძახეს, მაგრამ არავინ არ უპასუხა. ბოლოს გააღებენ სახლს და შევლენ მით. სახლში ვინმე არ არის. ახორში ჩევლენ, რომ აბია ოთხი ძროხა. დაამბენ მათ ძროხას იმ ძროხებთან. ამ ახორში აბია ერთი კარგი ცხენი.

გავიდა რამდენიმე ხანი და შეეძინათ ერთი ბიჭი. მოივლიან ოთახებს. ნახვენ, რომ ყველა ოთახი ოქროთი და პურით არის სავსე. ბიჭი გეიზრდება, უყვარს ცხენზე ჯდომა. ერთხელ გამოიყვანა ახორიდან და შეჯდა. ცხენი გაფრინდა. უკვე ბიჭი ცას უნდა მიანარცხოს, რომ ბიჭი ქვევიდან მოიქცევა. შემდეგ წამოვა, ქვევიდან, მიწაზე უნდა დაარტყას, მაგრამ ბიჭი ზევიდან მიექცევა. ბოლოს ჩაბარდება ცხენი და ეტყვის: ამა და ამ ოთახში არის შკაფის გასაღები, იქ არის უნაგირი, გამოიტანე ის და დამადგი.

გამოიტანს ოქროს ხურჯინსაც, ჩაყრის ოქროს და ეტყვის დედ-მამას: მე მივდივარ სამგზავროდ და მიდის სხვაგან.

მივა ერთ ქალაქში, დერეფანზე გამოსულია ერთი ქალი, რომელიც მზეს და მთვარეს ეთამაშება.

მიდის ხალხი და ერთი თითის დანახვაზე ოქროს აძლევენ.

მივა ეს ბიჭიც და აძლევს ოქროს. თვალების დანახვამდე რომ მიაწია, ოქროც დაელია. ბოლოს ოქროს უნაგირსაც მიცემს და სახესაც დუუნახავს. დაჯდება ტიტველ ცხენზე და წამოვა. ცხენს ეტყვის: ცხენო, რა გავაკეთო, რომ ის გოგო ჩავიგდო ხელში.

ცხენი ეტყვის: მე გასწავლი, მაგრამ ჭკვიანად უნდა მოიქცე, თორემ შენც დაიღუპები და მეცო.

ამა და ამ ოთახში არის შკაფის გასაღები. შკაფში არის კოლოფი, შით არის ოქრო, რამდენსაც ამოიღებ, იმდენი გაჩნდება, მხოლოდ ამ კოლოფში არის თორბა და ის უნდა მიცე.

გამოწევს ბიჭი მეორე უნაგირს და მიდის გოგოსთან. მოსამსახურეები ეტყვიან: გუშინ ხურჯინით ოქრო გვქონდა და ვერ შეხვედი და ახლა მაგ თორბით ახლოც არ მიგიშვებენო.

დეიწყო ბიჭმა ოქროს მიცემა. იმდენი მიცა, რომ ქალს ტანზე არაფერი აღარ შერჩა.

ქალს გაუკვირდა და დუძახა: ამოიყვანეთ ის ბიჭი ჩემთანო.

ევა ბიჭი. გოგო ეტყვის: მომეცი შენი თორბაო. ბიჭმა უთხრა: თუ ამეღამ შენთან დამაწვენ, მოგცემ. დაწვა იმ ღამეს გოგოსთან. თორბაც ჩააბარა, თვითონ მეორე დღეს გამოაგდეს გარეთ. წამოვა ბიჭი სახლში.

ცხენი გაბრაზდება, რატომ მიეცი თორბაო.

ცხენს კიდევ თხოვს ბიჭი შველას. ცხენი ასწავლის, მაგრამ ეტყვის: თუ ახლა ჭკვით არ მოიქეცი, მაშინ ორივე დავიღუპებით.

– მეოთხე ოთახში არის შკაფის გასაღები. ამ შკაფში არის ქულაის ქუდი, და იმით წადი გოგოსთან. დაიხურავს ქუდს და წავა გოგოსთან. მივა და ჩაუწვება ლოგინში. გოგო-ბიჭი დეიწყებენ ჩხუბს. ამ ჩხუბში ბიჭს გამოაგდებენ, მაგრად ცემენ. ცხენი პირით აწევს და წეიყვანს სახლში. გავა სამი თვე, ბიჭი მოსულიერდება, და ეტყვის, რამე მიშველეო.

ცხენი ეტყვის: ერთი საშუალება მაქვს, მაგრამ თუ ჭკვით არ მოიქეცი, ორივე დავიღუპებით. ბიჭი დაპირდა.

ცხენი ეტყვის: ადი სახლში, მეხუთე შკაფში არის სალამური, ამოიღე და ჩამოიტანე.

ავა ბიჭი. გამოიღებს ამ სალამურს და დაურაკუნებს. სალამურიდან გამოხტება თორმეტი ჯარისკაცი და ეტყვის ბიჭს: რა გნებავს, ბატონო?!

– არაფერი. შედით და დაისვენეთ. ბიჭმა მიხდა, თუ რაში იყო საქმე. გავა რამდენიმე ხანი. ბიჭი დაურაკუნებს სალამურს, გამოჩეჩდებიან ჯარისკაცები და ეტყვიან: რა გნებავს, ბატონო?!

– რაი და ამა და ამ ქალაქში მეფის გოგო რომ არის, ის თავისი საწოლით აქ მომიყვანეთ.

წავიდენ ჯარისკაცები და თავისი საწოლებით მოიყვანეს ბიჭთან. გოგოს გაუკვირდება და ეტყვის:

– ოხ, შენი ჭირიმე, როგორ მოახერხე ჩემი აქ მოყვანაო. რით მომიყვანე, რომ იმ საგანს ვეცე პატივი.

ბიჭი ეტყვის: ამ ცოცხით მოგიყვანეო. წავა ბიჭი სანადიროდ და საღამოს როცა დაბრუნდება, ნახავს, რომ ქალს ყვავილებით შეუმკია ცოცხი.

ბიჭს გაეცინება და ეტყვის:

– ტყვილად მოგირთავს ცოცხი, მე მაგით არ მომიყვანიხარ.

– აბა, რით მომიყვანე?

– ასტამით, – უპასუხებს ბიჭი.

წავა ბიჭი სანადიროდ, დაბრუნდება სახლში და ნახავს, რომ ასტამი გუულამაზებია. ბიჭი ეტყვის: არც ამით მომიყვანიხარო.

– აბა, რით მომიყვანე?

ბიჭი გამოუტყდება და ეტყვის: ამ სალამურით მოგიყვანეო.

– როგორ მოახერხე ამით?

ბიჭმა აუხსნა და თან დაარაკუნა. გამოვლენ შეიარაღებული ჯარისკაცები და ეტყვიან:

– რა გნებავთ, ბატონო?!

– არაფერი, შედით და დაისვენეთ.

ყველაფერი ეს დაინახა გოგომ. დაღამდა. როცა ყველამ დაიძინა, ადგა გოგომ, აიღო სალამური და დაარაკუნა. გამოვდენ ჯარისკაცები. გოგომ უბრძანა: ეს სახლი გაანადგურე, მე კი ჩემს სახლში მიმიყვანეთ.

გამოიღვიძა დილით ბიჭმა, რომ აღარც სახლი და აღარც ქალი. დაღონდება ბიჭი და წავა, ნახავს ერთ ლელვს, ეს ლელვი არის ორი ჯიშის. მოწყვეტს, ერთ შეჭამს და რქები ამოუვა, მეორეს შეჭამს, რქები დაუპატარავდება. მოკრეფს ამ ლელვს, ცალკ-ცალკე ჩაყრის თორბაში და წაიღებს ამ გოგოს ქალაქში გასაყიდათ.

იმ ლელვს, რომელიც რქებს უზრდის, იმას ძვირად ყიდის; რომელიც აპატარავებს, იმას იაფად ყიდის.

მოსამსახურეები ხელმწიფის გოგოს უყიდიან ძვირფასიან ლელვს. შეჭამს გოგო და რქები ეზრდება. რქებმა თანდათან ცას მიაღწია.

საშველი აღარ დაადგა. ეძებენ ექიმს. ეს ბიჭი დადის ქალაქში. შეხდება და ეტყვის: მე მოვარჩენო, თუ კი ცოლად გამომყვება.

გოგო დათანხმდება. დაუწყებს წამლობას, თანდათან უპატარავდება. ბიჭი მერე გამოუტყდება: მე ის ბიჭი ვარ, რომელიც ამდენ ხანს გიტაცე და ეხლა, ესეც დაგმართე,

გოგო ასე ეტყვის: ვინაიდან მე ასე გიყვარდი, აწი შენი ვიქნები.

შიფრი: ბსკიფა 23, 62.
მთქმელი: სამოლიძე სულეიმან ჰესრეთალის ას.
ასაკი: 42 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. სამოლეთი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. სამოლეთი.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 11.07.-21.07.1959.

უჩამბის სასოფლო საბჭო. ჩამწერი მ.ზოსიძე. სამოლიძე სულეიმან ჰესრეთალის ას. 42 წლისა. სოფ. სამოლეთის მცხოვრები. უპარტიო. წერა–კითხვის მცოდნე. ქმარშვილიანი. ნამყოფია: ბათუმში, თბილისში. მის რეპერტუარში შედის: ლექსები, შაირები.

ნეფე–დედოფლის ლექსი

ჩემან არაფერი იცის,
ვინც არ გადახდენია თავში,
რამდენეთი საქმე არის,
ნეფე–დედოფალის შუაში.
გაზდომიხან შენ არ გკითხვენ,
სიცხითა თუ სიცივითა,
თორმეტი წლის რომ გახდები,
ელჩი მუვა საცოლითა.
გოგოს გათხვება არ შეუძლია,
ვერ აკეთებს ძიფიასა,
მისი ელჩი მოაყოლებს
ნელ-ნელა ჰექიასა.
თოთხმეტი წლის რომ გახდება,
საქმეზე აღარ აქვს გული,
თხუთმეტი წლის რო გახდება,
ჰემ გახდება სხვისი პური.

გეეთხვება და გულს დადებს,
საქმეს იზამს ორ წილსა.
ჩევრის ყერსა რომ შეკერავს
სირმიანსა ნახიშლსა.
წაყვანას მეიწადინებენ,
შეადგენენ ქორწილსა,
მისი მულიც ესტუმრება,
თან აჩუქებს ბაღჩიშსა.
მისი გული დამჟღნარია,
დაცხუნებულ ვარდივითა,
ქალები რომ შემეხვევიან,
პურის საჭარ ნადივითა.
ზოგი ურუბას უსწორებს,
ზოგი ურბენს ჯაზივითა,
ზოგი ვითომ თავსაც ცინის,
კაცთან წასლა რავაიაო.
ფენზეირი მოუხდება,
გველის ნაკბენ იარასაო,
ეხვეწება, პირს არ მეიხდის
თუ არ აჩუქებ ფარასაო.
ახლოს მიიძრო, უკან გეიძროს,
არ შეგხედავს პირდაპირა,
რაც ტკბილი ენა უთხრა,
მაინც მოგხდება ინდაყვია.
ეხვეწება, პირს აიხდის,
დაჭყერია ღილებზეა.
სულიც კი უწუხდება,
ოფლი მისდის იელებზეა.
სამ დღე ვთქვათ არაფერი,
პირზე შესმული აქვს ფერი.
სამ დღეს უკან, პირსაც დეიბანს
შეექმნება ყველაფერი.
სახლში ნაღბეთი უდგება,
ამისთანა ჩემი მტერი,
ამ კაცს მე რატომ წავყევი,
კი გახდება ფიშმანსაო,
გამოხტება და გეიქცევა
გაახარებს დუშმანსაო.
ამ ლექსს ვინც არ დაიჯერებს,
ხოჯამ გეიძროს ჩოხა-შალი,
ჩამეიღოს სახლის კარი,
ზედ დაბანოს თავი-ტანი.

ფერიქის ლექსი

ჩემ დედიკომ გამომზარდა
თბილ ცეცხლიპირ სახლშიაო,
ოცი წელი შევასრულე
წამიყვანეს ჯარშიაო.
ვაიმე, რა ძნელი ყოფილა,
უცბად სახლიდან გასლაო,
დედი, კიდო დაგინახავ,
ნასიბი თუ მაქვს მოსვლაო.
მივდივარ და გზას ვერ ვხედავ,
ჩემი თვალები ბნელია,
ტყვიაზე გულის მიცემა
ეს ყველაფერი ძნელია.
ვერ ვიყიდე ჩამადანი,
ვერ ვიყიდე ტომარა,
შვიდობით, ჩემო დედიკო,
ია მოვალ და ია – არაო.
მივდივარ და გზას ვერ ვხედავ
მოწყობილია დუბარა,
უცბად სროლა რომ ატყდება,
თავს დაგვეცილება ყუმბარა.
კაცსა თავზე ეცემა,
თავი ხუთათ რიგდება.
როცა სროლა აგვიტეხეს,
მარჯვენა ხელი მომწყვიტა.
ზეზე ვდექი, ვერ ავდექი
თურმე, აღარ მაბია ფეხი,
დაჭრილები მიყრილი ვართ
ილხა, ილხის გოჯიაო.

უხელფეხო სიცოცხლესა
სიკვდილი მაიც ჯობიაო.
დედიკო, მარტვაი ვწვალობ,
ახლა რა ვქნა, რა გიყო.
შუაზე სისხლის ღრე ჩამოდგა,
დაჭრილები წაგვიღო,
დაჭრილები მიმოგვყარეს,
გოსპიტალში მიგვიყვანეს.
დედას დეპეშა დ᷉წერე,
დედავ, მოფრინდი მალე.
ჩემი სულიც თქვენ გიცოდეთ
ფერიდეც მოიყვანეო.
ღამე სული მიწუხდება,
შევნატროდი დილასაო,
უცბად, ქალები შემოიდენ
ერთი გავდა დედასაო.
ერთი მართალი მითხარი,
მე აღარ მჭირია ტყვილია.
თლად ბალნიციები დევიარე,
ვერ ვნახე ჩემი შვილია.
შევხედე, რომ ტრიალებდა
ჰალი არ აქვს მუხლებშიო.
დედავ, მარცხნით შემომხედე,
აგერ ვწევარ ლოგინშიო,
ვაიმე, შვილო, რატომ წევხარ
შვილო, რა მოგივიდაო?
შვილო, კარგად შემოიხედე,
ფერიდეც მოგივიდაო.
ფერიდე, გახსოვს თუ არაო?
სკოლა რომ დავამთავრეთ,
შემოდგომის დღეები იყო,
ზაქსში რომ გავეტარეთო.
ფერად ერთ ფერი ვიყავით,
ფერად შეფერადებულიო.
სახლში ერთად მოვდიოდით,
ზაქსში გატარებული.
ფერიდე გახსოვს თუ არა?
სამ წელიწადს შენ გიცდიდი
ვერც ვიცხოვრეთ ერთადა.
რაც ოთხი დღე ვიყავით,
ის ყოფილა ჩვენთანა.
შეწუხდა ჩვენი ხუსეინი
თავს ევლებოდნენ ქალები.
მოგვივდა ჩვენი ხუსეინი
და დაგვიხუჭა თვალები.
ვაიმე, შვილო, მოკდი მარა,
ფულებს ვხარჯევდი კიდოო.
გავყიდე გზითვის ხალები.
და გიყიდო კუბოო.
მშობლებს გავაგებიებ სახლში
შენთან დავწვები მიწაში,
ვაიმე, შვილო, მოკდი მარა,
ფულებს ვხარჯავ კიდოვო.
შევხედე, რომ მომიარეს,
წინ დადებული კუბოვო.
ვაიმე, შვილო, ახლა რა ვქნა,
ვინნა დიგიძახოს, ვაი,
შენ დატეულ ფერიდესაც
ახლა წამართვამს სხვაი.
მარჯვენა ხელი არ მქონდა,
მარცხენით ვარ დამწვარი.
ამ ლექსისა გამომთქმელი
ხუსეინი ვარ წელათელი.

შიფრი: ბსკიფა 23, 64.
მთქმელი: ბერიძე ეხსან ხასანის ასული.
ასაკი: 26 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. სამოლეთი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. სამოლეთი
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 11.07.-21.07.1959.

ბერიძე ეხსან ხასანის ასული. სოფ. სამოლეთის მცხოვრები, კომკავშირელი, მასწავლებელი, 26 წლისა.
მის რეპერტუარში შედის: ლექსები, შაირები.

ქალ-ვაჟი

Ქალ-ვაჟი თურმე კდებოდა,
მათ შორის სიყვარულითა,
ქალი მაცდური შეიქმნა
და არას გრძნობდა გულითა.
ვაჟს უთხრა: მე რომ გიყვარვარ,
ვერ დაგიჯერებ ენითა,
ერთ რამეს გეტყვი, მისმინეო,
შენ გამოგყვები ნებითა.
ეხლა კი ყური დამიგდე,
დავალება მისმინეთ,
ძუძუ ნაწოვი დედისა,
გულ-ღვიძლი მომიტანეო.
ვაჟმა რა ნახა ქალისა,
რა მოისმინა ყურითა,
დავალება შეასრულა,
გოგო რომ უყვარს გულითა.
ვაჟი იხარის სახლისკენ,
გულით და პირით მღიმარი,
სახლში შევიდა, რა ნახა,
დედა დაუხდა მძინარი.
მივიდა ფრთხილად დედასთან,
გულზე დაუსვა დანაო.
ვითომც აკვანში დედასა,
არ ეთქვას ტკბილი ნანაო.
ამოაცალა გულ-ღვიძლი
და ფრთხილად გაახვიაო.
დედამ მიუგო: – ნუ ჩქარობ,
ქვას ფეხი არ წამოკრაო.
ვაჟი იხარის სატრფოსკენ,
მიდის და მიუხარია,
ნიშნად გულ-ღვიძლი
ჯერ არვის მიუტანია.
გოგომ რა ნახა სატრფოსგან
გულ-ღვიძლი მინატანია,
უთხრა: – მე როგორ გამოგყვე,
დედა ვერ გაგიტანია.
ასრულდა დედის ანდერძი,
ქვას ფეხი არ წამოკრაო,
სატრფოსგან ვარი მიიღო,
დედა კი ტყვილად მოკლაო.
ასე დამთავრდა მათ შორის
ტანჯული სიყვარულიო,
ქალი სხვას გაჰყვა და ვაჟმა
ვერ ნახა სიხარულიო.

შურისძიება

ორმეტი წლის ბავშვი ვიყავ,
გამოზრდილი ობლობაში.
დამიჯერეთ, არ ვიცოდი.
რა ხდებოდა ცხოვრებაში.
ორი სექტემბრის დღე იყო,
მე მომელოდენ სკოლაში,
ცოტა ავად შევიქენი
და იმიტომ დავრჩი სახლში.
ბედისწერამ მე ჩამაგდო
უბედურსა ცხოვრებაში.
სწავლის სურვილი კი მქონდა,
კარგი ვიყავი სკოლაში.
თოფით თავზე მე დამადგნენ
როცა ვიყავი ყანაში,
შევეხვეწე, მე ნუ მომკლავთ,
მე არა ვარ ამის ბრალში.
ჩემთან მოსაკლავი რა გაქვთ,
გაიხედეთ მაგ ბრმა თვალში.
ჩემი ხვეწნა და ტირილი
ჩაერია თოფის ხმაში.
დედაჩემთან ჩამაწვინეს,
ხელახლა მისვამს ნატყვიარში,
თანაც ცრემლით მეუბნება,
რატომ არ ხარ შენ ექვს ძმაში.
ბავშვების ჟრიამული
ისმის მახლობელ სკოლაში.
მეც მინდოდა ვყოფილიყავ,
ჩემ ტოლ ახალგაზრდობაში,
მგალობლიშვილს ვინ არ იცნობს,
ნაცნობია აჭარაში,
მოღალატე კაცის შვილი,
ვაჟკაცია ბავშვის კვლაში.

შიფრი: ბსკიფა 23, 66.
მთქმელი: ზოსიძე ეთერი ნესრედინის ასული.
ასაკი: 21 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. სამოლეთი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. სამოლეთი.
ჩამწერი: ზოსიძე მ.
ჩაწერის თარიღი: 11.07.-21.07.1959.

ზოსიძე ეთერი ნუსრედინის ასული. 21 წლისა. სოფ. სამოლეთის მცხოვრები, კომკავშირელი, მასწავლებელი, ნამყოფია თბილისში, ბათუმში. მის რეპერტუარში შედის ლექსები, შაირები.

მიჯნურის ღალატი

ქალი – საამურია ცხოვრების გზები,
არც წყალი მინდა, არც პური მშია.
ჩემთვის ნარად და ეკლად გადიქცია,
ედემის ვარდი, ედემისა.
მზის სხივნი ჩემთვის უსხივოდ
ნელა მიცურავს მაღლა ცაზედა,
მე მზე ჩიტადაც არ მიმაჩნია,
თვალი მიჭირავს სატრფოს გზაზედა.
ან ეხლა მოვა, ან მერე,
იქნებ გუნება დაუბრუნდება
ახალი სატრფო დასტოვა მარტო,
ჩემი მიჯნური დამიბრუნდება.
ამ ხშირ ფიქრებში და ოცნებაში,
მე ვერ გავიგებ, რომ დაღამდება,
დედა: – შვილო, დაღამდა, წამოდი,
დაწექ,

დაიძინევი, არ გეძინება?
ან არა გშიან, ან არ გწყურიან,
შვილო, სულელო, რად შვრები ასე?
ზედმეტი დარდი და მწარე ფიქრი
ერთი ნაღველი გაიათასე.
მთელი დღე მშიერ-მწყურვალეს
ხანდახან ასე შეძახდა დედა,
მაშინ ვერკვევი მეც ფიქრებიდან
და შემოვიკრეფ მუშტსა გულზედა.
ვდგები, მაგრამ ვაი, ამ ადგომას,
ვსუსტდები, თვალი დამიბრუნდება,
და შენი სახე ტუჩებმცინარი
უბედურს თვალწინ წამომიდგება.
მინდა ვაკოცო, ხელი მოვხვიო,
მაგრამ ის ლანდი უჩინარდება.
რაზედ ღვრი ცრემლსა, რაზედა სტირი,
დედა ბუზღუნით გამიჯავრდება.
აი, ამ დღეში ვარ ჩავარდნილი
და მაინც შენ გულს არ ვებრალები,
შენ უფრო გინდა, რომ დავიმარხო,
გულზე დავიწყო მჭკნარი ხელები.
თუ მომიძულე, სწორედ მითხარი,
რომ სიყვარული მეც დავივიწყო,
დავწვე საფლავში და ორი ხელი
ეშხით მოკლული გულზე დავიწყო,
ვაჟი– სწორედ გეტყვი, ცეცხლში მყოფი,
არც მიყვარდი, არც მიყვარხარ,
შენ იშოვე ჩემზე კარგი
მოიშორე გულზე დარდი.
მე ნუ მეტრფი, დამივიწყე,
და მე ტყვილად შეგიყვარდი.
მე სხვა მიყვარდა და სხვას ვეტრფი
სხვას მიუძღვენ ია – ვარდი,
ქალი – ოხ, რაღა გითხრა ჩემს მკვლელსა
არ შემიძლია, რა გითხრა კიდევ,
და მე კი კოხტა შენი სურათი
გულის ბროშკასთან ჩამოვიკიდე.
და ამით მინდა, რომ გავიხსენო
დრო საამური, დრო სანატრელი,
ამისთვის შენი სურათი
გულის ბროშკასთან ჩამოვიკიდო.
ნეტავი, კიდევ ერთხელ მაჩვენა,
ეშხით აღვსილი ეგ შენი სახე.
რა დაგიშავე, შენ, უსამართლოვ,
ცოცხლად საფლავში რისთვის დამმარხე.
ვაჟი– ქალო, რად ჩამომეკიდე,
შეიძლება ასე განა,
წადი, ეხლა სხვა იშოვე,
ბევრი არის ჩემისთანა.
მეც მშვიდობით, შენც მშვიდობით,
მე სხვა მხარეს, შენ სხვა მხარეს,
და შენ იგი გაახარე,
რომელიც შენ გაგახარებს.
შენ ვერ იცნობ კაცის გულსა,
ვითა ზღვა ისე მღელვარებს.
დღე თუ ეტრფის ვინმეს ასულს,
ხვალე კი სულ სხვას შეიყვარებს.
ქალი – ვიცი, ჩემ ობოლ საფლავზე
ამოვა ვარდი, ამოვა ია,
იტყოდე მაშინ, შენგან მოკლული,
ობლად საფლავში მარტოდ მარხია,
ასე რად შვრები, შე, უსამართლოვ,
შეუბრალებლად კიდევ მღალატობ,
მე ცხოვრებაში მაქციე ნულად,
თვალცრემლიანი დამტოვე მარტოდ.
ვინღა ვიშოვო, მე, უბედურმა,
რომელ შენ ადგილს იგი ვიგულო,
საით წავიდე, სად გადავარდე,
რა გავაკეთო, ჩემო ორგულო.
გულით წრფელი ვარ, ჯანით კი – სუსტი,
გაუბედავი, მშიშარა, მხდალი,
გადარეული, ჭკუაზედ შევცდი,
ატირებული ეშხით დამთვრალი.
ვაჟი – თუმცა ერთხელ ძლივსღა მახსოვს,
შენ მიჯნურად ვითვლებოდი,
შენთან ხშირად ვსეირნობდი,

ვტკბებოდი და ვერთობოდი.
ეს რამდენჯერ უნდა გითხრა,
არ მიყვარხარ არა, არა!
დამივიწყე, ნუ მიგონებ,
წერილს ნუ მწერ წარამარა.
შენი მოწერილი წიგნი,
ჩემ საყვარელს წაეკითხა,
ეს ვინ არის შენთვის, გიჟო,
მოვიდა და დამეკითხა,
გეუბნები დღეს მეტი,
აღარ დასძრა ჩემზედ ენა,
ჩემს სახელს ნუღარ ახსენებ,
დაივიწყე ჩემზედ ყველა.
რომ მიიღო ეს წერილი
გადაიქცა, ვითა მკდარი
ქალსა გულზედ ელდა ეცა,
წყალს ასხამდა მისი დედა.
დედა–შვილო, ექიმს, დავუძახებ
რა მოგარჩენს დედავ?– იგი,
ვინც გამტეხი არის ფიცის,
ვინც მომისპო მე სიცოცხლე,
ვინც სამარე გამითხარა.
ის დამიხსნის სიკვდილისგან.
მოიყვანეთ ჩემთან ჩქარა.
განა ასე უნდა მოვკვდე,
განა ასე დავიმარხო?
და კი სატრფო უსამართლო
სიკვდილის წინ ვერა ვნახო.
დედა, წამლად დამედება,
თუ მაღირსებ იმის ნახვას,
მოიყვანე, ჩემი მკვლელი,
რომ დაესწროს ჩემ დამარხვას.
არა, არა, არ მოვკდები,
თუ მის ნახვა მეღირსება.
თუ მაჩვენებ, დედიკო, მას,
შენი შვილი წამოდგება.
დედა, შენ კი გენაცვალე,
გთხოვ, რომ შემისრულო ესა,
ჩემი სატრფო დამანახვე,
იქნებ, დადგეს გულის ძგერა.
თუ არა და მოგშორდება,
ვესტუმრები წინაპრებსა,
ჩემი დამჭკნარი ტანითა,
ამოვავსებ სამარესა.
რა დაამთავრა სიტყვები,
დახუჭა შავი თვალები,
რა ემართება, რა მოსდის,
შეწუხდენ ნათესავები.
ნანობენ იმის ქალობას,
მისი ქალწული ქალები,
ამ დროს ვიღაცა ვაჟკაცმა
გააღო სახლის კარები.
ვაჟი მივდა ქალთანა,
ნელი-ნელ ცრემლის დენითა,
ჩაესაუბრა გოგონას,
თავისი ტკბილის ენითა.
რა ეს გაიგო გოგონამ,
მან თვალები გაახილა,
მეტის მეტი სიხარულით,
სამუდამოდ დაიძინა.
ატირდა ტყენი, ატირდა ღრენი,
მთლად ატირდა მინდორ-ველი.
ბიჭმა ვეღარ მოითმინა,
ამოიღო რევოლვერი.
მოვუსპე ქალსა სიცოცხლე,
მე ვარ მისი დიდი მტერი,
ჩემი ხელით თავს მოვიკლავ,
გამიუქმდეს ყველაფერი,
იგრიალა რევოლვერმა,
ტყვიამ გულში გაიარა,
თბილმა სისხლმა გადმოჩქეფა,
იატაკზე დაიღვარა.
ვინც პირობის გამტეხია,
ასე უნდა გაიწიროს,
თავი იგრძნოს დამნაშავედ,
თავი ხელით გაიგმიროს.

თავისკენ პირი უქცია,
გადმოაბრუნა ხელითა.
დაწყნარდი, შენი ჭირიმე,
დაწექი მოსვენებითა.
საწყალი სულის ბრძოლამა,
ვაჟი გულსა მიაკონა,
და ასე გარდაიცვალა,
ლამაზი და ვარდის კონა.
ასე ვთქვა დღეს, რომ მე ვარ
ჯალათი და ქალის მკვლელი,
აღარ მინდა აწ სიცოცხლე
ჩემ თავს მოვკლავ ჩემი ხელით.
მე მოგკალი, გენაცვალე,
მე მოგჭერი ბროლის ყელი,
ჩემს მაგიერ პასუხს აგებ,
შვიდ ვაზნიანი რევოლვერი.
ჩემ საფლავზე ვარდი დარგეთ,
და ამღერეთ ზედ ბულბული,
თქვენ, მშვიდობით, აქ ვინც დარჩით,
აბა, ტყვიავ, გასჭერ გული.

შიფრი: ბსკიფა 24, 1-5
მთქმელი: მოსიძე მუხამედ ხუსეინის ძე.
ასაკი:
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ტაკიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ტაკიძეები.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

მოსიძე მუხამედ ხუსეინის ძე, დაბადებული 1925 წელს სოფ. ტაკიძეებში. წერა-კითხვის მცოდნე, პარტიის წევრი 1950 წლიდან, ცოლშვილიანი, ჰყავს 3 შვილი. იცის მხოლოდ ქართული ენა, არის ნამყოფი ბათუმში და აჭარის თითქმის ყველა სოფელში. მის რეპერტუარში, ძირითადად, შედის ზღაპრები.

მუხამედი

ერთ სოფელში იყო ერთი ძალიან ღარიბი კაცი. სახელად ერქვა მუხამედი. ღარიბი კაცი იყო და ამიტომ სოფელში სულ ყველას ძულდა. იმ სოფელში ცხოვრობდა ერთი ხელმწიფე. მუხამედამ ერთ დღეს იფიქრა, რომ ჩემი ცხოვრება ამ სოფელში არ ღირსო და მოდი, წავალ სხვაგან ბედის საძებნელადო. მუხამედამ დაჭედა სახლი, ხელმწიფეს უთხრა,– ყური ათხოვე ჩემ სახლსო და წევდა ბედის საძებნელად. მუხამედამ ერთი წელიწადი იარა გზაში, ერთ ალაგზე იმუშავა და ფარა მეიგო. ბოლოს მივდა ერთ ზღვის პირზე. იქ გამოდიოდა ცივი წყალი. დეიწყო ამ წყლის სმა. რომ ადგა, დაინახა ქალის სურათი, იმფერი, იმფერი ლამაზი, რომ კაცი კინაღამ შეიშალა ჭკვიდან, გაშტერდა და დარჩა. ამ დროს მუხამედასთან მოიდა ერთი დედაბერი. მუხამედამ შეეკითხა, – ვინ არის ეს ქალიო? დედაბერმა უთხრა, – მეგ ქალი ზეით ზღვაში ცხოვრობსო. მუხამედამ ამ დედაბერს ფარა აჩუქვა. დედაბერმა უთხრა, რომ მეგ ქალი ზღვიდან გამოდის, პირს იბანს წყალზე და შემდეგ ისევ ზღვაში მიდისო. მუხამედამ ებნევა, – იმ გოგოს როგორ დევიჭერ მეო? დედაბერი არ ებნევა. მუხამედამ აძლევს ფარას და დედაბერი მაშინ ებნევა, რომ ამ წყაროსთან უნდა დაჯდე. ის ქალ რომ მუა და პირის ბანვას დეიწყებს, მაშინ შენ თმაზე წაავლე ხელიო. ის გეტყვის, – გამიშვი ხელი. თუ ვაჟი ხარ, შენ ძმა და მე დაო; ხელს

რომ არ გუუშვებ, კიდევ გეტყვის: შენ თუ მოხუცი ხარ, შენ მამა და მე შვილიო. ბოლოს გეტყვის, რომ შენ ქმარი და მე ცოლიო. მაშინ ის შენი იქნებაო. მართლაც, ასე აკეთებს მუხამედაი. ქალს წამეიყვანს სახლში.

ერთ დღეს მუხამედას ქალი ეზოს გვიდა, გადმეიხედა ხელმწიფემ და ეს ქალი მეგემ ძალიან მიეწონა. იფიქრა, რაფერ ჩევგდო ხელში ეს ქალიო. დეიბარა მისთან მუხამედაი. უნდა დაავალოს იმფერი საქმე, რომ მან ვერ შიასრულოს და მოკლას. მუხამედას ავალებს, რომ ამ მდინარეზე ხუალ ცხრა საათამდე უნდა ააშენო ხიდი, ის უნდა იყოს ოქროდან გაკეთებული, უნდა იყოს ორმოცდაათი მეტრის. მუხამედაი დაღონებული წევა სახლში. ქალი ეტყვის, – რატომ ხარ ასე დაღონებულიო? მუხამედაი არ უმჟღვანებს. ბოლოს ეტყვის, რომ ხელმწიფემ დამავალა ოქროს ხიდის აშენება ხუალ ცხრა საათამდეო; რომ არ ავაშენო, თავი უნდა მომკვეთოსო. ქალი ეტყვის, ნუ გეშინია, მე გავაკეთებ მაგ ხიდსო. დაწვენ ლოგინში. გათენაბამდე ორი საათი რომ დარჩა, ქალმა ააყენა მუხამედაი და აძლევს სამ ღერ ლურსმანს, ერთ ჩაქუჩს და ასე აბარებს: – მიდი იმ ადგილზე, სადაც ხელმწიფემ გითხრა ხიდის გაკეთება და ღმერთს შეეხვეწე ჩემი სახელით, რომ ოქროს ხიდი გააკეთოს. იქ ხიდი გაჩინდება; შენ ერთ ქენერში (კიდეში) ერთი ლურსმანი დაასევ, მეორე ქენერში– მეორე მუხი და ერთიც შუაში დაასეო. შენ გამეიქეცი სახლში. ძალიან დიდი ხმაური ატყდება, მარა შენ უკან არ მიიხედოო. მუხამედამ ყველაფერი ასე გააკეთა. მართლაც გაჩინდა ხიდი. ხელმწიფე დილით გადახედავს, რომ ხიდი გუუკეთებია მუხამედას. ეწყინება. მუხამედაიც მივა მასთან და ეტყვის, რომ შენი ბრძანება შევასრულეო. ხელმწიფე ათავისუფლებს მას. ხელმწიფე როდესაც კიდევ დეინახავს მუხამედას ქალს, უმფრო მოაწონდება და ხელახლავ იბარებს მუხამედას. მას ავალებს ძნელ საქმეს: უნდა გამიშენო ისეთი ბაღი, რომ შიან ზოგი ხე უნდა ყვაოდეს, ზოგი მწიფდებოდეს, ზოგს ფოთელი ცვინდებოდეს. ერთი სიტყვით, ნაირნაირი მცენარეებით გაშენებული ბაღის გაშენება მოთხოვა. თუ ხვალ არ შეასრულებ, კისერს მოგჭრიო. დაღონებული მუხამედაი დაბრუნდა სახლში და უთხრა ცოლს, რომ ხელმწიფემ სხვა დავალება მომცაო. უთხრა რა დავალებაც იყო ეს. მუხამედას ცოლი მიცემს სამ ჩხირს და ეტყვის, – ეს ჩხირები დაასე კრუგომ იმ ადგილზე, სადაც შენ ხელმწიფემ გიბრძანა ბაღის აშენებაო. შემდეგ თხოვე ღმერთს ჩემი სახელით და ბაღი გაშენდებაო. ასე მოიქცა მუხამედამ, მართლაც გაშენდა იმფერი ბაღი, რაფერიც უთხრა ხელმწიფემ. დილას ხელმწიფე ხედავს, რომ ბაღი გაშენებულა. მესამეთ დეიბარებს მუხამედას და მესამეთ აძლევს ძნელ დავალებას. ხელმწიფე ავალებს, რომ წადი და მომიტანე იმფერი რამე, რაც არი და რაც არ არიო. დაღონებული მუხამედი დაბრუნდება სახლში და მოახსენებს ცოლს. ცოლი ეტყვის, რომ მიდი და ხელმწიფეს ექვსი წლის ვადა აართვიო. კიდევ უთხარი, რომ ჩემ ცოლს მომლელები დაუნიშნეო. ხელმწიფემ მუხამედას მიცა ექვსი წლის ვადა. ქალი მუხამედას აბარებს, რომ მე მყავს ორი და და ერთი ძმა – არიარარიო. ასწავლის მათ სახლს და აგზავნის მისი ძმის – არიარარის მოსაყვანად. მივა მუხამედაი ცოლის დებთან. კარგად გუუმასპინძლდენ სიძეს. შემდეგ უთხრა, რომ მე არიარარიზე ვარ წამოსული და ჩემთან უნდა წევყვანოვო. ეს არიარარი უჩინარი კაცი ყოფილა. დებმა უთხრეს, რომ შენ წადი და ის წამოგყვებაო. – მომიყვანეთ, დამანახვეთ, ჰად არიო. აგერ არი შენთანო,– უთხრეს დებმა. მე აქ ვერ ვხედავ ვერაფერსო, – აგერ ვარო, უთხრა არიარარიმ და გამუუჩინდა. არიარარი წამოყვა სიძეს სახლში. გზაში შეხტებიან ერთი კაცი.

მიესალმებიან და კაცი ძლივს ეტყვის გამარჯვებას. მეგომ იმდენზე შია კაცს, რომ ლაპარაკის ჰალიც არ აქვს. აჭამეს საჭმელი ამ კაცს. კაცმა დალოცა და უთხრა, რომ მე გავძეხი, მარა ცოლ-შვილი სახლში შიერი მიკდებიანო. ისინი მიცემენ ფულს და გამოგზავნიან სახლში. მუხამედაჲ და არიარარი მოვდენ დანიშნულ ადგილზე. ექვსი წედიწადიც გამეიკოჭა (შესრულდა). მეორე დღეს მუხამედაჲ ევდა ხელმწიფესთან. ხელმწიფეს ებნევა მუხამედაჲ, რომ შენი ბძანება შევასრულე, მოვიყვანე არიარარიო. – აბა, სად არის, მე აქ შენს მეტს არავის ვხედავო. რაფერ თუ ვერ მხედავ, მე აქ ვარო, – შუუყვირა არიარარიმ და დუუწყო ხელმწიფეს ცემა. არიარარი, რო-გორც ვთქვით, უჩინარია. ხელმწიფეს ცემაში ამოძრა სული. ხელმწიფედ დეინიშნა მუხამედაი და დღესაც ბედნიერად ცხოვრობს. ხედავ, რა ქნა მუხამედამ და მისმა ცოლმა?

შიფრი: ბსკიფა 24, 6-8.
მთქმელი: დიმიტრაძე შაღბან მუხამედის ძე.
ასაკი: 55 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ტაკიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ტაკიძეები.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

დიმიტრაძე შაღბან მუხამედის ძე, 55 წლისა, სოფ. ტაკიძეების მკვიდრი . წერა-კითხვის მცოდნე, ცოლშვილიანი. იცის ქართული, რუსული, თურქული ენები. ნამყოფნია ბათუმში, თბილისში, ქუთაისში, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები, გამოცანები და სხვა. დასაკრავ ინსტრუმენტებს არ ხმარობს.

უმცროსი ძმისა და ქოსაჲს აქბაე

ქართ კაცს ყოლია სამი შვილი. ერთი ძმა წევდა ფარის მოსაგებად. გზაში შეხვდა ერთი ქოსაჲ. მან უთხრა, რომ ჩემთან წამოდი და მე მოგაგებიებ ფარასაო, მაგრამ ერთი პი-რობით: შენ რომ მითხრა, ქოსავ, შენიდან მეწყინაო, მაშინ ერთ საქალაბნე ტყავს ამო-გაძრობ ზრუგზეო. თუ მე ვიტყვი, რომ, შენიდან მეწყინა-მეთქი, მაშინ შენ ამაძრე ტყავიო. ეს ბიჭი დააყენა სამზარეულოში. ქოსაჲ პურს გაუქნევდა, ძაღლი დაასწრებდა და ის შიერი რჩებოდა. სამ-ოთხ დღეში ერთი ძმა მოკდა. შემდეგ შუათანაჲ ძმა მოვიდა ქოსასთან. იმასაც იმფერი დღე დააყენა. წავიდა უმცროსი ძმა ფარის მოსაგებად. იმანაც ხიზმეთქრად (მოსამსა-ხურე, მოჯამაგირე) დაუდგა ქოსას. ქოსამ ამასაც უთხრა: – თუ მითხარი, ქოსავ, შენიდან მეწ-ყინაო, მაშინ ერთ საქალაბნე ტყავს აგაძროზ. მე თუ გეტყვი, შენ ამაძრეო. ამ ძმამ გათალა ჯოხი, თავზე კომბალი გაუკეთა და როცა ქოსამ პური გაუქნია, ძაღლმა მოინდომა მისი შეჭმა, მაშინ, მან დაარტყა ძაღლს ჯოხი და გააგორვა. ქოსამ რომ დეინახა, ძალიან გუუკვირდა. გეწყინა, ქოსავ, თუო? – არა, რა მაწყენსო. ქოსამ ერთ დღეს უმცროს ძმას დააბარა, რომ მე ქორწილში მივალ და შენ ცხვრები დაალაგეო. მან ყველაი ცხვარი დაკლა. ერთ დღეს დაავალა, რომ ქათმებს ყური ათხოვეო. მან ქათმებს თვალებში ბაწარი გაუყარა, მიაბა წიწილებიც და ისე დატოვა. ქოსამ დაინახა, გაუკვირდა. მან უთხრა ქოსას,– ხომ არ გეწყინა, ქოსაო? – არა, რა მაწყენსო! ერთ დღეს

უთხრა, რომ საქონელი აიწყვიტა, ჩადი და დაალაგეო. ჩავიდა და ყველაჲ დაკლა. – გეწყინა, ქოსავ, თუ არაო? –არა, რა მაწყენსო.

ერთ დღეს ქოსამ მეზობელს ხარები აართვა და დაიწყო ყანის ხნა. დედას დაუბარა, რომ ადი ხეზე, დეიწყე გუგულივით ძახილი. მე ვეტყვი იმ ბიჭს, რომ აი, გუგული მოსულა, სწორედ შენი წასლის დრო მოსულია და წადი ახლაო. ქოსას დედამ დეიწყო გუგულივით ძახილი. მაშინ ბიჭს უთხრა ქოსამ, რომ შენი დრო მოვიდა, ხედავ, გუგული ყვირისო. დამანახვე სად არისო და დუუმიზნა ქვაშურდულაჲ. მუარტყა დედაბერს შუბლში და გადმუაგდო ძირში. – გეწყინა თუ არა ქოსაო? – არა, არ მწყენია, ჰამა ხათრი დამჩაო.

ქოსამ მის ცოლს უთხრა, რომ ჩვენ აქედან უნდა გევიქცეთ, თვარამ ჩვენი საქმე გლახათ არისო. ქალმა დააცხო პურები, ჩაყარა გოდორში და წასასლელად მოემზადენ. ბიჭმა გოდრიდან ამოალაგა პურები და თვითან ჩაძრა შიან. ქოსამ მეიკიდა გოდორი და გეიქცენ. ირბინეს, ირბინეს და მიაღწიეს ერთ ხიდთან, იქ დადგენ. ქოსაჲ შარდით დაასველა ბიჭმა. ქოსამ თქვა,- ძალიან მოვღალულვარ, ზრუგში სულ ოფლისგან ვარ დასველებულიო. ძალიან მიემშიეს. უნდა ამუალაგონ ქადები გოდრიდან, მარა რას ნახვენ მათი თვალები – გოდორში ბიჭს დუუყლეპია თვალები. თქვეს ამ ხიდზე გადავაგდოთო. წამოწვენ დასაძინებლად. როცა ყველას დიეძინა, ბიჭმა ადგილი შეუცვალა ქოსას ცოლს, მის ადგილზე თვითონ დაწვა. ბიჭმა გააღვიძა ქოსაჲ და ყურში ჩაფურჩულა,- დიეძინა, გადავაგდოთ წყალშიო. ქოსამ მისი ცოლი გადააგდო წყალში. გათენდა დილა. ქოსამ მიხტა, თუ რა დამართა მას ბიჭმა. ბიჭმა უთხრა,- ხომ არ გეწყინა, ქოსაო? – აბა, რა! მეწყინაო. ქოსაჲ გეიქცა მისი ცოლის ძმებთან და უთხრა: აღარც ცოლი, აღარც ქონება აღარ შემრჩა. ერთმა მოსამსახურე ბიჭმა სიცოცხლე გიმიმწარაო. ქოსამ მათ გაათხრევია მიწა და ყუში დეიმალა. ბიჭმა ცხრა-ათ დღეში მიაგნა ქოსასი კვალი. მის ცოლის ძმებს უთხრა: სად არის ქოსაჲო. ქოსაჲ მოკდაო, – უთხრეს მათ. – მაინც მასწავლეთ, სად ჩაფალით, მინდა მასთან მივიდე და რამე ვუკითხო, მე მასთან ვმუშაობდიო. ასწავლეს საფლავი. ბიჭმა საფლავზე დაიწყო ბრახუნი, ქოსას შეეშინდა და დაიყვირა. ამოიყვანა იქიდან ქოსაჲ და გააძრო ერთი საქალაბნე ტყავი, მახანში სულიც ამოძრა. ყველაფერი ეს მან იმიტომ გააკეთა, რომ თავისი ძმების სისხლი აიღო.

შიფრი: ბსკიფა 24, 9-10.
მთქმელი: დუმბაძე დავით მუხამედის ძე.
ასაკი: 32 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

დუმბაძე დავით მუხამედის ძე, დაბადებული 1927 წ. სოფ. ტაკიძეებში, მცირე განათლების, ცოლშვილიანი, კოლმეურნე, იცის მხოლოდ ქართული ენა. ნამყოფია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები. დასაკრავ ინსტრუმენტებს არ ფლობს.

ღარიბი და ვეშაპი

Ერთ სოფელში იყო ერთი ღარიბი კაცი, ყავდა მხოლოდ ერთი ცხენი. ცხენით ზიდევდა ქალაქში ნახშირს, ყიდდა და სახლში მოქონდა პროდუქტი. ერთ დღეს ქალაქში განცხადება ნახა გაკრული. მაზე ეწერა, რომ ერთმა მეფემ ნახა სიზმარი. ვინც ამ სიზმარს ახსნიდა, აძლევდა ფულს; ვინც იტყოდა, ავხსენიო და ვერ ახსნიდა, მას თავს ჭრიდა. მენახშირემ თქვა: – ამფერ სიცოცხლეს მაინც სიკვდილი ჯობია. ვცდი ბედს. ან გევმარჯვებ, ან მოვკდები. ჩემთვის ორნავე ერთიაო. წავიდა მეფესთან. გზაში დაუღამდა, მივა უღრან ტყეში, მოესმინა რაღაც ხმაური. შეეშინდა, მარა რაღა ქნას: ვერც წინ წევდა და ვერც უკან. ხმაური თანდათან მატულობს. მან დაინახა ვებერთელა ვეშაპი. მან კითხა, – სად მიდიხარო? უთხრა, რომ მეფესთან მივალ, სიზმარი უნდა აუხსნაო. ვეშაპმა უთხრა: – იცი თუ არა მეფემ რაფერი სიზმარი ნახაო? – არა, არ ვიციო. ვეშაპმა უთხრა, რომ მეფემ ასეთი სიზმარი ნახაო: მის ქალაქში მგლები დადიოდენო. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქის მცხოვრებნი მეფისადმი მტრულად არიან განწყობილი, ქალაქში აუცილებლად არეულობა იქნებაო, მის ქალაქში ბევრი მოღალატეებია. მეფე კარში რომ გამოვიდეს, მოკლავენო. ვეშაპმა ბიჭს დაუბარა, რომ: – ხელმწიფე რომ ოქროს გაჩუქებს, ნახევარი მე მომეციო. მივიდა მეფესთან მეფემ გამეიხედა კარში და თქვა: – მეგ ჩემს სიზმარს ვერ ახსნისო. ყარაულებმა არ გაუშვეს იგი მეფესთან, მარა მან ძალით შევიდა. მან მოახსენა მეფეს თუ რა სიზმარი ნახა მან და რას ნიშნევდა. მეფეს ძალიან გაუხარდა და მისცა ბევრი ოქრო. კარისკაცობა მისცა და ჯარების უფროსად დანიშნა. ორმოცი დღე დარჩა მეფესთან, შემდეგ სახლში წამოვიდა მოსავლელად. მეფემ მისცა კარგი ფორმა, შეაიარაღა და გამოუდგა გზას. გზაში შეხვდა გველეშაპი და მოთხოვა, რომ ოქრო გამინაწილე შუაზეო. მას შეებრალა ოქრო, ამოიღო ხმალი და ვეშაპი დაჭრა. მოვიდა სახლში და კარგი სასახლე აიშენა. მეფე კიდევ ნახულობს სიზმარს. შემოუთლის ამ კაცს. თუ სიზმარს ვერ ახსნიდა, თავს მოკვეთდა. ძალიან ინანა, რატომ არ მივეცი ვეშაპს ოქროო. გაუდგა გზას, შეხვდა ისევ ის ვეშაპი. ვეშაპმა კითხა,–სად მიხვალო? უთხრა, რომ მეფის სიზმრის ასახსნელად მივალო. ვეშაპმა უთხრა, რომ მეფემ ასეთი სიზმარი ნახაო: – მის ქალაქში ცხვრები დადიოდნენო. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქი დამწყნარებულია, არავინ არ ერჩის მეფეს. წავიდა ეს კაცი და მოახსენა მეფეს სიზმარის შინაარსი. მეფემ მისცა სამი ცხენი ოქრო. წამოიღო სახლში. გზაში შეხვდა ვეშაპი და უთხრა, რომ შუაზე უნდა

გაგიყო ეს ოქროო. ვეშაპმა უთხრა, შენი არც ერთი ოქრო არ მინდაო. ოქრო ჩემთვის გამოუსადეგია. შენ პირველად ოქრო რომ არ გამინაწილე, მე ეს არ მწყენიაო. შენ როდესაც ოქრო დამპირდი, მაშინ ღარიბი იყავი, იცოდი ყველაფრის დაფასება, მაგრამ როცა გამდიდრდი, მოხდი მაღალ წრეში, მაშინ შენ ყველაფერი დაგავიწყდაო.

შიფრი: ბსკიფა 24, 11-12.
მთქმელი: ამაღლობელი ლევან მუხამედის ძე.
ასაკი: 14 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ამაღლობელი ლევან მუხამედის ძე 14 წლის, სოფ. ჭვანის მცხოვრები, მე-7 კლასის მოსწავლე, სწავლობს ოთხებზე და ხუთებზე. მამა კოლმეურნე, პარტიის წევრი. ზღაპრები მოსმენილი აქვს ბაბუისგან. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები. კარგად მეტყველებს.

კობალაჲ

იყო ერთი კაცი, სახელად ერქვა კობალაჲ. ყავდა ორი ძმა. ამ ძმებს უნდოდათ კობალაჲ თავიდან მოეშორებინათ. გადაწყვიტეს მისი წყალში დახრჩობა. ძმებმა კობალას დაუწვეს სახლი. კობალამ ნახშირი მოკიდა ცხენს და წავიდა ქალაქში. როდესაც გზაში მიდიოდა, ნახა ოქრო. მან უთხრა ძმებს, როდესაც სახლში დაბრუნდა, რომ ნახშირი ოქროზე გადავცვალეო. ძმებმა სახლი დაწვეს, გააკეთეს ნახშირი, დაიწყეს სოფელ-სოფელ სიარული და ყვირილი: „ნახშირში ოქროს ვინ გაგვიცვლისო“. ხალხმა გაბრაზდა და ისინი მაგრად მიბეგვეს. გაბრაზებული ძმები როდესაც სახლში დაბრუნდენ. კობალას ცოლი მოუკლეს. კობალამ თავისი ცოლი სხვაგან წაიყვანა. მივიდა ერთ სახლთან, რომ ქორწილია. ქალი კედელზე მიაყუდა და თვითონ შევიდა იქ, სადაც ხალხი სეირნობდა. ამ ქალს ქალები დაესიეს და კედლიდან წამოაქციეს. მაშინ გამუარდა კობალაჲ და დეიწყო ყვირილი, – ჩემი ცოლი ვინ მომიკლაო? მას მისცეს სხვისი საცოლე დედოფალი. წამეიყვანა სახლში. ძმებმა შეეკითხენ, – სად ნახე მეგ ქალიო? მან უთხრა: – ქალი ცხენზე შევსვი, წავიყვანე სოფელში; ვიყვირე, – მკდარ ქალში ცოცხალს ვინ მომცემსო და მართლაც მომცეს ცოცხალი ქალიო. კობალას ძმებმა მოკლეს ცოლები და წაიყვანეს ქალაქში. დაიწყეს ყვირილი, – კდარ ქალებში ცოცხალს ვინ მოგვცემსო? ხალხმა მათ დაუწყეს ცემა. ძმები სახლში მოვიდენ, კობალაჲ ჩააგდეს გუდაში და წაიღეს ზღვაში ჩასაგდებად. ძმებს მიემშიეს. კობალაჲ ზღვის პირზე გააგდეს და სასადილოში წევიდენ საჭმელზე. გამეიარა ერთმა მეცხვარემ და კობალას უთხრა: – მაქ რას იჯებიო? კობალამ უთხრა: – მე ამ ზღვაში ძმებმა უნდა ჩამაგდონ და ცხვრები უნდა ამევიყვანოო. კობალამ ამოვიდა გუდიდან და მეცხვარე ჩააგდო გუდაში, თავი წუკოჭა და გადააგდო წყალში. ამ დროს იქ მოვიდენ კობალას ძმები და უთხრეს: – შენ როგორ ამოხვედი გუდიდან, სად ნახე ამდენი ცხვრებიო? კობალამ უთხრა: – მე ამ ზღვაში მეცხვარემ

ჩამაგდო და ეს ცხვრები ამოვიყვანეო. ძმებმა უთხრეს: – აბა, ჩვენც ჩაგვაგდე და ჩვენც ამოვიყვანთო. კობალამ ძმები ზღვაში გადაყარა.

კობალას დარჩა ხუთასი თავი ცხვარი. ისინი ზამთარ-ზაფხულ თაზე ყავდა. ხუთასი ცხვარი მგელმა შეუჭამა. კობალას გზაში შეხვდა ეს მგელი და უთხრა: – რატომ შემიჭამე ჩემი ცხვრები, ახლა უნდა მოგკლაო. მგელმა უთხრა: – მე არ შემიჭამიაო. ოღონდ არ მომკლა, მე შევჭამ ერთ მეცხვარეს, მის ძაღლს და მისი ცხვრები შენი იყოსო. კობალამ კვლავ იპოვნა ხუთასი თავი ცხვარი და დეიწყო ტკბილად ცხოვრება.

იელლი ქოსაჲ ლა ბათ-უმელი ქოსაჲ

Ყო ერთი იელლი ქოსაჲ და ბათუმელი ქოსაი. იელლმა (ადგილობრივი) ქოსამ უთხრა ბათუმელ ქოსას, – ერთ ღამეს დამეპატიჟეო. იელლმა ქოსამ მამალს უკან შეუდვა ოქრო. ესტუმრა ბათუმელი ქოსაჲ. იელლმა ქოსამ უთხრა, რომ ჩემი მამალი დილას ყოველთვის ორ ოქროს დებსო. მართლაც, დილაზე მამალმა ორი ოქრო გააგდო. ბათუმელმა ქოსამ უთხრა, – ეს მამალი მომყიდეო. ქოსამ ის მამალი მიყიდა მის წონა ოქროზე. ეს მამალი წეიყვანა სახლში; უცადა დილაზე, მაგრამ მამალმა ოქრო არ დადვა. ბათუმელ ქოსამ წევდა იელლ ქოსასთან. იელლმა ქოსამ ვირს ხუთი ოქრო შეუდო. ბათუმელ ქოსამ უთხრა, – რატომ მომატყვილეო? – მე არ მომიტყვილებია შენი თავი. ხედავ, ჩემი ვირი დილდილობით ხუთი ოქროს აგდებსო. როცა გათენდა, ვირმა მართლაც გააგდო ხუთი ოქრო. ქოსამ უთხრა, – ეს ვირი მომყიდეო. მართლაც, ვირი მიყიდა ხუთ წონა ოქროზე. როცა ბათუმელმა ქოსამ ის ვირი წაიყვანა, დილაზე უცადა, მარა ოქრო არ გააგდო. იელლ ქოსაზე ძალიან გაბრაზდა და წევდა მასთან საჩხუბრად.

იელლმა ქოსამ წევდა სანადიროდ და დეიჭირა ორი კურდღელი. ერთი კურდღელი ნადში წაიყვანა, მეორე კი სახლში დატია და ცოლს დააბარა, – ბათუმელი ქოსაი რომ ამოვა, უთხარი, რომ ჩემთვინ ის ყანაშია, ნადი ყავსო. სადილობისას კურდღელი წამეიყვანე და სადილი მოგვიტანეო.

ბათუმელმა ქოსამ ავიდა იელლ ქოსას სახლში. მოიკითხა ქოსაჲ. ცოლმა უთხრა, რომ ჩემი ქმარი ყანაშია წასული, ნადი ყავსო. ქოსაჲ წავიდა მის სანახავად. იელლმა ქოსამ კურდღელს უთხრა, – წადი და სადილი მოგვიტანეო. გუუშვა თუ არა კურდღელი, კურდღელმა ტყისკენ მოკურცხლა. ცოტა ხნის შემდეგ ქოსას ცოლმა ოცდაათი კაცის საჭმელი მეიტანა და თანაც კურდღელი მოიყვანა. ბათუმელ ქოსას ძალიან გუუკვირდა. მან ეს კურდღელი ოც წონა ოქროზე იყიდა და წაიყვანა სახლში.

ერთ დღეს ბათუმელმა ქოსამ ნადი ქნა. თან წაიყვანა კურდღელი. სადილობის დრო რომ მოვდა, კურდღელს უთხრა: წადი და ორმოცდაათი კაცის საჭმელი მომიტანეო. კურდღელმა ტყისკენ მოკურცხლა. უცადეს, უცადეს და კურდღელი აღარ ჩანდა. ძალიან გაბრაზდა. წავიდა ქოსას მოსაკლავად. როცა გაიგო იელლმა ქოსამ ეს ამბავი, მაშინ ასე გააკეთა. აავსო სისხლით გუდა და ცოლს მიაკრა წელზე. როცა ბათუმელმა ქოსამ ამოვიდა, თავის ცოლს დაუწყო

ლანძღვა-გინება, ქალს დაარტყა გუდაზე ხელი და სისხლი დააღვრევინა, ვითომ ქალი მოკლა. – რას შობი, ქოსავ, ქალი რატომ მოკალიო? – მე თუ მინდა ახლავენ გავაცოცხლებო. დაუკრა ქოსამ ჭიბონი და ქალი გააცოცხლა. ქოსამ ის გაყიდა ორმოცდაათ წონა ოქროზე. წამოიღო ბათუმელმა ქოსამ ეს ჭიბონი, მოკლა ცოლ-შვილი და დაუკრა ჭიბონი. ერთ საათს უკრა, უკრა, მარა მისი ცოლ-შვილი არ გაცოცხლდენ. ქოსაჲ გაბრაზდა და წევდა იელლი ქოსას მოსაკლელად. იელლმა ქოსამ რომ გაიგო ეს ამბავი, მაშინ ამოთხარა ყუ, ერთი ხვრელი დაუტია, ხელში დეიჭირა დიდი რკინა. ქოსამ ცოლს უთხრა, – ქოსაი რომ მოვა, უთხარი, რომ ჩემთვინ ის მოკდა და მაგერ არის ჩაფლულიო. ბათუმელ ქოსამ მივდა და დეიწყო ყუს თხრა. იელლმა ქოსამ მას ქვევიდან რკინა დააძგერა და მოკლა.

კატა, ღორი, მელაი და დათვი

Კატა, ღორი, მელაჲ და დათვი დამეგობრდენ. მელამ თქვა, – მე წავალ სიმინდს მოვიტანო. ღორმა თქვა, – მე ყანას მოვხნავო. დათვმა თქვა, – მე ჯირეკებს ამოვყრიო. მათ გადაწყვიტეს სიმინდის დათესვა.

მელამ წავიდა სიმინდის საშოვნელად. ბევრი იარა თუ ცოტაჲ, იარა გზაში მიეწია ერთ მეწისქვილეს, რომელსაც წისქვილში სიმინდი მოქონდა დასაფქვევად. მეწისქვილემ მელაჲ რომ დეინახა, გააგდო მეშოკი ძირში და გეიქცა სახლში თოფის მოსატანად. მეწისქვილეს სახლი შორ ქონდა და მალე ვერ მოვიდა. ამ ხანში მელამ მეიკიდა მეშოკი და გამოიქცა უკან. დათესეს სიმინდი. კარგი სიმინდი გეიზარდა. დათვმა, მელამ და ღორმა დაიწყეს ჭყაპი (დაუმწიფებელი ჭყლინტლი) სიმინდის ჭამა. მელამ უთხრა მათ: – ნუ ჭამთ ჭყაპ სიმინდს, თვარამ კატასთან გაგასაჩივლებო. მათმა მაინც გააგძელეს ჭყაპი სიმინდის ჭამა. მელამ წავიდა კატასთან. ღორმა სიმინდის ფუჩეჩებში ჩაწვა, დათვმა ხეზე ევიდა. კატამ როდესაც მოვიდა, მას ეგონა, რომ ფუჩეჩებში თაგვი ეფაჩუნებაო და გეიქცა იქითკენ. ღორს ეგონა, რომ ჩემთან მოდისო და გეიქცა, გადავარდა კილდეზე. კატას შეეშინდა და ხეზე ავიდა. ხეზე იყო დათვი. მას ეგონა, ჩემთან მოდისო და გადმუარდა ხიდან და დეიმტრა. ყანა დარჩა მელას.

ორი ძმა

Ყო ორი ძმა. იყვნენ ძალიან ღარიბები. ერთ დღეს მათ წავიდენ ფარის საკრეფად. იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ხის ძირას, დუუღამდათ. ძმებმა ამ ხეზე კარი აიტანეს. შუაღამე იყო, როცა ამ ადგილზე ვაჭრებმა გამეიარეს. მათ ურმებით დაჭვირთული ოქრო მოქონდათ. როდესაც ხის ძირში მოვიდენ, ძმებმა კარი გადმოაგდეს. ვაჭრებმა დეიყვირეს, – რომ დედამიწა იქცევაო და გეიქცენ იმ ადგილიდან. დატოვეს ყველაფერი. ძმებმა ჩამოვიდნენ ხიდან, ერთმა ლოგინი წაიღო, მეორემ – ჭურჭლეულობა, გეინაწილეს ოქრო და გაუდგნენ გზას. გზაში

დაუღამდათ. ერთმა ძმამ ეს ლოგინი დაიგო და დაწვა. მეორე ძმამ უთხრა,– ერთი ლოგინი მეც მომეციო. ბევრი ეხვეწა, მაგრამ ძმამ ლოგინი არ მისცა,– შენც რატომ არ წამეიღე ლოგინიო? მეორე ძმა მიწაზე დაწვა. დილაზე ეს ბიჭი მომკვდარიყო. ძმამ ის არც დაასაფლავა, აკიდა ყველაფერი აქლემს და გაუდგა გზას.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: გოგრაჭაძე შოთა დურსუნის ძე.
ასაკი: 13 წლის
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

მელია

იყო და არა იყო რა. იყო ერთი მელია. ერთ დღეს ამ მელიამ მეიკიდა სიმინდი და გუდგა გზას. შეხვდა ერთი სახლი. დაუძახა სახლის პატრონს, რომ ამაღამ დამაყენეთო. მართლაც, დააყენეს ღამის გასათიებლად. შუაღამიხან მელამ ადგა, ჩევდა საქათმეში და ყველაი სიმინდი დუუყარა ქათმებს. გათენდა დილა. მელამ დაიწყო ყვირილი, – სად წევდა ჩემი სიმინდიო? ნახეს რომ საქათმეში იყო ჩაყრილი. სიმინდის ნაცვლად მელამ ერთი მამალი აართვა. გაუდგა გზას. დადგა ერთ მოსახლესთან. ღამით მელამ მამალი ჩეიყვანა ახორში და ცხვარს მიაკრა ფეხზე. გათენდა თუ არა, მამალი მოიკითხა. ნახეს, რომ ცხვარს აქვს მიბმული ფეხზე. იმ მოსახლეს აართვამს ცხვარს. იარს, იარს და კიდევ მივა ერთ მოსახლესთან, იმასთანაც დადგება ღამის გასათიებლად. ღამეში დაკლავს ცხვარს და ძროხასთან გააგდებს. გათენდება, მოიკითხავს ცხვარს, ნახავენ ახორში დაკლულს ძროხასთან. აართვამს ამ ძროხას. მივა ერთ მოსახლესთან. აქ ქორწილი იყო გამართული. ძროხას ეზოში დააბამს და თვითან შევა იმ ოთახ-ში, სადაც დედოფალია. მელაი იმ ღამეს იქ დარჩება ღამის გასათენებლად. როდესაც დაღამდება, მელაი დაკლავს მის ძროხას, დანას მოპარავს დედოფალს და სისხლიან დანას სახელურში ჩაუდებს. როცა გათენდება, მელაი დეიწყებს ყვირილს: – ვინ დაკლა ჩემი ძროხაო? ვისაც სისხ-ლიანი დანა აღმუაჩნდება, ჩემი ძროხაც იმის დაკლული იქნება და მე იმას წავიყვანო. გასინჯეს და დანა აღმუაჩნდა დედოფალს. მელაი დედოფალს წაიყვანს. დაიწყებს ყვირილს: სიმინდი გავცვალე მამალზე, მამალი გავცვალე ცხვარზე, ცხვარი – ძროხაზე, ძროხა – დედოფალზეო. ერთ მინდორზე შეხვდება ორი კაცი, რომლებიც ყანას ხნავდენ. ეს კაცები ეტყვიან მელას, რომ წყალი გვწყურია და ამ ცხრილით წყალი მოგვიტანეო. მელას ეს დედოფალი ტომარაში ყავდა ჩადებული, გააგდო ტომარაი და გეიქცა წყლის მოსატანად. შეუშვირა წყალს, მარა ვერ აადინა, წყალი ქვეშ გადინდა ცხრილს. დიდხანს დარჩა ასე და ბოლოს დაბრუნდა უკან. ამ ხნის გან-მავლობაში იმ კაცებმა ტომარადან ამეიყვანეს ქალი, წეიყვანეს სახლში და ტომარაში კი დიდი ძაღლი ჩააგდეს. მელამ მოიკიდა ზრუგში ტომარაი და გაუდგა გზას. მელამ კიდევ დაიწყო

ყვირილი: სიმინდი გავცვალე ქათამზე, ქათამი გავცვალე ცხვარზე, ცხვარი – ძროხაზე, ძროხა კი – დედოფალზეო. ძაღლმა დეიწყო ღრიალი. მელას ეგონა, რომ დედოფალი ირჩობაო და გაუხსნა თავი ტომარას. ამოვარდა ძაღლი და მელაჲ მოღერღა.

ჭყავანაჲ კატა

Იყო და არა იყო რა. იყო ერთი მოსახლე. ყავდა ჭყავანაჲ კატა. ერთ დღეს ამ მოსახლემ კატა გააგდო გარეთ. კატამ იარა, იარა და მივიდა დათვის ბუნაგში. დათვს ბუნაგში ქონდა ხორცი. კატამ დაიწყო ხორცის ჭამა. მოვიდა დათვმა. დეინახა, რომ შიან რაღაცა არის და ძალიან შეეშინდა. მივიდა მელასთან და უთხრა, რომ ჩემს ბუნაგში ვინცხაი არის და წამომყევიო. გზაში შეხვდენ ღორი, ისიც წამეიყვანეს. დათვმა ევდა ხეზე. ღორმა დეიმალა ფოქვის (ბუნაგი) შესასლელთან. მელამ კი ბუნაგში შევიდა. კატას ძალიან შეეშინდა. ეგონა, რომ მელამ უნდა შემჭამოსო და გამოხტა გარეთ. ღორის კუდი თაგვი ეგონა და ღორს კუდი წაკნიტა. ღორმა კატას გამოეკიდა. კატამ ხეზე ახტა. დათვს შეეშინდა, გადმოვარდა და დაიმტვრა.

მამისა და შვილის აძბაჲ

Იყო ერთი კაცი. ყავდა სამი შვილი და ერთი თხა. ერთ დღეს მამამ უმცროს შვილს გაატანა თხა სამწყემსოდ. მან თხა კარგად გააძღო და თხას უთხრა,– კიდევ ქშია თუ-არაო? თხამ უთხრა: ისე გავძეხ, რომ ერთ ფოთოლსაც ვეღარ შევჭამო. მან თხა წამეიყვანა სახლში. მამამ შეეკითხა თხას,– როგორ გაძვა ჩემმა შვილმაო? თხამ უთხრა, რომ ეკლებზე მიმაბა და თვითან ბურთი ითამაშაო. მამამ შვილი გალახა და გააგდო გარეთ. ამ ბიჭმა წევდა და ერთ მეწისქვილეს დაუდგა მოსამსახურედ. მამამ მეორე შვილი გაგზავნა თხის სამწყემსავად. ამ ბიჭმა თხა კარგად გააძღო და წამეიყვანა სახლში. მამამ კითხა თხას,– როგორ გაძოვა ჩემმა შვილმაო? თხამ უთხრა, რომ მიმიყვანა გადახრუკულ ადგილზე და იქ ვერაფერი ვერ ვიშოვეო. ამ ბიჭსაც გააგდებს გარეთ. ის უსტას დაუდგება მოსამსახურედ.

მამამ მესამე შვილი გააგზავნა თხის სამწყესავად. მასაც ისე დიემართა. მამამ ესეც გააგდო გარეთ. ეს ბიჭი მოსამსახურედ დაუდგა ერთ მეცხვარეს. ერთხელ მამამ წაიყვანა თხა, კარგად გააძღო და მოიყვანა სახლში. თხას უთხრა, – დღეს ხომ კარგად გაძეხიო? –არაფერიც არ გავმძღარვარო. კაცმა მიხტა, რომ შვილები ტყვილად გავაგდე, თხამ მომატყვილაო. კაცმა თხას ამოპარსა თავზე, ცემა და გააგდო გარეთ. თხამ მივიდა მელიას საწოლში. მელამ რომ დეინახა, შიგ ფუტკრები შეუშვა. ფუტკრები დიესიენ მოპარსულ ადგილზე, თხა გამოვარდა გარეთ და კილდაზე გედეიჩეხა.

გავიდა დრო და ერთმა შვილმა დაბრუნდა სახლში. მას მეწისქვილემ ერთი ჯორი გამოატანა და დააბარა, რომ ჯორს ეტყვი „ბრიუკს“ და ოქროს დაყრისო. გზაში დუუღამდა და ერთ სასა-

დილოში დადგა. მან იქ საჭმელი ჭამა, დააკლდა ფული და ვირს უთხრა „ბრიუკო“ და ვირმა ოქროები დაყარა. სასადილოს გამგემ იფიქრა: – ჩემს ვირს შევუცვლი ამ ვირშიო. მართლაც ასე გააკეთა. შვილი დაბრუნდა სახლში, მამას უთხრა, რომ მეზობლებს მოუყარე თავი და ოქროებით ავუვსებ ჯიბესო. მამამ შეკრიბა ხალხი. ბიჭმა ვირს უთხრა „ბრიუკო“. მაგრამ ვირმა ოქროები არ დაყარა.

მეორე შვილმა უსტიდან წამეიღო კვერკვეტო (ხის ურო). იმანაც მივიდა იმ სასადილოში. სასადილოს გამგემ უთხრა, – რას ჭამთო? მან უთხრა, – რათ მინდა შენი საჭმელი! მიმართა კვერკვეტის: – აბა, გაშალე საჭმელიო. კვერკვეტიმ გააჩინა საჭმელი. სასადილოს გამგემ მას კვერკვეტო შეუცვალა. ბიჭი დაბრუნდა სახლში. მამას უთხრა: – მეზობლები მოყარე, საჭმელი უნდა ვაჭამოო. მოვლენ მეზობლები. კვერკვეტოს უთხრა: – გაშალე საჭმელებიო. მაგრამ სუფრა არ გაიშალა. ძმებმა მიხტენ, თუ რაში იყო საქმე. მათ მესამე ძმას მიწერეს წერილი, რომ სასადილოს გამგემ მოგვპარა კვერკვეტო და ჯორიო. ის აართვი და წამეიღეო. მესამე ძმამ მეცხვარედან წამეიღო კომბალი, გამეიარა სასადილოში. უთხრა, რომ ჩემი ძმების ვირი და კვერკვეტო მომეციო. სასადილოს გამგემ ვარი უთხრა. მაშინ ბიჭმა უთხრა კომბალს, – ამოდი ხურჯინიდან და ცემე ეს კაციო. მართლაც, კომბალი ამოვიდა ხურჯინიდან და სასადილოს გამგეს თავში დაუწყო რახუნი. სასადილოს გამგემ კვერკვეტო და ვირი მისცა. ის დაბრუნდა სახლში. მამას უთხრა, რომ მომიყვანე ხალხიო. მამამ ხალხი შეყარა, აქეიფა, ამხიარულა, ჯიბეები ოქროთი დუუტენა და ისე გააგზავნა.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: კილაძე დურსუნ ლომანის ძე.
ასაკი: 34 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ვარჯანაული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ვარჯანაული.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

კილაძე დურსუნ ლომანის ძე, დაბადებული 1925 წელს, კოლმეურნე, ცოლშვილიანი, სოფ. ვარჯანაულის მცხოვრები. ნამყოფია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მის რეპერტუარში შედის ზღაპრები და გამოცანები.

შახისძაღლი

ყოფილა ერთი ხელმწიფე, მას ყოლია ვეზირი. ამ ხელმწიფეს და ვეზირს არ ყოლიან შვილები. ერთ დღეს გადაწყვიტეს, რომ ასე არ შეიძლებაო, ჩვენ უნდა წავიდეთ წამლის საძებნელადო. წავიდნენ. ცოტა იარეს, თუ ბევრი იარეს, მივიდნენ ერთ წყაროსთან. იქ ჩამოჯდენ. გამეიარს ერთი მოხუცი კაცი. კითხავს, – სად მიხვალო? უთხრეს, რომ ჩვენ შვილები არ გვყავს და მივალთ წამლის საძებნელადო. მან უთხრა, რომ მაგ წამალს მე მოგცემო. მან ამეიღო გუდიდან ვაშლი და უთხრა, – ეს ვაშლი გაჭარით ოთხ ნაწილად. თითო ცალი ცოლებს შეაჭამეთ, თითო ცალი თქვენ შეჭამეთ. ნათალები კი ცხენს შეაჭამეთო. ის ცხენიც უშვილო იყო.

თქვენ რომ შვილები გეყოლებათ, უჩემოთ სახელები არ დაარქვათო. ხელმწიფე მოიქცა ისე, როგორც ამ მოხუცმა უთხრა. შესრულდა ცხრა თვე და ცხენს ეყოლა კვიცი. ხელმწიფეს ბიჭი ეყოლა, ვეზირს – გოგო. ამ გოგომ და ბიჭმა ექვსი წლის რომ გახდენ, ისინი მშობლებმა ხოჯას მიაბარეს. როცა თორმეტი წლის გახდენ, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ.

ერთ დღეს ისინი თამაშობდნენ და ერთმა ბავშმა დუუძახა, – შენ უსახელოვო. მშობლებს უთხრეს: – სახელი დაგვარქვით, სხვამ უსახელო რატომ უნდა დაგვიძახოსო. მართლაც, მოყარეს ხალხი და უნდა დაარქვან სახელი. ამ დროს მოვიდა ის ბერი და უთხრა: – ბიჭს ქვია შახისმაილი, გოგოს – გულიზარი, ცხენს კი – ყემურთაიო.

ერთ დღეს ხოჯა ეტყვის გულიზარის და შახისმაილის მშობლებს, რომ, შენი შვილები ხელს მიშლიან, ყოველთვის არშიყობენ, არ სწავლობენო. ხელმწიფეს უთხრა ვეზირმა, რომ მე რაც მეკუთნის, მომეცი და წავალ აქედანო. ხელმწიფემ ყველაფერი მისცა, რაც მას ეკუთვნოდა. ვეზირი თავისი ჯარითა და ცოლ-შვილით წავიდა ინდისტან შეჰერში. შაჰისმაილმა ბევრი იდარდა. უთხრა მამას, რომ, ჩემი ცხენი გამომიყვანეთო. შახისმაილმა ცხენი ჩეიყვანა ბაღში, გაავარჯიშა და ოთხი დღის შემდეგ გამოეკიდა გულიზარს. ერთ ადგილას მიეწია. გულიზარი და მისი დედა ჩადრში ისვენებდნენ, ხოლო ჯარი გზის დათვალიერებაზე იყო წასული. შახისმაილმა სიხარულის გამო დააკიჟინა. ჩავიდა იგი გულიზართან, ისაყვარლეს და შახისმაილმა გულიზარს აჩუქვა ბეჭედი. გულიზარმა კი – სავარცხალი. შახისმაილი დაბრუნდა უკან. როცა სახლში მივიდა, დედამისს უთხრა: – მე სანამ არ გემეღვიძება, მანამ თქვენ არაფრით გამაღვიძოთო. მან დეიძინა. ორმოცი დღე-ღამეს იძინა. როცა გამეიღვიძა, დედას უთხრა, რომ ძალიან მომშევიაო. დედამ უთხრა: – მეგემშეოდა, აბა რას იქმოდი, ორმოცი დღეს იძინეო. აჭამა საჭმელი. შახისმაილი ცხენზე შეჯდა, გადაკიდა საჭმელი და გააჭენა ცხენი. მიქრის ცხენი, სერიდან სერზე ახტება. მივიდა ერთ ადგილზე, სადაც ორი გზა მიდიოდა. ერთზე ეწერა: – გზა ახლოს არის, აქედან თუ წახვალ, ვეღარ დაბრუნდებიო. მეორეზე ეწერა: – გზა შორს არის, მაგრამ იოლად დაბრუნდებიო. შახისმაილს საჭმელი შემოელია და თქვა, რომ ამ მოკლე გზიდან წავალო. გააჭენა ცხენი. ბევრი იარა თუ ცოტაი იარა, მივიდა ერთ კილდეზე, გზა აღარც წინ იყო, აღარც უკან. შეიძლებოდა დაბრუნება. ერთ კიდეში არჩიხანა (სამზარეულო) იყო გაკეთებული. ქვაბებში ფილავი იხარშებოდა. შახისმაილმა ციცხვით დაიწყო მისი ჭამა. გამოვიდა ერთმა კაცმა და უთხრა: –მაქედან წადი, რადგან აქ ვინც მოვიდა, ცოცხალი არ წასულა, მათი თავებით ეს სარაიაა აშენებულიო. ერთი თავი აკლია და ცოდვა ხარ, შენც მოგჭრიან თავსო და წადიო. შახისმაილმა ყურადღებაც არ მიაქცია, – გავძღები და მერე მელაპარაკეო. ის კაცი შევიდა სახლში და ყარაბუზენგს მოახსენა, ასე ასეა საქმეო. ყარაბუზენგმა უთხრა, მეც მაგფერს ვეძებო. ყარაბუზენგმა დაპატიჟა შახისმაილი. ყარაბუზენგმა უთხრა, – ხვალე ჩვენ ერთმანეთს უნდა შევებრძოლოთო. შახისმაილი დათანხმდა. ყარაბუზენგი ისეთი შესახედაობისა იყო, რომ მისი დამნახველი კაცი შიშისგან კდებოდა. დილის ცხრა საათზე გამოიდენ შესაბრძოლებლად. ორივე ცხენებზე შეჯდენ. მინდორზე შეიკრიბა ხალხი. ყარაბუზენგმა ხელში დეიჭირა ოცდაათი ფუთი რკინა, შახისმაილმა თხუთმეტი ფუთი. შახისმაილმა უთხრა, რომ ჯერ შენ უნდა მესროლოო. მართლაც ესროლა, მარა ეიცილვა. შემდეგ შახისმაილმა შემოკრა და გადმოაგდო ცხენიდან. მივიდა და ყარაბუზენგის დაკლა მოინდომა. ყარაბუზენგმა უთხრა, – გამიხსენი მკერდი და ისე დამკალიო. გაუხსნა

მკერდი და ნახა, რომ ის მშვენიერი ქალი ყოფილა. ქალმა უთხრა: – ვინც შემხდებოდა შენისთანაი ვაშკაცი, იმას უნდა გავყოლოდი ცოლადო. ამდენი კაცი მოვკალი იმიტომ, რომ არცერთი არ დამხდა ვაჟკაცურადო. იქორწილეს და დაწვენ ლოგინში. შახისმაილმა შუაში ხმალი ჩაიდო. გავიდა სამი ღამე, შახისმაილი ქალს არ გაკარებია. შახისმაილმა ამეიგნეშვა. ქალმა უთხრა, რომ რატო არაფერს მეუბნები, შენ ვის ნახავ ჩემზე უკეთესსო. შახისმაილმა უთხრა, რომ მე მიყვარს ბავშვობიდანვე გულიზარი, მე იმის საძებნელად ვარ წამოსული, მე მას ვერ ვუღალატებო. ქალმა უთხრა,– ამდენხანს რატომ არ თქვიო. მე გაშოვნიებ იმას და მეორე ცოლად მე გეყოლებიო. შახისმაილი და ყარაბეზუნგი წავიდნენ გულიზარის საძებნელად. გზაში დიელიეს საჭმელი. მივიდნენ ერთ სახლთან. სახლს ვერ უპოვეს შესასვლელი. ყარაბუზენგმა სახლი შეანგრია და შევიდენ შიან. მათ დეინახეს ერთი ლამაზი გოგო, რომელიც პლატოკს ქარგავდა და თან ტიროდა. მისი ცრემლები პლატოკს ასველებდა. გოგოს ეტყვიან, რომ რატომ ტირიო? ის ეტყვის, რომ ჩემი ორმოცი ძმა ჯარში არიან წასული, ოცი მოკლეს და ოციც ძალიან გასაჭირში არიან. ასეთი სიზმარი ვნახე წუხელისო. შახისმაილმა უთხრა: – შენ საჭმელი გვაჭამე და ჩვენ გადავარჩენთ შენს ძმებსო. გოგო აჭმევს საჭმელს. ასწავლის ადგილს და წავლენ. მისი ძმები მართლაც უკანასკნელ წუთებში იყვნენ. ამოხოცეს მთელი ჯარი და წამოვდენ სახლში. ძმებს უკვირან: ვინ არიან ასეთი ვაჟკაცებიო. როგორ ვეცეთ ამათ პატივიო. ამათ მივცეთ ჩვენი დაო. ძმები წინ წამოვდენ საჭმლის დასამზადებლად. სახლში მივლენ, რომ სახლი შენგრეულია. ძმებმა გადაწყვიტეს დის მოკლა. მაგრამ დამ უთხრა საქმის შინაარსი და აღარ მოკლეს. გედეიხადეს დიდი ქორწილი. შახისმაილი და ეს გოგო დაწვენ ერთად. შახისმაილმა შუაში ხმალი ჩეიდვა. გავიდა სამი ღამე და შახისმაილი ქალს არ წაკარებია. ქალმა უთხრა, – რატომ არ გიყვარვარო. ვის ნახავ შენ ჩემზე ლამაზსო. შახისმაილმა უთხრა, რომ მე მიყვარს ერთი გოგო, სახელად გულიზარი. მე სანამ იმას ვერ ვნახავ, მანამ შენ ჩემი ცოლი ვერ იქნებიო. როცა ვნახავ, მაშინ შენც წაგიყვან ცოლადო. ამ ქალმა თავის ძმებს მოახსენა ეს ამბავი. ძმებმა დათანხმდენ. ამ ქალს სახელად გულფერი ერქვა. შახისმაილმა გულფერი ძმებს დაუტოვა და თვითონ და ყარაბუზენგი წავიდნენ გულიზარის საძებნელად. მივიდნენ ერთ სოფელში და დადგნენ დედაბერთან. ქალაქში ისმოდა მხიარულობის ხმა. შახისმაილმა კითხა: – რაის სეირია ქალაქშიო? დედაბერი ეტყვის, რომ ამ ქალაქში მოვიდა ერთი ვეზირი. მას ყავს გოგო. ამ გოგოს ყვარებია შახისმაილი. ახლა ამ გოგოს ქორწილია დანიშნული, მას სხვაზე ათხოვებენო. ორმოცი დღე-ღამეს არის ქორწილი დანიშნული, ოცდაცხრამეტი დღე-ღამე შესრულდა. ეს გოგო ამბობს, რომ, ხვალ თუ შახისმაილი არ მივიდა, მე თავს მოვიკლავო. შახისმაილი ეტყვის,– იმ გოგოსთან როგორმე მიდიო. დედაბერი არ იზამს, მაგრამ როდესაც ოქროს მიცემს, დათანხმდება. შახისმაილმა დედაბერს მისცა სავარცხალი, რომელიც გულიზარმა აჩუქვა და ეს სავარცხალი დაანახვიე გულიზარსო. დედაბერი მივიდა ვეზირის სახლთან. გოგო ზედა სართულზე ყავდენ. გოგო შახისმაილს ელოდებოდა და ყოველ წუთში ფანჯარაში იყურებოდა. დედაბერმა სავარცხალი დაანახვა. გოგომ მაშინვე გასცა ბრძანება, რომ ის დედაბერი ამომიყვანეთო. დედაბერი ეიყვანეს. გულიზარმა ყველაჲ ოთახიდან გარეთ გამოყარა და გამოკითხა დედაბერს ყველაფერი. გულიზარმა დედაბერს უთხრა, რომ ხვალ მე სხვაზე მათხოვებენ. დილას ჩავალ ბაღში მოვიდენ და იქიდან წამიყვანონო. თუ არა, მე თავს მოვიკლავო. მივიდა დედაბერი და შახისმაილს უთხრა

ყველაფერი. შევლენ ბაღში. ამ გოგოს ყარაბუზენგი შამეიჯდუმლებს და გეიქცევიან. ერთი საათის შემდეგ გაიგებენ გულიზარის გატაცების ამბავს და დიედევნებიან უკან.

შახისმაილი და მისი თანხლები ორ-სამ დღეს რომ იმოგზაურებენ, ერთ გორაკზე დეისვენებენ. ყარაბუზენგმა უთხრა, – თქვენ გადაღმა დაწევით და მე აქედან გიყარაულებო. მართლაც ასე მოიქცენ. ამ დროს მოვიდა ჯარიც, რომელიც ვეზირმა გამოაგზავნა. ყარაბუზენგი შახისმაილს არ გამოაღვიძებს და მარტოდ შეებრძოლება ჯარს. სულ ყველას დახოცავს, სისხლის ტბებს დააყენებს. ყარაბუზენგმა ისინი ჩონგურით გააღვიძა. უთხრა, რომ გადაღმა ჩიტი მოვკალი და ნახეთო. გედეიხედეს, რომ მთელი ჯარი იყო გაწყვეტილი.

შახისმაილმა წამოაყენა ყარაბუზენგი და გულფერი სახლში. ქალები მეზობელთან დატოვა და თვითან მივიდა მამასთან და უთხრა, რომ ქალები მოვიყვანეო. დედამთილი წავა სანახავად, ნახავს რომ გულიზარიც მოუყვანია და ორი მშვენიერი ქალიც. დაბრუნდა სახლში და ხელმწიფეს მოახსენა, რომ ჩვენ შახისმაილს ერთმანეთზე უკეთესი ქალები მოუყვანიაო. შენ ხელმწიფე ხარ და ისინი შენ გეკუთვნიანო. ხელმწიფემაც ჩამეიდვა მათი სიყვარული გულში. მამამ გადაწყვიტა, რომ შახისმაილთან ეთამაშა ნარდი და გაებოლკა (შებოჭვა). დაიწყეს თამაში. ყოველთვის მამა უგებდა. შახისმაილს ცხვენოდა მამამისისგან და არ უგებდა ნარდს. შემდეგ ითამაშეს გაბოლკვაზე. კიდევ მამამ მოუგო. შახისმაილი გაბოლკა. შახისმაილმა თოკი დაწყვიტა. მამამ მეორეჯელ მოუგო გაბოლკვაზე თამაში და გაბოლკა ზენჯირით. შახისმაილმა ზენჯირიც გაწყვიტა. შახისმაილმა უთხრა მამას, რომ მე ვერაფერს ვერ დამიმაგრებთ, სულ ყველაფერს გავწყვეტ, მხოლოდ ვერ გავწყვეტ ჩემს თმასაო. მამამ შახისმაილი თმით გაბოლკა და მართლაც ვეღარ გაწყვიტა. მამამ შახისმაილი ჯალათებს გაატანა და დააბარა: – წაიყვანეთ ეს უღრან ტყეში, მოკალით, მისი სისხლით ფაჩავრა (ნაჭერი, ჩვარი) შეღებეთ და მომიტანეთო. ჯალათებმა წეიყვანეს შახისმაილი. გზაში იფიქრეს, რომ ამფერი ლამაზი ვაჟკაცი რაფერ მოვკლათო. მათ დაკლეს ჩიტი, ფაჩავრა სისხლში ამოსვარეს და წამოვდენ სახლში. შახისმაილი ყუში ჩააგდეს ცოცხალი. გამოუღეს თვალები და შეცლილი ჩაუდეს ჯიბეებში. მარცხენაი თვალი მარჯვენა ჯიბეში ჩაუდეს, ხოლო მარჯვენაი თვალი – მარცხენა ჯიბეში.

შახისმაილს ყავდა ერთი ფინაჲ ლეკვი, რომელიც ყოველთვის მას დაყვებოდა. ეს ლეკვი დადის სოფელში. მას რომ ჭადს გადმოუგდებენ, ის წაიღებს და ყუში ჩააგდებს.

ვეზირები მივდენ თუ არა, ხელმწიფეს უჩვენეს სისხლში დასრილი ფაჩავრა. ხელმწიფე იმ ქალების მოსაყვანად გაგზავნის კაცებს. ყარაბუზენგი გადაიქცევა მისებურ ადამიანად და ომს გამოუცხადებს ხელმწიფეს. მის ჯარს ყველას ამოჟლეტს.

ცხოვრობდა ლუკმა პურით შახისმაილი. ერთ დღეს გამეიარს ჩიტი და შახისმაილს ეტყვის, რომ შენი თვალები შენს ჯიბეებშია, ჩაიდგი ისინი, მე ბურდღას გადმოგიგდებ, გამეისვი თვალებში და მოგირჩებაო. შახისმაილმა მართლაც ასე გააკეთა. გაუმართლდა თვალები, მარა თვალები რომ შეცვლილი ქონდა, ელამი დარჩა. ელამობაც სწორედ აქედანაა წარმომდგარი.

შახისმაილი წამოვა სახლში. გზაში შეხვდება ერთ კაცს, რომელიც ყანას ხნავს. შახისმაილი ამ კაცს მიესალმება, მაგრამ ეს კაცი სალამს არ ჩამოართვამს. შახისმაილი გააჩერებს ამ კაცს და ეტყვის: – სალამი რატომ არ მომეციო? ეს კაცი ეტყვის, რომ სალამისთვის არ მცალია, ხვალ ომში მეძახიან და ცოლ-შვილს ყანა დათესილი უნდა დავახვედროვო. შახისმაილი კითხავს,– რის

ომიაო? ის ეტყვის, რომ შახისმაილმა სამი ქალი მეიყვანა. მამამ შახისმაილი მოაკლევინა და მოინდომა ძლების დამორჩილება. ახლა ყარაბუზენგთან აქვს ომი მის მამას და ყველაი ხვალე ომში უნდა წავიდესო. შახისმაილმა უთხრა ამ კაცს, რომ შენ ოღონდ საჭმელი მაჭამე და მე კი შენს მაგიერ წავალ ომშიო.

მეორე დღეს ამ კაცს დაუმახეს ომში. მან უთხრა: – მე აგერ კაცი მყავს დაქირავებული და ჩემს მაგიერ ის წავაო. შახისმაილი წავა საბრძოლველად. ნახა, რომ ქალი მუსრს ავლებდა ჯარს. შახისმაილმა მოითხოვა, რომ მომიყვანეთ იმ ხელმწიფის ცხენიო. ის ცხენი შახისმაილის ცხენია. წავიდნენ კაცები. მივიდენ, რომ ცხენი ძალიან დამჭლობილია. ახლოს კი არავის არ უშვებს. დაბრუნდებიან და მოახსენებენ შახისმაილს. იგი თვითონ წავა თავის ცხენთან. ცხენი რომ დეინახავს მას, სიხარულისგან დეიჭიხვინებს და გასუქდება. შახისმაილმა შეჯდა ცხენზე და გააჭენა. მივიდა ბრძოლის ველზე და მისებურად დააკიჟინა. ყარაბუზენგმა გულიზარას უთხრა: – ეიკიდი ჰაჲ, ჩვენი შახისმაილის ხმას გავდა ის ხმაო. ყარაბუზენგმა გახსნა ომი. შახისმაილმა ხალხს უთხრა, რომ მე მარტოდ უნდა ვებრძოლოვო. თქვენ ყველამ დეისვენეთო. ყარაბუზენგმა პირველად ესროლა, შახისმაილმა აიცდინა. შემდეგ შახისმაილმა ესროლა რკინა და ყარაბუზენგი გადმოაგდო. ხალხმა უთხრა შახისმაილს, რომ ეს ხელმწიფეს მივუყვანოთო და იქ დავკლათო. ხელმწიფის კარზე შეიყარა მილლეთი.

შახისმაილმა ხალხს მიმართა: – ეს არის ჩემი ცოლი. მამაჩემმა მოინდომა ჩემი ცოლების ხელში ჩაგდება და ჩემი თავი ჯალათებს გაატანა მოსაკლავად. ეს მამაა ჩემი, მე ვერაფერს ვეტყვი. თქვენ რაც გინდათ, ის უყავითო. გაბრაზებულმა ხალხმა ხელმწიფე გაცხელებულ ფურნეში შეაგდეს, ხოლო მისი ცოლი კი ცხენის კუდზე გამოაბეს და ისე დაალევიეს სული. შახისმაილი გახდა ხელმწიფე. ის ცხოვრობდა ბედნიერად. მისგან ხალხი ძალიან მადლიერი იყო.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: მსახურაძე ფაზენ მუსას ძე.
ასაკი: 35 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ვარჯანაული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ვარჯანაული.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

მსახურაძე ფაზენ მუსას ძე, დაბადებული 1924 წელს, სოფ. ვარჯანაულში. კოლმეურნე, ცოლშვილიანი. იცის თურქული და ქართული ენები. ნამყოფია გათუმში, ქუთაისში, თბილისში, აჭარის ზოგიერთ სოფელში. წერა-კითხვის მცოდნე. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები.

ხელმწიფე და მისი გოგო

ყოფილა ერთი ხელმწიფე. ყოლია ერთი გოგო. ამ გოგომ ხელმწიფე გააბრაზა და გააგდო გარეთ. მის ჯალათებს უბრძანა, – წაიყვანეთ და მიათხოვეთ სულ ყველაზე ღარიბსო ან დაკალით და გააგდევითო. წეიყვანეს ეს გოგო. მიადგნენ ერთ ფაცხას. შინ ცხოვრობდენ

ერთი ბიჭი და დედაბერი. ეს დედაბერი ამ ბიჭს ხელით აჭმევდა საჭმელს. ბიჭი იწვა და არც კი ინძრეოდა. ეს ბიჭი ყოფილა ძალიან ზარმაცი. ჯალათებმა თქვეს, რომ ჩვენ ამაზე უფრო ღარიბი არავინ არ შეგვხვედრია, ამას უნდა მივცეთ ეს გოგოვო. მართლაც დაუტიეს ეს გოგო და წამოვიდენ სახში.

გოგო უყურებს ამ ბიჭს და ძალიან უკვირს, რომ ბიჭი ავად არ არის და ზეზე არ დგება. მესამე დღეს გოგომ უთხრა დედაბერს, რომ ოცდაათი ჯოხი მომიტანეო. დედაბერმა მოუტანა ოცდაათი თხილის ჯოხი. გოგომ ამ ბიჭს გადახადა საბანი და უთხრა, რომ ადექი ზეზეო. ბიჭმა არ ადგა. მაშინ გოგომ დაუწყო ჯოხით ცემა. თორმეტჯელ რომ დაარტყა, წამოდგა ზეზე, ჩააცვა, დაახურა. ეზოში გზა იყო, რომლითაც ხალხი ტყეში დადიოდა. ყველა ხალხს იმ გზაზე უნდა გეევლო. გოგომ უთხრა, რომ შენ ყოველთვინ ამ გზაზე იჯდები და თვალყური ადევნე, ვინ სად წავა, რას მოიტანს და რას იტყვისო.

ბიჭი დაჯდა გზაზე და უყურებს გამლელ-გამომლელს. ხედავს, რომ აგერ კაცს ცული დუუდია ფხარზე და მიდის ტყეში. ზოგს მოაქვს შეშა. ზოგი სარჩო-საბადელს ეზიდება. ბიჭმა გოგოს უთხრა, რომ მიყიდე თოკი და წალდი, მეც ტყეში უნდა წავიდეო. მართლაც, გოგომ უყიდა წალდი და თოკი. ბიჭი ხალხს წაყვა ტყეში შეშაზე და დაბრუნდა შეშით დაჭვირთული. გოგოს უთხრა, რომ ხალხს შეშა ქალაქში მიაქვან გასაყიდად. მოდი და მეც წავალ და გავყიდიო. გოგო დაეთანხმა. ბიჭმა მეიკიდა შეშა ზრუგში და წეიღო ქალაქში. ბიჭმა არ იცის, თუ რაფერ უნდა გაყიდოს შეშა, დადის ქალაქში, შეშა ზრუქში აქვს აკიდული. შეხვდა ერთი კაცი. მან უთხრა, რომ მომეცი მეგ შეშა და ჭკუას გასწავლიო. მისცა შეშა და კაცმა ასწავლა ჭკუა: – კაცი რომ შეგხდება და სალამს მოგცემს, შენც მიეცი სალამი და სხვა არაფერი უთხრა, წადი შენს გზაზეო. ბიჭი წავიდა სახლში, ცოლს უთხრა საქმის მდგომარეობა. ხელმეორედ წამეიღო შეშა. ერთ კაცს მიყიდა ჭკუაზე. კაცმა ასეთი ჭკუა ასწავლა: – გზაზე რომ დაგიღამდება, დაბალ ადგილზე, ღელის პირზე ღამე არ გაათიოვო. ბიჭი დაბრუნდა სახლში და ცოლს უთხრა, რომ მიყიდე ცხენები და იმით უნდა ვზიდო შეშაო. ქალმა უყიდა ორი ცხენი. დეიწყო შეშის ზიდვა ქალაქში.

დადგა გაზაფხული. ბიჭმა იფიქრა, წავალ ტყეში, ბევრ შეშას დავამზადებ და შემდეგ შემოდგომაზე გავყიდიო. მართლაც, წავიდა ტყეში, დაამზადა რამოდენიმე საჯენი შეშა. სახლში რომ დაბრუნდა, მასთან მივიდა ერთი ვაჭარი და უთხრა, რომ სავაჭროდ მივდივარ, წამოდი შენც ჩემთან, წამოიყვანე შენი ცხენები და ფარას მოგაგებიებო. ბიჭმა დაეთანხმა. ჯერ წავიდა შეშის მოსავლელად. ავიდა ტყეში, რომ რას ხედავს, მისი შეშა ვინცხას დაუწვავს. ერთი ნამწვავაჲ შეშა სახლში მოიტანა, გააგდო ეზოში და ცოლს მოახსენა საქმის მდგომარეობა. ბიჭი წაყვა ვაჭარს. ქალმა რომ ეზოში გამოვიდა, ნახა, რომ მისი ქმრის მიერ მოტანილი ნამწვავაჲ კი არ იყო, არამედ– ოქრო. ეს ბიჭი ოქროს მეგომ ვერ იცნობდა. წევიდა ქალი ტყეში და ნახა, რომ მთელი შეშა ოქროდ ქცეულა. წამეიღო სახლში და ააშენა ოქროს სარაია.

ვაჭარს გზაში დუუღამდა და დადგა ღელის პირზე. ამ ბიჭმა უთხრა, რომ გორაკზე დავწვეთ, აქ ნუ დავწვებითო. არ დაუჯერა. ბიჭმა წავიდა და მაღალ გორაგზე დაბინავდა, წაიღო მისი ჭვირთიც. მოვიდა კოკისპირული წვიმა. ადიდდა მდინარე და იმ ვაჭრის ნახევარი ქონება წაიღო. ბიჭმა ლამაზად დარჩა. დილაზე აკიდა ცხენებს ჭვირთი და გაუდგა გზას. გზაში მას შეხვდა ერთი ონაგირიანი ცხენი, რომელიც ძალიან მორბოდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ კაცი დეინახა,

რომელიც ამ ცხენს ესხრიკებოდა. კაცმა უთხრა, რომ ცხენი ხომ არ დიგინახავსო. ბიჭმა მას მხოლოდ სალამი ჩამოართვა, სხვა არაფერი არ უთხრა. რამე არ დიმინახავსო. ეს კაცი შეხვდა იმ ვაჭარს. ვაჭარმა უთხრა, რომ ცხენი ამ ერთი ორი წუთის უკან შემხდაო. კაცმა უთხრა,– რად არ გრცხვენია, უპატრონო ცხენი შეგხტა და არ დეიჭირეო. ამ კაცმა ეს ვაჭარი მაგრათ გალახა. ვაჭარმა განაგრძო გზა.

მიაღწიენ ერთ მინდორზე. ამ მინდორზე იყო ერთი ჭა. მეტი წყალი არსად არ იყო. ყველამ იცოდა, რომ ჭაში ჩამსლელი ცოცხალი ვერ ამოვიდოდა. ბიჭმა დეიკავა ვედრო და ჩევდა ჭაში წყლის ამოსატანად. ნახა, რომ ერთ ქენერზე კაცი ჯდას, მეორეზე – ბაყაყი. კაცმა კითხა,– რაზე ჩამოხველ აქაო? – რაზე და, წყალი უნდა წევღოვო. – მერე არ იცი, რომ აქ ჩამომსვლელი ცოცხალი ვერ ბრუნდებაო? ბიჭმა უთხრა, რა ვიცი ჩამოველი და იყბალაო.

კაცმა უთხრა, რომ, აბა, მე შენ ერთ ასახსნელას გეტყვი და თუ ამიხსნი, მაშინ წყალს გაგატანო. კაცმა ასე უთხრა: – მე იმფო ლამაზი ვარ თუ ეს ბაყაყიო. ბიჭმა უთხრა: შენს თვალებს რაც მოწონდება, ის არის ლამაზიო. ეს ბაყაყი გაჩინდა ლამაზ ქალად. მეგომ ამ კაცმა ეს გოგო მოტაცა ხელმწიფეს. მშობლებმა დაწყევლეს ეს გოგო და ბაყაყად გადაიქცა. შემდეგ მშობლებმა იმდენი იდარდეს, რომ ისინი დაქორდენ. ამ ყუში დადიოდა ერთი ფინაი და ამ ქალსა და კაცს ჭადს უყრიდა. ამ კაცმა ახმედას მისცა ჩიტის ბურდღა და წამალი. წადი ამა და ამ ადგილას, შეგხდება ერთი სახლი, იქიდან შენ ვინმე დიგიძახებს: – თქვენში ვინმე ექიმი ხომ არ არისო. მაშინ შენ უთხარი, რომ, მე ვარ ექიმიო. შენ აგიყვანებენ სახლში და ამ წამლით მოურჩენ თვალებსო. მართლაც ასე მოხდა. ბიჭმა წამალი დაასხა ბურდღაზე, გამოუსვა თვალებზე და იმ გოგოს მშობლები მოარჩინა. მათ ოქრო მისცეს და ისე გამოაგზავნეს უკან.

როდესაც ბიჭი დაბრუნდა სავაჭროდან, ნახა, რომ მის ცოლს აუშენებია დიდი სასახლე, მანაც სახლში მიიტანა ოქრო, მატერია. ამ გოგოს ყავდა ხუთასი ჯარისკაცი. გოგომ გააკეთებია ხუთასი თასი და ხუთასი კოვზი ოქროსაგან. შემდეგ კაცები გაგზავნა მამასთან დასაპაიჯებლად. მამამისთან რომ მივიდენ, თქვა: – იმას რა ექნება, რომ ჩვენ გვაჯობოსო და მოსავლელად გამოგზავნა კაცები. კაცები რომ დაბრუნდენ, მეფეს მოახსენეს: – იცოდე, რომ შენ გჯობია სიმდიდრეშიო. ხელმწიფე წავიდა თავისი ჯარით. შვილი მამას დიდებულად შეხდა. ორმოცდაათი დღეღამეს იქეიფეს. მეც იქ ვიყავი. ისე დავთრი, რომ ჰალა თრალი ვარ.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ქათამაძე ვალერიან.
ასაკი: 12 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ვალერიან ქათამაძე, 12 წლის, ჭვანის მცხოვრები, მე-6 კლასის მოსწავლე. ჰყავს მშობლები. ნამყოფია ბათუმში. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები, გამოცანები და ზღაპრები. მოსმენილი აქვს ბაბუასგან.

მურთაზ ჭინჭარაძე

ოხუთმეტი წლის შევიქენი
მე, საბრალო გლეხის შვილი,
ჩემი თავგადასავალი,
ერთიც რომ არ არის ტყვილი.
რა ვქნა, ბუნებამ მარგუნა,
რაც მინდოდა, არ მაღირსა
სიცოცხლის შუქი ჩამიქრო,
თავს დამაწვა ცა და მიწა.
ობლობა შემოგვეპარა,
ცრემლები ვღვარე თვალითა,
მტრის ტყვიამ ჩამოგვაცილა
ჩვენს საყვარელსა მამასა.
ეს ხომ უსუფა თებიძემ
მამას სხივი დაუბნელა,
თუმც მის ტყვიას არ მოუკლავს,
მაგრამ მისგან იყო ყველა.
ამ დღეიდან მე უბედურს
ჩამომიწვა გზაზე ნისლი,
ბუნებამ მომცა, ტანჯული
რომ ამეღო მამის სისხლი.
დღე და ღამეც ძმასთან ერთად
მტერს კვალდაკვალ დავეძებდით,
მაგრამ პატარა რომ ვიყავით,
მტერზე სროლას ვერ ვბედავდით.
შიშველ-ტიტველი ქუჩებში
წვიმებით გვიღამდებოდა
და გულის მხსნელი დილა
ჩვენ არ გვითენდებოდა.
რაღა ბევრი გავაგრძელო,
დადგა ჩვენი აღსასრული,
ჯორჯიაშვილის ქუჩაზე
მტერს გავაფრთხობინეთ სული.
ხუთი ერთად დავახალეთ,
მუხლით დაეცა მიწაზე,
ამ დროს ჩემი ძმაც მოვდა,
ორვემ წავადექით თავზე.
იმან გვერდით შემოგვხედა,
ბოლი ედგა მაუზერსა (რევოლველი);
მას სალამი დავაბარეთ
მიცვალებულ მამაჩემთან.
ოცი დღეი არ გასულა,
რომ თავრობამ დაგვიბარა.
მკვლელობა მამის შესახებ
მუხამედამ დაიბრალა.
ორმოცდაერთი წელია
და მივდივართ შორს მხარეში,
სიცივემ ყველა დაგვტანჯა,
მეც კიღამ ვიგრძენი ფეხში,
თურმის, ძმაო, მე უბედურს
უეცრად ფეხი მომყინა
და ფრონტისკენ მიმავალი
გოსპიტალში დამაწვინა.
იქიდან გამომაგზავნეს
სამშობლოში, ავადმყოფი,
მე უბედურს ამ დღეიდან
შემიყვარდა რაღაც თოფი.

გამყიდველმა მეც კი გამცა,
თავრობაში მოღალატე.
უბრალო კაცი შემიპყრეს
ბნელ ციხეში მე ჩამაგდეს,
იქ რა წვალება გავწიე,
ღმერთმა ყველას აგაშოროს,
ისეთი მწარე წუთები
შენს და ჩემს მტერს დაუყენოს.
ხელებში პატრულა მომცეს,
ბოლოს ძალ-ღონით მოწიეს,
ისეთი სიმწარე ვნახე,
დედის ძე იქ გვარწყევინეს.

მეორე დილა გათენდა.
მას დაერთო მწუხარება
თურმის ტანჯულად მოეკლათ
ჩემი ძმაი მუხამედა.
იმ ციხეში მომიტანეს
ტყვია, თოფი და ქამარი,
ისე დაეგლიჯა ტყვიას,
როგორც ბუხარში ნაცარი.
მეც კი ჩემით გავერკვიე,
რომ ჩემი ძმა აღარ არი.
აწი, ძმებო, ჩემი თვალით
ცას და დედამიწას ვრწყავ.

კატა

მევლუდ ძიავ, ცხოვრებაში
ერთი ჯავრი მოგემატა,
კაი ხანია, აღარა გყავს
ხმა გასული შენი კატა.
დღე და ღამე მას დაეძებ,
აღარა გაქვს ჭამის მადა.
მახაროზელი ვიქნები:
ისმეილამ თოფით დახატა,
ორტუჩა თოფი დატენა,
ორი კვირე უდარაჯა,
ფეხის ხმას რომ გაიგებდა,
გაშლილი ქონდა ფარაჯა.
მიზანში რომ ამოუჯდა,
თოფი წყვილ-წყვილად გავარდა,
სიცოცხლეს დაემშვიდობა,
კატა უსულოდ დავარდა.
– დედი, მოვკალი! – იყვირა.
დედა საჩქაროდ გავარდა,
ჩემი ძუძუ ალალი იყოს,
ჩემს ცხოვრებას ის მიჭამდა.
ორივემ ხელი მოჰკიდა,
მძიმე იყო, როგორც ტანკი,
გაქნევის დროს მაინც გაჰკრა
ხინოვრას ხუთი ჭვანკი.
ვითომ ფლატეში ისროლეს,
ბელა აიცილეს თავზე,
გაქნევით ვერ ჩაუწიეს,
დაეკიდა ვაშლის ტანზე.
მოვლუდ ძიამ მარჩიელსა
ფული მისცა მოძებნაზე,
მარჩიელმა ასე უთხრა:
– არც ცაზეა, არც – მიწაზე.
ბოლოს დაჯდა, ასე ფიქრობს,
ნეტავ, რა მჭირს ამ ჩემს თავზე,
იაღი-ყველის მოსატანად,
ალბათ, წასულია მთაზე,
ამისთანა კოჭლი კატა
არ ყოფილა დუნიაზე,
ვისაც სახლში შევიდოდა,
მას იცნობდნენ ფეხის ხმაზე.
კერე-კუჩხეს მოირბენდა,
გაძღებოდა სულ ერთ წამზე.
ყველამფრით რომ გაძღებოდა,
ისევ გაყვებოდა განზე.
მერიემ აბლამ სიხარულით
სტოლი დადგა შოშე გზაზე:

–აწი აღარ დამხტება თავმოხტილ გვარდაზე.
ასიე აბლამ სიხარულით
შეპირდა, ყურბანი დაეკლა ჯამეზე.
– აწი ყველაფერსა დავდეფ,
რამე ვერ ევა თაროზე.
კატის ლეშის ჩამოღება
მიგვინდია აბდულაზე.
ჭაღალიძეების სიძეჲ
ხელმომჭირნეა ყიდვაზე:
– კატის ტყავი რომ გახმება,
გაარიგეთ სწორეთ შუაზე,
ბოხოხის ქუდი შეიკერეთ,
დაგშვენდებათ ფართოდ თავზე,
დანარჩენი, რაც დაგრჩებათ,
დააკერეთ პალტოს ყურზე,
ნაღვარევში ქარი იცის,
აღარ შეგცივდებათ ყურზე.

ეშმაკის ქუდი

Ყვნენ სამი ძმა. მათ შემოეჩვიათ ეშმაკი. მათ რამოდენიმეჯერ დანითაც გაექანენ. ერთ დღეს, ეშმაკი როდესაც მოვიდა, ძმებმა დაინახეს და გამოეკიდნენ. იგი სოფლის ბოლოს ქვის ქვეშ ჩაძრა. ძმებმა თქვეს, რომ ეს ქუა უნდა ავწიოთო. ძმებმა ეს ქვა აიღეს და მოიტანეს დიდი თოკი. უფროს ძმას წელზე მოაკოჭეს და უფროსმა ძმამ დააბარა, რომ როდესაც თოკს მოვწიწავ, მაშინ უნდა ამომიყვანოთო. უფროსი ძმა ჩაეშვა. მას შეეშინდა, მოწია თოკი და უკან ამოიყვანეს. უფროსი ძმა ამეიყვანეს და გაგზავნეს შუათანაჲ ძმა. ისიც ასე მოიქცა, როგორ მოიქცა უმფროსმა ძმამ. მერე გაგზავნეს უმცროსი ძმა. უმცროსმა ძმამ ძირამდის დაეშვა და ნახა ეშმაკის ქუდი. დაიხურა თავზე და მოწიწა თოკი. ძმებმა დაიწყეს მისი ამოყვანა. მათ დაინახეს ეშმაკის ქუდი და უმცროსი ძმა გაუშვეს, რადგანაც შეეშინდენ. ჩავიდა უკან უმცროსი ძმა. ის მივა ერთ ხის ძირას. ნახავს, რომ ვეშაპი ეხვევა ერთ ხეს. ეს ვეშაპი მოჰკლა. ამ დროს მოვიდა ამ ხეზე მობინადრე ჩიტი და უთხრა: – ეს პატივისცემა რით გადაგიხადოვო. მას არაფერიც არ უთქვამს, ისე წავიდა. მეორე დღეს, წვიმიან ამინდში ვაჟი მივიდა ისევ იმ ხის ძირას. წვიმას ბარტყები უნდა ამოეხოცა. ვაჟი ჩიტის ბარტყებს გადაეფარა. მოვიდა ჩიტი და ეს ვაჟი უნდა შეეჭამა, ჩიტის ბარტყებმა გამოესარჩლენ და ვაჟი გადაარჩინეს. ჩიტი ებნევა, – რით გადაგიხადო ამდენი პატივისცემაო? ვაჟმა უთხრა, ამიშვი შენს ფრთებზე და ჩემს სამშობლოში ამიყვანეო. ჩიტმა შეისვა ვაჟი ფრთებზე და წაიყვანა ვაჟი თავის სამშობლოში. მიიყვანა და ისევ დაბრუნდა უკან.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: გოგრაჭაძე იზოლდა ხასანის ასული.
ასაკი: 22 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

გოგრაჭაძე იზოლდა ხასანის ასული, დაბადებული 1937 წ. ჭვანაში, სტუდენტი. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები და ლექსები, რომლებიც მოუსმენია ის ბაბუასგან.

შაირები

მაღლა სერზე რომ ავედი,
გედვიხედე სერი-სერსა.
გოგოვ, ერთი მაკოცნინე,
დიდი ღმერთი მოგცემს დღესა.
...
მაღლა სერზე რომ ავედი,
დევინახე დიდი ყანა.
საყვარელს რომ დევინახავ,
რაღათ მინდა ეს ქვეყანა.
...
მაღლა სერსა, სერისერსა,
ახლოს იყო მთებიო.
გენილ- ხანუმ, გეხვეწები,
გადმოყარე თმებიო.
...
ბაღჩაშია გადვიხედე,
ორი ღერი მაკიდოვო.
ახლანდელი გოგუები
ყურით უნდა დაკიდოვო.
...
ყველა ხემ ჟველი გაიღო,
შენ რას შობი მუხაო?!
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
უკუღმართი ნუ ხარო.
...
ყველა ხემ ჟველი გამეიღო
შენ რას შობი წიფელაო?!
გოგოვ ერთი მაკოცნიე
ჩემო ლოყაწითელაო.
...
ყველა ხემ ჟველი გამეიღო,
შენ რას შობი იაო?!
ერთი ოქროს კბილი აქვს
იმან გადამრიაო.

თორმეტი წლის ბავშვი ვიყავ

ორმეტი წლის ბავშვი ვიყავ,
გამოზრდილი ობლობაში.
დამიჯერეთ, არ ვიცოდი,
რა ხდებოდა ცხოვრებაში.
ოცი სექტემბრის თვე იყო,
მომელოდენ მე სკოლაში.
ცოტა ავად შევიქენი
და იმიზა დავრჩი სახლში.
მოღალატე კაცის შვილი
ვაჟკაცია ბავშვის კლაში,
თოფით თავზე რომ დამადგა.
როცა ვიყავ მე ყანაში.
შევეხვეწე, მე ნუ მომკლავ,
მე არა ვარ არვის ბრალში.

ჩემი ხვეწნა და ტირილი
აურია თოფის ხმაში.
თოფმა ბზუილით და ქარით
გამირბინა მარჯვნივ მხარში
და თავიდან წამოვიდა
სისხლი გულზე ნატყვიარში.
დედაჩემთან დამაწვინეთ,
ხელი მისვას ნატყვიარში,
ჩემი ადგილი ყოფილა
მეტრონახევარ მიწაში.
ოთხი დები თავს დამსტირის,
იხრჩობიან ცრემლის ღვარში.
მეზობლებიც თავს დამსტირის,
ვეცოდები ცივ საფლავში.
მამაჩემო, გენაცვალე,
ჩემთვის აჰაზირე ბოხჩა,
მაგრამ რა ვქნა, მამაჩემო,
შენი ბოხჩა ოხრად დამრჩა.
სწავლის სურვილი მეც მქონდა,
ფრიადი მქონდა საგნებში,
მაგრამ ყველა ოხრად დამრჩა,
რომ დავიძინე მიწაში.
გალობლიშვილო ისკენდერ,
ჩემი მოკლით გაიხარე.
მომასპევი უდრუო დროს,
გულზე მიწა დამაყარე.
გალობლიშვილო ისკენდერ,
აწე ჲარე სწორე გზაზე
და ეს ლექსი, ჩემო ძმებო,
დაამღერეთ გიტარაზე.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ტარიელაძე შალვა სულეიმანის ძე.
ასაკი: 14 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ვანი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ვანი.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ტარიელაძე შალვა სულეიმანის ძე, დაბადებული 1945 წელს, სოფ. ვანში, მე-6 კლასის მოსწავლე. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები, რომლებიც მოსმენილი აქვს ბაბუასგან.

ოცი ძმა

ყვნენ ოცი ძმა. მათ ყავდენ დევი მამა. ამ დევმა ავათ გახდა. შვილებს დაუტოვა ანდერძი, რომ ოცნავემ ცოლად ითხოვეთ დებიო. წავიდნენ და პატარა ძმას უთხრეს,– შენ დარჩი, პატარა ხარ და ჩვენ მოგიყვანთო. ეს პატარა მაინც წაყვა. შევიდნენ ერთ სარაიაში. ძმებმა პატარა ძმა შიგ არ შეუშვეს. ამ სახლში იყო ატლასის ლოგინები და მათ ფეხებით ჩლაგნა დაუწყეს. ამ დროს მოვიდა ამ სასახლის პატრონი დევი. პაწა ძმამ მოჭრა თავი, შევიდა სასახლეში და ძმებს უთხრა, – წამოდით, ძმებო, კარგი არ დაგვემართება, დევს თავი მოვჭარიო. ძმები წავიდნენ. გზაში შეხვდენ ერთი მოხუცი ნენეჲ, რომელიც თავს იბარცხნიდა და დაუძახა: – ამოდით აქო. ნენემ მათ აჭამა მოწამლული საჭმელები, პაწა ძმამ არ ჭამა. ამ დროს ნენემ შამოიყვანა დათვი, ლომი და მგელი მათ შესაჭმელად. წინ შამოვიდა ლომი. მას პაწა ძმამ მოჭრა კისერი, შემდეგ შამოვიდა დათვი და მგელი, იმათაც მოჭრა კისერი. როცა ძმები გეიღვიძებენ,

წავლენ. შევიდნენ ერთ სარაიაში. მათ შეყვა პატარა ძმაც, აქ მოვიდა დევი, სახლზე მიაყუდა კილდე და ძმებს უთხრა პაწა ძმამ: – აკი, გითხარით, მე წამომყევითო. ახლა მე გავალ აქედან და თქვენ აქ დარჩითო. ამ დროს დევს დაპირდა პაწა ძმამ, რომ თექ აქედან გაგვიშვი შენ, რაც გინდა, იმას მოგიყვანთ სამი წლის შემდეგო. მართლაც დევმა ძმები გამოუშვა. წავიდნენ და მივიდნენ კიდევ ერთ სარაიაში. ნახეს, რომ ერთ ოთახზე ოქროს ბოყვია დადებული. მოგლიჯა პაწა ძმამ ეს ბოყვი, შევდა შიან. იქ აღმოჩნდა ოცი და, რომლებსაც ოქროს თმები ქონდენ. ეს დები გაატანა ძმებს სახლში და თან დააბარა, – ჩემი საცოლე გაათხოვეთ, მე თუ არ მუელი სამ წელიწადშიო. პაწა ძმამ წავიდა, მივიდა ერთ ადგილზე. აქ ჩხუბობდნენ სამი ძმა. ამ ძმებს დავა ქონდენ იმაზე, რომ ერთს ქონდა ხალიჩა, რომლითაც გაფრენა შეიძლებოდა. მეორეს ქონდა ქუდი, რომელიც იყო უჩინმაჩინის ქუდი, მესამე იყო სუფრა, რომელზედაც ყველაჲ თულლი (ნაირი) საჭმელი გაჩინდებოდა. ამ პაწა ძმამ უთხრა, რომ ამათ მე გაგინაწილებო. აიღო ერთი მარცვალი და გაიქნია კლდეში: – ამას ვინცხა მომიტანს, სამივეს მას მივცემო. სამმა ძმებმა რომ გეიქცენ მარცვლის მოსატანად, პატარა ძმამ დაჯდა ხალიჩაზე, დაიხურა ქუდი, წეიღო სუფრა და გაფრინდა. მივიდა ერთ ადგილზე, რომელზეც იყო მარტო ქალები, კაცები არ იყვნენ. ამ ქალებს ყავდათ ერთი უფროსი ქალი, რომელიც უყვარდა იმ დევს, რომელმაც ეს პაწაჲ ძმა გამოაგზავნა მის მოსაყვანად. აი, სწორედ ეს ქალი უნდოდა იმ დევს. ამ პატარა ძმამ მოვიდა ერთ მოხუც ნენესთან. მივიდა და უთხრა: – წადი, იმ უფროს ქალს უთხარი: – რა არის იმის მიზეზი, რომ აქ არ მოიპოვება არც ერთი კაციო. ამ ნენემ წავიდა. მივიდა და უთხრა: – ჩვენ ქვეყანაში რატომ არ მოიპოვება კაციო? უფროსმა ქალმა უთხრა: – რა შენი საქმეაო და მაგრად ცემა და გამოაგდო გარეთ. ამ დედაბერს პაწაი ძმაც ეახლა, მარა ვერ ხედავდენ, რადგან უჩინმაჩინის ქუდი ეხურა. ნენეი მივიდა და უთხრა პაწა ძმას, რომ შენს გულობაჲ მე გამროზგაო. ოთხი დღის შემდეგ ამ უფროსმა ქალმა დაიბარა ეს დედაბერი და კითხა, – რატომ შემეკითხე შენ, თუ რატომ არ არიან ჩვენთან კაცებიო. დედაბერმა უთხრა, – ისე, დამაინტერესა და შეგეკითხეო. უფროსმა ქალმა უთხრა:–იმიტომ არ არის ჩვენში კაცები, რომ მე ვიყავი ირემიო. მე მყავდა მამალი ირემი. დეგვედევნა მონადირე. ქმარი მომიკლეს. მე ღმერთს შევეხვეწე, ღმერთო, ადამიანათ გადამაქციეო და მე დედალი ირემი რომ ვიყავი, გავჩინდი ქალიო. დედაბერი წევიდა და მოახსენა პაწა ძმას. პაწა ძმამ გადაფრინდა სხვა ქვეყანაში. გააკეთებია დედალ-მამალი ირემი, რომლებსაც თითს დაადებდი და ათამაშდებოდნენ. ამის შემდეგ ის წამოვა იმ ქვეყანაში, სადაც ის ქალები იყვნენ. დაფრინდა უმფროს ქალის ეზოში. გამოიხედა ამ უფროსმა ქალმა და უთხრა: – რა არიან მაგინიო? პაწა ძმამ უთხრა: –შენი დარდი არა მაქვს. მე ამათ უნდა ვუყუროო. – რაშია საქმე, მითხარიო! რატომ უნდა უყუროო? პაწა ძმამ უთხრა, რომ მე ვიყავი მამალი ირემი, მყავდა მეუღლე, დაგვდევდნენ მონადირეები და გავიქეცითო. მე ღმერთს შევეხვეწე, ადამიანი გავჩენილიყავი და გავჩნდი კაციო. ჩემი მეუღლე სად წავიდა, აღარ ვიციო. ახლა მის მოსაყაჟირებლად ამათ ვუყურებო. ქალმა სიხარულის გამო კინაღამ გაგიჟდა, გადაეხვია მას და წაყვა მასთან. ორივე დაჯდენ ხალიჩაზე და გაფრინდენ. მივიდენ იმ დევთან. დევი იწვა მინდორზე. პაწა ძმამ უთხრა: – აგერ მოგიყვანე, შენ ვინც გიყვარდაო. ქალმა მას არ ჩაბარდა. დევმა გასკდა გულზე, რომ რატომ არ მომდევსო და მოკდა. პატარა ძმამ ეს ქალი წაიყვანა სახლში. იყო ქორწილი, მის საცოლეს ათხოვებდენ. მან უთხრა, – მე ქალი მევიყვანე და ჩემი საცოლე გაათხოვეთო. ოცივე ძმები დღესაც ცხოვრობენ კარგად.

ორი ძმა

ყო ორი ძმა. წავიდნენ ცოლების მოსაყვანად. მივიდნენ ჯვარედინ გზაზე. დიდმა ძმამ უთხრა, - შენ ზევით წადი და მე ქვევით წავალო. პაწა ძმამ უთხრა:- ამ წიფელაზე მივასოთ ყამაღ. შენ თუ მომასწარი აქ გამოვლა, მაშინ გამეიღე ეს ყამაღ. თუ წვერი დაჟანგული აქ, მაშინ მე მიჭირს და წამოდი ჩემს საძებნელადო. მე თუ მოგასწარი, მე წამოვალ შენ საძებნელადო. ამ ძმებს ყავდენ ხუთ-ხუთი ნადირი. ხუთი ერთს წაყვა, ხუთი – მეორეს. პატარა ძმამ მივიდა ერთ მოხუც ნენესთან. ნენეს უთხრა, - ძალიან მშია და მაჭამეო. ნენემ შემოიტანა ტალახი და დუუწყო ზელვა. ამ პატარა ძმამ უთხრა, – რა იჯებიო? ნენემ უთხრა, – ჩვენ წყალი არ გვაქვს და ტალახით ვზილავთ ჭადსო. იმიტომ არ გვაქვს, რომ გველეშაპი არის გადაკარებული წყალზე, მივიყვანთ ერთ გოგოს და მის შეჭმამდის რაცხას ავადენთ, ის იქნებაო. პაწა ძმამ უთხრა, – მომიტანე გუგუმები და მე მოგიტან წყალსო. ნენემ მოუტანა პატარა გუგუმები. – ეს რა არისო და გატყლაპა. მან წამოავლო ხელი ბოჭკებს და წავიდა წყალზე. მივიდა და ნახა, რომ ხელმწიფის გოგო უნდა შეჭამოს გველეშაპმა. გოგომ რომ დეინახა ეს კაცი, დაუძახა,– შენ ნუ მოხვალ, თვარამ შენც შეგჭამსო. პაწა ძმამ ცხრათავიან გველეშაპს მოაჭრა ერთი თავი – გამეიქნია ცეცხლი. მოჭრა მეორე თავი, გამეიქნია ცხელი წყალი და ასე დააჭრა ცხრა თავი. მან ჯიბეში ჩაიწყო გველეშაპის კბილები. წაიყვანა გოგო ხელმწიფესთან. ხელმწიფეს გაუხარდა და ამ პატარა ძმას მისცა ცოლად.

გავიდა ხანი. პატარა ძმამ წავიდა სანადიროდ, წაიყვანა თავისი ნადირებიც. გადავიდა იმ ხელმწიფის საზღვარ გარეთ. ხელმწიფეს კი დაბარებული ქონდა, რომ ჩემს საზღვარ გარეთ არ გახვიდეო.

პაწა ძმამ დაიჭირა კურდღელი, შეწვა და დაუწყო ჭამა. ამ დროს რაღაცამ დაიჭყივლა ნაძვის წვერში. ეს იყო ჯაზი ნენეღ. მან ჩავიდა ნაძვის ბოლოში, დაჯდა ერთ ტანზე და ბიჭს დაუძახა: – ეს ჩემი თმა გადაუგდე მაგ ოხერ ნადირებს და აღარ შემჭამენო. ბიჭმა გადაუგდო ნენესი თმა თავის ნადირებს და ისინი გაქვავდნენ. ამ ნაძვის ძირში იმდენი ქვა იყო, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. ამ ქვებს მოემატა ქვად ქცეული ნადირები. დიდმა ძმამ მივიდა იმ წიფელთან, რომელზეც ყამაღ იყო მისობილი. ნახა, რომ შუამდისინი დაჯანგული იყო. წავიდა ამ დიდმა ძმამ პატარა ძმის საძებნელად. მივიდა მისი ძმის სიმამრის სახლში. პაწა ძმის ცოლის დიდმა დამ დაიძახა, რომ სიძე მოვიდაო. ამ ძმასაც ხომ ყავდა ნადირები. მერე კიდევ ერთმანეთს გავდენ. დაღამდა. ამ ძმამ დაწვა მისი პატარა ძმის ცოლთან. მან არ იცის, რომ ეს მისი რძალია. ამ ძმამ თავთან დაიდვა დანა, გვერდით თოფი, შუაში კი ხმალი. ქალს ახლოსაც არ წიეკარა. მეორე დღეს ამ დიდმა ძმამაც წევიდა სანადიროდ. ამ ხელმწიფის საზღვრის ყარაულებმა გაიქცენ და უფროსმა ძმამ გადავიდა. მივიდა იმ ადგილზე, სადაც ის დედაბერი იყო, რომელმაც მისი ძმა გააქვავა. დედაბერმა უთხრა: – ეს ჩემი თმა გადაუგდე შენს ნადირებს და აღარ შემჭამენო. გამოართვა თმა და ჩაიდვა ჯიბეში. ჯაზ დედაბერს უთხრა: – ჩამოდი, აღარ შეგჭამენო. ჩამოვიდა დედაბერი და ძმამ დეიჭირა. ჯაზმა ნენემ უთხრა: – ოღონდ გამიშვი, შენ ძმას გაგიცოცხლებო. შეუბერა ამ ქვებს და გაცოცხლდენ ყველაფერი, მისი ძმაც, ნადირებიც და ყველაღ, რაც მან გააქვავა. დედაბერი ნადირებს შეაჭამეს და წევიდნენ. მივიდნენ იქ, სადაც პატარა ძმას ყავდა ცოლი. უმფოს ძმას მისცეს უმფოსი და, პატარამ წამეიყვანა პატარა და დღესაც ცხოვრობენ ტკბილად.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ტარიელაძე მიხეილ ნურის ძე.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ვანი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ვანი.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ლათი და კაცი

Იყო ერთი კაცი. ამ კაცმა ტყეში წევიდა შიშაზე. იყო ძალიან დიდი თოვლი. ერთი ხის ძირში ეს კაცი ჩავარდა. ამ ადგილზე მეგომ იყო დათვის ფოქვი. დათვი ამ კაცს არ ერჩოდა. ისე, კაცს ძალიან შიეშინდა. ამ კაცს დათვმა ტოტი ალოკვია და ისე აცხოვრა ორმოც დღეს. გაზაფხული რომ მოიდა, დათვმა კაცი სახლში გამოუშვა და თან დააბარა, რომ არავისთან თქვა ჩემს შესახებო. კაცი ჩევიდა სოფელში და ხალხს უთხრა, რომ დათვის ფოქვი ვიცი და წევდეთ და მოვკლათო. ოცმა კაცმა დეირაზმა დათვის მოსაკლავათ. მივდენ დათვის ფოქვთან და დუუძახეს: გამოდი გარეთო. დათვმა მიხტა, რაშიც იყო საქმე. გამუარდა დათვი ფოქვიდან, მიიხედა, მოიხედა და იმწამსვე იცნო ის კაცი, რომელსაც ის უარებოდა ზამთარში. დათვმა მივარდა ამ კაცთან, მიღერღა-მოღერღა და გეიქცა. ხალხმა დათვს თოფები დააყარეს, მარა ბედზე არც ერთი ტყვია არ მოხტა. ღმერთმა მათი ტყვია დათვს არ მუახვედრა. ასეა, დათვმა პატივი სცა კაცს და კაცმა არ დააფასა. მე რომ ვყოფილიყავ, – დასძინა მთხრობელმა,– ერთ ყოჩს უუტანდი იმ დათვსო.

ხასან ჯათამაძე

„Ეარშანდელი ჩემი მამა, დღეს ჩემი შვილი არის, ჩემს ძუძუზე გამძღარი დედაჩემის ქმარი არის“, – ახსნა ასეთია:

ერთი კაცი იყო პატიმარი. მისჯილი აქვს დახრეტა. ორმოცი დღის განმავლობაში არაფერი არ უნდა ჭამოს, ექიმები ხშირად გასინჯავენ, ხომ არაფერი აქვს ნაჭამიო. შაქარი და რძე რომ ჭამოს, ექიმები ვერაფერს გაუგებენ. ამ კაცს შვილი ყავდა გათხოვებული. ამ გოგომ შეიტყო, რომ მამაჩემი უნდა დახრიტონ და მას საჭმელს არ აძლევენო. მივიდა ციხეში. მამას უთხრა, რომ მე მოგიარო. გოგომ გამეიღო კედელზე ქვა და მამას იქიდან ყოველ დღეს აწვებდა ძუძუს. ორმოცი დღეც შესრულდა, ექიმებმა ვერაფერი ვერ გაიგეს. კაცი წეიყვანეს სასამართლოზე. სასამართლოზე გამოვიდა გოგომ და თქვა: ერთ ასახსნელს ვიტყვი და თუ ახსენით, რაც გინდათ, ის უყავით ჩემს მამასო. თუ ვერ ახსნით, გაათავისუფლეთო. გოგომ უთხრა, წეღან რომ ვთქვით, ის.

შარშანდელი ჩემი მამა დღეს ჩემი შვილი არის, ჩემს ძუძუზე გამძღარი დედაჩემის ქმარი არის. სასამართლოზე ვერავინ ვერ ახსნა, რომ ჩემს მამას კედლიდან ორმოც დღეს ვაწოვე ძუძუ. ესე იგი ძუძუ რომ ვაწოვე, მე შვილად მხტება, დედაჩემის ქმარიც ხომ არისო.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ქათამაძე დავით ახმედის ძე.
ასაკი: 21 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ქათამაძე დავით ახმედის ძე, დაბადებული 1938 წ. საშუალო განათლების, ჭვანის მცხოვრები, ნამყოფია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები, რომლებიც მოსმენილი აქვს მამისგან.

ერთ ხელმწიფეს ყავდა ერთი ლამაზი გოგო. მან თქვა, რომ, ჩემს გოგოს მივცემ იმას, ვინც ერთ თვეს ტყვილს მელაპარაკებაო. ეს ამბავი გეიგო ერთმა კინტომ და ხელმწიფესთან მივიდა. უთხრა:– მე გელაპარაკები ტყვილსო. ამ კინტომ დეიწყო ტყვილის ლაპარაკი. ერთ მინდორზე იყო ერთი დიდი კაკლის ხე, მასზე იჯდა იმდენი ჩიტი, რომ ხე წაქცევაზე იყო. მოვიტანე დიდი ბადე და ამ ხეს ჩამოვაცვი. დავამწყვდიე ყველაჲ. ბადის ერთი ადგილიდან გამოძრა ერთი ჩიტი, „ფრ“ და გაფრინდა. გამოძრა მეორე ჩიტი „ფრ“ გაფრინდა. ასე ილაპარაკა იმ კინტომ, სანამ დრო არ შესრულდებოდა.

კატა და ვეფხვი

Ერთმა კატამ წევდა ტყეში, შეხდა ვეფხვი. ვეფხვმა უთხრა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვგავართ, მაგრამ ასე პატარა რატომ ხარო? კატამ უთხრა, რომ ჩემი უფროსი ადამიანიაო. ვეფხვმა უთხრა, – მაჩვენე, რაფერია ადამიანი, მე მას ვერ ვიცნობო. კატა დაეთანხმა და წამოვიდა სახლში, რათა აჩვენოს ადამიანი. გზაში შეხვდათ ერთი კამეჩი. ვეფხვმა უთხრა, – ეს ხომ არ არის ადამიანიო? კატამ უთხრა, – ეს არ არის ადამიანი. მაგას უკან ჯოხით რომ მოყვება, ის არის ადამიანიო. ვეფხვი ეტყვის ამ კაცს, რომ ვიჭიდაოთო. ეს კაცი ეტყვის, რომ, მე სამუშაო ტანსაცმელი სახლში დამჩა, წავალ, მევიტან და მერე ვიჭიდაოთო, შენ აქედან არსად წახვიდეო. ვეფხვმა უთხრა, – შენ არ მოხვალო. კაცი ეტყვის, რომ შენ არ დამიცდი მე, მოდი და, ხეზე მიგაბამო. კაცმა ხეზე მიაბა ვეფხვი. შემდეგ გამოსჭრა მაგარი ჯოხი და დაუწყო ცემა ვეფხვს. ვეფხვი ღრიალებს. ამ დროს იქვე მყოფი კატა ეტყვის ვეფხვს, რომ ადამიანი ასეთია, მას ყველაფრის გაკეთება შეუძლია. ასეთი ადამიანის ხელში მე ყოველთვის მეშინია და სწორედ ამიტომ ვარ პატარაო.

გლეხი და ხელმწიფე

ყო ერთი გლეხი კაცი. მას ყავდა ლამაზი ქალიშვილი. ეს გოგო ხელმწიფეს მოაწონდა და გადაწყვიტა მისი ხელში ჩაგდება. ხელმწიფემ დეიბარა ეს გლეხი და უთხრა, – ისეთი ცხვარი მომიყვანე, – რომ ფერი არ ქონდესო. გლეხი დაღონებული მოვიდა სახლში. გოგომ უთხრა, – მამავ, რატომ ხარ ასე მოწყენილიო? გლეხმა უთხრა, რომ ხელმწიფემ დამავალა იმფერი ცხვარის მოყვანა, რომელსაც ფერი არ ექნებაო. გოგომ უთხრა, რომ წადი ხელმწიფესთან და უთხარი: – მე ცხვარი ვნახე, მაგრამ არ მოიყვანება არც ორშაბათს, არც სამშაბათს, არც ოთხშაბათს, არც ხუთშაბათს, პარასკევს, არც შაბათს და არც კვირასო. გამომინახე ისეთი დღე, რომელიც ამ შვიდი დღის გარეშე იქნება, მევყვან ცხვარსო. ხელმწიმფემ უთხრა, რომ მაგი ხერხი შენ ვინ გასწავლაო. ის ჩემზე უფრო თავიანი ყოფილაო. გლეხი ეუბნება, რომ ეს მასწავლა ჩემმა შვილმაო. მაშინ ხელმწიფემ უთხრა, რომ მე ვთმობ ჩემს ტახტს და მას ვნიშნავ ხელმწიფედო.

სამი ამხანაგი

ყო სამი ამხანაგი. ერთს ქონდა ისეთი ხალი, რომელზეც დაჯდებოდი და წაგიყვანდა იქ, სადაც გინდოდა. მეორეს ქონდა სარკე, მესამეს კი – ვაშლი. სარკიანმა კაცმა ჩეიხედა სარკეში და დაინახა, რომ ერთ ხელმწიფეს გოგო უკვდებოდა. ხალის პატრონმა თქვა, – თქვენ თუ რამეს უშველით იმ გოგოს, მე მასთან მიგიყვანო. ვაშლის პატრონმა თქვა, – ოღონდ იქ მიმიყვანეთ და მორჩენა ჩემზე იყოსო. დააჯდენ ხალზე და მივიდნენ იმ ხელმწიფის სახლთან. ხელმწიფეს მოახსენეს მოსამსახურეებმა, რომ თქვენთან მოსული არიან კაცები და უნდანან თქვენი გოგო მოარჩინონო. ხელმწიფეს გაუხარდა. შამოაყვანია ისინი. ვაშლის პატრონმა შეაჭამა გოგოს ვაშლი და მოარჩინა. ხელმწიფემ თქვა: – ამ გოგოს სამნივეს რომ ვერ მოგცემთ, თქვენ მორიგდით და ერთმა წაიყვანეთო. სარკის პატრონმა თქვა: – გოგო მე მეკუთვნის, რადგანაც პირველად მე დევნახე სარკეში, რომ ის კდებოდაო. ხალიჩის პატრონმა თქვა: – გოგო მე მეკუთვნის. ჩემი ხალიჩით რომ არ მომეყვანეთ, როგორ მოხვიდოდითო. ვაშლის პატრონმა თქვა: – გოგო მე მეკუთვნის, მე რომ არ მომერჩინა, ხომ ვერ მორჩებოდაო. ისინი ვერ მორიგდენ და დაინიშნა სასამართლო. სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოიტანა: – სარკის პატრონს – სარკე დარჩა, ხალის პატრონს – ხალი. ვაშლის პატრონს არაფერი აღარ აქვს, ის შეაჭამა გოგოს. ამიტომ გოგო ვაშლის პატრონს ეკუთვნისო.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ტაკიძე ნიკოლოზ რეჯების ძე.
ასაკი: 18 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ტაკიძე ნიკოლოზ რეჯების ძე, დაბადებული 1941 წ. სოფ. ჭვანაში. მოსწავლე, მის რეპერტუარში შედის ზღაპრები მოსმენილი აქვს ხალხისგან.

სამი შვილი

ყო ერთი ღარიბი კაცი. ყავდა სამი შვილი. დააბარა შვილებს: – რომ მოვკვდები, თითოეულმა თითო ღამეს მიყარაულეთ საფლავზეო. პირველ ღამეს უფროს უნდა ეყარავლა, მეორე ღამეს – შუათანას, მესამე ღამეს – პაწა ძმას. მართლაც, მოკდა მოხუცი. უფროს ძმამ თქვა: – რაღათ უნდა მამას ყარაულობა, ის მოკდა, ხომ ვეღარ გვნახავსო. არც შუათანამ წავიდა. პაწა ძმამ ადგა და წავიდა. უცადა საფლავზე და ამოვიდა მისი მამა. მას უთხრა, – რატომ არ მოვიდა უფროსი შვილიო? მან უთხრა, – არ წამოვიდა, ის მოკდა, მას რათ უნდა ყარაულობა, ასე თქვაო. მამამ უთხრა შვილს: – შენ რომ მოხველი, მე გაჩუქვებ ერთ მათრახს. ეს შენ გამოგადგება გაჭირვების დროსო. შვილი დაბრუნდა სახლში. მეორე ღამეს შვათანა ძმამ არ წევდა და წევდა პაწა ძმამ. მეორე ღამეს მამამ აჩუქვა მათრახი. წამოვიდა სახლში. მესამე დღეს მას უწევდა წასვლა. წავიდა, როცა მივიდა, ამოვიდა მამა სასაფლავოდან. დაიწყეს ლაპარიკი, რის შემდეგ მამამ მესამეჯერ აჩუქვა მათრახი. დაღონებული შვილი წამოვიდა სახლში. რამოდენიმე დღის შემდეგ მეფემ გამოაცხადა, რომ მყავს მშვენიერი გოგო, რომელიც იმყოფება მესამე სართულზე. ერთ დღეს ცხენით უნდა ახვიდეთ პირველ სართულზე, მეორე დღეს, მეორე სართულზე, ხოლო მესამე დღეს – მესამე სართულზე და ჩემს გოგოს ბეჭედი უნდა მოაძრო და მომიტანოთო. ვინც ამას შეასრულებს, ჩემი გოგოც იმისთვის მიმიცემიაო. ეს ამბავი გაიგეს სამმა ძმამ, გაყიდეს მთელი ქონება და იყიდეს ცხენები.

უფროსი და შვათანაი ძმა წევლენ ხელმწიფესთან ბედის საძიებლად. პატარა ძმა არ წაიყვანეს. მან იფიქრა, რომ მამაჩემმა მათრახი რომ მომცა, ის რათ გამომადგებაო. გამოიღო მათრახი და გაუჩნდა ცხენი, ტანისამოსი და იარაღი. ბიჭმა დააჯდა ცხენზე და დაედევნა ძმებს. ძმებს გზაში დიეწია და გაუსწრო. ცხენი პირველ სართულზე შეახტუმლა და დაბრუნდა უკან. მისი ძმები გზაში შეხვდენ და მათრახი გადაარტყა მათ. პატარა ძმა მოვიდა სახლში, გამოიცვალა ურუბა, მათრახი დამალა და დაიწყო ნაცრის ჩხრეკა. მოვიდნენ ძმები. ისინი იყვნენ ძალიან დაღონებული. იმიტომ, რომ ვიღაცამ მიიღო პირველობა და შეხტა პირველ სართულზეო. ძმებმა თქვეს, აგრეთვე, რომ ერთმა ცხენოსანმა მათრახი გადაგვკრაო. პატარა ძმამ უთხრა, რომ ნეტავ, მე ხომ არ ვიქნებოდიო. შენ როგორ იქნებოდიო და დაუწყეს მას ცემა. მეორე დღესაც წავიდენ და უფროსი ძმები კვლავ დამარცხდენ. პატარა ძმამ კიდევ ისე გააკეთა და გადახტა მეორე სართულზე და დაბრუნდა სახლში. დაიწყო ისევ ნაცრის ჩხრეკა. მესამე დღესაც წავიდნენ უფროსი

ძმები. პატარა ძმამ კიდევ ამეიღო მათრახი, გაჩინდა ცხენი, დაჯდა ზედან და გააქროლა. პირველი სართულიდან პირდაპირ გადახტა მესამე სართულზე. გოგოს გამოართვა ბეჭედი, წამეიცვა თითზე და მხიარული დაბრუნდა სახლში. ისევ დაიწყო ნაცრის ჩხრეკა. მეფე უცდიდა, რომ სიძეი გამოჩენილიყო, მაგრამ არ ჩნდებოდა. ერთ დღეს მეფემ თავისი ჯარით წავიდა სოფლებში, რათა ენახა მისი სიძეი. ბევრი ეძება, მაგრამ ვერ ნახა. ბოლოს მივიდა ერთ სახლში და დაუძახა,– რამდენი ძმა ხართო? გამოვიდნენ ორი ძმა. მათ უთხრეს, – სამი ძმა ვართ, მარა ერთი ბლაყვია, დილა-საღამ ნაცარს ქექავს და ჩვენ მას ძმათ არ ვთლითო. ხელმწიფემ ამ ძმებს გუუსინჯა ხელები, მაგრამ ბეჭედი არ აღმოაჩნდა. გამოაყვანია მესამე ძმაც, რომელსაც ხელის თითი შეხვეული ქონდა. მეფემ შეეკითხა: რატომ გაქვს ხელი შეხვეულიო? მან უთხრა, ნაცრის ქექვაში გავიჭარიო. მეფემ უბრძანა, შეხვეული შეეხსნა. მართლაც შეიხსნა და გამოჩნდა ოქროს ბეჭედი, რომელიც იყო მისი გოგოსი. მეფეს ეს ამბავი არ მოაწონდა, მაგრამ რა ექნა, პირობა პირობა იყო. წაიყვანა სახლში ეს ბიჭი. მას ცალკე გაუკეთა ერთი ფაცხა და შიგ ცხოვრება დაიწყო. ბიჭს გოგო უზიდევდა საჭმელს და იყო უსაქმოთ. ერთ დღეს მეფეს გამოუცხადეს ბრძოლა სხვა სახელმწიფომ. ბრძოლის დაწყებამდე ეს ბიჭი იჯდა ფაცხაში უსაქმოთ. ბრძოლის დროს გამოდიოდა გარეთ და თავისი ცხენით ბრძოლობდა. ის ყოველთვის ბრძოლაში დიდ გმირობას იჩენდა, მაგრამ ვერავინ ვერ ამჩნევდა მას. ამ ბრძოლის დროს ხელმწიფემ გაიმარჯვა. გადის დრო და სხვა სახელმწიფო დაუწყებს ომს. ამ ომშიც ეს ბიჭი ღებულობს მონაწილეობას და გამარჯვებული ბრუნდება შინ. კიდევ მესამეთ გამოუცხადებენ ამ ხელმწიფეს ომს. ჩამოვა მეფის შვილი და ეტყვის მის ქმარს, ესე იგი ამ ბიჭს, რომ ჩემს მამას კიდევ აქვს ომიო. ეს ბიჭი ეტყვის: მე რა მენაღვლება, თუგინდ გაიმარჯვოს, თუგინდა არაო. ჩემთვის რომ ეკითხა, მაშინ აქ არ გამაჩერებდა და სახლში ამიყვანდაო. როცა გოგო დაღონებული დაბრუნდება შინ, ეს ბიჭი გამოიღებს მათრახს, გაუჩნდება ცხენი, დაჯდება და წავა ომში. დაამარცხებს ჯარს. როცა უკან დაბრუნდება, თავის ცხენს გაუშვებს საბალახოზე და თვითონ დაწვება ფაცხაში შეიარაღებული, გოგო გახარებული მიდის თავის ქმართან, მას ცხენი დაინახავს და წავა ქალისკენ შესაჭმელად, მაგრამ ბიჭი დაუყვირებს: – ეგ ჩემი ცოლია, არ შეჭამოვო. შეშინებული გოგო როცა შევა ფაცხაში, ძალიან გაუკვირდება, როცა დაინახავს კარგად ჩაცმულ-დახურვილ ქმარს, რომელიც იყო შეიარაღებული. გოგო ეტყვის, – შენ ასე როგორ გამშვენიერდიო? ბიჭი პასუხს არ გასცემს, რადგან ძალიან დაღალული და დამშეულია. რამოდენიმე დღის შემდეგ მეფე იხტის კამპანიას, რომ მან გაიმარჯვა სხვა სახელმწიფოებთან; ეძებს იმას, ვინც გახდა მიზეზი მისი გამარჯვებებისა. შეიყარა ხალხი. ამ სიძეს არ მიიყვანს ხალხში, რადგან არ უნდა ხალხს დაანახვოს „უვარგისი“ სიძეი. გოგო ეტყვის მამას: – თუ არ მიიყვან ჩემს ქმარს ხალხთან, მე თავს მოვიკლავო. მეფე იძულებულია, აიყვანოს. სიძეს დააჯენს ხალხში. დაიწყობენ ღვინის სმას. სიძესაც გადაუწოდებენ ღვინით სავსე ჭიქას. სიძეი დაიწყებს სადღეგრძელოების წარმოთქმას: პირველ ბრძოლებში მე გავიმარჯვე, მეორე ბრძოლაშიც მე გავიმარჯვე, ასევე – მესამე ბრძოლაშიო, გადაიძრობს ტანზე და გამოჩნდება აბჯარასხმული. ხალხს გაუკვირდება. მეფე შერცხვება, რომ ასეთი ვაჟკაცი ყოფილა და მე კი ფაცხაში მყავდაო. ხელმწიფემ დატოვა თავისი სამსახური, ხელმწიფედ დანიშნა მისი სიძეი და მან კი გახდა მისი მონა-მორჩილი.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ჭაღალიძე ლევან ისმაილის ძე.
ასაკი: 18 წლის
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ჭვანა.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

დაბადებული 1941 წ. სოფ. ჭვანაში, მე-10 კლასის მოსწავლე.
იცის ზღაპრები, რომლებიც მოსმენილი აქვს ბაბუასგან.

ხელმწიფის გოგო და მოსამსახურე ბიჭი

Ყო ერთი ხელმწიფე. ყავდა ერთი გოგო და ერთი მოსამსახურე ბიჭი. ამ ბიჭსა და გოგოს ერთმანეთი შეუყვარდენ. ეს რომ გეიგო ხელმწიფემ, გოგო და ვაჟი ერთმანეთს დაა-შორა. ბიჭმა კედელზე წააწერა: ვისაც ფული აქვს, ის საქმეს გააკეთებს; ვისაც არა აქვს ფული, ის ვერაფერს გააკეთებს, მუდამ დაჩაგრული იქნებაო. ხელმწიფემ წაიკითხა და მიხტა, რომ ეს იყო მისი მოსამსახურის დაწერილი. დეიბარა და უთხრა: – მე მოგცემ ფულს, რამდენიც გინდა. დავმალავ ჩემს გოგოს და შენ ნახეო. ბიჭი დაეთანხმება. ხელმწიფე მას მისცემს ვადას. უნდა ნახოს სამ წელსა, სამ თვესა და სამ საათის განმავლობაში.

ხელმწიფემ ზღვის შუა ნაწილში ააშენა კოშკი და შით დაამწყდია მისი გოგო. მცველად დაუყენა ჯარი.

ამ ბიჭმა ბევრი იარა თუ ცოტაჲ იარა, მივიდა ერთ ადგილზე, მას შეხვდა ერთი დედაბერი. დედაბერმა უთხრა: სად მიხვალო? ბიჭმა უთხრა, რომ ხელმწიფემ გოგო დამალა და იმას ვეძებო. დედაბერმა უთხრა, რომ იმ გოგოს მე გაშოვნიებო. დედაბერი წეიყვანს მის სახლში, დაუძახებს ხალხს და ეტყვის: – ვინც გააკეთებს ისეთ გარმონს, რომელიც ჯერ არავის უნახავს თვალით, რომ ეტყვი შენ, დუუკრავს, რაც გინდა, იმას და ამასთან ერთად უნდა გაუკეთოთ ისეთი ყუთი, რომ შიან კაცმა იცხოვროსო, მაშინ გამკეთებელს ფულს მივცემო. მართლაც გააკეთებენ ამფერ გარმონს, მიიტანებენ იმ ხელმწიფის ქვეყანაში გასაყიდად. ერთ კვირა დღეს ეს დედაბერი ბაზარზე გაიტანს ამ გარმონს, გამეიარს ხელმწიფის ქალი და მოაწონდება. დედაბერი ეტყვის, ამ გარმონს რასაც ეტყვის, იმას დაუკრავს, ოღონდ ღამით შენს გოგოს ოთახში უნდა იყოსო. ქალი დათანხმდება, იყიდის ამ გარმონს და წეიღებს სახლში. ხელმწიფეს ქალი გარმონს ეტყვის, დაუ-კარიო და დაუკრავს ყველაფერს, შემდეგ საღამობით მოაქვან კოშკში და გოგოსთან ტოვებენ, დღისით კვლავ გამეიტანებენ. ერთ ღამეს ბიჭი გამოვიდა გარმონიდან და მძინარე გოგოს მისი ხელნაწერი მიაჩეჩა. როცა გოგომ გამეიღვიძა, იცნო ხელნაწერი. მეორე ღამეს გოგოს გამოუჩინ-დება. ასე ყოველ ღამეს. დროც შესრულდება და ხელმწიფე გოგოს მოიყვანს სახლში. გოგოს შეე-ძინება შვილი. ხელმწიფე შეყრის ხალხს, რომ გოგო უნდა მოკლას. გარმონს ეტყვიან,– დუუკარი სამწუხაროვო. გარმონი დუუკრავს სალხინოს. ხელმწიფე გაბრაზდება. ამ დროს გარმონიდან გამოვა ვაჟი. ხელმწიფე მიხვდება ყველაფერს. ექიმები ახლად შობილ ბავშს გასინჯავენ და აღ-მოჩნდება სამი თვისა. ხელმწიფე ვაჟს მისცემს თავის თანამდებობას, ყველა მის ქონებას.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ბერიძე შოთა ახმედის ძე.
ასაკი: 18 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ახალდაბა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ახალდაბა.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ბერიძე შოთა ახმედის ძე, დაბადებული 1941 წ. სოფ. ახალდაბაში. საშუალო განათლების, წამყოფია აჭარის თითქმის ყველა კუთხეში, თბილისში, ახალციხეში, ქუთაისში და სხვ.
მის რეპერტუარში შედის ზღაპრები და ლექსები, რომელიც მოუსმენია ხალხისაგან.

სიძლერა გოგოაზე

ჩოგია ვარ მე საწყალი,
დავბერდი და არ მყავს ქალი,
თეთრი ჩოხა შევიკერე,
შემოვირტყი ზედ ქამარი.
ქუთაისში რომ ჩავედი,
მომეწონა ერთი ქალი,
ძმაბიჭებსა დავუძახე,
ბიჭო, გადაავლეთ თვალი.
მომიწონეს ძმაბიჭებმა
– კარგი არის, ბიჭო, ქალი,
ადე, ძმაო, წაიყვანე,
თუ გივარგა სახლი-კარი.
– სახლი-კარი, ჩემო ძმებო,
მიწაც ქე მაქ ერთი ქცევა,
სახლი ისეთი მიდგია,
წიხლი რომ კრა, წაიქცევა.
ოთხფეხთაგან ჩემს ეზოში
ჩხავის მხოლოდ ერთი კატა.
შუა ეზოში რომ შევალ,
მივაძახებ აცხა, აცხას,
ბიჭო, დავიღუპე კაცი,
ისიც გამეპარა საცხა.

. . .

ღვისა პირას ვიჯექი,
თვალებცრემლიანიო,
დედაჩემი მეუბნება,
რაზე შეიყვარევიო.
გზა-შარაში დავიარები,
როგორც მშიერი მგელიო.
სასიდედროვ, გამატანე,
ცოდვაში ნუ ვარდებიო.

შაირები

ბიჭო, შენმა სიყვარულმა
მე არ მომცა რაათი (მოსვენება)
მარცხენაჲ კლავი მიჩვენე,
დამანახვიე საათი.

...

მატარებელში ჩავჯექი,
მან დაიწყო დაძრობა,
ბიჭო, ერთი ის მაღირსე
შენ ლოგინში დაწოლა.

...
ბიჭო, შენმა სიყვარულმა,
გამიჩინა თავში რეტა,
ყველაფერზე გეფიცები,
არვინ მიყვარს შენის მეტა.

....
ნეტავი, გოგოვ, მე და შენ
შორი გზა მოგვცა სავალი,
გვატარა, გვალაპარაკა
ჩვენი თავგადასავალი.

...
ბიჭო, აქეთ მეიხედე,
მომაბრწყინე თვალები.
გულზე ცეცხლი მომიკიდე,
ნუთუ არ გებრალები.

....
ნეტავ, ის დღე თენდებოდეს,
შენი ჩრდილი მე მხვდებოდეს,
შორით გნახო მომავალი,
ის გზა ჩემთვის გრძელდებოდეს.

ორშაბათს გნახე

ორშაბათს გნახე და შემიყვარდი,
სამშაბათს გულმა დამიწყო ძგერა,
ოთხშაბათს ტრფობა გამოგიცხადე,
ხუთშაბათს შენგან ავიღე ნება.
პარასკევს მშობლებს შევატყობიე,
შაბათს იქნება ჩვენი ნიშნობა,
კვირას ორივე ჯვარს გადავიწერთ
და მერე ვნახოთ ბედნიერება.

შენ მეძლევი, მე კი გაცრუე

შემომხედე, შენი ტრფობა უმალ გულში ჩამეკერა.
გადავწყვიტე, შენთვის მოვკდე, შენ ხარ ჩემი ბედისწერა.
რაც დრო გადის, მე წამება მემატება, ტანჯვა, დარდი.
არ მგონია, სხვა ვიფიქრო, გულში ისე ჩამივარდი.
ერთმანეთის ნუგეში ვართ, შენ – ბულბული, მე კი – ვარდი,
ბევრი ვძებნე, მაგრამ გულმა შენზე კარგი ვერვინ ნახა.
დამერწმუნე, რასაც მე ვწერ, სიყვარულმა მიკარნახა.

ერთ ქორწილში

Ერთ ქორწილში, ქეიფის დროს
მომეწონა ქალი,
დრო ვიხელთე, ოსტატურად
ჩავუკარი თვალი.
თავმომწონედ ულვაშებზე
ხელი გადავისვი,
მაგრამ აზრი გამიხუნდა,
ქალი იყო რუსი.
აქ შეფერხდა სულ მცირე ხნით
ჩემი სიხარული,
როგორ ვუთხრა, ან რა ვუთხრა,
შემიწუხდა გული.
მაშინ, როცა საცეკვაოდ
აიშალა ყველა,
მე იმ ქალთან გადავჩოჩდი,
ჩავახველე ნელა.
ვფიქრობ, ეხლა რომ დავიწყო,
ან რა ვუთხრა, ნეტავ.
სიტყვა სიტყვას ვერ მივაბი,
კრიჭა ჩამეკეტა.

Вслух сказал: я тебе
Любить очень давно,
ехла будет мой жена
Без тебя вер гавдлу.
Вазми, метхи, чемс софелши
Я сам из хети.
ехла мхолод Пацелаю
весиа асети.
калма ертханс ки миуура,
ваувида фери,
мере митхра, вы грузини
дикари да звери.
амис шемдег ки гамисхлта,
даврчи хахамшрали,
сатофесац ар менахос
ачи русис калы.
картвелеби цота арис?
риствис минда русы?
сикварулс вер агрдноббинеб
тху хели ар усви.

. . .

Ак, цванаши, ис сахлиа,
ис цишкари, баги, бахча,
шенс фанджрис цин тутма иква,
ис хе исев тутад дарча.
дирс ик мделу мделод дарча,
чрдили, грили сиу дзели,

мхолод шен ки арсад чанхар
чеми дамтанджвели.
агар чанхар да ме вигрдзен
облоба да симартове,
гахсовдес, ром гулис фскерши
грма нагвели дамитове.

бас-уно

Гули джебирс даеджаха,
сикварулит чанаферфли,
багэ тирилс шеечвиа
танджвит дамцвар данафлэти,

маграм маинц мовале вар,
дагарцмуну, рац ар мкера,
ром оптимизмс шевуертоу
чеми норчи гулидгера.

მოსწავლეობას შესტრფოდა
ჩემი ლექსი და კალამი,
მინდოდა, ძირს არ დამეშვა
ზეატყორცნილი ალამი.
სიყვარულს ეწირებოდა
გაფურჩქნილი ცხოვრება,
სიყვარულს ეწირებოდა
ჩემი გრძნობა, გონება.
გული დაიწვა, ვერ ფეთქავს,
შენ კი არ გჯერა ამისა,
„გათავდეს ესე ამბავი
ვითა სიზმარი ღამისა“.

დაჰქროლოს გრილმა ნიავმა,
ზეციდან გადმოქროლილმა,
დაე, დამწვარი ეს გული
აყვავდეს, როგორც ყვავილმა.
ცხოვრების წინსვლის შედევრი
სწავლა და სიყვარულია,
რაც შენ არ გჯერა გარკვევით,
რაც შენთვის დაფარულია.
სიყვარულს დაუდგენია
სალხენიც, სამწუხაროცა;
ერთი თუ წავა, სხვა მოვა
„ტურფასა საბაღნაროსა“.

...
მაღლა სერზე წყარო მოდის,
არ მოშალო, იდინოს.
კოხტა გოგოს მხარზე ძინავს,
არ გააღვიძო, იძინოს.
...
მაღლა სერზე სარაია,
რომ ავიდე, რა კაია.
შიგ გოგვები ფუნდრუკობენ,
საკოცნელად ხომ კაია.
...
გოგო მიყვარს ეშხიანი,
შავთვალწარბა, შავთმიანი,
თვალებცქრიალა, მაღალი,
ძალიან ლამაზსახიანი.
...
იცოცხლე და იდღეგრძელე,
იყავი გახარებული,
არასოდეს არ დაჩაგრო
შენი შეყვარებული.
...
გოგოვ, წითელკაბიანო,
ნემსი დაგკიდებიაო,
მე თუ გძულვარ და სხვა გიყვარს,
ცეცხლი წაგკიდებიაო.

...
გოგო, ვარდის ფერი მიყვარს,
სხვა ფერი არ მეკარება,
სანამ ცოცხალი ვიქნები,
შენი თავი მეყვარება.
...
გოგონია, შენმა დედამ
აიღოს და ქვა დამცესო,
ისეთ ხასიათზე დადგეს,
შენი თავი მე მომცესო.
...
ახლოს მოდი, გენაცვალე,
მენატრება თქვენი ცქერა,
თქვენს თავს რატომ არ დამითმობს
დალოცვილი თქვენი დედა.
...
უზარმაზარ ცის სივრცეში
ცისარტყელა იზლაზნება.
ეს ოხერი ჩემი გული,
გოგოვ, შენთვის იტანჯება.
...
გოგოვ, შენმა სიყვარულმა
გამიჩინა გენია.
რა ვქნა, როგორ არ გიყურო,
გიყურო და მრცხვენია.

...
ოხ, სად ხარ, ჩემო კარგო,
სად, ან რომელ მხარესა,
უშენობით ვიტანჯები,
ცრემლი მომდის თვალებსა,
მოგიწოდებ სიკარგისკენ
თქვენ, კეთილო მეგობარო,
თქვენ უკეთეს მე ვერ ვნახავ,
ქვეყანა რომ მოვიარო.
მე წერილით გაგიცანი,
არ მინახავს თქვენი სახე,
გულმა იგრძნო ნეტარება,
სურათში რომ დაგინახე.
მინდა ცოტა რამ დავწერო,
რაც აწუხებს ამ ჩემს გულსა,
დღე და ღამე ამას ვფიქრობ,
რა ვუყო ამ სიყვარულსა.
სიყვარული ცეცხლი არის,
ცეცხლზე უფრო აინთება,
ვის გულშიაც ჩავარდება,
უსათუოდ დაიწვება.
...
არ მიყვარხარ, გენაცვალე,
ეს სოფელი ჭორია.
ათას რამეს მოიგონებს
თინიკო და სონია.
...
გოგოვ, ისე ლამაზი ხარ,
ფერს ვერ გიცვლის ზამთარი.
ტყეში ხომ არ გამომყვები,
შემომითვალე მართალი.
...
მაღლა ცაში ვარსკვლავები
დიდხანს ვთვალე, ვთვალე,
იმ ვარსკვლავში შენ შეგნიშნე
გოგოვ, გენაცვალე.
...
ოხ, რა მომწონს სილამაზე,
და ეგ შენი თვალები,
მხოლოდ პატიოსნებას
ვეტრფი, ვენაცვალები.
...
ქვეყანა რომ დაიწვას,
ნაცრად მექცეს თვალები,
შენ მიყვარხარ ამქვეყნად,
მე შენ გენაცვალები.

აჭარელ ქალს

ხომ ხედავ, რომ მზე ანთია,
სუფევს შრომა სასურველი,
შენს თვალებს კი ნისლი ჩრდილავს,
სახეს – ბნელი საბურველი.
მოაშორე სახეს ჩადრი,
და შეიტკბე მზის ქვეყანა,
შენც იგრძენ, რომ საბჭოეთში,
კომუნიზმის დადგა ხანა.

პოეტის გულით

ცის დაფერდებულ კამარას,
მტრედი მიარღვევს ფრთოსანი,
შეხედე გულის ლირიზმით,
ამღერებულა მგოსანი.
გენ გეძებს, შენთვის დამწვარა,
ღამე ფიქრებში ნათევი,
სიყვარულს შეერთებია
გზა ია-ვარდით ნაფენი.
რას შეგადაროს, ნეტავ, რას,
შენ გემსგავსება რომელი?
მთვარე გგავს პირგაბადრული.
როცა გინათებს სახესა,
იისფერ ყვავილს გამსგავსო,
თუ უსურვაზის ფოთლებსა,
ან აყვავებულ ატამსა.
კახური ღვინო არა ხარ,
დაგუბებული მაჭარი,
ან წყვილტოტება მცენარე,
სათუთად გადანატარი.
ალბათ, ძვირფასი რამა ხარ,
სასიყვარულო საგანი,
მე შენი ტყვე ვარ, გახსოვდეს,
შენ ჩემი გულის საკანი.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ზოიძე შოთა ახმედის ძე.
ასაკი: 18 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ახალდაბა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ახალდაბა.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ზოიძე შოთა ახმედის ძე, დაბადებული 1941 წ. სოფ. ახალდაბაში. საშუალო განათლების. ნამყოფია აჭარის თითქმის ყველა კუთხეში, თბილისში, ახალციხეში, ქუთაისში და სხვ. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები, ლექსები, რომლებიც მოუსმენია ხალხისგან.

ქალი, ხოჯა და თურქი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი კაცი, მას ყავდა სიმშვენიერით განთქმული ცოლი. მისი ბადალი ამ სოფელში არ მოიპოვებოდა. ამ ქალს ბევრი ეტრფოდა. ცოლ-ქმარმა დატოვეს თავიანთი სოფელი და სხვა ქვეყანაში გედეიბარგენ, ბინა გაიჩინეს ერთ ტრიალ მინდორზე, ქონდათ ერთი სახლი და ასე ღარიბულად ცხოვრობდენ. იმ მხარეში ვინმე კაცი არ დადიოდა. ეს ამბავი გაიგო ხოჯამ და გადაწყვიტა, იმ ქალთან საქმე დიეჭირა. ხშირად დადიოდა იმ მხარეში. ერთ დღეს ქალის კაცი სახლში არ იყო. ხოჯა მივა ამ ქალთან. ამ სახლის ერთ ადგილზე იყო გაკეთებული აბანო. შეხვიდოდი აბანოში თუ არა, ჩავარდებოდი ქვედა სართულზე, რომელიც სავსე იყო ეკლებით. ქალმა უთხრა ხოჯას, რომ შენ ჭუჭყიანი ხარ, აბანოში იბანავე და ისე გევიხტი ტანზეო. ხოჯა შევა თუ არა აბანოში, ჩავარდება ეკლიან ოთახში. ხოჯა წვალობს იქ, მარა ვერ ყვირის, რადგან ეშინია. ერთ დღეს ამ სახლის წინ გეიარს ერთი თურქი, რომელსაც

ერთი ხარი მიყავს. ქალს როცა დეინახავს, მოეწონება და ამ ქალს თხოვს, რომ ღამე გაათევიოს. ქალი დათანხმდება. დაღამდება თუ არა, თურქი კითხავს მისი ვინაობის შესახებ. ქალი ატყუებს, რომ ქმარი მომიკდა და დამაბარა, რომ მითხოვდი ამა და ამ თურქსო და ქალმა უთხრა ამ თურქის სახელი. თურქს ძალიან გუუხარდა და მღელვარედ წამოიძახა: – ეს ხომ მე ვარო. ქალი დათანხმდება ცოლობაზე. თურქი ეტყვის საღამოზე, რომ დავწვეთ ლოგინზეო. ქალი ეტყვის, რომ შენ მგზავრობაში გაჭუჭყიანებული ხარ, ჯერ აბანოში იბანე და შემდეგ დავწვეთო. თურქი შევა თუ არა აბანოში, ჩავარდება. დეინახავს ხოჯას. ხოჯა ხმას ვერ ამოიღებს. თურქი კი დეიწყობს ღრიალს. ხოჯა ეხვეწება,– გაჩერდიო. ხოჯა თურქს თავის სხეულზე დაიდებს, რომ არ ეტკინოს და არ იყვიროსო.

ქმარი და ცოლი დაკლენ თურქის ხარს, რამოდენიმე დღეს ჭამენ და შემდეგ იმ ადგილს, სადაც ხოჯა და თურქი იყვნენ, ცეცხლს მოუკიდებენ და დაწვენ. ყოველთვის ასე ემართება იმ კაცს, რომელსაც თვალები სხვის ქალებზე უჭირავს.

სამი ძმა

Aყო სამი ძმა, რომლებიც ცხოვრობდენ ძალიან ღარიბად. მათ გადაწყვიტეს, წასულიყვნენ და ვინმესთან მოჯამაგირეთ დამდგარიყვნენ. წავიდნენ. იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ხელმწიფესთან და თხოვეს მათთვის სამუშაო მიეცა. ხელმწიფე კითხავს, თუ ვის რა სამუშაოს შესრულება შეეძლო. უფროსი ეტყვის, – მე შორს ვხედავო, შუათანაი ეტყვის, რომ შორს მიზანში ვახვედრებო. უმცროსი ძმა ეტყვის, რომ მე ქალებთან დროს ტარება არასდროს არ მომეწყინებაო... ხელმწიფე გაბრაზდება: ეს როგორ გამიბედე მეო და აპატიმრებს მას. ორი ძმა კი მიყავს სანადიროდ. ხელმწიფის ცოლი გაიგებს, რომ ჩემს ქმარს დაპატიმრებული ყავს ქალების მუსუსი კაციო. ის ამ ბიჭს მასთან ოთახში ააყვანინებს. მთელი დღის განმავლობაში ისინი მხიარულობენ, დროს ატარებენ. შემდეგ ქალი ამ ბიჭს ისევ საპატიმროში წასვლას მოთხოვს. ბიჭი ვარზე დგას, რომ ჩემით ხომ არ მოვსულვარ, შენ ამომიყვანე, ხელმწიფე რომ მოვა, მე კი არ ვაგებ პასუხს, არამედ – შენო. ქალი ოქროს მამალს აჩუქებს, ოღონდ ის წავიდეს. მართლაც, ბიჭი კვლავ ჩაჟდება ციხეში. მონადირეები ბრუნდებიან სანადიროდან. მეფე გასამრჯელოს აძლევს მათ. ძმების თხოვნით ხელმწიფე ათავისუფლებს უმცროს ძმას. ძმები გაუჯავრდებიან უმცროს ძმას, რომ ხელმწიფეს რატომ მიმართე უზრდელური სიტყვებითო. ძმა ეტყვის, რომ, მაშინ მე ცალკე წავალ და თქვენ ცალკე წადითო. მაგრამ ძმები მას არ იმეტებენ და ერთად მიდიან. მივლენ მეორე ხელმწიფესთან. ხელმწიფე გამოკითხავს თითოეულს, თუ რა სამუშაოს შესრულება შეუძლიათ. უფროსი ეტყვის, – მე შორს ვხედაო, შუათანაი ეტყვის, – მიზანში კარგად ვახვედრებო. უმცროსი ეტყვის, – ქალები მიყვარს და მათთან დიდხანს დარჩენა შემიძლიაო. ხელმწიფე მას აპატიმრებს და აქაც ისეთი ამბავი დატრიალდება, რაც ზევით ვთქვით. როდესაც ხელმწიფის ქალი შეიტყობს, რომ ჩვენთან არის ასეთი კაციო, ეიყვანს მასთან და დროს გაატარებენ. ქალი ეტყვის: ახლა წადი, ხელმწიფე მოვაო. ბიჭი ეტყვის, – მე ხომ ჩემი ფეხით არ ამოვსულვარ, შენ რატომ ამომიყვანეო. ქალი ამ ბიჭს აჩუქვებს ოქროს ქამარს. ბიჭი დაბრუნდება საპატიმროში.

ძმები ეტყვიან, ჩვენ ნადირობის გასამრჯელოს არაფერს არ გთხოვთ, ოღონდ ჩვენი ძმა გაათავისუფლეო. მართლაც გაათავისუფლებს. ძმები კვლავ გაკიცხავენ ძმას. მივლენ მესამე სახელმწიფოში. ხელმწიფე აქაც დაიყენებს მათ მოჯამაგირედ, ხოლო პატარა ძმას აპატიმრებს კვლავ ისეთი უზდელური სიტყვებისათვის. უფროსი ძმები მიყავს სანადიროდ. ხელმწიფის ქალი ბიჭს აიყვანს მასთან და დროს გაატარებენ. შემდეგ ეტყვის, - ახლა წადიო. ბიჭი არ იზამს. მას აჩუქებს ოქროს ფანდურს. ბიჭი დაბრუნდება ციხეში. ამ დროს ხელმწიფეც ბრუნდება. უფროსი ძმები თხოვენ ხელმწიფეს, რომ გაათავისუფლოს თავისი ძმა. ხელმწიფე მათ თხოვნას შეასრულებს. ხელმწიფემ ძმებს გზა დაულოცა და გამეისტუმრა. ძმებში უკმაყოფილება წარმოიშვა უმცროსი ძმის მოქმედების გამო. უფროსი ძმები უყვირიან უმცროს ძმას და მეტსახელად ქალაჩუნას დუუძახებენ. მაშინ უმცროსი ძმა ეტყვის ძმებს, რომ თქვენ სამი წელია, მსახურობთ და მაჩვენეთ, რა მოიგეთო. ძმებს არაფერი არ ქონდათ და რას უჩვენებდნენ.

მაშინ უმცროსმა ძმამ ამოალაგა თავისი მამალი, ოქროს ქამარი, ჩონგური. ამ ნივთებმა ძმები ძალიან გააკვირვა. უმცროსმა ძმამ უთხრა, – მე მარტოდ წავალ და თქვენ მარტოდ წადითო. წავიდნენ. უმცროსმა ძმამ ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სახელმწიფოში, რომელსაც ყავდა ათასობით ჯარი. ეს ჯარი ცავდა ამ სახელმწიფოს. უმცროსმა ჯარს გამოკითხა ამბავი და გაიგო, რომ იმ სამეფოში ხელმწიფეს ყოლია ერთი მზეთუნახავი გოგო. ეს გოგო მრავალ ბიჭს მოსწონებია, მაგრამ გოგო არავის არ პირდებოდა ცოლობას. ის ამბობდა ყოველთვის, რომ მე არ გავთხოვდებიო. ვინმე რომ ეტყოდა, შენ გათხოვდები ამა და ამ ბიჭზეო, გოგო მას ცოცხალი არ ტოვებდა. ხელმწიფემ დაუძახა მის ხალხს და განაცხადა, რომ ვინც გაიგებს ჩემი გოგოს აზრს, გაიგებს იმას, თუ ის რატომ არ თხოვდება და რატომ არის გაჯიუტებული, მაშინ მის სამეფოს მას გადასცემდა. ამ ბიჭს გაუხარდა და ეს საქმე მან იკისრა. ვეზირებს ჩაქუჩი და ორსი მოატანია. შეძრა იმ ოთახის ქვეშ, სადაც ის გოგო ცხოვრობდა. იმ ღამეს, როცა გოგოს დაეძინა, ბიჭმა საშინელი რახუნი დაიწყო. გოგოს გამოეღვიძა და იყვირა, – ვინ არის იგი, ძილი გამიტეხა. ამეიყვანეთ და დაახრჩვეთო. ვეზირები წავლენ ამოსაყვანად, მაგრამ ბიჭი ორსს გაიგდებს ძირში, აიღებს მამალს და დაუწყებს კეთებას. როცა ვეზირები უყვირებენ მას, ბიჭი ეტყვის, – მე ოქროს ვჭედავ და ხელმწიფის გოგო რა მენაღვლებაო. ვეზირები ავლენ და მოახსენებენ, რომ ის გასაგდებად ბრალია, ისეთი მამალი გაუკეთებია, რომ ის ნამდვილად შენ გეკუთვნისო. გოგო ეტყვის, – ჩადით და უთხარით, რამდენ ოქროზე მომყიდისო. ბიჭი ეტყვის, რომ მამალი თვითონ ოქროა და ოქრო ოქროზე როგორ გავყიდოვო. მესამე ღამეს ბიჭი კიდევ ისე დაიწყებს რახუნს. გოგოს გამოეღვიძება, გაბრაზდება და ვეზირებს ეტყვის: – ჩადით და ნახეთ ვინ ებრახუნება, ჩქარა მომაშორვეთ თავიდანო. ჩავლენ თუ არა, ბიჭი დაიწყებს ქამრის ჭედვას. ვეზირები ეტყვიან,– ნუ ერახუნები, ხელმწიფის გოგოს ძინავსო. ბიჭი ეტყვის, – რა მენაღვლება თქვენი ხელმწიფის გოგო. მე ოქროს ვჭედავ ხელიდანო. ავლიან და მოახსენებენ, რომ ის ბიჭი გასაგდებად ბრალიაო. მას ისეთი ქამარი გაუკეთებია, რომ ის ნამდვილად შენ გეკუთვნისო. ჩადით და უთხარით, რამდენ ოქროზე მომცემსო. ბიჭი ეტყვის ვეზირებს, რომ ქამარი თვით ოქროა და ოქრო ოქროზე როგორ გავყიდოო.

შემდეგ ღამეს ბიჭი კიდევ დაიწყოფს რახუნს. გოგო ვეზირებს გააგზავნის. ნუ ხმაურობ, ხელმწიფის გოგოს ძინავსო, – ეტყვიან ვეზირები. ბიჭი ეტყვის, – ხომ ხედავ, ოქროს ფანდურს

ვაკეთებ, რა მენაღვლება თქვენი ხელმწიფის გოგოვო. ვეზირები გოგოს ეტყვიან: – ის ბიჭი გასაგდებად ბრალია. მას ისეთი ოქროს ფანდური გამოუჭედავს, რომ ნამდვილად შენ გეკუთვნისო. გოგომ უთხრა, – ჩადით და ის ბიჭი აქ ამომიყვანეთო. ვეზირები ჩავლენ და იმ ბიჭს მასთან აიყვანებენ. ბიჭი ვეზირებს გარეთ გაყრის და დარჩებიან მარტოდ. გოგო ეტყვის: – მაგ მამალში რამდენი ოქრო მოგცეო? ბიჭი ეტყვის ოქრო თვითონაა და ოქრო რათ მინდაო. თუ ასეა წელზევით გაიხადე, დამენახვე და გაჩუქვებო. გოგოს ეს საქმე გაუძნელდა, მაგრამ ბოლოს გაიძრო და ბიჭს წელს ზევით დაანახვია. ბიჭმა მისცა თავისი მამალი. შემდეგ გოგომ თხოვა ქამარი. ბიჭმა უთხრა: – თუ შენ მთლად გაშიშვლდები და ისე დამენახვები, მაშინ გაჩუქვებო. გოგოს გაუძნელდა, მაგრამ იფიქრა: – აქ ხომ არავინ დამინახავსო და გაშიშვლდა. ბიჭმა მისცა ქამარი. შემდეგ გოგო ეტყვის, რომ ბარემ მეგ ჩონგურიც მომეციო. ბიჭი ეტყვის, რომ თუ ცოლად გამომყვები, გაჩუქვებო. გოგო დაფიქრდა და იტყვის, რომ ტიტველი მაინც დამინახა, ცოლადაც გავყვებიო. ბიჭი გამოცხადდა ხელმწიფესთან. ხელმწიფემ გამოკითხა ამბავი. ბიჭმა უთხრა, რომ შენი გოგო ჩემს ცოლობაზე დავითანხმე, ოღონდ შენც დამეთანხმეო. ხელმწიფე ეტყვის, – შენ რახან ამდენი შესძელი, გოგოც შენ და ჩემი ხელმწიფობაო. ასე გახდა უმცროსი ძმა ხელმწიფე. სწორედ ამაზეა ნათქვამი „ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

სახელგანთქმული ექიმის შვილის ამბავი

Ყო და არა იყო რა, იყო ერთი სახელგანთქმული ექიმი. მას ექიმობაში ვერა ექიმი ვერ ჯობდა, იცოდა ყველანაირი წამლის დამზადება, არჩენდა ყველანაირ ავათმყოფს. ხალხი მას უამრავ საჩუქრებს აძლევდენ, ამიტომ ის ძალიან გამდიდრდა, მისი სახელი განთქმული იყო მთელს სახელმწიფოებში. ამ ექიმს ყავდა ერთი ვაჟიშვილი, რომელიც ძალიან გასათუთებული (განებივრებული) ყავდა. მამა ყოველთვის შვილს ებნევოდა, რომ ჩემი ხელობა შენც ისწავლეო, მაგრამ შვილი მამას არ უჯერებდა, – მე რათ მინდა სწავლა, ასეთი მდიდრები ვართ და უამისოდაც ვიცხოვრებთო.

ერთ დღეს ექიმმა შვილს ძალით დააწერია წიგნი, სადაც ჩამოთლილი იყო სხვადასხვა სახის წამლები და მათი დამზადების წესი. მამა როცა მოკვდა, შვილს დაავიწყდა მამის მიერ დაწერილი წიგნი. ის წიგნი სადღაც მიაგდო და აღარც ახსოვდა, თუ მამამ მას წიგნი დუუტია. ამ ბიჭმა დრო ქეიფში ატარა და ოჯახი ისე გამოლია, რომ საჭმელი პურიც კი არ ქონდათ. ერთ დღეს ამ ოჯახს ესტუმრა მამის ნაცნობი კაცი. შვილმა ლამაზათ მიიღო, მარა საჭმელი ვერ აჭამა. რაც არ ქონდა, რას აჭმევდა. ექიმის ნაცნობმა კაცმა უთხრა ამ ბიჭს, რომ მამაშენი სახელგანთქმული კაცი იყო, ამზადებდა ყველანაირ წამალს და არჩენდა ყველანაირ ავათმყოფს, ნუთუ შენც არ გასწავლა წამლების დამზადების წესიო. ამ სიტყვებმა ვაჟს მოაგონა ის წიგნი, რომელიც მამამ დაუტოვა და რომელშიც იყო წამლები ჩამოთლილი. ბიჭმა ეძება და ნახა წიგნი სახლის სახურავის ქვეშ, რომელიც მტვრისაგან იყო ფერწასული. მეორე დღეს ვაჟი შეუდგა წამლების დამზადებას. დაამზადა ძალიან ბევრი წამლები, დედა სახლში დატია და თვითან წევდა წამლების გასაყიდად. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, მივიდა ერთ გზაჯვარედინზე, დუუღამდა და დაჯდა. ამ დროს გეიგონა

ფეხის ხმა. გეიხედა და დეინახა, რომ ორმა ახალგაზრდამ მიწაში რაცხა ჩაფლეს. ვაჟს ძალიან დაინტერესა, თუ რა ჩაფლეს მათ იმ მიწაში. როცა ისინი წევდენ, მივიდა იგი და ამოთხარა მიწა. მიწაში აღმოჩნდა ძალიან ლამაზი გოგო, რომელსაც ორმოცი ჭრილობა ქონდა. მაშინ ბიჭმა ამოიღო თავისი წამლები, შეასვა და მოარჩინა. გოგომ პირობა მისცა, რომ ის მისი ცოლი იქნებოდა და წავიდნენ სახლში. გოგოს ქონდა შვიდი მარგალიტი თმაში. ბევრი იარეს და მივდენ ერთ ქალაქში, ფული არც ერთს არ ქონდა. გოგომ გამოიღო ერთი მარგალიტი და გაატანა ერთ მედუქნესთან. მედუქნემ ეს მარგალიტი იყიდა სამ მეშოკ ოქროზე. მათ იქირავეს ქალაქში ბინა და დეიწყეს ტკბილად ცხოვრება.

ერთ დღეს ქალმა უთხრა ქმარს, რომ შენ უნდა წახვიდე ერთ-ერთ სასადილოში. იქ მივლენ ორი ახალგაზრდა ბიჭი, მოითხოვენ საჭმელს და დაჯდებიან საჭმელათო. შენც უნდა მოითხოვო საჭმელი, იმათზე უფრო უკეთესი და ყველასი ფული შენ უნდა გედეიხადოვო. თუ შენ სახლში დაქპატიჟეს, არ წაყვეო. მართლაც, ქმარმა ყველაფერი ასე გაკეთა. შემდეგ ცოლი კიდევ აგზავნის ქმარს სასადილოში და თანაც აბარებს, რომ ფული ახლაც გადაეხადა მას. თუკი ის ახალგაზრდები მას დაპატიჟებდენ, წაყოლოდა სახლში იმ პირობით, თუ ხვალ თვითონ წამოყვებოდენ მას სახლში. მართლაც, ქმარი ასე მოიქცა. სახლში წამოიყვანა ეს ორი ახალგაზრდა. ცოლმა დაამზადა მოწამლული საჭმელი და ამ ახალგაზრდებს აჭამა. ჭამეს თუ არა, მათ მოკვდნენ. მოწამლული ბიჭები წყალში გადაყარეს. თვითონ კი იყიდეს ცხენები და სხვა სახელმწიფოში გადავიდნენ. გზაში დაუღამდათ, ქალმა დადვა ბიჭის კალთაში თავი და დეიძინა. ქალს თმაში გამოუჩინდა მარგალიტები, ქმარს ძალიან გუუკვირდა. კაცმა ამოიღო ერთი მარგალიტი და დაუწყო ცქერა. ამ დროს ჩამოფრინდა ყორანი, ტაცა ფრთები მარგალიტს და გაფრინდა. კაცი დიედევნა ყორანს და რამოდენიმე კილომეტრი გაყვა. გამოიღვიძა გოგომ, რომ ქმარი არსად არ იყო. გოგო გაბრაზდა და თქვა: ფუ, შევარცხვინე მაგის ნამუსი, ერთ მარგალიტზე გამცვალაო. ქალს ეგონა, რომ ქმარმა მოპარა მარგალიტი და გეიქცაო. ქალი წავიდა, იარა, იარა და მივიდა ერთ ზღვისპირა ქალაქში და გახსნა უფასო სასადილო. ის ფიქრობდა, რომ როდესმე ის მისი ქმარი მოვიდოდა ამ სასადილოში. ეს ბიჭი კი დიდი ხეტიალის შემდეგ მივიდა ერთ ქალაქში და სხვას დაუწყო სახლის კეთება, რომ ფული დაეგროვებია. საძირკვლის ამოთხრის დროს გამოჩნდა რაღაც ხვრელი, საიდანაც გამოფრინდა ყორანი. ბიჭმა შეუყვირა ყორანს: – შენ ხარ ჩემი დამღუპველიო და დაარტყა წერაქვი და მოკლა. კაცმა იპოვა ამ ყორნის ბუდე, სადაც იყო მისი მარგალიტი და ორი ფუთი ოქრო. კაცმა მათ დააყარა მარილი და ისე დატია. როდესაც ააშენა სახლი, მასპინძელმა მას მისცა თანხა. კაცმა გაავსო თუნგები ოქროებით და წავიდა. მივიდა ზღვისპირა ქალაქში. ზღვის პირზე ორმოც დღეში ერთჯერ გემი მოდიოდა. ამ გემზე დააწყო თუნგები და მოაგონდა, რომ მასპინძელს არ დიემშვიდობა. დაბრუნდა უკან. მასპინძელს დიემშვიდობა და მივიდა კვლავ გემზე. ნახა, რომ გემი წასულიყო და თან წაეღო თავისი თუნგები. ეს გემი ემსახურებოდა იმ სასადილოს, რომელიც გახსნა მისმა ცოლმა. გევიდა ორმოცი დღე და გემი კვლავ მოვიდა ზღვაზე. ამ ბიჭმა ამ გემს წაყვა და მივიდა სასადილოში. ამ ბიჭს ძალიან გაუკვირდა. მის დღეში უფასო სასადილო არ ენახა. შიგ ხალხი მიდიოდა, ჭამდა, სმევდა და ფულს არ იხდიდა. ამ დროს ქალმა იცნო მისი ქმარი და დაუძახა. ქალი კაცის ტანსაცმელში იყო. ამ კაცს ეგონა, რომ ფულის გადახტაზე მიძახისო. ქალმა ის შეიყვანა ცალკე ოთახში და თხოვა, მისი

თავგადასავალი ეთქვა. ბიჭმა მოუთხრო თავისი თავგადასავალი და თანაც ცრემლები გადმოყარა. ქალმა შეეკითხა, – გიყვარდა თუ არა ის ქალიო. კაცმა უთხრა, რომ მისმა სიყვარულმა ცხოვრება დამაწყებინაო. მაშინ ქალმა უთხრა მისი თავგადასავალი. კაცს ძალიან გაუხარდა, ისინი კვლავ დაუბრუნდენ ერთმანეთს. ქალმა უთხრა, რომ ჩვენი ცოლქმრობა არავინ გაგვიგოსო. კაცი დაინიშნა შეშის მპობელად.

გავიდა რამოდენიმე წელი. ერთ დღეს სასადილოში მოვიდნენ მდიდრულად ჩაცმული ხალხი. ესენი იყვნენ ამ ქალის მამა – მეფე და მისი ვეზირები. ქალმა იცნო მისი მამა. გამოიცვალა ტანსაცმელი და მამას გადაეხვია. ვეზირებმაც მოუყვენ ამბავი თავიანთი შვილების შესახებ. მათი შვილები აღმოჩნდნენ ისინი, რომლებმაც ეს ქალი მოკლეს და ყუში ჩაფლეს. მეფემ იძრო ხმალი და ვეზირები ამოხოცა, როგორც მისი მოღალატეები.

სასადილო დახურეს, ჩაჯდენ გემში და წავიდენ სახლში. ბიჭი დაინიშნა მეფედ, გადაიხადეს დიდი ქორწილი და იმ ქორწილში მეც ვიყავი.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ჯინჭარაძე აქიფ მემედის ძე.
ასაკი: 65 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ბარათაული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ბარათაული.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

აქიფ ჯინჭარაძე მემედის ძე, 65 წლის, სოფ. ბარათაულის მკვიდრი. ცოლშვილიანი. წამყოფია ყაზახეთში, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები და ლექსები.

დურსუნ კვესიოღლი

დურსუნ კვესიოღლი იყო მოსამსახურე კაცი. ებრძოდა მენშევიკებს. მენშევიკი ყაჩაღების უფროსმა მჟავანაძემ შემოუთვალა დურსუნს, რომ თავი დამანებე, მე ნუ მსდევ, თორემ სულს გაგაფრთხობიებო. დურსუნმა ყველაზე ადრე გადავიდა ამ თავრობის მხარეზე, მას ყავდა თურქელი ქალი, ითხოვა მეორე ქალი გურიიდან. ერთ დღეს, ის როცა ოზურგეთიდან მოდიოდა, გზაში ყაჩაღებმა მოკლეს.

* * *

ოხ, რა ცუდად გავისარჯე
ამ ბოლო დროს მე საწყალი,
სიკვდილისხანს ისტე დავრჩი,
კაცმა აღარ მასვა წყალი,
ასტე უცებ გავილიე,
აღარ მიცოცხლია წამი,
ჩემი ამგვარი მოღალატე
დღეს სოფელში კიდო არი.
ხუთშაფათი დილა იყო,
ვაპირებდი სამსახურში.
იაგანიდან წამოვჯექი,
რაცხამ ზარი დამცა ხელში.

მამულაშვილის ცოლმა თქვა
(მისმა სიდედრმა),
სიზმარი მაქვს გლახა, ვიცი,
დღეს მოიცა, ნუ მიდიხარ.
აჭის საყდარს მივაღწიე,
რაცხამ გულში გიმიარა
საისრესთან მივაწიე,
გლახა ფერი ამიარა.
ცხრაჲ ტყვია მარცხნით მარტყეს,
ოხ! რა სისხლი დანიავდა,
მოვიდენ და გამასწორეს,
ქუდი დაკიდეს მეზეთზე
(თვალსაჩინო ადგილას),
სიკვდილიხანს ისტე ვიცან,
ერთი იყო მჟავანაძე,
მომკლეს და გამაგდეს გზაში,
თუმც გენახონ ჭრელი ღორი,
მეშარია მიდის, მოდის,
თითო წიხლს ცემს ყველა, თავში.
ამართვეს ჩემი ლევერი,
პირით ჩამომიდვეს წელში.
სისხლში ვარ ჩაცურებული,
თუმც გენახონ თევზის წვენში.
ჩემი ცოდვა თქვენ მოგეცა,
კისრით რომ გამიშვით ქვაში,
ამამყროლეთ იმ სიცხეში,
მწერმაც მიმაყარა თვალში.

ერთი წელიწადი მევლო
გავსდიოდი ასტავკაში,
ნაგრადასაც მივიღებდი,
ნამესტნიკს მოვწონდი თვალში.
სახლში ვიყავ მოწყობილი,
ოდაც მქონდა ორსართული,
ვისარჯოდი ქართულ წესზე,
ჯული მქონდა მე თათრული.
არ შემერთო ქართლის ქალი,
დღეს ცოცხალი ვიქნებოდი.
რომ გემევლო თათრულ წესზე,
ბრიყვი კაცი ვიქნებოდი.
ამ დროს კუბო გამოვიდა,
შიგ სუდარი მე მეფარა,
ოთხმა ბიჭმა ჯამის მკერდზე
მეც საფლავი გამითხარა.
ამწიეს და შიგ ჩამდუეს,
ჯანიეთში მიმაბარა,
ბიძაშვილებო, გიბარებთ,
არ შეჭამოთ ნენეს ფული,
გურულს თუ თოფი ესროლეთ,
იმით ვეფერს წამადგებით,
ტყუილათ გაჟლიტავთ ერთმანეთს,
ერთიმეორეს წააწყდებით.
უკეთესია: სახლში დაჯდეთ,
ქალ-ბაღანას წაადგებით.

ჩაღრის წარმოშობის შესახებ

ძველი ხნის განმავლობაში აჭარა თურქეთის ხელში იყო. ერთხელ თურქეთის მეფე წევიდა სხვადასხვა სახელმწიფოში, სახლში დატია ცოლი, რომელსაც მის მოსლამდინ უნდა ემართა ქვეყანა. ამ ქალმა შეიყვარა ერთი კაცი. ამ კაცმა ერთ დღეს ძლიერად უკბინა ლოყაზე. ლოყაზე კიბილების ადგილი დიეტყუა. ქალმა დაფიქრდა: ასე რაფერ დევენახო ჩემს ქმარს და ხალხსო. ამიტომ ქალმა მეიგონა ასეთი რამ. გამოცა სახელმწიფოში კანონი, რომ ამ დღიდან ამ დღემდე ქალებმა უნდა ჩამოიფარონ სახეო. როცა ეს კანონი გამოიცა, ქალმა სახეზე ჩადრი ჩამოიფარა, რომ ნაკბენი არვის არ დაენახა. შემდეგ დრო გავიდა, თურქეთის ხალხმა ჩადრი

აღარ დეიხურა. აჭარელი ხალხი, რომელიც მოშორვებული იყო თურქეთზე, ადრე ვერ გეიგეს ეს ამბავი და ჩადრი არ ეიხადეს. ასე გაჩნდა ჩადრი.

მარილის საშოვნელად წასული კაცის ამბავი

ერთხელ ომიანობის პერიოდში აჭარაში მარილი შეწყდა. ერთმა ჩვენებურმა კაცმა წევდა ბათუმ მარილზე. ჩევდა და ეს მარილი ვერ ნახა ბათუმშიც. ამ კაცს ვინცხამ გედიეყარა და უთხრა, რომ მარილი არის ფოთშიო. ეს კაცი იფიქრებს, წავალ ფოთშიო. მართლაც წევდა ფოთში, სადგური არ იცის, ჰად დადგეს, არ იცის. შეხდა ერთი ქალი და უთხრა, რომ დაიკო ღამის გასათეველი ჰად არისო? – თუ მიკადრებ, ძამიკო, ღამეს გაგათევიებო. ქალმა ეს კაცი წეიყვანა მასთან, შევიდნენ ოთახში. ქალმა დეიწყო საჭმლის გაკეთება. გააკეთა საჭმელი და დიმიძახა, რომ ჭამეო, ყვება აჲ, კაცი. ჩემს პირდაპირ ერთი ოთახი იყო. საჭმლის ჭამის შემდეგ მითხრა ქალმა, რომ ამ ოთახში დაწევიო. ასი მანეთი ფარაც მაქ. ის ფარაც შევინახე და დავწევი. შევხედე და კედელზე ორი წყვილი ტანისამოსი დევინახე. ერთზე მიკიდულია ლაფატკა და კირკა. ასევე, მეორე ტანისამოსზე მიკიდულია ლაფატკა და კირკა. ვიფიქრე, რა არის ესაო და ძალიან შემეშინდა.

ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც ოთახში შემოვიდა კაცი და რეველით დამადგა თავზე. აბა! უხმოთ ადექი ზეზეო, ჩეიცვი ეს ტანსაცმელიო. მომცა ლაფატკა, კირკა და ერთი თოფიც. მითხრა, რომ თოფის სროლა იცი თუ არაო? მე არც ვიცოდი თოფის სროლა და ვუთხარი, რომ არ ვიცი-მეთქი. მან მასწავლა თოფის სროლა და წიმიყვანა ჰაცხან. ის წინ მიდის და მე უკან მივდევ. ერთ ადგილზე შემაჩერა და წამფურჩულა, – ახლა ძალიან ფრთხილად იყავი, აქ ყარაულები არიანო. ეს კაცი მიდის წინ, მე გადმევღე თოფი და მინდა მოვკლა. ვესროლო, არ ვესროლო, ვფიქრობ ასე და მივადექით ერთ თელით შემოღობილ ადგილს. ამ კაცმა ეს თელი გაჭრა, გააკეთა მისასლელი და შევედით სასაფლავოში. მიმიყვანა ერთ ადგილზე და მითხრა: აქ ჩაფლულია ერთი მდიდარი კაცი. მას ჩატანებული აქვს ოქროს საათი, კარგი შარვალ-კოსტუმი, ფეხსაცმელი და სხვა ქონებაო. ეს რომ გავიგონე, შიშისგან ცახცახი დამაწყებია. მან მითხრა, რომ ნუ გეშინია, ეს ამოვთხაროთო. მე ვუთხარი, რომ ასეთ ცოდვას ვერ ვიზამ-მეთქი. მან დამიყვირა და მითხრა, – აბა, მე ამოვთხრი და შენც შიგ ჩაგაგდებო. კაცმა დეიწყო თხრა. მეც რაღა მექნა. სული წარე ყოფილა, დავიწყე თხრა. ამოვთხარეთ და რას ნახავ: ძალიან ბევრი რამე ჩიეტანებიეს იმ კდარი კაცისთვინ. ქონება წამოვიღეთ და მოველით ძველებურ ადგილზე. მე დამაწვინეს კიდევ იმ ოთახში. გათენებიხანს ქალი შემოვიდა ოთახში და მითხრა, რომ ადექი ახლაო. ავდექი. კაცმა გამომკითხა ჩემი ვინაობა. მე მოვატყვილე, რომ, ბათუმელი ვარ მეთქი, გვარი და სახელიც შეცლილი ვუთხარი. რაზე ჩამოხველი? – მკითხა. – ვუთხარი, რომ მარილზე-მეთქი. მიმიყვანა მაღაზიაში და ორი მეშოკი მარილი მომცა, მომცა ფულიც და მითხრა, მე ვარ ურია. ჩვენ, ურიები, ამ დღიებში ასეთი რამიებით ვცხოვრობთო. შენ კიდევ ჩამოდი ჩემთან და ისე გაგამდიდრებ, რომ ხალხი ვეღარ გიცნობსო. მე წამოველი სახლში და ის შიში და ის დღიები ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. ასე დაასრულა თავისი თავგადასავალი იმ კაცმა, – დაასკვნა მთხრობელმა.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ჯინჭარაძე შოთა ალის ძე.
ასაკი: 13 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ბარათაული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ბარათაული.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ჯინჭარაძე შოთა ალის ძე, დაბადებული 1946 წ. სოფ. ბარათაულში, მე-7 კლასის მოსწავლე, მის რეპერტუარში შედის ზღაპრები, რომლებიც მოსმენილი აქვს მამისგან.

აშიღყერიბი

Ყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. იმას ყავდა ერთი გოგო. ამ გოგოს თხოვნილობდა ერთი კაცი და ხელმწიფე არ აძლევდა. ამ ხელმწიფემ თქვა: ერთ დღეს მოვიყაროთ თავიო. მე გავუშვებ მტრედს და ვინცხას დააჯდება ფხარზე, იმას მივცემ ჩემს გოგოსო. გაუშვა ხელმწიფემ მტრედი და დააჯდა ერთ ღარიბ კაცს ფხარზე. ამ კაცმა ფხარი შეიქნია, მტრედი გაფრინდა, მივიდა, ისევ მას დააჯდა. ამ კაცმა არ ქნა, რომ მე ვერ წევყვან, ჯერ სახლი არ მაქ და კარიო. მე წევალ, ფულს გავაკეთებ, სახლს ავიშენებ და მერე წევყვანო. ეს კაცი, რომელსაც სახელად ქვია ყერიბი, წავიდა ფულის მოსაგებად, სახლში დატოვა ერთი და და მას დაუტია ერთი ფანდური და დააბარა, – ეს არვის მისცე, მე თუ მოვკდები, ეს ფანდური ძირში ჩამუარდებაო. წავიდა აშიღყერიბი. გავიდა შვიდი წელიწადი, აშიღყერიბი არსად არ ჩანდა. ამ გოგომ, ცოლმა, მექარავნეს გაატანა ერთი ჭიქა, შიგ ჩააგდო აშიღყერიბის ნაჩუქვარი ბეჭედი და დააბარა, ვინცხაჲ შეგხდება, წყალი ასვიო. ბეჭედს ვინცხაჲ დეინახავს და გეიცინებს, ის არის აშიღყერიბიო. წავიდა ამ მექარავნემ, მივიდა ერთ ქვეყანაში და ორი კაცი ლაპარიკობდენ, რომ ახლა აშიღყერიბი ჩამეიარს და ვამღეროთო. მექარავნემ უთხრა, როდის ჩამეიარსო. ამ კაცებმა უთხრეს, რომ ორ საათში ჩამეიარსო. გავიდა ორი საათი და მართლაც ჩამეიარა აშიღყერიბმა. მექარავნემ მას ასვა წყალი. როდესაც წყალი სვა აშიღყერიბმა და ჭიქაში ბეჭედი გიერაწკუნა, გაიცინა, – ეს შენ სად ნახეო? – უთხრა მექარავნეს. მექარავნემ უთხრა, რომ შენმა ცოლმა გამომატანაო. აშიღყერიბმა წავიდა სახლში და დაამღერა მისი თავგადასავალი. თავის სახლში კი არა, არამედ ჰაცხა ის დგებოდა ფარის მოგების დროს. მეორე დღეს ხურჯინში გაუტენეს ოქრო. წევიდა აშიღყერიბი და ამ დროს სწორედ მის ცოლს სხვაზე ათხოვებდენ. ამ დროს აშიღყერიბმა დეინახა, რომ ტყე წვებოდა და დგებოდა ისევ. დეინახა ცხენიანი კაცი. აშიღყერიბმა გეიქცა და ეს ხურჯინი დამალა ნაძვის ძირში. ცხენიანმა კაცმა უთხრა: – რა დამალე, მაქაო? – არაფერიო, – უთხრა აშიღყერიბმა, ტყვილაჲ გედევხედეო. ცხენოსანმა გადაუქანა წარბები, რაც დამალე, მალე ამეიტანეო. წავიდა და ამეიტანა. – გადაკიდე ცხენსო. არ შეგეშინდეს, მე შენს წასაყვანად ვარ მოსულიო. ცხენოსანმა შემოიჯდუმლა აშიღყერიბი და უთხრა: – თვალები არ გაახილო, თვარამ შენც დეიკარქვი და შენი ხურჯინიცო. როდესაც ცხენი დადგა, ცხენოსანმა უთხრა, – გაახილე ახლა თვალები. გაახილა, რომ ერთ სერზე არიან. აქ ილოცეს ამათ და ცხენოსანმა უთხრა, – გედეიხედე მაქ რა არისო, გედეიხედა აშიღყერიბმა და დეინახა თავისი სახლი. ცხენოსანმა უთხ-

რა: – მე ახლა შევჯდები ცხენზე და გავაჭენებ. ჩემი ცხენი ფეხებით მიწას რომ გამოიქნევს, ის იქონიე ჯიბეშიო. რომ გაგიჭირდეს, გამოგადგებაო.

გაფრინდა ცხენოსანი, ცხენმა გამეიქნია საპნის ყალიბივით მიწა. ეს ჩაიდვა აშიღყერიბმა ჯიბეში და წავიდა თავის ძველ სახლში. როდესაც ჩავიდა ეზოში, დეინახა, რომ თავის დას გამიეყვანა თავისი დანატევი ყულა ცხენი. როდესაც ამ ცხენმა დეინახა აშიღყერიბი, ჭიხვინი და ფეხებით მიწის თხრა დეიწყო. დამ უთხრა, – რატო ჭიხვინებ, გამწარებული ვარ, ჩემი ძმა – აშიღყერიბი შვიდი წელიწადია არ დიმინახავს და შენ რა გეჭიხვინებაო და წკლეპით ცემა. ამ დროს მივიდა აშიღყერიბი და დას უთხრა: – ნუ სცემ ცხენს, შენი ძმა – აშიღყერიბი შვიდი წელი ჩემთან ერთად იყოო, – მუატყვილა მან. ამ დროს თავისმა დამ შევიდა სახლში და ქორ დედას უთხრა: – ვიღაცა კაცი მოვიდა და მითხრა, რომ შვიდი წელიწადი ვიყავი აშიღყერიბთანო. აშიღყერიბმა დას უთხრა: – აშიღყერიბის დატევლი ფანდური მომეციო. დამ ვარი უთხრა, – აშიღყერიბმა დამაბარა, რომ უჩემოთ არავის მისცეო. აშიღყერიბმა უთხრა: – ეს ოქრო და ტანსაცმელი შენი იყოს და ფანდური მათხვე, ამეღამ ქორწილში მივალ და დავამღერებო. დამ უთხრა, რომ ამაღამ ჩემი ძმის – აშიღყერიბის საცოლე მიყავან და იმ ქორწილში, შენ თუ მისი მეგობარი იყავი, არ უნდა წახვიდეო, ვერც მე წავალო. აშიღყერიბმა უთხრა, – მე უნდა წავიდე, შენ ნუ წამოხვალო. მისცა ფანდური და აშიღყერიბმა წევდა ქორწილში. ხალხს თავი მოეყარა. აშიღყერიბის საცოლეს თავთან საწამლავი ქონდა შემოდებული, რომ, მე სხვას ვერ წავყვები, ჩემი ქმარი აშიღყერიბი მოვა ახლაო. თუ ძალით მიმცემთ სხვას, თავს მოვიწამლებო.

აშიბღყერიბი როცა შიგ შევიდა, დაუნახეს ფანდურის ტარი. ამ ხალხმა თქვეს: –მაგას ფანდური აქვს და ამღერეთო. აშიღყერიბმა ამეიღო ჩონგური და დაამღერა თავისი თავგადასავალი, რომ მე აშიღყერიბი ვარ მოსულიო. როდესაც აშიღყერიბმა დაამთავრა სიმღერა, სიძემ გაიქცა. დეინახა აშიღყერიბმა, რომ ყველას დუუტიებია ქაორწილი. აშიღყერიბმა თქვა: სიძეი მომიყვანეთ, რატომ გეიქცაო. წავიდნენ ხალხმა, ბევრი ეძებეს სიძეი, მაგრამ ვერსად ვერ ნახეს. აშიღყერიბმა უთხრა,– სიძეი ახორის ბაგაშია ჩაწოლილი და ამეიყვანეთო. ამეიყვანეს სიძეი. ამ დროს აშიღყერიბმა თავისი ცოლი წეიყვანა და სიძეს გაატანა თავისი და. ისინი დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ცენტერაძე შალვა ვლადიმერის ძე.
ასაკი: 17 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ვანი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ვანი.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ცენტერაძე შალვა ვლადიმერის ძე, დაბადებული 1942 წ. სოფ. ვანში, მე-10 კლასის მოსწავლე. ნამყოფია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, იცის ქართული და რუსული ენა, მის რეპერტუარში შედის ზღაპრები.

კაცი და გველი

Იყო და რა იყო, იყო ერთი კაცი. ამ კაცმა ერთ დღეს წევდა ტყეში შეშის მოსატანად. როდესაც დაბრუნდა ტყიდან, მას გზაზე შეხვდა ერთი დიდი გველი, რომელიც ხეზე ასულიყო და ვეღარ ჩამოსულიყო. გველი ჩამოსლას იხვეწებოდა. კაცმა დატია ჭვირთი და ჩამეიყვანა გველი. გველმა უთხრა, რომ პირი ააფჩინეო, უნდა ჩაგაფურთხოვო. კაცმა შეშინდა, მაგრამ რაღა უნდა ექნა. ააფჩინა პირი და შიგ ჩააფურთხა და უთხრა: ქვეყანაზე ყველაფრის ენას გაიგებო.

მართლაც, ერთ დღეს ამ კაცმა გეიგონა ჩიტების ჭუკჭუკი, კაცს გაეცინა. ცოლმა უთხრა, – რაზედ იცინიო? ქალმა დააფიცა, რომ მითხარი, რატომ იცინიო? რომ ეთქვა ქალითვინ, მაშინ გველის ნასწავლი აღარ ივარგებდა.

ერთ დღეს ქათმებმა გავიდენ გარეთ და დედლები მამალს ეუბნებოდენ, რომ ჩვენი პატრონი კდებაო. მამალმა უთხრა, რომ მე რვა ქალს ვიყოლიებ და ჩვენს პატრონს ერთი ქალიც კი ვერ მოუყოლებია მის ნებაზეო. ეს გაიგონა კაცმა და აიღო თოფი და თავისი ცოლი მოკლა.

ალმასის ქვა

Იყო და რა იყო, იყო ერთი ხელმწიფე, ეს ხელმწიფე აგზავნიდა ხალხს ალმასის ქვის მოსატანად. ხალხი მიდიოდა, მარა ცოცხალი არავინ ბრუნდებოდა. გლეხის გოგომ თქვა, რომ მე მოვიტან ალმასის ქვასო. შეჯდა ცხენზე და კაცის ტანსაცმელში გამოწყობილმა გაქუსლა ცხენი. მიაღწია ერთ ადგილზე, შეხვდა ერთი კაცი და ამ კაცმა უთხრა, რომ სად მიხვალო, შენისთანა ბევრი წასულა და უკან არავინ დაბრუნებულაო. შემდეგ შეხვდა ერთი მოხუცი კაცი და ამ კაცმა უთხრა, რომ სად მიხვალ, შვილოო? ქალმა უთხრა, რომ ალმასზე მივდივარო. მოხუცმა კაცმა ასე დაარიგა: შენ გზაში ბევრი კდარები შეგხდება და არაფერი შეგეშინდესო. ერთი ბავში დაგიძახებს, რომ ერთი ლუკმა პური შემაჭამეო და არ შეაჭამო, შენ ყურიც არ მიცეო. შემდეგ შეგხდება ერთი დედაბერი და ბიჭი. ამ ბიჭს პირში აქვს ალმასის ქვა. როდესაც გაიცი-

ნებს, მაშინ გამოუჩნდებაო. იმ ბიჭს შენი სიყვარული ჩუუვარდება გულში. მარა ვერ გამოარკვევენ გოგო ხარ თუ ბიჭი ხარ.

ეს გოგო მართლაც მივა მათთან. ბიჭი ეტყვის დედას, რომ ეს გოგოა და კაცის ტანისამოსი აცვიაო. დედა ეტყვის, რომ მაშინ წევიყვანოთ ქალაქში და თუ აქეთ-იქით ყურება დეიწყო, მაშინის ქალი იქნება და თუ არ დეიწყო, კაციო. წეიყვანეს ქალაქში, მარა ვერაფერი ვერ მიხდენ. წამოვიდენ უკან. როცა მოვიდენ, გოგომ დაძინებულ ბიჭს მოპარა ალმასის ქვა, შეჯდა მის ცხენზე და უნდა წამოვიდეს, მარა ცხენმა კარებში ვერ გამიეტია. მაშინ ცხენმა წაუხტა ყავრითავზე და იქიდან გადმოვიდა. გამოვიდა და გზაში შეხვდა ბევრ კდრებს. გოგოს არ შეშინებია. ბიჭი დეინახა ხეზე ასული, რომელიც უძახდა: ლუკმა პური შემაჭამეო, მაგრამ გოგომ არ მიხედა. გამოაჭენა ცხენი და მოვიდა ხელმწიფესთან. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა და ეს გოგო ძლიერ მოეწონა. გლეხის გოგოა, მარა ნამდვილათ ვაშკაცი ყოფილა. ეს ღირსია იმისა, რომ იყოს ჩემი რძალიო. ხელმწიფემ გედეიხადა დიდი ქორწილი, გოგოს დაუთმო ხელმწიფობა.

ფადიმეი

Ერთ კაცს ყავდა ერთი ცოლი, რომელიც მოუკდა და მისგან დარჩა ერთი გოგო, რომელსაც სახელად ფადიმეი ერქვა. ამ კაცმა სხვა ქალი მეიყვანა. ამ ქალს თან წამოყვა თავისი ერთი ქალიშვილი. დედინაცვალი ფადიმეს კარგად არ უარებოდა. ეს ფადიმეი იყო ძალიან ლამაზი, იგი მოაწონდა ერთ ბიჭს და ფადიმეი იმან დეინიშნა. მოაწია ქორწილის დრო, ფადიმეს ლამაზად ჩააცვეს, დაახურეს და წეიყვანეს. დედინაცვალი ძალიან გაბრაზებული იყო, რომ ჩემი გოგო რატომ ვერ გავათხოვეო. მეც უნდა წავიდე ქორწილშიო. გზაში ფადიმეს ძალით გახადა ტანისამოსი, ჩააცვა თავის გოგოს და ფადიმეი ზღვაში გადააგდო. მიიყვანეს გოგო, მას პირი დაბანეს, უნდანან გაალამაზონ, მარა სახეზე რაცხა გამოუვიდა და გუუსივდა. ბიჭმა რომ დეინახა ეს გოგო, თქვა, – ეს ჩემი ფადიმეი არ არის, მე მაგას ცოლად არ შევირთავო. მაგრამ ახლა გვიან იყო. ქორწილი იყო დანიშნული. ამ ბიჭს ეს გოგო ძალით დაუტოვეს.

ერთ დღეს ეს ბიჭი წევიდა სათევზაოდ. გაისროლა ბადე და ამოიყვანა გოგო. ამ ბიჭმა გოგოს უთხრა, – სიდავრი ხარო, აქ რამ მოგიყვანაო? გოგომ უთხრა, რომ მე ვიყავი გათხვებული, როდესაც მიყავდენ ჩემი თავი ქმართან, გზაში დედინაცვალმა გამხადა ტანისამოსი და მის გოგოს ჩააცვა, მე კი ამ ზღვაში გადმომაგდოვო. გოგომ უთხრა თავისი სახელიც. ეს გოგო იყო ფადიმე. ბიჭმა უთხრა ფადიმეს ყველაფერი და წაიყვანა სახლში. ის პირველი ქალი გააგდო სახლიდან, დედინაცვალიც, გამოაბეს ცხენის კუდზე და გაუშვეს.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ტარიელაძე ენვერ.
ასაკი: 65 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ბარათაული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. ბარათაული.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ტარიელაძე ენვერ, დაბადებული 1934 წ. სოფ. ბარათაულში, წერა-კითხვის მცოდნე, ნამყოფია ყაზახეთში და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. იცის ლექსები და ზღაპრები.

ნატვრა

ოერთს მიეცა ჩემთვის ბედი,
კარგი ქალი მყოლოდეს,
შუშაბანდიანი სახლი
სამი არტაჟა მქონდეს.
შით მორთული ჩემი ქალი
პალკონზე იყურებოდეს,
გამლელი და გამომლელი
მისი ცქერით დნებოდეს.
შვიდი-რვა მაღაზია
პეტრი ბოლში მქონოდეს.
ნიზნიანი ფაითონები
მე ზანიატში მყოლოდეს.
ნიკოლა ჩვენი ხენწიფე
პრიკაზიკად მყოლოდეს,
თავისი ქალიშვილები
საყვარლად მყოლოდეს.
მილიონობით ფული მქონდეს,
მათთვის არ დამლევოდეს.
ოქროს ფული გავსებული
მე პორტმალით მქონოდეს.

მიხეილ ნიშნიანიძე
მოსამსახურედ მყოლოდეს
და იმისი უჩიტლები
მოსიმღერედ მყოლოდეს.
ოცდახუთი კამბეჩი
მოსაწველად მყოლოდეს,
ოცდა ხუთი თეთრი თხაჲ
საბალახოთ მყოლოდეს.
ოცდახუთი ცხემლის ფაცხა
მოჩელტილი მქონოდეს,
აბაზიანი ჭილოფი,
მოგებული მქონოდეს.
კაჲ გათლილი წაბლის სარი
სართომალად მქონოდეს.
ერთი კეცი ცივი ჭადი,
მე სადილად მქონოდეს.
შვიდი დღისა ცივი ლობიო
მისაჭმელად მქონოდესო.
ერთი კოკა ცივი წყალი
დასალევად მქონოდეს.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: მამალაძე გიორგი ღეზალის ძე.
ასაკი: 18 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ბარათაული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ბარათაული.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

მამალაძე გიორგი ღეზალის ძე, დაბადებული 1941 წ. სოფ. ბარათაულში, საშუალო განათლების. ნამყოფია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები, რომლებიც მოსმენილი აქვს ხალხისგან.

ქაცა ლანა

Ყვნენ ღარიბი დედა და შვილი. აგინი იყვნენ ძალიან გაჭირვებული. მხოლოდ ყავდენ სამი ქათამი, მეტი არაფერი არ გააჩდენ. ერთ დღეს დედამ უთხრა შვილს, რომ, წეიყვანე ერთი ქათამი, შვილო, გაყიდე, მეიგე ფული და ეგება, რაიმე მეიტანო და ვჭამოთო. მართლაც წეიყვანა ამ ბიჭმა ეს ქათამი და შეხდა ერთი კაცი, რომელსაც მიყავდა ძაღლი. ამ ბიჭმა შეეკითხა, რომ სად მიგყავს მაჲ ძაღლიო? კაცმა უთხრა, რომ მე ჩემი საჭიმელი პური არა მაქვს, ამას რა უნდა ვაჭამოვო. ამიტომ ეს ძაღლი მიმყავს, რომ დავახრჩო საცხაო. მაშინ ამ ბიჭმა უთხრა: აჰა, შენ ერთი ქათამი და მომეცი ძაღლიო. მართლაც, ამ კაცმა იფიქრა, რომ ძაღლი მაინც უნდა დავარჩო. ქათამს თუ მომცემს, მივცემო. მისცა ქათამი ამ ბიჭმა და ძაღლი წეიყვანა სახლში. მივიდა სახლში და დედამის ძალიან ეწყინა, რო ეს ძაღლი რათ გინდოდა, ჭადი ჩვენთვის არ გვაქო. დედამისმა ამ ბიჭს მეორე ქათამიც გაატანა გასაყიდად. ამ ბიჭს შეხვდა სხვა კაცი, რომელსა მიყავდა კატა წყალში დასახრჩობად. ამასაც ასე უთხრა, – მომეცი მეგ კატა და ამ ქათამს მოგცემო. დედამისს ძალიან ეწყინა. ბიჭმა დედას უთხრა: – რა ვქნათ, დედი, ეს არის ჩვენი ბედიო. დედამ ეიღო და მესამე ქათამიც გაატანა გასაყიდად. იარა, იარა და მივიდა ერთ მინდორზე. ამ ბიჭმა ძალიან დეიღალა და დაწვა ამ მინდორზე. ამ ბიჭს დაეძინა. გამეიღვიძა, რომ მისი ქათამი არსად არ იყო. ადგა და დაიწყო ძებნა. გზაში შეხვდა გველი. ბიჭს ეგონა, რომ ამ გველმა ნამდვილათ მომპარა ქათამიო და მოკლა ეს გველი. კიდევ ეძებს ქათამს, რომ სადმე ბუდეში ეყოლებაო. მივიდა, ნახა, რომ გველის შვილი იყო მხოლოდ ბუდეში. ამ გველის შვილმა უთხრა, რომ დედაჩემი შენ მოკალიო. ახლა წადი ამა და ამ ადგილზე არის რძე. ცოტა ძნელია მისი მოტანა, მაგრამ მოიტანე იგი როგორმეო. იმას რომ მოიტანთ, დედაჩემი გაცოცხლდებაო. როცა დედაჩემი მორჩება და გეტყვის, – რა გაჩუქვოთო, მაშინ შენ არაფერი არ უთხრა. უთხარი, რომ თუ მაჩუქვებთ, მაჩუქვეთ ჯაყვაჲ დანაო. წევიდა ეს ბიჭი რძის მოსატანათ. ნახა ეს რძე და მოიტანა. ამ რძის საშვალებით მართლაც გააცოცხლა გველი. ადგა გველმა, მოისვა თვალებზე ხელი და თქვა: – უხ! რამდენი მიძინიაო. ბიჭმა უთხრა, რომ კი არ გიძინია, გახსოვს მე მოგკალიო, მაშინ მოაგონდა გველს, რომ ის იყო მკვდარი. მე რომ გამაცოცხლე, რა დაგასაჩუქროვო. მან უთხრა, რომ მე არაფერი არ მინდა და თუ მაჩუქვებ, მაჩუქვე ჯაყვაჲ დანაო. მე არ გიმიძნელდება მაგის ჩუქვება, მაგრამ შენ მას ვერ მოიხმარ, დაგეკარგებაო. – არაო, არაო, არ დამეკარ-

გებაო, – უთხრა ბიჭმა. გველმა მისცა ჯაყვაჲ დანა. ეს ისეთი დანაა, რომ გეინურიო გულში რაცხა, იმ წუთში ის გიგიჩნდება. ბიჭი მივიდა სახლში, დედა მას უცდიდა, რომ რამეს მეიტანდა შვილი და ჭამდა.

მშიერმა დედამ რომ დეინახა ხელცარიელი შვილი, ძალიან ეწყინა. შვილმა დედას უთხრა, რომ დედი საჭმელი მაჭამეო. დედა ძალიან გაბრაზდა და უთხრა:– რა უნდა გაჭამო. ერთი ქათმები გვყავდა, ისიც წეიყვანე და სად წეიყვანე, კაცმა არ იცისო. არა, დედი! ქილერში პურებია და მომიტანეო. დედა შევიდა ქილერში (საკუჭნაო ოთახი), ნახა, რომ გობში თეთრი ბუხანკა პურები აწყვია. დედას ძალიან გაუხარდა, დედა მიხვდა, რომ ჩემი შვილი რაღაცა ეშმაკობას აკეთებსო. ამ დღიდან ამ ბიჭმა ამ დანით დეიწყო გაზენგილება და ერთ დღეს ეს ჯაყვაჲ დანა ვინცხამ მოპარა. ეს დანა რომ ქონდა სახლში, ყველას: დედას, კატას, ძაღლს – კარგად უვლიდა.

ძაღლმა და კატამ თქვეს, რომ ჩვენი პატრონი ძალიან კარგად გვივლიდა და როცა ეს ჯაყვაჲ დანა დაკარგა, ჩვენი საქმეც მაშინ წახტაო. მათ თქვეს: – მოდი და ეს ჯაყვაჲ დანა ვნახოთო. მართლაც წევიდნენ კატა და ძაღლი ჯაყვას სანახავად. გეიარეს ზღუა, გევიდენ ხმელეთზე. აქ ნახეს რაღაცა საშუალებით ეს ჯაყვაჲ. წამოვდენ ზღვაში და დეიწყეს ჩხუბი, რომ არა მე მუუტანო პატრონს, არა – მეო. ძაღლმა მოუგო კატას, შეისვა კატა ზურგზე. ჯაყვაჲ დანა დეიკავა პირში და წევიდა. ნაპირზე რომ მიუახლოვდენ, დანა პირიდან ძირში გაუარდა, დეინახა თევზმა და გადაყლაპა ეს ჯაყვაჲ დანა. დაღონდენ, ძაღლი და კატა. რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჯაყვაჲ დანა რაცხაფერათ უნდა ვნახოთო. დეიწყეს ძებნა. ბევრი ეძებეს თუ ცოტაჲ ეძებეს, ამ დროს გამეიარა ერთმა მეთევზემ. დეინახა, რომ ძაღლი ტიროდა. მეთევზეს ეგონა, რომ ძაღლს შიაო. მეთევზემ აიღო და ერთი თევზი გადაუგდო. ეს თევზი ძაღლმა გახლიჩა და მისი ჯაყვაჲ დანა გამუარდა. ეს დანა ძაღლმა დიდი სიხარულით წეიღო. მათ გზაში შეხვდათ ერთი კაცი, ძაღლმა ამ კაცს შეყეფა და კიდევ გაუარდა ძირში დანა. ამ კაცმა დეინახა თუ არა დანა, დაახტა. ამ დროს კატამ ამ კაცს დაეცა თავში, ხოლო ძაღლმა კი ფეხებში ეტაკა. შიშისგან ამ კაცს გაუარდა ხელიდან ჯაყვაჲ დანა. დაახტა ამ დანას ძაღლმა და გაიქცა. კატამ აართვა დანა, რომ შენ კიდევ გაგივარდება და დევიღუპებითო. მიუტანეს ჯაყვაჲ დანა პატრონს.

პატრონს ძალიან გუუხარდა, გადაკოცნა კატა და ძაღლი. ამ ჯაყვა დანით ეს კაცი გახტა მდიდარი და ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდა.

ფარის მოსაგებში წასული კაცი

Ერთი კაცი წასულა ფარის მოსაგებში. უმლია, უმლია და მისულა ერთ სოფელში. ერთ მოსახლესთან დამდგარა და უთქმია, რომ მე ძალიან ღარიბად ვცხოვრობ და დემეხმარეო. ამ კაცს ხუთი მანეთი მიუცია და თან უთქვამს: ჩვენ სასოფლო კოპერატივი გვაქვს, მიდი იქ, ჭამე-სვი და ფულს რომ მოგთხოვენ, უთხარი: – ფული რაში უნდა მოქცე, მე ასეთ ადგილს ვეძებდიო. მართლაც წევდა ამ მაღაზიაში და სწორედ ასე მოიქცა. წევიდა მატერიის მაღაზიაში, იყიდა ბევრი მატერია, მოთხოვეს ფული, აქაც ისე უთხრა: – რაში უნდა მოგცე ფულიო, მე ასეთ ადგილს ვეძებდიო. ეს კაცი წავიდა და მივიდა იმ კაცთან, რომელმაც აჩუქვა ფული და დაარიგა.

ამ კაცს უთხრა, რომ მე აქ უნდა დავბინავდეო. მან უთხრა, რომ შენ აქაურ წესებს ვერ შეასრულებო, – არა შევასრულებო. ითხვა იქაური ქალი და დეიწყო ცხოვრება. ერთ დღეს მოთიბა პური, გაავიდრდა და ქალს უთხრა, რომ პურს ვუშველოთო. ქალმა უთხრა, რომ შენ ახლა დიდი ცოდვა ისაქმეო. რატომო? – უთხრა ქალმა. – რატომ და, ის პური ღმერთმა მეიყვანა, წვიმაც ღმერთმა მეიყვანა, რატომ ერევი შენ ღმერთის საქმეშიო. ქალმა უთხრა, რომ შენ აღარ ხარ ჩემი ქმარიო.

კაცი ადგა და წევდა იგი პირველ ნაცნობ კაცთან, რაცხა მიშველეო, ჩემ ქალმა მითხრა, რომ შენ არ ხარ ჩემი ქმარიო. ამ კაცმა უთხრა, რომ ღმერთის საქმეში გიერიეო, აღარ ხარ ახლა ჩემი ამხანაგი, შენ მუსლიმანი არ ყოფილხარო. მართალია, მე არ ვარ მუსლიმანი, მაგრამ შენ კი კაცი არ ყოფილხარო, – მიუგო ამ კაცმა.

დათვი და მელაჲ

დაჰმობილდა მელაჲ და დათვი. მელამ უთხრა დათვს, რომ შენ სახელად გქვია დათვი, მე კი მქვია მელაჲ, შენ ჩემ სიტყვით არ გეიარო. მე გამფრინველ ჩიტსაც კი ვატყვილეფო. დათვმა უთხრა, რომ მე შენი სიტყვით ყველთვინ გევიარო. მელამ და დათვმა გაიარეს დიდი გზა. ერთ ადგილზე ხაფანგი იყო დაგებული. მელამ მიხტა და გზის კისერზე შეუხვია. დათვმა უთხრა: – არხატაშო! რატომ შეუხვიე გზასო. მელამ უთხრა, რომ მაქ ბელა არის და მაგ ბელას ვერიდებიოო. დათვმა უთხრა, რომ ის პაწაჲ ბელა არის, მე ვერაფერს ვერ მიზამსო. დათვმა არ დუუჯერა მელას და განაგძო გზა, წაადგა რამდენიმე ნაბიჯი და დათვი ხაფანგში მეიბარგა. დათვმა დაუწყო ხვეწნა მელას, რომ მოდი და მიშველეო. მელამ უთხრა, რომ შენ ჩემი სიტყვით რომ არ გეიარე, არაფერს არ გიშველიო. მეგ ხომ პაწაჲ ბელა არი, ხვალ დიდი ბელა იქნება, როდესაც მოვა მაგ ხაფანგის პატრონიო. ამ სიტყვებთან ერთად მელაჲ სადღაც გაქრა.

თაგვების კრება

თაგვებმა კრება მოიწვიეს. ერთმა თაგვმა სიტყვით გამოვიდა და თქვა: – თაგვებო, ჩვენ კატა ჩუმათ წამოგვეპარება და გვჭამს, გვიჭამს შვილებს, ასე არ შეიძლება, რაცხა ღონისძიება უნდა მივიღოთო. ერთმა თაგვმა წინადადება შეიტანა, რომ კატისთვის ეჟვანი შეებათ. ეს ყველამ მოიწონა. კრება იშლებოდა, ერთი თაგვი ადგა და გაამცხადა: – კატას ეჟვანი რომ შევაბათ, ეს ძალიან კარგია, მარა იმას რატომ არ ამბობ, ვინ შეაბამს კატას ეჟვანს. ვერც ერთმა ვერ გაბედა ეს საქმე. კრება დეიშალა.

* * *

იყო ერთი კაცი. წასულა ფარის მოსაგებად. მისულა ერთ სოფელში, დამდგარა ერთ კაცთან ღამის გასათევებლად. იმ კაცს ერთი წელიწადი ემსახურა. ამ კაცმა სამი ალთუნი ფული მისცა და თანაც უთხრა სამი ჭკუა უნდა გასწავლო, მარა თუ ალთუნს მომცემო. ამ კაცმა მისცა სამი ალთუნი და იმანაც სამი ჭკუა ასწავლა.

1) შენ რომელცხა გზით წახვალ, იმ გზით წადი, სხვისი ნასწავლი გზით ნუ წახვალო.

2) ჰაცხა რომ კრება იქნება და თუ იქ შენ სიტყვა არ გეკუთვნის, ენა არ ამეიღოვო.

3) ვინცხასთან რომ მიხვალ ღამის გასათევებლად და რაც უნდა საკვირველი რამე ნახო, შენ არ გაგიკვირდეს, მის შესახებ კრინტიც არ დაძრაო.

ამ კაცს ყავდა ერთი ცხენი. კაცმა ქალს უთხრა, რომ შენ თუ ამ კაცმა გითხრა, რომ ერთი წელიწადია ჭადი მიცხე, საჭმელი მაჭამე და დიდი მადლობელი ვარ შენიდანო, მაშინ ეს ჩვენი ცხენი ვაჩუქვოთო. ტანისამოსიც ვაჩუქვოთო. თუ არაფერი მადლობა არ გედეიხადა, მაშინ რამე არ ვაჩუქვოთო. კაცმა ხაზეინს დიემშვიდობა და უთხრა, რომ ერთი წელია ჭადი მიცხე, საჭმელი მაჭამე და ალალი მიყავიო. ქალმა აჩუქვა მას ცხენი და ხასი ტანსაცმელი. კაცი შეჯდა ცხენზე და გადაკიდა ჰეგბა და წევიდა. ევიდა ერთ მთაზე, იქ შეხვდენ ყაჩაღები. ამ ყაჩაღებმა უთხრეს, რომ მაქეთ ნუ წახვალ, აქეთ წამოდიო. ამ კაცმა უთხრა, რომ მე ეს გზა ნაყიდი მაქვს, მე ჩემი გზით წავალ და თქვენ, სადაც მიხვალთ, ჯობია, იქ წახვიდეთო.

ეს კაცი ჩევიდა ერთ სოფელში, დუუღამდა და დადგა ერთ კაცთან. იმ კაცს ერთი ქალი და მოსამსახურე თმებით ყავდა თავანში დაკიდული. ამ კაცს ძალიან გაუკვირდა, მარა არაფერი არ უთქვამს. დაკიდულებმა შეეხვეწენ, რომ ამ კაცს ეთქვა სახლის პატრონისთვინ და ისინი გიეთავისუფლებია. ამ კაცმა უთხრა, რომ ეგ ჩემი საქმე არ არისო. იმ სახლის პატრონს მუხლზე ქონდა დადებული დიდი ბაყაყი და ამ ბაყაყს ხელს უსვამდა. მან შეეკითხა სტუმარ კაცს, რომ რაფერ მოგწონს შენ ჩემი საქმე, რომ ბაყაყს ვუსვამ ხელსო. მან უთხრა, რომ შენ რაც მოგწონს და გიყვარს, იმას უსვამ ხელს, აქ არაფერი არ არის გასაკვირიო. შემდეგ სახლის პატრონმა შეხედა თავანში და თქვა: – ის ჩამოკიდული ქალები რომ გეხვეწებიან, რატომ არაფერს არ უკეთებო. კაცმა თქვა, რომ მეგ არ არის ჩემი საქმეო. ხაზეინმა უთხრა: – ჰაიდე, წამოდი ახლა ჩემთანო. შეიყვანა და ყველა ოთახები მოანურია, მე ასეთი მდიდარი კაცი ვარ. ჩემს სახლში ჭამა არ აკლიან და სმა. მარა ერთმა ჩემმა უნამუსო ქალმა ერთი არაბი შეიყვარა და ახლა იმიტომ მყავს ისინი თმებით ჩამოკიდებულიო. სახლის პატრონმა ამ კაცს აჩუქვა ფული. კაცმა შეაჯდა ცხენს და გააჭენა თავისი სახლისაკენ.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: გოგრაჭაძე მიხეილ ახმედის ძე.
ასაკი: 12 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ვარჯანაული.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი სოფ. ვარჯანაული.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

გოგრაჭაძე მიხეილ ახმედის ძე, დაბადებული 1947 წ. სოფ. ვარჯანაულში. მე-5 კლასის მოსწავლე. იცის ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და გამოცანები, რომლებიც მოსმენილი აქვს მის სოფელში მოხუცებისგან.

შაირები

რათა გავჩნდი ქვეყანაზე,
რათა გავჩნდი ამ ბედისა,
ზოგიერთ ორი ქალი ყავს,
მე კი ერთიც არ მელირსა.
...
გზაზე შემხდა ვიღაც ნინა,
გავუცინე, გამიცინა,
არშიყობა რომ დავუწყე,
მამაძაღლი შემაგინა.
...
– ბიჭო, პალტო შემიკერეს,
მოუკელი განსა,
დედაშენი ვერ იშოვნის
ჩემისთანა ძალსა.
...
გოგოვ, კაბა შეგიკერავს,
მოუკელი სიგძესა.
დედაშენი ვერ იშოვნის
ჩემისთანა სიძესა.
...
თეთრი ლენტი, შავი ლენტი,
გოგოვ, რა გაქ ჩემზე მეტი,
სილამაზით მე გჯობივარ
სიმაღლე გაქ ცოტა მეტი.
...
აკოშკაზე ქვა შემოვკარ,
გადმოვარდა ფიცარიო.
გოგოვ, ერთი შემომხედე,
რა ბიჭი ვარ, მიცანიო.
...
მე რომ გიტარას ავაწყობ,
ვათქმევიებ ლალესაო.
შეყვარებულს ვარს რომ ვეტყვი,
თან დავუთხრი თვალებსაო.
...
მაღლა სერსა რომ ეველი,
გედევხედე–დიდი ყანა,
ჩემს საყვარელს რომ დევნახავ,
რაღათ მინდა ეს ქვეყანა.
...
მაღლა სერზე რომ ეველი,
წისქვილია გატეხილი,
გოგვებო, კარი ჩაკლიტეთ,
ბიჭები არიან ატეხილი.

ზულფიყარი

Ყო ერთი კაცი. იმას ყავდა ერთი ცოლი. ის იყო მეტად ღარიბი. ერთხელ ის წავიდა ფულის საკრეფში, ქალი დატია ფეხძიმეთ. კაცმა მოიგო ფული და დაბრუნდა სახლში. ნახა, რომ მის ცოლს გველი ყოლოდა. ქალს რომ გველი ეყოლა, კალათაში ჩადვა. გველმა კალათადან წამოყო თავი და მამამისს უთხრა: – გამარჯობა, მამიკო. ამ დროს კაცმა გაშეშდა. გველმა უთხრა, რომ, რის გეშინია, მე შენი ნამდვილი შვილი ვარო. მეორე დღე რომ გათენდა, გველმა უთხრა, რომ ხელმწიფის გოგო მომიყვანე ცოლადო. ის რომ არ მომიყვანო, ამაღამ არ გაცოცხლებ, შეგჭამო. ამ კაცს შიეშინდა და წევიდა ხელმწიფესთან. მივიდა და უთხრა, რომ შენი ციცაჲ მომეცი ძლათო. ხელმწიფემ უთხრა, რომ ორ დავალებას მოქცემ, თუ შეასრულებ, გოგოს მოქცემო. კაცი წამოვიდა სახლში და მის შვილს, ე.ი. გველს უთხრა, რომ ხელმწიფემ მითხრა, რომ გოგოს მოქცემ თუ გააკეთებ ოქროს სახლსო. გველმა უთხრა: – შენ გაკეთებიდან ნუ გეშინია. წადი იმ კილდეში. იქ კაცები ჭამენ საჭმელს, მათ რომ ფუნჩხები დარჩება, ის წამეიღე სახლშიო. გზაში აპნიე, უკან არ მიიხედოო. კაცმაც მართლაც წევიდა. მივიდა იქ და საჭმელით რომ გაძღა ხალხი, დარჩა ფუნჩხები (ნამცეცები), ისინი წამოიღო, გზაში ამ ფუნჩხებს აჩეჩებდა (ყრიდა). მოვიდა სახლში, დაწვა ლოგინში. დილას ნახა, რომ ოქროს სარაია სახლი გაკეთებული დახდა. მივიდა ფადიშაჰთან და უთხრა, რომ გავაკეთე სახლიო. ფადიშაჰმა უთხრა, რომ ჩემ სახლიდან შენ სახლამდე ოქროს ხიდი გააკეთეო. მოვიდა კაცმა სახლში და თავის შვილს უთხრა, რომ ხელმწიფემ მითხრა, რომ ჩემ სახლიდან შენ სახლამდე ოქროს ხიდი გააკეთეო. გველმა უთხრა,– წადი კიდევ იმ კილდეში, ის ხალხი ჭამენ ყურძენს და შენი წამეიღე ყურძნის გარეთაჲ კანიო. მან მოვიდა ფადიშაჰის სახლთან. ყურძნის გარეთაჲ კანი მის სახლამდე დაყარა, მივიდა სახლში და დაწვა ლოგინში. დილაზე როცა ადგა მან, გაიხედა და დაინახა, რომ მის სახლიდან ფადიშაჰის სახლამდე ოქროს ხიდი იყო აგებული. მეორე დღეს მივიდა ისევ ფადიშაჰთან და უთხრა, რომ ხიდი გავაკეთეო. ფადიშაჰმა უთხრა, რომ ახლა ჩემ ციცას მოგცემ, მარა ისეთი საჭმელი უნდა გაამზადო ქორწილში, რომ ჯერ ქვეყანაზე არსად ყოფილაო. მან გააკეთა ისეთი საჭმელები, რომ მართლაც ჯერ არ ყოფილა ქვეყანაზე. ხალხი მოვიდნენ ქორწილში. მექორწილემ მეისეირეს და ისევ წავიდენ სახლებში. გოგოს ოთახში შევიდა გველი და პოლზე გაიშხლართა. გოგომ ხან იქითა კედელზე მოხტა და ხან აქეთაზე. გველმა უთხრა, რომ შენ მაინც ჩემი ხარ, ჰად წამიხვალო. მოდი და თავზე ბისმილით ხელი დამირაკუნეო. გოგომ მივიდა და ხელი დაურაკუნა. ამ დროს გველის ჩონჩხი გადაიძრო და გაჩნდა მზეთუნახავი ბიჭი. გოგომ გადაეხვია. გოგო გააფრთხილა მან, რომ, შენი დედა თუ მოვა, კარი არ გაუღო, მე მას არ დევენახებიო. მაგრამ კარი ღრიჯედ დარჩა და როდესაც მისმა სიდედრმა იქიდან ოთახში შეიხედა, იმ ბიჭმა დეინახა სიდედრი. იმ წუთში ბიჭი გაფრინდა. ამ გოგომ დაიწყო ტირილი. ის ხედავდა, რომ მისი საქმრო წკრიალით მიქროდა ცაში. გოგომ შვიდი გზის წვერზე სასადილო გააკეთა. ვინც მისი საქმროს, ზულფიყარის ამბავს ეტყოდა, მას უფასოდ საჭმელს აჭმევდა.

ერთმა დედემ გეიგო ეს ამბავი და წამოვიდა ამ სასადილოში. მოვიდა ერთ ალიგზე. მას შეხვდა წყარო. წყაროს სმა რომ დეიწყო, რაცხა ციდან რანწკარუნწკით წამოვიდა, ეს დედეჲ დაიმალა ავაზნის ქვეშ. ჩამოფრინდა რაღაც უცნაური რამ, ეს იყო ზულფიყარი, მაგრამ ისეთი

ნიღაბი ქონდა, რომ კაცი ვერ იცნობდა. ამ დედემ იცოდა, რომ ზულფიყარი ცაში იყო გაფრენილი. ზულფიყარმა წყალი აადინა და გაფრინდა ცაში. ამ დედემ მივდა იმ სასადილოში და უთხრა, რომ მე გეალპარიკები ზულფიყარის ამბავსო. მე მოვდიოდი, გზაში ავაზანი იდგა. იმ ავაზანში წყალი უნდა მესვა. ამ დროს რანწკარუნწკი მომესმა, შევხედე, რომ ციდან რაღაც მოდიოდა, ის იყო რაღაც უცნაური. მე ავაზნის ქვეშ შევშპი. იმან წყალი აავსო და ისევ გაფრინდაო. იმ დედემ უთხრა, რომ მიდი და იმ ავაზანთან დაიმალეო. მართლაც, გოგომ მივდა იმ ავაზანთან და დაიმალა. იმ საღამოს კიდევ რანწკარუნწკით წამოვიდა რაღაცა. ის იყო ზულფიყარი. ჩამოვიდა ძირს, წყალი აავსო და იმ გოგომ ზულფიყარს შეახტა და ზულფიყარმა ის გოგო ცაში წაიყვანა. გოგო წაიყვანა და აიყვანა სახლში, კიბეზე დააჯდუმლა. ზულფიყარმა სახლში რომ შევიდა, მისმა მეთაურებმა უთხრეს, რომ ადამიანის სული გვცემსო. ადამიანის სული ზაათი გეცემიან, მე ხომ ადამიანის მუცლიდან ვარ გაჩენილიო, - უთხრა ზულფიყარმა. იმ მეთაურებმა ზულფიყარს უთხრეს, რომ კიბეზე რომ გყავს, ის წაიყვანე და წადი, რაც გვემსახურე, ალალი გვიყავიო. ზულფიყარმა წამეიყვანა თავისი ცოლი სახლში. მათ დაიწყეს ლამაზათ ცხოვრება. ამ დროს ზულფიყარს მშობლები გარდაეცვალა. დარჩნენ ისინი მარტვაჲ. ისინი გახდენ ძალიან ღარიბი. ის ოქროს სახლი რომ ქონდათ, ისიც გაუქარდათ და კვლავ დაიწყეს ფულის კრეფა. ის სასადილო კი გოგომ იმ დედეს აჩუქვა.

თხის ქალი

Ყო და რა იყო, იყო ერთი ქალი, მას ყავდა შვილი. ისინი იყვნენ ძალიან ღარიბი. მათ ყავდათ ერთი ძროხა. დედამ თავის ბიჭს გაატანა ძროხა გასაყიდად. ბიჭს გზაზე შეხვდა ექვსი კაცი. ერთმა კაცმა უთხრა, რომ სად მიგყავს მეგ თხაო? ბიჭმა უთხრა:– ეს თხა არ არის, ეს არის ძროხაო – როგორ თუ ძროხა არის. მეგ თხა არის, მომყიდე მეგაო. ბიჭმა უთხრა: – ამას არ ვყიდიო. ბიჭს მეორე კაცმა უთხრა, რომ სად მიგყავს მაჲ თხაო? მან უთხრა: ეს თხა არ არის, ეს არის ძროხაო. მომყიდე მეგ თხაო, – არა! არ ვყიდიო. ბიჭმა გააგრძელა გზა. კიდევ შეხვდა მეოთხე კაცი, ამანაც ასე უთხრა. მე-6 კაცმა უთხრა, რომ სად მიგყავს, ბიჭო, მაგი ძროხაო? ეს მიმყავს გასაყიდადო. ეს ძროხა ამ კაცმა იყიდა ორ ქისა ალთუნზე, წამეიყვანა სახლში, დაკლა და ბიჭს ფული აღარ მიცა. ბიჭმა დაღონებული მივდა სახლში, ჩაიცვა ქალის ურუბა და წავიდა იმ კაცთან, ვისაც ძროხა მიყიდა. მივიდა მის სახლის კისერ. ამ ბიჭს ხელში ეჭირა ხოჯის საკითხველი წიგნი. ქალებმა გამეიხედეს გარეთ და დეინახეს ეს „ქალი“. მათ ეგონენ ეს ქალი მკითხავი. ჩამეიყვანეს სახლში და უთხრეს, რომ ჩემმა ქმარმა ერთ ბიჭიდან იყიდა ძროხა და ფული არ მიცაო. ამის შემდეგ ჩემი კაცი ლოგინშია ჩავარდნილი და რამე უშველეთო. იმ ბიჭმა უთხრა, რომ თქვენ წადით სახლიდან და მე ამას მოვარჩენო. სახლში არავინ არ დარჩა. ბიჭმა უთხრა ავადმყოფს, რომ მე ძროხა რომ მოგეცი, იმის ფულს რატომ არ მაძლევ? მან უთხრა: – შენიდან ძროხა როდის ვიყიდეო. – როგორ თუ არ გიყიდიაო, წამოაქცია და კინით ცემა. – ახლა ადექი და თქვენი ოდიების გასაღები მომეციო. მან როდესაც კილტე მისცა ბიჭს, ბიჭმა თან წაიყვანა ოთახების მოსანურიებლად. პირველ ოთახში როცა შავიდნენ, იქ

დაინახა მან ერთი ოთახი სავსე ოქრო. მან ის კაცი მეორე ოთახში შეიყვანა, თავანში იყო ჩამოკიდებული მარყუჟი. – ეს რა არისო? – შეეკითხა ბიჭმა. კაცმა უთხრა, რომ ვინცხაჲ ჩვენთან მოვიდოდა, ამაში თავს შევაყოფიებდით, დავარჩობდით და საპნათ ვაქცევდითო. –გაყე, აბა, როგორ აკეთებდითო. კაცმა გაყო თავი და ბიჭმა წაუჭირა და დაახრჩო. ბიჭმა დააღო ყველაჲ ოთახი, გამეიტანა ყველაჲ ქონება გარეთ და სახლში წამოიღო. სახლს კი ცეცხლი მოუკიდა. მან გააკეთა სარაჲა და ტკბილათ დეიწყო ცხოვრება.

ნაცარქექიაჲ

Იყო ერთი კაცი, მას ყავდა ცოლი. ის ყანას რომ დათესდა, ერთი ჩიტი მიადგებოდა და ყანას შეჭამდა. ამიტომ ეს კაცი მუდამ იყო ღარიბი. ამ კაცმა იმ ჩიტს დუუდარაჯა. უნდოდა, რომ იგი მოეკლა. ამ კაცმა ის ჩიტი დეიჭირა და უნდა მოეკლა. ჩიტმა უთხრა, რომ თექ არ მომკლა. იმფერ რამეს გამოგატან ჩემ სახლიდან, რომ შენს სიცოცხლეში გამოგადგებაო. კაცი მივიდა ჩიტის ბუდესთან. ჩიტმა გამოფრინდა გარეთ და სუფრა გამოუტანა. უთხრა, რომ ეს წეიღე და რასაც გულში გეინურიებ, ის გაჩინდებაო. კაცმა წამოიღო სუფრა. როცა მოვიდა სახლში, ამ სუფრის საშუალებით მდიდარი გახტა. მან დაპაიჯა სახლში ხელმწიფე, რომ კამპანია უნდა გადაეხადა. ხელმწიფემ იფიქრა, რომ ეს რაფერ გახტა ისეთი, რომ ჩემი საკადრისი საჭმელი უნდა გაახაზიროსო. ხელმწიფე მივიდა მასთან და ამ დროს ამ ნაცარქექიამ სტოლი გააწყო, ზედ ყველაფერი იყო. ისეთი საჭმელი ხელმწიფეს ჯერ არ ეჭამა. ხელმწიფემ უთხრა, რომ,– მაჲ სუფრა მომყიდე და ერთ ოქროს მოგცემო. ის სუფრა მიყიდა. ნაცარქექიამ მივიდა ისევ იმ ჩიტთან. ჩიტმა გამუატანა ჯოხი. ეს ჯოხი შენ დაგჭირდებაო. ჯოხს ეტყვი: ეცი ჯოხოვო, და ჯოხი შენ ვინც გინდა, იმას ცემსო. ნაცარქექიამ წამოვიდა სახლში. მოვიდა სახლთან, რომ ცოლ-შვილი თვალებცრემლიანი დახვდა. რატომ ხართ ასეო? - შეეკითხა ნაცარქექიაჲ. ცოლ-შვილმა უთხრეს: – ერთმა კაცმა მოვიდა და გვითხრა, რომ თქვენ სახლი არ გინდებიან, ეს სახლი ჩვენი უნდა იყოსო და სახლიდან გარეთ გამოგვყარაო. ნაცარქექიამ უთხრა თავის ჯოხს, რომ დაზრიალდი ჯოხოვო, და ჯოხიც დატრიალდა, კაცი სახლიდან ცემით გამოაგდო და მოკლა, ჯოხს უთხრა, შეჩერდიო და ჯოხიც გაჩერდა. ნაცარქექიამ და თავისმა ცოლმა ტკბილად დაიწყო ცხოვრება.

* * *

ოსტანში რომ გადვიხედე,
დავინახე გულის ვარდი,
რა წამსავე დაგინახე,
იმ წამსავე შემიყვარდი.

შემიყვარდი ისე, როგორც
ჯერ არავინ მყვარებია,
დავდივარ და გზას მინათებს,
გოგოვ, შენი თვალებია.

* * *

ელე გაღმით თეთრი დედალი
გამოღმით მოკაკანებსო,
ლამაზებს რომ დავინახავ,
ტანში გამაკანკალებსო.

ხეზრეთი ალი

ყოფილა ხეზრეთი ალი. მას ყოლია ორი ვაჟი. ხეზრეთი ალიმ რომ ითხოვა პირველი ცოლი, მისგან ეყოლა ერთი ბიჭი და სამი გოგო. მან მეორე ცოლი მოიყვანა. ამისგან ეყოლა ერთი ვაჟი. ესეი გი მას ყავდა ორი ვაჟი და სამი გოგო. ხეზრეთი ალი დადიოდა სოფლებში და ხალხს ხმლით ამუსლიმანებდა. მას ქონდა ხმალი, რომლითაც სერიდან სერზე გადიოდა მოქნევის დროს. მისი პატარა ვაჟი ათი წლის გახდა. ერთ დღეს, როდესაც თავისი უფროსი ვაჟი და ხეზრეთი ალი წავიდენ ხალხის გასამუსლიმანებლად, პატარა ვაჟიც უკან დაედევნა. რამდენიმე ვერსი გზა რომ გაიარა, ამ პატარა ძმას გზაზე შეხვდა შველი. ამ შველს გამოედევნა. საღამომდინ ესხრიკა და ბოლოს დაეკარგა. სახლში დაბრუნდა დაღლილ-დაქანცული. მეორე დღეს ხეზრეთი ალი და მისი უფროსი ვაჟი კიდევ წავიდენ ხალხის გასამუსლიმანებლად. პატარა ვაჟი კიდევ გამოედევნა ჩუმად. როდესაც მივიდა პატარა ვაჟი იმ ადგილას, სადაც პირველად გამოხტა ტყიდან შველი, კიდევ გამოხტა შველი. მან გამოედევნა. ბევრი მისდია თუ ცოტა მისდია, შამუაღამდა. ამ ღამით სიარულის დროს ამ ბიჭმა გადაყვა ზაბორზე შველს და ისინი გაჩინდენ ერთერთ ულამაზეს ბაღში. ეს შველი თვალებიდან გაუქრა. დაღლილ-დაქანცულ ბავშვს დაეძინა. გათენებამდე დარჩა სამი საათი, ყარაულებმა ეს ბავშვი წაიყვანეს ხელმწიფესთან. ამ ხელმწიფის სახელმწიფოში იყო სხვა კანონი და სხვა სარწმუნოება. ხეზრეთი ალი ამ სახელმწიფოს და მის სარწმუნოებას ეომებოდა. ხელმწიფემ ეს პატარა ბავშვი ჩასვა ყუში და ზევიდან დააფარეს ასფუთიანი ქუა. სამ დღეში ერთხელ ამ ბავშვს ჩაუგდებდენ ნახევარ კილო პურს, ცოტას წყალს. ამ ხელმწიფის მმართველს ყავდა ერთი ულამაზესი გოგო, რომელსაც დანახვისთანავე ხეზრეთი ალის ვაჟი შეუყვარდა. ეს გოგო ყოველთვის დადიოდა და ჩუმათ საჭმელს აძლევდა. განვლო რამოდენიმე წელმა. ეს ბიჭი ცოტაოდენ მოიზარდა. ერთ დღეს ეს გოგო მივიდა და მოილაპარაკეს, გაპარულიყვნენ. გოგომ შეისყიდა ყარაულები და შუაღამის ხანს ამ ბიჭმა და გოგომ ასფუთიანი ქვა ჭიდან გადააგდეს და გეიპარენ. ამ დროისათვის ხეზრეთი ალი გამალებულ ბრძოლას აწარმოებდა სხვადასხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებს დაემატა შვილის უგზოუკლოდ დაკარგვა და დიდად წუხდა. მან ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად ვერ ნახა თავისი შვილი და ბოლოს მის ძებნას თავი მიანება. როდესაც გაიპარნენ ამ გოგომ და ბიჭმა, მათ გზაში დაედევნა ამ გოგოს მამა ჯარით. ეს სახელმწიფო აღსანიშნავია იმით, რომ ძალიან მდიდარი იყო ყველაფრით. ცხოვრობდა ბევრი ხალხი. აქ მცხოვრები ხალხი იყვნენ ნახევრად ველური. ამ გოგომ და ბიჭმა ბევრი იარეს და გზაში დაუღამდათ. ამინდიც მოიშალა. თავი შეაფარეს ერთ ტყეში. როცა ჩადრი გაშალეს, მათ მოესმათ ცხენის ფეხის ხმა და დაინახეს, რომ გოგოს მამის ჯარი

შემოხვეოდა მათ ჩადრს. გოგომ და ბიჭმა დაიწყეს ბრძოლა ამ ჯარის წინააღმდეგ. რამდენიმე ათასობით ჯარისკაცი გაწყვიტეს. ხეზრეთი ალის შვილი ჯარს მუსრს ავლებდა, მაგრამ ჯარი უფრო და უფრო ემატებოდა. ამ გამალებული ბრძოლის დროს დაიჭრა ხელში ვაჟი. მისმა ცოლმა უთხრა, რომ საბრძოლველად მე გავალ და შენ დაისვენეო. ბიჭმა უთხრა, – ბრძოლა რა ქალის საქმეაო. დაჭრილი თვითონ გავიდა ბრძოლის ველზე. როცა ხეზრეთი ალის ბიჭი უკანასკნელ წუთებში იყო, იმ ღამეს ხეზრეთი ალიმ ნახა სიზმარი, რომ უკანასკნელ წუთებში იყო მისი შვილი და საჭირო იყო დახმარება. გათენების უმალვე ხეზრეთი ალიმ შეკაზმა თავისი ცხენი და გამოემგზავრა თავისი შვილის დასახმარებლად. როგორც ცნობილია, ხალხში გასული იყო ხეზრეთი ალის სახელი, მისი სიძლიერე და მასზე იყო ასეთი თქმულება: ვითომც ხეზრეთი ალის ყვირილზე ფეხძიმე ქალებს ბავშვები წყდებოდათ. როდესაც ხეზრეთი ალი წამოვიდა შვილის დასახმარებლად და გამოიარა დიდი გზა, მას მოესმა მისი შვილის ხმა: ვაი! დედავ, დავიჭერიო. ამის გაგონებაზე ხეზრეთი ალმა იმოდენა დაიყვირა, რომ ნახევარი ჯარი შიშისგან გაწყდა. როცა მივიდა შვილთან და ნახა, რომ თავისი შვილი დაჭრილი იყო, მან წამლობა დაუწყო და მისი უფროსი ვაჟი კი საბრძოლველად გავიდა. ბევრი ბრძოლის შემდეგ ეს ქაჯთა ჯარები განადგურებული იქნა. როდესაც ხეზრეთი ალმა თავის უმცროს ვაჟს კითხა, ეს ქალი ვინ არისო, ბიჭმა უთხრა, რომ ის იყო ქაჯთა მეფის შვილი, რომლის სარწმუნოება სულ სხვა იყო, ვიდრე მათი და ამიტომ ხეზრეთი ალმა ვარი თქვა, რომ ეს გოგო მის ვაჟს ცოლად მოეყვანა. მის ვაჟმა უთხრა, რომ ამან ამომიყვანა მე ჭიდან, ეს მაჭმევდა საჭმელს, ამან შემინარჩუნა სიცოცხლე, ეს ომობდა ჩემთან ერთადო. მოიხიბლა ხეზრეთი ალი ამ ქალის გმირობით, საქციელით და თქვა, რომ ეს ქალი ღირსი ყოფილა, რომ იყოს ჩემი რძალიო. ამ გოგომ პირჯვარი გადაიწერა და ისეთი სარწმუნოება მიიღო, როგორიც ხონდა ხეზრეთი ალს, ამის შემდეგ ადგნენ და წამოვიდნენ სახლში. როცა სახში მივდენ, დედამის ძალიან გუუხარდა. ქნეს ქორწილი, ერთი თვის განმავლობაში ჭამა-სმა და ქეიფი იყო.

ამ გოგომ შეეჩვია იქაურ ცხოვრებასა და წესებს. ხეზრეთი ალი დადიოდა სხვა სახელმწიფოებში და ხალხს ამუსლიმანებდა. ვინც არ გამუსლიმანდებოდა, იმას ყველას თავებს ჭრიდა.

ხეზრეთი ალის შვილს ეყოლა სამი ვაჟი. ისინი, როცა დავაჟკაცდენ, წევიდენ სანადიროთ. მათ შეხვდათ დევები და შიებრძოლენ. რამდენჯელ ქონია ამ დევებთან ბრძოლა ხეზრეთი ალის, მაგრამ ვერაფერი ვერ დააკლო. ამ დევებთან ბრძოლაში ორი ძმა დაიჭრა. მესამე ძმამ დევი მოკლა და დაჭრილი ძმები სახლში წამეიყვანა. ხეზრეთი ალიმ, რომ გეიგო ეს ამბავი, ძალიან გაუკვირდა. მან წევდა და ნახა ის მოკლული დევები.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: ლომინაძე მურად თალიბის ძე.
ასაკი: 52 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. წყლისაყარი.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი. სოფ. წყლისაყარი.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

ლომინაძე მურად თალიბის ძე, დაბადებული 1907 წელს, სოფელ წყლისაყარში. წერა-კითხვის მცოდნე. ამჟამად ცხოვრობს გათუმში. ნამყოფია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და რუსეთის ზოგიერთ ქალაქში. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები, უკრავს ჩონგურსა და გარმონზე.

ღარიბი კაცის ამბავი

ყოფილა ერთი ღარიბი კაცი. წასულა ფარის მოსაგებში, იქ დარჩენილა ათ-თორმეტ წელიწადს. მოვიდა სახლში, რომ მისი ქალი აღარ არის, ის მეგომ წაართვა ხოჯამ. კაცმა ხელმწიფესთან გაასაჩივლა ხოჯა. ხელმწიფემ ხოჯა დეიბარა და კითხა:– ქალი რატომ წაართვიო? ხოჯამ უთხრა, რომ, მე ქალმა მისი ნებით წამომყვა. ის ქალი თუ იტყვის, რომ ჩემი ნებით არ წავყოლილვარ, ძალით წამიყვანაო, მაშინ რაც გინდანან ის მიყავითო. მაშინ ხელმწიფემ უთხრა, რომ ვინც ყველაზე კარგ რამეს გააკეთებს, ქალიც იმას დარჩებაო. ორივე დიეთანხმენ.

ხოჯამ გააკეთა კარგი ოქროს მამალი. ღარიბმა კაცმა მეზობელს აართვა ხერხი და ეჩო და გააკეთა თვითმფრინავი. ათი დღის შემდეგ ხოჯამ ხელმწიფეს მიუტანა მამალი. ღარიბმა კაცმა უთხრა, რომ მე გავაკეთე, მარა ამ ოთახში არ შამიეტევაო. ის იმფერია, რომ შენ ჯარს შიან ჩავყრი და გავაფრენ ცაშიო. ხელმწიფემ ხალხი შეყარა. გახედა, რომ ამ ღარიბ კაცმა უბრალო იაშიკი მეიტანა, შედვა კლიტე, გადააბრუნა და შიგ ჩაჯდა. შემდეგ კი გაფრინდა ცაში. ხალხს ძალიან მოაწონდა და თქვეს, რომ ოქროს მამალს ეს იაშიკი ჯობიაო. ქალი დარჩა ამ ღარიბ კაცს. ხელმწიფემ თქვა: – ეს მამალი, რადგანაც გაკეთებულია ოქროსაგან, ამიტომ ის ბანკს ეკუთვნისო. ხოჯას ჩამოართვეს ეს მამალი. ამ ღარიბმა კაცმა წამეიყვანა ეს ქალი სახლში.

ამ ხელმწიფეს ყავს ერთი ვაჟიშვილი. მან იფიქრა, რომ ამ ღარიბ კაცს ასეთი რამე რომ აქვს, მოდი და იმას ავართმევო. ხელმწიფის ბიჭი გაეპარა მამას, მივიდა იმ ღარიბ კაცთან და უთხრა, რომ მამამ გამომგზავნა იაშიკი გამოგატანოსო. ამ ღარიბ კაცმა თქვა: – ხელმწიფეს შევატყობიეფო. მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა: შენმა ბაღანამ მე იაშიკი მთხვა, მივცე თუ არაო. მალადესო, – უთხრა ხელმწიფემ, – შენ ჩემთვის რომ არ გეთქვა და ისე მიგეცა, თავს მოგჭრიდიო. ჯერ ასწავლე მისი წაყვანა და ისე მიეციო. ეს ბიჭი მალე ისწავლის ფრენას. ერთ დღეს გაფრინდა და გადავიდა სხვა ქვეყანაში. ჩამოვიდა ძირში. ეს იაშიკი დადვა და ათვალიერებს იქაურობას. ყველა ხედავს, რომ ერთი უცხო კაცი იარება. ამ ბიჭმა დეინახა ერთი მაღალი სარაია, რომელიც ორ მაღალ დირეგზე იყო აშენებული. ამ ბიჭმა ერთ დედაბერს შეეკითხა, რომ რა, არის ეს შენობაო. დედაბერმა უთხრა, რომ ხელმწიფეს ყავს ოცდახუთი წლის გასათხოვარი გოგო, იმ შენობაში ვერავინ ვერ ავაო. მოსამსახურეები ყავს იმ გოგოს და სხვა ვერავინ ვერ გაეკარებაო.

როცა დაღამდა, ბიჭმა ჩაჯდა იაშიკში და აფრინდა იმ სარაიაზე, დაჯდა კალიდორში, შეიხე-

და ფენჯერაში და დეინახა, რომ მზეთუნახავი გოგო წევს ლოგინში. ამ გოგოს ფეხებთან დადებული ქონდა თეთრი მუმი, ხოლო წითელი მუმი კი თავთან. ამ ბიჭმა შევდა შიან. ძალიან შიოდა, დეინახა ფილავი და ის ჭამა. შემდეგ თეთრი მუმი, ფეხებთან რომ ქონდა, თავთან ეიტანა, წითელი მუმი კი ფეხებთან ჩამეიტანა, გოგოსაც ნელა უკბინა ლოყაზე და გამოვიდა გარეთ, ჩაჯდა მის იაშიკში და ჩამოვიდა ძირში, მივიდა იმ დედაბერთან.

გათენდა დილა. ხელმწიფის გოგომ დეინახა, რომ მუმი შეცლილია, ძალიან გუუკვირდა. შემდეგ სარკეში ჩეიხედა, დეინახა, რომ ლოყაზე ნაკბენი ქონდა. გოგო გაბრაზდა და დაუძახა მოსამსახურეებს, მაგრათ უყვირა, მოაყვანინა მისი მამაც. ეს მოსამსახურეები ყველაჲ მოხსნეს.

მეორე ღამეს ბიჭმა კიდევ ისე გააკეთა და წელზევით საბანი ახადა და წავიდა იმ დედაბერთან. ამ გოგომ გამეიღვიძა, ნახა, რომ კიდევ იმფერი რამე დუუმართნიან მისთვის. გოგომ მიხტა, რომ აქ რაცხა საქმეა, ეს მოსამსახურეების გაკეთებული არ არისო. როცა დაწვა, არ დუუძინია. შუაღამიხანს ეს ბიჭი კვლავ შევიდა ოთახში. გოგომ დეინახა მზეთუნახავი ბიჭი: – მეც ამფერს ვეძებდიო! როცა ბიჭმა გოგოს საბანი ახადა, გოგომ იკივლა: მოჩვენება ხარ თუ რა ხარო, საიდან გაჩნდი აქაო? ბიჭმა უთხრა: – მე შენმა სიყვარულმა ამომიყვანა აქაო. შიეთანხმა ამ ბიჭმა ამ გოგოს.

დილაზე ბიჭმა წევდა თავის ადგილზე. მეოთხე ღამეს გოგომ ბიჭს უთხრა, რომ ან აქედან უნდა წევიდეთ, ანდა ჩვენი საქმე გლახათ წავაო. ამათ ჩაჯდენ იაშიკში და გაფრინდნენ.

წამოვიდნენ, მარა ბიჭმა არ იცის გზა. ორი დღე მოდიან და რამე არ უჭამია. ერთ ადგილზე კაცმა დეინახა სინათლე, ქალი დატია ერთ ადგილზე და თვითონ წევდა სინათლესთან. მივიდა და დეინახა, რომ ცეცხლთან დევებს ძინავენ. ჩაფრინდა ამ დევებთან. მოპარა ცეცხლი და წამოვიდა ქალისაკენ. ცეცხლი წაეკიდა თვითმფრინავს და დაიწვა, კაცი კი ცოცხალი ძლივს გადარჩა. კაცი დარჩა ერთ ადგილზე, ქალი დარჩა მეორე ადგილზე, არცერთმა არ იციან გზა.

ქალმა იარა, იარა და მივიდა ერთ სოფელში, აართვა კაცის ტანისამოსი და ისე დადიოდა. ეს ქალი ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული იყო. ხალხს ეხმარებოდა ყველაფერში. სოფელში თუ რამე ახალი გაკეთდებოდა, მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით ხდებოდა. აშენებდა ხიდებს, გაყავდა გზები, არხები. ერთ ღელეს მეორე ღელესთან შეაერთებდა. სოფელი ქალმა ქალაქად გადააქცია.

ახლა რა გააკეთა ამ ქალის ქმარმა: იმ ბიჭმა მივიდა ერთ ადგილზე და ერთ კაცს მოჯამაგირედ დუუდგა. მისი პატრონი იმფერი კაცი იყო, რომ პირდაპირ ყეფდა, ყოველთვინ უყვიროდა და ცემდა ამ ბიჭს. ერთ დღეს ამ ბიჭმა მის ხაზეინს უთხრა, რომ ჩემი ახი მომეცი და მე უნდა წავიდეო. ხაზეინმა უყვირა, – ფეხს ვერ გაადგამო! ამ ბიჭმა შეეხვეწა ამ კაცის ქალს, რომ ამდენი გემსახურე, უთხარი შენ ქმარს, გამიშვასო. ამ ქალმა შეეხვეწა მის ქმარს, გავუშვათ ცოდვა არისო. მართლაც ეს კაცი გაუშვებს ამ ბიჭს.

ეს ბიჭი მივა და პარახოტის შოფერს ეტყვის, რომ ფულს მოგცემ და მეც წამიყვანეო. ის დაპირდა წაყვანას. ეს ბიჭი ჩაჯდება და წავა. პარახოტი მივა ერთ ახალ გაშენებულ ქალაქში. ამ ბიჭმა ამ ქალაქში რამოდენიმე დღეს დარჩა. მოწონდა იქაურობა და იფიქრა: – მოდი და ამ ქალაქში მილიციელად დავდგებიო. ამ ბიჭმა იმდენი ჰალი ქნა, რომ მილიციაში დადგა. გავიდა თითქმის ერთი წელიწადი. ის ქალიც სწორედ ამ ქალაქშია და გამხტარია ამ ქალაქის უფროსი.

ეს ქალი, რომელიც კაცის ტანსაცმელშია გამოწყობილი, იარება და ამოწმებს ამ ქალაქს. ერთ დღეს ამ მილიციელს შეხტა და მიხტა, რომ ეს აქაური კაცი არ არისო. მან დაუძახა მილიციის უფროსს და უთხრა, რომ შენ ყველაჲ მილიციონერი ადგილობრივი გყავს თუ არაო. მილიციის უფროსმა უთხრა, რომ ყველაჲ ადგილობრივია, მარა ერთია უცხო კაცი. მან შემეხვეწა და მივიღე მილიციაშიო. ქალმა უთხრა, რომ იმ კაცს გამოკითხე მისი ვინაობაო. კაცმა თქვა, რომ ჩემი ვინაობა რომ ვილაპარკო, ამას უნდა ერთი დღე და რათ გინდანან თავი აგატკინოვო. ქალმა უთხრა, – კარგი აბაო. რამე ხომ არ გიჭირსო. კაცმა უთხრა, არაფერი არ მიჭირსო. ქალმა ამეიღო ოქროს ფული, მიცა კაცს და უთხრა: – წადი და იყიდე ისეთი ტანისამოსი, რომ ამ ქვეყანაში ვინმეს არ ქონდეს ისეთიო და მოდი ჩემთანო. კაცი წევიდა და იყიდა ისეთი ტანისამოსი, გამიეწყო ლამაზად, მიიარა და მივდა იმ ქალთან. ამ ქალმა უთხრა, რომ ახლა მითხარი შენი ვინაობაო. კაცს ცხვენია, რადგან ის უფროსის წინ დგას. ქალმა უთხრა, რომ ნუ გეხათრება ჩემიდან, თქვი ყველაფერიო. კაცმა დეიწყო მოყოლა და თქვა ის, რაც მე ვილაპარაკე, – დასძინა მთხრობელმა. ქალმა უთხრა, რომ ახლა შენ წადი და მე რომ დიგიბარებ, ჩემთან უნდა მოხვიდეო. ეს ქალი გეიძრობს კაცის ტანსაცმელს, ჩეიცვამს ქალის ტანსაცმელს და ორ მისთანა გოგოსთან ერთად შევა ცალკე ოთახში. ამ ოთახში შეიყვანებენ იმ კაცს. შეხედავს ერთ ქალს და გაუკვირდება. მე რომ კაცმა დიმიბარა ამ ქალს გავსო. ქალმა უთხრა, რომ შენი ისტორია მოყევიო. კაცმა აღარ მოყვა, რადგან წინწინ მოყოლილი ქონდა. ქალმა უთხრა, რომ ამდენში შენს ქალს ვინ გავსო? კაცს უნდა უთხრას: შენ ჩამოგგავსო, მარა ეშინია.– თქვი,– ნუ გეშინიაო. კაცმა ამოიხვნეშა და უთხრა: – რაღა გითხრა, ლაპარაკშიც, ტანშიც, პირი-სახეშიც, სულ ყველაფერში ჩემს ქალს გავხარო.

ქალმა სიხარულით შესძახა კაცს: – მართლაც მე ვარ შენი ქალიო. ეს ქალაქი ჩემი ხელმძღვანელობით იქნა აშენებულიო, შენ იყავი ხელმწიფე, მე შენი ხანუმი ვიქნებიო. კაცი გახდა ხელმწიფე. მას უყვარდა ხალხი, ხალხსაც უყვარდა ის.

სამი გოგოს ამბავი

წინდელ დროს ყოფილა ერთი ხელმწიფე. მან განაცხადა, რომ ჩემს ტერიტორიაზე ამეღამ სინათლე არ უნდა დამანახიოთო. შუაღამიხან ხელმწიფემ დაათვალიერა, ხომ არსად ჩანს სინათლეო და ერთ ადგილზე დეინახა სინათლე. ხელმწიფემ ჩეიცვა სხვა ტანისამოსი და წევიდა იმ ადგილისაკენ, სადაც ეს სინათლე ჩანდა. მივიდა და დეინახა, რომ იჯდენ სამი გოგო. ერთმა თქვა, რომ მე ხელმწიფემ რომ მითხოვოს, იმფერ საჭმელს გავაკეთებ, რომ ერთ სახელმწიფოს გავაძღოფო. მეორემ თქვა, რომ მე იმფერ პლატოკს გავაკეთებ, რომ ქვეყანაზე არ იქნებაო. მესამემ თქვა, რომ მე – ვშობავ სირმაქოჩრიან ბიჭსა და გოგოსო. ხელმწიფემ მივიდა გოგვებთან და უთხრა: – თქვენ რა ხართ ერთმანეთისო, ჩვენ დები ვართო. ეს გოგვები ხელმწიფემ ითხვა იმ პირობით, რომ თუ მათ ნათქვამს არ შეასრულებდენ, დასჯიდა. ერთმა გოგომ გააკეთა უბრალო საჭმელი, ხელმწიფესაც არ ეყო. მეორემაც გააკეთა უბრალო პლატოკი. მესამე გოგო გახდა მძიმეთ. ამ ორმა დამ თქვეს, რომ, თუ ამან სირმაქოჩრიანი შვილები შვა, მაშინ ჩვენ რაღა

გვეშველებაო. მეიყვანეს დედაბერი, მისცეს ოქრო და დაავალეს, რომ ჩვენი და რომ ბავშვებს შობს, რაცხაფერათ მოპარე ისინიო. ამ დედაბერმა გააკეთა იაშიკი და გააჰაზირა. ქალმა მართლაც შობა ორი სირმაქოჩრიანი შვილები, ერთი გოგო, მეორე – ვაჟი. დედაბერმა, რომელიც ამ ქალს აშობიარებდა, ეს შვილები მოპარა ამ ქალს და მოჭედილ იაშიკში ჩაყარა და წყალში გადაადგო, ერთი ლეკვი და ერთი კატა ხელმწიფეს გუუგზავნა: – ეს შობა შენმა ქალმაო. ხელმწიფემ გაბრაზდა და ეს ქალი ჩააგდო ციხეში.

ის იაშიკი წყალმა წეიღო და წისქვილის ღარაში გიეჯარა. მეწისქვილემ გახსნა იაშიკი და ნახა, რომ შიან იყვნენ სირმათმიანი ბიჭი და გოგო. ამ მეწისქვილეს არ ყავდა შვილი და ისინი იშვილა. წამეიყვანა და ზრდის. თორმეტი წლის რომ გახტენ, ამ გოგოს მეწისქვილემ სხვაფერი თვალით შეხედა. ამიტომ დატიეს მეწისქვილე და გეიქცენ, მივიდნენ ერთ ქალაქში. ერთმა კაცმა ისინი იშვილა. ამანაც გოგოს გლახა თვალით შეხედა და აქედანაც გეიქცენ. მივიდნენ მამამისის სახელმწიფოში. ამ ხელმწიფემ, ე.ი. მისმა მამამ, ისინი იშვილა, რადგან ძალიან ლამაზი გოგო და ბიჭი იყვნენ. ხელმწიფემ აუშენა ცალკე ოთახი და იქ ყავდა. დებმა გეიგეს, რომ ჩვენი მესამე დის შვილები, რომლებიც დედაბერმა წყალში გადაყარა, ჩვენს ხელმწიფეს უშვილებია. ჩვენი საქმე ახლა წახტაო. თქვეს, რომ როგორმე თავიდან უნდა მევშორვოთო. მივიდნენ და იმ დედაბერს უთხრეს, რომ ისინი ცოცხალი არიან, ან აქედან მოგვაცილე, ან თავს მოგჭრითო. დედაბერმა უთხრა, რომ მე მაგათ ვუშველიო. დედაბერი მივიდა ბიჭის დასთან და უთხრა, რომ შენ კარგი ძმა გყავს და ფეხით ნუ იარება, ცოდვა არისო. ამა და ამ ადგილას არის ცხენი და ის უნდა მოაყვანიოვო. გოგომ უთხრა ძმას, რომ ჩემი ხათრი თუ გაქვს ამა და ამ ადგილას არის ცხენი და ის უნდა მეიყვანოვო. ძმა დიეთანხმა.

ამ ბიჭს ყავს ერთი ნაცნობი მჭედელი. ყველაფერს იმას შეეკითხებოდა და ახლაც მივიდა მასთან. უთხრა, რომ, ამა და ამ ადგილას ასეთი ცხენი ყოფილა და უნდა მოვიყვანოვო. მჭედელმა უთხრა: – არა! მაგას შენ ვერ მეიყვანო, მისი დაჭირვა ძალიან ძნელიავო. ის ზეციდან ჩამოდის, ავაზანში წყალს სვამს და ისევ მიდის ცაშივო. ბიჭმა თქვა, – მე ან ის ცხენი უნდა დევჭირო, ან აღარ ვიცოცხლებ ქვეყანაზევო. მჭედელმა უთხრა: – შენ თუ აუცილებლათ უნდა წახვიდე, ასე გააკეთევო. მიდი იმ ავაზანთან, შიან ჩაასხი სამი ფუთი ღვინო, წეიღე ლაგამი და ცხენი რომ ჩავა, ჩასუნთქავს ავაზანში, შენ დაიმალე ავაზან ქვეშ. ჰამან რომ დალევს ღვინოს, შენ ლაგამის მოდება მოასწარი და დაგნებდებაო. ასე რომ არ გააკეთო, შენ ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებივო. ამ ბიჭმა იყიდა სამი ფუთი ღვინო, ერთი ლაგამი და მივიდა იმ ავაზანთან. ამუასუფთავა ავაზანი და შიგ ჩაასხა ღვინო. თვითონ კი შეძრა ავაზანს ქვეშ.

ჰამან, გათენებას რომ ორი საათი დუუკლდა, ციდან წამოვიდა ცხენი. ჩამოვიდა და დალია ეს ღვინო. ამ ბიჭმა მოადო ლაგამი და შეჯდა ცხენზე. ცხენი ნახევარ კილომეტრზე ავიდა ცაში და ისევ დაეშვა მიწაზე. ცხენმა უთხრა ამ ბიჭს: – ვინაიდან შენ მე დამიჭირე, შენ ჩემი სიტყვით უნდა გეიარო და რამე არ შეგიშლის ხელსო. მიიყვანა ამ ბიჭმა ეს ცხენი სახში. მისმა დამ ძმაც მეისაყვარლა და ცხენიც. ხელმწიფემ რომ გეიგო ეს ამბავი, დეიბარა ბიჭი და უთხრა,– როგორ გააკეთე ასეო. რამე გლახა საქმე დეგემართება, ასეთი საქმე ერთი კიდო არ გააკეთოვო.

დებმა ძალიან გაბრაზდენ. მათ მივიდნენ დედაბერთან და უთხრეს, რომ შენ იმ ბიჭს სასიკვდილო საქმეზე კი არ გზავნი, არამედ მოსაგებზეო. ახლავე უნდა მოგჭრათ კისერივო. დედაბერ-

მა უთხრა, რომ ერთი კიდევ მაცალეთ და იმას მე მევშორეფ თავიდანო. ამ დედაბერმა მივიდა და ბიჭის დას უთხრა: – ხომ მართლდება ჩემი ნათქვამი, ახლა შენ ძმამ ერთი რამე უნდა გააკეთოსო, თუ იმას გააკეთებს, თქვენისთანაჲ ვინმე არ იქნება ქვეყანაზევო. ერთ ადგილზე ერთი გოგოა და ის გოგო უნდა მეიყვანოსო. და ეტყვის ძმას, რომ ჩემი სიტყვით კიდევ ერთი რამე უნდა გააკეთოვო. – რა უნდა გავაკეთოვო? – რაიდა, ერთ ადგილზე ყოფილა ერთი გოგო და ის გოგო უნდა მეიყვანოო. ბიჭი დიეთანხმა, გამეიყვანა ცხენი და უნდა წავიდეს გოგოს მოსაყვანათ. ცხენმა უთხრა, რომ ორმოცი წელი უნდა იარო იმ გოგოსთანა მისვლამდევო. მიხვალ ერთ მაღალ გორთან. ამ გორს ეხეთქება მეორე გორი. იმ გორზე რომ ახვალ, არის დიდი მინდორი, სადაც ყველაფერი გაქვავებულიაო. ის გოგო ყველაფერს აქვავებსო. იქ ჩვენ ტყვილაჲ მოვკდებით და საქმეს ვერ გავაკეთებთო, – უთხრა ცხენმა. ბიჭმა თქვა, რომ რაც არ უნდა დამიჯდეს, ის გოგო უნდა მევყვანოვო – რახან მაინდამაინც უნდა წახვიდე, მაშინ წადი და სამი ფუთი ღვინო იყიდე და ის წევიღოთო. მართლაც, იყიდა სამი ფუთი ღვინო, მიაკრა ცხენს. ცხენმა უთხრა, რომ ახლა ისე დამარტყი, რომ იმ სიმწარით უნდა ევდე იმ გორზეო. მივიდენ იმ გორთან. ნახეს, რომ გორები ერთმანეთზე ეხეთქება. ცხენმა უთხრა, რომ გორი გორს რომ მიეხეთქება, ეს სამი ფუთი ღვინო დიდი სიძლიერით უნდა გეიქნიო და ის გორი გაჩერდებავო. მართლაც, ასე მოიქცა. ნახეს, რომ ყველაფერი გაქვავებულია, ყველაჲ ისინი იმ გოგოსი მტრები არიანო, – უთხრა ცხენმა. ცხენმა უთხრა, რომ გაღმა, რომ ოთახი არის, გოგო ახლა იქ იბანს თავს. იმხელა თმები აქვს, რომ ფეხებამდის დაფარულია, ქალი თმებში არ ჩანსო. შენ თუ მიხვალ და იმ თმებს კლავზე დეიხვევ, მაშინ ის გოგო ჩვენიავო. დააჯდა ბიჭი ცხენზე, მივიდა იმ ოდასთან, შევდა ოდაში და ქალის თმები დეიხვია ხელზე. ქალმა შეხედა და შეყვირა: – ვინ ხარ შენაო? – ეგ შენი საქმე არ არისო, თუკი ცოლობას დამპირდები, მაშინ გეტყვიო. ისინი შეთანხმდენ და გახტენ ცოლ-ქმარი. კაცმა გააღებია ერთი ოთახი, მეორეც გააღებია და ნახა, რომ შიან ოქრო-ვერცხლი გამოპეჭილი იყო. ბიჭმა უთხრა: – ეს მესამე ოთახიც გააღეო. გოგომ არ ქნა. მაგას ვერ გავაღებო. ბიჭმა გატეხა კარები და შით შევდა. ოთახში იყო ერთი იაშიკი. – გააღე ეს იაშიკიო. ქალმა არ გააღო. მაშინ ბიჭმა გატეხა ეს იაშიკი და იმ მინდორზე რაც რომ გაქვავებული იყო, ყველაჲ გაცოცხლდა. ბიჭმა გოგო ცხენზე შეისვა და გამოაქროლა. მოვიდენ სახლში. ხელმწიფემ მეისიყვარულა. – ნუღარ გააკეთებ ამფერ საქმესო, მოკდები დაა მემრე რაღანა ვქნავო.

გოგო ეტყვის ბიჭს, რომ შენ თუ ჩემი სიტყვით გეჲარ ყველაფრით, აგავსოფო. მე არასოდეს არ მოვკვდები. მე ვარ ჯინ ფადიშაჰის შვილიო. გავიდა სამი დღე. ამ გოგომ უთხრა ხელმწიფეს, რომ ყველაჲ შენი ხალხი მე მომიყვანე და სადილი უნდა ვაჭამოვო. ხელმწიფემ გასცა პრიკაზი, რომ, ამ და ამ საათს ყველამ თავი უნდა შეიყაროთო. შეიყარა ხალხი. ბუხარში ჩამოკიდებულია სამი კარდალა. ეს რაფერ ეყოფა ამდენ ხალხსო, – ებნევა ბიჭი. – არა! შენ საჭმელიზა ნუ გეშინია, შენ სტოლები გააწყვეო. ბიჭმა გააწყო სტოლები. ეს გოგო საჭმელს ასხამს ამ კარდლებიდან და არ ილევა. ხალხი კარგად გააძღო. გოგომ მოითხოვა, რომ სამი ღერი სიტყვა უნდა ვთქვაო. ხელმწიფემ მისცა მას სიტყვის თქმის ნება. ქალი ავიდა გორაზე და ილაპარიკა ყველაფერი, რაც ამას ზეით ითქვა – დასძინა მთხრობელმა. ქალმა მეწისქვილის სახელი რომ ახსენა, მეწისქვილემ თქვა, – მე აქედან უნდა გევქცევო. მარა ხალხმა შეაკავა. ბოლოს ქალმა თქვა, – ეს გოგო და ბიჭი, ხელმწიფევ, შენი შვილებია, დედაბერმა ისინი წყალში გადაყარა. შენ ციხეში გყავს ალალმართა-

ლი ქალიო!

ქალი გამოიყვანეს ციხიდან. დედაბერი, დები და მეწისქვილე ცხენის კუდზე გამოაბეს და ისე ამოაძრეს სული. იმ ბიჭმა ის მოყვანილი გოგო შეირთო ცოლად. ერთ თვეს გაწელილი ქორწილი იყო. მეც იქ ვსვი, ვჭამე და მოველი აქ.

შიფრი: ბსკიფა 24, 17-18.
მთქმელი: თავდგირიძე შოთა ასლანის ძე.
ასაკი: 26 წლის.
საცხოვრებელი ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. კობალთა.
ჩაწერის ადგილი: შუახევის რაიონი, სოფ. კობალთა.
ჩამწერი: მაკარაძე აკაკი.
ჩაწერის თარიღი: 27.06.1959.

თავდგირიძე შოთა ასლანის ძე, დაბადებული 1933 წ. სოფ. კობალთაში, საშუალო განათლების, კოლმეურნეობის ფერმის გამგე, იცის ცეკვა, სიმღერა. უკრავს გარმონსა და ჩონგურზე, მის რეპერტუარში შედის ზღაპრები და ლექსები, არის ავტორმთქმელი.

შახზადი

Ერთ უძველეს დროში ყოფილა ხელმწიფე. ამას ყოლია ცოლი და შვილი. მის შვილს სახელად ქმევია შაჰზადი. შახზადი ოთხი წლის ყავდა მეფეს, რომ მისი ცოლი ფეხმძიმე გახდა. ამ სოფელში ყოფილა ერთი ჯაზი ნენეი. ეს ნენეი მისულა ამ ხელმწიფესთან და უთქვამს, რომ შენ ქალს რომ მუცელში ბაღვი ყავს, ის ვაჟია, მარა ის რომ გეიზდება, აუცილებლად შენ დაგკლავსო. ის შენ როგორმე თავიდან უნდა მეიშორვოო. მართლაც, ხელმწიფის ცოლმა შობა ვაჟი. ხელმწიფეს ძლიერ შეეშინდა, დაუძახა ჯალათებს და უბრძანა, რომ ეს ბაღვი წეიყვანეთ და მდინარეში გადააგდეთო, ხოლო მისი პერანგი მის სისხლში ამოსვარეთ და მომიტანეთო. ჯალათებმა წეიყვანეს ეს ბავშვი, ის იყო ძალიან ლამაზი და ჯალათებს ის დასარჩობად შეებრალეს. მათ დაჭედეს კუბოსავით სკივრი, იქ ჩააგდეს ბავშვი და გადააგდეს წყალში. წყალი ანურიებს, ანურიებს და მიიყვანს წყლის პირას. იქ იყო პატარა ტბა და იქ აცურვებს წყალი ამ სკივრს. ამ ტყეში ცხოვრობდა ერთი დიდი ნადირი, რომელსაც სახელი ერქვა ასლანი. ეს ასლანი არის ძუ, რომელმაც ბარტყები უნდა დაყაროს. ჩამოსულა ამ მდინარის პირას და ეძებს ადგილს, რომ ბარტყები დაყაროს. ამ დროს დეინახავს ამ სკივრს, მივა, ააგლეჯს თავს. შიან ბავშვს ვერ დეინახავს. ასლანი ამ სკივრში დაყრის ბარტყებს.

ეს მეფის შვილიც ამ ბარტყებთან ერთად წოვს ასლანს ძუძუს. რამდენიმე თვეს ასე აწვებს ძუძუს. ეს ბიჭი იმდენი გახტა, რომ ფოთხვა დეიწყო. ამ ტყეში ეს ასლანი თავის შვილებთან ერთად ცხოვრობს. ასლანიც აქ არის. ამ დროს ამ ტყეში წამოვა სანადიროდ ის ხელმწიფე თავისი ვეზირების ერთად. არის ზამთარი. მეფეს გზაში დიეფეთება ასლანი, მას დუუწყებენ სროლას, მაგრამ ასლანი და მისი ბარტყები გაასწრობენ, დარჩება მხოლოთ ეს ბავშვი. ის მათ ვერ გაასწრობს. ამ ბავშვს ხელმწიფე წეიყვანს სახლში. ეს ბავშვი შახზადთან ერთად იზრდება. რადგან ეს

ბავშვი ასლანიდან წამეიყვანეს, ამიტომ სახელად მასაც ასლანი დაარქვეს. მიდის დრო. შახზადი და ასლანი იზრდებიან. ორივე გახტენ დასაქორწილებელი.

ერთ დღეს ისინი გევდენ მინდორზე, ჯაზ დედაბერს დოქით წყალი იედინა და იქვე ახლომახლო დადიოდა. შახზადმა ეიღო კენჭი, მოახვედრა დოქს, დოქი გატყდა და წყალი დაიქცა. დედაბერმა შახზადის გაუბრაზდა და ასე დაწყევლა: – „ღმერთმა გამჩენელმა ცხრა მთას იქით ცხრა თავიან დევებს და რომ ყავს, იმისი სიყვარული ჩიგიგდოს გულშიო“. შახზადი და ასლანი წამოვდენ სახლში. იმ ღამეს შახზადს მართლაც დიესიზმრა ის გოგო და ჩუუვარდა გულში ისე, რომ იმ დილაზე ლოგინიდან ვეღარი ადგა, გახტა ავად. მეფემ, რაც ექიმი იყო ქვეყანაზე, მოყარა ყველაჲ, მაგრამ შახზადს ვერაფერი ვერ უყვეს. შახზადმა ასლანს გაუმხილა, რომ მე სიყვარული მაქ გულში ჩავარდნილი და ეს სიყვარული მკლავსო. ასლანმა მეფეს უთხრა, რომ,– შახზადის უყვარს ცხრათავიანი დევების და და იმიტომ არის ავათო. მე წავიყვან შახზადის და იმ გოგოს მოვაყვანიეფო. მეფემ დიეთანხმა. კაჲ ცხენები, რამდენიმე დღის საჭმელ-სასმელი გაუმზადა და ადგნენ და წავიდნენ. ეს არ ვიცი, რამდენი დღე იარეს, მიადგნენ ამ დევების სამფლობელოს. მივიდნენ დევების ორსართულიან სარაჲასთან, ეზოზე წყალი გამოდიოდა და ამ წყალზე დაისვენეს. ასლანს დაეძინა, შახზადს არ ძინავს. ამ დროს გადმეიხედეს ამ დევებმა და დეინახეს, რომ მათ ეზოში ორი კაცი მოსულა. მათ თქვეს, რომ ჩვენი შიშით ცაში ფრინველი არ ფრინავს და ძირში ჭიანჭველა ვერ დადის, ვინ არიან ესენი, რომ ამდენი გაუბედავთო. ერთმა დევმა ერთ კოჭლ დევს უთხრა: – შენ, ძმაო, მაინც ვერ დადიხარ სანადიროდ. აგერ ღმერთს შენთვის ლუკმა მოუცია, ჩვენ სანადიროდ წავალთ და შენ ჩადი და ესენი შეჭამეო. დევები წავლენ სანადიროდ. ეს კოჭლი დევი წავა ამათ შესაჭმელად. ამ დევს რომ დეინახავს შახზადი, შიშისგან დეიბნიდება და ერთ დაძახებას ძლივს მოასწრებს. ამ ძახილზე გამიეღვიძება ასლანს და როცა დევს დეინახავს, ეტყვის: – მტრათ მოხველ თუ მოყვარედო? დევი გეიცინებს და ეტყვის, – რა დროის მოყვარედ მოსლაა, ღმერთს ჩემთვის ლუკმა მოუცია და არ შევჭამო? მაშინ ასლანი ეტყვის დევს: – ჩვენ დევჭედოთ, თუ მემერიე, მაშინ შემჭამე და თუ მეგერევი, მაშინ კისერს მოგჭრიო. ესენი დიეჭედებიან. მისი ძალით მიწა ექანება. ასლანი ძლიერია, რადგან ცხოველის ძუძუ აქ ნაწოვი. ასლანი წააქცევს დევს. ამუაძროზს ხმალს და ეტყვის: – ახლა უნდა დაგკლაო, პიროზა, პიროზაა არისო. დევი შეეხვეწება, – ნუ დამკლავო. ასლანი ეტყვის, რომ არ დაგკლავ, მარა წადი და შენ ძმებს უთხარი, ის თქვენი და ჩემს ძმას მისცენ ცოლად, თუ არა და ყველას ამოგწყვიტავო. ასლანმა დევს გმირობის ნიშნად ტუჩები დააჭრა. დევი წევდა თავის ძმებთან. კოჭლი დევი თავის ძმებთან რომ მივა, ძმები ეტყვიან: – რა გაცინებს, რა ვაჟკაცობა გგონია კარზე მოსული ლუკმის პირში ჩადებაო. ეს დევი ეტყვის, რომ, ჩვენი საქმე ძალიან გლახათ არისო, სახლში ორი მტერია მოსული და ამბობენ, რომ თქვენ დას თუ არ მოგვცემთ, ყველას გაგჟლიტავთო. ცხრათავიან დევმა უთხრა, – მაგათ დას როგორ მივცემ, ვნახავ რა ვაშკაცები არიანო და წამოვლენ სახლში. ეს დევები კარქა შეიარაღდებიან და გევლენ ასლანის საწინააღმდეგოდ შესაბრძოლებლად. შახზადი თავის ძმას გამოაღვიძებს, მარა დევებს რომ დეინახავს, კიდევ დეიბნიდება. დევები ასლანს ეტყვიან, რომ, ორი რამე უნდა შეასრულო და შენი სურვილიც შესრულებული იქნებაო. პირველი დავალება ასეთია:– ეტყვის ცხრათავიანი დევი: მე და შენ უნდა ვიჭედოთ. თუ მე წამაქციე, მაშინ შენი თხოვნა ნახევრად შესრულებული იქნებაო. მეორე დავალება ასეთია:

– ჩვენ გვაქვს ორყურიანი თუჯის ქვაბი. ჩვენ იმ ქვაბს ხორცით რომ ავამსობთ, ცხრა ძმა ძლივს დავდგამთ საჯიაღზე (სამფეხა). თუ შენ იმ ქვაბს დადგამ საჯიაღზე, მაშინ შენი სურვილი მთლად შესრულებული იქნებაო. ჩვენ დას მივათხოვეფთ შენ ძმაზეო. ასლანი დიეთანხმება, – შევდივარ მაგ პირობაშიო. დიეჭიდებიან ესენი. კოჭლი დევის დაჭედნება და ამ დევის დაჭედნება ერთმანეთს არ გავს, მიწა ზანზარებს. ეს ცხრათავიანი დევი ვნახეთ, რომ ქვეშ მომწყდევლა. დევებს შიეშინდებიან და იქით-აქეთ მიელეკებიან.

ეს ერთი პირობა მუუგო ასლანმა. დარჩა მეორე პირობა. დევებმა დაკლეს ორმოცი ხარი, ჩაყარეს ქვაბში ხორცი, დაასხეს წყალი, დადვეს ცეცხლში საჯიაღი და უთხრეს ასლანს, რომ ეს ქვაბი ამ საჯიაღზე დადევიო. ასლანმა ხელში აიღო ქვაბი, მარა მიწამ არ გუუძლო და მუხლებამდის ჩიეფლა, შემდეგ ასლანმა მიწა ქვებით გაამაგრებია და ეს ქვაბიც შედვა საჯიაღზე. დევებმა მათი და მიათხოვეს ასლანის ძმას – შახზადს, დაპატიჟეს მათი ახლობლები და მაგარი ქორწილია გამართული. დამთავრდა ქორწილიც. შახზადი და ეს გოგო ოთახში ქეიფობენ. დევებმა უთხრეს ასლანს, რომ წავიდეთ და ჩვენი სამფლობელო დავათვალიეროთ, ვნახოთ, რამდენი რამე გვაქო. ორმოცი დღის განმავლობაში აქ ვიქნებით და ორმოც დღეს თქვენთან ვიქორწილებთო. დევებმა და ასლანმა წავიდნენ სამფლობელოს დასათვალიერებლად. შახზადი და მისი ცოლი დარჩენ სახლში. ამ ოთახიდან გამოვიდენ ისინი და დეიწყეს ოთახების დათვალიერება. ცოლი შახზადს შეიყვანს ხან ერთ ოთახში, ხან – მეორეში და ანახვიებს, თუ რა სიმდიდრე აქვთ თითოეულ ოთახში. მიაღწიეს ერთ ოთახთან. ცოლმა უთხრა, – ამის გახსნა არ შეიძლებაო. შახზადმა იმდენი ჰალი ქნა, რომ ეს ოთახიც გაახსნევია. შევიდენ შიან, ნახეს, რომ ერთი ლამაზი ქალი თავანში თმებით არის დაკიდული. შეხედა ამ ქალს შახზადმა, შეეცოდვა, რატომ უნდა იყოს ეს ქალი ასეო, ამოიღო ხმალი გუუჭრა თმები და ჩამოაგდო ქალი. ქალმა რაც ძალა ქონდა დეიკივლა. შახზადმა გულმოსული დაეცა. ამ ქალმა, რომელსაც სახელად ათეშფარჩა ქვიოდა, შახზადის ცოლი წეიყვანა ცაში. ათეშფარჩა იყო ამ დევების მტერი და იმიტომ იყო თმებით ჩამოკიდული. დევები და ასლანი დაბრუნდენ. ნახეს, რომ შახზადი გულმოსული გდია, ქალი კი არსად არ არის. დევებმა მიხტენ, თუ რაშიც იყო საქმე. გაჰერსებული დევები ჩხუბს გამოუცხადებენ ასლანს, რომ ერთი და გვყავდა და თქვენ გახდით ამის მიზეზი, რომ ის დაგვეღუპაო. ასლანი დევებს ეტყვის: –მომეცით ორმოცი დღე ვადა. მძევლად დეიტიეთ ჩემი ძმა – შახზადი. თუ მე ამ ორმოცი დღის განმავლობაში არ მოგიყვანე თქვენი და, მაშინ მეორმოცდაერთ დღეს ჩემი ძმას კისერი მოჭარითო. დევები დიეთანხმება. ასლანი წავა ქალის საძებნელად. იარს, იარს და ცას ვერ მიაღწევს. იფიქრებს, რომ, მე მაინც სული არ მინდა, რადგან პირობა ვერ შევასრულე, ამას ჯობია ჩემი სიკვდილიო. მონახავს ერთ მაღალ კლდეს და გადაწყვეტს, რომ იქიდან გადახტეს და დაიმტვრეს. გედეიხედავს კლდის ძირში და დეინახავს, რომ სამი კაცი იჩხუბებიან. იტყვის ასლანი, რომ, – ამათ მაინც გავაშველებ და ისე მოვკვდებიო. ჩევა ამ კაცებთან, ეტყვის გამარჯვებას, ისინიც მიესალმებიან. ასლანი ეტყვის, – რაზე ჩხუბობბთო? ისინი ეტყვიან, რომ ჩვენ გვაქვს გასაყოფი სამი ნივთი და იმის გაყოფაზე ვჩხუბობბთო. ასლანი ეტყვის, – აბა, მანახვეთ, რა გაქვან გასანაწილებელიო. ისინი ეტყვიან: – გვაქვს ერთი ხალიჩა, ერთი ქუდი და ერთი ყამჩიო. ასლანი შეეკითხება, თითოეულს რა დანიშნულება აქვსო. ასლანს ეტყვიან ისინი, რომ ამ ხალიჩაზე დაჯდები და სადაც ეტყვი, იქ მიგიყვანსო; ამ ქუდს რომ დეიხურავ, ვერავინ ვერ დიგინახავსო,

ხოლო ამ ყამჩს დაარტყამ და ეტყვი საჭმელი გამიჩინეო და გააჩენს, რა საჭმელიც შენ გინდაო. ასლანი აიღებს სამ ქვას და მათ ეტყვის: მე ამ ქვებს გევქნევ სხვადასხვა მხარეს, ვინც პირველად მოვა, იმას დარჩება ხალიჩა, ვინც მეორეთ მოვა, იმას დარჩება ქუდი, ხოლო ვინც მესამეთ, მოვა იმას დარჩება ყამჩაო. ასლანმა ეს ქვები შორს გეიქნია, ისე რომ, სიცოცხლეში ისინი ვერ ნახავდენ. ეს ძმები გეიქცენ ქვების მოსატანად სხვადასხვა მიმართულებით. ასლანმა დაჯდა ხალიჩაზე, დეიხურა უჩინმაჩილის ქუდი, ხელში დეიკავა ყამჩი და ხალიჩას უთხრა: – აბა, ხალიჩავ, მიმიყვანე ათეშფარჩას სახლში. ხალიჩამ იმ წამსვე ასლანი მიიყვანა ათეშფარჩას სახლში. ბუხრის ძირში იჯდა შახზადის ქალი და რაც რომ ძალა ქონდა, ტიროდა. ასლანმა მივიდა მისთან და ეს რძალი ზეზე არ ადგა. ასლანმა გაბრაზდა. მე მისთვის რამდენი ვიწვალე და ეს კი ზეზეც არ დგებაო, ამოიღო ხანჯალი და უნდა დაარტყას, მარა ამ დროს მოაგონდება, რომ მას უჩინმაჩილის ქუდი ახურავს. ასლანი გავა გარეთ, მეიხტის ქუდს და ისე შამვა ოთახში. ქალი, რომ დეინახავს ასლანს, სიხარულისგან ენა დიებმება და ისე მიეხვევა მაზლს. მათ სიხარულს საზღვარი არ აქს. ასლანი კითხავს რძალს, რომ ჰად არის ათეშფარჩაო? ის ეტყვის, რომ ქვედა დუნიაშია წასული, რომ ვინმე ამეიყვანოსო. – მე მას უნდა დავუცადო. ის თუ არ მოვკალი, აქედან ვერ წავალო, – ეტყვის ასლანი. ქალი ეტყვის, რომ იმას შენ ვერ მოკლაო. მისი სული ახორში სამი მოზვერი აბია, ერთი თეთრი, ერთი შავი და ერთი წითელი, იმისი სული იმათშია, მარა მათ შენ ვერ მოკლავ, თუ კისერი არ ამოაძრეო. თუ კი იმათ კისერს ამოაძროფ, მაშინ ათეშფარჩა მოკდებაო.

ასლანი შედის ახორში. ჯერ ერთ მოზვერს ამოაძრო კისერი. მაშინ ათეშფარჩა გლახათ გახტება. შემდეგ მეორე მოზვერს ამოაძრობს კისერს, მაშინ ათეშფარჩა წამუა ცაში, რომ საქმე გლახათ არისო. როცა ასლანი მესამე მოზვერს ამუაძრობს კისერს, მაშინ ათეშფარჩა ახორში მკდარი გეიშხლართება. ასლანი წამეიყვანს რძალს ქვეშა დუნიაში, მიიყვანს მათ დას და მივა. დევები დეინახვენ. მათ სიხარულს საზღვარი არ აქვს. თანაც ეტყვიან, რომ ათეშფარჩა მოკლულია. ორმოცდღიან ქორწილს კიდევ დანიშნენ. შესრულდება ეს ორმოცი დღეც. ამ გოგოს მზითევი გაატანეს და წეიყვანეს, აქაც უნდა გედეიხადონ ორმოცდღიანი ქორწილი. მიდიან სეირით, სიმღერით, კიჟინით. ჩამეიარებენ ერთ ადგილას. ნახავენ, რომ სახლის წინ ერთი ქვაბი იხარშება, შიან არის ფილავი, ასლანი მივა ქვაბთან და ფილავს შეჭამს. ამ დროს სახლიდან გამოვა ერთი შავი კაცი, რომელიც არის ქალი, მარა კაცის სურათშია შესული. ის ასლანს ეტყვის, რომ,– ვინც მაგ ქვაბიდან ფილავს შეჭამს, მე მას უნდა ვეჭედოვო. ასლანი ეტყვის, რომ შენ ვინ ყოფილხარ, თუ მოგერიე, დაგკლავ და თუ მომერიე, დამკალიო. ესენი დიეჭიდებიან. ექანება ქვეყანა. ბოლოს მიერევა ასლანი, ამეიღებს ხმალს და უნდა მოკლას. ქალი შეეხვეწება, რომ, ოღონდ არ დამკლა, ცოლად წამოგყვებიო. ასლანი ეტყვის, რომ შენ რათ მინდებხარ, სილამაზე შენ არ გაქვს და არაფერიო. ქალი ეტყვის, რომ ერთი ოთახში შევიდეთ და მაშინ ნახავ, ლამაზი ვარ თუ არაო. ქალი შევა ოთახში, მეიძრობს ნიყაბს და სილამაზის გამო ოთახი განათლდება. ასლანი ჭკვიდან კინაღამ შეიშლება. ოღონდ შენ წამომყე და რაც გინდა, ის დამავალეო. ასლანი ამ ქალს წამეიყვანს ცოლად. აკიდებენ აქლემებს, ჯორებს სიმდიდრეს და წამოვლენ. ქორწილი ქორწილს მიემატა. მიდის მექორწილე. ასლანმა ქალს გუდუუწყვიტა, რომ ნიყაბში არ დაგინახოვო. ქალმა უთხრა, რომ მე ნიყაბში არ ვიყო, შენ ბევრი მტერი გაგიჩნდებაო. ასლანი ეტყვის, – მე მტერი

ვერაფერს დამაკლებსო და ის ნიყაბი გაუტეხა. მექორწილე მივიდა ხელმწიფის სამფლობელოში. კაცები გაუგზავნეს, რომ ცოლები მოგვყავსო. ხელმწიფეს ძალიან გუუხარდა. გაშალეს დიდი ქორწილი. ერთი მაგარი ქორწილი გედეიხადეს. ორივე შვილები დეიწყობენ ცხოვრებას.

ის ჯაზი ნენეი შუუძრება ხელმწიფეს და ეჩიჩინება, რომ შენ რომ ცოლი გყავს, ის შენ არ შეგფერის. შენ შვილებს რომ ცოლები ყავს, ის შენ შეგფერისო. ამ დედაბერმა იმდენი უჩიჩინა, იმდენი, რომ ეს რძლები გულში ჩუუგდო. მეფე გადაწყვეტს, მოკლას შვილები. მან მის ეზოს წინ გააჭრევია დიდი ყუ. ამ ყუს ზედან ქილიმები გადააფარა და შვილებს შეუთვალა, რომ ავად ვარ და მნახონო. ხელმწიფემ ავათმყოფობა მეიგონა. ასლანმა და შახზადმა წევდენ მამის სანახველად. გეიარეს ამ ქილიმზე თუ არა, ჩავარდენ ყუში.

ხელმწიფემ ელჩები გუუგზავნა რძლებს, რომ ორივე ჩემი ცოლები უნდა იყვნენო. ამაზე რძლები გაოცდენ, – ჩვენი მამამთილი ჭკვიდან ხომ არ შეიშალაო. როცა დარწმუნდენ, რომ მამამთილი მართლა ამბობდა, შახზადის ცოლმა მეიპარა ხალიჩა, ქუდი, ყამჩი და ყუში ჩაყარა, სადაც იყვნენ შახზადი და ასლანი. ისინი დააჯდენ ამ ხალიჩაზე და ამოვიდენ იქიდან.

ხელმწიფემაც მთელი ჯარი მიუსია ძლებს. ასლანმა გეიზრო თავისი ხმალი და მთელი ჯარი გაწყვიტა. საბოლავოთ ასლანი შეხდა მის მამას. მან დეიჭირა მამა, დააყენა ხალხის წინაშე და თქვა შემდეგი სიტყვა: – ეს არ არის ჩემი მამა. ეს არის ჩემი მტერი, ხალხის მტერი. ამას ხელმწიფობა არ შეფერის. მან მოინდომა შვილების თავიდან მოშორება და ძლების ცოლად შერთვა. მე არ მინდა ასეთი მამა. ამ სიტყვებთან ერთად ასლანმა დაარტყა მამას კისერზე ხმალი და კისერი წააგდებინა.

ხალხმა ასლანი აირჩია ხელმწიფედ, ხოლო შახზადი დანიშნეს მის მოადგილედ. გამართეს ბედნიერი ცხოვრება.

ერთი ბიჭის თავგადასავალი

ერთ სოფელში, თურმე, ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი. ყავდა მხოლოთ ერთი ვაჟიშვილი, ცოლი არ ყავდა. ყავდა მხოლოდ ერთი კარქი ცხენი. გავიდა რამდენიმე დრო და ეს კაცი მოკდა, დარჩა მარტო ეს ბავშვი, ის იყო თორმეტი წლის. მოკლეთ ბავშვი იზრდებოდა, მსხვილი და ძლიერი. მან მამისეულ ოჯახში ცხოვრება ვეღარ შეძლო. შეჯდა თავის ცხენზე, მიატია ოჯახი და წევდა.

მიაღწია ერთ ადგილს, ნახა, რომ გზა სამ ადგილს მივა. პირველს აწერია: – ვინც აქედან წავა, ის ვეღარ დაბრუნდება. მეორე გზას აწერია: – ვინც აქედან წავა, დაბრუნება საეჭვოა. მესამეს აწერია: – ვინც აქედან წავა, ადვილათ დაბრუნდება.

ძნელად შეიძლება დაბრუნებაო, რომ აწერია, იმ გზაზე ყარავლი დგას და გამლელს იმ გზით არ უშვებს. ამ ბიჭმა მივიდა და ძალით წავიდა იმ გზით. გაიარა ერთი ტყიანი ალაგი. შემდეგ გავიდა დიდ მინდორზე. დეინახა მეცხვარე, რომელსაც რამოდენიმე ათასი ცხვარი ყავდა. ეს მეცხვარე იყო ქეშიში. ხელში დიდი კომბალი ეჭირა, თვითანაც დიდი, უზარმაზარი კაცი იყო. დეინახა თუ არა ეს ბიჭი, დაუყვირა: ჰეი, შენ ვინ ხარ. ჩემი შიშით მიწაზე ჭიანჭველა არ

დადის, ცაში კი – ფრინველი და შენ ვინ ხარ, ამდენი გაგიბედავს და აქ მოსულხარ. მოდი აქ ჩქარა, ჩემთანო. მივიდა ბიჭი. კაცმა უნდა მოკლას. შემდეგ უთხრა, რომ მოვწველი რამდენიმე თავ ცხვარს, ჩავასხამ ბოჭკებში და თუ ეს რძე შესვი ჩემს ცხვრების შემოვლაში, მაშინ გაგიშვებ, თუ არა, მოგკლავო. მართლაც, მოწველა კაცმა ცხვრები, ჩაასხა ბოჭკებში და წევდა ცხვრების თავი თავზე ჩამოსავლელად. ორჯელ არ ქონდა შემოვლილი, რომ ამ ბიჭმა ეს რძე შესვა. დაბრუნდა ქეშიში და უთხრა, რომ რახან შენ ასე მაგარი გამოდექი, მე ერთ რამეს გასწავლი და თუ ის გააკეთე, სიცოცხლის განმავლობაში ბედნიერი იქნებიო. ამ მიმავალ გზაში შენ შეგხდება ერთი კლდეო. იქ მისლამდინ ათი ვერსის გზააო. ის კლდე წელიწადში ერთჯელ იხსნება ისეთი სისწრაფით, რომ ჩიტი შეფრენას და გამოფრენას ვერ ასწრობსო. ის კლდე დღეს იხსნება, მის გახსნას ერთი საათი აკლია. შენ მიდი ამ კლდესთან და გაჩერდი, რომ გეიხსნება შეშპი შიან, რაც რომ შიან შეგხტება, ხელი მოავლე და წამოიღეო. ამის შემდეგ ამ ბიჭმა მიახტა თავის ცხენსა და აქედან გეიქცა. მივიდა იმ კლდესთან და გაჩერდა. მართლაც, კლდემ უცბად გეიხსნა, ამ ბიჭმა კლდეში გაქანებული შევარდა. თურმე ამ კლდეში ერთი გოგო თავს იბანდა ოქროს თასით. ვერაფერი ვერ ნახა ამ ბიჭმა. ქალს ეს თასი აართვა და გამოვარდა გარეთ. ამ დროს ცხენს კუდი მიემწყდა. ბიჭმა წაჭრა ეს კუდი, შეუჯდა ცხენზე და გააქანა.

ბევრია იარა თუ ცოტა იარა, მოწყურდა ძალიან წყალი. ჩევიდა ერთ წყლიპირს, აავსო ოქროს თასი და წამეიყუდა პირზე, მარა წყლის მაგიერ ოქროები გადმოჩეჩდა. კიდო აავსო წყალი. ჰამან უნდა დალიოს და ოქროები გადმოჩეჩთება. მეგომ ეს თასი იმფერია, რომ წყალს აავსოფ და ოქროთ იქცევა. ასე მეგომ ერთი ხურჯინი გაავსო ოქროებით და წევდა. იარა და ძალიან მიემშია. მიაღწია ერთ შეჰერში. ამ შეჰერში იკითხა, რომ სასადილო ხომ არ არის აქ სადმეო. უთხრეს, რომ აქ ერთი სასადილოა, მხოლოდ ღარიბს კი იქ შესლა არ შეუძლია. იქ ძალიან ძვირი საჭმელები კეთდება და მდიდრები თუ გედეიხტიან იმ ფულსო. ეს ბიჭი შევიდა ამ სასადილოში და უთხრა სასადილოს გამგეს, რომ სამი დღის განმავლობაში ეს სასადილო უფასო უნდა იყოსო. ამის ფულს მე გედევიხტიო. მართლაც, ეს სასადილო გამოცხადდა უფასოდ. მთელ სახელმწიფოში მიედვა ეს ამბავი. ხალხი მოდის ამ სასადილოში, ჭამს, სვამს და მიდიან. სასადილოს გამგე მხოლოდ იწერს, თუ რამდენს აჭმევს.

ამ სახელმწიფოში ცხოვრობდა ერთი ურია, რომელიც თავისი სიმდიდრით ხელმწიფეს არ ჩამოუვარდებოდა. მან როცა შეიტყვა, რომ ერთი კაცი მოსულა სასადილოში და იმას უთქვამს, რომ ეს სასადილო სამ დღეს უფასოდნა იყოსო, – ეს რა კაციაო. მე ამდენი ფული მაქ და მე არ შემიძლია ეს საქმე გავაკეთოვო. გადაწყვიტა ამ ბიჭის ნახვა. მივიდა ეს კაცი სამი დღის შემდეგ და აინტერესებს – ფულს ვინ გედეიხტის.

ბიჭმა სასადილოს გამგეს უთხრა, რომ წყლის პირზე წამეიყვანე ერთი კაჭკაჲ და იქ მოქცემ ფულსო. მან შეაბა ცხენები კაჭკაში და მივიდნენ წყლის პირთან. ამ ბიჭმა აავსო წყლით თასი. გადმოაბრუნებს ოქრო გამოჩეჩდება. სულ ასე გაავსო კაცი ოქროებით, იმაზე მეტი მიცა, რაც უნდა მიეცა. ამ დროს ის ურიაც იქ არის და ამ საქმეს უთვალთვალებს. რომ დეინახა, რომ თასი ოქროს ყრიდა, ძალიან გუუკვირდა. ამ ურიამ მეფესთან მივდა და უთხრა: მეფევ, მე შენ რომ გადასახადს გიხტიდი, საჩუქრებს გიზიდევდი იმიტომ, რომ მქონდა მამიდან დატევლი ერთი ოქროს თასი, რომელშიც ავავსობდი თუ არა წყალს, ოქრო გახდებოდა. აგერ ოთხი დღის წინ

ერთმა ქურდმა ბიჭმა ის თასი მომპარა და როგორმე უნდა დამეხმაროვო. მეფემ უბრძანა თავის ვეზირებს და ის ბიჭი დააჭირია. ბიჭი ამბობს,– ეს თასი ჩემია, ქეშიში ამბობს,– ეს თასი ჩემია. შენ მომპარეო. დეინიშნა სასამართლო. სასამართლომ თასი ამ ურიას მიაკუთნა. ამ ბიჭს კი ქურდობისათვის ჩამორჩობა მიუსაჯეს. ამ დროს ხალხიდან გამოვდა ერთი კაცი და ხალხს უთხრა: – თუ ეს თასი ამ ქეშიშის არის, მაშინ მას შუუძლია ერთი ამფერი თასი მეიტანოს. თუ ეს თასი ამ ბიჭის არის, მაშინ მასაც შუუძლია ამფერი თასი მეიტანოს. მე შევდივარ თავდებში. გაუშვით ეს ბიჭი და თუ მან სამი წლის მანძილზე ამფერი თასი ვერ მეიტანა, მაშინ მის მაგიერ მე ჩამომარჩეთო. სასამართლომ დათანხმდა. ეს ბიჭი და ურიაც შეუდგენ ასეთი თასის ძებნას.

ამ ბიჭმა შეჯდა მის ცხენზე და წევდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გედევდა მეორე სახელმწიფოში. ნემეტარი შია. ერთ დედაბერთან მივდა. ნახა, რომ ეს დედაბერი დამჯდარა ბუხრის ძირას და ხმით ტირის. ამ ბიჭმა უთხრა, რომ რატომ ტირიო. – რა მატირებს, შვილო, და აგერ ოცი დღეა ჩვენ ხელმწიფეს დასაქორწილებელი ბიჭი მუუკდა. ყველა ღამეს თითო კაცს გზავნიან ამ საფლავის საყარავლოთ. იქ წამსლელი კაცი ჯერ არვინ არ დაბრუნებულა ცოცხალი. ამეღამ ჩემს შვილს უწევს ყარავლობა. იმ მეტი შვილი არ მყავს და ამიტომ ვტირიო. – ნენევ, იმ შენი შვილის ადგილზე მე წავალ, ოღონდ ერთ რამე მაჭამეო. ნენეი აჭმევს საჭმელს და ეტყვის, – შენც ცოდვა ხარ, შვილო. ჩემი შვილის მაგიერ შენ რატომ უნდა მოკტე, ნუ წახვალო. ბიჭი მაინც წავა სასაფლაოზე. მიიყვანებენ სასაფლაოზე და ჩააბარებენ საფლავს საყარავლოდ. ამ საფლავის გვერდზე არის ბუჩქები. ეს ბიჭი მივა და ამ ბუჩქებში დეიმალვის. შუაღამე რომ გახტა, შენ ხარ ჩემი ბატონი, წამოვდა ფეხის ხმა და სასაფლავოები გიენათლა. მოვიდა იმ საფლავთან იმფერი ლამაზი ქალი, რომ მისი სილამაზე ანათლებს. ამ ქალმა ჯიფიდან ამეიღო ყამჩი და ამ საფლავზე დაარტყა, გეიხსნა საფლავი. შემდეგ მეორეთ დაარტყა, ამოვიდა კუბო, მესამეთ რომ დაარტყა, ამოვიდა ჩაცმულ დახურვილი ხელმწიფის შვილი კუბოდან. ამ ბიჭმა და ქალმა ერთმანეთს გედიეხვიეს, გამოდვეს კლავი კლავში და ჭურღულით გაყვენ, წევდენ საგულავოთ. როცა გათენება დეიწყო, ამ ბიჭმა და ქალმა მოვიდენ საფლავთან, კიდევ ერთმანეთი გადაკოცნეს და შემდეგ ქალმა დაარტყა მიწას ყამჩი. საფლავი გეიხსნა, მეორეთ დაარტყა, კუბო შიან ჩევდა, მესამეთ რომ დაარტყა, საფლავს მიწა წიეყარა და ეს ბიჭიც ვითომ აღარ ყოფილა არსად. შემდეგ ამ გოგომ წავიდა იმ ბუჩქისაკენ, სადაც ის ბიჭი იყო დამალული. ამ ბიჭმა გამუარდა და ამ ქალს შიებრძოლა. ქალი რომ მოკიდებს ამ ბიჭს ხელს, რამდენიმე მეტრს ცაში შეიქნევს. ამ ბიჭმა ამ ქალს შიახტა იმ ხელში, რომელშიც ეჭირა ყამჩი. ჩაავლო ხელი ყამჩს და არ უშვებს. იმდენი ჰალი ქნა, რომ ყამჩი ხელიდან აართვა. მეგომ ამ ყამჩ რომ ხელში დეიკავებ, იმხელა ძალა მოგივა, რომ რაცხას დაარტყას, მოკლავს. ეს ქალიც მეგომ ამიტომ იყო ძლიერი, როცა ეს ყამჩი ხელიდან აართვა ამ ბიჭმა, ქალსაც ძალა გამიელია და წევიდა.

ამასობაში გათენდა და ბიჭმა სტვენით მიიარა და მივდა იმ ნენესთან. ნენეს ძალიან გუუხარდა, მარა კიდოც ეწყინა. მას ეგონა, რომ ეს ბიჭი მორიგეობაზე არ წასულა. დეიწყო ტირილი. ახლა ჩემ შვილს დეიბარებენ და მოკლავენო.

ხელმწიფემ გეიგო, რომ წუხანდელი მცველი ცოცხალი დაბრუნდაო. ის დეიბარებს იმ დედაბრის შვილს და ეტყვის, მითხარი წუხელის ცოცხალი რაფერ გადარჩიო. ეს კაცი გამუუტყდება, რომ ჩემს მაგიერ სხვა იყო წასულივო. ხელმწიფე დეიბარებს ამ ბიჭს და ეტყვის: –აბა,

მომიყე, შენ რაფერ გადარჩი ცოცხალიო? ხელმწიფეს ეტყვის, – შენი შვილი რომ გავაცოცხლო, მაყარიჩი რა იქნებაო. ხელმწიფემ უთხრა ჩემ ქონებას, ჩემს ხელმწიფობას შენ დაგითმობ, ამაზე მეტი რა იქნებაო. – მე გავაცოცხლებ შენ შვილსო. ეს ხმა მთელს სახელმწიფოში მოედვა. საფლავზე ხალხმა მეიყარა თავი. ყველას აინტერესებს, თუ კდარს რაფერ გააცოცხლებსო. ამ ბიჭმა ამეიღო ყამჩი, დაარტყა მიწაზე და საფლავი გეიხსნა. მეორეთ დაარტყა და კუბო ამოვიდა. მესამეთ დაარტყა და კუბოს თავი აეხადა. გამოვიდა ხელმწიფის შვილი. დეინახა დედ-მამა და გედეეხვია. ხალხი სიხარულით დაბრუნდენ სახლში. ხელმწიფემ ტახტზე ეიყვანა ეს ბიჭი. ამ ბიჭმა მიერე დღეს ხელმწიფეს უთხრა, რომ მე ხელმწიფობა არ მინდა, ერთ რამეს თუ შემისრულებო. ერთი იმისთანაჲ თასი მიშვე, რომ წყალი აავსო, ოქრო გახტესო.

ხელმწიფემ უთხრა, რომ ოქროს თასს რამდენიც გინდა, იმდენს მოგცემ, მაგრამ იმფერი თასი, რომ შიან წყალი ჩაასხა და ოქრო გადმოჩიჩდეს, ჯერ არსად არ გიმიგონიაო. მაშინ მე მივალ მის საძებნელადო. ხელმწიფემ მას ბევრი ოქრო მისცა, მარა არ წაიღო. ერთი სამი ოქრო ხელმწიფემ ძლივს ჩუუდვა ჯიფეში. ამ ბიჭმა იარა, იარა და მივიდა მესამე სახელმწიფოში. მივიდა ერთ დიდ ზღვისპირა ქალაქში. ძალიანაც შია ამ ბიჭს. მაღაზიას აწერია: „პური“. მივა ნახავს, რომ პური არ არის. ერთ ცხრა-ათ მაღაზიას ნახავს და შიან არაფერი არ იქნება. შემდეგ იკითხავს, რომ, პური რატომ არ არის აქო? უთხრეს, რომ სამი თვეა, აქ პური არ არისო. ამ ქალაქში საერთოდ პური არ არის და სხვაგნიდან შემოაქვთო. გავგზავნით გემებს და დაჭვირთული ჰამან რომ მოადგება ხმელეთს, რაცხა ყველას ჩაძირავსო. მთელი ხალხი, დიდი და პატარა თოფებით არიან დამდგარი, მარა რა ძირავს გემებს, კაცმა არ იცისო. ბიჭმა უთხრა, რომ ერთი რამე მაჭამეთ და იმ გემებს მე გამოვყვანო. მოუტანებენ საჭმელს და გააძღებენ. ამ დროს გემები წასული არიან. ყველას იმედი დაკარქული აქ. ქალაქში მაინც ვერ შემოაო. ყველაჲ უყურებს გემებს. მოდის ორმოცი გემი. ჰამან ხმელეთზე გამოსლას რომ ორი კილომეტრი დუუკლდა, ერთი გემი ჩეიძირა. ამ ბიჭმა მეორე გემიც რომ დეიღუპა, ამ გემებთან გაჩინდა. ჩახედა წყალში, რომ ამ გემს ადამიანი მოკიდავს ხელს და წყალში ჩაათრევს. ამ ბიჭმა ჩახტა წყალში. ნახა, რომ ესეც არის გოგო. შეებრძოლა ამ გოგოს. გოგო მასზე უფრო ღონიერია. ამათ ბრძოლაში გემები გამოდიან. ამ გოგოს ხელზე აქვს ოქროს ბეჭედი. ეს ბიჭი იმდენ ჰალს იქს, რომ ამ ბეჭედს მოაძრობს ხელიდან და თვითან წამოიცვამს. ამ ბიჭს ამ ხელში მუუა დიდი ძალა. მეგომ ამ გოგოსაც იმიტომ აქ ძალა და იმიტომ ითრევს გემებს, რომ ეს ბეჭედი აქ. ბიჭმა გამოვიდა ქალაქში. ხალხმა პურით დაკმაყოფილდა. ხელმწიფე დეიწყებს ძებნას, რომ ვინ არის ის კაცი, რომ ასეთი საქმე გააკეთაო. დეიბარა ეს ბიჭი და უთხრა: – ხელმწიფობა ნამდვილად შენ გეკუთვნისო. ბიჭმა უთხრა, – მე ხელმწიფობა არ მინდა. თუ ერთი საქმე გიმიკეთე, ყველაზე დიდი საჩუქარი ის იქნება ჩემთვინო. ისეთი თასი უნდა მომცე, რომ შიან წყალი ჩაასხა და გადმუაბრუნო, ოქროები გადმოჩეჩდებაო, მეტი შენგან არაფერი არ მინდაო. ხელმწიფე ეტყვის, – ასეთი თასი ჯერ მე არსად გამიგონიაო. ისე კი, ოქროს თასებს, რამდენიც გინდა, იმდენს მოგცემო. ხელმწიფეს აართვა გზის საგზალი და წევდა, შეჯდა მის ცხენზე. ბევრი იარა თუ ცოტაჲ იარა, ერთ ტყის პირში მიაღწია. მიემშია ამ ბიჭს. ამ დროს ტყიდან ერთი შველი გამოვარდა. ამ ბიჭმა მოკლა ეს შველი, დაანთო ცეცხლი, შეწვა ხორცი და ჭამა დეიწყო. ამ დროს გამოვიდა დევი და უთხრა: – ჩემ სამფლობელოში რატომ მოკალი შენ შველიო და დუუწყო ბრძოლა. დევმა გეიქცა, ამ ბიჭმა გამოეკიდა.

დევი გარბის, ეს ბიჭი მიდევს. გავიდენ ერთ დიდ მინდორზე. აქ იყო ერთი დიდი სასახლე და ეს დევიც ამ სასახლეში შეშპა, შეყვა ეს ბიჭიც. დევი დეიკარქა. ბიჭმა ეძება და ის ვეღარ ნახა. ბიჭმა იფიქრა: – ერთი ამ შენობას მევიარო. ავიდა ერთ სართულზე, მეორეზე, მესამეზე და მეექვსე სართულზე ავიდა, ნახა, რომ ლამაზი ოთახია მოწყობილი. სტოლზე საჭმელებია, არის ერთი შკაფი, დიდი სარკე და ყველამფერი. გედეიხედა ბიჭმა ამ სართულიდან და ნახა, რომ ეზოში მოვდა ერთი კაჭკაჲ. შიან შებმული არიან თეთ-თეთრი არაბული ცხენები და ზედ ჯდას ერთი ლამაზი გოგო. იმ დევმა მივიდა, უუშვა ცხენები და დასაბმელად წეიყვანა, გოგომ კი წამოვდა სახლში. ამ ბიჭმა შკაფში შეძრა და დეიმალა. ამ გოგომ ევდა მე-6 სართულზე, დაჯდა და საჭმელი ჭამა, შემდეგ იქვე ჩამოჯდა. ამ ბიჭმა გედეიხედა და დეინახა, რომ კიდევ იმფერი კაჭკაჲ მოვდა. დევმა ცხენები წეიყვანა დასაბმელად, გოგომ ავიდა მე-6 სართულზე და იმ გოგოსთან დაჯდა. შემდეგ კიდევ მოვდა იმფერი კაჭკაჲ. მოყვა იმფერი გოგოც. იმანაც ევდა მე-6 სართულზე და იმ გოგვებთან დაჯდა. გახტენ სამი გოგო. ერთმა თქვა, რომ ჩვენ ამდენი ხანია ერთად ვართ და ჩვენ ერთმანეთის ვინაობა არ ვიცითო. ახლა ერთმანეთს უნდა ვუთხრათ ვინაობაო და დეიწყო პირველათ, რომ გოგო მოიდა, იმან ლაპარიკი: – მე მყავდა მდიდარი ხელმწიფე მამა. გასათხვარი რომ გავხტი, ერთი ღარიბის ბიჭი შიმიყვარდა. მამამ რომ გაიგო, კინაღამ მომკლა. შენ რათ გინდა მდიდრის შვილს ღარიბის შვილიო. მე ერთ დღეს დავტიე სახლი და გევქეცი იმ ღარიბის შვილთან. მამამ გეიგო და ჩემი თავი გზაში დააჭირია და მე მიმისაჯა ცეცხლში დაწვა. ოთხი საჯენი შეშა დამაყარეს ერთ ადგილზე იქით-აქეთ და შუაში მე დამაყენეს და ცეცხლი გუუკიდეს. უცებ ამ ცეცხლმა შეშამ კილდეთ იქცა და მე შიან დავრჩი. ამ კლდეში ვცხოვრობდი. ეს კლდე წელიწადში ერთჯერ გეიხსნებოდა. იქ ჩიტიც კი ვერ ასწრებდა შემოფრენას და გაფრენასო. მე იქ ოქროს თასი მქონდა, შიან წყალს რომ ჩაასხამდი, ოქროები გამოჩეჩდებოდა. ერთ დღეს ამ კლდეში ერთი ბიჭი შემოვიდა, წამართვა ის თასი და გეიქცა. მე ახლა დავდივარ იმის სანახავად. ნეტავი, ერთს დევნახევდე, თუ ვინ არის ისეთი, რომ იქ შემოვიდაო. იმისთანაჲ თასები მე ბევრი მაქო.

მეორე დეიწყო: მე გლეხის შვილი ვიყავი. შიმიყვარდა ხელმწიფის ვაჟი. მეც ძალიან ვუყვარდი იმ ბიჭს, მარა მამამისმა არ ქნა, – გლეხის შვილი რძლათ რათ მინდა! იმას სახლში არ შამუუშვეფო. მე მამისაგან დამრჩა ერთი ყამჩი, რომელიც ცოცხალს მოკლავდა და კდარს გააცოცხლებდა. ვიფიქრე, რომ იმ ბიჭს მოვკლავ, შემდეგ გავაცოცხლებ და ასე მევყაჟირებ მეთქი. მართლაც, ის ჩემი შეყვარებული მოვკალი. შემდეგ ყველა ღამეს საფლავზე მივდოდი, იმას ვაცოცხლებდი და მთელი ღამე ერთად ვიყავით, გათენებისას მოვკლევდი და წამოვდოდი სახლში. ერთ დღეს ერთმა ბიჭმა იმ საფლავთან შემებრძოლა, ის ყამჩი ამართვა და წევდა. მე მაინტერესებს, ვინ იყო ის. მე მაშინ იმისი სიყვარული ჩიმივარდა გულში და იმას ვეძებო. ერთი მაინც დევნახევდე და ისე მოვკვდებოდეო.

შემდეგ მესამე გოგომ დეიწყო ლაპარიკი. მეც გლეხის შვილი ვიყავი. შიმიყვარდა ხელმწიფის შვილი, ვიწვებოდი მისი სიყვარულით. ხელმწიფემ არ ქნა, – ღარიბის შვილი მე რათ მინდაო. იმ სახელმწიფოს პური არ ქონდა და სხვა სახელმწიფოდან ზიდევდა. მე მქონდა ბეჭედი, იმ ბეჭედს წამოვიცვამდი და ისეთი ძალა მომეცემოდა, რომ ყველაფერს ვერევოდი. მე გემებს ზღვაში ვძირავდი. ამ დროს ყველაჲ მოდიოდა და ჩემს შეყვარებულსაც იქ ვხედევდი და ამით

ვიყაჟირებდიო. ერთ დღეს ერთმა ბიჭმა ამართვა ის ბეჭედი. ახლა იმას ვეძებ, ერთი ვინ არის ისეთი გმირი, მინდა ვნახოო.

ამ დროს ამ ბიჭმა გამოვიდა შკაფიდან და მეორე გოგოს უთხრა,– აჰა, შენი ყამჩიო. ის ბიჭი მე ვარო. მესამე გოგოს ბეჭედი მიცა. პირველს უთხრა: შენი თასიც მექნებოდა, მარა ის მე წამართვეს. ახლა წამოსული ვარ. თუ ისეთი თასი ვერ მივიტანე, ჩემს მაგიერ ერთ კაცს ჩამუარჩობენო. ის გოგო მიცემს თასს და ეტყვის: – წადი და ის კაცი გაათავისუფლეო. ისევ უკან დაბრუნდი ჩვენთანო. ამ ბიჭმა იმ ადგილზე რომ მივდეს, უნდა ორმოცი დღე იაროს. ვადა დარჩენილი აქვს ოთხი დღე. ამ გოგომ უთხრა, რომ ჩვენ ისეთი ცხენები გვყავს, რომ ერთი თვის სავალს ერთ დღეში გეიარსო. მისცეს არაბული ცხენი, დააჯდა და მივიდა. ჰამან სასამართლოც დამჯდარი იყო და ის კაცი უნდა ჩამოეხრჩეს. ეიღებს და სასამართლოს წინაშე დადებს ამ თასს. ამ თასს მიაკუთნებენ ამ ბიჭს. იმ ურიას ხეზე ჩამოკიდებენ ტყვილისათვის.

ბიჭმა დაბრუნდა იმ გოგვებთან, სამივე ითხვა ცოლად. გედეიხადეს დიდი ქორწილი. იმ ქორწილში მეც ვიყავ. ბევრი, ვსვი, ვჭამე, მარა მუცელში არაფერი ჩამსლია.

გულნარა შაქირის ასული ქიზინიძე, დაბადებული 1944 წელს, დამთავრებული აქვს მე-4 კლასი. იცის ცეკვა, ამღერებს ჩონგურზე. მის რეპერტუარში შედის ლექსები.

* * *

ერთი გოგო მიყვარდაო,
მინდორ-მინდორ მივდოდა.
სათამაშო ვაშლი მქონდა,
შენსკენ გადმომივარდა,
ჩემ მეტი თუ ვინმე გინდა,
ნესლი ამოგივარდა.
...
მე ისეთი ჩიტი მიყვარს,
მაღლა, მაღლა ფრინავდეს,
შემოფრინდეს იმ ოთახში,
სადაც შენ რომ გძინავდეს.
...
ფარშავანგი ამოფრინდა
აბრეშუმის ბუდიდანა,
ბიჭო, შენი სიყვარული
არ ამოდის გულიდანა.
...
ფარშავანგი ამოფრინდა
მის საყვარელ ბუდიდანა,
საყვარელმა ვაშლი მომცა,
ამოიღო უბიდანა.
...
ოდეს რომ ხის ძირს ჩამოჯდებოდე
და რომ წარსულზე ბევრი იფიქრო,
ბევრი რომ გქონდეს საფიქრებელი,
მეც მომიგონე, არ დამივიწყო.
...
პირველად რომ დაგინახე,
მომეწონა შენი სახე,
შენი ცოლად მოთხოვება
მე მიზანში დავისახე.

ამას ვუწერ მას,
ჩემი გულის ვარდს,
შეინახე ჩემ სახსოვრად,
არ აჩვენო სხვას.
...
ჩემს ბოსტანში გადვიხედე,
დავინახე იფნებიო,
შენთან ყოფნა მეღირსება,

ბედნიერი ვიქნებიო.
...
მდინარის პირას ვიდექი,
ქარი იყო მეტად წყნარი.
ეხლა უკვე საჭიროა,
ჩემი სახელი და გვარი,
გუშინ მთაში გეახელი.
დღეს ჩამოვედი ბარადა,
იოსები მქვია სახელად.
ქიზინიძე ვარ გვარადა
...
ამოდენა სიყვარული,
მითხარ, როგორ ავიტანო,
ეხლა მინდა, ჩემო ტურფავ,
ღამე შენთან გავატარო.
...
ყველა ადგილს მირჩევნია,
მე ქალაქი კოჟორი,
ახლოს მოდი, ლამაზო,
გადაგბარცხნო ქოჩორი.
...
გოგოვ, რა გინდა კობალთას
ჩემთან ჩამოდი ბოგილში (ადგილია),
მოგეფერები, გაკოცებ,
და გაგაგორვეფ ლოგინში.
.....
გოგოვ, გოგოვ, კისკისაო,
აქ ჩამოდი წყლისპირსაო,
არ ჩამოხვალ, მე ამოვალ,
ამოგკოცნი ცხვირ-პირსაო.
...
გოგოვ, გოგოვ, კისკისაო,
აქ ჩამოდი წყლის პირსაო,
წყალი მასვი კოკითაო,
გამაძღევი ლოყითაო.
...
გოგოვ, გოგოვ გულქანაო.
შენ ლამაზო, სუქანაო,
ღმერთმა მომცეს შენი თავი
ადრე ვახშამს უკანაო.
...
ჩვენ თავრობამ გამოჭედა
ჩაქუჩი და ურო,
ჩვენ თავრობას ვენაცვალე,
სულნა ვემსახურო.

ფუტკარაძე სულთან მუხამედის ასული, დაბადებული 1941 წ. სოფ. გორში, ამჟამად ცხოვრობს სოფ. კობალთას, გათხოვილი, დამთავრებული აქვს მე-4 კლასი. მის რეპერტუარში შედის ლექსები, რომლებიც დასწავლილი აქვს ხალხისგან. იცის სიმღერა, უკრავს გარმონსა და ჩონგურზე.

* * *

...
სიყვარული ძნელია,
ძნელი მოსათმენია,
ვისაც არ გაუწევია,
მისთვის არაფერია.
...
სიყვარულმა გული დამწვა,
სინატრულემ თვალები,
დღეში ათი საათია,
ათხელ გამახსენდები.
...
ღელე გაღმით ხარი გავდენე
ყირმიზი და რქიანი,
მე რომ გოგო დავაპირე,
წელმაღალი, თმიანი.
...
სიყვარული ასეთია,
თვალებს გაცეცებიებსო,
ჯიბეში თუ ფული არ გაქ,
სხვისგან გასესხებიებსო.

...
მაღლა სერზე ასლა მინდა,
კვერცხის გულის ატანაო.
იმ გოგოსი თხოვნა მინდა,
წითელ კაბის მოტანაო.
...
გოგოვ, შენმა სიყვარულმა
გამიჩინა გენიაო,
აქაც აღარ გამაჩერა,
შენთან მომარბენიაო.
...
წყალს ნაფოტი ჩამოქონდა
ალმასის ჩამონათალი,
დადექი, წყალო, მითხარი,
საყვარლის, შემონათვალი.
...
ერთი, ორი, სამი,
სუფრას უნდა სკამი,
ფიქრი – დოდოფალი,
მე ვარ მისი ქმარი.
...
სიყვარულის კალათაო,
გოგო გახდა ავათაო,
ჰექიმობას მოვიგონებ,
წავალ სანახავათაო.
...
გოგოვ, შენი თეთრი კაბა,
წყალს გაქონდა მდინარესა,
ჩამოგივლი შუაღამიხან,
გაგაღვიძებ ძინარესა.
...
გოგონიავ, რა გიხტება,
თეთრ კაბაზე ტუფლებიო,
მოგიტაცავ, თან წაგიყვან,
გულში ჩაგეხუტებიო.
...
გოგონიავ, რა გიხტება
პალკონზე გადმოდგომაო,
უკოცნელ მაინც არ დაგტევ,
მეღირსოს შემოდგომაო.

– გოგონიავ, გიკდებიო,
– ამ ჩემ ფეხებს, თუ კდებიო,
ორ კვირეს არ მოგიყურებ,
შემდეგ გაგითხოვდებიო.
...
უშენობით ეს ქვეყანა
ჩემთვინ არის ღერი ჩალა.
ამ შენ ფეხის დანადგამზე
მიწა მიყვარს, ეს ქვეყანა.
...
საყვარელო, ჩემო კარგო,
ჩემ სიცოცხლეს გფიცავარ,
თუ გაგცვალე ვინმეზე,
წამეფაროს მიწამა.
...
შენ მიყვარხარ, გენაცვალე,
რით შეგატყვა სიყვარული,
სხვადასხვაზე რომ არშიღობ,
მაგან გამიტეხა გული.
...
გოგონას ბაღში ეძინა,
ტუჩები ჩემკენ ექნაო,
გადავეხვიე ვაკოცე,
აბა, რა უნდა მექნაო?!
...
სერზე ჩიტი მოფრინავდა,
მელაღური მგონიაო,
რაცხა გოგოს დავინახავ,
ყველა ჩემი მგონიაო.
...
უმფრო, უმფრო ლამაზდები,
უნდა დასწვა ეს ქვეყანა,
შემშალე და გადამრიე,
გამომიყვანე ჭკვიდანა.

...
მუხას ცეცხლი წავუკიდე,
ეწერს ებრიალება,
გოგოვ, შენი სიყვარული,
გულში მებრიალება.
...
ახო ყანა გავაღევი,
შით დავთესე კვატიაო.
ანავ, ბაბოვ, გეხვეწები
ნუ დამაწვენ მარტუაო.
...
უზარმაზარ გორის ძირში
ცისარტყელა იკლაკნება,
მუდამ შენზე, საყვარელო,
ჩემი გული იტანჯება.
...
მაყვალს გიგავს თვალები,
ცისარტყელას – წარბები,
გადაგეხვევი, გაკოცებ,
ლამაზო, გენაცვალები.

...
საყვარელი მიყვარდა,
წყალში გადამივარდა,
ხელი ვტაცე, ამოვიღე,
ჩემს საყვარელს არ გავდა.
...
რა ლამაზად გიხტებოდა,
პაპიროს რომ ეწეოდი,
მე შორედან გიმზერდი და
შენი ეშხით ვიწვებოდი.
...
გოგონიავ, ლამაზო,
შენმა სევდამ დამადნო,
შენმა სევდამ, სიყვარულმა,
ჩიხოტკაში ჩამაგდო.
...
რა ლამაზი ვარდი შენ ხარ,
მებრალები მარტოდ რომ ხარ,
დედა რომ გამომიშვებდეს,
უეჭველად შენთან მოვალ.

თავდგირიძე ვენერა ნიქაილის ასული, დაბადებული, 1946 წ. კობალთაში, მე-4 კლასის მოსწავლე.
მის რეპერტუარში შედის ლექსები, რომლებიც დაუსწავლია დედისგან.

* * *

...
წყალს ნაფოტი ჩამოქონდა
ალმასის ჩამონათალი,
წყალო, დადექი, მითხარი
საყვარლის შემონათვალი.
...
გევიარე აგარასა,
ვაგორებდი გოგორასა
აგარელსა გოგოებსა,
ვაწევიეფ დიდ ბელასა.
...
საყვარელო, ჩემო კარგო,
ოქროს ბეჭედი რომ გაქო,
ვიქნებოდე შენი კაბა,
ტანზე ჩაცმული რომ გაქო.
...
აბრეშუმის კაბა მინდა,
რომ გაქონდეს შარიშური,
ღმერთმა ის როდის მომასწრას,
შენზე ვიყო დანიშნული.
...
მიყვარდა ჩემი ნაბადი,
გამთენებელი ღამისა,
მოვკვდები, ჯავრი ჩამყვება,
სამი ლამაზი ქალისა.

...
ყველა ხემ აყვავილდა,
შენ რას იჯები, წიფელავ,
არ მომიკდე, არ დამტიო,
ჩემო ლოყაწითელავ.
...
ახლა რა ვქნა, რა ვუშველო,
ამ ჩემ პატარა ქმარსა,
არც მიკბინა, არც მაკოცა,
არც მიმანება სხვასა.
...
ეიგერ მაღლა წყალი მოდის,
ნარინჯი ფერი გადმოდის,
გოგოვ, მეტად ლამაზი ხარ,
მთავარი სული ამომდის.
...
გაღმა, გაღმა სერები,
გაღმა არის ერთი ქედი,
მოწყალევ, შენ გეხვეწები,
გოგვებს გაუხსენი ბედი.
...
ბათუმს ჩაველ, ფაფა ვჭამე,
სახში ამველ, დო და რძეო.
მოდი, ერთი ბანი მითხარ,
გაბერილო გობაძეო.
...
ჩავდე თოფი ხალითაში,
ავდგეთ, წევდეთ სხალთაში,
ლამაზები ავირჩიოთ,
გავგურდეთ კალთაში.
...
წუხელი სიზმარში გნახე,
წარბი მაღლა აგეყარა,
ფანჯარაზე მომდგარიყავ,
ნაპწნები გადმოგეყარა.
...
დაბლა მინდრის ბოლოსა,
კაჭკაჲ მიდის ხულოსა,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე
შავთვალ-წარბის ბოლოსა.
...
დავწე და სიზმარში ვნახე,
ვაიმე, რა გადამხდება:
ავსულიყავ სოფლის თავში,
ალბათ, სატრფო იქ დამხდება.
...
მე რომ გოგო მინდოდა,
მინდორ, მინდორ გარბოდა.
...
სათამაშო ვაშლი მქონდა,
შენსკენ გადმომიგორდა,
მე თუ გძულვარს, სხვა თუ გინდა,
ნესლი ამოგივარდა.
...
წიფე სხალის ჭამა მინდა,
კბილის გაკრაჭუნება,
ბარიშნებთან წოლა მინდა,
ხელის ჩაფაჩუნება.
...
ქალაბანი შევიკერე,
ხარის თათრიელია,
გოგუებთან წასლა მინდა,
ქესა ცარიელია.
...
უბედური ჩემი თავი
ღმერთმა რატომ გამაჩინა,
რატომ მომცა საყვარელი,
მასთან აღარ დამარჩინა.
...
წვიმა წვიმს და ნამი არა,
თეთრ კაბაში გამიარა,
შენი სევდა, სიყვარული,
კაკალ გულში გიმიარა.
...
გოგვები მოყრილიყვენ,
ყანის სათოხნელადა,

ლოყები დაუსუქებიან,
ბიჭების საკოცნელადა.
...
ბოსტანს შიგნით გადვიხედე,
გატეხილი ცულისთვის,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
შენ დედ-მამის სულისთვის.
...
ქალი მივალ ქალაქშია,
კვერცხი მიდევს კალთაშია,
ყველას ქმარი ქალაქშია
ჩემი ქმარი ქარაფშია (ე.ი. ქვებშიაო).
...
ავდექი თაზე წავედი,
თან წავიღე კალათა,
გოგოვ, მეტად მიყვარხარ,
შენ მინდოდი ქალათა.
...
ჩონგურის თელი გამიწყდა,
ვაიმე, ჩემო დანკუნაო,
თეთრფერვანმა ქვეშ დამიგო,
შავგრიმანმა დამბურაო.
...
მე რომ ჭიპონი გავაწყე,
ვარანწკურებდი საათივითა,
ბიჭო, რას ეყაყუნები,
წელმოწყვეტილ ყაზივითა.
...
ფარშავანგის გბელი კუდი,
თავზე მხურავს ძველი ქუდი,
თვრამმეტი წლის რომ შევიქენ,
გავხდი გოგონების ქურდი.
...
მივდიოდი სერა-სერსა,
სერმა ფეხი დამისველა,
შენ გაღმა და მე გამოღმა,
გულმა აღარ გამისვენა.
...
მოვდიოდი სერა-სერა,
მივდენიდი ჩიტებსაო,
ღმერთო, ჭირი გაუჩინე
მოღალატე ბიჭებსაო.
...
გაზაფხული რომ გამოვა,
ამწვანდება მთა და ბარი,
შენი სევდა გულსაც მიკლავს,
შემიყვარდი ნამეტარი.
...
გაზაფხული რომ გამოვა,
მოფრინდება მერცხალი,
შენს სიყვარულს არ დავკარგავ,
სანამდის ვარ ცოცხალი.
...
გაზაფხული რომ გამოვა,
აყვავდება ნუში,
გოგოვ, მეტად ლამაზი ხარ,
ჩამივარდი გულში.

ფუტკარაძე შუშანა ახმედის ასული, 35 წლის, სოფ. პაპოშვილების მცხოვრები,
მის რეპერტუარში შედის ლექსები. უკრავს გარმონსა და ჩონგურზე, იცის ცეკვა და სიმღერა.

* * *

შემოდგომის დღე იყო,
ყველა ჭლექით კდებოდა,
ჩემი ბიჭი საბრალო,
ჭლექსაც შეყვარებოდა,

რა ვიცოდი, თუ ჩემს მეტს,
ვინმეს ეყვარებოდა,
რადგან ლამაზი იყო,
ჭლექსაც შეყვარებოდა,

აგარაკში მივდიოდი,
მკურნალობა მინდოდა,
შენ, ოხერო სიკვდილო,
ჩემთან რაღა გინდოდა,
შემოდგომის თვე იყო,
ხეს ფოთოლი სცვიოდა,
ჩემს ბიჭიკოს საფლავზე,
ცხარე ცრემლი სცვიოდა,
ჩემს ბიჭიკოს ვუყვარდი,
მუდამ თავს მევლებოდა,
– შენ შეგწირავ სიცოცხლეს,
ასტე მეუბნებოდა.
ერთხელ, როცა ოთახში,
მოწყენილი ვტირი მე,
შემოდის და მეუბნება,
შენ მიყვარხარ, ჭირიმე.
ჭლექმა გამანადგურა,
და მომიკლა ეს გული.
სამუდამოდ დავკარგე,
პირველი სიყვარული.

შაირები

სიცილი ელვას მიგიგავს,
როდის გაგეცინება?
დილის ამოსულ ბზეს გავხარ,
სერებს რომ ეფინება.
....
ახალი სახლი ავაშენე,
ვერ შევკიდე კარებიო,
შედიან და გამოდიან,
ფერწასმული ქალებიო.
...
გაღმა სერზე, კაკლის ძირსა,
მორიკრიკებს ცივი წყარო,
რა კარგია, კოცნის შემდეგ,
გოგო გეტყვის,– მიყვარხარო.
...
ერთი დედამთილი მყავდა,
დაბალი და სუქანიო.
ბუნებასაც მივაბარე,
დავრჩი თავისუფალიო.
...
მამაჩემი ავათ გახდა,
დედამ დეიწყო ტირილი,
გამჩენელო, მომასწარი
გონჯ დედამთილის სიკდილი.
...
გურიაში ვაშლი ვჭამე,
ზესტაფონში – ატამიო.
ბარიშნები მეხვეწებიან,
ხარატული აკვანიო.
...
მიყვარხარ და მეყვარები.
რით შეგატყო სიყვარული,
სხვადასხვას რომ თვალს უხუჭავ,
ამან გამიტეხა გული.
...
მიყვარხარ და მეყვარები,
ჩემო ოჯახის ბინაო,
ყველა წუთში მაგონდები,
მიდგიხარ თვალის წინაო.
...
უბედური ჩემი თავი
გამთენებელი ღამისა,
მოვკვდები ჯავრი ჩამყვება,
სამი ლამაზი ქალისა.
...
გიტარა მაქ აწყობილი,
ტარში გატეხილიაო,
რა ვუშველო ამ სიყვარულს,
ძლიერ ატეხილიაო.
...

გიტარა მაქ აწყობილი,
ჩონგური მიბარებული,
გუშინ გოგო გადავკოცნე,
სუდში ვარ დაბარებული.
...
ავად ვარ და სული მიწუხს,
თან სიცივე მეპარება,
მეგომ რა ძნელი ყოფილა,
სხვისი შვილის შეყვარება
....
მეც კი ვიცი, რომ ძნელია
სხვისი შვილის შეყვარება,
შორიდან გეარშიყება,
ახლოს რომ არ გეკარება.
...

გაზაფხული მიტომ მიყვარს,
ჩიტი იწყებს გალობასო,
კაცი რომ დაღარიბდება,
ქალს დაუწყებს ჯავრობასო.
...
ბიჭო, შენი შალ-კასტუმი
ნაკერია ნემსითაო,
არშიყობას ვერ ამტკიცებ,
მაწონდები ეშხითაო.
...
ბიჭო, შენმა სალამაზემ,
გამიჩინა გენიაო,
არ გიყურო, მენატრები,
რომ გიყურო, მცხვენიაო.

მაკარაძე ემინი, 45 წლის, სოფ. ოლადაურის მცხოვრები, ცოლ-შვილიანი, ნამყოფია ბათუმში, ზესტაფონში, ქუთაისში, თბილისში მის რეპერტუარში შედის ლექსები, იცის სიმღერა და ცეკვა, უკრავს ჩონგურზე.

* * *

გაზაფხული რომ გამუა,
ამწვანდება მთა და ბარი,
შენმა სევდამ შემაწუხა,
შემიყვარდი ნემეტარი.
დღისით ფეხზე დავბოდიალობ,
არ მიფიქრო მე ცოცხალი,
სევდისაგან დამწვარი ვარ,
უბედური ჩემი თავი.
მე თუ მოვკდი, დამიტირე,
გულზე ცრემლი დამაყარე,
მინდა შენზე ჩახუტება,
შენი ჭირი ჩამაყარე.

ასტე ძალიან შამიყვარდი,
გამორჩევლი ათას ქალში,
შენმა სევდამ შამაწუხა,
გლახათ მომაქცია ტანში.
ჩემი ბედი ასტე არის,
დღე ჩემი -დაბნელებული,
ეს ოხერი სიყვარულია
ჩემთვინ გაძნელებული.
უნდა ჩავეჭრა ღრე წყალში,
ასტე მაქ მოფიქრებული,
მე სიცოცხლე რაღათ მინდა,
შენ თუ ჩემი არ იქნები.

შაფათი რომ დაღამდება

შაფათი რომ დაღამდება,
კვირა გათენდებაო,
ახალდანიშნული გოგო,
ბანზე გადმოდგებაო,
შევა, დედას მიახარებს,
სიძე მობრძანდებაო,

– მობრძანდი, სიძე ბატონო,
სიდედრი ეუბნებაო.
– შვილო, სუფრა გაუშალე
სიძეს ემშივებაო,
– არა, დედი, არა მშია,
ძალიან მეძინებაო,
– შვილო, ლოგინი გაუგე,
სიძეს ეძინებაო.
მივა გოგო, ლოგინს აგებს,
სიძე მივა წვებაო.
დანიშნულსაც ეუბნება
– შენ რას შვრები ეხლაო?
დანიშნული ეუბნება:
– შევეკითხები დედასო.
დედამისი ვარს უჩივის:
– შვილო, არ იქნებაო,
მეზობლები გაგვიგებენ,
თავი მოგვეჭრებაო.
გაბრაზებული სიძეი
დგება, მიბრძანდებაო.
დანიშნული უკან მიდევს:
– რავარ გეკადრებაო.
დაბრუნდი, შენი ჭირიმე,
იყო, შენი ნებაო.
მივა, ლოგინს წვებაო,
თვრამეტი წლის ტურფა გოგო
გვერდით მიუწვებაო.
ამ ოთახში სინათლეა,
იგიც ნელა ქრებაო,
იქ რომს ამბავი იქნება,
ენით არ ითქმებაო.
შუაღამე რომ შეიქნება,
ბრძოლა აუტყდებაო,
კრაოტი ბრძოლას ვერ ეიტანს,
ოთხნავ ფეხი ტყდებაო.
დაფეთიანებული სიძეი
ზეზე წამოხტებაო,
დანიშნული დილით დგება,
დედას ეცხადებაო:
– შვილო, ჩაი გაადუღე,
სიძეს ემშივებაო.
– დამეთხუე, დედაჩემო,
რაღა მეჩაიებაო,
ისეთი ვიღაც სიძეია,
ძალვან მეჯავრებაო.
წუხელის არ დამაძინა,
ეხლა მეძინებაო,
თავქვეშ ბალიში მომპარა,
ფხრებზე დამაყენაო,
ერთიც ისეთი მიკბინა,
ეხლაც მენანებაო.
– ასეთია შაფათ ღამე,
კვირის გათენებაო,
შვილო, მე არ დამიჯერე,
მაგრე მოგიხტებაო.
შაირები
მაღლა ტოტზე ავცურდები,
ტოტს ჩამოვჭრი ლალისაო,
არშიყობას არ ვიკადრებ
შენისთანა ქალისაო.

...

ჭირიმე და ჭირიმე,
შავთვალწარბა ბიჭისაო,
შენ რომ ჩემი გახდებოდე,
შემდეგ რაღა მიჭირსაო.

...

შენი ჭირიმე, ბიჭიკო,
ჩემო ოჯახის ბინაო.
ყოველ წუთში მაგონდები,
მიდგიხარ თვალის წინაო.

მაკარაძე ფატყუმე იუნუსის ასული, სოფ. ოლადაურის მცხოვრები, 36 წლისა, წერა-კითხვის მცოდნე.
მის რეპერტუარში შედის ლექსები, უკრავს ჩონგურსა და გარმონზე.

* * *

...
ჩონგურო, ჩემო ჩონგურო,
რას გადაწყვეტს ბუნებაო,
მთლათ ქვეყანას მირჩევნია,
გოგოს გადაბრუნებაო.
...
ამ ქვეყანას ვერ გევხარე,
საიქიოთ რა ვიქნები,
ეს ქვეყანა მე რათ მინდა,
შენ თუ ჩემი არ იქნები.
...
მაღლა სერზე რომ აველი,
იქაც იყო ერთი ყანა.
შენ თუ ჩემი არ იქნები,
რაღათ მინდა ეს ქვეყანა.
...
მაღლა სერზე წყარო მოდის,
ნარინჯის ფერი გადმოდის,
გოგონიას დავინახავ,
მთავარი სული ამოდის.
...
სერი-სერსა დევჲარები,
წყალმა ფეხი დამისველა,
შენ გაღმა და მე გამოღმა,
გულმა აღარ გამისვენა.
...
მაღლა ჩიტი გამოფრინდა,
დაბლა დაჯდა ხეზეო,
შენ მაგიერ, ბიჭიკო,
ბეჭედი მაქ ხელზეო.
...
გამფრინავ ჩიტმა გაფრინდა–
გაღმა დაჯდა ბუდეშიო,
შენ მაგიერ, ლამაზო,
კარტიშკა მაქ უბეშიო.
...
მაღლა სერზე ევედი,
გადავხედე სოკოსაო,
იმ დღიებსაც ვეღირსები,
ვაკოცებდე გოგოსაო.
...
გუნდავრი და მახეო,
კაკაჲ ვერსად ვნახეო,
შენი ჭირიმე, ლამაზო,
ლამაზი გაქ სახეო.
...
ყორანი რომ მოფრინდება,
ხეზე შემოჯდება.
ჩემ სატრფოს რომ დევინახავ,
გული ამომიჯდება.
...
ფქვილი მივდგი კიდობნითა,
მემთევრებო, მშვიდობითა,
პური ვჭამე ასლისაო,
დრო მომივდა წასლისაო.
...
ბუხარში ცეხლი ავანთე,
ლობიაჲ მუუდგი ქოთნითაო,
შემიყვარე, ჩემო ბიჭო,
ნუ მატირებ მოთქმითაო.
...
ჩოხა გაიხადე, ბიჭო,
ბლუზი მოგიხტებაო.
ერთი შენი დანახ͡ვა
ჯენნეთი გამიხტებაო.
...
ერთი სახლი გავაკეთე,
შევაყენე ბინაზეო,
იმ ბიჭიკოს უნდა გავყვე,
შემდგარი ვარ ჟინაზეო.

...
ერთი სახლი გავაკეთე
შიგ ჩავდგი ავაზანი,
ჩემი ძიაჲ როცა მუა,
დევკაონა რამაზანი.
...
ვაიმე, დედავ, გული მტკივა,
გულის ერთი ფიცარიო,
ბიჭო, აქეთ შამეიხედე,
შენი ვარ და მიცანიო.
...
შევარდენი გამოფრინდა,
მას გამოყვა ბულბულიო.
შენ მანდ ხარ, მე აქა ვარ,
რით მოვიკლა სურვილიო.
...
იქით სერი, აქეთ სერი,
შუაზე არის ერთი ქედი,
გამჩენელო, გეხვეწები,
ლამაზს გაუხსენი ბედი.
...
ბუხარში ცეცხლი დავანთე,
ფუტმა შევდა ყელემშიო,
გოგოვ, წინდები დამიცდა,
გენაცვალე ხელებშიო.
...
ასეთია სიყვარული,
როგორც თეთრი მიტკალიო,
რა დრომდე მოგიცადო,
საყვარელო, მითხარიო.
...
აქ ჩაქუჩი გავაკეთე,
ქუთაისში კარდალაო,
რა უნდა გელაპარაკო,
შენისთანა ბანდარაო.
...
ხელზე მაცვია ღილები,
თავზე მახურავს ვალაო,
ერთმა გოგომ გამიცინა,
იმან შემიბრალაო.
...
წიფლი ფოთელ ნუსხას დავწერ,
დამწიფული მოცვითაო,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
გევიარ, წავალ ლოცვითაო.
...
წიფე სხალის ჭამა მინდა,
კბილის გაკრაჭუნებაო,
იმ გოგოსი თხოვნა მინდა,
ხელის მოფაჩუნებაო.
...
იელეგს ჯიფე ამოვჭარი,
დამიშვენა ყაითანმაო,
მაგი ლექსი არნა მეთქვა,
წამაცდენია შეითანმაო.
...
ფეხსაცმელი დამეკარგა,
გამოვლილი კარებშიო,
შენი ჭირიმე, გოგონავ,
შენ მაყვალა თვალებშიო.
...
გულზე საათი მკიდია,
ოქროს საათიანიო,
გამოდი, გოგოვ, ისამე,
ნუ ხარ ინათიანიო.
...
ჩემ სახლზეიდან ოტურიო,
კონწოლ-კონწოლ კიდია,
მე ლექსებში ვერ მომიგებ,
ტავარჯუღათ მკიდია.
...
ასი ფრთა ყავარი მქონდა,
წყალში გამიცურვებია,
შენისთანა მოშაირე,
ბევრიც გამისტუმრებია.

...
ორი ფხარი თოკი მქონდა,
ხიდან ხეზე გავაბიო,
შენისთანაჲ მოშაირე,
ძველ ახორში დავაბიო.
...
გადმოვტეხე თელებიო,
ჩაგაკნეტიე ენებიო.
...
ცაში ისარი ვესროლე,
ძირს დაეცა ლეგენსაო,
რა უნდა ველაპარაკო
შენისთანა რეგვენსაო.
...
ცაში ისარი ვესროლე,
ძირს დაეცა თიკანსაო,
რა უნდა ელაპარაკო,
შენისთანა ციგანსაო.
...
შაიროზა დავამთავრე,
ახლა წადით სახლშია,
ვისაც რომ მოგაწონდეთ,
დაუკარით ტაშია.
...
დაუკარი კიტარაო,
ქარში აჭრელებული,
ეს ოხერი სიყვარული,
ჩემთვის გაძნელებული.
...
ღელე-ღელე შევიარე,
შემეყარენ ჭინკებიო,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
გადამაწყევ ჭლიკებიო.
...
ღელე-ღელე შევიარე,
გადმოვყარე კუჭარებიო,
გოგონიაჲ გავაბღეზე,
დავაცქვეტიე ყურებიო.
...
ხიდი არ მაქ, სად გევჲარო,
წყალში შევდე, დავსველდები,
დღე და ღამე ძილი არ მაქ,
როდესაც გამახსენდები.
...
წვიმა წვიმს და მოვდივარო,
ამ ღამეში დავდივარო,
სიყვარულის გულიზა,
მამას აღარ ვარგივარო.
...
მაღლა ცაში შევიხედე,
თვარე ასულა მაღლაზე,
საყვარელო, შენი ჭირიმე,
დამწვარი ვარ შენ სევდაზე.
...
ღელე გაღმით ხარი ვდენე,
გამოღმითაც ვირებიო,
შემიბრალე, ლამაზო,
სიყვარულით ვირევიო.
...
დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს,
თავი ყველას მირჩევნია,
მაგრამ ერთი სხვისი ციცაჲ
მთელს ქვეყანას მირჩევნია.
...
ჩემი გული, შენი გული,
მენდილი მაქ გაქარგული,
მოდი ერთი, შევამოწმოთ
როგორ არი სიყვარული.
.....
ლალები, ლალები ლალებშიო,
ყოფნა მიყვარს ქალებშიო,
ძალჲან მეტად ლამაზი ხარ,
გენაცვალე თვალებშიო.
...
აბრეშუმი დავართი,
რაც დავართი, ხოშორიო,

საყვარელმა დიმინახა,
გადაიწყო ქოჩორიო.
...
ნეტაჲ პაწაჲ ვიქნებოდე,
ვისწავლიდე სკოლაშიო,
ჩემი ბიჭი გავაგზავნე
ჰიტლიერის ბრძოლაშიო.
...
მე პატარა ქალი ვარ,
არ ვარ გადაყვანილი.
სამ წელიწადს შენ გიცადე,
სევდით ვარ მოყვანილი.
...
აქოშკაზე მტრედი მოიდა,
მოკრიფა პურის კაკალი,
საყვარელი რომ დევნახე,
მომიკდა გულის კაკალი.
...
რა ლამაზი ქალი შენ ხარ,
ცაში მფრინავი მერცხალი,
არ დავკარგავ ამ სიყვარულს,
სანამ ვიქნები ცოცხალი.
...
ახალი სახლი ვაკეთე,
ზედ მივარტყი პალკონი,
ღმერთმა ქმარი მოგიკლას,
მე ვარ შენი პატრონი.
...
მე ნალჲაზე ვერ ავალ,
კიბის უუყუდებელი,
მე აქედან არ წავალ,
შენზე ჩუუხუტებელი.
...
ჯიბეში მაქ ხასი კვარი,
ახლა გავხტი გასათხვარი.
...
კალათაში ღაზლებიო,
ბევრი მყოლია მაზლებიო.
...
კალათაში მურგვებიო,
ძალიან მძულან მულებიო.
...
ლამაზი ქალი შენა ხარ,
დაფენილი წარბებიო,
ის ქვეყანა რაღათ მინდა,
ერთი შენთან დავწვებიო.
...
ერთი, ორი, სამი, ოთხი,
დეითვალე თითებიო,
კოლექტივში იმუშავებ,
ვის უყვარხარ, მიხტებიო.
...
კოლექტივში მომუშავეს
ვენაცვალე მუშასაო.
ლამაზი გოგო შენ ხარ,
მოგავ ლამბი შუშასაო.
...
მე მანქანაჲ გამიფუჭდა,
მოაწყევი ალეთშიო,
ცხენინა გამოგიგზავნო,
როცა წეხვალ ძამლეთშიო.
...
ხულას მივალ ხულისთვისო,
გატეხილი ცულისთვისო,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე
შენ დედ-მამის სულისთვისო.
...
აბრეშუმის დამრთველი,
ჩემი გულის დამწველი,
ეშხიანი, ლამაზი,
გოგონა ხარ ქართველი.
...
გამოჲ, ჩემო გოგონავ,
გამოჲ, ნუ მემალებიო,
გამოჲ, დამანახვიე,
ჟუჟუნაჲ გაქ თვალებიო.

...
ჩემო ჩიტო, ჩემო გრიტო,
ჩემო გულის მარგალიტო,
ას წელიწადს შენ მოგიცდი,
შენ უღელზე უნდა ვიყო.
...
წყაროწყალი მოდინდება,
არ ეტევა ღარაზე,
მე და შენი სიყვარული,
არ მოვა ფარაზე.
...
მუხლები რომ მეკეცება,
ნუ გგონივარ მოხუცი,
ახალგაზრდა ქალი ვარ,
სასიკვდილოდ ბრალი ვარ.
...
თავი მტკივა, გულ მერევა,
ჩიხოტკა მეპარება,
ვაიმე, დედა, რა ძნელია,
მეზობლის შეყვარება.
...
იქით ყანა, აქეთ ყანა–
შვაზე მოდის ცივი წყალი.
საყვარელი გზაში შემხტა
დამიხუჭა ცალი თვალი.
...
თორმეტ საათ ღამეში,
ძილი არა მაქ თვალებში,
მელანდები, ჩემო ბიჭო,
ლამაზთვარიან ღამეში.
...
ავიდარი მეიშალა,
ნისლი გედეიყარაო,
წაიყვანეს ჩემი ტურფა,
ვაიმე, რამ გამამწარაო.
...
ნეტაჲ, ჩიტი ვიქნებოდე,
შენთან გადმოვფრინდებოდე,
სიყვარულისგან დამთვრალი,
მაშინ გამოვფხიზლდებოდე.
...
ავი დარი მეიშალა,
მუატანა ხოშკაკალი,
წაიყვანეს ჩემი ტურფა,
დამეცა გულის კაკალი.
...
იქით ნუში, აქეთ ნუში,
შვაზე არის შექერნუში,
ქერქის თოკი გადმომიგდე,
აქოშკიდან გადმომიშვი.
...
გოგოვ, შენი თეთრი კაბა,
წყალს გაქონდა მდინარესო.
ქალო, შორით მოგეპარე,
ჩაგეკონე მძინარესო.

* * *

თავდგირიძე თოფუზ ისკენდერის ძე, 55 წლის, დაბადებული სოფ. კობალთაში, წერა-კითხვის უცოდინარი, ცოლშვილიანი, ჰყავს 4 შვილი. ნამყოფია ყაზახეთში და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. იცის ზღაპრები.

ოქროს თასი

ერთმა ღარიბმა კაცმა წევდა სავაჭროთ. მივიდა ერთ სასადილოში. დაჯდა და იეფფასიანი საჭმელი მოატანია. შემოვიდა ერთმა ბიჭმა. მან უთხრა, რომ, შენ ჰიდავრი ხარო? ამ ღარიბ კაცმა უთხრა, რომ, მე ამა და ამ ადგილიდან ვარო. ამათ ლაპარაკში მეორე კაცი შემოვიდა. ისიც მათთან დაჯდა და იმანაც იეფფასიანი საჭმელი მოატანია. მათ ერთმანეთს მოუყვენ, თუ რაზე იყვნენ წამოსული. მეგომ სამივე მოსაგებში მიდიან. ისინი დაძმობილდენ და წევდენ. ყველამ შეუთანხმდენ ერთი მეორეს. იარეს, იარეს და მივდენ ერთ ქალაქში. იქირავეს იეფფასიანი ბინა და იქ ცხოვრობენ. ერთს დატევენ სახლის დასაცავად და ორი წავლენ მოსაგებში. მერე მეორე დარჩება სახლში და ასე რიგრიგობით რჩებიან სახლში. ერთ დღეს უმცროს ბიჭს მუუწია სახლში დარჩენა. ის ორი კი წევდენ მოსაგებში.

ამ სოფელში ერთი მდინარე ყოფილა და ხალხი იქ თევზებს იჭირევდენ. ამ ბიჭმა იფიქრა, რომ, მე ტყვილათ სახლში რომ არ ვაღამო, მეც ჩევალ, თევზებს დევჭირავ, საჭმელს მოვამზადეფო. იყიდის ეს ბიჭი თოკს და დეიწყობს თევზების ჭირვას. მოყვება ერთი ლამაზი თევზი, რომელიც ყველანაირი ფერის არის. ამ დროს აქ გამეჩარს ერთი სომეხი და ეტყვის, რომ მეგ თევზი მომყიდეო. ის ეტყვის, რომ, რატომნა მოგყიდოვო. თუ კარგია, ჩემი იქნება, მე ხომ არ მაწყენსო. ეს ბიჭი თევზებს ამეიტანს სახლში, პაწა თევზებით საჭმელს გააკეთებს. საბოლავოთ გაჭრის ამ დიდ თევზს. ნახავს, რომ ამ თევზის მუცელში ოქროს თასი არის. ამ თასს ბიჭი გამორეცხავს და წყალს გადააქცევს. გადააქცევს, ჰამა ძირში წყალი კი არ დიესხმება, არამედ ოქროები აჟღარუნდება. იფიქრა, რომ ეს რა კაი ვქენ, რომ თევზი იმ სომეხს არ მივეციო. მერე აქცია წყალი ბევრი და დააგროვა ერთი ცხენის ჭვირთი ოქრო. იფიქრა, რომ ამ ოქროს მეშოკებში ჩავყრიო. იყიდა სამი მეშოკი და ოქროებით გაავსო. ამხანაგები მოვლენ და ამას ვანახვებო. ოქროს თასი კი დამალა. საღამოს მოვდენ მისი ამხანაგები და ეს ბიჭი ეტყვის, რომ, დღეს რამდენი ფული მეიგეთო. ისინი ეტყვიან, რომ, დღეს მევგეთ სამი მანეთი. თითო მანეთი მოგვიწევსო. ამ ბიჭმა უთხრა, რომ თითო მანეთი რა არის, აქ მოდით და ოქრო ნახეთო. ამან ანახვა სამი მეშოკი ოქრო. ამ ამხანაგებს ძალიან გუუკვირდენ. სად ნახე ამდენი ოქრო, – გვითხარიო. მან უთხრა, რომ, რა გინდათ სად ვნახე. თითო მეშოკ ოქროს თქვენ მოგცემო. მიცა ოქრო და დაავალა, რომ ცხენები იყიდეთო. იყიდიან ცხენებს. მოკიდვენ ოქროს და გაუდგებიან გზას თავისი სახლებისაკენ. გზაში ამ ბიჭს გაახსენდება, რომ ხელმწიფის გოგო ერთი ფჩხილის დანახვებაზე ერთ ოქროს ართვამს ხალხსო. მე ამდენი ოქროს დაგროვება შიმიძლია, მე უნდა წავიდე ამ გოგოსთანო. გააჩერებს ამხანაგებს და ეტყვის, – მე უნდა წავიდე სხვაგან. ეს ოქრო თქვენი იყოს. თუ დავბრუნდები, მაშინ მომეციო. დაბრუნდება ეს ბიჭი უკან. მივიდა ხელმწიფის სასახლესთან, შევიდა ამ ხელმწიფის ბაღში. ამ ბაღში იყო წყლის აუზი. აქედან ამეიღო წყალი ოქროს თასით და დეიწყო მისი დაქცევა ძირში, ამეიღებს წყალს, ოქროებს გამოყრის, ამეიღებს წყალს, ოქროებს გამოყრის და ამ ბიჭმა ბევრი

ოქრო დააგროვა. ამას დეინახვენ ხელმწიფის გოგოს მოსამსახურები. იფიქრეს, ვინ არის ეს სულელი, რომ ოქროებს აჩეჩებსო. მოსამსახურეებმა ეს ამბავი მოახსენეს ხელმწიფის გოგოს. გოგოც გადმეიხედავს და დეინახავს, რომ ბიჭი ოქროს აჩიჩებს. ეს გოგო იმ ბიჭთან მოსამსახურეებს გაგზავნის ამბის გასაგებად. ისინი ეტყვიან, რომ, შენ ამდენ ოქროს საიდან აჩეჩებო? ბიჭმა უთხრა: – ეს რა დიდი საქმეაო და ამეიღო თასით წყალი, გადაასხა ძირში და ოქროები აჟღარუნდება. ამ მოსამსახურეებმა ევდენ და უთხრეს გოგოს, რომ ამ ბიჭს ერთი ოქროს თასი აქვს, ჩაყოფს წყალში და ოქროს გადმოყრისო. ამ გოგომ მივდა ამ ბიჭთან და უთხრა, რომ მანახვიე ის ოქროს თასიო. მან ანახვია ის თასი. გოგოს ძალიან მოეწონა და უთხრა: რამდენი ოქრო მოქცე, რომ მეგ მომცეო? ბიჭს გაეცინა და უთხრა, – ეს თვითონ ოქროს აჩენს და რაფერ უნდა მოქყიდო ოქროზეო. გოგომ უთხრა: აბა, რა, გინდა ჩემ სულიდანო. ბიჭმა უთხრა: – ეს შენ ძალიან კარგად იცი, შენიდან რა მენდომებაო. გოგომ მიხტა, რაშიც იყო საქმე. უთხრა, რომ ერთ ღამეს ჩემთან გაქეიფებ და მეგ თასი მომეციო, გოგომ დუურქვა დრო და წევიდა. ბიჭმაც იმ დროზე ევდა ხელმწიფის გოგოსთან და ის ღამე ქეიფში გაატარეს. ბიჭმა გოგოს დუუტია ოქროს თასი და წამოვდა. გოგომ თან დააბარა, რომ შენ ამ სახელმწიფოში ახლოს არ დარჩეო. ბიჭმა წევდა, იფიქრა, რომ მე ოქრო რომ გავაჩეჩე, იმას მოვკრეფ და წავალო. მივდა, მარა ოქროს იქ ჰაღა ნახავდა. დარჩა ეს ბიჭი საწყლათ, აღარც ფული აქ და აღარც ტანსაცმელი. იარა-იარა და მივდა ერთ მეტყავესთან და მასთან დეიწყო მუშაობა.

ხელმწიფის გოგოსაც ამ ბიჭიდან ბაღვი აყვება და გახტება ფეხძიმეთ. გოგოს მიიყვანს მასთან და ეტყვის ხელმწიფე, რომ,რაშია საქმე, მე შენი თავი არ გიმითხვებია და შენ მუცელში გაქჩენია ბაღვიო. მეიყვანებენ ექიმებს და ამ ბაღვს მუცლიდან გამოუღებენ. შემდეგ ხელმწიფე იფიქრებს, რომ, მე ასეთი შვილი რათ მინდაო და ჯალათებს გაატანს მის მოსაკლავათ და თანაც დააბარებს, რომ გოგოს პერანგი სისხლში ამოსვარეთ და მომიტანეთო. ამ ჯალათებმა ეს გოგო წეიყვანეს და მიიყვანეს ერთ ადგილას და უნდა დაკლან. გოგო ეტყვის, რომ ჯერ ნუ დამკლავთ. იმ წყალთან ჩევალ და ამვალ და ისე დამკალითო. – კარგიო, – ეტყვიან ჯალათები. ეს გოგო ჩევა მდინარის პირას, ამიღებს უბიდან ოქროს თასს და წყალს ამეიღებს, დაასხამს ოქროს და ასე დაამხვავებს ოქროს. შემდეგ ავა ამ ჯალათებთან და ეტყვის, რომ მე თუ თქვენ მომცემთ პირობას, რომ არ დამკლავთ, მაშინ იმფერ რამეს გასწავლით, რომ თქვენ შვილებსაც ეყოფიანო. ჯალათები მიცემენ პირობას, რომ არ დაგკლავთო. გოგო ჩეიყვანს და ანახვიებს იმ ოქროს. გოგოს აღარ მოკლენ. შენ გეიხადე შენი პერანგი და მოგვეციო. ამ პერანგს ისინი ქათმის სისხლში ამოსრიან და ხელმწიფეს მოუტანებენ.

ეს გოგო იყიდის ნიყაბს და იმით დადის. ის კაცის ფორმაში შევა, ის შავი არაბი გახტა. მივიდა ერთ სახელმწიფოში. ერთ ადგილზე გახსნა ჩადრი და იქ დეიწყო ცხოვრება. დეიწყო ამ ადგილზე ოქროს სახლის აშენება. დეიქირავა ყველაზე კარგი უსტიები და ააშენა ოქროს სახლი, სულ ყველაფერი ოქროსი იყო. ამ სახლის ამბავი ყველა ქვეყანამ შეიტყვა და ხალხი მოდის და ამ სახლს ნახულობს. ამ სახლის ამბავი შეიტყო ამ გოგოს მამამ და თავისი ვეზირებით წამოიდა მის სანახავად. გოგომ დეინახა მამამისი და გაუხარდა, კარგი პატივიც ეცა. ხელმწიფემ ამ კაცს უთხრა (ე.ი. გოგოს), რომ ეს სახლი რაფერ ააშენეო? ეს კაცი ეტყვის, რომ ამ ოქროს თასით გავაკეთეო. წყალს ამოვიღებ და ოქრო გახტებაო. ხელმწიფემ უთხრა, რომ მომყიდე მეგ თასიო. მან უთხრა,

რომ ეს ფულზე როგორ გავყიდო, თვითონ ფულიაო. – აბა რა მოქცე, რომ მეგ თასი მომცეო. –თუ შენ შარვალს ჩეიხტი და ერთხელ გამაკეთებიებ, მაშინ ამ ოქროს თასს მოგცემო. მაგას რა გაჩივლებსო, – უთხრა ხელმწიფემ და გეიხადა შარვალი. ამ „კაცმა“ უთხრა ხელმწიფეს, რომ მა-პატივე, მამავ, შენ ჩემი მამა ხარ, მე შენი შვილი ვარ. მე ჩემი ნამუსი ამ ოქროს თასზე გავცვალე. ის, ერთმა ბიჭმა მომიტანა. მე ქალი ვარ და ქალისთვის უცხო არაფერი გიმიკეთებია. შენ კი ამ თასის გულობაჲ უჩვეულო საქმე უნდა გეგეკეთებია. შენი ნამუსი ამ ოქროს თასზე უნდა მე-გეყიდა. მე კი ის ბიჭი, რომელმაც თასი მომცა მიყვარს, ეს არ არის უნამუსობაო.

ხელმწიფე სირცხვილისგან გაშრება. შეეხვეწება, რომ მე კიდევ მიმიღე მამადო. გოგოს მაინც შეეცოდება და მიიღებს მამად. მამამ უთხრა, რომ ახლა შენ უნდა გაგათხოვოვო. გოგო ეტყვის, რომ,– მე იმას გავყვები, ვინც თასი მომცა, სხვას არავისო.

ხელმწიფე გამოაცხადებს, რომ სახლი რომ ააშენა, ის ყოფილა ქალი. ახლა თხოვდება. მას ვინც მუაწონდება, ის იქნება მისი ქმარიო. ხალხს უნდა გაევლო მისი სახლის წინ. სულ ყველამ გეიარა, მარა გოგომ ის ბიჭი ვერსად ვერ დეინახა. შემდეგ თქვეს, რომ გამოუვლელი ვინმე ხომ არ დარჩენილაო. უთხრეს რომ ერთ მეტყავესთან არის ყველაზე უკანასკნელი კაცი და ის არ მოსულაო. ისიც მოიყვანეს. გაჭუჭყიანებული, შიშველ-ტიტველი კაცი მეიყვანეს, რომელსაც ბუ-ზები ეხვეოდენ. გოგომ უთხრა მამას, რომ – ეს არის ის ბიჭი, რომელმაც თასი მომცაო. მიცემენ ფულს, აყიდიებენ კარგ ტანსაცმელს, წეიყვანებენ აბანოში და ეს კაცი იმფერი ლამაზი გახდება, რომ იქ მისი შესადარი არ იშოვნებოდა. მოვიდენ ოქროს სახლში, 40 დღე-ღამეს ქორწილი იყო და ხელმწიფე სახლში წავა. ესენი იმ სახლში დარჩებიან და დღესაც მეგომ ცოცხალი ყოფილან.

მოჭუკჭუკე ფრინველი

ყოფილა და რა ყოფილა, ყოფილა, თურმე, ერთი გლეხი კაცი. ის წევდა ფულის შესაგრო-ვებლად. ბევრი იარა თუ ცოტაჲ იარა, მას გზაზე ფრინველი შემოეყარა. ეს ფრინველი დეიჭირა და გაუდგა გზას. მივიდა ერთ სახლთან და დუუძახა. გარეთ გამოიდა ქალი და სტუმარი სახლში მიიპაიჯა. საღამოზე ამ სახლში კიდევ ერთი კაცი მოვიდა. ეს თურმე ყოფილა ამ ქალის შეყვარებული. მაშინ ქალმა კარგი საჭმელის კეთება დეიწყო. როცა გაამზადა და უნდა ჭამა დაეწყეს, ამ დროს მოვიდა ამ ქალის ქმარი, მაშინ ქალმა საჭმელები და თავისი შეყვარებუ-ლი დამალა. ქმარს ქალმა გლახა საჭმელი დაუწყო, რადგან ცოლს ქმარი ძალიან ძულდა. თანაც ცოლმა უთხრა, რომ ოთახში არის სტუმარიო. კაცმა შემოაყვანია ის კაცი. დაჯდენ და დეიწყეს საჭმლის ჭამა. კაცმა შეეკითხა, რომ, ეს ფრინველი რა არისო? მან უთხრა, რომ ეს ისეთი ფრინვე-ლია, რომელმაც იცის ის, რაც შენ არ იციო. ამ დროს ამ ფრინველმა დეიჭუკჭუკა. კაცმა შეეკითხა, რომ რას ამბობსო? ფრინველის პატრონმა უთხრა, რომ, ერბო-კვერცხი შუუწვავს შენ ქალსო. კაც-მა დუუძახა და ქალს ერბო-კვერცხი მოატანია. შემდეგ ფრინველმა კიდევ დეიჭუკჭუკა. კაცმა შეეკითხა: რას ამბობსო? მან უთხრა, რომ ქათამი ყოფილა შემწვარიო. კაცმა დუუძახა ქალს და ქათამი მოატანია. შემდეგ ფრინველმა კიდევ დეიჭუკჭუკა. კაცი შეეკითხება: რას ამბობსო? ფრინველის პატრონი ეტყვის, რომ კარაოტს ქვეშ ერთი კაცი არისო.

კაცმა ქალს ქვაბით წყალი აადუღებია. ეს დუღარე წყალი მიიტანა და კარაოტზე დაასხა. იქ მყოფი კაცი დამდუღრა. კაცმა ის ქალი სახლიდან გააგდო გარეთ.

* * *

ფუტკარაძე ხასან იუსუფის ძე, 30 წლის. სოფ. პაპოშვილების მცხოვრები, ცოლშვილიანი, ჰყავს ოთხი ვაჟი და ერთი გოგო. არის მძღოლი. მისი რეპერტუარი მრავალფეროვანია: იცის ზღაპრები, ლექსები და გამოცანები. მღერის, ცეკვავს. უკრავს გარმონსა და ჩონგურზე.

შაირები

ავდარი მოიშალა,
ღელიებში ჩადგა ლული,
საყვარელი ჰაცხან წავა,
იქ მიტირის ჩემი გული.
...
ლექსის თავი დამავიწყდა,
ღმერთო, მომაგონებიე,
ფულუნტურაჲ თეთრი გოგო,
კლავზე გამაგორვებიე.
...
ხულოს გზიდან მოდიოდა,
ხულოს მატარებელი,
ვენაცვალე, მას მოყვება,
გულის გამხარებელი.
...
ჩემ ეზოში წვიმა მოდის,
შენ ეზოში დარიაო,
მე და შენი მოშორება
მამაჩემის ბრალიაო.
...
გავლიერი არ გეგონოს
გამოვლილი ცინცაძეო,
მოვალ და ისე გაკოცებ,
ფეხს არ დავკრავ მიწაზეო.
...
სათამაშო ვაშლი მქონდა,
გადავცვალე ბიაში,
გოგოვ, ძალჲან ლამაზი ხარ,
გენაცვალე ყიაში.
...
ცაში ნისლი მოდიოდა
დაბლა ღელიდანაო,
დაბეჭდილ წერილს ველი,
ბიჭო, შენიდანაო.
...
მოდით, მოდით, გოგონებო,
ასე დავგოთ თამბაქოვო,
მე ვიტყვი და თქვენ ამყევით,
თან სიმღერა დავმახოთო.
...
მოდით, მოდით, გოგონებო,
დევესიოთ ბუჩქნარებსო,
ჩვენ თავრობას ჩაი უყვარს,
გოგოებო, ვუჩქაროთო.
...
ზღვაში ნავი მიცურავდა,
ჩემი გული ტალღებშიო,
ვენაცვალე ჩემ ბიჭიკოს
მის ჟუჟუნა თვალებშიო.
...
ქვე ყორანი მოფრინდება,
ხეზე შემოაჯდებაო,
მე ციხისკენ გავიხედავ,
გული ამომიჯდებაო.
...
ბოსტანშიაც გადავხედე,
ამოსულა საცოცხეო,
ჩემი ბიჭი წაიყვანეს,

რაღათ მინდა სიცოცხლეო.
...
ბოსტანშიაც გადვიხედე,
დავინახე ანარიო,
ჩემი ბიჭი წეიყვანეს,
მეკიდება ალავიო.
...
ბათუმიდან წამოვედი,
წამოვიღე პეჩენია,
გოგოვ, ერთი ბანი მითხარ,
პირი რას დაგიფჩენია.
...
შრომაში უნდა ვიყო
მოწინავე დამკრელიო,
ყველგან უნდა გავამართლო,
შრომის გმირის სახელიო.
...
ბათუმიდან წამოვედი
წამოვიღე ხახვიაო,
ვენაცვალე ამ თავრობას,
დუნია დაგვანახვიაო.
...
წუხელის სიზმარში გნახე,
ცალი ხელით ვარდსა კრეფდი,
თვარესავით შენი სახე
და მზესავით ანათებდი.
...
შუშას გავრეცხავ, ქონიანია,
ჩემი შეყვარებული ცოლიანია.
შუშას გავრეცხავ, ქონს მოვაცილებ,
შეყვარებულის ჭირიმე, ცოლს მოვაცილებ.
...
ბახმაროს თაზე დაუთოვია,
შეყვარებულის ჭირიმე, სხვა უთხოვნია.
...
წინდა ვქსვე ჭრელია,
შენთვის დამიწერია,
დაბძანდი და წეიკითხე,
რა სევდები წერია.
...
ბათუმიდან წამოვედი,
წამოვიღე გოგორა,
ახალ ჰანგებზე ამღერებულა
აჭარელი გოგონა.
...
გაღმით ხარი გავდენე,
გამოღმით დავიარებიო,
დედაჩემო, შემიბრალე,
უცოლშვილო ვიარებიო.
...
დაუკარ, ჩემო ფანდურო,
ამოიღე ხმაო,
ჩემი გოგო გამითხოვდა,
ახლა რაღა ვქნაო.
...
დაუკარ, ჩემო ჩონგურო,
მომიყვანე გუნებაზე,
მარჯვენაჲ ხელი მევტეხე
გოგოს გადაბრუნებაზე.
...
გოგონავ, შენი თვალები,
მაისივით ჭრელიაო.
მე და შენი დაშორება,
სიკვდილივით ძნელიაო.
...
რა ლამაზი ვარდის შტო ხარ,
ამოსული მდელოშიო,
კარქ ქალობას მე გისურვებ
ტურფა საქართველოშიო.
...
მფრინავმა ჩიტმა გაფრინდა,
დაჯდა გაღმა ხეზეო.
შენ მაგიერ, ჩემო ბიჭო,
ბეჭედი მაქ ხელზეო.
...
მაღლა კინის კარებიო,

დედას გევეპარებიო,
ჩავალ თემში, ხელ მოაწერ,
ნებით ჩეგებარებიო.
...
ჩემ ეზოში გავიხედე,
ამოსულა ფიჭვიაო,
ვენაცვალე, ჩემ ბიჭიკოს,
თმაქოჩორა ბიჭიაო.
...
ახო ყანა გავაღევი,
შით დავთესე ხოზიკაჲო,
ვენაცვალე, ჩემ ბიჭიკოს,
ხელში უჭირავს მოზიკაჲო.
...
ბიჭო შენი სიყვარული
ნაირფერით მოქარგული,
შით პატარა ასოებით
აწერია „სიყვარული“.
...
ჭირიმე შენი, შენაო,
შენი გერმელი ენაო,
კაკალ გულზე დამაყარე
შენი თმების ნამწენაო.
...
გაღმა სერზე გავიხედე,
ამოსულა იფნებიო,
გეგმებს რომ შეასრულეფ,
მოწინავე იქნებიო.
...
სიყვარულმა გული დამწვა,
სილამაზემ– თვალებიო,

ვინც პირველათ შიმიყვარდა,
იმას ვენაცვალებიო.

...
ჩემი გული, შენი გული,
ჯაჭვით არის გადაბმული
და ზედ ოქროს ასოებით
აწერია „სიყვარული“.
...
ერთ ქუა გავაქნიე,
თივაში თუ ბზეშიაო,
ჩემმა საყვარელმა დამტია,
მარიობაის თვეშიაო.
...
ლობიაჲ მუუდგი ქოთნითაო,
მიტომ ვტირი მოთქმითაო.
...
რა ლამაზად გიხტებოდა,
პალკონზე გამოდგებოდი,
ცალი თვალი შენკენ მქონდა,
შენი ეშხით ვიწვებოდი.
...
ქალმა აჯობა დედამთილს,
თავი უხალა კერასა,
უმფროსი მაზლი მოვიდა,
– ძალო, რა ტკივა დედასა?
– არაფერი არა ტკივა,
თავი ახალა კერასა.
– დედამთილო,
რას მიჯავრდები,
შენი შვილი გონჯი არის,
მასთან ვერ ვდგები,
წამოვისხამ თავზე ეჭრამს (თავსახური)
გზას გავუყვები,
იქ შემხტება კარგი ბიჭი,
იმას გავყვები.

შვი კაცი

ყოფილა სამი ძმა. ერთი ძმა იყო უმუშევარი, ზარმაცი. სკამს გეიტანდა ბაღში და მიეგდებოდა და ისე იყო. ძმებს არ აწონდებოდა ძმის ასეთი მოქმედება და გადაწყვიტეს მისთვის ცოლი შეერთოთ. დაქორწინება რომ გეიგონა, ისიც ატყდა, დამაქორწილეთო. ქალი მუუყვანეს, მარა იმფო არ იმუშავა. ძმებმა გაბრაზდენ და ოჯახიდან გაანაწილეს. გეიყვანეს და ერთ ცალკე ადგილზე დაასახლეს. ძმებს ამ ძმასთან არ გუუვლით. ამ პაწა ძმას ეყოლა გოგო, რომელსაც სამი ზანათი ქონდა: 1) ყიაში ქონდა შებმული ღილები. ამ ღილებს თუ ყიიდან მოახსნიდი, მაშინ გოგო მოკდებოდა. 2) რომ დააქსიტინებდა, ცხვირიდან ორი ყვავილი გამუარდებოდა. 3) ამ გოგოს წყალს რომ დაასხამდი, ოქროები გადმოჩეჩდებოდა.

ერთ დღეს ამ ქალს ბავშვითვინ ტანი უნდა დაებანა. ქალმა ქმარს თხოვა, წყალი მეიტანეო. ქმარმა უთხრა, – მე ვერ მევტანო. მაშინ წყალი ქალმა მეიტანა და დეიწყო ბავშვის ტანის დაბანვა. როცა წყალი დაასხა, ოქრუები გადმოჩიჩდა. ეს რომ დეინახა ზარმაცმა ქმარმა, სიხარულისაგან კინაღამ დეიბნიდა. – ქალო, ახლა წყალს მე მევტან და შენ დაბანე ტანიო. გოგო ძალიან ლამაზი იყო. მან ოქროებით აამსო ოჯახი. შემდეგ მეიყვანეს ოსტატები და დიდი სასახლე ააშენეს. ზარმაცმა კაცმა თავისი ძველი ტანსაცმელი ცალკე შეინახა და გამიეწყო ახალი შალ-კასტუმით.

ეს გოგო გახტა გასათხოვარი. თმები იმხელა ქონდა, რომ ძირში ათრევდა. იმ ქვეყანაში ერთ ხელმწიფეს ყავდა ერთი ვაჟიშვილი. ამან ნახა ეს გოგო სიზმარში. დილას შეჯდა ცხენზე და დეიწყო მისი ძებნა. გეიარა იმ კაცის სახლთან, რომლისას ყავდა გოგო. ამ დროს გოგოს სახლში წყალი მიქონდა. ბიჭმა თქვა, რომ მე რომ სიზმარში გოგო ვნახე, ზუსტად ეს არისო და დუუძახა სახლის პატრონს. გარეთ გამოვდა იმ გოგოს მამა. უთხრა, რომ მეგ გოგო, ახლა წყალი რომ ამეიტანა, შენი რა არისო? კაცმა უთხრა, რომ, ის ჩემი შვილიაო. მე ვარ ხელმწიფის შვილი და შენი შვილი მე უნდა მომათხუოვო. კაცი დიეთანხმა, მარა ორმოცი დღეს არ გაგატანო. ისიც დიეთანხმა და სახში დაბრუნდა.

ზარმაცმა ძმამ ჩეიცვა მისი ძველი ტანსაცმელი და წავიდა ძმების დასაპატიჟებლად. ჯერ გეიარა უფროს ძმასთან და უთხრა, რომ გოგოს ვათხვებ და დემეპატიჟეო. უფროს ძმამ უთხრა, რომ შენ გოგო ვინ მოქცა, ანდა ამფერი დაფხრეწილი ქორწილს რაფერ გედეიხტიო. –არა ძმაო, შენ ჩემთან არ მოსულხარ და იმიტომ გგონია მასე. აბა, წამოდი და ნახე, რაფერ ქორწილს გედევხტიო. ძმამ მაინც ვარი უთხრა. დაღონებული ძმა მივდა შვათანა ძმასთან და უთხრა, რომ გოგოს ვათხვებ და დემეპატიჯეო. ამ ძმამაც ვარი უთხრა. ეს პაწაჲ ძმა მივიდა უფროსი ძმის ცოლთან და უთხრა, რომ შენ წამოდი ქორწილში, მე შენი გაზდილი ვარ და ნუ დამჩაგრავო. ძალი დიეთანხმა. მან თან წეიყვანა თავისი ერთი შავი ქალიშვილი. როცა მივდა და დეინახა მეტად ლამაზი გოგო, რძალს სიბრაზისკან ბანლები ამუვდა. ძალმა ვერ გეიტანა, რომ ჩემი გოგო ამფერი შავია და ამისი ამფერი ლამაზიო. შესრულდა ეს ორმოცი დღეც. მოვიდა მექორწილე. ორმოცი ცხენოსანი წინ წავიდა სიძეს სახლისაკენ. წინა ეტლზე დაჯდა სიძეჲ, მისი საცოლე, ის შავი გოგო და მისი დედა. წასლის დროს რძალმა შავი კატა მეიპარა და თან წეიყვანა. ჰამან ხელმწიფის სახლამდე ორი კილომეტრი რომ დარჩა, მან კატა ხელიდან გუუშვა და დეიწყო ყვირილი: დოდოფლის კატა გეიქცაო. სიძემ ამ კატას გამიესხრიკა. როცა სიძეჲ წევდა, ამ ქალმა

დედოფალს ოროლი თვალები ამუუყარა თითებით და ის გააგდო და მის მაგიერ მისი შავი გოგო დააყენა. სიძეი დაბრუნდა, უუწია მის საცოლეს სახეზე ჩამოფარებული ტვაღი და ნახა, რომ მისი საცოლე რაღამ მოგცა. სიძემ დეიბნიდა, პირიდან ქაფები მოდიოდა. ბიჭის გარდა კაცმა არ იცოდა თუ რა მოხდა. დედამთილმა რძალს პირზე ახადა რომ შავი, ჯანგარა გოგო. მან მივიდა და ქმარს უთხრა, რომ დევღუპეთ, ჩვენ შვილს იმფერი გოგო მუუყვანია, რომ ჩვენი მოსამსახურე გოგო ათასჯელ ჯობიაო.

ხელმწიფის შვილი ოთახიდან არ გამოდიოდა, არაფერს ჭამდა, ქალს არ ეკარებოდა. ერთ დღეს მასთან შევიდენ ხელმწიფის ვეზირები და უთხრეს, სანადიროდ წევდეთო. მან არ ქნა, მარა ვეზირებმა ძალით წეიყვანეს.

ახლა ვნახოთ რა დიემართა იმ დედოფალს: იმისი კვნესა ერთმა მეურმემ გაიგონა. მან უთხრა, რომ თუ კაცი ხარ, შენ – მამა და მე – შვილი; თუ პატარა ხარ, შენ – ძმა და მე – და, წამიყვანე შენთან და სიკდილს გადამარჩინეო. ამ კაცმა უთხრა, რომ მე შენ ჩემთან ვერ წიგიყვან, რადგან იმფერი ავი ქალი მყავს, რომ სახლში არ შიმიშვებსო. – აბა, ძალიან მცხელა და თავზე წყალი გადამასხიო. ამ მეურმემ გადაასხა წყალი და გადმოჩეჩდა ოქროები. ქალმა უთხრა, რომ მე ამფერი ზანათი მაქო. მეურმემ გეიხარა და ეს გოგო წეიყვანა მის სახლში. ქალმა ყიამეთი დააყენა, ვინ არის მაგ ქალიო. – მეიცადე, ცოლო, ამას ზანათი აქო. დაასხა წყალი და გადმოჩეჩდა ოქროები. მაშინ ქალმაც გეიხარა. ამის შემდეგ ქალმა უთხრა, რომ წყალს მე ვზიდავ და შენ ასხიო. ასე დააგროვეს ბევრი ოქრო, გოგოს დააქსიტინა და ორი ყვავილი გამვარდა. ეს ორი ყვავილი ოთახს ანათებდა. ეს გოგო ამ მეურმეს თხოვს, რომ ეს ყვავილი წაიღე და ჰაცხა ყვავილებზე გიმიყიდეო. მეურმემ წეიღო ეს ყვავილი და მივიდა იმ ქალაქში, სადაც ხელმწიფის შვილი იყო. იმ შავ გოგომ დეინახა ეს ყვავილები და მისი სილამაზე მოწონდა. დედამისს თხოვა, რომ ეს ყვავილები მიყიდეო. ჩევლენ და მეურმეს ეტყვის, – რაზე ყიდი მაგ ყვავილებსო? ეს ეტყვის, რომ ორ კაკალ თვალზე ვყიდიო. ამ ქალმაც ხომ ორი კაკალი ამოუღო იმ გოგოს. მისცა ეს ორი კაკალი თვალი და ყვავილები აართვა. ამ მეურმემ მიიტანა თვალები და ქალმა ჩეიდგა, გამეისვა ხელები, ჰამან დეიწყო მორჩენა, რომ იმ ქალმა შეიტყვა ეს, მივიდა ამ გოგოსთან და ღილები შეწყვიტა და წამეიღო. ამ გოგომ უთხრა მეურმეს, რომ მე ამ სამ დღეში მოვკდები, ასეთია ჩემი ჩვევა. აგერ შენ ოქრო, ნახევარი შენი იყოს და ნახევრით დამასაფლავე მაღალ მთაზეო. კუბოს მინა გაუკეთე და ისე ჩამდევიო. მეურმეც ზუსტად ასე მოიქცა.

ფადიშაჰის შვილი ძლივს წეიყვანეს სანადიროდ. მივიდენ იმ მთაზე, დეიღალეს და დეიძინეს ვეზირებმა. ფადიშახის შვილს არ დაძინებია, ის უყურებდა აქეთ–იქით. ამ დროს დეინახა, რომ რაღაცა პრწყინავდა. შეჯდა ცხენზე და წევდა იმ ადგილისაკენ. მივიდა და დეინახა, რომ კუბოს ზედან ჩასმული აქვს მინა და ერთი ქალი არის შიან, რომელსაც ერთი ბაუშვი ძუძუს წოვს. ამ ხელმწიფეს შეეშინდა და ცოტა უკან დეიხია. ბოლოს გადაწყვიტა, რომ რაც არ უნდა დამიჯდეს, ამ ბიჭს წევყვან სახლშიო. მართლაც, ეს ბიჭი მიიყვანა სახლში. ეს ბიჭი ჩააბარა იმ შავ გოგოს და გუდუუწყვიტა, ბავშმა რომ იტიროს, მაშინ შენ რას გიზამ, არ ვიციო. ამ ბავშვმა დეიწყო ტირილი. ბავშვს ტირილი რომ შეეწყვიტა, დუუყარეს წინ ყველაფერი და მათ შორის დედამისის ღილები. ამ ბავშმა ამ ღილებს ხელები ჩაუჭირა და დეიწყო მაგრად ტირილი. შემოარდა ხელმწიფის შვილი, დაავლო ხელი და წეიყვანა იმ კუბოში ჩასაგდებად. იმ შავ გოგომ

დეიწყო ყვირილი– ღილები წეიღო, ღილები წეიღოვო. ამ ბიჭს ის ხელმწიფის შვილი ჩააგდებს იმ კუბოში და ბავშვი გაქრება. ღილები კი შიებმება ქალს და გაცოცხლდება. ხელმწიფის ბიჭი ეტყვის ამ გოგოს მის ვინაობას. ქალი ეტყვის ყველაფერს. ეს ბიჭი ეტყვის, რომ მე ვარ ის შენი ქმარიო და ისინი ერთმანეთს გედიეხვევიან. ამ ქალს ეს ბიჭი მიიყვანს სახლში და მამამისს მოახსენებს ყველაფერს. ხელმწიფე ხალხს ეტყვის, რომ ქორწილი განახლდება. ეს ყოფილა ჩემი შვილის საცოლე და მოუყვება იმას, რაც ასეთი საქმე გაუკეთებიაო და მოყვება იმას, რაც დავწერეთ. ის ქალი და მისი გოგო ცხენის კუდზე გამოაბეს.

ახლა რომ იტყვიან, შავმა კატამ გეიარა შუაშიო, ეს სწორედ აქედან მომდინარეობს.

ფუტკარაძე მერჯან ფერათის ძე, 70 წლის, დაბადებული სოფ. პაპოშვილებში, წერა-კითხვის მცირე მცოდნე, ნამყოფია ბათუმში, თბილისსა და სხვა ადგილებში. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები.

სამი ძმა

Ყო ერთი ფადიშაჰი. ყავდა სამი ვაჟიშვილი. აქედან ყველაზე დიდს ყავდა ქალი, დანარჩენებს ქალები არ ყავდათ. ერთ დღეს ამ შვილებმა მამას უთხრეს, რომ ჩვენ წევალთ სხვაგანო. მამა დიეთანხმა. შვილებს მისცა ფული, ცხენები და წევდენ შვილები. იარეს, იარეს ამ სამ ძმამ და მივდენ ერთ ადგილას, სადაც სამი გზა გადიოდა. ორმა ძმამ უთხრეს პაწა ძმას, რომ ჩვენ ამ გზით უნდა წევდეთ და შენ ამ გზით წადიო.

წევდენ ამ ძმებმა თავიანთ გზაზე. ამ ორმა ძმამ ივაჭრეს და სახლში მეიყვანეს საქონელი. მამამ უთხრა, რომ – რათ გინდოდენ რომ სახლში ამდენი საქონელი მეიტანეთ, გეჭამეს, გესვეს და ისე მოსულიყავითო.

მამამ შვილებს შიეკითხა, რომ პაწაჲ ძმა ჰად წეიყვანეთო? ძმებმა უთხრეს, რომ მან ჩვენთან არ წამოგვყვაო.

პაწა ძმამ იარა, იარა და მივიდა ერთ ადგილზე, ნახა რომ ერთ კდარ კაცს აგორვებენ. მან შეეკითხა ამ კაცებს, რომ მაგ კდარს რატომ აგორვებთო. ამათ უთხრეს, რომ, ამ კაცს ჩვენზე ფარა ქონდა მოსაცემი, ვერ მოგვცა, ახლა მოკდა და ჟინს ამით ვიყრითო. ამ პაწა ძმამ იყიდა ეს მკდარი, ლამაზათ დაასაფლავა და განაგრძო გზა. გზაში შეხტა ერთი მოხუცი, რომელსაც ხელში ეჭირა ჯოხი დ ზრუგში ქონდა მოკიდული გუდა. ყველა გამლელი ამ გუდაში ქვებს უყრიდა ამ მოხუც კაცს. პაწა ძმამ შეეკითხა ამ მოხუცს, რომ რატომ გაყრიან გუდაში ქვებსო? მან უთხრა, რომ,– მე ამათზე ფარა მქონდა მისაცემი, ვერ მივეცი და ამიტომ მიყრიანო. პაწა ძმამ გამოაყრევია ქვები და მის მევალეებს მიცა ფარა. შემდეგ გააგძელა გზა. იარა, იარა და მივდა ერთ ადგილზე, სადაც ბევრი ხალხი იყო თავმოყრილი? ამ ძმამ შეეკითხა ხალხს, რომ რატომ ხართ თავმოყრილიო. ხალხმა უთხრეს, რომ ფადიშაჰმა სამჯელ გოგო გაათხვა და სამჯელ ქმრები მუუკდა გოგოსო. ახლა ჩვენ იმიტომ ვართ აქ, რომ იმ ხელმწიფის გოგოს ქმარი უნდა დავასაფლავოთო.

პაწა ძმამ დეინახა ეს გოგო და ძალიან მუაწონდა. დანახვისთანავე გულში ჩუარდა. ეს ბიჭი დაბრუნდა თავის სახლში. მამას ძალიან გუუხარდა. მამამ შეეკითხა, სად წახველიო. შვილმა

უთხრა ყველაფერი, თუ რაც გააკეთა. მამამ ძალიან მოიწონა მისი საქმე. შემდეგ შვილმა უთხრა, რომ მე ერთი ხელმწიფის გოგო მომაწონდა და ის უნდა შემრთო ცოლადო. მამას ეს ამბავი ძალიან შიეჩათინა. შვილს უთხრა, რომ გზა შორს არის, მე იქ ელჩებს ვერ გავაგზავნიო, შენ თუ გინდა, წადიო. მამამ შვილს მისცა ცხენი, ფულები და წევიდა. ამ ბიჭს დუუღამდა იმ მეზელუღთან, სადაც მან კდარი კაცი ჩაფლა. უცბათ საფლავი გეიხსნა და კდარმა დეიძახა: – ჩამოდი, ძმაო, ჩემთანო. ამ ბიჭმა დააბა ცხენი და საფლავზე წამოწვა. მან უთხრა, სად მიდიხარო? პაწა ძმამ უთხრა, რომ ხელმწიფის გოგოზე მივალო. – შენ იმ გოგოს ვერ მეიყვან, რადგან მას ბატონი ყავსო. მე შენ წამოგყვები და მე გავაკეთებ მაგ საქმესო. წევიდნენ ორივე და მივიდენ ხელმწიფის სახლთან, რომელსაც ყავდა გოგო. აქ მათ შეხვდათ ის ბერიკაცი, რომელსაც გუდაში ქვებს უყრიდნენ და რომელიც პაწა ძმამ გაათავისუფლა. ეს პაწაჲ ძმა ამ ბერ კაცს აგზავნის ხელმწიფესთან, რომ გოგო მომცესო. ხელმწიფე ეტყვის, რომ მე გოგოს ვერ გავათხვებ. რამდენიც გავათხვე, იმდენჯელ ქმარი მუუკდაო. დაბრუნდა მოხუცი და მოახსენა პაწა ძმას. მან ხელმეორეთ გააგზავნა და ხელმწიფეს რაღა ექნა, გოგო მიათხოვა. ქნეს დიდი ქორწილი. ამ კდარმა კაცმა, რომელიც ამ ბიჭს თან ახლავს, უთხრა, რომ შენ რომ ცოლთან დაწვები, მეც იმ ოთახში ვიქნები. შენი ცოლი მე ვერ დიმინახავს. ქალი და კაცი ერთ ოთახში არიან. ამათ დიეძინენ. ქალის პერანგიდან გამოიდა ფინთი (გველი). მეგომ ამ ქალს ფინთი დაბატონებია. ეს არ იცის ქალმა და ყველა მის ქმრებს ის კბენდა და კლავდა. გამოიდა თუ არა გველმა, ქალის ქმარს ჰამან უნდა უკბინოს და ამ კდარმა კაცმა, რომელიც პაწა ძმას ახლდა, დუუქნია ხანჯალი და კისერი წაჭრა. გათენდა დილა. ხალხი მოყრილიყვენ. ხელმწიფის სიძეჲ არვის არ ეგონა ცოცხალი. როცა ყველაჲ დარწმუნდა, რომ ის ცოცხალი იყო, მაშინ მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ამ ბიჭმა ეს ქალი წამეიყვანა სახლში. გზაში მოწყურდა წყალი. მოვიდენ სასაფლაოზე. გეიღო საფლავი. იმ კდარ კაცს უთხრა, რომ წყალი მასვიო. მან უთხრა –წყალი მაქ არის, ყუში და სვიო. ამ ბიჭს ჰამან უნდა ამიეღო წყალი და შიან დეინახა ერთი გოგო, რომელმაც უთხრა, მე თუ ცოლად არ წამიყვან, ისე წყალს არ მოქცემო. ამ ბიჭმა დაპირდა, რომ ცოლად წიგიყვანო. მაშინ მანაც მისცა ოქროს ფინჯანით წყალი. ამ ბიჭმა ეს ორი ქალი წამეიყვანა სახლში. გედეიხადეს დიდი ქორწილი. ძმებმა ვერ გეიტანეს, რომ ამფერი ქალები რაფერ მეიყვანაო. ერთ დღეს ქეიფის დროს ძმებმა პაწა ძმას კისერი მოჭრეს, მარა ქალმა მას თავი გაუმრთელა. ხელმწიფემ ორი შვილი მოკლა და ხელმწიფე გახდა პაწაჲ ძმა.

ფუტკარაძე ანზორ ნურის ძე, დაბადებული 1941 წ. სოფ. პაპოშვილებში, მე-9 კლასის მოსწავლე. მის რეპერტუარში შედის ზღაპრები და ლექსები, რომლებიც მოუსმენია ხალხისგან.

ორი ძმა და ტყიკაცი

Იყო ორი ძმა. ამათმა ადგენ და წევდენ სანადიროთ. იარეს, იარეს და დაუღამდენ ტყეში. დეინახეს ხის ძირში ცეცხლი. ამათ იფიქრეს, რომ მივდეთ და იქ გავათიოთ ღამეო. ამ ძმებს მოკლული ყავდენ შველი. ეს წეიყვანეს იქ, რომ შეწვან ცეცხლზე და ჭამონ. როცა მივდენ იქ, იქ იყო ცეცხლთან ტყის კაცი. ტყიკაცმა უთხრა მათ, რომ დაჯექით და დეისვენეთო. ის მოკლული შველი ტყიკაცმა ცეცხლზე შეწვა. ამ ტყიკაცმა უთხრა, რომ თქვენ ძვლის კაცები ხართ, თუ რბილი ხორცისო? ამ ძმებს შეეშინდენ და რა ექნათ და უთხრეს, რომ ჩვენ ძვლის კაცები ვართო. რბილი ხორცი ტყიკაცმა შეჭამა და ძვლები ამ ძმებს დუუყარა. შემდეგ ამ ტყიკაცს ქონდა დიდი ბოსელი, სადაც ყავდა ცხურები. წევდა და ერთი ცხუარი მეიყვანა. ცეცხლზე მოხრაკა და ხორცი შეჭამა. ძვლები ძმებს დუუყარა. როცა ივახშმეს, ძმებს ძილი მუუნდათ და ამ ძმებმა მიწვენ ჯირეკზე და დიდ ძმას დიეძინა. პაწა ძმას არ ძინევდა. ტყიკაცმა დახედა ამ ძმებს, რომ ძინვან. მეიტანა კინა და ცეცხლში ჩადვა. როცა გაშანთდა ამ კინამ, გამეიღო ტყიკაცმა და უფროს ძმას გაშანთებული კინა დააჭირა თვალებში და მოკლა. პატარა ძმას შაეშინდა მაგრათ. ამ დროს ტკიკაცმა კინა ხამად ჩადვა ცეცხლში და თვითან მიწვა ჯირეკზე. რამდენიმე წუთის შემდეგ დაეძინა ტყიკაცს. ამ პატარა ძმამ გამეიღო ცეცხლიდან გაშანთებული კინა, ტყიკაცს თვალებში კრა და თვალი გამოთხარა. ტყიკაცი დაქორდა, რამეს ვეღარ ხედავდა და მორთო ყვირილი. ტყიკაცმა დაედევნა ამ ძმას. ამ ძმამ გეიქცა ამ ტყიკაცის ბოსელში. როცა გათენდა დილა, ტყიკაცმა ახორიდან ცხვრების გამოშვება დეიწყო. ტყიკაცი მოდებდა ხელს ერთ ცხვარს, გამოაგდებდა გარეთ. მან იცოდა, რომ ბოსელში იყო პაწაი ძმა და ამიტომ უნდოდა მისი დაჭერა და მოკლა. პაწა ძმამ ამ ხანში დაკლა ერთი ცხვარი და მის ტყავში გიეხვია. ცხვრის ტყავიანი კაცს ტყიკაცმა მოკიდე ხელი და გამოაგდო გარეთ, ტყიკაცს ტყავი შერჩა ხელში. ამ ტყიკაცმა მიხტა, რომ გამემექცა გარეთო და მორთო უფრო კიჟინი და ყვირილი.

ეს ყვირილი გეიგონეს სხვა ტყიკაცებმა და დაცინეს ამ თვალებგამოთხრილ ტყიკაცს. ნახეთ კიბილსავარცხალამ (კიბილსავარცხალა იმ კაცს აღნიშნავს) რა დაგმართაო. ამ პატარა ძმამ სახლში მოვიდა. ეიღო ხელში თოფი და წევდა იმ ადგილში, სადაც ის ტყიკაცი იყო. მივდა, რომ ტყიკაცი ტირის და ყვირის. ამ პატარა ძმამ ამოუჯდა ერთ წიფლის ძირში და ესროლა ამ ტყიკაცს თოფი. მოკლა ეს ტყიკაცი. მისი ცხვრები წამეიყვანა სახლში.

შაირები

ეხ, რა გისურვო, არ ვიცი,
უფრო სასურველიაო,
ავიღე საწერ-კალამი,
გამოთქმა კი ძნელიაო.
...
წერილის წერა დავიწყე,
ხელში ავიღე კალამი,
მინდა გადმოქცე, გოგონავ,
მონატრებული სალამი.
...
ქვეყანაზე ძნელია,
ძნელი სიყვარულია,
კაცი, მისი ამყოლი,
ქვეყნად განწირულია.
...
ტყვია მომხტეს, გოგოვ, მოვკდე,
მიწით ვიყო დაფარული,
სამარეში თან ჩამყვება,
გოგოვ, შენი სიყვარული.
...
ვარ ობოლი გულით,
დატანჯული სულით,
მაგრამ ბედნიერი ვარ
შენი სიყვარულით.
...
გოგოვ, შენი ყურებით,
გამიბრუდდა თვალები,
დავდივარ და შენ დაგეძებ,
შენ კი მე მემალები.
...
ბრინჯის კაკალი დამებნა,
ვერ აკრიფს წიწილის მეტი,
გოგოვ, შენი სიყვარულსა
ვერ შემიცვლის სიკდილის მეტი.
...
ეს კალამი მიდის – მოდის,
მაგრამ ლექსი არ გამოდის,
გოგოვ, შენი სიყვარული,
ჩემ გულიდან არ გამოდის.
...
გავხედე ციხის კარებსა,
ციხე დაკეტილიაო.
ჩემი საწოლი ლოგინი
ცრემლით დაღვარულიაო.
...
გაფრენილი ანგელოზი
ცაში ბევრი დიმინახავს,
მაგრამ, გოგოვ, შენის მეტა,
დავდივარ და ვერ მინახავს.
...
თლათ რომ გასკდეს დედამიწა,
ჩამიტანოს მის სივრცეში,
არ იფიქრო, ჩემო ტურფავ,
დაგივიწყებ სიცოცხლეში.
...
ნეტავ მქონდეს ფრთები,
შენთან მოვფრინდები,
მე რომ არ მაქ ფრთები,
მისთვის ვიტანჯები.
...
მაღლა მთიდან წყარო მოდის,
ცივია თუ ანკარაო,
ბევრი უნდა დამეწერა,
მაგრამ დრო მაქ პატარაო.
...
გოგოვ, შენმა სიყვარულმა,
გამიჩინა თავში ბნედა,
ახალგაზრდობას ვფიცავარ,
არვინ მიყვარს შენის მეტა.
...
ეს წერილი მას,
ჩემი გულის ვარდს,
აიღოს და წეიკითხოს,
არ აჩვენოს სხვას.

...
ეს წერილი მისი იყოს,
მისი ნახვა მვირი იყოს,
აიღოს და წაიკითხოს,
დაწერა არ დაივიწყოს.

...
აწი წერას თავს ვანებებ
იხურება წერის კარი.
ახლა ბოლოს გჭირდებოდა
ჩემი სახელი და გვარი.

* * *

ფუტკარაძე ნოდარ ნურიალის ძე, დაბადებული 1939 წელს, სოფ. გორში (შუახევის რაიონი), საშუალო განათლებით. სკოლა დაამთავრა ოქროს მედალზე. მღერის, უკრავს ჩონგურსა და გარმონზე. იცის რუსული ენა; მისი რეპერტუარი არის მრავალფეროვანი - იცის ზღაპრები, ლექსები, გამოცანები, ანეკდოტები, ანდაზები, მოსწრებული თქმანი. ნამყოფია ბათუმში, გორში, ქუთაისში და სხვ.

შაირები

მე ლამბაზე წერილს ვწერ,
თვალებში მაბრჭყიალებს,
ბიჭო, შენი სიყვარული,
ჩემ გულში დატრიალებს.
...
ვარდის ძირას წერილს ვწერ,
ვარდმა დამიხარა თავი,
პირველად რომ დაგინახე,
ბიჭო, მაშინ შემიყვარდი.
...
მდინარესა მზე უცქერის,
წყალი პწყინავს როგორც ოქრო,
ბევრ ნაწერს ნუ მოითხოვ,
პატარა მაქვს რადგან მე დრო.
...
ბიჭო, შენი სიყვარულით
მე მიკდება ჩემი გული,
ოხ, რა ძნელი ყოფილა,
გოგო- ბიჭის სიყვარული.
...
სულ რომ მზე ანათებდეს,
ჩემთვის არის ღამე ბნელი,

ყოველ წუთში მაგონდება,
შენი სახე მშვენიერი.

...
ფურცელში ლექსებსა ვწერდი,
არ ვიცოდი რისთვისა,
კალმის წვერი მეუბნება,
საყვარელი ქმრისთვისა.
...
მე ისეთი ჩიტი მიყვარს,
მაღლა-მაღლა ფრინავდეს,
იმ ოთახში შევფრინდები,
სადაც, ბიჭო, გძინავდეს.
...
სიყვარული ოხერია,
კაცის გულის მკვლელია,
მოწაფესთვის თლათ ვარესი,
სწავლის ხელშემშლელია.
...
ბუნებაში ყველა ხარობს,
დედამიწაზე – მზე და მთვარე
და ამიტომ, ჩემო კარგო,
იცოცხლე და გაიხარე.

...
ზღვიდან მტრედი ამოფრინდა,
ბოლო ქონდა განიერი.
ამ წერილის წამკითხველი,

მუდამ იყოს ბედნიერი.
...
ვწერე, ვწერე ლექსები,
ფურცელი შემომელია.
მე ფურცელი აღარ მყოფნის,
ახლა თქვენი ჯერია.

...
მსურს გისურვო აყვავება,
ვიცი, კარგი სურვილია,
მაგრამ თქვენი ნორჩი გული,
ვიცი, აყვავებულია.

სიყვარული

იყვარული კაცს გადარევს,
ეს ხომ არის სიყვარული,
კარზე ვდგავარ, პასუხს ველი,
მეტანჯება ნორჩი გული,
სიყვარული რა ყოფილა,
აქამდის არ ვიცოდი,
თავისუფლად დავდიოდი,
სანამ შენ გაგიცნობდი,

მარტო ვზივარ ჩემს ოთახში,
მწარე სევდა მეფიქრება,
ვუკვირდები ჩემს საქციელს,
ვტირივარ და მეცინება.
ბუნებაში ყველა ხარობს,
დედამიწა, მზე და მთვარე
და ამიტომ, ჩემო კარგო,
იცოცხლე და გაიხარე.

აგრონომს ცოლად არ გაჰყვე

ითხოვება რომ იფიქრო,
მთლად რომ სახლში დაბერდე,
აგრონომ ცოლად არ გაჰყვე,
არც იმის სიტყვას დასჯერდე,
სახლში თვალით ვერ ნახავ,
სულ ფეხით აქვს სავალი,
ტუფლის ფარად არ ეყოფა,
თავის შემოსავალი,
ბევრსა შრომობს, მაგრამ მაინც
არაფერი გამოსდის,

ქინძს დათესავს, მის მაგიერ
ოხრახუში ამოდის.
ნარგავებში თუ შეუშვი,
დაამსგავსებს ასოებსა,
ნაყოფიერ ხეებს მოსჭრის,
უნაყოფოს დაიტოვებს,
ლოგინში რომ დაუწვები,
წიგნის კითხვა ახსენდება,
შენ რომ მარჯვნივ დაუწვები,
მარცხნივ გადაგიბრუნდება.

* * *

ერ ვიცოდი ლექსის წერა,
არც მინდოდა დაწერა.
მაგრამ შენმა სიყვარულმა,
სახლში არ გამაჩერა.

დილის ათი საათია,
ხელში ავიღე კალამი,
გაუსვი თეთრსა ფურცელსა,
შავად დააჩნდა მას კვალი.

მინდა მოგიძღვნა, ძვირფასო,
მტკიცე და ტკბილი სალამი,
ვინემ ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს,
სიხარულითა მას თევზი აჰყვეს,
ოხ, რა კარგია ზღვაში ყურება,
როცა მის ტალღებს ნიავი არხევს
და რა კარგია ქალზე ყურება,
როცა მის კაბას ნიავი არხევს.
გული მიკდება უშენობითა,
დანა ვერ მიხსნის პირსაო,
მომაგონდები, ლამაზო,
ეს ემატება ლხინსაო.
ორი წელია რომ ვერ გხედავ,
სადა ხარ დაკარგულია,
გამომიგზავნე წერილი,
კონვერტში გახვეულია,
შვიდობით, გულის დამჭერო,
ცისკარო ბუნებისაო.
დინამეთი ხარ გულისა,
დამანგრეველი კლდისაო.
ოცნებად გადაქცეული, ყვავილი ედემისაო,
ვარდზე დაყრილი სხივები, ამომავალი მზისაო,
მე დამაყარე ცრემლები, ზედ ნამი მოუდისაო.
სახსოვრად დარჩეს, ვინც ჩემთვის დაღვრის ცრემლებსა თბილსაო.

გაცნობა

ვიც რომ მე შენ გაგიცანი,
ჩემ გულს ცეცხლი ეკიდება,
მეტად გშვენის ლაპარაკი,
ნამეტარი გაცინება.
მსურს მე შენთან ლაპარაკი,
თუმცა ჯერ მიგვიანდება,
იმედია, უცხო მტრედი
თქვენს ოჯახში შეფრინდება,
გაზაფხულის ია-ვარდით,
თქვენი ეზოც აყვავდება,
თუ როდესმე მარტო იჯდე,
მოწყენილი უცხო მხარეს,
იგონებდე ტოლ-მეგობრებს,
და სამშობლოს ტურფა მხარეს,
მაშინ მხოლოდ ამ ჩემს ნაწერს
დააცქერდი, დაუკვირდი,
თან ბოლომდის წაიკითხე,
ცხოვრების გზას დაუკვირდი,
თქვი, ოდესმე მე მიყვარდა,
მყავდა ერთი მეგობარი,
ეს ცხოვრება რა ყოფილა,
მე სადა ვარ, ის სად არის.

შაირები

რად მასწავლე მისამართი,
შენი ადგილი და ბინა,
ბიჭო, შენმა სიყვარულმა,
ღამე აღარ დამაძინა.
....
შენ ვარდი ხარ, მე- ბულბული,
შენითა ვარ დაჩაგრული,
თუ ერთმანეთს შევიყვარებთ,
ჩვენ ვიქნებით მხიარული.
...
თოვლი დნება, ნეტავ რით?
მე მგონია, ცხარე მზით,

გოგოვ, შენი სიყვარული
არ მშორდება არაგზით.
...
შენც ყვავილი, მეც ყვავილი,
რაღათ გინდა ვარდი,
პირველათ რომ დაგინახე,
მაშინ შემიყვარდი.
...
ჩემო ბიჭო, გენაცვალე,
ოხ, რა კარგი დარია,
ხომ იცი, რომ უშენოდ,
ჩემი გული მკვდარია.
.....
თქვენს ეზოში ამოსულა
სამი ძირი იფნები,
წადი დედაშენს უთხარი,
მისი რძალი ვიქნები.
...
ავადა ვარ, თავი მტკივა,
თანაც გულის ფიცარი,
მე ისეთი ბიჭი მიყვარს,
დედის სამი ვინც არი.
...
სუფრაზე რომ დავჯდები,
ღვინოს დამაძალებენ,
შენი სევდით დავთრები,
ღვინოს დააბრალებენ.
...
გაზაფხულის ვარდი ხარ,
ახალგაფურჩქნული,
მაგრამ მე რომ ვერ გიცნობ,
იმით ვარ დაჩაგრული.
...
სიყვარულმა გული დამწვა,
სილამაზემ თვალები,
დღე -ღამ, ყოველ წამ-წუთში,
ტანს მევლება ალები.
...
ხეს ფოთოლი გადმოსცვინდა,
მის ადგილას სხვა იქნება,
მე და შენი დავიწყება,
არასოდეს არ იქნება.
.....
შენ ხარ ჩემი ნუგეში,
თავს ჩაგიდებ უბეში,
ძილი მოა, ჩაგიძრები,
მაგ შენ ლამაზ ტუჩებში.
...
უშენობით ცის სივრცეში,
ცისარტყელა იკლაკნება,
ეს ოხერი ჩემი გული,
მუდამ შენთვის იტანჯება.
...
პირველად რომ დაგინახე,
მე მეგონე ბაღის ვარდი,
დედამ გშობა ეგრე კარგი,
თუ ზეციდან ჩამოვარდი.
...
აბრეშუმი დავართი,
იყო ცოტა ხოშორი,
ვენაცვალე ჩემ ბიჭიკოს,
სირმას უგავს ქოჩორი.
...
მე შენიდან ხათრი მრჩება,
გული რად არ გამიხარე,
სიკვდილიხან ჩემთან მოდი
და მიწა შენ დამაყარე.
...
შენ მიყვარხარ, გენაცვალე,
შენს გამჩენსა ვფიცაო,
შენ თუ მე გიღალატე,
მაშ, გამისკდეს მიწაო.
...
სიხარულით მოვიარე,
ევროპა და აზია,
ერთი გოგო შემიყვარდა,

გოგოვ, რა ლამაზია.
...
მიყვარს სპიჩკის ნათელი,
ჟუჟუნა თვალის ყურება,
შენი სევდით მე დავიწვი
და შენ კი არ გეყურება.
...
შენი გული კინა არის,
უფრო, მგონი ფოლადიო,
მე და შენი სიყვარული,
გავატაროთ ბოლომდეო.
...
ნეტავი, ბიჭო, შენი ხმა,
ავადმყოფს გამაგონაო,
ტუჩი ტუჩს დამადებია,
და ლოყას ჩამაკონაო.
....
მალმალე მოდი ჩემთანა,
შენც ობოლი ხარ, მეცაო,
უბეში რომ ხელს ჩაგიყობ,
შენც გეამება, მეცაო.
...
ნეტავ, ბიჭო, მე და შენ,
ერთმანეთს დაგვატოლაო,
გვექეიფა, გვემხიარულა
და ტკბილად დაგვაძინაო.
...
ნეტავი მომცა ის ბედი,
პირსახოცად მაქცია,
ყოველ პირის დაბანვაზე,
შენს სახეზე მახვია.
...
წუხელი სიზმარში გნახე,
წარბი აღმა აგეყარა,
ფანჯარაზე მომდგარიყავ,
ქოჩორი გადმოგეყარა,
ათი თითი, ბროლის ხელი,
წმინდა წელზე დაგეყარა,
თეთრი ლოყა, ვარდისფერი,
ზედ შაქარი მოგეყარა.
...
ვენაცვალე იმ ჩიტუნას,
მაღლა-მაღლა რომ ფრინავს,
თეთრ ლოგინში თეთრსა ბიჭსა
მასთან ახლოს რომ ძინავს.
...
ბიჭო, ისე ლამაზი ხარ,
ფერს ვერ გიცლის ზამთარი,
მომცემ სიცოცხლეს, თუ მომკლავ,
შემომითვალე მართალი.
...
ერთი გნახე, მეტი არა,
გული გადამეტრიალა,
ბიჭო, შენმა სიყვარულმა,
კაკალ გულში გამიარა.

* * *

თურმანიძე ნიაზ, 28 წლის, დაბადებული სოფ. უჩამბაში, უმაღლესი განათლებით.

ვასახი

ყოფილა ერთი კაცი. მას ყოლია ერთი ავი ცოლი. ამ კაცს ეს ქალი მოსვენებას არ აძლევდა, მას სიცოცხლეს უმწარებდა.

ერთ დღეს ეს კაცი წევდა ტყეში. იქ მან ნახა დიდი ჭა. იფიქრა, რომ ჩემი ქალი თუ აქ

ჩავაგდე და თავიდან მოვიშორვე, ძალიან კარგი იქნებაო. დაბრუნდა სახლში ეს კაცი და ცოლს უთხრა, რომ ტყეში ძალიან ლამაზი ყვავილები ვნახეო. ქალმა გაუბრაზდა, დაუწყო ლანძღვა-გინება, რომ, რატომ არ წამოიღე სახლშიო. ქალმა წაიყვანა ქმარი ტყეში, რათა ყვავილების ადგილი ესწავლებინა. მივიდნენ ჭასთან. ქალმა უთხრა: – სად არის ყვავილებიო? –აგერ არისო და ჭაში გადაახედვინა. მაშინ კაცმა ქალი ჭაში ჩააგდო და წამოვიდა სახლში.

ერთ დღეს ამ კაცმა იფიქრა, რომ წავალ და ვნახავ იმ ჭას, ქალმა რა ქნაო. მივიდა, ჩახედა ჭაში, რომ გველს ამოყოფილი ქონდა თავი. გველმა დაუძახა, რომ რამე უნდა მიშველო. ამ ჭაში ერთი ქალი ჩამოაგდეს, ის ისეთი ავია, რომ მოსვენებას არ მაძლევს, ახლა იმ ქალს ძინავს. ჩამოუშვი რაიმე და ამომიყვანეო. კაცმა ჩაყო ჭაში ჯოხი და გველი ამოიყვანა. გველმა უთხრა, რომ თუ შენ რამე გაგიჭირდება, ჩემთან მოდი და საშველს მე გასწავლი. მხოლოდ ერთჯერ გასწავლი, მეორეჯელ კი – არაო.

ერთ ხელმწიფეს ყავდა ლამაზი გოგო. ეს გოგო გახტა ავად. ხელმწიფემ თქვა, რომ თუ ვინმე ჩემს შვილს მოარჩენს, ჩემს ნახევარ ქოენებას და გოგოს იმას მივცემო. მართლაც, ეს ამბავი გაიგო ამ კაცმა და იფიქრა, რომ იმ გველს ვეტყვი და წამალს მასწავლისო. გველმა ასწავლა, რომ იმ ხელმწიფეს აქვს სამი კურდღელი, დაკალი ის კურდღლები და მოხარშე. მათი ჯიგარი აჭამე და მორჩებაო. ამ კაცმაც ასე გააკეთა და ეს გოგო მორჩა. ხელმწიფემ ამ კაცს მისცა ეს გოგო და მისი ნახევარი ქონება.

კიდევ ერთ ხელმწიფეს ავად გაუხდა გოგო და ამ კაცს თხოვეს, რომ მოერჩინა ავადმყოფი. ამ კაცმა უთხრა: – მე მხოლოდ მაშინ მოარჩინე, მე ექიმი არა ვარ, ვერ წამოვალო. ეს კაცი ძალით წაიყვანეს. მოდი და თუ ვერ მოარჩენ, ხომ არავინ დაგარჩობსო. ეს კაცი წავიდა, მივიდა, რომ ქალს გველი შამოხვევია. გველმა რომ დეინახა ეს კაცი, უთხრა, რომ არ მოხვიდე ჩემთან, მე ხომ გითხარით, რომ მეორეჯელ ჩემთან ნურაფერზე ნუ მოხვალთო. ამ კაცმა უთხრა, რომ მე შენთან საკითხავად არ მოვსულვარ, მე მოველი იმაზე, რომ ის ქალი ჭიდან ამოსულა და შენ გეძებს, მე მინდა, შენ შეგატყობიოვო. ეს რომ გეიგონა გველმა, მოეხსნა ქალსა და გეიქცა.

ქალი გადარჩა სიკდილს, ხელმწიფეს ამ კაცს დაასაჩუქრა ბევრი ოქრო და ისე გაგზავნა სახლში.

ოსმან აღა

Aყო ერთი კაცი. მან მოიყვანა ცოლი. ამ ცოლს როდესაც ორმოცი შეუსრულდა, წავიდა თავის მშობლებთან. ეს ქალი ისე დასუსტებული იყო, რომ სულს ღაფავდა. დედამ კითხა შვილს, – რატომ დასუსტებულხარ ასეო? ქალმა უთხრა, რომ ჩემი ქმარი ყოველ დილას გამომიყვანდა გარეთ, თავზე კვერცხს დამადებდა და კვერცხზე სროლილობდა.

მე შიშის გამო ასე გავხდიო. ამან ძლიერ დააღონა დედა. მან მივიდა და სიძეს უთხრა, რომ წადი და ჭკუა დაეკითხე ოსმან აღასო. ეს კაცი წავა ოსმან აღასთან. მივა, რომ ამ კაცს აქვს ორი ყური და, აგრეთვე, ტუჩები აქვს დაჭრილი. ამ კაცმა ოსმან აღას კითხა,– თუ რატომ ხარ ასეო. ოსმან აღამ მოუთხრო შემდეგი:

მე მყავდა ორი ძმა. ერთი ძმა იყო ძალიან ვაჟკაცი. მეორე კი – არაფრის გამკეთებელი, მას რამე არ შეეძლო. ეს ვაჟკაცი ძმა მომიკლეს. მეც ვიძიე შური და მოვკალი მკვლელის ძმა. ეს ძმები თორმეტნი იყვნენ. მე გავყიდე ჩემი კარ-მიდამო და ცოლ-შვილის ერთად წავედი სხვა ადგილზე დასასახლებლად. მე მყავდა ერთი ცოლი, ერთი ცამეტი წლის გოგო და ხუთი წლის ბიჭი. მივაღწიეთ ერთ ხშირ ტყეს. ვკაფე ბაძგარი და ისე გავედით სამშვიდობო ადგილზე. დავინახეთ ცხრა სართულიანი სახლი. როდესაც დაღმა მივედით, ამ სახლთან დევმალეთ. ამ დროს მოვიდენ ის ძმები, რომლებმაც მომიკლეს ჩემი ძმა. ყველაზე უფროსმა ძმამ დაჯდა ბალკონზე. ჩვენც იმ ბალკონის ქვეშ ვართ დამალული. ქალმა მითხრა, რომ შარდი უნდა დავაქციოვო. მე ვუთხარი, რომ ისინი შეგვიტყობენ, აქედან ვერსად გახვალ და აქ დააქციე შარდიო. ქალმა არ ქნა. – მე მცხვენია, აქ ვერ დავაქცევ შარდსო. ქალმა მაინც არ დამიჯერა და წავიდა იქით. ამ დროს დეინახეს ძმებმა. ჩამოვიდენ და დაიჭირეს ქალი. მე მიმაკრეს სტოლბაზე და უფროსმა ძმამ ქალი გვერდით მოისვა. ეს კაცი დალევს ერთ ყავას, ჩემ ქალსაც დაალევიებს, მომჭრის ერთ ყურს, მეორე ყავას დალევს, მომჭრის მეორე ყურს. მესამე ყავის დალევაზე მომჭრა ტუჩები. შემდეგ მე და ჩემი შვილები იქ დაგვყარეს და ჩემი ცოლი წეიყვანეს ოთახში. მე ჩემ გოგოს ვუთხარი: – მამავ, ადექი, ჩამეიღე ის ხმალი და ის კაცი უნდა მოვკლა, დედაშენი რომ წეიყვანაო. – რაფერ თუ დედაჩემი! ჩემი მამა ის არის, ვინც დედაჩემთან არის ახლაო, – შემომყვირა შვილმა. მე ძალიან მეწყინა. შემდეგ პატარა ბიჭს ვუთხარი, – შვილო, იმ ხმალს კიბილები მოუჭირე-მეთქი. ბიჭი ავიყვანე ხელებით მაღლა, მოკიდა კბილები და ისე ჩამოვიღეთ ხმალი. შემდეგ ვუთხარი, ამ თოკს გაუსვი-მეთქი. ბავშვმა უხახუნა, უხახუნა და ბაწარი გამიჭრა და ორივე ხელი გავითავისუფლე. ავიღე ხმალი, ჯერ ის ჩემი გოგო მოვკალი და შემდეგ შევარდი იმ ოთახში, სადაც ჩემი ცოლი შეიყვანეს. შევედი, რომ ჩემ ცოლსა და იმ დიდ ძმას ძინავენ ლოგინში. ქალს ვუთხარი რომ ქალო, ადექი, გევპაროთ-მეთქი. ქალმა შემომჭანჭყალა: – ეს მაჲმუნი აქაც არ მანებებს თავს, მომაშორეთ აქედანო. ამ ყვირილზე იმ კაცსაც გამოელვიძა. მე ორივეს წავჭერი თავები.

მე ვიცი, შენ რაზე მოხველი ჩემთან. შენ ქალს ყოველთვის კვერცხს ადეფ თავზე და იმაზე სროლილობ, რომ ქალი გააჭკვიანო. არა ძმაო! თუ ქალი კაჲ არ დარჩა, იმას არაფერი არ ეშველება.

შაირები

ოხ, როდესაც ჩემს ოთახში
მოწყენილი ვზივარ,
მაგონდება შენი სახე,
ჭკვიდან გამოვდივარ.
...
ბიჭო, შენზე ცუდის მთქმელს,
დანა დაესოს გულზედა,
არ გვენახოს ცოცხალი
მეორე გაზაფხულზედა.

...
ვზივარ მარტოდ მოწყენილი
და ქაღალდზე ვუსვამ კალამს,
ახლოდან რომ ვერ გხედავ,
შორედან გითლი სალამს.
...
ეკლიანი გზა-სავალი,
შენთვის იყოს ვარდიანი,
არასოდეს არ მენახოს

შენი სახე სევდიანი.
...
ვიცი, რომ შევარდენი ხარ,
ნეტავ, რომელი ბუდისა,
მაგრამ რომელი დედისა,
ეგრე კეთილი გულისა.
...
ფეტვის თესლი დავაპნიე,
რა მოკეკავს ჩიტის მეტი,
შენსა და ჩემს სიყვარულს,
რა დაფარავს მიწის მეტი.
...
საყვარელო, ჩემო კარგო,
პლატოკინა გამიქარგო,
პატარა ხანს მომიცადე,
თვრამეტი წლის გავიზარდო,
...
ჩემი გული ისეთია,
როგორც თეთრი მიტკალიო,
რამდენ წელიწადს გიცადო,
ჩემო ბიჭო, მითხარიო.
...
შენი ჭირიმე, კვატიავ,
ბავშვობის თანაზიარო,
მინდა ლექსები მოგწერო,
ფიქრები გაგიზიარო.
...
მაკვირვებს, შენ ვინ დაგბადა,
სიდან გაჩნდი ქვეყანაზე,
სიკვდილამდის ჩემს გულშია
შენი სახე, სილამაზე,
გშვენის მომხიბლველი სახე,
ტანადობა, სილამაზე,
დაბადებიდან მოგყვება
მშვენიერება, სინაზე.
...
ეს ბუნების კანონი
ყველასათვის ვალია,
განურჩევლად იმონებს,
კაცია თუ ქალია.
...
ეს წერილი, ჩემო ტურფავ,
ჩემს სახსოვრად შეინახე
და ნაწერით მოიგონე,
ჩემი ტურფა, ნაზი სახე.
...
ერთი შენ ხარ, ერთი მე,
შენს თავს მომცემს ღმერთი მე,
შევაერთოთ ფიქრები,
შენ თუ ჩემი იქნები.
...
ლამაზი შენი თვალები,
სიყვარულის მთესველია,
ცოლო, იმიტომ მიყვარხარ,
რომ არ ხარ ნათესავია.

...
მე შენთვის ათასჯერ მოვკვდები,
რკინას დავიცემ გულში ათასჯერ,
ეს გული შენთვის მფეთქავი
დამიჭერ ათი ათასჯერ.

სიძულვილი ქალებზე

ბუკი ვინმეს არ მოსწონს
ახლანდელი ქალები,
გემოვნება არა აქვს
და არ უჭრის თვალები.
უწინ ქალებს აქებდნენ
ბუნებრივად ლამაზებს,
აბა, ახლა შეხედეთ,
უშნოც გაალამაზეს.

ქალებისა სიმდიდრე
სარკე, პუდრი, პომადა,
კოხტად ჩალაგებული
რედიკულში ბლომადა.
თეთრი ისევ თეთრია,
შავს კი პუდრი ათეთრებს,
ექვსთვიანი ზავივკა
თმებს ლამაზად აყენებს.
სიმაღლესაც უმატებს
ქუსლიანი ტუფლები,
ფეხს ლამაზად აყენებს
ლეილონის ჩულქები.
სუსტი, მოკლე კაბები
წლოვანებას უმცირებს,
ლიპის მოთხოვნილება
ბამბის ფასებს აძვირებს.
შლაპკა კი არ ვიცით ჩვენ,
თუ რას ემსახურება,
ალბათ, უშნო იქნება,
ვისაც არ ეხურება.
დაგვერწმუნეთ ამაში,
ჩვენც რომ გვიყვარს ქალები,
ვისაც სახეს უმშვენებს
ხელოვნური წარბები,
ყველა აქ ჩამოთვლილი
უკეთესიც იქნება,
ახლა ქალს ეხმარება
სატრფოსთან ნეტარება.

სიძლერა აჭარაზე

ჩემო ჭარავ, ჩემო სამშობლოვ,
ცირტუსით შემოქარგულო,
ლიმონ– ფორთოხლით ქებულო,
წალკოტო და თაიგულო.
შავი ზღვის პირას მდებარევ,
დედაქალაქით ქებულო,
ზამთარში ტკბილო ზურმუხტო,
მზიანო აყვავებულო,
ბრძოლის და შრომის გმირების
კერავ, დედავ და აღმზრდელო,
კაშკაშა კომუნიზმისკენ
მიდიხარ, მხარევ, ნათელო,
მე შენს კალთაში აღზრდილი
შენზე ვმღერივარ მგოსანი,
ზღვასავით გადავიქცევი,
ცას მივაწვდები ფრთოსანი.
მე მიყვარს შენზე ტრფიალი,
შენით ვამაყოფთ ყველგანა,
კოხტაა ჩემი აჭარა
ციტრუსოვანთა ქვეყანა.
ჩემო ლამაზო აჭარავ,
მზიანო, აყვავებულო,
შავი ზღვის პირად მდებარევ,
წალკოტო განახლებულო,
მწვანე ფარჩებით მოსილო,
მკერდდაქარგულო მამულო,
ქობულეთო და ბათუმო,
ქედავ, შუახევო და ხულო.

აჭარაზე

ჩვენი მხარე,
მიმზიდველი ადგილია ის არემარე,
ყოველი მხრით ქებულია ჩვენი აჭარა,

მნიშვნელობით უდიდესი, თვითონ პატარა.

დედაქალაქს თუ იკითხავ, არის ბათუმი,
სკოლებით და თეატრებით არის მორთული,
გზატკეცილი ასვალთები მანქანებისთვის,
ზღვის ნაპირას პარკებია გოგონებისთვის.

ქუჩებში რომ გაიარო, თეთრად ანათებს,
იქით-აქეთ მაღაზიები შემოგანათებს,
რესტორანში ქართულ ხმაზე სიმღერა ისმის,
გოგოები სიტკბისაგან ტკბებიან თითქმის.

მსოფლიოში ცნობილია ქალაქ ბათუმი,
ყველა გოგო ქართულ პლანზე არის მორთული,
კინო, თეატრი და ცირკი ყოველდღე არის,
ზამთარ ზაფხულ საკურორტო ადგილი არის.

რა ვუყოთ, რომ აჭარა გვაქვს მთაგორიანი,
სამაგიეროდ ადგილია ციტრუსოვანი.
დარგულია ყოველ მხრიდან პლანტაციები,
ჩაის კრეფენ კოლმეურნე ქალიშვილები.

* * *

ჩრეფის სეზონი რომ მოდის, პლანტაციებში
ყველა გოგო ემზადება კალათით ხელში,
საკრეფადაც ყველა ერთად ემზადებიან,
სიხარულით და სიმღერით ეგებებიან.

რა კარგია შემოდგომა ოქტომბრის თვეში,
ყველა ხილი დამწიფდება მთა და ველებში,
უამრავი მანდარინი და ლიმონია,
ფორთოხალი და ნარინჯი, ვაშიქტონია.

შემოდგომა რომ დადგება მთელ აჭარაში,
ციტრუსები ყვითლად მოჩანს მთა და ველებში.
იკრიფება ხარისხობით, საწყობს ბარდება
რაც გეგმაა, ერთი ორად გადაჭარბდება.

* * *

ქენაცვალე ჩვენს აჭარას მთა და ველებში,
გოგონებსაც ვენაცვალე სიკოხტავეში,
ცივი წყარო მოჩუხჩუხებს ყოველ კუთხეში,
რა კარგია სეირნობა ქალიშვილებში.

არც იმდენად მდიდარია, კაცი იყოს კმაყოფილი
ძირითადი კულტურაა კომბოსტო და კარტოფილი,
აბა, ვის არ ახსენდება იმიერი, ამიერი,
ქართულ სუფრაზე ზეიმი, მისი „მრავალჟამიერი“

როდის იქნას, დავბრუნდე
ჩემს აჭარის მხარეში.
რომ ვუცქერდე, არ მოწყინდეს,
მაბრწყინებდეს თვალებში.

აბა, ვინ არ მოიგონებს
მაქაურსა ცივსა წყაროს,
ან ის წუთი, როცა გოგო
გეტყვის, ბიჭო, მიყვარხარო.

სამ წლის შემდეგ დავბრუნდები
სამხედროდან ვალმოხდილი,
კიდევ დავჯდები სუფრაზე
საქეიფოდ თავმოხდილი.

ლექსს გიგზავნი სამახსოვროდ,
დაამღერეთ გიტარაზე,
ლექსისა დამწერელია
აბესალომ ფუტკარაძე.

* * *

ქაგონდება აჭარის მთები,
ტყეები, ველები, შემკული ყანა,
გამომიწვიეს მე სამხედროში,
რომ მეც დამეცო ჩემი ქვეყანა.
წამომიყვანეს შორსა მხარეში,
ნაცნობი არვინ მეგულებოდა,
მე იქ ვცხოვრობდი, ვიმყოფებოდი,
ჩემი სამშობლო მაგონდებოდა.
იქ ცხოვრებას მიჩვეოდა,
სხვაზე უფრო ბევრი რუსი

თოვლი პატარა სცოდნია
ყინვა ორმოცი გრადუსი.

ქარი ზუზუნებს ყოველდღე,
ამინდი არის ცივია,
რადგან ვერ წვდება შორს მყოფი
ნათელი მზისა სხივია.

ასეთ ყინვაში ცხოვრებას
ეჩვეოდა ჩემი გული,
ეტყობა სოფლებს ქალაქებს,
რომ არის აოხრებული.

იქ ცხოვრებას ეჩვეოდა
აჭარლების გუნებაო.
ხშირად მომაგონდებოდა
ჩემ აჭარის ბუნებაო.

უნდა გიამბო ამბები
ორმოცდაათი წლისაო,
ხუთი თვე იყო გასული
იმ მიმდინარე წლისაო

წაგვიყვანეს სამხედროში
ბიჭები ოცი წლისაო,
თქვენ მოვალე ხართ ჯარისა,
თანახმად ბრძანებისაო

დაღამდა კვირა საღამო,
შუქი არ იდგა მზისა,
დედა საჭმელსაც გვიმზადებს,
საჭმელსა ათი დღისაო.

გათენდა კვირა დილაცა,
შუქი არ იდგა მზისაო,
მატარებელში ჩავსხედით,
ხმა ისმის ბორბლებისაო.

ჩაგვსვეს ჩვენ მატარებელში,
გავსწიეთ რუსთა მხარესა,
მაგრამ არ ვიცით, სად მივალთ,
სად, ვისთან, რომელ მხარესა.

აგერ გამოჩნდა ტალღები
ტალღები ბალტის ზღვისაო,
ამბობენ კალინგრადია,
ნაწილი პრუსიისაო.

წამოგვიყვანეს ბიჭები
ცხრამეტი-ოცი წლისაო.
სტროით დაგვაწყეს ბიჭები,
წესია სალდათისაო,
სტროით დაგვაწყეს ბიჭები
ცხრამეტი-ოცი წლისაო.

სტროით მივყავართ საჭმელზე
და სტროით ვიბანთ პირსაო,
საათით დაგვაძინებენ,
წუთით გვიზომვენ ძილსაო.

და როცა მოვა იგი დრო
დანიშნულ უფროსისაო,
პადიომ, – სასწრაფოდ იძახის
პადიომ, ადგომისაო.
ადგომის დრო როცა მოდის
თანახმად ბრძანებისაო,
წამოვარდებით ბიჭები,
შარვალში ვუყრით ფეხსაო

ჩექმა ვიღას ახსენდება,
ბლუზასა ვკიდებ ხელსაო.
წამოვარდნილი ბიჭები
ჩექმებში ვუყრით ფეხსაო,
და ასე მიდის ძმანებო,
ცხოვრება სალდათისაო.

სოფ. ბუთურაული, თემი ზალი მამულაძე

ყაჯათის ლექსი

ქომისმინეთ, მეზობლებო,
მე ისეთ გზა-კვალსა გეტყვით,
რომელიც ჩვენ გამოგვადგება...
არნა იყო არცნა ქურდი,
არცნა იყო ზინა ბოზი.
ტკბილი ადამიანინა იყო,
ცუდი ჩვენ ნუღარ გვექნება.
ამ გზას შენ თუ წაუდგები,
შენ ბედ-იყბალს რა მუდგება.
აღმოსავლეთ-დასავლეთში
ერთი ნეფე კი ყოფილა,
ყველა ენა მას ესმოდა,
გინდამც ქართული, თათრული,
თუნდა იყოს სპარსული.
იგი მეფე აღმოსავლის,
იყო ღმერთის სუფთა ყული.
სულთან სულეიმანი იყო
დაუთ ფეიღამბერი შვილი.
იგი სიკვდილ ვერ გუდურჩა,
შენ საწყალო, რაღას ელი?!
ეწრის ფაცხას მისთვინ დგამდა,
ამით იყო კმაყოფილი.
შენ ჯარგვალს აღარ კადრულობ,
ანგურის სახლს აკეთებ,
წვეთივით გაქ ჩამოსული.
შიფანერკა, კამუტები,
ზედიზედ გაქ მიფენილი.
იმ დუნიას აღარ ფიქრობ,
აქეთ რომ ხარ დანდობილი.
შენ რომ სიკვდილ სულ არ ფიქრობ,
ნახავ, სიკდილი მოსულა,
უცებ ძალ-ღონე გელევა,
ისე ძირში დიეცემი.
მეზობლები მოგსევიან,
ყველაი რაცხას გეფერება.
მეზობლების მოფერება,
სულ აფერში წაგადგება.
შენი ხელით რასაც წეიღეფ,
საიქიოს ის წაგყვება.
მეზობლები კარგი არის,
ცხრა მერთექს მიგაყუდებენ,
ზეიდან მიწას მიგაყრიან,
ყველაი სახში ეშურება.
იმ მიწისა ბრაგაბრუგი,
შენ კი კარგად გეყურება.
ჰაივანათი–საქონელი,
ამისთვინ მალე ბერდება,
ჩვენი კდრების ღეზებები,
ყველაი მაგას ეყურება.
მოვლიან მელაიქები.

* * *

იქავრი და გამოცდება,
იქავრი და გამოკითხვა,
აქაურსა არ ედრება.
თუ მიგდევს რამე ღებელი,
ყოლიფერში გეხმარება.
თუ არ მიგდევს, ჩემო კარგო,
მაშინ შენ რა გეშველება?

* * *

მუხამედი ფეიღამბერი,
ფეიღამბერი ჩვენი ღმერთი,
ვინაც იმას იცნოს,
იმას არაფერი მუა.
ვინც ამის გარეშე არი,
ვაჲ, იმას რა ეშველება!
ამ ლექსისა გამომთქმელი,
თემიზალი მამულაძე,
ბუთურავლიდან გიახლები.

ეს ბეითია. გამოთქმულია ლექსათ, რომ ქართულათ წევკითხოთ და გევგოთ. კაცმა ყველაფერი კაიდა გააკეთო. აი ლექსი ისევ ჩვენი ხალხის გამოთქმულია. ხოჯამაც მოიწონა, იმფერი კაი ნათქვამია. ქითაბიდან მაი არაა. მაგი ადამიანის გზა-კვალის გაკვლევისთვინაა.

იმისთვინ წეიკითხავენ მაგინეფს, რომ ისტავლიან ეს სოფლიერი ამბავი.

მთქმელი მიქელაძე რეჯებ ქემალის ძე, 70 წლის. იცის თურქული ენა.
ზღაპრები გაუგონია მამისგან. სოფ. ჩანჩხალო.

კოხალიაჲ

(ეს კოხალიაჲ ჩანჩხალოელი იყო – ეიბოღლებიდან. მაამის ალიაჲ ქვიებია. ეს ამბავი ნამდვილია – მთქმელი).

კოხალიაჲ იყო მუნადირე კაცი. დადიოდა ტყეში, კლევდა ბრევლ თხებს, მოქონდა ხორცი სახში და ჭამდა.

ერთ-ერთ დღეს ერთ წყალთან მიეძინა – კაპნის წყალზე. გამეჲღვიძა, რომ ერთი გოგოა გვერდზე, ჟდას და თმას იბარცხნის. ამ გოგომ უთხრა, რომ შენ – ძმა და მე – დაო, დავძმობილდეთ ჩვენაო.

დაძმობილდენ ესენი. ამ ქალმა დაპატიჟა ეს კოხალიაჲ და წეიყვანა მის სახში. ერთი კილდეა, გააღო ის კილდე და შევდა შით.

შეჲყვანა შით, რუმ ამ გოგოს მშობლები ყავს – დედ-მამა. უთხრა გოგომ, რუმე ესა ძმაა ჩემი, მე ვიძმობილე და არ ერჩოლოთო.

დილას ადგა, შობლებმა შიეკითხა გოგოს, რომ საჩუქარი რა მივცეთ ამ კოხალიასო?

მიცეს კოხალიას ერთი მეშოკი სამსე. რა არის კაცმა არ იცის.

– ესაო წეჲღევიო და სახლში გასლამდე არ გახსნაო,– უთხრეს კოხალიას.

ჩევდა წყაროზე და თქვა:

– ერთი ვნახავ, რა გამომატანესო!

ნახა, რომ სამსე პრასის ჟვერი, ბტყელ-ბტყელი.

– ე რა ჯანდაბათ მინდაო, – და გამოყარა მეშოკიდან. ცარიელი მეშოკი წეჲღო; მივდა სახლში, გეჲქნია მეშოკი, რომ რაცხამ გეერაწკუნა – ერთი ოქრო ყოფილა შიან (პრასის ჟვერი ოქრო ყოფილა. ერთი პრასის ჟვერი დარჩენილა შიან და იგი გეერაწკუნა). ევდა კოხალიაჲ უკან იმ ადგილზე, რომ არასფერი აღარ არის.

ევდა კოხალიაჲ კიდევ იმ გოგოსთან მაღარაში. კიდევ გაათენა ღამე, მეორე დღეს კიდევ სამსე მეშოკი გამოატანეს. ჩამოვდა იმ ადგილზე. დაბარებული ქონდა, არ ენახა მეშოკი სახში მისლამდე. ნახა, გახსნა მეშოკი, რომ ნახშირი და გადაყარა. ცარიელი მეშოკი წეჲღო. მივდა სახში, გეჲქნია, რომ იმაშიც ერთი ოქრო დარჩენილა.

დაბრუნდა უკან ხამაჲ. ნახა, რომ არაფერი არ არი იქა. კიდო ევდა კოხალიაჲ მათთან მაღაროში. ერთი ყველი აქვან, მეგემ, თავანში დაკიდული. ჩამოჭრიან, ჭამენ, მაინც გამთელდება. ჩამოჭრიან, კიდოვ იმფრათაა.

– რა გაჩუქვოთო? – კითხეს.

– ის მაჩუქვეთო. –აჩუქვეს, მარა უთხრეს:

– ვინმეს არ უთხრა, რომ ეს აქედან წამოღებულიაო.

ჩეჲტანა ყველი, სახში დაკიდა. ჭამენ და კიდოვ იმფერია. ქალმა გედეეკიდა:

– რა არი ეს, საჲდან მეჲტანე, რატომ არ აკლდებაო?!

არ ებნეოდა კოხალიაჲ, არ ებნეოდა და სოვნი უთხრა. გახედეს, რომ აღარ არის ყველი.

ხამაჲ წევდა კოხალიაჲ სანადიროთ, მარა მათთან აღარ ევდა. ერთ კლდეზე დაჟდა.

გამოვდა ერთი გარევლი თხა. კოხალიამ ესროლა და მოკლა. წამეჲღო და ჩამევიდა იმ წყაროზე. დაანთო დიდი ცეცხლი. კოხალიაჲ წვავს და ჭამს ხორცს. შეხედა, რომ ერთი ტყის კაცი მოვდა მარობაში და დაჟდა.

კოხალიაჲ რომ ხორცს შეჭამს, მერე თოფის კინაზე წამუაცვამს და წააძლევს. იგი შორედან გეჲქნევს და გადაყლაპავს. ეს კოხალიაჲ რომ დაწვება, ისიც დაწვება. ადგება, ისიც ადგება. მერე ამ კოხალიამ ადგა. იმას დაძინებია, აღარ ადგა ზეზე. კოხალიამ დიდი ჯირეკი მეჲტანა, მის ადგილზე დადვა და ნაბადი გადაახურა. ამ გარევლმა კაცმა ადგა. ნახა, რომ ძინავს კოხალიას. ამან გედეჲწიწა, მეგემ, ცული აქ, დიეცა ჯირეკს. კოხალიაჲ ტყვიითაა მზათ და ესროლა. ამ ტყის კაცს მოხდა და იყვირა:

– კოხალიამ მომკლა, კოხალიამ მომკლა, მიშველეთო! ამ კილდიებიდან, ტყიებიდან ხმა იქნა:

– აბდი მოკლეს, აბდი მოკლეს! კოხალიამ აბდი მოკლაო!

იქიდან იყვირეს, ხმა მოვდა, რომ:

– მაგისი წამალი რა არის?

– ქინძი და ქარაძენძოო!

შეშინდა კოხალიამ. წამეჲკიდა ხორცი და წამოვდა სახში. ერთ კვირეს არსა არ წასულა. მერე წევდა ხელმეორეთ სანადიროთ. ევდა და „საჯოგია კილდეს“ უძახიან, იმის თავზე ჟდას იარაღით. გახედა, რომე გამოვდა გარევლი თხები – სური. ერთმა გოგომ შეჟდა და წველის ამ თხებს. ტლინკი დაადვა ერთმა თხამ და დააქცევია. თქვა ამ გოგომ, დაწყევლა: კოხალიაჲს ტყვია არ აგაშორა ღმერთმაო! ამ დაწყევლისთანავე კოხალიამ ესროლა და მოკლა თხა. ამ გოგომ: ჰამან ჩემ დაწყევლაზე მოკალიო?! შენო, საჯოგია კილდის თავი არ აგაშოროს ღმერთმაო! – დაწყევლა კოხალიაჲ.

მაჲ თხა დაკლა და ხორცი წამეჲღო კოხალიამ სახში. ჭამა, სვა და ხამაჲ წევდა ერთი კვირეს შემდეგ. ევდა იმ საჯოგია კილდეზე და უყურებს, თხები იქნება გამევდენ საცხაო.

დათვია კილდი თავზე, კოხალიას ზურგს უკან. გამოხტა ამ დათვმა და კოხალიას შიებუხჩა. ამ კოხალიას ხანჯალი აქ, იძრო და გეჟრჭო ფუშში. ამხანათ გადმოზავდენ ამ კილდის თავზე კოხალიამ და დათვმა. კოხალიაჲ მუხის ხის წვერზე მუცლით წამიეკიდა. თოვლი ყოფილა. დათვმა დაგორდა ქვეჲთ და ორივე მოკდა.

ეს კოხალიაჲ დეჲკარგა, აღარ მივდა სახში. კოხალიაჲს მეზობლები წევდენ შიშის მოსატანათ ტყეში. ნახეს დათვი, კოხალიაჲს ყამა აქ მუცელში, გამეჲტანეს. მემრე ევდენ მაღლა. ნახეს, რომ კოხალიაჲ ხეზეა წამოდებული კილდის თავზე.

ტყის კაცი

გარევლი კაცია ერთი ტყეში. ერთ კაც წეჲტაცებს და წეჲყვანს გამოქვაბულში. შით ცეცხლი ანთია და ცეცხლში გაყირმიზებული კინა არის ჩადებული. ამ მაღარაში იმდენი ცხვარია, რუმ არ დეჲთლება.

ამ გარევლ კაც ღვიძავს, თვალები გახილებული აქ, ძინავს, თვალები გახილებული აქ. ეს სოფლიერი კაცი ადგება, ის გარევლიც ადგება... ბოლოს ამ სოფლის კაცმა რუმ ადგა, იმან აღარ ადგა ზეზე, მიძინებია თვალებგახილებული. ეს ცხელი კინა აწია და თვალებზე გამჳსვა ამ სოფლიერმა კაცმა და დააქორა. ადგა ტყის კაცმა და ეძებს, მარა ეს სოფლიერი კაცი ცხრებში გეერია და ველარ პონილობს. გარეთ ეს კაცი ვერ გამოდის, გასასლელი კარები დაკლეტილია.

ადგა ამ ტყის კაცმა და ეს კარები გახსნა, თან თითო ცხვარ ყრის გარეთ, რომ დაცალოს მაღარაჲ და მიაგნას ეს კაცი.

ამ დროში სოფლიერმა კაცმა დაკლა ცხვარი, გიეხვია მის ტყავში და ტყის კაცმა და იცხოვრა.

* * *

დედაბერი წყალს მიქონდა,
გასავალი გზაც ის ქონდა.
...
იზესტემაო შეჰყეთ,
ღელე-ღელე შევყვეთ,
ვეზინეთ, დავზინზილდეთ,
ვეხუყეთ, დავყუყდეთ.

ეს ლექსი არ არი, საცინელია, გოია თვალის ლექსია (მთქმ.).

1) ორ საზამთროს დამკავებელს, ორივე გჳვარდება.
2) რასაც დათესავ, იმას მეიმკობ.

ჯანჯუხაჲ: შევკონევდით ჯანჯუხას კონებს. ხალხი გევყოფოდით პარტიებათ. ერთ-ერთს, ვისაც მჳწევდა, წალდით უნდა გეეჭრა კონა, მთლიანად. თუ ვერ გაჭრიდა, მეორეს დარჩებოდა ჯანჯუხების კონა.

იუზუქი: კაკალს გავტეხდით, გულს გამჳღებდით. ერთ-ერთში ჩავდებდით სიმინდის კაკალს. თაბლაზე შვიდი ნიგოზი იყო. ვინც იპოვიდა სიმინდის კაკლიანს, მისი იყო თაბლა. რვაზე და ათზე იყო სიმღერა – რვასაჲ და ათასაჲ. ორმოცდაათზე იყო ეზგი.

ლეგენზე იყო ნაცარი, წყალი. შით იყო ქალამანი და თუ წააგებდი, პირით უნდა ამოგეღო ქალამანი.

ზოიძე ალიოსმან ხუსეინის ძე, 48 წლის ცხოვრობს შუახევის რაიონის სოფ. წაბლანაში.
მუშაობს კლუბის გამგედ. ჰყავს შვილები, შვილიშვილები.
სიმღერები გაგონილი და ნასწავლი აქვს მამისაგან, რომელიც სოფ. წაბლანაში განთქმული მომღერალია.

* * *

წყალს ნაფოტი ჩამოქონდა,
მომდინარე დინარესო,
გოგონია, დიგინახავ,
გაგაღვიძებ ძინარესო.
...
ვაშლი მქონდა ყირმიზიო,
გამოვცვალე ბიაშიაო,
გოგო, მეტად ლამაზი ხარ,
გენაცვალე ყიაშიო.
...
თოფი ჩავდე ხალათშია,
ავდგეთ, წევდეთ სხალთაშია,
ლამაზები ავარჩიოთ,
გაუგორდეთ კალთაშია.

* * *

ოზდაერთში გეახელი,
ეშმაკობას მოვკარ ხელი,
თლათ ქვეყანამ რომ გეიგოს,
გვარი და ჩემი სახელი.
ერთი წიგნი გადავწერე,
მაღალ ახალი ზეგნიდანა,
ღმერთო, შენა შემიბრალე,
უნდა მოვკვდე დერდიდანა.
ხალხმა იგი რა იციან,
არ მეტყობა გარედანა,
შიგნით გული დამწვარი მაქ,
ქალიშვილის სევდიდანა.
ძალდან მელამაზება,
არ მგონია ინსნიდანა,
ნეტაჲ ხოშ არ გაჩენილა,
მელაჲქების ნურიდანა.
უფრო- უფრო ლამაზდება,
უნდა დაწვას აჲ ქვეყანა,
შემშალა და გადამრია,
გამომიყვანა ჭკუიდანა,
მისი ლამაზი და თმები,
ოქრო არის სირმიდანა.
ქაღალდივით თეთრი შუბლი,
მოანათებს წინედანა.
შავი-შავი თვალი, წარბი,
მოცემულია ღმერთიდანა.
გადაშლილი თეთრი ლოყა,
მე მგონია ვარდიდანა,
რა იქნება ჩეგეხუტო,
ხომ არ დეჲქცევა ქვეყანა,
ია-ვარდით მოქარგული,
მადლი წამუა ზეციდანა.

* * *

ცეცხლი ვანთოთ ნანთობაზე,
ჩვენ მივდივართ შუამთობაზე.
...
ღობეს მივაფინე ჩათხი,
ხოშ არ დაგარჩინე ხათრი.
...
გავიარე ცაცხვნარშია,
ვენაცვალე ნამსხმანშია.
...
ია ყვავის თეთრადა,

ნეტაჲ ვიყოთ ერთადა.
...
ახალი სახლი ვაშენე,
გადავკიდე კავია,
გოგონია, გეხვეწები,
გადამაწყე კლავია.
...
ჩიტი გვრიტი მოჭურღულებს,
მელაღური მგონია,
სადაც გოგოს დავინახავ,
ყველა ჩემი მგონია.
...
სახლი კისერ ეწრი ფაცხა
ნეტაჲ ვიყო მისი რაცხა.
...
არხალოღი შევკერე,
ჩოხა მაქ დაბარებული,
წუხელი სიზმარში გნახე,
სუდში ვარ დაბარებული.
...
წისქვილ პური დავაყარე,
სარეკელა გოგდებოდა,
ერთმა გოგომ გამეჲარა,
არ მეკოცნა, მოკდებოდა.

თურმანიძე ომერ ოსმანის ძე, 67 წლის ცხოვრობს უჩამბის სას/საბჭოს სოფ. წაბლანაში.
კოლმეურნე. სცოდნია ლექსები, მაგრამ დავიწყებია.

* * *

გოგოვ, გოგოვ, შენ და მეო,
შენ დღე გიყვარს, მე - ღამეო.
...
თვალჟუჟუნა თეთრი ქალი,
მაღლა სერზე წამომდგარი,
ხელსა მიქნევს, აქ ამოდი,
შინ არ არი ჩემი ქმარი.
...
დაბლა, მინდვრი ბოლოსა,
კაჭკაჲ გადევს ოლოლსა,
ჩემი თვალი ძალჲან გადევს,
ყვითელკაბიან გოგოსა.
...
ხერტალმა ხელი დამგალა,
ხერტალგასატეხელმაო,
სოფლის ბიჭმა დამაპირა,
კისერმოსატეხელმაო.

აბულაძე შარზენ მაირის ასული, 82 წლის უჩამბის სას/საბჭო, სოფელი ცინარეთი.
ჰყავს შვილები, შვილიშვილები. გამოთხოვილია შუახევის რაიონის სოფ. კლდისუბნიდან.
ლექსს სიმღერის თანხლებით ამბობს. გაგონილი აქვს წინაპრებისგან.

* * *

მაღლა სერზე წამოვდექი,
უბედური გამოვდექი.
...
მაღლა სერსა, სერებსაო,
ღმერთმა კითხოს სებებსაო.
...
თითი შევჭარ, შიმიხვიე,
მუხიებში ჩეგეხვიე.
...
ოზო-კარი შემოვღობე,
ასკილით და ხარითაო,
ჩემო ძმებო, დამეხმარეთ,
ალთუნითა და ფარითაო.
...
თითი შევჭარ, თითმა იცის,
ჩემი დერდი ღმერთმა იცის.
...
წინდა მოვქსუე უთეთროთ,
რაფერ დევიწვი უცეცხლოთ.
...
წისქვილ პური დავაყარე,
სარეკელაჲ გოგდებოდა,
მე რომ გოგოსა ვაკოცე,
ფეშინებში მოკდებოდა.
...
ხიფუტკარაჲ თელაში,
ხებერ მივცემ ქედაში.
...
ხიფუტკარაჲ თელიდანა,
გამუედი ბელიდანა.
...
ლაჩაქი მაქ, ლაჩაქური
მე ვიარები დაჩაგრული.
...
ლაჩაქ ყური წემეწვა,
ძალჲან გული დემეწვა.

ალიქერ-ულის ლოცვა

ალისა, მალისა,
პირველი ვარ დედისა,
ჩახიჩუხი ტარანი,
ძროხას მიარტყი ხაპერი.

თვალისა

ალელისა, მალელისა,
თვალი გეცა ქალებისა,
შინაურისა, გარეულისა,
დავჰკარი კარასკივი,
ამევღევი ჭრელი გველი,

დავჰკეპე, დავსჭარი,
ჩავყარე ჩემსა ქოთანში,
ვადუღე და ვაქაფქაფე,
ვადუღე და ვაქაფქაფე.
შენ ცემალს ჩავაყარე ნაცარი თვალებში,
აღარ გეცეს მისი თვალი.

ნისლის ლოცვა

ნისლო, ნისლო, ეიყარე,
თასა, გორას გედიყარე,
შენი ქალი ორსულია,
სამი შვილი ყოლია,
ერთი კუტი, ერთი ბრუდი,
ერთი ყველაჲს უკეთესი,
ღელე-ღელე შევიარე,
კოპით წყალი წეიღევი,
მალე ახვალ, მოგირჩება,
გვიან ახვალ, მოგიკდება.

* * *

მანგალო, ჩემი კინაო,
გასჭარ, გამიძეხ წინაო,
პურის ჭრა დავამთავრო,
მალე დავბრუნდე შინაო.

* * *

ბერიძე ჰავა ომერის, 80 წლის. ჰყავს შვილები, შვილიშვილები, ცხოვრობს უჩამბის სას/საბჭ. სოფ. სამოლეთში. ღომას მთა. უყვარს პოეზია და სიამოვნებით ამბობს ლექსებს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალგაზრდობაში „ლექსები, შელლიგობა მიყვარდა და მიტომ დევიხსომე“.

თაზე მივალ, თის გზაში,
ველარ გნახავ სიზმარში (ექსპრომტად).
...
ჰექია, მექია,
კატას კუდი გ̄ბრექია.
...
მაღლა სერსა, სერიანსა,
არ წავყვები წვერიანსა.
...
გავალ, ხესა მევეხვევი,
ლამაზ ბიჭსა ჩევეხვევი.
...
ხეზე გავალ, ბოგილში
ლამაზ ბიჭ ჩ̄წვები ლოგინში.
...
გოგოჲ მივა ლილაზე
ჩევეხვიე ყიაზე.
...
ერთი ხველა დემემერთა,
მე მეგონა კოწიწაჲ,

გაღმით გოგო მივიდოდა,
დუშახე, მომიცაჲ.
...
გოგო, უნდა გაგათხუო,
უნდა მიგცე კაპიტანს,
დედავ, იმას ვერ გავყვები,
გადამიყვანს საზღვარზე.
...
დედამთილო, იო,
ნუ მიჯავრდებიო,
შენი შვილი თავქაჩალაჲ,
მე სხვას წავყვებიო.
...
ხეზე მივალ ხის სასხლავად
მეჩვენები ცი მასკვლავად.
გულჩაფრასტი შენ დახსენი,
სახელოსი ღილი მე,
ყირმიზ ლოყას შენ აკოცე,
ულვაშების ჭირიმე.
...
ჩაისდონი შალი შაუკერე,
მოუმატე სიგძესა,
ჩემი ანა ვეღარ ნახავს,
იმითანა სიძესა.
...
ავდგეთ, წევდეთ, გემში ჩავჯდეთ,
რა ლამაზი დარია,
ყველას გული ხალვათია,
ჩემი გული კდარია.

* * *

თვალის შლობა

მე შეგილოცავ თვალისას,
ჯერა ჩემი თავისას,
შინაურისას, გარეულისას,
ოზდაოთხი თულისას,
ტანათ მაღალის თვალი გეცა,
ორთა ბოილი თვალი გეცა.
თეთრყირმიზის თვალი გეცა,
შავგრიმანის თვალი გეცა,
შავთვალას თვალი გეცა,
ჭრელთვალას თვალი გეცა.
ელემსერეს ყანა მედვა,
ყანაქვეშ ლოდი იდვა,
ლოდსა ქვეშ დევე იწვა,
ცალი თვალში წყალი ქონდა,
ცალი თვალში ცეცხლი ქონდა,
წყალი დეჲქცა,
ცეცხლი დეიმსო,
რამაც ავი თვალის ბატონმა
ავათ შეგხედა,
ავათ დიგიკავა,
მის თვალებში,
ტუტა, ნაცარი, ჭვარტლი.
სურუნჯი,
მარილი,
ღველფი,
ჩავაყარე,
გამჩენელი ღმერთი.

* * *

ფუტკარაძე ფადო ჰუსეინის ასული, 100 წლის.
ცხოვრობს შუახევის რაიონის სოფ. დღვანში. იცის შელოცვები.

თქალის

ალისა, მალისა,
პიმპონტიკა დანისა,
ევყვან მაღალ თასა,
დ̃ნთობ ცეცხლსა,
ვადუღებ და ვახარხალებ,
ვადუღებ და ვახარხალებ,
დასწერა ღმერთმა მისი ჯვარი,
ცული პირათ მონაჭარი,
ცულს რომ ტარათ მიერგება,
ჩემი ლოცვა, ჩემი კითხვა,
ამ ჩემ ბაღვსა მიერგება.

თიასი

ტაო, თიაო,
რას ბრუნავ ხარივითა,
რას ჭრიხვინებ ცხენივითა,
ეიარე, დეიარე,
შენ ალაგზე დაწყნარდი.

ნისლის შელოცვა

ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ღელე-ღელე შეირბინე,
შენი ქალი ორსულია,
კოპით წყალი ̃ტანე,
მალე ახვალ, მოგირჩება,
გვიან ახვალ, მოგიკტება.

თქალის ტკაჟილის შელოცვა

ანჯარისა, მანჯარისა,
შავი გველის ხვანჯარისა,
თეთრი ხარ, თეთრათ გამოდ,
შავი ხარ, შავათ გამოდ,
წითელი ხარ, წითლათ გამოდ,
ყვითელი ხარ, ყვითლათ გამოდ,
დეშელი ხარ, დეშელათ გამოდ,
მორი ხარ, მორათ გამოდ,
გამოდ და გამიეხვიე,
მუხის ფაჭას შამიეხვიე.

კუს

კუ, კუ, კურკუმელა,
პირაღმართო, პირჩაღმართო,
ბილში ხარ, ძვალში გამოჲ,
ძვალში ხარ, გარეთ გამოჲ,
დაგჩეხავ, დაგკეპავ,
ჭრელტარიან დანითა,
იგიყვან მაღალ თასა,
მიგცემ ქარს და ნიავსა.

* * *

ჩემ სახლზეიდან ფიშნა ბალი,
ბაბომ დამინიშნა ქალი,
ერთი კვირე არ გასულა,
მომიყვანა დედოფალი.
დედამთილო, იო,
რას მიჯავრდებიო,
შენი ბიჭი თავქაჩალაჲ,
მე არ წავყვებიო.

...
დედამთილო, აზ და აზო,
თხილი ზოფაჲ ბაზ და ბაზო.
...
მაღლა სერზე ასლა მინდა,
კვერცხი გულის ატანა,
იმ გოგოსი თხოვნა მინდა,
წითელ კაბის მიტანა.
...
ჯაყდა ნანაჲ, ნანაჲ,
დამწვარი ვარ ალეჲმალაჲ.

* * *

მთქმელი გოგიტიძე ჰავა ასანის ასული, 85 წლის; ცხოვრობს სოფ. ქიძინიძეებში. ჰყავს შვილები, შვილიშვილები. ახალგაზრდობაში თვითონაც გამოთქვამდა ლექსებს, ცეკვავდა, მღეროდა. შელოცვები ნასწავლი აქვს დედამთილისგან.

თვალის შელოცვა

გილოცვინებ თვალისას,
შინისას, გარისას,
ათასფერი გვარისას,
თეთრფერვანისას,
შავგრემანისას,
ყირმიზ ფერვანისას;
გილოცვინებ თვალისას,
ტანათ მაღალისას,
ტანათ დაბალისას,
ტანათ ორთაბოილისას,
გილოცვინებ თვალისას;
მოჲდოდა შავი წყალი,
მას მოქონდა შავი გველი,
ჩავკარ მათრახი,

ვაჭამე საყვარა,
ვაჭამე სათვალა,
სამი კონა ლემსი,
ლემს-მახათი.
თვალსა ეცე,
გულსა ეცე,
ვინც შენ ავი სულით,
ავი გულით,
ავი თვალით შამოგხედა,
შიგიშურვა, გიგიკვირვა,
იმას ნალიც, ნაგუზალიც,
შვიდი ქრივის ნაცარი,
ერთი წითელი პირპილა.
ასკდებოდა,
აფწდებოდა,
ჩემი ლოცვა, ლოცვა იყო,
ახალ ყვავილს გერგებოდა.

მარტვილისა

ჩვენც ვიყავით სამი ძმანი,
სამობისა წმინდისანი,
ეველით მაღალ თასა,
განელოიასა,
დააჯექით, მოვქსუეთ,
სამოზდახუთი ფხარი ბადენი,
გადავყარეთ მატავრსა,
–მატავრო, სადა მიხვალ შენ?
მარტვილთან მივალ,
სისხლის სასმელათა,
ძვალის სახრელათა,
ფერვანის საკრეფელათა,
– რა არი მისი წამალი?
დუმისა ქონი,
კვერცხისა ცილი,
ძეწნისა ჩხირი,
ვოჲ, ეგ რა მითხარი, ნენევ,
ჩემ თავის ჭირი.

მუცლის (ბალანას)

იაო, თიაო,
რას ბღავი ხარივითა,
რას ჭრიხვინობ ცხენივითა,
რას ელავ ელვასავებ,
მიიარე, მეიარე,
ამ ბაღანას მუცელში,
დაჯექ ლამაზათ, ტკბილათ,
იაღივითა.

მატავრისა

შენ მატავრო, სამარტვილო,
რასა ტირი, რასა ჩივი,
რას ამოგდის თვალში ჭაჭა,
ობობავრამ ძროხა დაკლა,
შენ ქალს ტყუბი შვილი ყოლია,
ამ ბაღანას დეეხსენი,
მალე წახვალ შენ ბაღნებთან,
შენ ცოლთან, – მოგირჩებიან,
გვიან მიხვალ, გელეპარიკებ, მოგიკდებიან.

ჩხვერის შლოკვა

პირველი ვარ დედისა,
წამალი ვარ ტკივილისა,
ყველამფერი ჩხვერისა,
ყველამფერი დერდისა.
....
გაზაფხული გამოვიდა,
აყვავილდა მთა და ბარი,
შენი სევდა გულსა მიწვავს,
შემიყვარდი ნამეტარი.
...
ხერტალმა ხელი დამგალა,
ხერტალ გასატეხელმა,
დამპირდა და დამატყვილა,
კისერმოსატეხელმა.
...
ნანაჲ ბიჭოს დეეძინოს,
პირსა ვარდი დეეხუროს,
ნენეჲ შენი მადლობელი,
დეჲძინე, დეჲლხინე,
ლამაზ თვალით გეჲღვიძე,
ჩემი გული გამინათლე.
...
ნანნი გოგოს,
ბახჩი ბოლოს,
წაგიკოჭებ თავ და ბოლოს,
რა არი მაგდენ ტირილი.
(ამას გოგოს ვეტყვით, ბიჭ ვერ გევმეტებთ).

* * *

მთქმელი გოგიტიძე სულთან მუხამედის ასული, 75 წლის. შუახევის რ. სოფ. ქიძინიძეები, ჰყავს შვილები, შვილიშვილები, იცის ლექსები, შელოცვები, გამოცანები.

მაღლა სერზე ავედი,
გადმოვდენე ხარები,
აბლახანუმ, გოგო მომე,
სამ დღეს მოგეხმარები.
...
ცხენი მყავდა დემირყირი
ნაჩარ ქალ ჯობს თეთრი ვირი.
...
მაღლა სერსა წამომდგარა,
თვალჟუჟუნა თეთრი ქალი,
ხელსა მიქნევს, აქ ჩამოდი,
შინ არ არი ჩემი ქმარი.
რომ ავედი, აუსწარი,
ფინთათ დაეკლიტა კარი,
გამჩენელო, ის მოკალი,
ყურბანი მყავს ჩივთი ხარი,
ზედ დავადე მაკე ცხვარი.
...
დედამთილო, დედაო,
შენ ჩაგიხმეს ენაო,
შენი ერთი შვილი მეტი,
დაიხოცეთ ყველაო.

ანდაზა

სადაც მული მულმულობს,
იქაც ძალი წუნწკულობს.
(ამაზე ბევრი ვიცოდი, ჰამა ჩიმიცვინდა – მთქმ.).

...
ოდელია ნანული,
წაკინწლულან ძალ-მული,
ძალმა უთხრა მულსა:
– შენ ჩაგიმტრევ გულსა.
მულმა უთხრა ძალსა:
– შენც ჩაგიმტრევ ძვალსა.

გამოცანები

ყია, ყია ყინტორი,
ყინტორ ზეიდან მინდორი,
მინდორ ზეიდან შავი ტყე,
შავ ტყეშია ნადირი,
თუ ვერ ახსენ,
იყოს შენი სადილი.
(მკბენარაი).

აკიბული კიბესა,
ბაირახტრების ციხესა,
ზედ კურდღელი შესკუპულა,
აცქმატუნებს ყურებსა.
(საათი).

სუფრა რომ სუნგური,
დემურ ინგური,
დემურ ყეფესლი,
დემურ აფისი.
(ნამცხვარი).

ალავი, ლავი,
ქათამი შავი,
ავწყვიტე თვალი,
შევჭამე ფხარი.
(ყურძენი).

ასახსნელსა მოგახსენებ,
ახსნაც გაგიჭირდება,
ისეთი რამეა, რომ
ყველაფერს ჭირდება.
(სახელი).

კატა კუდით კიდია.
(ტაფა).

ავათ არ არი და კნესის.
(კრუხი).

შავი ქათამი გულგამოხრილი.
(ბუხარი).

მიქრის, მოქრის, იქავ არი,
კამკამები ასხია,
მის სოფელსა მოშორდება,
მუხლი აღარ აბია.
(თევზი).

აჭიპჭიპებული, დაჭიაპჭიპებული,
კრაჭიაჭიპას გაკეთებული.
(ჯაჭვი).

თეთრათ დავიბადე,
წითლად შავიზარდე,
შავათ დავბერდი.
(მაყვალი).

ხეზე დავიბადე, ხეზე გავიზარდე,
ჩამუარდი ძირს, ქუდი ზევით დამრჩა.
(კაკალი).

მიწიდან ყირმიზი მამალი მოძრება.
(ჭარხალი).

პატარა ეკლეკუდაო,
კუთხეში მიეყუდაო.
(ცოცხი).

ერთი ბეღელი,
კლიტით გასაღებელი
(წაბლაჲ ხაპი).

ავუშვებ – დგას,
დავაბამ – დადის.
(ქალამანი).

მიდის, მოდის, იქავე დგას.
(კარი).

თავი – საბანში,
ფეხი – ბაზარში,
ვკრეფ და არა მაქვს,
რა კალთაში.
(სიზმარი).

მთქმელები: ბერიძე ფატი ოსმანის ას., 11 წლის, გამრეკელიძე ფატი ნოდარის ას., 10 წლის, ბერიძე ნიგარი ოსმანის ას., 12 წლის.
უჩამბა, სამოლეთი

შაირები

ახალი სახლი ავაშენე,
ზედ შევკიდე კარები,
შედიან და გამოდიან
ფერწასმული ქალები.
...
ჩემს სახლს ზეიდან ნაძვის წიწვი,
სიკვდილამდის შენთვის ვიწვი.
ჩემს სახლს ზეიდან ეწრის ფაცხა,
ნეტავ, ვიყო შენი რაცხა.
...

წიფლი ჟვერზე ნუსხა ვწერე
დამწიფული მოცვითაო,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
გევიარ, წავალ ლოცვითაო.
...
ყველა ხე რომ აყვავდება,
შენ რას შვრები, მუხაო?!
გოგოვ, ერთი ჩემეხუტე,
უკუღმართი ნუ ხარო.
...

ქალიშვილი გავათხოვე,
მომიტანეს ღილები.
ოქროს ცეფი რომ მოვთხოვე,
დამიკრიჭეს კბილები.
...
გაღმაში შავი ქათამი.
გამოღმა გამოკაკანებს,
ლამაზ გოგოს დავინახავ,
ზღვასავით გამაკანკალებს.
...
ყველა ხე რომ ფოთოლს შობა,
შენ რას შვრები წიფელა?!
არ მომიკდე, არ დამტოვო,
ჩემო ლოყაწითელა.
...
სახლი ვაკეთე, ბინა დამენგრა,
გოგო ვაპირე, იგიც გამექცა.
...
მაღლა სერზე ავედი,
გადუუკიჟინეო,
გოგონიავ, ჩემთან მოდი,
შენი ჭირიმეო.
...
გულზე საათი გკიდია
ოქროს ალთუნიანი,
გამოი, გოგოვ, იცეკვე,
ნუ ხარ ინათიანი.
...
გიტარა მაქვს აწყობილი,
ტარი აჭრელებული.
გოგოვ, გამოი, იცეკვე,
ნუ ხარ გაშტერებული.
...
ღელი პირს ხარი გავდენე,
წითელი და რქიანი,
მე რომ გოგო დავაპირე,
წელმაღალი, თმიანი.
...
გოგოვ, შენი ეშხი–მეშხი,
შენ რითა ხარ ჩემზე მეტი.
სილამაზით მე გჯობივარ,
სიმაღლე გაქვს ცოტა მეტი.
...
წისქვილს პური დავაფქვიე,
სარეკელაჲ გოგდებოდა,
შიგ ლამაზი გოგო იყო,
არ მეკოცნა, მოკდებოდა.
...
გიტარასი დაკრა მინდა,
მანდალინის ტარება,
თეთრი გოგოს კოცნა მინდა,
შავი გოგოს წვალება.
...
მაღლა-მაღლა ქორი ფრინავს,
ქვეშ მიმინო ხუმრიანი.
გოგოვ, წელზე ნუ მეიძრობ,
ისე შემოჲ ქემრიანი.
...
გოგოვ, შენი წელი წმინდა,
მომიქსოვე ჭრელი წინდა.
ჭრელი წინდის ჩაცმა მინდა,
შენი ძმაი ყაჲნათ მინდა.
...
ახორს უკან ჭუჭულები,
აღარ წაგეფურჩულები.
...
კაკლის ხეზე ციყვი ჯდება,
ღმერთით ენა ჩიგიკდება.
...
ჯიფეში მაქ სარკე ყუთი,
მაკოცნიე ოცდახუთი.
...
სახლი კისერ ღრმა ეწერი,
გაგითხარე ღრმა მეზერი.
...

ბოსტანშია გადვიხედე,
ქინძი კამას ეხვეოდა,
გოგოსთვინ რომ არ მეკოცნა,
ჩემი გული მოკვდებოდა.
...
შუხტი, გოგოვ, მოგიხდება,
შენი წელი შენ გიხტება,
შენი ანაჲ, შენი ბაბოჲ
მადლობელი გაგიხდება.
...
ავიდარი მეიშალა,
ნისლი გადმოყარაო.
წაიყვანეს ჩემი ტურფა,
ვაიმე, რა გამამწარაო.
...
გუნდავრი და მახეო,
შენსფერი ვერ ვნახეო.
გენაცვალე, ლამაზო,
შენსფერი ვერ ვნახეო.
...
ბოსტანში რომ გადვიხედე,
ქინძი პრასას ეხვეოდა.
ჩემი თვალით დავინახე,
ბიჭი გოგოს ეხვეოდა.
...
ჭიბოშანსა ხელი ვსტაცე,
ჭიბოშანმა ხე გათალა.
გოგოს კოცნა გოუმჟღავნე,
გოგომ კლავები გაშალა.
...
თაროზე მაქვს მაწონი,
სად არის შენი საწოლი.
...
გადმოვტეხე თელი წვერი,
ჩაგაკნეტიე ენის წვერი.
...
გოგოვ, შენი ნაწნებიო,
ამეღამ შენთან დავწვებიო.
სულ რომ მოხუცებული ვიყო,
ახალგაზრდა გავხდებიო.
...
ხერტალმა ხელი დამგალა,
ხერტალგასატეხელმა.
ერთმა ბიჭმა დამაპირა,
კისერმოსატეხელმა.
...
მაღლა სერზე ავედი,
გადმოვდენე ხარები.
აბლახანუმ, გოგო მომე,
სამ დღეს მოგეხმარები.
..
ბათუმიდან წამოვედი,
წამოვიღე მარილი,
ჩემს დედიკოს ვენაცვალე,
მე ვარ მისი ყვავილი.
...
სასადილოში შევედი,
მოვიკითხე მაკიდო,
შენისთანა მოშაირე
ყურებითნა დავკიდო.
...
მაღაზიაში შევედი,
მოვიკითხე ცული,
შენისთანა მოშაირეს
დაელიოს სული.

მთქმელი: გოჩიტიძე მუნთა ხუსეინის ასული, 100 წლის. სოფ. ტბეთი.

შელოცვები

თვალისა

მე გილოცავ თვალისა,
ჯერ ჰალაჲ ჩემი თავისა,
შინავრისა, გარევლისა,
მოყვარისა, მტერისა,
შვიდი ქვრივი ქალისა,
გასკდა მისი თვალისა.
დიდი იყო, პაწაჲ იყო,
კაცი იყო, ქალი იყო,
თვალჭრელი იყო,
თვალშავი იყო,
სამი კონა, სამი ლემსი,
ლემს–მახათაჲ, ნარი, ნაგოზარი,
შვიდი პინაჲ ნაცარი,
მე ვარ შენი შემლოცავი,
ღმერთია შენი შემბრალე.

წელისა

ატკეცილი, დატკეცილი,
ქვედა ლოდის მიდებული,
საყდარისა საკიდარი,
ჯუნჩბა ძაღლის ნაკბენი,
საუცხრის ნანქერი;
ადამი დეეცა,
სისხმა დეიქცა,
სისხმა ხეს მიცა,
ხემ ფურცელი მიცა,
ფურცელმა ზღვას მიცა,
ზღვამ ამფრათ იქცა.

ნისლისა

ანდიყარა, მანდიყარა,
ცხრა მთას იქით გედეჲყარა;
ნისლო, შენი ქალი დაწოლილა,
სამი შვილი ყოლია,
ერთი კუტი, ერთი საპყარი,
ერთი წვრილ დუნის უსეკიტურესი.
ღელე-ღელე შეიარე,
კოპით წყალი წუღევი;
მალე ახვალ, მოგირჩება,
გვიან ახვალ, მოგიკტება.

თვალისა

მე გილოცავ თვალისა
ოცდაოთხი ქალისას, ოცდაოთხი კაცისას;
ელელისა, მელელისა,
თვალი გეცა კაცებისა,
ვინცხას თვალი შენ გეცა,
იმას გამოსძრა თვალის კაკალი.

მთქმელი: აბუსელიძე-ბათაძე ხენიფე მამუდის ასული, 63 წლის.
ცხოვრობს სოფელ გოგაძეებში. მთა ჩირუხი.

შლოცვები

მუცლის ტკივილისა

წიწო, წიწო, წიწმარიტო,
ოფოფო და მარგალიტო,
ერთი ქალი მოწარწალებს,
უნიფხური, უპერანგო;
რა არი მისი წამალი,
კუდმელაქის მარილი;
ავალოკვიე, ჩავალოკვიე
ლუკუმფხა და ლეღვის ძირი,
გამოგალე კუდი ძირი.

ყიყვისა

არნანო, მარნანო,
ყიყვო, პასტო, პარნანო.
ნუ ჩამყვები ჯამსა,
ნუ ამომყვები ლუკმასა,
ნუ დიმიყვირებ დიდსა,
ნუ დიმიძვირებ ბედსა.
ნარდებოდე ნარივითა,
დადნებოდე ბაღივითა,
ქარდებოდე ქარივითა,
დადნებოდე ბაღივითა.

კუსი

კუ, კუ, კურკუმელო,
ფეხ დააბიჯებ, ჩონჩორიკო,
წამომდგარხარ სამ-სამ ჯირეკ,
წამოგისხამს შავი ვალა.
კუ, კუ, კუსთავს,
კუ, კუ, კურკუმელო,
პირაღმართო, პირჩაღმართო,
ეშმაკო და უკუღმართო,
რა გაკუნკულებულხარ,
დედა მუა, მამა მუა,
აგჭრის, ჩაგჭრის შავტარიან დანითა,
იგიტანს, მიგცემს მაღალსა თასა,
ქარსა და ნიავსა.

თიასი

თიავ, სულო, თიავ, გულო,
თიავ, მაღალღანებელო.
რას დამდგხარ ქარსავება,
რას დუდუნებ ზღვასავება,
მიიარე, მეიარე,
გული დადე ქვასავება.
თასა ბუბუნა, ბუბუნა,
მაწონი შეკვეთილა,
ხანდახან შამეჸარა,
თითოხანაც შებნედილა.
სისირვლისა
სირსვილი მივა ყანასა,
ალივერდოღლი ჭალასა,
სირსვილს ძირი უხმებოდა,
ხარს ტაბიკი უტყდებოდა.

შეჭრეტილისა

პეტრიმელაჲ ჭალაში იყო,
შიან არი ოქროს თასი,
შიან არი ოქროს საჲნი,
აკიბული, ჩაკიბული,
ზედ საყდარაჲ მიდებული;
ერთი სკნიდა, მეორე ხსნიდა,
სკნელსა ხსნელმა დააჭარბა.

ნისლისა

ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ცხრა მთას იქით გედეჲყარე;
შენი ქალი ორსულია,
სამი ბაღვი ყოლია.
ღელე-ღელე შეიარე,
კოკით წყალი ურტანე,
მალე ახვალ, მოგირჩება,
გვიან მიხვალ, მოგიკტება.

ახალი თვარისა

თვარე მივა ნებასა,
ჩემსა გახარებასა,
წელი მთელი, გული მთელი,
ხელაქმარი ხვავრიელი,
ჩემი გაკეთებული საჭმელი –
გემრიელი.

მზისა

მზეო, მოდი ვაკესა,
ცხვარ დიგიკლავ მაკესა,
დიგიმარილავ, შიგიწვავ, გაჭმევ,
შენც გათბი და მეც გავთბები.

მთქმელები: შავაძე ნათელა მუხამედის ას. 17 წლის, გოგიტიძე ნაზი დურსუნის ას. 20 წლის, გოგიტიძე შუშანა დურსუნის ას. 17 წლის, გოგიტიძე ეთერი ნუგზარის ას. 15 წლის. სოფ. ქიძინიძეები.

შაირები

მოდი, ბიჭო, ვიშაიროთ,
სანამ არ მოგწყინდება.
იმოდენა სიტყვას გეტყვი,
გაქცევაც მოგინდება.
...
ანალმაქო, დანალმაქო,
დოლოგანში ყანა მაქსო.
ერთი შეყვარებლი მყავს,
მეორეზე გეგმა მაქო.
....

ახო ყანა გამოვთხარე,
გამომიდგა ბოგილიო.
ლამაზ გოგოს, სუქან ბიჭსა
რაღათ უნდა ლოგინიო.
...
წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა
ალმასის ჩამონათალი,
დადექი, წყალო, მიამბე,
საყვარლის შემონათვალი.
...

ჩაქუჩი და წინდა
წყალში ჩიმიცვინდა,
მამამთილო, გეხვეწები,
შენი ბიჭი მინდა.
...
თაროზეა ორი ვაშლი,
ერთი შენ შაგინახე,
ოდაში რომ ცეკვობდი,
ფანჯრიდან დაგინახე.
...
ერთი ცალი ვაშლი მქონდა,
გადავცვალე ბიაში,
რა ლამაზი გოგო შენ ხარ,
გენაცვალე ყიაში.
...
ბოსტანში რომ გადვიხედე,
დავინახე გოგიაო,
წრევანდელ შეყვარებულსა
შარშანდელი ჯობიაო.
...
ერთი მაინც გამაგებიე,
მაინც რაში ჯობიაო?
წლევანდელი ჯარშია და
შარშანდელი სახლშიაო.
...
ბიჭო, შენსა საროჩკასა
უთოს გავასრიალეფო,
ჩემი წაყვანა თუ გწადია,
ნუღარ დააგვიანებო.
...
ახორში მყავს ორი ძროხა,
იმან რანდა მოიწველოს;
შენ გაღმით და მე გამოღმით
გულმა როგორ მოისვენოს?!
...
ტყვია მომხდა, ფეხი მომწყდა,
მიწით ვიყო დაფარული.
ცივ სამარეში ჩამყვება,
გოგოვ, შენი სიყვარული.
...
დადამთილო, დედაო,
შენ გაგიჩნდეს ბნედაო.
შენ შვილს უნდა ვეშაირო,
მომეც მაგის ნებაო.
...
დედამთილი ავადაო,
მივალ სანახავადაო,
მივალ, ვნახავ წუხარეს,
გადავასხამ დუღარეს.
...
დედამთილი მიკტებოდა,
მამამთილი მიყვებოდა.
მე კი რა მენაღვლებოდა,
მისი შვილი მე მრჩებოდა.
...
გოგოვ, კაბა შიგიკერავს,
მოუკელი სიგძესაო,
დედაშენი ვერსად ნახავს
ჩემისთანა სიძესაო.
...
ეს გარმონი მიდის, მოდის,
მაგრამ ლექსი არ გამოდის.
ბიჭო, შენი სიყვარული
ჩემ გულიდან არ ამოდის.
...
აკოშკაზე ჩიტი დაჟდა,
აკეკა პურის კაკალი.
ჩემი ბიჭი ჯარში წევდა,
მომიკდა გულის კაკალი.
...
ხუთი ცალი ვაშლი მქონდა,
ხუთნივეზე მშვენიერი.
ხუთი გოგო გზაზე შემხდა
ერთმანეთზე მშვენიერი.
...

შავარდენი გადმოფრინდა
აბრეშუმის ბუდიდანა,
საყვარელმა ვაშლი მომცა,
ამოიღო უბიდანა.
...
წვიმა წვიმს და ნამი არ აქ,
თეთრ კაბაში გამიარა.
ბიჭო, შენმა სიყვარულმა
კაკალ გულში გამიარა.
...
პირველად რომ დაგინახე,
სიყვარული განგიცხადე,
შენი თეთრი ნაზი სახე
ამ ჩემ გულში ჩავისახე.
...
პირველად რომ დაგინახე,
მე მეგონე ბაღის ვარდი,
დედამ გშობა მასე კარგი,
თუ ზეციდან გადმოვარდი.
...
გიტარასი დაკვრა მინდა,
ტარი გატეხილია.
რა უშველო ამ სიყვარულს,
უდროოდ დატეხილია.
...
ყველა ხე რომ ყვავილს შობა,
შენ რას შობი, წიფელაო?
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
ჩემო ლოყაწითელაო.
...
ყველა ხე რომ აყვავდება,
შენ რას შობი, მუხაო,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
უკუღმართი ნუ ხარო.
...
ბიჭო, ბიჭო, შავთვალაო,
დაეხსენი ქალებსა,
პატრონები შეგიტყობენ
დაგთხრიან ორსავ თვალებსა.
...
ბათუმიდან წამოვედი,
წამოვიღე წამლები.
ბიჭო, შენმა სიყვარულმა
დამისუსტა ტამრები.
...
ჩემს ეზოში წყარო მოდის,
არასოდეს დაშრებაო,
შენი, ჩემი სიყვარული
არასოდეს გაქრებაო.
...
რა ლამაზად გიხდებოდა
თეთრ კაბაზე ტუფლებიო,
მოგიტაცებ და წაგიყვან,
კოხტად ჩაგეხუტებიო.
...
დედამთილო, დედაო,
ჩაგივარდეს ენაო,
შენმა ბიჭმა ვარი მითხრა,
შენ არ მიე ნებაო.
...
სიყვარული ისეთია,
როგორც შაქარი,
ცხრა მთას იქით დავტოვე და
მაინც აქ არი.
...
პირველად რომ დიგინახე,
მომაბნიე გულზე ია;
თუ ოდესმე დაგივიწყო,
გულში მომხვდეს ცხელი ტყვია.
...
ქალიშვილი ხარ, არ დაივიწყო,
სიმართლე მუდამ შენი ვალია.
ეგ სილამაზე, მასთან სინაზე
ნიავსავითა წარმავალია.
...

სკამზე დავჯექი დაღონებული,
ცრემლი ჩამომდის, ტურფავ, მე თვალზე,
რომ გავიხსენებ პირველ სიყვარულს,
ვიტყვი, რადა ვარ ამ ქვეყანაზე.
...
არ შეიბრალო წყალში დამხჩვალი,
არ შეიბრალო ცეცხლში ჩამწვარი,
მხოლოდ და მხოლოდ ის შეიბრალე,
ვინც სიყვარულით არის დამწვარი.
...
ორი ცალი ვაშლი მქონდა,
შენსკენ გადმომივარდაო;
მე თუ გბულვარ და სხვა გიყვარს,
ფესვიც ამოგივარდაო.
...
მე ნალიაზე ვერ ავალ
კიბის უყუდებელი,
მე აქედან ვერ წავალ
გოგოს უჩუხუტებელი.
...
მაღლა სერზე წყარო მოდის,
ნარინჯისფერი გადმოდის,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
მთავარი სული ამოდის.
...
მაღლა სერსა სარაჲა,
ევდეთ, ვნახოთ რავაჲა.
შით გოგვები ფუნდრუკობენ,
საკოცნელათ რა კაჲა.
...
წისქვილს პური დავაყარე,
გამოვცვალე ბორბლებიო.
ჯაბნიძეები იხვეწებიან,
ითხვეთ ჩვენი გოგვებიო.
...
მაღლა სერზე ასლა მინდა,
წითელ კვერცხის მიტანაო,
ჩემ გოგოსთან მისლა მინდა,
წითელ კაბის მიტანაო.
...
სიყვარული ისეთია,
ძალად მოგეკიდება,
აიტან თუ ვერ აიტან,
მაგას არ გეკითხება.
...
სიყვარული ისეთია,
როგორც თეთრი მიტკალიო,
ჩემთვის რომელს გაიმეტებ,
ბიჭო, იგიც მითხარიო.
...
ბათუმიდან წამოვედი,
წამოვიღე პური ფქვილი.
გოგოვ, ერთი გაიცინე,
დამანახე ოქროს კბილი.
...
მე რომ ხალათი ვიყიდე
ვარდებიანი,
რათ მინდოდა მე ის ბიჭი
დარდებიანი?!
...
მე რომ პლატუკი ვიყიდე
შახმატიანი,
რათ მინდოდა მე ის ბიჭი
ახმახიანი?!
...
მაღაზიაში შევედი,
მოვიკითხე პალტო,
არ წახვიდე, არ დამტოვო,
ჩემო გულის ვარდო.
...
ღელე-ღელე შევიარე,
გადმოვდენე ტურები,
დედამთილი გავაჰერსე,
დავაცქმეტიე ყურები.
...

ამ წერილის წერასა
ჩიტი მეჯდა ენასა,
დაგვიქცია მელანი,
გაგვაცინა ყველანი.
...
სიყვარულის მოღალატე
ცეცხლში უნდა დაიწოს,
საფლავიდან ამოვარდეს,
მათხოვრობა დაიწყოს.
...
დედამ კაბა შემიკერა,
დამიყოლა ღილები.
გათხოვება რომ ვუთხარი,
ჩამიმტრია კბილები.
...
მაღლა სერზე წყარო მოდის,
მოდის, მოედინება.
...
მეშაირე გოგონა ვარ,
ფოქუზბი ვიცია.
ხოხნელებსაც სიძე ყავან
მონადირე კაცია.
ის ნადირობს დღედაღამე,
ღამით დათვი ესიზმრება...
...
დედამ კაბა შემიკერა.
ზედ დამირტყა არშიაო.
დავკეცე და შევინახე,
ჩემ პატარა შკაფშიაო.
წინწკალი რომ შეყოლოდა,
გამოეწვა არშიაო;
დედამთილმა რომ გამიგო,
მან ჩამარტყა თავშიაო,
მამამთილმა რომ გამიგო,
სულ გამაგდო კარშიაო,
მარბენია, მარბენია,
ჩემი გოგო ის იქნება,
ვისაც გაეცინება.
...
წყარო წყალი მოდინდება,
არ ეტევა ღარაზე,
ბიჭო, შენი სიყვარული
არ იქნება ფარაზე.
...
– შვილო, უნდა გაგათხოვო,
უნდა მიგცე შოფერსაო.
– ვერა, დედა, ვერ გავყვები,
მიმაჯახებს ღობესაო.
...
– შვილო, უნდა გაგათხოვო,
უნდა მიგცე მუშას.
– მუშას, დედა, კი გავყვები,
მუშას არა უშავს!
დათვის ნაცვლად ვირი მოკლა,
გუნებაში ეცინება.
მეორე დღეს დაეძებენ
ყველა თვალებდაცეცილი...
დათვის ნაცვლად ვირი ნახეს
ღობის ძირში გაცვეთილი.

ეზო შამომარბენია,
ცივი ჭადი რომ მომიგდო,
ნახშირივით მაფქვევია.
...
დედამთილი ვბრეგვე, ვბრეგვე,
მულიც მოვბრეგვეო,
მაზლი კარებს ეფარება,
ღმერთო, მიშველეო.
მამამთილს წვერი ვაბღალე,
თოკვი დავგრიხეო,
ჩამოვაბი საქანელაჲ,
ზედ ვიქანავეო!

მთქმელი: მაკარაძე გულნაზ წურის ასული, 15 წლის. სოფ. ოლადაური.

შაირები

მუხას ცული შემოვკარი,
მე მეგონა წიფელიო;
გოგოვ, ერთი მაკოცნიე
შენი ლოყა-წითელიო.
—
კოლმეურნეობის ბოსტანში
თივაც არის, ბზეცაო.
გამო, გოგო, მეშაირე,
შენც დაიწყე, მეცაო.
—
ამოკიდე ვარიაჲ,
შენ გოგო ხარ თვარიაჲ.
ღობეს მივაფინე ჩადრი,
მე შენიდან დამრჩა ხათრი.
—
დილას ამოსული მზე
სერებს ეფარებოდა.
ჩემ ბიჭიკოს ქოჩორზე
შაფხა ეფარებოდა.
—
სერა-სერა შევიარე,
სერმა ფეხი დამისველა.
შენ გაღმა და მე გამოღმა
გულმა აღარ გამისვენა.
—
მთიდან წვიმები დაიწყო,
წამოიღო ქვად და ლოდად,
ვაიმე, რამხელა გამიხდა
ოთხი ღოჯე ერთი ოდა.
ახალგაზრდა ქალი ვარ,
ახალგათხოვილი ვარ,
კოხტა ბიჭის ცოლი ვარ,
სევდით გაყოლილი ვარ.
—
ღელიებში ნისლი ჩადგა,
მზე ამოვა, დარჩება.
ჩვენ ორისა სიყვარული
სამუდამოდ დარჩება.
—
საყვარელო, ლამაზი ხარ,
ლამაზი ხარ, ტანადი.
გვერდით ოქროს კბილი გშვენის,
კლავზე ვერცხლის საჰათი.

მთქმელი: ფუტკარაძე ნუგზარ ზურაბის ძე. სოფ. პაპოშვილების დაწყებითი სკოლის მასწავლებელი. ბათუმის პედ. ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების მესამე კურსის სტუდენტი. თქმულება გაგონილი აქვს მოხუცებისგან.

თქმულება თამარჭალაზე

დესღაც ცხოვრობდა ქალი თამარი. ყავდა ხუთი ვაჟი. გარეშე მტრების შემოსევისას ეს ხუთი ვაჟი წაიყვანეს ჯარში. დარჩა ოჯახში ქალი თამარი.

თურქები შემოვიდნენ სოფელში და შემოვიდნენ ამ ქალის ოჯახშიც. უთხრეს: წყალი დაგვალევინეო.

ხუთი თურქი იყო. ქალმა გამოიტანა მოწამლული ღვინო. დალია ერთმა თურქმა, წაიქცა; დალია მეორემ – წაიქცა... ასე მოკლა ოთხი. დარჩა ერთი. მეხუთე მიხვდა, რომ წყლის მაგივრად

მოწამლული ღვინო გამოუტანია ქალსო. აიღო და შუბი ჩასცა მკერდში. თამარის ვაჟებიც ბრძოლაში დაიღუპნენ.

გავიდა ხანი. დაინგრა თამარის სახლი და მის ოჯახზე ამოვიდა ბალახი. ამან გაჭალდა, გაკორდდა. ამიტომ ჰქვია ამ ადგილს თამარჭალა.

მთქმელები: ფუტკარაძე ნანული ბინალის ასული, 11 წლის.
ფუტკარაძე ეთერი ზურაბის ასული, 11 წლის. სოფ. ოლადაური (ჯუმუშაური).

შაირები

ასი ფთა ყავარი მქონდა,
ხიდან ხეზე გავაბი.
შენისთანა მოშაირე
ძველ ახორში დავაბი.
—
ასი ფთა ყავარი მქონდა,
წყალში გამიცურებია,
შენისთანა მოშაირე
ბევრჯერ გამისტუმრებია.
—
ჩემს სახლს ზეიდან ტყემალი
კონწოლ-კონწოლ კიდია.
მე შაირში ვერ მაჯობებ,
ტავარჯული მკიდია.
—
ცაში ისარი ვისროლე,
ძირს დაეცა ფახრაჯას,
რა უნდა ველაპარაკო
შენისთანა ყარაჩას.
—
ღობის ძირში ჩიტი კდება,
ალლაინა ჩიგიკტება.
—
ღობეს მივახურე ვალა,
ალლაინა დაგალალა.
—
გადმოვკაფე თელის წვერი,
ჩაგაკნეტიე ენის წვერი.
—
ბოსტანში გადავიხედე,
ამოსულა პიმპილა,
პაპოშვილების საბძელი დეიწვა,
თავმჯდომარემ იტირა.
—
სიყვარული ისეთია,
როგორც თეთრი მიტკალი.
რამდენ წელიწადს გიცადო,
საყვარელო, მითხარი.
—
სათამაშო ვაშლი მქონდა,
გადავცვალე ბიაში.
რა ლამაზი გოგო შენ ხარ,
გენაცვალე ყიაში.
—
მაღლა ოდაზე ავედი
ყველიზა და პურიზა,
რახანია ვიტანჯები,
გოგოვ, შენი გულიზა.
—
აფრიკა და აზია,
გოგო რა ლამაზია,
მისი ერთი კისკისი
მთელი ქვეყნის ფასია.

მთქმელი ბერიძე თინა ისკენდერის ასული. 20 წლის, საშუალო განათლებით.
შელოცვები გაუგონია მოხუცი ქალებისგან. სოფ. მახალაკიძეები.

ქუს ლოცვა

კურ, კურ, კურკუმეტო,
ჯორის ფეხო, ჩონჩორიკო.
ავჭარი, ჩავჭარი,
ვადულე, ვაქაფქაფე,
ვარის ქოთანში ვადულე,
ვაქაფქაფე, ვაჩახჩახე.
გავჭარი შავი გველი,
გამოვიღე შავი გველი,
დავკიდე ღობეზე,
აღმა ქარსა, დაღმა წყალსა,
გავაქარვე ქვეყანასა.

თვალის ლოცვა

ალისასა, მალისასა,
მე გილოცავ თვალისასა,
ათასნაირი ქალისასა,
ათასნაირი კაცისასა,
ათასნაირი ბაღვისასა.
შვიდი კონა ლემსი
შენი თვალის მცემელს
თავში ერჭვას,
გულში ერჭვას,
სახეში ერჭვას,
მე ვარ მლოცავი,
ღმერთი მშველებელი.

შვილის შენარჩუნებისა

აი დადგა, მაი დადგა, ზღვა დადგა,
წყალი დადგა,
შენ დრომდის, შენ დრომდის,
დროსხანემდის შენ მუცელში
ბაღვი დადგა.

თვალის ლოცვა

ალისა, მალისა,
მე გილოცავ თვალისა,
შვიდი ქვრივი ქალისა,
შვიდი ქვრივი კაცისა.
შემოაღო კარი,
შემოაბრიალა თვალი,
მივასხი წყალი,
დაქორე ორივ თვალი.

ლამე კეცნილის ლოცვა

პეტრივლად იჯდა ჭამაზე,
წინ ედუა კაცის წელი.
ერთი სკნიდა,
მიერე ხსნიდა,
მსკნელსა მსკნელი აჭარბებდა.

შაკიკის ლოცვა

შაკიკი შემეგვეჩვია
სათიბისა ბოლოსა,
ის ჭამდა რკინასა,
უგუმაძღარ თივასა,
ირემმა რომ შაიტყვას,
გაიპარვის მზის ამოსულ დილასა.

მთქმელი: ბაკურიძე ბეჰირ ახმედის ასული, 72 წლის.
გათხოვილია სოფელ დარჩიძეებიდან (ცეცხლაძე) და ცხოვრობს შუბანში. ჩირუხის მთა.

შელოცვები

კოსი:
კოვ, კოვ, კორკომელი,
თახტამითი, ინჯიბელი.
პირაღმა, პირჩაღმა.
ხელ მოგცემ, ხელი მეჱჭარ,
ფეხ მოგცემ, ფეხი მეჱჭარ.
ძვალში ხარ, ბილში გამოჱ,
ბილში ხარ, კარში გამოჱ.

ახალი მთვარისა
აი გორდუმ ამალუნა,
აღზუმ ტოლი იმანუნა,
შენ ნესიბი გიმიხადე,
იმანით და ყურანითა.

მთვარე ვნახე ნების,
სიჰმე გახარების,
თავი მთელი, გული მთელი
ხელნაქმარი ხვავრიელი.
აი გორდუმ მაშალლა,
ხეირ დურ იწშალლა,
ნა მუბარექ დურ, მაშალლა,
იმანა ბერექეთი,
შეითანა ნაალეთი.
ცისარტყელაჲ ნახე ყვითლითა,
ჩემი თავი წითლითა,
ღმერთის რეხმეთითა.

მთქმელი: ზაქარაძე ნურიფე მაჰირის ასული. 76 წლის.
გათხოვილია შუახევიდან (დავითაძე) ქედის რაიონის სოფ. ხარაულაში.
შელოცვა და ლექსები გაუგონია დედისგან. მასალა ჩაწერილია ჩირუხის მთაზე, კვესაურში.

შელოცვები

თვალისა
ალისა, მალისა,
თვალი გეცა ადგილისა,
შინავრისა, გარევლისა,
ქალისა, კაცისა;
ეგერ მუა შავი წყალი,
იმა მუაქ შავი გველი.
დავჩეხე, დავჩეხე,
ჩავყარე ჩემსა მიწის ქოთანში.
შჳდგი ცასა მასკლავსა,
მე ვარ ლოცავი,
ღმერთი – შვილებელი.

ლექსები

დედამთილო, გამეახედე,
შამოგიყვანე ძალიო.
ავი თვალით თუ შეხედე,
ძაღლმა გამოგხრას ძვალიო.

—

დედამთილი ალისაო,
მული – მარგალიტისაო,
შილი – შუშა ლამბისაო,
მაზლი – ია-ვარდისაო,
მამამთილი – შავარდენი,
მისი შვილი საყვარელი.

* * *

„ბადიშმა ნახა სიზმარი – ნენევ, ეს ვნახეო, – უთხრა ნენეს. ნენემ უხსნა სიზმარი და ბადიშიც სიზმრის თქმაში გათავდა“

მთქმელი

* * *

– კეცი ხურს და გარ გამოხურს,
ნეტაჲ, ნენევ, რა არი?
– წყალი დუღს და ზედ გადმოდუღს,
ნეტაჲ, ნენევ, რა არი?
– მთას ირემი მობღუოდა,
ნეტაჲ, ნენევ, რა არი?
– თეთრი ქორი მიფრინევდა,
ნეტაჲ, ნენევ, რა არი?
– თანა შაშვი იბდღნებოდა,
ნეტაჲ, ნენევ, რა არი?
ნეტაჲ, ნენევ, რა არი?
– წყალ კიდობანი მიქონდა,
ნეტაჲ, ნენევ, რა არი?
– შიანაჲ თეთრი ბეზი იყო,
ნეტაჲ, ნენევ, რა არი?
– სელვის ხეები იმტრეოდა,
ნეტაჲ, ნენევ, რა არი?
– თანაც ტანები ემტრეოდა,
ნეტაჲ, ნენევ, რა არი?

– კეცი ხურს და გარ გამოხურს,
ისაჲ შენი ბაბოჲ არი.
წყალი დუღს და ზედ გადმოდუღს,
ისა შენი დედა არი.
თეთრი ქორი მიფრინავდა,
ისა შენი ქალი არი.
თანაც შაშვი იბდღნებოდა,
ისა შენი დაჲ არი.
თას ირემი მიბღუოდა,
ისა შენი ძმაჲ არი.
წყალ კიდობანი მიქონდა,
ისა შენი მეზერია.
შითა თეთრი ბეზი იყო,
ისა შენი ქეფენია.
სელვის ხეები იმტრეოდა,
ისა შენი ნამსხვანია.
ზედ ტანები ემხლეოდა,
ისა შენი მკლავებია...
– გავთავდი, ნენევ!

ა

ააფჩინა – გააღო, გახსნა.
ადრიელა – ადრიანად, ნაადრევად.
ავაზანი – აუზი.
ავიზა – ავისთვის.
ავი დარი მოიშალა – გაავდრდა.
აზუღი – საგზალი.
აინი – დურბინდი.
აკოშკა – რუს. – ფანჯარა.
ალაგი – ადგილი.
ალავი – ალი, სიმხურვალე.
ალაფრანგა – მინგრეულ-მონგრეული.
ალეთი – მოწყობილობა, სამუშაო იარაღები, ინსტრუმენტები.
ალთუნი – თურქ. 1. ოქროს ფული. 2. ყელზე შესაბმელი ოქრო.
ამოგნეშვება||ამოგნეშვა – ამოოხვრა, ამოხვნეშა.
ამხანათ – ამჯერად.
ანა – დედა.
ანგური – აგური.
აპავრი – აპეური.
არაბა – თურქ. – მანქანა.
არამჯი – თურქ. – ყაჩაღი, ქურდი.
არტაჟა – რუს. – სართული.
არშიყი – სიყვარული.
არშიყობა – საყვარლობა.
არჩიხანა – თურქ. – სასადილო.
არხატაში – თურქ. – ამხანაგი.
ასარსალებს–ატრიალებს.
ასლანი – ლომი.
ასტე – ასე.
ატუზება – გაჩერება, დადგომა.
აღა–ბატონი.
აღდი – არაბ. ქორწინება, საქორწინო წერილობითი პირობა.
აღვი – საწამლავი.
აშიღი – შეყვარებული.
აშიღი – აშუღი.
აშუღი – სახალხო მგოსანი.
ახი – ცოდვა.
ახისხა – ახალციხე.
ახო – საყანე მიწა.
ახოს გაღება – ყანისთვის მიწის გაწმენდა – გასუფთავება.
ახოხვება – აძვრომა.
აჯიკნილ-მოჯიკნილი – მიკეცილ-მოკეცილი.

ბ

ბანგანოთი – ფულის ერთეული.
ბანგი – ბანკი.
ბანდარა – უგერგილო.
ბარიშნა – რუს. – ქალიშვილი.
ბაროზა – მაგივრად.
ბაღვი – ბავშვი.
ბაღშიში – თურქ. – ძღვენი, მოსალოცი.
ბედნიაკი – რუს. – ღარიბი, ღატაკი.
ბეზი – ნაჭრის ტილო.
ბელა – არაბ. უბედურება, ფათერაკი.
ბელქი – თურქ. – იქნებ, ეგებ.
ბეჩი – სულელი.
ბზე – მზე.
ბიზი – სადგისი.
ბითევი – თურქ. – სულ, მთლად.
ბინი – 1. სახლის საძირკველი. 2. სასაძირკვლე ქვა.
ბინი – თურქ. ათასი.
ბისმილა–არაბ. „სახელითა ღვთითა“.
ბლაყვი – ლენჩი, დოყლაპია.
ბლუზა||ბლუზი – პერანგი.
ბოგილი – მდინარეზე გადებული შეკრული ხეები ხიდის დანიშნულებით.
ბოლაი – ბლომად, ბევრად, ბევრი.
ბორი– აქ: საყვირი.
ბოყვი – ხის საკეტი, რაზა.

ბოჭკა – კასრი.
ბოხჩა – ფუთა, ნაკრაული.
ბრევლი – ბევრი.
ბურდღა – ბუმბული.
ბურწუმალი – ეკალი.
ბუხანკა პური – ოთხკუთხა პური.
ბღლა – გლეჯა.

გ

გაბოლკვა – 1. გაბორკვა. 2. გახიდვა.
გაბღეზება||გაბეზღება – გაბრაზება, გაჯავრება.
გაბრუდება – გამრუდება, გაღუნვა.
გადაკარებული – გადაფარებული.
გავლიერი – გავლილი, წასული.
გაზენგილება – თურქ. – გამდიდრება.
გაზიარება – განაწილება.
გაკუჭდა – გაბრაზდა, გაღიზიანდა.
გამთელება–გამთლიანება.
გამოპეჭილი – გამოტენილი, გამოვსებული.
გამოსული – გაზაფხული.
გამოშპა – გამოვარდა.
გამოჩეჩება – გამოყრა.
გამრთელება –გაჯანსაღება.
გამფრინვალე – მფრინავი.
გარგულიშამ – გარშემო, ირგვლივ.
გარიგება – გაყოფა.
გასაქარვებელი – მოსაცილებელი.
გატანა – გაძლება, ატანა.
გატყლაპვა – გაჭყლეტა, გასრესა.
გაქარდა – გაუჩინარდა.
გაქარვება – გაუჩინარება, გაქრობა, გადაკარგვა.
გაქუსლა – გაქცევა.
გაქუცვა – გაქურდვა, გაძარცვა.
გაყირმიზებული – გაწითლებული (თურქ. ყირმიზ-წითელი).
გაშპა – გავარდა.
გაჩეჩება – დაყრა, დაცვენა.
გაჭენება – გაქცევა.
გახაზირება – გაჰაზირება, გამზადება.
გაჰერსება– გაბრაზება, განრისხება.
გაჰერსებული – გაბრაზებული.
გეინურიებ – გაატარებ.
გენილი – რძალი.
გერილმიშტენ – თურქ. სახრჩობელა.
გერმელი – გემრიელი.
გეყურება – გესმის.
გზაბაწარი – ბილიკი.
გზის კისერი – გზის დასაწყისი.
გიეჯარა – გაეხირა.
გლახა – ცუდი, უვარგისი.
გონჯი – ცუდი.
გულაობა – დროს ტარება.
გულერთი – ერთგული.
გულვანი – გულადი.
გულიზა – გულისთვის.
გულის მოსვლა – გაჯავრება.
გულიშამ, გლიშამ – გარშემო.

დ

დაარხატაშება – თურქ. – დაამხანაგება.
დააყენა – გააჩერა.
დაბადილი – დაბადებული.
დაბნედა – გონების დაკარგვა.
დადე – ქორწილში პატარძლის მხლებელი ქალი.
დაკიჟინება – ხმამაღლა დაყვირება, გადაძახება.
დაკონკილი – დაძონძილი.
დამტკეცნილი – ძარღვგასკვნილი.
დამჭლობილი – დასუსტებული.
დარუნიება – დატარება.
დასახლება – დაქორწილება.
დაფრეწა – დახევა, დაგლეჯა.
დაფშატული – დახეთქილი.

დაქორება – დაბრმავება.
დაქსიტვება – ცხვირის დაცემინება.
დაღერება – შეგულიანება.
დაწეკვა – დაკუწვა, დანაწევრება.
დაწიკება – მოქაჩვა.
დაჯანგვა – 1. დაჟანგვა, 2. მურით დასვრა, გამურვა.
დედეი – ბაბუა, პაპა.
დედჯალი – მიჯაჭვული მითური არსება.
დევრიში – წმინდანი, მოგზაური.
დესტანი – ამბავი, შეტყობინება.
დეფანი – აივანი.
დვარეცი – რუს. – სასახლე.
დიდვანი – დიდრონი, დიდი ზომის.
დინამეთი – დინამიტი.
დირეგი – თურქ. – ბოძი.
დო – ნადუღი.
დონუმი||დოლუმი – ჯერი, დრო.
დორდიანი –ქამრიანი, წელშეკრული.
დოხტური – ექიმი.
დუნია – თურქ. ქვეყანა.
დერმანი – ძალა, ღონე.
დუუძრავ – დახურავ.
დუქანჯი – მედუქნე.
დუშმანი – თურქ. მტერი.

ე

ებბედი, ებედი– თურქ. არასდროს, არასოდეს, თავის დღეში.
ებნეოდა – ეუბნებოდა.
ეიგერ – აი, იქ.
ელოღლი – თურქ. – გერი.
ენაზე მოვდა – ალაპარაკდა.
ესხრიკა – გამოედევნა.
ეყაყუნება – ძლივს დადის.
ეში – თურქ. ტოლი.
ეწრის გვიმრა – ბალახი გვიმრა.

ვ

ვაიზი – არაბ. მუს. ქადაგება.
ვაყაყუნე – ვაყმუვლე.
ვერანა – უპატრონოდ დარჩენილი, განადგურებული.

ზ

ზაბორი – რუს. – ღობე, შემოსაზღვრული.
ზავალი – არაბ. საბრალო, საწყალი.
ზაათი – თურქ. მაინც, რასაკვირველია, ნამდვილად.
ზალუმი – არაბ. შეუბრალებელი, ტირანი.
ზანაათი – არაბ. წესი, ჩვეულება.
ზანათი – ხელობა.
ზანიატი – რუს. – დაკავებული, შევსებული.
ზარმელი – „შუადღეს უკან ჭამადი“.
ზაფთიე – თურქ. ჟანდარმი, უფროსი, ჩაფარი.
ზენგინი – თურქ. მდიდარი, შეძლებული.
ზენჯირი – თურქ. ჯაჭვი.
ზიბილი – სიბინძურე, უსუფთაო.
ზინდანი – საპატიმრო.
ზისუდუნახავი – მზეთუნახავი.
ზონდიკი – რუს. – ქოლგა.
ზორბად – აქ: ბევრად, ხვავრიელად.
ზორი – გაჭირვება.
ზოფაი – თურქ. ჯოხი, ჯოხის დარტყმა.
ზრუქი – ზურგი.

თ

თაბლა – თურქ. – სინი.
თავანი – ჭერი.
თავლახანა – საჯინიბო.
თელი – 1. მთელი. 2. მავთული, სიმი.
თერეფი – თურქ. მხარე.
თექ – თურქ. – ოღონდ.
თვალი – შენობის ერთი ნაწილი, ერთი ოთახი.

თვალის დაკავება – მოწონება.
თვარამ – თორემ.
თლათ – მთელი, მთლიანი, მთლიანად, ყველა.
თორბა – თურქ. პატარა ტომარა.
თული – თურქ. – ნაირნაირი, სხვადასხვა.
თურმის – თურმე.
თხრაშუნი – ცემა, დარტყმა.
თხუნველა – თხუნელა.

ი

ია – ან.
იალუნი – თურქ. – გამთენიო.
იაშიკი – რუს. – ყუთი.
იგითი – თურქ. – ძლიერი, ვაჟკაცი.
იეთიმი – თურქ. – ობოლი, უპატრონო.
იესირი – ტყვე.
იზნი – არაბ. ნება.
იმიზდა – იმიტომ.
იმმეტი – იმის მეტი.
იმფრათ – ისე, ისეთნაირად.
იმფერი – ისეთი.
ინათი – თურქ. – ჯიუტი ხასიათი, ზნე.
ინსანი – არაბ. ადამიანი.
ისპიანი – ისპაჰანი.
ისტე – ისე.
იფიშმანა – თურქ. – იფიქრა.
იშვეთი – იშოვეთ, იპოვეთ.
იშმარი – თურქ. – ნიშანი.
იცდუნა – ჩაისახა (ბავშვი).
იყბალი – იღბალი, ბედი.
იხელთეს დრო – ისარგებლეს.
იჯები – აკეთებ.

კ

კაბალახი||ყაბალახი– მამაკაცის თავსაბურავი.
კაზარმა – ყაზარმა.
კაკალი – მარცვალი.
კაკაჲ – მძივი.
კაკლის წეფრი – კაკლის წენგო.
კაკრაზ – რუს. – სწორედ.
კალიდორი – რუს. – დერეფანი.
კალოსი – ბორბალი.
კაპიწი – ხის ოვალური კასრი.
კარაბლი – რუს. – გემი.
კარაოტი – რუს. – საწოლი.
კარდალა – სპილენძის ქვაბი.
კარის დაძვრა – კარის დახურვა.
კარტოშკა – რუს. – სურათი, ფოტო.
კაჭკაჲ – რუს. – ურიკა.
კახსევანი – აღზევანი.
კერე–კუჩხე – კუთხე-კუნჭული.
კვატია – (ტოპ.) სოფ. ზემო აჭარაში.
კვერკვეტო – ხის ჩაქუჩი.
კიბილი – კბილი.
კიდო – კიდევ.
კირკა – რუს. – წერაქვი.
კიტარა – გიტარა.
კიტმირი – ფინია.
კლა – კვლა.
კომბალა – კომბალი.
კონწოლი – კუნწულა.
კოპერატივი – შერეული სავაჭრო მაღაზია.
კოპი||კოპე– სითხის ამოსაღები გრძელხელიანი ჭურჭელი.
კორტოხი – ქვაღორღიანი მაღალი ადგილი.
კორკოტი – პურის მარცვლის შეჭამადი.
კოში – წყლის ჭურჭლად გამოყენებული მწვანე კვახი.
კოჭიჭა – პატარა კალათა.
კოჯორტაღი – კოჯრის მთა.
კურო – საყვარელი.
კურტანჯი – მტვირთავი.
კუჩხე – კუთხე.
კუხი – ისრიმი.

კუხნა – სამზარეულო.

ლ

ლაგანი – ნაგანი.
ლამბა – ლამპა, ნავთის სანათი.
ლაფატკა – ნიჩაბი.
ლეგენი – ვარცლი.
ლევდა – სვამდა.

მ

მაგმეტ – მაგის მეტს.
მავიზორი – მაუზერი.
მაიდამაიც – მაინცდამაინც.
მალადეს – რუს. – ყოჩაღ.
მალე – სწრაფად, ჩქარა.
მანდარინა || მანდალინა– რუსული მუსიკალური საკრავი.
მარიობა – მარიამობა.
მარიამობისთვე – აგვისტო.
მარობაში – ამასობაში.
მაუზერი – ცეცხლსასროლი იარაღი.
მაღარა – მღვიმე, გამოქვაბული.
მაწრიპალი – მწვალებელი, მაყვირებელი.
მეგ – ეს, ეგ.
მეგემ, მეგომ – თურმე, თითქოს, ვითომ.
მეზეთი – გამოსაჩენი ადგილი.
მეზერი – თურქ. – სასაფლაო.
მეისაქმა – მოკლა.
მელაიქი – თურქ. – ანგელოზი.
მემთევრე – საქონლის მომვლელი მთაში, იალაღებზე.
მემლექეთი – სამშობლო.
მენდილი – 1. მანდილი. 2. მოკრულა, ფუთა.
მერაყი – თურქ. – დარდი.
მერდევანი – თურქ. კიბე.
მერდივანი – აივანი.
მეშარია – მოხეტიალე.
მიამწყნარეს – დაალაგეს.
მიზა – იმიტომ, მიტომ.
მილეთი– 1. ქვეყანა. 2. ყველა.
მილლეთი – ხალხი.
მინარე – მინარეთი.
მინუტი – რუს. – წუთი.
მისდღემჩი – თავის დღეში, არასდროს.
მიჩემება – დაჟინება.
მიხოხვება – მიხოხება.
მობარგვა – მოთავსება.
მოდღუნული – დასვრილი.
მოზიკა – რუს. – მუსიკა. აქ, პატარა გარმონი.
მოთხრეშილი – დახეული, დაძონძილი.
მოთხრა – მიწის თოხით დამუშავება, მოთოხნა.
მოთხრეშა – მოგლეჯა.
მოკეთება – გაჯანსაღება, გამოჯანმრთელება.
მოკურცხლა – გაიქცა.
მოლეკვა – ლაქის, სითხის ზედაპირზე ამოსვლა.
მომყოლი – მომდევნო, შემდეგი.
მოპაიჯება – მოპატიჟება.
მორიკრიკებს – მორაკრაკებს, მოჩუხჩუხებს.
მოსაგებელი – საშოვარი.
მოსაფირი – არაბ. სტუმარი.
მოღერღვა – 1. მსხვილად დაფქვა, 2. დაღრღნა.
მოყაჟირება – სურვილის შესრულებით დაკმაყოფილება.
მუმი – სანთელი.
მოწეკვა – მოწყვეტა.
მუბარექი – არაბ. წმინდანი, დალოცვილი, მადლიანი.
მუსტაღი – თურქ. ღირსი, კუთვნილი.
მუფტი – არაბ. კანონების მცოდნე.
მუხთარი||მუხტარი – სოფლის გამგებელი, ხელმძღვანელი.
მუხი–თურქ. ლურსმანი.

მქუცავი – მძარცველი.
მწკირვალობს – ოდნავ ანათებს, მცირე ნათება.

ნ

ნაგრადა – რუს. – ჯილდო.
ნამესტნიკი – რუს. – მეფის ნაცვალი.
ნამსხვანი, ნამსხმანი – სახსარი, სხეული.
ნაპწენი – ნაწნავი.
ნასიბი – ღმერთის ნება.
ნაჩალნიკი – რუს. – უფროსი.
ნახიზნევი – ხიზნების ნამყოფი ადგილი.
ნახიშლი – თურქ. – სახე, ორნამენტი.
ნახსი – ანცი, მოუსვენარი.
ნენეჲ – 1. ბებია, 2. დედა. 3. მოხუცი ქალი.
ნესლი – ჯიში, ჯილაგი.
ნიზნაობა – დანაძლევება.
ნიზლავი – სანაძლეო.
ნიკოლაჲ – ნიკოლოზ II.
ნური – არაბ. შუქი, სინათლე, იმედი.
ნუსხა – ავგაროზი.

ჲ

ჲა – ან, თურმე.
ჲელი – იელი.
ჲეშელი – თურქ. მწვანე.

ო

ოდა – 1. სახლი. 2. ოთახი.
ოზრუქეთი – ოზურგეთი.
ოთხნავ – ოთხივე.
ორადნიკი – ურიადნიკი.
ოროსპი – არაბ. – გარყვნილი.
ორსი – სალესი ქვა.
ოტური – ქლიავის ჯიში.
ოჩერედი – რუს. – რიგი.
ოცნავე – ოცივე.
ოხუნჯი – მწვალებელი.
ოჯახიდან განაწილება – ოჯახიდან გამოყოფა და სხვაგან დასახლება.

პ

პალიტო – პალტო.
პალკონი – რუს. აივანი.
პაჟალუსტა – რუს. – ინებეთ, ნებას გრთავთ.
პარა – სიძლიერე–სიცხოველე.
პარახოტი – რუს. – გემი.
პაწაჲ – პატარა.
პეჩენია – რუს. – ტკბილი ნამცხვარი.
პიჭკა – რუს. – ასანთი.
პლატოკი – რუს. – ცხვირსახოცი.
პლენი – რუს. – ტყვე.
პოვარი – რუს. – მზარეული.
პოლი – რუს. – იატაკი.
პორტმალი – რუს. – საფულე.
პრახი – ცუდი, უვარგისი, გამხმარი.
პრიკაზიკი – რუს. – გამგებელი.

ჟ

ჟვერი – ფოთოლი.
ჟოლი – ბჟოლი, თუთა.

რ

რაათი, რახათი – თურქ. – მოსვენება.
რავარ – როგორ.
რავარც – როგორც.
რაიზა – რატომ.
რამაზანი – მუსლიმანური მარხვა.
რაცძალა – რაც ძალა ჰქონდა, რამდენიც შეეძლო.
რაცხა – რაღაც.
რეველი – რევოლვერი.
რიშვეთი – თურქ. – ქრთამი.
როკვა – ჩამოკაფვა.
რუმ||რუმე – რომ.
რჩოლა – 1. ჩხუბი; 2. რქენა.

ს

საბელავოთ – სახიფათოდ.
საბრი – არაბ. მოთმენა, გაძლება, სიმტკიცე.
სალდათი – რუს. – ჯარისკაცი.
სამა – ცეკვა
სარაია – არაბ. – თურქ. სასახლე, კოშკი.
სარეკელაი – წისქვილის ჯამზე დამაგრებული ფირფიტა, რომლითაც მარცვალი მიეწოდება წისქვილის ქვას.
სართომალი – სასთუმალი.
საყბავრი – აქ ღილი.
სახლი კისერ – სახლის ზევით, მომაღლო ადგილას.
საჯენი – საჟენი.
საჯიაღი – რკინის სამფეხი.
სებები – არაბ. მიზეზი.
სევდალი – თურქ. შეყვარებული.
სეირები – აქ მაყურებლები, მნახველები.
სეირი – არაბ. თავშესაქცევი, გასართობი.
სეირობა – გართობა.
სელავათი – არაბ. ლოცვა, უფლის ხსენება.
სერსემი – თურქ. უნდილი, ჭკუათხელი, ჩერჩეტი.
სექვი – თურქ. კედელზე მიშენებული ხის ტახტი.
სვალეთი – მოუსავლეთი.
სირა – თურქ. რიგი, ჯერი.
სირმა – თურქ. ოქრომკედი.
სოვდაგარი – ვაჭარი.
სოვნი – თურქ. ბოლოს, შემდეგ.
სოფლიერი – სოფლელი.
სპიჩკა – რუს. – ასანთი.
სტრაჯნიკი – რუს. – მცველი.
სტექლო – რუს. – შუშა.
სტოლბა – რუს. – ბოძი.
სტოლი – რუს. – მაგიდა.
სულის არ გატანა – სიცოცხლის წართმევა, სიკვდილი.
სულს იღებს – სულს ითქვამს.
სუნგი – თურქ. ხიშტი.
სუნკა – რუს. – ჩანთა.

ტ

ტავარჯული – კომბალი.
ტაია – თურქ. ბიძა, დედის ძმა.
ტაკვეცი – კომბალი.
ტანი – აქ ხის ტოტი.
ტაპიკი – ტაბიკი.
ტარაღაჯი – თურქ. სახრჩობელა.
ტახსევანი – აღზევანი.
ტვაღი, დუაღი – თურქ. – სადედოფლო თავსაბური, ძირითადად, წითელი ფერის ქსოვილისა.
ტვერი – მტვერი.
ტორათი – წითელი ცხენი.
ტოტი – ტორი, თათი.
ტყვილდუნია – ეს ქვეყანა.

უ

უთაქე – ურტყი.
უმალ – საჩქაროდ, სწრაფად, მარდად.
უმლია – უვლია.
უნდანან – უნდათ, სურთ.
ურუბა || ურბა– იტალ. ტანისამოსი.
უსტა – ხელოსანი.
უჩერედი – რუს. – რიგი.
უჩუმალაი – ჩუმად.
უჯალო – უღონო, უძალო.

ფ

ფაანი დუნია – თურქ. – ეს ქვეყანა.
ფადიშარი – ფადიშაჰი, მეფე.
ფაითონი – ფაეტონი.
ფალასკა – უნგრ. ტყვიების ჩასაწყობი.
ფარა – თურქ. – ფული.
ფაჩავრა – ჩვარი.

ფეიღამბერი – მუსლიმანთა წინასწარმეტყველი.
ფენჯერა – ფანჯარა.
ფერვანი – ფეროვანი, ფერის.
ფერვანი – სპარს. ბრძანება, განკარგულება, ფირმანი.
ფეშინ – თურქ. – მაშინვე.
ფეშინი – სპარს. ჯიბრი, კვალდაკვალ.
ფეხმაჩესტე – ფეხსაცმლის მწმენდავი.
ფეხმჩატე – მსუბუქი ყოფაქცევის.
ფიდანი – ნერგი.
ფინაჲ – ფინია.
ფინთი – ცუდი, უვარგისი. 2. გად. გველი.
ფიშმანი – სპარს. დარდი, ფიქრი, ჯავრი.
ფლატე – ქარაფი.
ფოთელი – ფოთოლი.
ფოქვი – გამოქვაბული, ბუნაგი.
ფოშა – ბოშა.
ფრული – სახე, ნიშანი.
ფუნჩხი – ნამცეცი.
ფურთნა – არევდარევა.
ფურუნჯი – თურქ. პურის მცხობელი, ხაბაზი.
ფუტი – კვამლი.
ფუღუნტურაჲ – ჩასუქებული.
ფუში – მუცელი.
ფუხარა – ღარიბი.
ფხარი – მხარი.

ქ

ქალი – ცოლი.
ქაღიდი – ქაღალდი.
ქენერი – კიდე.
ქესახჩა – სავსე ქისა.
ქეფენი – არაბ. სუდარა.
ქეშიში – თურქ. მღვდელი.
ქეჩაქულა – ძველი ქეჩის ქუდი.
ქვაბი – გამოქვაბული.
ქვისლი – ცოლის დის ქმარი.
ქიდათ – მახსრად.
ქითაბი – წიგნი.
ქილიმი – არაბ. – ნოხი, ფარდაგი.
ქილარი – სარძიე, რძისა და რძის პროდუქტების შესანახი ოთახი.
ქორი – ბრმა.

ღ

ღაზლი – მატყლისგან დამზადებული ნართი, ძაფი.
ღეზები – მწვალება, გასაჭირი.
ღეზრაილი – სულის ამხდელი.
ღენკვა – ღრღნა.
ღერი – 1. ღერო. 2. ცალი.
ღრე – მღვრიე.
ღუდელი – მღვდელი.
ღუდენი – ხის ტახტი.
ღურნე – წისქვილის ნაწილი, ღარზე მიერთებული, წისქვილის ბორბლისკენ დაშვებული წყლის სადინარი.
ღურღუმელი – ღრმული, ღრმა.

ყ

ყადი – არაბ. მოსამართლე.
ყავე, ყახვე – ყავა.
ყაზი – ბატი.
ყათი – თურქ. წყება. აქ-ცალი.
ყათინი||ყათირი– თურქ. ჯორი.
ყაითანი – თასმა.
ყაინი – თურქ. ცოლის ძმა.
ყამა – თურქ. – დანა.
ყამჩა – მათრახი.
ყარდაში – თურქ. ძმა.
ყაშმერი – ხუმარა, მახსარა.
ყელემი – არაბ. აქ ბუხრის საკვამური.
ყერიბი – თურქ. – უთვისტომო, ღარიბი.
ყველამფერი – ყველაფერი.

ყვიმი – კვამლი.
ყიამათი||ყიამეთი – არაბ. მწუხარება, ჯოჯოხეთი.
ყირათი – თურქ. 2. ჯორი. 1. მოთეთრო ცხენი.
ყირალი – თურ. ხელმწიფე, მეფე.
ყისმეთი – არაბ. სარგო, წილი, ხვედრი.
ყლიჯი – თურქ. ხმალი.
ყოლისფერი – ყველაფერი.
ყოშათი – დიდი თავი, მსხვილთავა.
ყოჩი – მამალი ცხვარი.
ყუ – ორმო, ჭა.
ყულა – ცხენი.
ყული – თურქ. მონა.
ყუმაში – თურქ. – ტილოს ნაჭერი.
ყურბანი – არაბ. მსხვერპლი, შესაწირავი.
ყურბეთი – არაბ. – უცხო მხარე.

შ

შალი – მატყლის ძაფით ნაქსოვი შარვალი.
შაჰმარანი – გველების მეფე.
შებუხჩება – წაჩხუბება.
შეითანი||შაითანი– თურქ. ეშმაკი, ავსული.
შელლიგობა – თურქ. სახლობა, ახლობლები, ხალხი, მხიარულობა.
შენ გულობაჲ – შენთვის.
შეპარებული ნათქვამი – ორაზროვანი ნათქვამი.
შერი – შარი.
შექერნუში – ნუშიანი შაქარყინული.
შექცევა – თავის გართობა.
შეშპობა – შევარდნა.
შეჩათინება – გაძნელება, გართულება.
შეჭყერა – შეცქერა.
შეჰერი – სპარს. ქალაქი.
შიან – შინ, შიგნით.
შიშმანი – თურქ. მსუქანი.
შომავალი – შუამავალი.
შოფერი – მძღოლი.
შუამდესინი – შუამდე.

ჩ

ჩადრი – პალატი.
ჩაკნეტა – გაკმენდა, გაჩუმება.
ჩალღი – ნიშანი, ზარი.
ჩამოზავება – ჩამოყრა, ჩამოცვენა.
ჩანჩალი – სიარული, ზანტად და საცოდავად.
ჩაქი დანა – დასაკეცი დანა.
ჩაცვენა – დავიწყება.
ჩივთი – თურქ. – წყვილი.
ჩივი – პალო, სოლი.
ჩიხოტკა – რუს. – ჭლექი.
ჩლაგნა – ფეხით თელვა.
ჩობანი – თურქ. მწყემსი.
ჩონჩორიკი – ცხენის განავალი.
ჩოღ – მთელი.
ჩოჩია – სახედარი, ვირი.
ჩუმათალაი – ჩუმად.
ჩურუქსუ – ქობულეთი.
ჩუცდენ – ჩაწვდნენ.

ც

ცინტალი – კნუტი.

ძ

ძამლეთი – ტოპ. ზამლეთი.
ძიაჲ – ბიძა.
ძიგარა – პაპიროსი, სიგარეტი.

წ

წაკოჭვა – ტომრის თავის წაკვრა.
წარე – მწარე.
წატაცება – მოპარვა.
წაყურება – გაჩუმება.
წინწკალი – ნაპერწკალი.

წისქვილობა – ნაფქვავი, ფქვილი.
წკრიალებს – ანათებს სისუფთავისაგან.
წონწორა – მაღალი, გამხდარი.
წრიხლი – წიხლი.
წყლეპი – წკეპლი.

ჭ

ჭედობა – ჭიდაობა.
ჭვირთი – ტვირთი.
ჭვიტინა – ჭუჭრუტანა.
ჭიბონი – მუსიკალური ჩასაბერი ინსტრუმენტი.
ჭიჭინა – ჭუჭრუტანა.
ჭკვაზე შექანებული– შეშლილი.
ჭლიკი – წვივი, ფეხი, კანჭი.
ჭუკჭუკი – 1. ჭიკჭიკი. 2. ტკბილად საუბარი
ჭურღული – ღულღუნი.
ჭყაპი – ნედლი.
ჭყერა – ყურება.
ჭყინტლი – უმწიფარი, ნედლი.

ხ

ხაზეინი – ბატონი.
ხაზირი – თურქ. – მზა, გამზადებული.
ხალაჲ – სპარს. დეიდა.
ხალი – ფარდაგი, ხალიჩა.
ხამაი||ხამათი – ისევ, ხელმეორედ.
ხანი – სამყოფი.
ხანუმი – ქალბატონი.
ხაპერი – თავი.
ხარს მუცალა – ხარს მიუტოლა.
ხასი – არაბ. წმინდა აბრეშუმი.
ხებერი – არაბ. ამბავი, ცნობა.
ხევსი – მცირე საჭმელი.
ხელახლე – თავიდან.
ხელის წატანება – ხელის მოკიდება.
ხეჭეპო – ნაჭუჭი.
ხიზმეთქარი – თურქ. მოჯამაგირე.
ხიკვა – კრება, მოკრება.
ხინოვრა, ხინოურა – ხინოელი.
ხირსიზი – თურქ. – ქურდი.
ხოშ – თურქ. ხომ.
ხოშკაკალი – მსხვილი სეტყვა.
ხოჩიჩი – ახალდაბადებული ბავშვისთვის ხის ქერქისგან დამზადებული საწოლი.
ხუთბე – ამაღლებული ადგილი მეჩეთში მოლისთვის.

ჯ

ჯაბახანა – (აქ) ავლა-დიდება, ქონება.
ჯაზი – სპარს. ეშმაკი, კუდიანი, მზაკვარი.
ჯაზინენე – გრძნეული დედაბერი.
ჯამე – არაბ. მუსლ. სალოცავი, მეჩეთი.
ჯამუში – სპარს. კამეჩი.
ჯანაზა – არაბ. ლოცვა მიცვალებულის დამარხვის წინ.
ჯანჯგვალი – მოქანება, მორყევა.
ჯგირათ – მეგრ. – კარგად.
ჯეენები – ჯოჯოხეთი.
ჯენდერმი – თურქ. ჟანდარმი, ჯარისკაცი.
ჯერნეთი – არაბ. სამოთხე.
ჯილველი – არაბ. თურქ. მშვენიერი, ბრწყინვალე.
ჯინსი, ჯინსლი – არაბ. ჯიში.
ჯირეკი – ხის გადაჭრილი ნაწილი.
ჯიფე – ჯიბე.
ჯორჯი ძაღლი– ბეწვიანი ძაღლი.
ჯუმა– არაბ. პარასკევი.

ჰ

ჰაზირი||ხაზირი – თურქ. – მზა, გამზადებული.
ჰაიდე – წამო, წავიდეთ.
ჰაივანი – თურქ. საქონელი.
ჰალა – ახლა, ჯერ კიდევ.
ჰალვა – არაბ. ხალვა.

ჰალი – ძალა, ღონე.

ჰალღა – რგოლი.

ჰამაგი – აბანო.

ჰამა, ჰამან – თურქ. – მაგრამ.

ჰამაილი – თურქ. მუსლ. – ავგაროზი.

ჰამან – მაინცდამაინც, თითქმის.

ჰარამჯი – თურქ. ყაჩაღი, ქურდი, ცოდვიანი.

ჰაღა – სადღა.

ჰაცხა – სადღაც.

ჰაჯი – მუსლიმან აღმსარებელთა მიერ მექასა და მედინაში მოსალოცად წასვლა.

ჰეგბა – აბგა, ზურგჩანთა, ხურჯინი.

ჰედია, ჰედიე – თურქ. საჩუქარი, ძღვენი.

ჰემ – თურქ. თან, აგრეთვე.

ჰერსი – თურქ. ბრაზი, რისხვა.

ჰექია – არაბ. ზღაპარი, თქმულება.

ჰეჩ – თურქ. სრულებით, ტყუილუბრალოდ.

ჰიდავრი – სადაური.

ჰილლე – ცოდვა.

საძიებლები

მთქმელები

1. ბერიძე ზექერიე სულეიმანის ძე – გვ. 1.
2. ბერიძე სელიმ ინუსის ძე – გვ. 5.
3. ბერიძე სულიკო სელიმის ასული – გვ. 10.
4. ბერიძე ფატყუმ მემედალის ასული – გვ. 10.
5. ხალვაში სულეიმან – გვ. 12.
6. დარჩიძე ლევან ნურის ძე –გვ. 16.
7. ტარიელაძე ახმედ თეარის ძე – გვ. 17.
8. ქათამაძე მუხამედ სულეიმანის ძე –გვ. 209.
9. მელიქაძე დურსუნ ესრეთალის ძე – გვ. 20.
10. ქათამაძე ოთარი ახმედის ძე – გვ. 34.
11. ბერიძე მემედ ალის ძე – გვ. 34.
12. შარაბიძე ისმაილ რეჯების ძე – გვ. 38.
13. ფუტკარაძე მუსტაფ ხუსეინის ძე – გვ. 38.
14. ფუტკარაძე მუხამედ მევლუდის ძე – გვ. 57.
15. სირაძე აკაკი ვეზირის ძე – გვ. 59.
16. ივანაძე როლანდი სულეიმანის ძე – გვ. 61.
17. ბერიძე ფაცია ხუსეინის ასული – გვ. 65.
18. ბერიძე ახმედ მემედალის ძე –გვ. 66.
19. ბერიძე ფერათ ხუსეინის ძე – გვ. 67.
20. ქათამაძე ეთერ ისკენდერის ასული – 69.
21. ქათამაძე ფატყუმე შუღეიბის ასული –გვ. 74.
22. ქათამაძე შახმურად ხასანის ძე– გვ. 81.
23. ამაღლობელი შახმურად მუხამედის ძე – გვ. 83.
24. ქარცივაძე ისკენდერ ახმედის ძე – გვ. 84.
25. ქარცივაძე მემედ სულეიმანის ძე – გვ. 86.
26. ქათამაძე იოსებ მუხამედის ძე – გვ. 88.
27. ქათამაძე ოსმან ისმაილის ძე – გვ. 94.
28. ათაბაგი ისმაილ ახმედის ძე – გვ. 103.
29. ბერიძე ავთანდილ ისმაილის ძე – გვ. 106.
30. ირემაძე კოლია მუხამედის ძე – გვ. 107.
31.შაინიძე სოსო ყაიას ძე – გვ. 108.
32. სურმანიძე იოსებ ახმედის ძე – გვ. 116.
33. გამრეკელიძე ნადია ღისას ასული – გვ. 127.
34. ბერიძე სულიკო ომერის ძე – გვ. 137.
35. დუმბაძე მუხამედ ხეირის ძე – გვ. 139.

36. დიმიტრაძე შაღბან მუხამედის ძე – გვ. 141.
37. ბეჟანიძე მურმან ალიოსმანის ძე – გვ. 143.
38. მნელაძე ოთარი ლეოს ძე – გვ. 144.
39. ქათამაძე ავთანდილ ისმაილის ძე – გვ. 146.
40. მსახურაძე შალვა –გვ. 152.
41. ჭაღალიძე ომარი ზაბითის ძე – გვ.153.
42. ამაღლობელი სულეიმან ოსმანის ძე – გვ. 155.
43. ქათამაძე შახმურად ხასანის ძე – გვ. 158.
44. ტარიელაძე ზურაბ ალის ძე – გვ. 162.
45. ცენტერაძე ისმაილ მამუდის ძე – გვ. 163.
46. შარაშიძე ხუსია სულეიმანის ძე – გვ. 167.
47. მელქაძე შაქირ ლეზეთის ძე – გვ. 174.
48. ებრალიძე თემურ ვეზირის ძე
49. ჯუმუშაძე ნიაზ რეზაყის ძე
50. თავდგირიძე მურად ნურის ძე –გვ. 181.
51. ნატარიძე ალი ზექერიას ძე – გვ. 185.
52. ნატარიძე ზექერია ბარათის ძე – გვ. 200.
53. ივანაძე ფიქრი ომერის ძე – გვ. 208.
54. სამოლიძე სულეიმან ჰესრეთალის ძე – გვ. 214.
55. ბერიძე ეხსან ხასანის ასული – გვ. 218
56. ზოსიძე ეთერი ნესრედინის ასული – გვ. 221.
57. მოსიძე მუხამედ ხუსეინის ძე –გვ. 226.
58. დიმიტრაძე შაღბან მუხამედის ძე – გვ. 227.
59. დუმბაძე დავით მუხამედის ძე – გვ. 229.
60. ამაღლობელი ლევან მუხამედის ძე – გვ. 230
61. გოგრაჭაძე შოთა დურსუნის ძე – გვ. 233.
62. კილაძე დურსუნ ლომანის ძე – გვ. 235.
63. მსახურაძე ფაზენ მუსას ძე – გვ. 239.
64. ქათამაძე ვალერიან – გვ. 241.
65. გოგრაჭაძე იზოლდა ხასანის ასული – გვ. 246.
66. ტარიელაძე შალვა სულეიმანის ძე – 249.
67. ტარიელაძე მიხეილ ნურის ძე – გვ. 251.
68. ქათამაძე დავით ახმედის ძე – გვ. 252.
69. ტაკიძე ნიკოლოზ რეჯების ძე – გვ. 254.
70. ჭაღალიძე ლევან ისმაილის ძე – გვ. 256.
71. ბერიძე შოთა ახმედის ძე – გვ. 258.
72. ზოიძე შოთა ახმედის ძე – გვ. 266.
73. ჯინჭარაძე აქიფ მემედის ძე – გვ. 271.

74. ჯინჭარაძე შოთა ალის ძე – გვ. 274.
75. ცენტერაძე შალვა ვლადიმერის ძე – გვ. 276.
76. ტარიელაძე ენვერ – გვ. 277.
77. მამალაძე გიორგი ღეზალის ძე – გვ. 279.
78. გოგრაჭაძე მიხეილ ახმედის ძე – გვ. 282.
79. ლომინაძე მურად თალიბის ძე – გვ. 288.
80. თავდგირიძე შოთა ასლანის ძე – გვ. 293.
81. ქიძინიძე გულნარა შაქირის ასული – გვ.302.
82. ფუტკარაძე სულთან მუხამედის ასული– გვ. 304.
83. თავდგირიძე ვენერა ნიქაილის ასული – გვ. 307.
84. ფუტკარაძე შუშანა ახმედის ასული – გვ. 312.
85. მაკარაძე ემინი –გვ. 314.
86. მაკარაძე ფატყუმე იუნუსის ასული – გვ. 317.
87. თავდგირიძე თოფუზ ისკენდერის ძე – გვ. 326.
88. ფუტკარაძე ხასან იუსუფის ძე – გვ. 329.
89. ფუტკარაძე მერჯან ფერათის ძე – გვ. 336.
90. ფუტკარაძე ანზორ ნურის ძე – გვ. 338.
91. ფუტკარაძე ნოდარ ნურიალის ძე – გვ. 341.
92. თურმანიძე ნიაზ – გვ. 348.
93. მამულაძე თემიზალი – გვ. 358.
94. მიქელაძე რეჯებ ქემალის ძე – გვ. 360.
95. ზოიძე ალიოსმან ხუსეინის ძე – გვ. 363.
96. თურმანიძე ომერ ოსმანის ძე – გვ. 365.
97. აბულაძე შარზენ მაირის ასული – გვ. 366.
98. ბერიძე ჰავა ომერის ასული – გვ. 368.
99. ფუტკარაძე ფადო ჰუსეინის ასული – გვ. 370.
100. გოგიტიძე ჰავა ასანის ასული – გვ. 372.
101. გოგიტიძე სულთან მუხამედის ასული – გვ. 374.
102. ბერიძე ფატი ოსმანის ასული – გვ. 377.
103. ბერიძე ნიგარი ოსმანის ასული – გვ. 377.
104. გამრეკელიძე ფატი ნოდარის ასული – გვ. 377.
105. გოჩიტიძე მუნთა ხუსეინის ასული – გვ. 382.
106. აბუსელიძე-ბათაძე ხენიფე მამუდის ასული–გვ. 383.
107. შავაძე ნათელა მუხამედის ასული – გვ. 385.
108. გოგიტიძე ნაზი დურსუნის ასული – გვ. 385.
109. გოგიტიძე შუშანა დურსუნის ასული – გვ. 385.
110. გოგიტიძე ეთერი ნუგზარის ასული – გვ. 385.
111. მაკარაძე გულნაზ ნურის ასული – გვ. 394.

112. ფუტკარაძე ნუგზარ ზურაბის ძე – გვ. 395.
113. ფუტკარაძე ნანული ბინალის ასული – გვ. 395.
114. ფუტკარაძე ეთერი ზურაბის ასული – გვ. 395.
115. ბერიძე თინა ისკენდერის ასული – გვ. 397.
116. ბაკურიძე ბეჰირ ახმედის ასული – გვ. 399.
117. ზაქარაძე ნურიფე მაჰირის ასული – 400.

ჩამწერები:

მ. ნადირაძე – გვ. 1.
ს. ბერიძე– გვ. 5, 10, 12, 16, 17, 20, 34, 37, 38, 57, 59, 61, 65, 66, 67.
ალ. მსხალაძე – 69, 74, 81, 83, 84, 86, 88, 94, 104, 106, 108, 117, 127, 138.
მ. ზოსიძე – 139, 141, 143, 144, 146, 152, 153, 155, 158, 162, 163, 167, 178, 180, 181, 185; 208, 217, 218, 221.
ა. მაკარაძე – 226, 228, 229, 230, 233, 235, 239, 241, 246, 249, 251, 252, 254, 256, 258, 271, 274, 276, 277, 279, 282, 288, 293.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინსიტყვაობა	III
მოხერხებული წყემსი	1
სამი ბიჭის ამბავი	4
ტყუილის თქმა	5
ანდაზები	6
გამოცანები	7
გაწბილებული ხოჯა	7
მამის ანდერძი	8
გამოცანა	8
სატრფიალო ლექსი	8
გამოცანები	9
შელოცვები	10
ლექსი ფირალზე	11
სასიყვარულო	12
სამი ძმა	13
ახლად დაქორწინებული ღარიბი	15
ღმერთის სამი საჩუქარი	17
ზარმაცი ღარიბი	18
მის ბედს ვერ ეღირსა და მოკვდა	21
მღვდლის ოინები	23
ხოჯის ოინი	24
გლეხს დაეკარგა ცხენი დ თხა (მეგობრული დაცინვა)	29
მოხუცი პეტრია	31
ფადიშარის პირობა	32
ასეთი კაცი იგივე ვირიაო	33
ხალხური გადმოცემა ბერიძეების გვარის აჭარაში შემოსვლის შესახებ	33
60 წლის ზედა ხალხიც საჭიროა	34
გამოცანები	35
შეპარებული ნათქვამი	35
დათვის ამბავი	35
ყარავა მონადირე და ტყიკაცი	36
ქერიმი	36
ნაცარქექია	39
სამი ამხანაგი	40
დედუკალოხრუკი	41
ერთი გადმოცემა დედუკალზე	43
სამი ჭკუა	44

ქალის კურო 45
ქოსას ამბავი 47
გამოცანები 50
ჯიბგირი 50
ყისმეთი 51
ამედ უსტა 52
ყენდერ აღა 55
ორი ძმა 57
ბიჭისა და დედაბრის ამბავი 58
სამი ძმა 59
სიბერეში სიკარგე 60
ციმბირის კატა კატუნისძე 61
საქირვე 62
სამი და 63
ხელმწიფის განკარგულებები 64
გოგო გახდა ბიჭი 66
სერსემი 68
სამი ძმა 69
ხის ჟვერი იტყვისო 72
რამდონზე გიყვარვარო 72
დავჯექი, წიგნი დავწერე 73
დედა და შვილი 74
პატიმრის სიმღერა 74
შაირები 75
კაცი უნდა იყოს ჯინსიო 77
ბედის შეხვედრა 78
ცხენი გვარზე გაჭენდებაო 79
ამაღლობელი გვარის აჭარაში გადმოსახლების შესახებ 80
ხემწიფის შვილი 81
ხელმწიფის გოგო 81
მოგზავრობა ყარსში 82
მოლლა მუსხვედიანი 82
ბიძას მძებნელი 83
იყო და არა იყო რა, ... 84
ორი ძმის ამბავი 86
იადონი და ბულბული 89
ლექსები 91
ქალის სიმართლე 97

ქალაქის ბეგი 97
ბავშვების მოტაცება 100
ასახსნელი 101
იყვნენ სამი ძმანი 101
ცოლი და ქმარი 105
მამა და შვილები 106
დედა და შვილი 109
ლექსები 118
ბერიკრეჭიაი 125
ერთი ეპიზოდი თურქთა ბატონობის პერიოდიდან 126
სიავე – ბოროტების ბოლო 127
გადმოცემები გურულებისა და აჭარლების ურთიერთობის შესახებ 128
მწყემსის ბედ-იყბალის ამბავი 129
ნახევარაი მამალი 130
აჯაბაი და ყარაბაი 130
პატარა გიორგი მონადირე 131
ალღინ ჭაბუკი 132
მონადირეთა ნაამბობი 134
ხუთკუნჭულა 136
პატარა ძმის ამბავი 137
არაფერი დაიმალება 138
დედაბრის ამბავი 140
თემური და ალექსანდრე 141
სამი გოგო 143
ზექიეი და ხოჯა 144
ორი მდიდარი 146
უმცროსი ძმა ახმედი 146
ყაფლანი და ყერიბოღლი 148
ბოროტი ხემწიფე 150
ხელმწიფის და გლეხის შვილები 151
ახმედ აღა 153
ერთი აღა 154
დელი მემედი 155
ეშმაკი ქოსაი 156
შაისმაილი 157
სოლაღის ლექსი 159
ლექსი დათიკო შევარდნაძეზე 160
ჭვანის ხეობაში გავრცელებული გამოცანები და ანდაზები 161

ასლანი და ჯემალი 162
მოლა ნესრედინი და მღვდელი 164
მოლა ნესრედინი და სარკე 164
გადმოცემა სხალთის ეკლესიის შესახებ 164
და-ძმის ამბავი 165
გოგო-ბიჭის გაშაირება 169
ლექსი შეყვარებულზე 170
ლექსი შირინაზე 171
ილიასს ლექსი 172
ყირიმოღლის ლექსი 174
ოთხი ძმა 175
იგითი ბიჭი 179
ყისმეთი 182
სამი ძმის ამბავი 185
ჯიანშაი 187
ოქროს ფინჯანი 188
ერთი ბიჭის ამბავი 191
ნეფე-დედოფლის ლექსი 193
ფერიდეს ლექსი 194
ქალ-ვაჟი 196
შურისძიება 197
მიჯნურის ღალატი 197
მუხამედაჲ 200
უმცროსი ძმისა და ქოსაის ამბავი 202
ღარიბი და ვეშაპი 204
კობალაჲ 205
იელლი ქოსაჲ და ბათუმელი ქოსაჲ 206
კატა, ღორი, მელაი და დათვი 207
ორი ძმა 207
მელია 208
ჭყავანაჲ კატა 209
მამისა და სამი შვილის ამბავი 209
შახისმაილი 210
ხელმწიფე და მისი გოგო 214
მურთაზ ჭინკაძე 217
კატა 218
ეშმაკის ქუდი 219
შაირები 220

თორმეტი წლის ბავშვი ვიყავ 220
ოცი ძმა 221
ორი ძმა 223
დათვი და კაცი 224
ხასან ქათამაძე 224
კატა და ვეფხვი 225
გლეხი და ხელმწიფე 226
სამი ამხანაგი 226
სამი შვილი 227
ხელმწიფის გოგო და მოსამსახურე ბიჭი 229
სიმღერა გოგიაზე 230
შაირები 230
ორშაბათს გნახე 231
შენ მემდური, მე კი გეტრფი 231
ერთ ქორწილში 232
პასუხი 232
აჭარელ ქალს 234
პოეტის გულით 235
ქალი, ხოჯა და თურქი 235
სამი ძმა 236
სახელგანთქმული ექიმის შვილის ამბავი 238
დურსუნ კვესიოღლი 240
ჩადრის წარმოშობის შესახებ 241
მარილის საშოვნელად წასული კაცის ამბავი 242
აშიღყერიბი 243
კაცი დ გველი 245
ალმასის ქვა 245
ფადიმეჲ 246
ნატვრა 247
ჯაყვაჲ დანა 248
ფარის მოსაგებში წასული კაცი 249
დათვი და მელაჲ 250
თაგვების კრება 250
შაირები 252
ზულფიყარი 253
თხის კუდი 254
ნაცარქექიაჲ 255
ხეზრეთი ალი 256

ღარიბი კაცის ამბავი 258
სამი გოგოს ამბავი 260
შახზადი 263
ერთი ბიჭის თავგადასავალი 267
შაირები 278
გაზაფხული რომ გამუა 279
შაფათი რომ დაღამდება 279
შაირები 281
ოქროს თასი 286
მოჭუკჭუკე ფრინველი 288
შაირები 289
შავი კატა 292
სამი ძმა 294
ორი ძმა და ტყიკაცი 296
შაირები 297
ვასასი 302
ოსმან ალია 303
შაირები 304
ყიამეთის ლექსი 310
კოხალიაჲ 312
ტყის კაცი 314
შაირები 315
შელოცვები 317
შაირები 323
გამოცანები 324
შაირები 325
შელოცვები 328
შელოცვები 329
შაირები 330
შაირები 335
თქმულება თამარჭალაზე 335
შაირები 336
შელოცვები 338
ლექსები 339
ლექსიკონი 341
საძიებლები მთქმელები 352
ჩამწერები 355

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **გუნა სამნიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**